

780
1978

0



అంకం 5
వార్షికం

ప్రగతి

1978 5


დაბეჭდა სომხური

გოთხრობის

ჯანიწა



გაერთიანებული
ბიბლიოთეკა



НИКОЛАЙ
ТИХОНОВ

კონსტანტინე

სიმონოვი



სამხრეთ-
დასავლური


მეთოდები



ქართული
წიგნიწიგნა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მსუენჭე



ეროვნული

ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი

შინაარსი

იური პონდარევი
 იური ტრიფონოვი
 ვასილ შუკუინი
 ვალენტინ რასკუტინი
 ბორის კასტერნაკი
 ნიკოლოზ ტისონოვი
 ნიკოლოზ ზაბოლოცკი
 ლეონიდ გარტინოვი
 არსენი ტარკოვსკი
 ანატოლი სოპრონოვი
 კონსტანტინა სიმონოვი
 მიხეილ დუდინი
 მიხეილ ლუკონინი
 ვასილ ვეოდოროვი
 ბორის სლუცკი
 დავით სამსოილოვი
 აღმაშანდრა მუშიროვი
 ვლადიმერ სოლოუხინი
 ვივაენი ვინოკუროვი
 ვლადიმერ სოკოლოვი
 ვლადიმერ ციბინი
 სტანისლავ კუნიავა
 ვივაენი ვიტუშენკო
 ანდრეი ვოზნეშენსკი
 გულა ასვადუღინა
 იუნა მორიტი
 იღვბ ნუსონოვი
 სერგეი ბარუზდინი
 მუსა ჯალილი
 აღივ კეზოკოვი

აღამ შოგენცუკოვი
 ვაისინ ვულიევი
 რასულ გამჯათოვი
 ახსარ კოკათი
 შამილ ჯიჟაევი
 ახმედხან აბუ-ბაჟარი
 კავლო ზაბრეზელნი
 ვალერი შუვრუკი
 კავლო ტინინა
 ვაჟსიმ რილსკი
 მიკოლა ბაჟანი
 დმიტრი კაკლინკო
 ბორის ოლიინიკი
 ივან დრანი
 ვიტალი კოროტინი
 ლინა კოსტენკო
 მიკოლა ვინგრანოვსკი
 ივან ჩივრინოვი
 ვიარესლავ აღაფიკი
 ანატოლი ველიუჰინი
 ნილ ვილუჰინი
 ასკად ვუსთარი
 შიგუნი
 კამილ აღიფჯანი
 აბდულა არიპოვი



15984

შინაარსი

გულნებსრა ჯურავევა
შერხან მურთაზავევი
ოღჟას სულეიმენოვი
ბალაკტიონი
აუსაზური ეკონი
აუსაზური სალზური კოეზია
კაჯიშმარ ალბორთი
გიორგი ბესთაუთი
ნაჟი ჯუსოითი
ანარი
სამელ მურღუნი
რახულ რზა
შიქრეთ სადიკი
ალბირღას კოტიუსი
ირენა განსინიაუსკაიტი
სალომეა ნერისი
ედუარღას მემულიტიისი
ალფონსას მალდონისი
ალბიმანტას ბალტაკისი
ანთიანას ა. იონინასი
რობერტას კმტურაკისი
იონას კაღინაუსკასი
იუსტინას მარცინკიავიჩუსი
გეორგი მენეუკი
კატრე ზადნიკრუ

ბრიტორე ვიერუ
ვასილ რომანეუკი
ალბერტ ბელი
ანდრის ნაკუბანსი
იობარ ვაციეტიისი
იპანტს ზიედონისი
ვიზმა გულშევიცა
მარის ნაკლაისი
ვიტაუტს ლუდენსი
ჩინგიზ აიტგატოვი
სოროტნბაი ჯუსუვევი
ფ. ნიკი
მუჟინ კანოათი
ალასი აივაზიანი
გარღვმს კვტროსიანი
ოვანეს თუმანიანი
კაგო საკიანი
გეორგ ვეინი
სილვა კაკუტიკიანი
სუითინიაზ ათავევი
ათა ათაჯანოვი
ბიბისარა კაჟიფოვა
იუკან სეუული
კაულ ვერნიკ რუმო
კალე კურგი
ლაგარა აბაშიძე
ნია აბესაძე
გიგო ზარნაძე
ლაიშონას ინისი
ოთარ ნოღია



იური ბონდარევი

სილამაზე

ადამიანი ბუნებას აღიქვამს როგორც შემეცნებას, იქნება
სწორედ ესაა სილამაზე?

და მე წარმოვიდგინე, რომ ჩვენი დედამიწა, სამყაროს ეს ზღაპრული
წალკოტი, მისი დაისი და აისი, გრილი დილა და ვარსკვლავიანი ღამე, გამთო-
შავი სუსხი და მცხუნვარე მზე, მისი შუქი, ჩრდილი, ივლისის ცისარტყელა,
ზაფხულისა თუ შემოდგომის ნისლი, წვიმა, ქათქათა თოვლი, — წარმოვიდ-
გინე, რომ ეს ჩვენი დედამიწა უნუგეშოდ დაობლდა. აბა, იფიქრეთ: დედამი-
წაზე აღარ არის ადამიანი — და ყრუ სიცარიელე დაშრილებს ქალაქების ქვის
ტალანებში, უკაცური ველ-მინდვრების ბალახზე, მღუმარებას არ არღვევს
არც ხმა, არც სიცილი და არც გოდება.

ამ უკაცრიელ, ამ გაყინულ სიჩუმეში ჩვენი მშვენიერი დედამიწა ერთ-
ბაშად დაჰკარგავდა თავის უზენაეს აზრს — იყოს ხომალდი, სავანე ადამიანისა
უსასრულო სივრცეში, და მყის გაჰტრებოდა მისი სილამაზეც, რამეთუ აღა-
რაა ადამიანი — და სილამაზეც ველარ აისახება მის შეგნებაში, ველარ დააფა-
სებს მას. მაშ ვიღასთვისაა იგი? რიღასთვისაა?

სილამაზეს არ ძალუძს შეიცნოს თავისა თავი, როგორც ეს შეუძლია გა-
წაფულ აზრს, დახვეწილ, ნატიფ გონებას. სილამაზე სილამაზის შინა და სი-
ლამაზისათვის უაზროა, უგუნურია, მკვდარია ისევე, როგორც გონება გონე-
ბისათვის, იქ არაა ლალი თამაში, მიზიდვა-განზიდვა, ცოცხალი სუნთქვა, ამი-
ტომ იგი დასალუბადაა განწირული.

სილამაზისათვის აუცილებელია სარკე, აუცილებელია ბრძენი შემთასებე-
ლი, ან კეთილი და ალტაცებული მჭვრეტელი, — სილამაზის შეგრძნება ხომ
შეგრძნებაა სიცოცხლისა, სიყვარულისა, სასოებისა, მოჩვენებითი რწმენაა
უკვდავებისა, რამეთუ მშვენიერება აღგვიძრავს სიცოცხლის წყურვილს.

სილამაზე გადაჯაჭვულია სიცოცხლესთან, სიცოცხლე — სიყვარულთან,
სიყვარული — ადამიანთან, როგორც კი გაწყდება ეს ჯაჭვი, ადამიანთან ერთად
ბუნების სილამაზეც იღუპება.

საქართველოს
სოციალისტური
რესპუბლიკა

წიგნი, დაწერილი მკედარი დედამიწის უკანასკნელი მკვიდრის მიერ, მშვენიერების უზენაესი ჰარმონიითაც რომ იყოს აღვსილი, მარტოოდენ ფარატიანა ქალიღია, ნაგავში გადასაგდები იმიტომ, რომ წიგნის მიზანია არა ძახილი სიცარიელესა შინა, არამედ არეკვლა სხვა ადამიანის სულზე, გადაცემა აზრებისა, გადასახლება გრძნობათა.

გინგლიჩიძე

მსოფლიოს ყველა მუხეუმი, სადაც მთელი სილამაზეა თავმოყრილი, ყველა შედეგია ფერწერისა, უშნოდ შეთითხნილ ფარდულებს დაემსგავსებოდა, თუ შავ არ იქნებოდა ადამიანი. სილამაზე ზელოვნებისა უაღამიანოდ სიმახინჯე და გათახსირება იქნებოდა, ესე იგი კიდევ უფრო აუტანელი, ვიდრე ბუნებრივი სიმახინჯე.

მადლი სრულმხილი ქალისა

რა არის ქალის სილამაზე? სწორი ნაკვთები? ჩამოსხმული სხეული? გამოხედვა? სიარული? ვის შეუძლია თქვას და ახსნას, რა აღგვიძრავს სიყვარულს?

ყოველ შემთხვევაში, მე დღემდე განვიცდი რაღაც ბედნიერ გრძნობას, ის შორეული ყრმობა და ზაფხულის დილა რომ მახსენდება, როცა პირველად დავინახე იგი აგარაკზე, იასამნით დაფარულ აივანზე. ჭილის სარწვეველა სავარძელში იჯდა, ჩაფიქრებული ტკვერდა ბალახის ღეროს და წიგნს კითხულობდა — გრილი ჩრდილი დაჟოთლილიყო ფურცლებზე, ქორფა, შიშველ მუხლებზე. პირველად მუხლები მომხვდა თვალში, როგორც კი ბალიდან აივანზე ავირბინე. ბალახის სუნიც კი მახსოვს, ისე აღმებეჭდა გულში ზაფხულის დამდეგის ის მშვენიერი დილა, შოშიების ყივყივი მწვანე ფოთლებში, სავარძლის ნაწი ჭრიალი და მზითა და ჩრდილით ნაალერსევი ეს მუხლები, რომელთა სითბოს შეგრძნების უფლება მხოლოდ წიგნსა ჰქონდა. მახსოვს, რარიგ ცეცხლივით შემომგნთო მათ მოალერსე სითბოზე ფიქრი და ვიგრძენი ამ იღუმალის უცნობი ქალის ბიწიერი უბიწოება, რომელიც ერთ ქერათმიან ყმაწვილ კაცთან ერთად გვესტუმრა აგარაკზე.

ამ ყმაწვილ კაცს ეცვა გატკიცინებული ჩესუნჩის შარვალი და აბრეშუმის სპორტული მაისური. არ ვიცი რატომ და მაშინვე ეჭვიანობის მწვავე ტკივილი მაგრძნობინა მისმა დიდებულმა სიარულმა, ღონემ, თავდაჯერებულმა ღიმილმა, ჩაწყრილებულმა კბილებმა. ხოლო როცა იმავე დღეს მზის ჩასვლისას დავინახე, როგორ თამაშობდა იგი ფრენბურთს — რა ოსტატურად აწვდიდა ბურთს, რა მაღლა ხტებოდა, რა მოჭნილად აღრიყებოდა მისი ზორბა, ნავარჯიშევი სხეული, — როდესაც დავინახე, როგორ მოსწმინდა ქალმა შუბლზე ოფლი თავისი ცხვირსახოციით, ეჭვიანობა კი არადა, უკვე შეურიგებელი სიძულვილი ვიგრძენი.

იმავე ღამეს ჩუმმა სტვენამ გამომაღვიძა. აგარაკზე საღამოობით ჩემი აქაური ძმაკაცები ასე მისტვენდნენ ღობიდან და ამ დათქმული ნიშნით გამიხმობდნენ ხოლმე გარეთ. მე გასაშლელ საწოლზე მეძინა კუთხის პატარა ჩახუთულ ოთახში, ფანჯარა დაკეტილი იყო, ივნისის გამწარებულ კოლოებს რომ არ დავეკბინე. მაგრამ სტვენა რომ ჩამესმა, ლოგინიდან წამოვხტი, მთვარით გაკაშ-

კაშებული ფანჯარა გამოვალე და, რაკი მეგონა, ალბათ ახლომანლო ტბებზე სათევზაოდ მიხმობენ-მეთქი, ორჯერ იხვივით დავიყიყინე: მესმის, ახლავე გამოვალ და მოვილაპარაკოთ-თქო. მაგრამ ფანჯრის დაკეტვა და პერანგის გადაცმა ვერ მოვასწარი, ისევ ვაისმა სტვენა და ნამიანი ბალახაა თბილ სურნელთან ერთად ჩემს პაწია ოთახში მოვარიანი ბალიდან ფრთხილად ჩაბრუნდა და ტოტების ტკაცანის ხმა შემოცურდა. ეს კი სულაც არ იქნებოდა ჩვენს დათქმულ ნიშანს, ისე რომ გაოცებული ჩავაცქერდი მოლურჯო პაერით განბანილ იასამნის ბუჩქებს. იქვე, სახლთან სულ ახლოს, წამით აინთო და ჩაქრა ხელის ფარნის ყვითელი შუქი და შეკავებული, მზიარული ჩურჩული გაისმა:

— ჰეი, მანდ, მანსარდაზე, რა გაძინებთ ასეთ ღამეში! ახლავე ჩამოდით ბაღში, ძილისგუდავ, მე თქვენ გიბრძანებთ, გესმით?

და იმავე წუთს დავინახე: თურმე ის ქალი უსტვენდა ვაშლის ხეების ძირას, ხელის ფარნით თურმე ის აძლევდა ნიშანს მანსარდის ფანჯარაზე იმ ქერათმიან ფრენბურთის ღმერთს, რომლის ნაქანდაკევმა ღამაზმა მკერდმა, მხარ-მკლავმა და ჩაწიკწიკებულმა ბროლის კბილებმა თვალი მოგვეჭრა დღევანდელი თამაშისას.

მერე კი უნებური მოწმე გავხდი იმისა, რაც ჩემი ასაკის ბიჭისათვის ალბათ სულაც არ იყო საცოდნელი. იმიტომაც დამამახსოვრდა სამუდამოდ ის ღამე. ყმაწვილი კაცი სტვენით გავხშიანა და ძირს ჩავიდა. თეთრი შარვალი ეცვა და ზემოდან პიჯაკი მოეხურა; ჩავიდა და გულში ჩაიკრა ქალი. იმანაც გაკვირვებით, ბიჭურად წაუსტვინა, ყელზე ხელები შემოასკვნა, გაიციინა და თვალდახუჭული ფეხისწვერებზე აიწია. ფარნის შუქი ვაშლის ტოტებს მიებჯინა და თვალისმომჭრელად ააკაშკაშა ვაჟის თავს ზემოთ ფოთლები.

— გამიგონე, — მოსწყდა ქალი ვაჟს და ანცად, თან ნაძალადევი სიმშვიდით მკერდზე თითი ჩამოუყოლა, — მამ არ წამიყვან ცოლად? მე ხომ ცული ქალი არა ვარ...

— მგონი, წავიყვან, — ჩაიციინა ვაჟმა. — ოღონდ სამუდამოდ არა. მე ერთი ღარიბი, ხელმოკლე ინჟინერი ვარ. შენ აბა რა მოგიხერხო?

— რა? შენ გეყვარები, მე კი დილაობით ყავას მოგიმზადებ... საღამოობით კი გმირულ რომანებს წაგიკითხავ. ვანა ცუდია?

— ოჰო, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტიაო? მაგრამ მე რომ ცულიც არა მაქვს! ყველაფერი რომ სხვისია! შენისთანა ძვირფას, ნაცრისფერთვალეა უცხო საჩუქარს რა უნდა ვუყო, პა?

— რა და უნდა გიყვარდე. მე ხომ ახლა ზოგი რამ ვიცი. ჩემი ყოფილი ქმარი მეუბნებოდა, სრულქმნილი ქალის მაღლი გცხიაო.

— ნეტა რა მაღლი გცხია მაინც?

— უფლება არა მაქვს გითხრა. ჯერ ერთი, მეტისმეტი იქნება, მეორეც, არ მინდა ჩემი ყველაფერი იცოდე...

— მაინც, მაინც? ძალზე საინტერესოა. ვთხოვ, პა?

— აბა რანაირად გითხრა? თუმცა კარგი, სულ ერთია... ის მეუბნებოდა, სრულქმნილი ქალი საყვარლად გიყმაეო უნდა იყოსო... ეს ღირსება კი მე პირწმინდად მეკარგებოდა, როდესაც მარტონი ვრჩებოდით, ვფრთხებოდი, სირცხვილი ვერ დამეძლია, წრუწუნასავით ვკანკალებდი. ო, რა საშინელია გიყმაეურად ყოფნა!..

— ჩემთანაც? ჩემთანაც საშინელია?

— შენთან? რა შენთან? როგორ შენთან? რატომ შენთან? მეც არ ვიცი, შენთან რა...

— აბა სცადე გიჟმაჟი იყო, — უთხრა ვაჟმა დაუდევარი ალერსით და თავისი პიჯაკი ვაშლის ხის ძირას ბალახზე მიაგდო. — შესძლებს ჩემს შუაში

ქალმა დაუსტვინა, თუმცა ტუჩებით გაცინებას ლამობდა, და მკერდზე მინათა ფარანი. მაგრამ ვაჟმა ფარნიანი ხელი ქვემოთ დააშვებინა, თბილ შუქში წუთით დავიანაზე მისი თეთრი, განიერი ქვედაკაბა, მუხლები; დავიანაზე, როგორ შედგა ქალი კვლავ ფეხისწვერებზე, მთელი სხეულით აიზიდა ვაჟის ტუჩებისკენ, — და მაშინ კინალამ ავტირდი, კინალამ სული შემეხუთა ეჭვისაგან, ისე მიყვარდა იმ წუთას მისი ხმა, სიცილი, მიწისკენ მიმართული ფარნის შუქი, შერმე გავიგონე ქალის დამცინავი ჩურჩული:

— შენ გინდა აქვე, ამ ვაშლის ხეების ძირში გავხდე შენი ცოლი?

— ვანა ძვირფასი საჩუქარი ან ძვირფასი თვალი შეიძლება ცოლი იყოს? რომელ ხავერდის ზარდახშაში წეგანახო? ან რანაირად მიყვარდე? თქრომჭედელი რომ ვიყო, კიდევ პო, მაგრამ არა ვარ.

ქალმა მოურიდებლად შეანათა ფარანი, ვაჟი იღიმებოდა, კბილებმა გაიკრიალეს.

— საოცარია, — ქალის ხმა ზონმაზე მეტად წკრიალა და მხიარული იყო. — მე შენ მიყვარხარ... და ამავე ღროს მძულხარ კადეც!

— ეს დოსტოევსკია, ჩემო ძვირფასო, სიყვარული და სიძულვილი ერთად, — მიუგო ვაჟმა უბრალოდ და მხიარულად. — შენ მთელი დღე მას კითხულობდი. ფედორ მიხაილოვიჩმა კი კარგა ხნით იცის ხოლმე გუნების გაფუჭება.

— მე რაინდული რომანები მიყვარს და არა დოსტოევსკი.

— ღვთის გულისათვის, ნუ ვილაპარაკებთ ქვეიანურ ამბებზე. სადაა შენი სიგიჟეაჟე?

მან ქალს ფანარი განოართვა, შუქი გამოართო და მსუბუქად მიაგდო ბალახში, მერე ალერსიანად და შემწყნარებლად ნობვია წელზე ხელი. და მე კვლავ დავიანაზე, რანაირად აიზიდა ქალი მისი ტუჩებისაკენ, თუმცაღა მთვარის ბუნდ შუქზე მომეჩვენა, თითქოს ტკივილი აღბეჭდოდა პირზე, წარბების რკალზე. ვაჟი ისე დიდხანს მკოცნიდა, რომ ქალი კვხესით გადაიხარა, ვაჟმა კი კოფთის დილეგი გაუხსნა და ისე დაეწადა გაშიშვლებულ სავსე მკერდს, თითქოს კოცნით უნდა დასაჯოს და აწამოსო ეს ნაზი თეთრი კანი, ჩემს სიცოცხლეში პირველად რომ გხედავდი ასე ურცხვად გაშიშვლებულს. ენით უთქმელი მწუხარების ცხარე ცრემლები მომაწვა ყელში, თვალთ დამიბნელდა და ანაზღეულად აღმომახდა ვრუ; ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზღუქუნია. ერთი ნახტომით საწოლთან გავჩნდი, პირქვე დავემხე და უმიზეზოდ, მწარედ აცქვილიანი, ცრემლიან ლოყებს ბალიშს ვაწმენდდი. მარტოოდენ ბავშვობაში აქე მატირია ასე ნეტარებით, ასე თაედავიწყებით, ასეთ უნუგეშო სიმარტოვეში, როდესაც მეგონა, ყველაფერი დასრულდა-მეთქი. მაგრამ ცოტა ხნის მერე შეშინებული წამოვხტი ლოგანიდან, ტირილი არ გაიგონონ-მეთქი, და ფანჯარაში გადავიხედე. პაურს ფერი ეცვალა, რიყრაჟი შემოპარულიყო და ერთბაშად მოესრა მთვარის გაცრიატებული შუქი ხეებს შორის; მთელი ბაღი, — ვაშლის ხეები, ბი-

ლიკები ყვავილნარის გარშემო ჩარუხებული და თითქმის გაქვავებული ჩანდა...

მე იგი იმ წუთს დავინახე, როდესაც მთვრალივით ნელა მიადგა ისამ-
ნით დაფარულ ღობეს, შეჩერდა, თმა გაისწორა, მერე ბუჩქი დაიწვინა და
ტოტი მოსწყვიტა. ბუჩქი ერთბაშად გასწორდა და გრილი ცვარი გადმოაყარა;
ქალმა თავი ასწია და, ბანგნასვამივით დაუწყო რხევა ისამსრის ტუჩებს, თით-
ქოს ამ გრილი ცვარ-ნამის წვიმით პირისახეზე, ჩატკვერილ ტუჩებზე მიწვდი-
ლი აბლაბუდა უნდა ჩამოიბანოსო. ვაჟი კი იდგა ვაშლის ხეების ძირას, ხელ-
ში ატრიალებდა ჩამქრალ ფარანს, გაურკვეველად იღიმებოდა და ღუშდა.

დილით ორივენი გაემგზავრნენ, მე ისინი აღარასოდეს მინახავს.

ომიდან რომ დავბრუნდი, ჩვენი ოჯახის ნაცნობმა მითხრა, ის ქალი ევა-
კუაციაში გარდაიცვალათ.

მაგრამ დღემდე მახსოვს, უსამართლო წყენისა და უიმედობის ის მწარე
გრძნობა, მე რომ მაშინ შემიბურო, თითქოსდა ამ ყმაწვილ, ვიჟმაჟ ქალს, ვას-
მა მზიურმა სისპეტაკემ ერთ დილას ჩვენი აგარაკი გაასხივოსნა, გამოუსწო-
რებლად დაეღალატებინე ფრიად იდუმალ, წმინდა ამბავში. მან რა იცოდა,
რომ ის თავდაჯერებული, თეთრშარელიანი ცინიკოსი კი არა, მე შევიყვარებდი
მას სიცოცხლეზე მეტად, მე შევიბრალებდი, მე დავიცავდი და დავიფარავდი
ყოველგვარი სიტლანქისაგან. გაუჩიარებელი სიყვარულის ესოდენი შიშველი
გრძნობა უთუოდ ზოგავს, გვერდს უვლის მოზრდილს. ლამაზი იყო? მაგრამ
ვიციტ განა არსი ქეშმარიტი სილამაზისა? მისი გამგზავრების მერე თითქოს
ბურანში ვიყავი, ზოგჯერ ეტიროდი კიდევ, ჯოჯოხეთური ექვი მტანჯავდა,
გამოსავალი კი ვერ ნებოვნა: იმ წელს თორმეტი წელი შემისრულდა და ეს
ჩემი პირველი სიყვარული იყო.

ახლა უკვე განვვლე სიცოცხლე, ისიც რა ხანია ამქვეყნად აღარ არის, მას
აქვთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. და ახლა ქალურობისა და უცოდველი სისპეტა-
კის შარავანდედში შესახება საფხულის ის მშვენიერი დილა და ის ჩემი პირ-
ველი სიყვარული, როცა ქილის სავარძელში იჯდა, ფიქრიანად ტკვერდა ბა-
ლაზის ღეროს და კითხულობდა: მრუმე ჩრდილი დაჰფენოდა გადაშლილ
წიგნს, მის შიშველ მუხლისთავებს...

„რარიზ მებრალეები...“

ისინი ჩახვეულები იწვნენ, ქალი ცხვირს ცხვირზე უსვამდა და ჩასჩურ-
ჩულებდა:

— როგორ მებრალეები, ვაი, როგორ მებრალეები..

კაცი დამნაშავესავით იღიმებოდა, მაგრამ არკი სიამოვნებდა ქალის სი-
ტყვები. — ეს ამცირებდა მამაკაცურ ღირსებას, ლახავდა მის სიყვარულს იმ
ერთადერთი ქალისადმი, ვინც მისი ცოლი იყო და ვისთანაც ასე სიამტკბი-
ლად გაატარა ეს ოცდახუთი წელი. საბედნიეროდ, არც ერთს და არც მეორეს
ჯერაც არ გასციებოდათ გული, არ დაჰკარგოდათ ადრინდელი ახალგაზრდული
სინაზე, როდესაც თუნდაც დუმილი, თუნდაც თბილი გამოხედვა და ღიმილი
იმ მუდამ მშვენიერსა და მარადიულს გამოხატავდა, რაც კი ადამიანისთვის
უჩუქებია ბუნებას იმ წუთს, როცა დედამიწა ბედნიერი იყო.

ქალს ადრე არასოდეს გამოუთქვამს ეს სიბრაალული, პოდა, კაცმაც არა-

ფერი უთხრა, ოღონდ გაიფიქრა, რომ ყველაფერი, რაც იყო, რამაც ასე ბედნიერად, ასე დიდხანს გასტანა, ამ წუთს დამთავრდა. ქალს ალბათ იღარ უყვარს, გული გაუგრილდა და სიბრაღით უნდა სიყვარულო მესტეგალოს. მაშ, მოატანა უკვე სიბერის სუსხმა და სიცივემ?.. მაშ დადგა ახალი ხანა მათი ცხოვრებისა, წყნარი, გონივრული, ზამთრის მაუწყებელი ხანა, რაზეც ახლავს ჩრდილოეთის ცივი ნიაფი, ჭკნობის სუნი, უძალო მშვენიერებას მინდვრებს რომ დაჰნათის?

ეს სიტყვები ქალმა უთხრა ზაფხულის დილას, როგორც კი გაიღვიძეს, უთხრა იმ დამის მერე, როცა პკოცნიდა და ესუტებოდა ქმარს, ეუბნებოდა სულ სხვა, მხურვალე, ნახევრად გიჟურ სიტყვებს, რაც მართლაც ყოველთვის აგიჟებდა კაცს. ახლა კი ანაზღეული წყენით იგრძნო სიყალბე წუხანდელი დამისა, თვით სიმართლის მიერ განწირული, ამ დილით რომ ცხადყო ქალის ერთმა გამაცამტვერებელმა სიტყვამ: „რარიგ მებრალები...“

კაცი ფანჯრისკენ მიბრუნდა, დაინახა სქელი ქარვისფერი ფარდები, დილის მზის სხივები, დაინახა ქალაქის ერთმანეთზე მიჭრილი ნამიანი სახურავები — და თქალი აღარ მოაშორა, რადგან ეშინოდა თავის მიბრუნება, ეშინოდა ქალის მზერისა.

— რატომ... გებრალები? — თავმოუბრუნებლად, უცნაური დიმილით ჰკითხა და ძლივს დაიოკა გულის ფრიალი, ლაპარაკსა და სუნთქვას რომ უშლიდა.

ქალმა არაფერი უბასუხა, ნელა ამოიოხრა.

და ქმარმა წყნარად გაუშეორა:

— რატომ?

— შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მებრალები, — აჩუჩხულდა ქალი, — განა არ გიფიქრია, რომ უკვე მალე მოგვიწევს ერთმანეთთან... და ამ ქვეყანასთან განშორება?

კაცი მიუხვდა, ფიქრი ასხლიტა იმ გარდუვალსა და უღმობელს, რაც მათ ელოდათ. და ერთხანს შეებამოგვრილი ჩუმად იწვა, — ეს იყო გიჟური სიხარულის შეება. მაშ, ქალს არ მოუტყუებია, მაშ კიდევ შეიძლება იქონიოს იმედი, რომ მიწიერი სიყვარულის ყავლი ჯერაც არ გასულა მათთვის.

— შენ კიდევ გიყვარვარ? — ჰკითხა ფრთხილად.

— ალბათ ეს სიყვარულზე უფრო მეტია, ბედს ვეხვეწები. შენზე აღრე მე მომკლას.

— მეც მაგაავე ვფიქრობ. — ხმა ჩაეხრინწა კაცს, თუმცა ფიქრობდა არა სიცოცხლის ბოლო წამზე, ფიქრობდა იმაზე, რომ სიკვდილს არ ჩაეჭრო ის ხელი ცეცხლი, ანდენი წელი რომ ერთო მათ შორის და ახალგაზრდობას აგონებდათ, როცა ორივეს სიხარულით უბრწყინავდათ თვალები, როცა ორივენი დაუდგრომელნი იყვნენ, ვერ გამძღარიყვნენ სიყვარულით და ეგონათ, რომ ცხოვრება გაუღეველი იქნებოდა.

— ცუდი რამ გესიხმრა? — ჰკითხა კაცმა დაყვავებით.

ქალმა ბალიშიდან ხელი გამოაძვრინა, თავზე გადაუსვა, თითქო ბავშვს ეფერებო, და, სატირლად თუ საციანლად გამზადებული, სითბოთი სავსე თვალები შეანათა.

თარგმანი ცილა ჩაიიძვრა



იური ტრიფონოვი

კვირის კვლევა



არტაშეზი დაბა ს...-ში ხუთი წლის წინ ჩავიდა. ყმაწვილს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რაც შეიძლება ჩქარა სამოცი ათასი მანეთი მოეგროვებინა (ეს იყო 1955 წელს) და კისლოვოდსკში სახლი ეყიდა. იქ დასახლება და სახლის შეძენა ნამდვილ ოცნებად ექცა. თვითონ ნამყოფიც კი არ იყო, მაგრამ სმენოდა კისლოვოდსკის სილამაზის, კარგი ჰაერისა და საკურორტო მომარაგების ამბები. ისიც იცოდა, რომ იქ ბევრი სომეხი ცხოვრობდა. ამ სომეხთა შორის ერთი მისი შორეული ნათესავიც იყო და ერთიც ისე, უბრალოდ ნაცნობი, მისი თანასოფლელი ყმაწვილი. ორთავენი არტაშეზის ხელობისანი იყვნენ. ჰოდა, აი, მათგან მოღწეული ხმებით იცოდა, რომ კისლოვოდსკში სარფიანად იმუშავენდა და კარგად იცხოვრებდა.

არტაშეზი ყარაბახის ერთ მიწაზე სოფელში დაიბადა და ოც წლამდე იქ ცხოვრობდა. მისი ბავშვობა ომის წლებს დაემთხვა. ბაღლობიდანვე მიერვია მცხუნვარე მზეს, მტვრიან გზებს, სიღარიბეს, ზნელ, უსინათლო ღამეებს, თხის რძეს. მიერვია იმასაც, რომ ოჯახში ყველაზე უფროსი თვითონ იყო. მამა ჯერ კიდევ ომამდე გველის ნაკბენმა იმსხვერპლა. დედა ავადმყოფობდა, თვალები უჩირქდებოდა და ორმოცი წლის ქალი თითქმის დაბრმავდა. არტაშეზმა ძლივს დაამთავრა სოფლის სკოლის ოთხი კლასი. მერე ხან მიწის მთხრელად მუშაობდა და ხანაც შეურბედ. ერთ საფხულს გზის შეკეთებაზეც მოიჯარეობდა, მაგრამ ეს ყველაფერი როგორღაც ჭკუაში არ უჭდებოდა, სამუშაო მძიმე იყო, სარგებელი კი დიდი არაფერი. არც თავი ემეტებოდა ასეთი საქმიანობისათვის, მაგის ჯანი შე ვინ მომცაო.

მერე ის იყო, დედის ინვალიდი ძმა, ხელდაშავებული აშოტი დაბრუნდა და არტაშეზს თავისი ხელობა, დალაქობა შეასწავლა. როგორც ბიძა ეუბნებოდა, დალაქობა ოქროს ხელობა იყო, ყველგან საჭირო და ფრიად სარფიანი. დიხ, ეს, ალბათ, ასეც გახლდათ. მაგრამ ყარაბახის იმ სოფელში არც გააკრევი იყო ვინმე და არც გასაპარსი ყველა იმასა ფიქრობდა, სხვა როგორ გავკრიჭოო.

დაახლოებით ორი წლის შემდეგ, ხალხი აღაპარაკდა, ზღვის ვაღმა — თურქმენეთში, ნავთის სარეწებზე ბევრი ფულის მოგება შეიძლებაო. ბაქოელი ნათესავეების წყალობით ზოგს ზღვის ვაღმა — კრასნოვოდსკში კარტოფილიც კი გაჰქონდა გასაყიდად.

არტაშეზს ბევრი აღარ უფიქრია, აიკრა გუდა-ნაბადი და გზას დაადგა. დღე-ნახევარი ფეხით იარა, მერე წამოწეულ მანქანაში ჩაჯდა და ნახიჩევანში ამოჰყო თავი. იქიდან ბაქოში მატარებლით ჩავიდა. ამ ქალაქში ნამყოფი არ იყო, თუმცა არც სხვა დიდი ქალაქი ენახა როდისმე, მაგრამ ახლა არტაშეზს მხოლოდ თანასოფლელთა ნათესავეების მონახვა და მათგან რჩევის მიღება სურდა. აკი იპოვა კიდევ ეს ადამიანები. ერთი მათგანი პლაჟზე დალაქად მუშაობდა. ეს კაცი სადგურიდან საკმაოდ შორს, თითქმის ქალაქგარეთ ცხოვრობდა და არტაშეზი კაი გვარიანად გაწამდა, ვიდრე თავისი ბარგი-ბარხანა იქ

შიათრია. ყველაზე მძინე ცხვრის უზარმაზარი ქეჩა აღმოჩნდა, მგზავრობისას ლამლამობით ტანზე რომ იფარებდა. ფუთაში ვწყო ჩექმები, ზამთრის ქუდი, შალის წინდები და თმის საკრეჭი მანქანა.

პლაჟის დალაქი არტაშეზის მოყვარეც კი გამოდგა: როგორც მოკლე საუბრის შემდეგ გამოირკვა, მისი პირველი ცოლი არტაშეზის დაშვების დეიდაშვილი იყო. არშატეზს პლაჟი აროდეს ენახა, არ იცოდა, რომ ამქვეყნად არსებობს ადგილები, სადაც ამდენი შიშველი ქალი იყრის თავს. მაგრამ ახლა არც ეს სანახაობა სტაცებდა თვალს. იგი გზას ადგა. პლაჟის დალაქმა აუხსნა, როგორ და სად უნდა ეყიდა გემის ბილეთი. მერე ერთი კრასნოვოდსკელი ნაცნობის მისამართიც მისცა, ახალჩასულს დახმარებას გაგიწევსო. თან ისიც დასძინა, უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ფთუოდ მეც წაეიდოდი თურქმენეთში, იქ მართლაც მდიდრდებიან, მაგრამ რა ვქნა, იმ უდაბნოსა და მძიმე ცხოვრებას ვერ გავუძლებ, იქ წამსვლელი საღ-საღამათი უნდა იყოსო. „ჩემი აზრით, აი სწორედ შენა ხარ ასეთი კენჭივით ბიჭი“. სიმართლე რომ თქვა კაცმა, სწორედ მასპინძელი იყო ასეთი. საკმაოდ მაღალ კაცს, ქალივით წამოხიდიული მკერდი და მსუქანი, ბანჯგელიანი მკლავები ჰქონდა. არტაშეზის ვანი, ალბათ, მასთან სახსენებელიც არ იყო. მაგრამ ბიჭი არ შეპასუხებია. მიხვდა, ქალაქურ ტკბილ ცხოვრებას მიჩვეული ზარმაცი კაცი რომ იყო, საქმესაც უხალისოდ აკეთებდა. ჯიხურში შემოსული მუშტრის დანახვაზე ისეთი უკმაყოფილო სახით წამოდგებოდა და ისე ზღაპრით იწყებდა მუშაობას, შეხედვა შეგზარდებოდა.

არტაშეზმა ღამე სანაპიროზე გაატარა. ნეორე საღამოს გემ „ტურქმენისტანში“ ჩაჯდა და დილით უკვე კრასნოვოდსკში იყო. ქალაქი ბაქოზე გაცილებით პატარა აღმოჩნდა. პოდა, არც დაუღლია მისთვის საჭირო სახლისა და კაცის მოძებნას. იმ კაცს მეტად არასომხური სახელი — პოლი ერქვა. დიდხანს საფრანგეთში ნაცხოვრები, გერმანელების წინააღმდეგ პარტიზანად ნაბრძოლი სომეხი, საბჭოთა კავშირში ახალჩამოსული იყო. ცოლი რუსი ჰყავდა, აქვე, კრასნოვოდსკში დაქორწინებულიყო. პოლი და მისი მეუღლე კეთილი, გულითადი ადამიანები აღმოჩნდნენ. არტაშეზმა მათთან სამი დღე გაატარა. ღამით მასპინძლის პატარა ოთახის იატაკზე ეძინა, სადილს კი პოლისთან ერთად ნავსადგურის რესტორანში მიირთმევდა, სადაც პოლის ცოლი მიმტანად მუშაობდა. პოლმა არტაშეზს იქვე კრასნოვოდსკში მოწყობა შესთავაზა: ფულს მეც გვარიანად ვაკეთებ, არც სამუშაო მაკლია და სხვებივით სიხარბეს აყოლილს უდაბნოააკენ არ მიქირავს თვალის. სულ ერთია, მთელი ფულის მობოჭვა მაინც არ ხერხდება. პო, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში ხელოსნების ნაკლებობაა და გიყვარდეს. ფულსაც მაგრად ხვეტავენ. რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო მდიდრდებიან. მაგრამ მე კარგი რადიომიმღებებს მეტი არა მინდა რა. ფულსაც რადიომიმღების შესაძენად ვაგროვებ. უნდა ვუსწინო საფრანგეთს, ფრანგულ სიმღერებს, ფრანგულ ლაპარაკს. ისიც უნდა ვიცოდე, ფეხბურთში საფრანგეთის რომელი გუნდი წინაურდება.

პოლს გიტარა ჰქონდა და საღამოობით არტაშეზის გასართობად ფრანგულ სიმღერებს მღეროდა, თან თვალებს სასაცილოდ ამაჭუნებდა. მისი მზიარული, ჩასუქებული ცოლიც, მართალია, უსიტყვოდ, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა აპყვებოდა ხოლმე.

რა თქმა უნდა, ისინი გულკეთილი, სათნო ადამიანები იყვნენ, მაგრამ,

ცოტა არ იყოს ქარაფშუტებაც, არტაშეზს თითქოს ებრალებოდა კიდევ ეს ცოლ-ქმარი. მათი სიმღერები კა ყმაწვილს რულსა ჰგვრიდა.

არტაშეზმა კრასნოვოდსკში დარჩენა არ ისურვა და გზა აღმოსავლეთისკენ განაგრძო. ჩაჯდა მატარებელში და ნებიტ-დაღს ეწვია. პოლიმ თაყისი კარგი მეგობრის, იმ ქალაქის საღალაქოების უფროსის მისამართზე მისცა. უფროსი გვარად ვართანიანი გახლდათ. არტაშეზს ხელგამლეგს შეეხებოდა, ხელოვნები ძალიან მჭირდება და სანუშათზე ახლავე მოგაწყობო. მაგრამ არტაშეზი საჭმის ჰაიპარად გადააწყვეტი კაცი როდი გახლდათ. მიიხედ-მოიხედა, ერთს ჰკითხა. მეორეს ჰკითხა და დაასვენა, რომ ნებიტ-დაღი ჯერ კიდევ არ იყო დალაქისათვის ყველაზე საოცნებო ადგილი. აქი უთხრეს კიდევ, ნებიტ-დაღის სამხრეთით, უდაბნოს ნავთის სარეწებში ერთმა დალაქმა ორ წელიწადში სამოცი ათასი მანეთი მოაგროვა და კისლოვოდსკში სახლი იყიდაო. მენავთობეები მდიდარი ხალხია, უდაბნოში ფულს ვერა ხარჯავენ. პოდა, აი, დალაქებს სულ უბრალო სამუშაოში ხან სამთუმნიანს აძლევენ და ხანაც ხუთთუმნიანებს, გინდა. არ გინდა, უნებურად გამდიდრდებიო. ეს კია, რომ იქ ცხოვრებას მიჩვევა უნდა: ირგვლივ მხოლოდ უდაბნოა, არც ერთი ხე, ბალახის ღერსაც ვერსად დაინახავ, არც წყალი აქვთ და საერთოდ ყველაფერი შემოზიდულია. არტაშეზმა მაინც წასვლა გადაწყვიტა. კუმ-დაღამდე სარეისო ავტობუსით იმგზავრა. მერე გზად მიმავალ თვითმცლელში გადაჯდა და დაბას...ში ჩავიდა.

ოქტომბერი იდგა, მაგრამ მზე ჩაფხულივით აცხუნებდა, ჰაერიც საოცრად გამომშრალი იყო. ლურჯი ცისკიდური ფენებად აშლილიყო და ცოცხალივით მიცურავდა. ასფალტიანი გზა ალაგ-ალაგ ქვიშას გადაეფარა. ძარაში მჯდარმა თანამგზავრმა აუხსნა: ეს დამით, ქარის მონახვეტიაო. მერე ასფალტი დამთავრდა და გზა ერთბაშად ქვიშაში ჩაიძირა. ორთავე მხარეს ქვიშნარი გადაიშალა, თეთრი და უტყვი უდაბნო. არც კაცი, არც სახლი. თვითმცლელი გზას მიიკვლევდა. არტაშეზს სულ უფრო უცხოდ, ველურად ეჩვენებოდა გარემომცველი სამყარო, მაგრამ სიხარული კი ნამდვილად უორკვეცდებოდა: სურდა ისეთი ადგილისათვის მიეღწია, მთელ ას კილომეტრზე დალაქის ჭაჭანება არ ყოფილიყო. დღე იწურებოდა თვითმცლელი რომ გაჩერდა. მანქანიდან გამოსულმა არტაშეზმა იქაურობას თვალი მოავლო, დაინახა ნავთის რამდენიმე კოსკურა, თხუთმეტოდე ზის ბარაკი, თეთრი საამშენებლო ქვის გროვა, ცისტერნა, რადიოანძა და რამდენიმე კარავი, მერე პირველსავე შემხვედრ მუშას. ჰკითხა, აბანო სად არისო: მუშამ ხის შენობისაკენ გაიშვირა ხელი. ფაფახიანი მოხუცი დაღრეცილ ტოტებს ნაჯახით სხებდა. არტაშეზმა მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამ ხეს საქსაული ერქვა, რომ მშვენივრად იწვოდა და კარგადაც ათბობდა. მერე ისიც ჰკითხა, აბანოსთან დალაქი თუ მუშაობსო. მოხუცი კითხვას ვერ მიუხვდა და კარგა ხანს დუმდა, მერე, ეტყობა, მაინც იაზრა, უარის ნიშნად თავი გააქნია და „იოპო“ — თქვა. „რაკი ასეა, თქვენი დალაქი მე ვიქნებიო“ — მიუგო არტაშეზმა. მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ხის სბეპა განაგრძო.

როცა მე ს...ში ჩავედი, იგი უკვე ქალაქი იყო. ის კი არა, უდაბნოში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დიდ ქალაქადაც კი მომეჩვენა. ქალაქში თეთრი ქვით, „გაუშით“ ნაგები მრავალი ორსართულიანი სახლი იდგა. ჰქონდათ საავადმყოფო, სკოლა, მაღაზია, მოედანი თავისი ფოსტა-ტელეგრაფით. დიეტუ-

რი თუ ისე ჩვეულებრივი სასაღილო, რომელსაც ვიღაც მოსკოველის მოსწრებული ხუნრობის მერე ყველა „არაგვს“ ეძახდა. პარკში სასაუნგოც გაემართათ. ღია ცის ქვეშ მდგარი ნაგიდები აღვის ხის ოცდაათიოდე სწივით იყო შემორაგული. ერთი სიტყვით, აქ ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ, მრავლდებოდნენ. „არაგვში“ სვაძდნენ არაყს, ნახულობდნენ კინოფილმებს, იძენდნენ მაცივრებს და მოცლილობისას რაღაც-რაღაცებზე ოცნებობდნენ. მოცლილნი იშვიათად იყვნენ.

მეც სწორედ ასეთ რარსართულიან სახლში დაებინავდი. არტაშეზისაგან ერთი ოთახი გიქირავე. მას კიდევ ჰქონდა მეორე, უფრო დიდი, ოცდაათმეტრიანი ოთახი. ჰყავდა ცოლი ლარისა და ორი მცირეწლოვანი ვაჟი. ბიჭები მთელი კვირახაზით საბავშვო ბაღში იყვნენ. ლარისა შინ კაბებს კერავდა. არტაშეზი კი სადალაქოში შრომობდა. გამხდარსა და ძარღვმაგარ არტაშეზს მოლურჯო, შავგვრემანი სახე ჰქონდა. სიარული და ტანი ბიჭური შერჩენოდა. ქოჩორიც ბიჭურად შეეკრიჭა, გევონებოდა. შავი, სქელბეწვიანი ჭუდი ხურავსო. ეს ერთთავად უტყვი კაცი, საოცრად სწრაფად მოძრაობდა, ღვინოს თითქმის არ სვამდა, თამბაქოს არ ეწეოდა, წიგნს არ კითხულობდა, თქვენ წარმოიდგინეთ, გაზეთსაც კი არ შლიდა. კინო რაა, ისიც არ იზიდავდა. შინ რადიო ჰქონდათ, მაგრამ აროდეს უსმენდა. თავისი დიდი ჩანაფიქრის ფანტიკურად ერთგული მეცნიერებით, მხოლოდ ერთ საქმეს — საპარიკმახეროში მუშაობას შთაფენთქა. დილით ექვს საათზე დგებოდა. შვიდის ნახევარზე უკვე იწყებდა მუშაობას. შინ რვა საათზე ბრუნდებოდა. ასე ერთი და იგივე მეორდებოდა ყოველ დღე. ხუთი წლის მანძილზე შვებულებით ერთხელაც არ უსარგებლია. ერთი დღითაც არ უავადმყოფია, კვირადღეობითაც კი მუშაობდა.

იმ ორ კვირაში, რაც მე არტაშეზის მანაში ვიცხოვრე, მხოლოდ ორჯერ დაველაპარაკე. საღამოს ადრე იძინებდა. კაცმა რომ თქვას, მასთან საუბრის გაბმა არც ისე ადვილი რამ იყო: სიმორცხვისაგან სიტყვებს ძლივს გამოთქვამდა. ერთხელ ვახშობისას შეიძახა, ხომ არ იცით, კისლოვოდსკში დენი რა ძაბვის არისო. მე არ ვიცოდი. მერე ამიხსნა, ამას ინიტომ გეკითხებით, აღარ ვიცი, ეს ძველი მაცივარი წივილია კისლოვოდსკში, თუ აქ გავედიო და იქ ასოცეოლტიანი ვიყიდოო.

— ესე იგი, მალე აპირებთ გადასვლას? — ვკითხე მე.

— მოსავალი წლისათვის, — ამაყად მითხრა და გაიღიმა.

გუყურობდი ამ კაცს და ჩემთვის ვფიქრობდი, რა ძლიერი თვისება არის ეს მიზანდასახულება-მეთქი. ვინ იცის, იქნებ აღამიანის ყველაზე ძლიერი თვისებაც. ჩვენ ხომ ათასგვარი სურვილი გვიპყრობს, მაგრამ არტაშეზის მსგავსნი ამ ათასიდან მხოლოდ ერთს ირჩევენ: მათ იციან, რისთვის ცოცხლობენ, ისინი არ ფაციფუცობენ, არ ჩქარობენ, არ იბნევიან, ყველაფერს არ ებოტიან. ჭიანჭველის შეუპოვრობით მიიწევენ წინ და აღწევენ კიდევ იმ ერთს, რაიც მხოლოდ მათთვის არის ცნობილი.

არტაშეზს მეგობრები არა ჰყავდა. თუმცა იყო ერთი ყარაბახელი უმაწვილი, მისი ნაღდი თანამემამულე, ვასთანაც ათასში ერთხელ წითელ ღვინოს გადაჰკრავდა. ისიც დალაქი გახლდათ, თურქმენეთში ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა. სახელად ხაჩიკი ერქვა. იგი სულ სხვა ყაიდის კაცი იყო, მთარშეყე და მოქეიფე, მაგრამ ყოველად უბოროტო. ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა, ღარდი-

მანდი. ხაჩიკი კიდევ უფრო მიყრუებულ ადგილას გულში-თებში მუშაობდა, სადაც მხოლოდ ახლა ჩაღებოდა ნავთის სარეწების სამუშაოები. ხაჩიკი ს...ში, როგორც დედაქალაქში ისე ჩამოდიოდა — ფულს დასხარავდა და საქეიფოდ. ერთხელ თავადაც ენახე, ქალის კაბაგადაცმული დაბნეულ ქუჩებში რომ დაეხეტებოდა. უკან ძმაკაცების ჯგრო მისდევდა. ხარხარებდნენ, ასისკანებდნენ, ცდილობდნენ როგორმე ესიამოვნებინათ. შიშველ მკაფიან რვა საათი ჰქონდა წამოცმული და აღსოსავლელი მოცეკვავე ქალივით ტალღისებურად არხევდა. როგორც ამბობდნენ, ამ კეთილ ყმაწვილს საბი ცოლი ჰყავდა, ერთი სამშობლონი, ერთი — ბაქოში და ერთიც კიდევ სადაც. მაგრამ ყველაზე ზრუნავდა, ფულს ყველა ცოლს უგზავნიდა.

არტაშეზის ცოლი ლარისა. თურქმენეთში დაბადებული და გამრდილი რუსის ქალი იყო. კისლოვოდსკში საცხოვრებლად გადასვლა არ უნდოდა. ფული ენანებოდა. არტაშეზთან ჩხუბმობეზრებულმა ჩუმად შენომჩივლა კიდევ:

— დიდი ამბავი, კურორტი! მაინც რა აქვს ასეთი მომხიბვლელი? არც შენავთობეებს ამარაგებენ ნაკლებად. ჩვენთანაც შეიძლება კარგად ცხოვრება, ხომ მართალია? სიცხეში სველ ფარდას ჩამოაფარებ, მწვანე ჩაის დალევ, მორჩა და გათავდა. უდაბნო, უდაბნო... ამით მხოლოდ სულელებს აფრთხობენ... მაგრამ ამ ჩემს ვირს აბა რას გადაათქმევიანებ!

საქმეებს მოვრჩი და ს...-დან გამოვემგზავრე, პირველად ეს დაბადილ ქალაქადაც კი მომეჩვენა, მაგრამ მერე დღითიდღე პატარავდებოდა და ბოლოს უბადრუკ, ნავთის სუნით აყროლებულ, ხვატით გადაბუფულ, მტვრის ბულით წალეკილ უდაბნოს ნაგლეჯადლა მესახებოდა. ასე მეგონა, ერთ ზედმეტ დღესაც ვეღარ გავძლებდი იქ. წამოვედი ისე, რომ ვერ გავიგე, ვინ გაიმარჯვა ამ დაქაში — ცოლმა თუ ქმარმა. ალბათ მაინც ქმარმა-მეთქი, ვლიქრობდი გუნებაში. რადგან ასეთი უინით შეპყრობილი ადამიანები, როგორიც არტაშეზი იყო, დიდ ანგარიშს არ უწევენ სხვათა ასრებს, მით უმეტესს მახლობლებისას.

წლინახევრის შემდეგ კვლავ მოგხვდი ამ მხარეში, ს...ში სავანგებოდ შევიარე, მიხლოდა არტაშეზი მენახა, მისი ამბავი გამეგო. ასე იყო თუ ისე, ეს კაცი ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში. იგი ისე არა მგავდა მე და საერთოდ ყველას, ვისაც კი ვიცნობდი. არტაშეზი მართლაც რომ საოცრად მთლიანი პიროვნება იყო.

მის ბინაში ახლა სხვები ცხოვრობდნენ — ბურღვის ოსტატი დაბინავებულიყო, ცოლითა და შვილებით. ეს ოჯახი ჩელიკენიდან ახალ გადმოსული იყო და ძველი მობინადრეებისა არა იცოდა რა. დაბაში ახლა ნამდვილი სპარიკმახერო გაეხსნათ, სადაც ოთხი ხელოსანი მუშაობდა. პოდა, აი, არტაშეზის ამბავიც ჩრდილში, ბარმაღზე წამომჯდარმა ერთ-ერთმა მათგანმა მიამბო:

გასულ წელს, გაზაფხულზე არტაშეზი უეცრად დაფაცურდა. მთელ ფულს თავი მოუყარა და კისლოვოდსკში გასამგზავრებლად გაემზადა. ჯერ თვითონ გადაწყვიტა წასელა. ყველაფერს მოვაგვარებ და ცოლ-შვილს მერე გადავიყვანო. აჩქარების მიზეზი იქაური სამხედრო კომისარი გახლდათ, რომელიც არტაშეზს არმიაში გასაწვევ ვადებს ერთთავად უნაცვლებდა. რაღაც საჭმისა თუ სულაც ჭრთამის გამო კომისარი მოხსნეს და სამართალში მისცეს. არტაშეზს გამგზავრებისას ხაჩიკმა გაცილება მოუწყო და თავისი ექვსი ძმაკაცით სასაუზმეში საქეიფოდ შევიდა. ბევრი იმხიარულეს, რამდენიმე ბოთლი აშხა-

ბაღური წითელი ღვინოც გამოსცალეს. შემოვრალმა ხაჩიკმა მეზობელ მაგა-
დასთან განმარტოებითა და წყნარად მოსადილე უცნობ ყმაწვილს დაუწყო
არევა. როგორც ეტყობოდა, უცხო ყმაწვილი თბილისელი სომეხი იყო. ღია
ფერის დიდკებიანი ქუდი ეხურა, სწორედ ისეთი, თბილისელები რომ ტარე-
ბენ ხოლმე. ანაირი კებით მაშინვე გამოიცნობ ქართველს, მაგრამ ეს ყმაწვი-
ლი სომეხი გახლდათ, თბილისელი სომეხი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ
თბილისელი და ყარაბახელი სომეხები ერთმანეთში ვერ იცნობიან. რაღაც
ვერ იქნა და ვერ გაიყვეს. არავინ იცოდა, რა საქმეზე იყო ჩამოსული ეს თბი-
ლისელი ყმაწვილი. რას აკეთებდა აქ, ამ დაბაში. ახლა მარტოღმარტო იჯდა
და წყნარად, უღვინოდ სადილობდა, ვიღაცამ ისე, საშაყიროდ ისიც კი თქვა—
ეს კაცი თბილისში ცნობილი, საერთაშორისო კონკურსებში დიპლომშიღებუ-
ლი პარიკმახერია და ახლა აქ, დასავლეთ თურქმენეთში, ყველაზე დადი საპა-
რიკმახერო სალონის გასახსნელად არის ჩამოსულიო.

ჰოდა, აი, ხაჩიკმაც აითვალწუნა, მარი მოსდო, აუხირდა. ჯერ ის ჰკითხა,
მართლა ასეა თუ არაო. ყმაწვილი გაოცდა, რის პარიკმახერი, რა პარიკმახერი,
საიდან მოიტანეთო. ხაჩიკმა ახლა ყმაწვილის თბილისურ სომეხურს დაუწყო
გამასხარავება. მერე ის დიდკებიანი ქუდი გაუპამპულა. კაცმა თქვა, ყმაწვი-
ლი მართლა ჰგავდა პარიკმახერს. გამხდარი, გვერდზე თმაგადაყოფილი, ეშხი-
ანი კაცი თავისთვის ჩუმად, უწყინრად იჯდა. უეცრად ხაჩიკის ერთი ძმაკაცი
წამოდგა, უცნობთან მივიდა, კები მოხადა და იატაკს დაანარცხა. მოქეიფენი
იატაკზე დაგდებულ დიდკებიან ქუდს მიაჩერდნენ და სიცილით იქაჭებოდნენ.
ყმაწვილი კვლავ მდუმარედ განაგრძობდა სადილობას. მერე უეცრად წამოდ-
გა და ხმამაღლა დაიძახა: — აიღეთ ქუდი! რა თქმა უნდა, ქუდი არავის აუღია.
მხოლოდ აი, ხარხარს კი უმატეს. თვით არტაშეზიც კი ხარხარებდა. იქ ცხოვ-
რების მთელი ხუთი წლის მანძილზე არასოდეს ყოფილა ასე მთვრალი და ასე
გულიანად არც აროდეს მოუღხენია. სიცილისაგან ცრემლებიც კი სცვიოდა.
უცნობი ყმაწვილი ერთ ხანს იდგა, მერე გატრიალდა და სასაუზმიდან გავიდა.
იქვე, სასტუმროში მოვიდა, წამოიღო, რაც სჭირდებოდა და ასევე სასაუზმეში
მიბრუნდა. მისი კები კვლავ იატაკზე ეგდო. ყმაწვილი მოქეიფეთა მაგიდასთან
მიიქრა და ყველაზე ახლო ნჯდომს, პირველსავე კაცს გულში დანა ჩასცხო. ეს
პირველი არტაშეზი გახლდათ. იგივე ბედი ეწია მეორე და მესამე მოქე-
იფესაც.

ყველაფერი სულ რაღაც ერთ წამში მოხდა. ვერავინ ვერაფერი მოასწრო.
თანაც მოქეიფენი უზომოდ მთვრალეები იყვნენ. მაშინლა მოეგნენ გონს, როცა
მესამე კაცი დაენარცხა იატაკს და დანამომარჯვებულ ყმაწვილს მისცვივდნენ.
წააქციეს, დანა გამოსტაცეს და ფეხებით შედგნენ. იმას, რა თქმა უნდა, იქვე
მოკლავდნენ, მაგრამ მილიციელმა მოირბინა და სიკვდილისაგან იხსნა — თუმ-
ცა მხოლოდ რამდენიმე საათით.

არტაშეზი აღვილზევე გარდაიცვალა, მისი თანამესუფრენი ცოცხალი
გადარჩნენ. რაც შეეხება, გვერდზე თმაგადაყოფილ ყმაწვილს, იგი ბანდიტი
აღმოჩნდა. როგორც შემდეგ ლაპარაკობდნენ, საზღვართან ახლოს ირანში გაქ-
ცევის მიზნით მოძვრებოდა. იგი იმავე საღამოსვე საავადმყოფოში აღესრულა.
სიკვდილის წინ თბილისის მთავარ ფოსტაში მოკითხვამდე ტელეგრამის გაგ-
ზაენა ითხოვა. ვიღაც ქალს ორად ორი სიტყვით ატყობინებდა თავის ბედს:
„ქორიკა მოკვდა“.

არტაშესის ცოლმა სულ მალე დატოვა იქაურობა. ხმები დადის, გა-
თხოვდა, ყიზილ-არვათში ცხოვრობს და პარიკმახერის მონაგარი ფულით
მისმა ახალმა ქმარმა მსუბუქი ავტომანქანა შეიძინაო.

დაბა გაიწარდა, მცხოვრებთა რიცხვმა იმატა. ქვის ძველი საბუდე ალაგ-
ალივ დაიბნარა კიდევ. სამაგიეროდ, აღიმართა ბევრი სხვაეჭყურედალაში,
ტანი იღვარა პარკში დარგულმა ალვის ხეებმაც.



მე სასაუბრეში ლითონის წვრილი მიღებით მოწნულ ლაბესთან ვიჭექი,
ვსვამდი წყალს და ხეცას მივჩერებოდი. იყო საღამო, უკვე ჩადიოდა სახ-
ლებს მიღმა მიმალული მზე. ცაში კი, ძალიან მაღლა, ძლივს შესამჩნევი პა-
ტარა ღრუბელი მიჰქროდა, ისეთი ხამცეცა და გამჭვირვალე, რომ ჩამაეალი
მზის ვარდისფერი ანარეკლიც კი ვერ ასვრხებდა წამით შერბენას და მღუღა-
რეშო მაგდებელი შაქრის ნატეხივით თვალდათვალ ქრებოდა.

თარგმა მოხარ კვტაღმამაჰ



15984
18657

ვასილ შუკუინი

შეგრძობილი

ცხოვრობს ამქვეყნად ერთი კაცი, შერეკილს ეძახიან. ცხადია,
ნამდვილი გვარსახელიცა აქვს, — სერგეი ივანოვიჩ კუდრია-
შოვი ჰქვია, მაგრამ დიდ სოფელ კრუტილინოში კი, ყოფილ რაიცენტრში,
შერეკილად მონათლეს — მოკლედაც ითქმის და ზუსტიცაა; მართლაც მთლად
დალაგებული ვერაა, მაგრამ ჰკუანაღრძობი კი არა, შექანებულია მხოლოდ.
აბა, ერთი ასეთი ამბავი გითხრათ.

შერეკილი ავად გახდა, გაცივდა კაცი (ბიბლიოთეკარია, კარგად მუშაობს,
ჯერ არ მომხდარა, რომ სამუშაო საათებში ბიბლიოთეკა გამოეკეტოს), მაგრამ
სამსახური იქით იყოს და ისე, თავისითაც დაიარება სოფელ-სოფელ: ია-
ფად ყიდულობს ძველ წიგნებს, ჟურნალებს. ქალაქში რაღაც დაწესებულე-
ბებთან მიმოწერა აქვს გახურებული, დროდადრო იქიდან ჩამოსდიან სტუმ-
რები... ერთხელ, როცა სწორედ ასე დადიოდა სოფელ-სოფელ, წვიმაში მოხ-
ვდა, გაილუმბა და გაცივდა. დაუნიშნეს, დღეში სამჯერ საავადმყოფოში უნ-
და იარო და ნემსი გაიკეთათ.

ნემსს ტანადი, მორცხვი, ძალიან სანდომიანი ახალგაზრდა ექთანი აკე-
თებდა. ის დალოცვილი წამდაუწუმ წითლდებოდა. შერეკილს ხელზე ეენის
ძებნა დაუწყო, კარგა ხანს ეძებდა, ხან აქ უჩხვლიტა, ხან იქა. თანაც გაწითლდა
და მერე რა გაწითლდა!.. შერეკალმა ტუჩები მოკუმბა, მოითმინა ტკივილი,

საქართველო
საქართველო

ხმა-კრინტი არ გაუღია. ექთანი უნდოდა გაემხნევებინა, კარგად ხედავდა, რა ჭირის ოფლი ასხამდა იმ საწყალს.

— ნუ ღელავთ, ჩემო კარგო, — უთხრა შერეკილმა, — დამშვიდდით, როგორც გასწავლეს, ისე ჰქენით...

— იბარება სადღაც, ვერ დავიჭირე, — აუხსნა ექთანმა.

შერეკილმა თავისუფალი მხარი წეარხია, მეორე, მარცხენა მხარეს დააბრუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ამუშავა მუშტი, როგორც ექთანმა უბრძანა. როგორც იყო, მოახვედრა გოგომ ნემსი ვენაში.

— ნუთუ სულ ასე იქნება? — იკითხა შერეკილმა. ოფლიმაც კი დაასხა კაცს.

ექთანმა ამაზე არაფერი უპასუხა, ოღონდ ახლაც გაწითლდა, შპრიციდან პატარა პინცეტით გამოაძრო ნემსი და ნიკელის პრიალა თასნი ჩააგდო, რომელშიც წყალი დუღდა. შერეკილმა გაიფიქრა: „აბა უყურე, სუბივით არ ხარ-შავენ ამ ნემსს!“

მეორედაც მივიდა ნემსის გასაკეთებლად. შიშმა კარგა ხნით აღრე ზიტანა. მისმა რეგმა რომ მოაწია, შევიდა პატარა კაბინეტში, მარჯვენა მკლავი იდაყვამდე მოიშიშვლა და მუშტი ამუშავა. იდაყვს ზემოთ რეზინას ლაბტი მოუჭირეს, და ვინემ ექთანი შპრიცს გააწყობდა, შერეკილი თავის საქმეს განაგრძობდა. ამასობაში შეანჩნია, რომ ექთანს კარგი ტან-ფეხი ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, გასათხოვრადაც მოწითფული იყო, ალბათ კარგი მეოჯახე ქალი იქნებოდა.

ვენის ვერც ახლა მიაგნეს. შერეკილს ხელი დაუბუჟდა.

— მოუშვით ლაბტი, — უბრძანა ექთანმა.

შერეკილმა ნელ-ნელა მოუშვა რეზინას ეს მახრჩობელა გველი, ექთანი კი ვენას ეძებდა, ნემსს ხორცში არჭობდა, მაგრამ მიზანში ვერა და ვერ ხედე-ბოდა.

— გაიბარა ისევ... — თქვა ექთანმა.

— საით. მიიპარება, რომ მიიპარება... ეს ოხერი! — მოთმინების ფიალა აეგსო შერეკილს, ხელი ძალიან ტკიოდა. — რაო, აქ კუკუმალობანას ხომ არ თამაშობთ? კიდევ გაიქცაო... უნდა იცოდნე და არ გაგექცევა!

საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, შერეკილმა იხანა, მწარე სიტყვა რატომ ვუთხარიო, მაგრამ ექთანზე გულდამშვიდებით ვერა ფიქრობდა. „მაგის საქმეა ბავშვები აჩინოს და აჩინოს — ჯანმრთელებს გააჩენს, წყალი არ გაუვა. ქმარსაც კაი-კაი სადილებს დაახვედრებს... ამან კიდევ ფერშლობა მომინდომა! ხალხში გარევი კარგიაო, გაუგია“.

მესამედაც მივიდა ნემსის გასაკეთებლად. მიდიოდა და შიშით ტანში აურიალებდა, მთელი კვირა რა მატარებსო. „მაგისი სწავლაც თუ სწავლია და! — გოცებული იყო, — არა, ესე რომ ეთქვათ, ხომ ასწავლიდნენ — ნიშნებს ხომ უსვანდნენ. მე რე ვილაე მკუის კოლოფმა გადაწყვიტა, მორჩა, მეტი სწავლა არ სჭირდება, ეგა გამზადებული ექთანიო“. მის ვენას ვაპარე თუ შეეძლო, ეს ვერაფრით ვერ წარმოედგინა. საით მიიპარება, რა?... ეგ ვითომ როგორაო? სისულელეა, არ შეუძლია გაკეთება, ეგაა, სხვა არაფერი.

პატარა კაბინეტში მან მარცხენა ხელი მოიშიშვლა, რეზინი შემოაჭირა, გრილ წითელ ბალიშზე ჩამოდო და მუშტი მარჯვედ ამუშავა. ექთანს არ უყუ-

რებდა — ვერ უყურებდა, როგორ ამსადებდა იგი შპრიცს. გული გაუწვრილდა კაცს, აბა, რა იქნებოდა, იცოდა, აუტანლად ეტკინებოდა. ჯერ ამის წინანდელი ჩხვლეტის ტკივილი არ განელეებოდა და ახლა ეს ექთანის ისევ დაუწყებდა ზორცის ჯიჯინას. შერეკილი მუშტს ანუშავებდა და თან ფიქრობდა: „აბა, რა ჯანდაბა უნდოდა იმ მედსასწავლებელში? თუ მწვერულებზე არ სურდა, ბუნალტრობა ესწავლა, მოანგარიშე გამოსულიყო ვნეკულაჟიშისკამდევანი, — არა, მაინცდამაინც ექთნობა მოინდომა“.

ექთანი მივიდა შერეკილთან, შპრიცადან წამლის წვრილ-წვრილი ნაკადი გამოასხა, თავისუფალი ხელისგული რამდენჯერმე მაგრად დაუსვა იდაყვიდან მაჯისკენ. კაცს არ უყურებდა, ეტყობა, თვითონაც იტანჯებოდა, რომ საქმე კარგად არ გამოსდიოდა.

„მოვიტმენ, — გადაწყვიტა შერეკილმა, — მოვიტმენ, ერთ კვირას წყალში ჩადგება კაცი“.

ვენა ახლაც სადღაც გაპარულიყო, როგორც ოფლმა დაასხა; ხელის ტკივილს, გულის ფიცართან გრძნობდა. კაცს მართლაც შეიძლება გული წასვლოდა.

— არა, ერთი მოთხარით, ნუთუ თქვენ ყველას ამ დღეში აგდებთ? — გამოსცრა მან კბილებში, — გაგონილა აღამიანის ასე წამება?

— ნე რა ვქნა, თქვენა ვენა თუ შიიპარება! — გაწიწმატდა ექთანიც.

„დახე, აქეთ რომ მიწყრება!“

— გვეოფათ! — შერეკილმა შპრიცი თავისუფალი ხელით გვერდზე გაუწია, — ეს მკურნალობა კი არა, ჯვარცმა და წამებაა.

ექთანი დაიბნა... აიღეწა.

— აბა, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა მან.

— როგორ მოვიქცეთო! — შერეკილს იმავე წუთს შეებრაღა ქალი. — მე არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, მაგრამ რასაც თქვენ აკეთებთ, იმის გაკეთება არ შეიძლება, ჩემო კარგო, ქვა და რკინა კი არა ეარ, დალოცვილო!

— მე მესმის... — ეს ჯან-ღონით სავსე, წარმოსადეგი ქალი ახლა უმწვეო ჩანდა.

— მეტი გულისყური გნართებთ, კარგად უნდა გაიხსენოთ, როგორ, რა გასწავლეს...

— მე ყველაჯერს სწორად ვაკეთებ. — ექთანი გაოგნებული დასცქეროდა ზემოდან ავადმყოფს, — ყველას ასე ვუკეთებ...

— ყველას ასე უკეთება... — წაიღუდუნა შერეკილმა და მაშინვე უნებლიეთ ადუღდა: „ხალხში მოუხდა გარევა... მეც ნახირ-ნახირაო!“ — კარგით, ახლა სხვა რა გზაა...

ექთანმა ისევ დაუმიზნა ნების ვენა. თითქოს იბოვო კიდევ, უჩხვლიტა და შპრიცის დგუშსაც დაატირა თითი... შერეკილმა სიმწრისაგან იყვირა. ტკივილმა მთელ მკლავში დაუარა, კეჯაც კი ეტკინა და დაუმძიმდა.

— ეს რა ოხრობაა, — თქვა მან და, ცოტას გაწყდა, იტირა, — ახლაც ექიმს დაუძახეთ.

— ექანი რად გინდათ? — ჰკითხა ექთანმა.

— ექიმს დაუძახეთ-მეთქი! — გაიმეორა ისევ შერეკილმა და წამოდგა, გაბრაზებულმა ზოლთის ცემა დაიწყო კაბინეტში. მარცხენა მკლავი მოუხარა

და თემოზე მიეჭირა. ბოლოს სცემდა და სულ უფრო და უფრო მეტად ცხარობდა. — ეს რა ოხრობაა! როდისმე შეგვეძლება თუ არა რაიმეს ხეირიანად გაკეთება, ჰა?! — უყვიროდა იგი ექთანს და ექთანიც წავიდა ექიმთან, წავიდა საჩივლელად, იმიტომ რომ ღანძლიანებს, „ობრობაო“ დაუწევს.

მოვიდა ექიმი, წვერმოშვებული ხალვაზობდა კაცი. ექიმის წაყვანულ-ში მოწყენა ჰკლავდა. უგელისყურო და ქილიკა ჯეილი იქნებოდა. მთაბეჭდილება შეექმნა შერეკილს ჯერ კადევ ნაშინ, როცა პირველად გასინჯა ამ ექიმმა.

— რა ამბაია აქა? — დანცინავი ღიმილით იკითხა ექიმმა და შერეკილიც სწორედ ამ ღიმილმა გააკოფა საბოლოოდ — გეგონება, მტატგარეზე ექიმში კი არადა, მიკლუნსო-მაკლავი ბრძანდებოდა.

— აქ, მგონი, ხალხანდები გყოლიათ, მე კი ნემსის გაკეთება მინდა...

— აბა, აბა, შეაწყვეტინა ექიმმა ისე, თითქოსდა წუთით მოცლა არ ჰქონდა. — საქმეზე ილაპარაკეთ, საქმეზე...

— საქმეზეო! რა საქმეზე უხდა ვილაპარაკო! — მახალა იმ მოშვებულ თმა-წვერში შერეკილმა. — ნეტა ნემსის გაკეთებას მაინც თუ ვისწავლით როდისმე ან იქნებ დაშნების ულაპვანე გადავიდეთ პირდაპირ?! — როცა შერეკილი წოხასწორობას ჰკარგავდა, გაუგებრად, არეულად ლაპარაკობდა. და მე-რე თვითონვე ბრაზობდა თავის თავზე, — ასე მუშაობა არ იქნება, ჩემო კარგებო! მთელი საათია ვეახირობთ და ნემსი ვერ გაგვიკეთებია. სბეებს კი წვერი მოუშვიათ და პენსნელა აკლიათ, რომ... ვერ ვმუშაობთ, ვერა! წვერის მოშვებას რა უნდა! ამ თქვენს თანამშრომელს კი ნემსის გაკეთებაც არ შეუძლია! — შერეკილმა ექთანზე მიუთითა. — თქვენ მაინც გესწავლებინათ, ძია ექიმო! თუ არც თქვენ შეგიძლიათ?

„ძია ექიმო“ ჯერ გაკვირვებით უსმენდა, მერე გაბრაზდა.

— აბა, ნუ ყვირიხართ, ხმა ჩაიკმინდეთ! — მკაცრად ბრძანა მან. — თქვენ აქ ბაზარი ხომ არ გგონიათ?

— ბაზარზე უარესია! — არ ცხრებოდა შერეკილი. — დიას, უარესი! ბაზარს თავისი კანონები აქვს — იქ საქმე იციან, თქვენთან კი... ეშმაკმა იცის, რა ხდება, ნამდვილი თავლაა...

ექთანს ხმა არ ამოუღია, მაგრამ გაოცებული და აღშფოთებული ჩანდა.

— შენობა აგიშენეს, კი, ბატონო! — ისევ გაჰყვიროდა შერეკილი. — მაგრამ რა? მაინც თვითშემოქმედება გაქვთ გამართული. ნეტა ვინ დაგეწყველა და შეგვაჩვენა, რომ სულ ამ დღეში ვიყოთ?! ნემსა რა ჭირი და დოზანაა, რომ... ნემსიც დიდ ამბად გვქცევია! ჯანდაბამდე გზა გქონიათ თქვენი წვერებიანა-უიტარებაანად!..

— როგორ მოვიქცეთ, მილიციას ხომ არ დავუძახოთ? — მშვიდად და ზიზღით იკითხა ექიმმა.

— მიდი, მიდი, დაუძახე! ეგა, ჩემო ძმაო, ნემსის კეთებაზე აღვილი საქმეა: ეგა... — შერეკილმა პიჯაკი ჩაიცვა და კარისკენ გაემართა, მაგრამ ვერ მოითმინა და ზღვრბლიდან ისევ გამოსძახა: — და იუ სპიქ ინგლიშ, სერ? თქვენა ჯერ თრჯერ ორი უნდა ისწავლით. ლესკოვა უნდა წაიკითხოთ, ლესკოვი! ჯერ ლესკოვი არ წავიკითხავთ და... ნეორეალიზმის ხანებანე ნერწყვი მოვლით. ლესკოვი უნდა წაიკითხოთ, ჩეხოვი, კაროლენკო... მერე ტოლსტოი, ლევ ნი-

კოლაევიჩი. თორემ რა გამოდის, გიტარა გიტარაო, სიმღერის მაგივრად კი გუყვინებო, თუმცა ჩვენი თავი ბუღბუღებო გვგონია! — და რაღა ექიმი დუმდა, დრო იხელთა და უკვე მშვიდობიანად, დამრიგებლურად დააყოლა — მუშაობა უნდა ისწავლოთ, შეილო, მუშაობა. შემდეგ მელაპარაკეთ შემწყნარებლურად, ჯანდაბას, გიტარაც უკარით, თუკი უგიტაროდ ვერ გსწავლობს, მაგრამ ჯერ მუშაობა უნდა შეიძლოთ, აბა!

თქვა და გავიდა. ექთანმა ექიმს შეხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულყო, რომ ექიმი ტყუილად არ შეუწყუხებია.

იმუწავეთ, უკმაყოფილოდ თქვა ექიმმა და კაბინეტიდან გავიდა.

ღერეჯანში კი შერეკილი დახედა. მკლავი ისევ მოხრილად ეჭირა და იტყუებოდა. როცა მას შეეჩხრა, ექიმი თითქოს კიდევ დაიბნა, ვინაიდან ეს ბრძანისი ავადმყოფი უკვე წასული ეგონა. ის კი აგერ ყოფილა.

— მომიტყევთ, — უთხრა შერეკილმა გულწრფელად, — მე იმდენი ვიყვირე იქ... მაგრამ ჩემი ბრალი არაა, მტკიცა და იმიტომ...

— წამობრძანდით, აბებს გამოგიწერთ, უთხრა ახალგაზრდა ექიმმა და გზა გააგრძელა, — სიცხე რამდენი გაქვთ?

— არ გამოიზომავს, — მიუგო შერეკილმა და ექიმს კაბინეტში შეჰყვა.

— მაშ-მაშ, — წვერებიახმა ექიმმა მწარედ კი არა, წყენით და სინანულით ჩააცინა და რეცებტია დასაწერად ჩამოჭდა. — გული კი მოგვდის... ტოლსტოი! ტოლსტოი რა შუაშია აქ? — იკითხა მან და შერეკილს დამცინავად ახედა. ეს დაცინვა შერეკილს გულზე მოხვდა, მაგრამ გადაწყვიტა მშვიდად ყოფილიყო.

— იმ შუაშია, რომ იგი ჭკვიან რამეებს ამბობდა და არ გაწყენდათ მისი ნათქვამის დამახსოვრება...

— საიდან დაასკვენით, რომ შე... რომ არავის ახსოვს?

— რას ამბობთ, განა თქვენ გახსოვთ? — განცვიფრდა შერეკილი.

— ვითომ არ შეიძლება მასსოვდეს? არა მარტო დაცინვით, არამედ ისევ სიხლითა და შემწყნარებლურად — ასე მოეჩვენა შერეკილს — უყურებდა ეს ახალგაზრდა, კმაყოფილი, თვითდარწმუნებული ექიმი. 54 წლის შერეკილს კი ეგონა, რომ ასე შემწყნარებლურად მას უნდა შეეხედა ამ ექიმისთვის და არა პირიქით.

— რას ბრძანებთ!

ექიმმა, ეტყობა, სისულელედ მიიჩნია, რომ კამათი გაემართა ავადმყოფთან, შიშით უმეტეს, ასეთ... ასეთ უცნაურ საკითხზე: წაუკითხავს თუ არა ტოლსტოი, ლევ ნიკოლაევიჩი, თუმცაღა ტოლსტოი მართლაც არ წაუკითხავს, გარდა იმისა, რაც ჯერ სკოლაში, მერე კი ინსტიტუტში ევალეობოდა წაეკითხა. ოღონდაც რა შუაშია აქ ტოლსტოი, ღმერთო!

იგი დაიხარა და რეცებტის წერას შეუდგა.

— ტოლსტოი თუ წაგაკითხავთ, იქნებ მაშინ მაინც ბრძანოთ: რატომაა, რომ არათერაპიული შეგვიძლია? — ჰკითხა ისევ ისე კარებში გახიდულმა შერეკილმა.

— მაინც რა არ შეგვიძლია? — თავაუწყევლად თქვა ექიმმა და წერა განაგრძო.

— ნემსის კეთება, მაგალითად.

— იმ ექთანს ტოსლტოი არ წაუკითხავს და იმიტომ არ შეუძლია.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ წაგაკითხავთ, თქვენ რატომ არ შეგიძლიათ რაიმეს კეთება?..

— ოჰ, ბიძაჩემო!.. — ექიმი წერას შეეშვა და გაოცებით მიაწვდრდა შერეკილს, — ეს უკვე საინტერესო ამბავია, ნაშ, არაფერი შემიძლია.

— არ შეგიძლიათ, — შერეკილმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ისევე როგორ ვერ მონახა, თეთრზეწარგადაფარებული ხმელი დივანის კედელზე ჩამოჯდა, — არ შეგიძლიათ, ყმაწვილო.

— მაგალითად, რა არ შემიძლია? ჰკითხა ქილიკოსმა ექიმმა.

— რა და არაფერი, — შერეკილი უწყობთველად შეპყურებდა თვალებში ექიმს, — თქვენ ექიმი ხართ, — დინჯალ ასაბუთებდა იგი თავის აზრს, — თქვენს ექთანს არ შეუძლია ნემსის გაკეთება, თქვენ კი... თქვენ ეს ოღნავადაც არ გადელვებთ... რაღა თქვენ და რაღა კანტორის ვირთხა! ზიხართ და აბებს მიწერთ აქა... მე კიდეც ნემსის გაკეთება მინდა, გაიგეთ, ნემსის! — შერეკილმა ექიმს მოშიშვლებული მკლავი უჩვენა და დამარცვლით ერთბელ კიდეც გაიმეორა: — ნემსის გაკეთება-მეთქი! ნემსა ხომ თქვენ თვითონ დამინიშნეთ.

— იცით, რა, — ასევე დინჯალ მოუგო ექიმმა, — გენაც არის და ვენაც, ზრგს ისეთი განსხვავებული ეენა აქვს...

ცხვრები რომ არსებობს სხვადასხვა ჯიშისა, კი გამიგონია, მაგრამ ვენა ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს. შენ ექიმი არა ხარ. — შერეკილი წამოდგა. — შენ ასეთივე ექიმი ხარ, როგორც მე ბეზიაქალი. მაგრამ აი, ეგეთი, — შერეკილმა ხელი ისე გაიმეორა ექიმისკენ, თითქოს გამოყენაზე მოსულ ვილაც კაცს თავსამტვრევ პრეტენზიულ ნახატს აჩვენებდო, — აი, ეგეთი... ბრავულო, ყვეყური თვითწყაყოფილება კი მაოცებს, ზის სულგამოცლილი, გულგამოსრული ჯეელი. ზის, წერს რეცეპტს და ცა ქულად არ მიიჩნია და დედამიწა ქალამნად. რას ერჩია, იცის ბიჭმა რეცეპტების წერა, ხალხშია კაცი გარეული.

ექიმი გაოცებული, პირდაღებული შესტყვროდა ავადმყოფს, ხმას არ იღებდა.

— აბა, როგორ ცხოვრობთ ასე, ჰა? შეიძლება ასე ცხოვრება?.. მაბატოეთ, კიხადამ „შენზე“ გადავედო, მე თქვენ არ გლანძლავთ, ოღონდ სიძარტლე ვითხრათ, მინდა გავაგო: ნუთუ შეიძლება ასე იცხოვროთ? კაცმა არც იცოდეს თავისი საქმე, არც... არც სურდეს იცოდეს, არ უყვარდეს, არადა შუბლშეკრული იჯდეს და იჯგიმებოდეს... ისა, ექთანზე ვამბობ, წითლდება მაინცა, ეს კიდეც... დიდკაცობს. ღმერთო, შენი სახელის ჭირამე, რისთვის სჩადის ამას, დავიჯერო, მხოლოდ და მხოლოდ ლუკმაპურისთვის? გაგიჯდით, ხალხნო! ასე როდისღა მიგნანბალდებოთ? ჰა? ასე, ჩემო კარვო წვერებიანო ექიმო, ასე მეც კი... მეც კი დაეჯდებოდე არქაელდით და ვიჯდებოდი ჩემთვის, მე რა, ერთიც თუხზე მკიდია და მეორეც, შენი ღმერთიცა და შენი ეშმაკიც. რა ღმერთი გაგიწყრათ, ასე... ასე როგორ გათავხედლით? ინსტიტუტი დაამთავრა ბიჭმა. ოცდახუთი წლის რომ ვიყო, კარდაკარ ვივლიდი, დედაბრებს ღუმელიდან ჩამოვათრევდი, არ მოვასვენებდი, იმკურნალეთ, ოქვე კუდიანო ბებრებო, სიკვდილს ხუკი უცდით-მეთქი, ვეტყვოდი. აქ კიდეცა თითქოს ყველაფერი გაქვს, არაფერი გაკლია, მაგრამ ცოცხალი ლეშივითა გდინხარ და აბებს უწერ ხალხს. იქნებ სასაქმებელი უფრო უპრიანია, რა იცი.

— შორჩია? — ჰკითხა მკვახელ და წამოდგა. — გადით აქედან, — თავს ძლივს ერეოდა. — გადით აქედან, გესმით, მე მოვითხოვ!

— „მე მოვითხოვ!“ — განთავაზურა შერეკილმა. — ექმა... „მე მოვითხოვ“. შენ ის მოითხოვე, რომ ადამიანის საკიდრისად იცხოვრო. არაფერი არ უნდა ამ ხალხს, არაფერი! წვერის მოშვების გარდა... არადა, რა სწორია, უმწიფელი კაცი ხარ, მიდი, იმუშავე, მოარჩინე ხალხი, არა, ოცდაათი წლისაა და სული უკვე გამოცლილა აქვს. გიტარაზე დაკვრის მეტი მართლა რა დარჩენია.

შერეკილი კაბანეტიდან გავიდა. ექიმა დაჯდა და ერთხანს გამტერებული მისჩერებოდა კარს. შემდეგ ფანჯარაში გაიხვდა...

საუბედროს ეზოს მიუყვებოდა შერეკილი — მიღალი იყო, წელში გამართული, ძლიერი, მიზანსწრაფული კაცია სახე ჰქონდა. მიდიოდა დიდი, ფართო ნაბიჯით, ეტყობოდა, შორს სიარულს შეჩვეული იყო. ჩაფართხუნებული, სასაცილო ლაზადა ეცვა და ტყავის შლაპა ეხურა.

სადამოს ექიმი ეწვია თავის ამხანაგს, სკოლის მასწავლებელს, რომელიც უკვე ორი წელია იმ სოფელში ცხოვრობდა. სერგეი ივანოვიჩ კუდრიაშოვს თუ იცნობო, ჰკითხა. ვიცნობ. რატომ შეიძლება, გაეღიმა მასწავლებელს.

— რა კაცია?

— ბიბლიოთეკარია.

— ეგ რა... აქაურია?

— აქაურია. დიდი ცნობისწადილიანი კაცია, დაუთქვებელი ენერჯია აქვს. მუშაობით ხომ მუშაობს, კიდევ სოფელ-სოფელ დაიარება, ძველ წიგნებს ყიდულობს. მასთან საოლქო ცენტრიდან ბიბლიოთეკარები ჩამოდიან ხოლმე, არქივებთან მიმოწერა აქვს...

— რა განათლება აქვს?

— დიდი არაფერი. ზუსტად არ ვიცი, შესაძლოა, რვა კლასი ჰქონდეს დამთავრებული... თვითონ, თავისი ნებით დაიარება. რაო, ჩხუბი ხომ არ ატეხა, ეგ დიდი მოჩხუბარი ეილაცაა...

— არა, ისე მაინტერესებდა.

— მაგას სოფელში შერეკილს ეძახტან.

— შენ თვითონ კარგად იცნობ? ბევრს ვითხოვს?

— არა მგონია. ხან იძისთანა აბდაუბლას გააბამს... ზოგჯერ კი, იცოცხლებ, კაი საქმეს აკეთებს: აქ რასკოლნიკები ცხოვრობდნენ, სხვენზე ბევრი წიგნი დარჩათ. საინტერესო რამეები ნახა. საერთოდ საინტერესო ვინმეა. ჩივილი უყვარს, ესაა: რედაქციები აავსო თავისი რჩევა-დარიგებებით. კაი გვარნი არეული ტვინის პატრონია, მაგრამ... არაფერ ეხვეწება და ეგ მაინც დაიარება სოფელ-სოფელ, თავის ფულს ხარჯავს...

— მაგრამ მისგან იმ წიგნებს ხომ ყიდულობენ... ბიბლიოთეკები.

— ყველაფერს არ ყიდულობენ, ორიოდ წიგნს იყიდნიან და ესაა, შერეკილს კი ნახევარი ტომარა მაინც მოაქვს ერთ გზობაზე. ასეთი კაცია... მოღვაწე. არიგებს და არიგებს წიგნებს. ჩვენს სკოლას ჩუქნის ხოლმე. ერთხელ ასეთი ამბავი შეემთხვა. მთელი ტომარა წიგნები მოაქუჩა, გზისპირას დადგა და მანქანებს დაუწყო გაჩერება, სამგზავროდ კი თურმე შაურიც არ უჭყაოდა ჯიბეში. მიიყვანეს, სადაც უნდოდა: მძლოლმა ფული მოსთხოვა, ამაზე კი-

დევ რაღაც წიგნი შეაძლია: აიღე, ეს წიგნი ყოველგვარ ფულზე ძვირფასააო. იმ მძლოლს ჩვენი შერეკილისთვის კარგა ლამაზად შეუკურთხებია, წიგნი კი ტალახში მოუსროლია. ამას მანქანის ნომერი დაუმახსოვრებია, ის მძლოლი მოუნახავს, აქვე, მეზობელ სოფელში ცხოვრობს თურმე. ~~ფაქტად მძღვე წაუყვანია, მონადირე ძმა ჰყავს, და ის მძლოლი მიუბეგვიათ.~~ **ბიზუნიქოშეჰა**

— კაი ამბავია! მერე რა მოხდა, მიუსაჯეს რამე?

— მძლოლს აღარ უჩივლია — მონადირე ძმამ ფული მისცა, ამ შერეკილს არაფერი აბადია, მონადირე კი მიდგა-მოდგა, ფული იშოვა და თავი განობხსნეს.

— ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

— ვისა? კუდრიაშოვს? ორა შვილი ჰყავს... ერთი მეათე კლასშია, კაი ბავშვები არიან. რაო, საავადმყოფოზე რამე საჩივარი ხომ არ დაწერა?

— არა, ისე... დღეს ჩემთან იყო, ვიშუსაიფეთ...

— გოყვარდეს, ლამაზაკის გოგია, ფილოსოფოსობს ხოლმე, მე, მართალი გითხრა, მისი ნაწერი არაფერი წამიკითხავს, მაგრამ საუბრით ბევრჯერ გვისაუბრია — საინტერესო მოლაპარაკეა.

— უბეჭდავენ რამეს გაზეთებში?

— მოგცლია ერთი, მაგას ვინ დაუბეჭდავს. წერს, თავის ჭიას ახარებს. არავინ არაფერს ერჩის — მიეჩივივნენ... ის კი დარწმუნებულია, დიდ საქმეს ვაკეთებო — წიგნებს ვავრთვებო. ამაზე მთელი თეორია აქვს შემუშავებული.

ექიმი გაჩუმდა... მერე ჰკითხა...

— ყფრი მიგდე, თუ იცი, ლევ ტალახტოი წაკითხული აქვს?

— არა მგონია, — გაიკვირვა მასწავლებელმა, — შეიძლება „ქილინი და კოსტილინი“ კი ჰქონდეს წაკითხული, იქნებ ისიც არა, არა, ერთი უბრალო ენთუზიასტიაო, ამბობენ. დარწმუნებულია, სხენიდან წიგნების ჩამოტანა საჭიროაო, და ჩამოაქვს კიდეც... დიდი რწმენის კაცია... შესაძლოა ამიტომაც უყვიროს ყველას, მაგრამ უწყინარი ვინმე კია. სხვათა შორის არ სვამს. თუმცა ტოსლტოი იქნებ წაკითხულიც ჰქონდეს, ერთი უნდა ვკითხო. მაგრამ არა მგონია წაეკითხოს.

— სწავლა აუ არა აქვს, ბიბლიოთეკარად როგორ მუშაობა?

— ეგ აქ ათადან-მაბაღანაა ბიბლიოთეკარად, მაშინ ცენსს და დიპლომს ვინ უყურებდა. სხვათა შორის კარგად მუშაობს, არ სვამს... თუმცა ეს უკვე გითხარი. — მასწავლებელმა გაიცინა. ჯიბეში სიგარეტი მოიძია, იპოვა, გააბოლა... და ისევ ცნობისწადილით მიაჩერდა ამხანავს, მერე ჰკითხა: — ნამდვილად რაღაც შარი მოგვთ ამ კუდრიაშოვმა, ჰა? აბა, ასე ჩაციებით რად გამოიკითხე მისი ამბავი?

— არაფერი არ ყოფილა-მეთქი, ხომ გითხარი... ისე, წავიშუსაიფეთ საავადმყოფოში. — ექიმმაც გააბოლა. ერთხანს უყურა, როგორ იწვოდა ასანთი, თითები დაინერწყვა, დამწვარი მხრიდან დაიჭირა ასანთის ღერი და ბოლომდე დასწვა. აღს გულისყურით მისციებოდა, თვალი არ მოუცილებია.

ვალენტინ რასკუტინი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა საღვანე წავიდა

ბიჭუნამ თვალი გაახილა თუ არა, ჭერზე ნეოცავი ბუზი დაინახა. თვალის ხამხამით უყურებდა, აბა, ერთი, საით წავაო. ბუზი ფანჯრისკენ მიფხოჭიალობდა. შეუსვენებლად მიიწვედა წინ მარჯვედ, სწრაფად მიცუხტუხტებდა. ბიჭმა გააფაქრა, ეგ გზაზე გარბისო და დაელოდა, ვნახოთ, სხვაც თუ აემგზავრებაო. თუ აემგზავრა, მაშინ მართლა გზას შესდგომიანო. მაგრამ სხვა ბუზი არ ჩანდა. მანდაურობაზე სხვა ბუზებიც კი იყვნენ, მაგრამ ის სხვები რატომღაც ჭერზე არ დარბოდნენ და ბიჭი მათზე ფიქრს მაშინვე შეეშვა. საწოლზე წამოიწია და დაიძახა:

— დედიკო, მე გავიღვიძე!

არავინ შეეხმიანა.

— დედა, დედიკო! — ისევ დაუძახა, — ხომ ყოჩალი ბიჭი ვარ, გავიღვიძე, აბა!

არც ახლა უპასუხეს.

ბიჭი დაელოდა, მაგრამ სახლში დუმილს არავინ არღვევდა. მაშინ საწოლიდან გადმოხტა და ფეხშიშველა შეტანტალდა დიდ ოთახში. აქ არავინ იყო. ჯერ სავარაუდეს შეხედა. მერე მაგიდასა და წიგნის თაროებს, მაგრამ სულიერის ტაქანება არ იყო. ბიჭი სამზარეულოში შევარდა, შემდეგ აბაზანაში — სამზარეულოცა და აბაზანაც ახლა იმ სარკეს მკვდრდნენ, რომელშიც არავინ იხედება.

— დედა! — დაიყვირა ბიჭმა.

სიჩუმემ ძახილი შეისრუტა და ისევ შეიკუმშა. ბიჭს არ სურდა დაეჯერებინა სიჩუმისთვის და ისევ შევარდა თავის ოთახში. მისი შიშველი ქუსლებისა და თითებისგან გადაღებულ იატაკზე აცა-ბაცა კვალი რჩებოდა, რომელიც მალევე შრებოდა და ქრებოდა.

— დედა, რაც შეეძლო მშვიდად თქვა ბიჭუნამ, — მე გავიღვიძე, შენ კი აქ არა ხარ.

ისევ დუმილი.

— არა ხარ, დედა? — იკითხა მან.

ბიჭუნას პასუხის მოლოდინში სახე დაეძაგრა, აქეთ-იქით, წინ და უკან ატრიალებდა თავს, მაგრამ არავინ ჩანდა, ხმას არავინ იღებდა და ბიჭი ატირდა. ტირილ-ტირილით წავიდა კარისკენ, მივიდა და ჩაჯგური დაუწყო. ვერ გააღო. მაშინ ხელისგული დააარტყა, შემდეგ წიშველი ფეხი დურთა. ეტკინა და უფრო ხმამაღლა ახლუქუნდა, იდგა შუაგულ ოთახში და მსხვილი წვეთები ღვარ-ღვარით გადმოსდიოდა და ის წვეთები გადაღებულ იატაკს ლაქებად ემჩნეოდა. შემდეგ, ტირილის შეუწყვეტლად, ჩაჯდა. ირგვლივ ყველაფერი მას უსმენდა და ყველაფერი დუმდა. ბიჭი ელოდა, აგერ ახლა, ა, აგერ ახლა ზურგს უკან ფეხის ხმას გავიგონებო, მაგრამ ამაოდ, და ბიჭი ვერა და ვერ მშვიდდებოდა.

ეს დიდხანს კი გავრძელდა, მაგრამ მაინც რამდენხანს, არ იცოდა. ბოლოს იატაკზე გაწვა და ახლა უკვე დაწოლილი ტაროდა. ისე დაიდალა, ესე, რომ სიაბარას არ იყო და უკვე არც ესმოდა, რომ ტაროდა. ეს, ტაროდა, ახლა სუნ-თქვასავით ბუნებრივი იყო და უკვე არ შეეძლო არ ეტირა. ბიჭით, ახლა ცრემლი მასზე ძლიერი ჩანდა.

და უცებ, ბიჭუნას მოეჩვენა, რომ ოთახში ვიღაც იყო. სწრაფად წამოხ-ტა და იქაურობას მიავლ-მოაელო თვალი. შეგრძნება, რომელმაც წამოახტუ-ნა, არ გაუქრა და ბიჭი ჯერ სხვა ოთახში შევიარდა, მერე სამზარეულოსა და აბაზანაში, იქ არაფერი ჩანდა. ბიჭი სლუკუნ-სლუკუნით შემობრუნდა ოთახში და სახე ხელისგულებში ჩარგო. შემდეგ ხელები ჩამოყარა, ისევ მიიხედ-მო-იხედა, მაგრამ ვერაფერი ნახა. ოთახში არაფერი შეცვლილიყო. საფარძელი ცა-რიელი იყო, ისევ ის ერთი მავალი იდგა, წიგნის თაროებზე უწინდებურად წიგნები ელაგა, მაგრამ მათი ნაირფერადი ყდები უღიმღამოდ გამოიყურებოდ-ნენ და თვალს არ ახარებდნენ. ბიჭი ფიქრში დაიძირა.

— მეტს არ ვიტყვებ, — უთხრა მან თავის თავს, — დედა მოვა და ყო-ჩად ბიჭად დავხვედები.

საწოლთან მივიდა და ზეწრით მოიწმინდა ნამტირალევი თვალები, შემ-დეგ აუჩქარებლად, თითქოს სეირ-სეირით მიიარა ოთახები და ყველაფერს დააკვირდა, რაც კი ჰქონდათ სახლში. და მაშინ ბრწყინვალე აბრმა ვაუ-ელვა.

— დედა, — ხმადაბლა თქვა მან, — კაკა მინდა.

მას კაკა არ უხდოდა, მაგრამ იცოდა, დედამისი რომ სახლში ყოფილი-ყო, ღამის ჭურჭელს მოურბენინებდა მაშინვე.

— დე-და, — გაიმეორა ბიჭმა.

ახლა კი უეჭველად დაიჯერა, დედა შინ რომ არ იყო. რაღაც უნდა მო-ემოქმენდა. „ცოტახანს თამაშით შევიქცევ თავს და ამასობაში დედაც მოვა“, — გადაწყვიტა მან. ბიჭი კუთხეს მიდგა, სადაც მისი უამრავი სათამაშო ახორი-ლიყო და კურდღელი აიღო. კურდღელი განორჩეულად უყვარდა. ცალი ფეხი აღარ ჰქონდა. მაშინ რამდენჯერმე შესთავაზა ბიჭს, იმ ფეხს, რათგორც იყო, ისე მივაწებებო, მაგრამ ბიჭი უარს იდგა. ორფეხა კურდღელი, აბა, რისთვის უხდა შეეყვარებინა, პოდა, დარჩა იგი ცალი ფეხის ამარა, მეორე ფეხი კი სადღაც იქვე, თავისთვის ეგდო.

— ნოდო, ვითამაშოთ, ყურცქვიტავ, — მიესიყვარულა ბიჭუნა.

კურდღელი უსიტყვოდ დაეთანხმა.

— შენ ავიდა ხარ, ცალი ფეხი არა გაქვს და ახლაც უნდა პოვარ-ჩინო.

ბიჭმა კურდღელი საწოლსე წამოაწვინა, ლურსმანი ამოიღო და კურ-დღელს კი, ვითომ, ნემსს ეუკეთებო, შიგ მუცელში ატაკა.

კურდღელი ნემსებს მიჩვეული იყო და ყურით არ შეუხებრტყავს.

ბიჭი საგონებელში ჩავარდა, შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სა-წოლს მოშორდა და დიდ ოთახში შეიხედა. იქ ისევ ისე ძველებურად იყო ყველაფერი და საჩუმე ნისლივით გაწოლილიყო კუთხიდან კუთხეში. ოთახი ჰგავდა გაბერილ ბუშტს, რომელსაც შიგნიდან ბარდას ნარცვლისხელა რამდენიმე ნახვრეტი ჰქონდა: ეს იყო მავალი, საფარძელი, წიგნის თაროები.

ბიჭმა ამოიხვნეშა, ისევ საწოლთან მივიდა და კურღლელს დახედა. კურღლელი არხეინად, გულმშვიდად იწვა ბალიშზე.

— არა, ევრე არ მინდა, — უთხრა ბიჭმა, — ახლა მე უნდა იყოს კურღლელი. შენ კი პატარა ბიჭი იქნები, პოდა, შენ მომარჩენ შე.

ბიჭმა კურღლელი სკამზე შემოსვა, თვითონ კი საწოლზე ჩაწვდა. ერთი ზვინი ამოიგეცა და აზღუქუნდა. სკამზე მჯდარი კურღლელი ვიწროებით შეჩერდა დიდი ცისფერი თვალებით.

— მე კურღლელი ვარ და ფეხი მტკივა. — აუხსნა თავისი გასაჭირი ბიჭუნამ.

კურღლელი დუმდა.

ბიჭმა თავი ასწია და წამოჯდა. სახე ისევ მოეჭუფრა, ჩაუყამდა. დიდხანს, დიდხანს უყურა კურღლელს და ნერვო ჰკითხა:

— ნიოხარი, კურღლელი, დედაჩემი სად წავიდა?

კურღლელმა არაფერი უპასუხა.

— შენ არ გეძინა, შენ იცი, საით წავიდა დედაჩემი... ნიოხარი. — უბრძანა ბიჭმა და კურღლელი ხელში აიყვანა.

კურღლელი ხმას არ იღებდა.

ბიჭს დაავიწყდა, რომ იღრე ყოველთვის თვითონვე იძლეოდა პასუხს კურღლელის მაგიერად, — ერთდროულად ორ რთლში გამოდიოდა, — და ახლა დაბეჯათებით მოითხოვდა მისგან პასუხს. ბიჭს დაავიწყდა, რომ კურღლელი ერთა ჩვეულებრივი სათამაშო იყო სათამაშოთა შორის — პატარა კუბები ხომ მხოლოდ სხვისი ნებით დგებოდნენ ერთმანეთის მხრებზე, სათამაშო მანქანებიც ხომ მხოლოდ მაშინ დადიოდნენ, როცა სურდათ, რომ მათ ევლოთ, პატარა მხეცებიც ხომ მხოლოდ მაშინ ღმუოდნენ და ლაპარაკობდნენ, როცა მათ მაგიერად ვინმე ღმუოდა და ლაპარაკობდა. ბიჭუნას ახლა ყოველივე ეს დაავიწყნოდა, აბა!

— ხნა ამოიღე, მიპასუხე! — მოითხოვდა იგი კურღლლისგან.

კურღლელი ისევ ისე დუმდა. ბიჭმა იგი იატაკზე მოისროლა, საწოლიდან გადმოხტა, მივარდა და წიხლის ცემა დაუწყო. კურღლელი ხან პაერში ხტოდა, ხან იატაკს ურტყამდა თავს, ზევით-ქვევით ხტოდა, ბიჭუნაც ზევით-ქვევით ხტოდა და ისევ და ისევ ყვიროდა: „ხნა ამოიღე, ნიოხარი, ნიოხარი!“ მაგრამ კურღლელს საითმე გაქცევა არ შეეძლო, რადგან ცალფეხა იყო და, უცებ ბიჭუნა მიხვდა ამას, მიხვდა და შეჩერდა. კარგახანს უყურებდა პირქვე დამხობილ, უხმოდ მომტირალ კურღლელს. ბიჭმა გაიგონა ეს ტირილი. დაიკუზა კურღლლისკენ, ხელები გაასავსავა და დამნაშავე კაცის ბოდიშით უთხრა:

— დედიკო სადღაც წავიდა.

უცებ ბიჭს მოეჩვენა, რომ კიბეზე ვიღაც ამოდიოდა.

— დედა! — იყვირა მან და კარისკენ გავარდა, მაგრამ სავარძელს მიაწყდა და დაეცა. წამოდგა, ყური მიუვლო, კართან არავინ სუნთქავდა და ბიჭი ისევ ატირდა. ტკივილი და მარტობა ატირებდა. ტკივილი რა იყო, აქამდეც იცოდა. მარტობას პირველად შეეფეთა.

თარგმანი ჯუმაჯარ თითთარიაშვილი

□

ბორის პასტერნაკი



1959 წლის 3 მარტს, თბილისში ყოფილას, ბორის პასტერნაკს ღიად გუ-
დაიპვიდის აღბომში ჩაუწერა ღექსი, რომდსთვიხაც მქმდეკო პიტვეკმა წი-
უმბდვარებია: „ჩვეულებრივა ღდე თქვენიან სტუმრობისა დეეხსწაუღოდ აქ-
ევეა ხოღმე, განთიდვიქებ დღით და სხეთი ვრბნობა ვეუფლება, თითქოს
ყველოფერა, რაც თქვენიან ვნახე და მოვასმინე, ხიზმარი იყო, ხიზმარია და
სესმარივით უნდა დარჩეს ერთადერთი და განუბეორებელი, ვეველა ხავანძურზე
უბვიარუასესხა განძი გუღისა — ხეღოენება!.*

გ ა ღ ა ი ბ რ ბ ვ ი ნ ა ...

გადაიგრგვინა... არე-მიღამო გამოყრიაღო ფიქრებს,
ფშეენს შემოგარე ხამოთხეხავით, ბოღავს ჩამქრიაღა ავღა,
ისევ მტევენებს შღის აახანანი, ისევ ძელ-ღონეს იკრებს,
რომ შეისრუტოს ნეღლი შავრის ძაცოცხლებელი ჭავღი.

გადაიგრგვინა... შარა აჩქამდა, ისევ ხიცოცხლე დვივას,
წვიმა კო, წვიმა მაინც წკარუნობს, წველებს წვეთებზე აღნობს,
ძალე შემოხავს ზეცის ტაღანებს მორი ნათება სხავის
და მტრედისფერი მოეძალევა გაღათეორებულ ტატნობს.

აღწვას მხატვარიც ხახეღოსნოში, ზრუნვას არავის იკლებს,
აქ ხახანთა უფრო ყოველი, უფრო მკვეთრი და ცხადი,
აღწვას მხატვარი... ღაქას ამორებს, აპათიოსნებს სავნებს,
რომ ახლებურად გარღამოხახოს ყოფნა-არსობის ხატა.

გახრულდა წელი ორმოცდაათი, მიწყდა წვიამების თქეში,
გადაიგრგვინა, გადაიქუხა, გაღმით მიანეღდა ჩქაძი,
გახრულდა მასი მეურვეობაც... აწ ხოუკუნის გეში
სხვა ბიღაკებით გაიკლაკნება... სხვანაირიღე ყაძი.

არა ნგრეკო და განაღგურება, არა გუგუნო ქართა,
გზას მყოფადიხას ოღენ ხიმშვიდის გარღამოვღენა სწყურის:
ოღენ სიკეთე, ოღენ სიუხვე, ოღენ წყაღობის კაღთა
და ჟამიერი გამოცხადება აღმოღებული სუღის...

თარგმნა ჯემალ ჯახიანიძე

* ღექსი პარვეღად ჟურნალ „ღიტერატურნაია გრუპიაში“ გამოქვეენდა.

ნიკოლოზ ტინოროვი

ღ ა მ ე



პატარა ქალაქს
 ყრუ ძალით სძინავს,
 სახურავებზე მინუმდა წვიმაც.
 სძინავს ყველაფერს, — ძალი ტკბილია...
 სძინავს ზღვას: პირას თეთრ ფლოტილიას,
 სძინავს ვეგზა გლობუსს — გალიათს,
 ქვეყანა სიზმრად რომ ჩამყოლია;
 მაგ გლობუსში კი თევზებს სძინავთ —
 გუნებზერად, მშვიდად და ტკბილად,
 შენც გძინავს ასლა, დრმა ძალით გძინავს
 და თოვს სიზმრები ხულ ფთილა-ფთილა.
 და მე ამ სიზმრებს დამეებს ვუთევ;
 სძინავთ კობებს, საფოსტო ყუთებს;
 სძინავს ყველაფერს, შავანს და მავანს,
 მე კი ხანუშის დარაჯად ვდგავარ;
 ღუმს ყოველავე, ხოთ არ იძვრის.
 ... მქორე დღეა იწვას პარიზა.

თარგმანა ილირაჲ ჯაფარიძელიძე



ნიკოლოზ ზაკოლოცკი

ღ ვ ი ა

სიზმრად ვახილე — ბუჩქად ამოსულიყო ღვია,
 კვარცხის შემდვრეულ მძიკებს ჰგავდა ნაყთფი შინა.
 ყრუ და შორეულ, რაღაც ლათინურმაგვარ წკრიალს
 დგრიდა გარშემო, ამოდ მანანაეებდა ძილში.

იდგა ხურნელი კევის და სამსუბუქე თქორის,
 ღვიის სათუთი ყლორტი ფრთხილად გავწიე ხელათ
 და სიბნელეში, მწვანედ ჩაქუფრულ ტოტებს შორის
 გაკრთა დაძილა, უცვლ მენი ტუჩების ფერი.

ღვიის პატარა ბუჩქო, პაწაწკინტელა ყლორტო!
 ვინ ვაუძლებდა ამ დარღს, ვინ აიტანდა ჩემდენს!

თ, ეს ფოთლებიც — თითქო ასე ნაზი და თოთო —
შომაკვდინებლად, მწარედ და ეკლებივით მსხვლევტენ.

ფანჯარასთან კი, ვარეთ, მისდევს ღრუბელი ღრუბელი,
ქარსაც ფოთლები მიაქვს, ძირსაც ფოთლები ჰყრის,
გაცლიდა ბაღი ჩუმა და შა, მზადა ვარ უკვე! — გიგლიძის
ამინ! შეგინდოს ღებრომა ჩუმა სიკვდილი, დვიავ.



თარგმანა იორამ კვერცხელიძემ



ლენინი მარტინოვი

* *

ის ადებს ჩვენთვის უსიღოვ კარებს,
მისი გზა უცხო ზღვებასკენ იღტვის,
ხედავს სხვა მანდვრებს, სხვა ფერას მოვარეს,
ხიდრძეს,
სამაღლეს
და ერთი ხატყვით
გზათა ხიშორეს არ უშინდება,
და პირველმკვლელის გუმანათ უყურავს
ყველაფერს, რასაც დღე გუშინდელი
და ჩვენი მზერა ვერ შეხწვდა ჯერაც —
ასე იღწვიან ასტრონომები,
რომ აღმოჩენა დიდი ვეახარონ,
ასეთი რწმენით და მანდობებით
მოეტო ვეიშხელს ახალ სამყაროს.
ძალიან სშარად მიწას შირდება,
რომ სხვა სიკრცეთა გახსნას თაღები,
და შორს იწევს შორიზონტები,
და ჩვენც პოეტთან ერთად ვმადლდებით.

თარგმანა იორამ კვერცხელიძემ



არსენი ტარტოვსკი

სივრცელა, სივრცელა

1.

წანათურმანებებს მე არ მჯერა. ცუდი ნიშნისაც
არ მეშინია, არც შხაშა და ცილისწამება

შითხოვლებს სხეულს. ჩვენ სიკვდილი ძარღვს ვერ გვიხინჯავს,
 ახ არ არსებობს. უკვდავებას ვერ ეკარება.

ჩვენ ცოცხლება ვართ — ათა წლის და სამოცდაათის
 ორივ ერთია, არ მოქმედებს ჩვენსე საათი.

გათეღლია სინათლასგან სიკვდილის ჩრდილი.

ჩვენ სუფიელანი მიჯარული ვართ ზღვას ნაპირას,

მე შათ ვეკუთვნა, ვახაც ბადე უჭირავს კბილით,

და უკვდავების ქარავნებში ბადათ დაფრინავს.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

2.

იცხოვრე სახლში, რომ იმ სახლში სითბო დაეანდეს.

მე გამოვიხმობ რომელღაც მსურს იმ საუკუნეს

შევალ იმ დროში, სახლს დავიდგამ და ცეცხლს ავანთებ.

აი, ამიტომ ერთად ვდგავართ, ვებრძვით უკუნეთს.

ერთ ხვამჩუ ვსხედვართ პაპებაც და შვილიშვილებიც.

ყველა ერთად ვართ, სამუდამოდ ვაქნებით ერთად.

და თუ ხელს ავწევ, სინათლე არ დაიჩრდილება —

სუთა სახიელი, სუთი სხავი დარჩება თქვენთან.

ყოველ გაყლილ დღეს მომავალში ფრენას ვაჩვენებ,

ვადუღაბებდი ჩემივ სიხსლით, სულით და მკერდით.

მე დროს ვჩიბავდი, როგორც მიწას რკინის ჯაჭვებით

და დროში გავედ — გავიარე ურალის ქედში.

3.

მე საუკუნე სამოსივით მოვირგე ტანზე.

ჩვენ მივდიოდით ხამსრეთისკენ მტვრიან სტეპებით,

შამში გეხუსხავდა და მოგვდევდა კალია ანცი —

ჩაღებს ყნოსავდა — ავს გვამცნობდა, როგორც ბებერი

მოგვი — დაღუბავს გვაქადდა და გრეხდა უღვაშებს.

მე ჩემი ბედი უნავირზე მივაბი. აი,

აქვაც იქა ვარ, იმ ვარდახულ დროთა ქროღვაში

ბაჭივით ვდგავარ უზანგზე და ვაფეურებ აიხს.

ჩემთვის ეს ჩემი უკვდავება არის თავდები.

რომ სიხსლა ჩემი, სული ჩემი საუკუნადან

საუკუნეში გადავიდეს. ჩემივე ნებით

იმ ჩემს სიცოცხლეს გავწირავდი, დაფუბრუნებდი

მას, ვინც ის მომცა, რომ სიცოცხლის მფრინავმა ნემსმა

არ ამითრიათს ძაფივით და არ მიმცეს წკვარამს,

რომ გადავიდე მომავალში მხვნელად და მწყემსად.

მხედრად, პოეტად, მოგზაურად, მუბად და ფარად.

თარგმანი მამუკა წიგლავნიძე



ანატოლ სოფრონოვი



და აწყება ყველაფერა შენით:
 დღე ყოველი, აყვითლება ფერთა,
 დილა თეთრა - ჩემი სარკმლის ჭრილში
 შემოჭრილი ვახაფხულთან ერთად, -
 ყოველივე ეს აწყება შენით!

ხელაც არ ვარ, რომელ ქვეყანაშიც
 და რაზედაც არ ვსაუბრობ მაშინ,
 ბრძენკაცებისათვის თუ უცნაურ ხალხში, -
 ჩემთანა ხარ... მზერა, შენი მზერა,
 უსახრულოდ ხაყვარელი, სათნო,
 არ მძორდება, როგორც ბედისწერა,
 არ იცვლება, ისეუ ისე ძათობს.

და აწყება ყველაფერა შენით:
 შენებური აღერხით და კრძალვით,
 გახივ, მაიკრა ეს ჭადარა თაფა.
 შიგ შენა ხარ მხოლოდ, საფიცარო.
 ჩემს ყველა დარდს შენა დარდობ მარტო,
 ჩემი ყველა სისხრულით ხარობ, -
 და აწყება ყველაფერა შენით!

აღმაფრენა თუ... დაცემა ჩემი,
 როცა მზეხავ ვეღარ ვხედავ არგვლივ, -
 შენი ხელით იწერება მხოლოდ
 ჩემი ყოფნის თუ არყოფნის წიგნი.
 რა კარგია, რომ შენა ხარ ჩემი
 მბრძანებელი და გმორჩილებ შეცა!
 ვული ჩემი აღსაფსება ღსენით.
 დღე ყოველი და ეს მშვეადა 'ხეცა -
 ყოველივე ეს აწყება შენით
 და მთავრდება ყველაფერა შენით!

თარგმანა ნუსტა ბერეჟიკოვა



კონსტანტინე სიმონოვი

ჯარისკაცების სიმღერა



სუთი წყლია, — გადარეული ომით —
 ადამიანთა ცოცხლად მყვამავთ ღომით —
 შენს ღოგინში და შენთან ერთად ვარ მწოლია...
 ჩემს ძოღოდინში სულ ჩემზე ფიქრობს დედა!
 ჩემს ძოღოდინში ჩემზე ლოცულობს დედა...
 ვინ იცის, იქნებ... ვინ იცის, იქნებ — ცოლიც!..

მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს,
 მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს!..
 წყევულმა ტყვიამ, აგერ, ჩაჩქანა ვახოვია...
 ბიჭებო! — ცხოვრება ჭირს!
 ომში ცხოვრება ჭირს! —
 ეხ, ნეტა მოგვცა ერთი ვახვევა მახორკა!..

თუ ღმერთმა ჰქნა და — არ გადამყვამა ღომშია,
 ჩვენების ნახვის თუ მიწერია ბედა, —
 თუ ღმერთმა ჰქნა და — სახლში გამიშვა ომშია,
 გამარჯვებულა, — თავდადებული ბრძოლით, —
 ჩემს დანახვაზე გადარევა დედა!
 კო, სიხარულით გადარევა დედა!..
 ვინ იცის, იქნებ... ვინ იცის, იქნებ — ცოლიც!..

მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს!
 მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს!..
 ე, ბიჭო, — ტყვიამ შენი ჩაჩქანიც ვახოვია!..
 ჭირს, ნამდვილად ჭირს,
 ომში ცხოვრება ჭირს, —
 რა ვახდა ახლა ერთი ვახვევა მახორკა!..

თუ გაწერა ღმერთი და გადამყვამა ომშია,
 უზარმაზარმა, გაუმაძღარმა ღომშია, —
 თუ დაბრუნება არ მიწერია ბედად,
 თუ ჩავრჩი სადმე, — უცხო მიწაში, მწოლი, —
 დამეტანჯება ჩემი საწყალი დედა!..
 ცხარე ცრემლს დაღვრის ჩემი საწყალი დედა!..
 ვინ იცის, იქნებ... იქნებ ატირდეს ცოლიც!..

მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს,
 მოვეშვათ ახლა ამაზე ფიქრს, —

შენი ჩაჩქანოც თხერში ტყვიამ გახოკია...
ჭირს, ცხოვრება ჭირს,
წინ, პიჭებო, წინ! —
იქნებ ვიშოვოთ ერთი გახვევა მახორკას...

თარგმნა გივი კნელაძემ



მიხეილ ლუდინი

თოვლი

მკაცრი ქარბუქი შემიჩერე,
რა უმოწყალოდ ცემს.
ხევში გოგონა ფეხშიშველი
ვარდისფერ თოვლზე წევს.

ქარი თმის ფერფლს გვანდობს,
ცივ ფერფლში ხუთუ ჩაერჩები.
ბავშვები მესიზმრება რატომ!
ჩვენ ხომ არა გყვარს ბავშვები!

ღამეო, ღამეო, ვერ მიშველი,
სიმშვიდე ჩემთვის მოსპე.
მესიზმრა გოგონა ფეხშიშველი
გახისხლიანებულ თოვლზე...

თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ



მიხეილ ლუკონინი

ზოგადი

მე მოვდიოდი. თითქოს უცხო ხედავდა თვალი.
ვედარ შემეცნო ის ადგილი სადოვი ვაღის,
ხადაც ერთმანეთს ვხედებოდი თრთოლვით...
აქ ვოველივებს უნაზესი ემობა თოვლი.

ვიდოდით ერთად, შენი ხელი ჩემს ხელში იდო,
 მაშინ ზამთარიც არ მიგრძენია, არც იყო თითქოს.
 ვერც სახლს მივაგენ, ველარც სარკმელს, — ისე ავცეცდი,
 და დამნაშავე არ ვაყავით მაინც არც ერთი.
 არც თმი იყო დამნაშავე, — ის გზები ბოლოს
 ბედმა გაშყარა. ის ზამთარიც ჩამოვიფვრთხე.
 ჩვენ გულუბრყვილო მეგობრობა გვეგონა მხოლოდ,
 რასაც ამურმა სიყვარული უწოდა ერთხელ.
 მახსოვს ის ღამე, მიგაცილე შანამდი თდეს,
 ამოვირბინეთ ფუსფუსით კიბე,
 მე ხელში შენი პორტფელი მქონდა,
 თან ორივენი ვჯახირობდით, — გაგვეღო კლიტე...
 — ნუ, ნუ გაიხდი, კიდევ ცივა, ჩემო პატარა,
 შენ მიბახუსე: — მო, მაისი ჯერ არ დამდგარა.
 და მე წავედი, მე მოლიპულს გავყევი ქვაფენიღს.
 ო, დამიჯერე, სიმატლგა ეს ყველაფერი.
 როდი ესუაღთმაქცობ, მეგობართ, შენთან ვალში ვარ,
 რა ვქნა, ხატოცხლის სიყვარულმა მთლად დამამშივა...
 ახლა კვლავ გიხმობ იმ ძორეულს, ერთადერთს, წმიდას,
 ეს — შენ აღვიბებ ყოველივეს, მე ვცოცხლობ რითაც.
 ხხვა სიყვარულიც იყო მერე, რაღაცა იყო...
 თუძც ვერაფერი შეედრება იმ ზამთრის სიბობს.
 კვლავ იმ გზას მივდევი, იმ წლის ხსოვნა მიფანტავს ნისლებს,
 ისევ და ისევ იმ ფიფქების ვედრებას ვისმენ...
 თითქოს მეძახის გამოწვდილი შორიდან ხელი,
 რაღაცას ვეძებ, იმ ძახილში რაღაცას ვეღის..

თარგმანი მონარი შალვაშვილისა



ვასილი ფეოდოროვი

მონური სისხლი

იმ სისხლთან ერთად, თმში რომ ვღვრიდით,
 სისხლთან, რომელიც გვხდიდა გშირებად —
 შერეულაა მონური სისხლიც,
 ისიც ჩვენს მარღვში მიედინება.

 იმ გმირულ სისხლთან, რომლითაც ვხარობთ,
 იმედსა რომა თანამოძმეთა —

ისე, ვით წუმბე შეერთოს წყართს,
მღვრიე ნაკადი მოდის, მოწვეთავს.

მას ვერ იბოვის ექიმის ხელი,
უჩინარია, მაგრამ ღვიძლია...

სანდახან ვაგრძნობ სიფრთხილეს მხდალს
და ჩემს თავს ვეჭყვია:
— ეს ის ხისხლია!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხისხლი მონისა, რომელსაც უნდა,
დაფართოს თავის ნამდვილი სახე.
ის ჩვენივე სულში ფათურობს მუდამ,
გამცემა ციხეს შიგნიდან აღებს.

ის ქვემძროძია შემძვრალი სულში,
ის ტკბება როცა ვიქცევით მხდალად;
მას ვერ დაახლი ცხელ ტყვიას გულში,
ვერ ასღვევინებ საშინელ დაღატს!

მაგრამ მე ვიბრძვი გაჩენის დღიდან,
ვერაგინ ხედავს ბრძოლის ველს გამლილს...
წლებს მისდევს წლები, მე ვიბრძვი ფსიზლად,
რომ მონა ჩაკვლა საკუთარ თავში!

თარგმნა თაღო ბაქიშვილმა



ბორის სლუსკი

ფიზიკოსები და ლირიკოსები

ფიზიკოსებს აქებენ,
ლირიკოსებს — აღარა,
განაბულან ჩანგებთ,
გატრუნულა ნაღარა:
ხელა იაფდებიათ
ვარდები და იები,
აღბათ ხუსტი ფრთებია —
ჩვენი ზუსტი იამბი.
თვლემენ ჩვენი ცხენები,
ხსვისი კოშკი შენდება...

ფიზიკოსებს — ცსონება!
ლირიკოსებს — შენდობა!
ვათელი დღეებს მზიანებს
და სახსვისი ტაროსებს,
კი არ მაღიზიანებს,
მხოლოდ მაინტერესებს.
ვიტყვია, — მორჩა! გათავდა! —
ირვის მოვერიდები:
გზას უთმობენ თანდათან
ლოგარითმებს — რითმები.

თარგმნა ვახტანგ ჯავახიანი



დავით სამოილოვი



პირველი თოვლი

მდინარის პირი თხლად იყინება,
 აქა-იქ უკვე ვერცხლისფრად ბრწყინავს.
 წყალს მოეწყინა თითქოს დინება,
 ცად ამადლება და მოხვლა წვიმად.
 თითქოს მობეზრდა სიმღერა ლაღი,
 ღელვის სურვილით აღარ ინთება.
 თითქოს მარადი დინებით დაღლილს
 მოხწყურდა ძილი და გარინდება.

ღრუბლები ზეცის აუჩინარებს,
 ლივლივა ტალღა ბინდმა დათალხა.
 წყალს მოეწყინა ყოფნა მდინარედ,
 ყინულის ისვევს ტანზე არტახად.
 აწი სიმღერა-ბუტბუტის ნაცვლად —
 აწკრილდება ყინული მკაცრად.

როგორც ხაყდარში მშუადად, უვნებლად —
 დიდ სიჩუმეში შედის ბუნება,
 ძირს დაფენილა ფოთოლთა გროვა...
 დასრულდა გზები, ღელვა, ცდუნება,
 აჰა, საცაო დაიწყებს თოვას!

თარგმნა თედო ბაქიშვილმა



ალექსანდრე მუჟიროვი

ჩაფიქრება

თვრამეტი წლიდან მოგვინდომა მიწამ დამარხვა.
 თვრამეტი წლიდან ჩვენ მსრჩოლავი კვამლი გვლოკავდა.
 ეფინებოდა აბოლებულ მიწას კადამსმარს
 ფერფლი სხეულის... და ხკდებოდა ყულფი ბლოკადის.

საუკუნოვან ქვიშებს ცივი წყალი ფარავდა
 და მდინარეებს აქაფებდა სომალდთა ბორგვა.

სიცოცხლე მაინც ჩვენს მიწაზე იყო მარადი —
 აშრიალებდა კიდით-კიდევ ოქროსფერ ხორბალს.



ვუცვლიდით წვიმებს და ქარბუქებს მიმართულებას,
 ვუტევდით ფიქრით — უკეთესი წლები გველიან. უკეთესი წლები
 ჩვენ მივიტანეთ სამსხვერპლოზე წრფელი გუდგნის მსახურად.
 უიღბლობაზე ახლა სიტყვა რა სათქმელია.

რა სათქმელია. მაგრამ მაინც რად ვნაღველიანობთ?
 ლექსებია და გარეთ წვიმის ჩურჩული გვსიბღავს.
 რად ვნაღველიანობთ? რაც ვიარეთ და ვითამამეთ
 ჩვენს თვალეშშია ჩარჩენილი სევდად და ღიბრად.

რად ვნაღველიანობთ? ოცა წელი ახლა ჩათივდა,
 ცხელია სისხლა. სიყვარული მღერის ბაგესთან.
 საქმეც ის არის, ჩვენ არა ვართ იშათთავანი
 ვინაც ბოლომდე საჭაბუკის ნაღველს დანებდა...

ხვალ შეიძლება გაგაღვიძოს ვაგონის რყევამ,
 ბაქანთან ახლოს დაინახო ტყის გაღვიძება.
 დასტოვებ ვაგონს, ლურჯ განთიადს გადაეხვევი
 და შენ მიხედები, რომ სიცოცხლე ახლა იწყება.

ო, რა კეთილი დრუბლებია — ბამბის ტოტება —
 დაფოთლილ მიწას ეხებთან სელასგულებით.
 ასე გგონია ღღეს არაფერ ადარ მოკვდება —
 საფლავის ჯვრებაც გაყდენთილა წვიმის სურნელით.

ვინ შეეხება ამ სიწმინდეს! ვინ გადაქელავს!
 არ მიძღერია მე ტყუილად — ამ სიერცით ვცხოვრობ.
 ო, ჩემო მკაცრო საჭაბუკევ! ო, გამარჯვებავ!
 ჩემი ნაღველის სათავე ხომ შენა ხარ მხოლოდ!

თარგმანა ვანო ნანიკაძე



ვლადიმერ სოლოუხინი

მ ზ ე

თანაბრად იღვრება მზე,
 თანაბრად ნაწილდება, წესით და რიგით,
 იმდენი, რამდენიც საჭიროა.
 ვისაც რა ეკუთვნის, ამა;
 ყლორტსა და ბაღახს — ცოტა,
 ნერვს — რა თქმა უნდა, მეტა,

ხეს — კიდევ უფრო მეტი.
 თვალს მიეფარება ხანიდან ხანობამდე.
 ხალამოს იძინებს, იღვიძებს დილით,
 ხელითაც შეეხე, თუ ვინდა,
 ხომ არა გგონია დაგწვას!
 მზეს შეუძლია შრომა, მზეს შეუძლია ძილი



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

მაგრამ ზამთრიან ბნელ დამეებსში,
 როს მანათობელი მზე კი არა —
 ვარსკვლავებიც კი არ ჩანან ქვეყნად
 და ამ უსაშველო ყინვა-ყიამეთში
 შენც გადაწვეტილი გაქვს იმედი —
 გამოჩახჩახდება გაზაფხულის მზე — თქროს დაირა
 და იმ წუთშივე, თვალსა და ხელს შუა,
 ააფრიალებს ცეცხლის ბაირაღს.

თანაბრად იღვრება მზე,
 თანაბრად ნაწილდება, წესით და რიგით,
 იმდენი, რამდენიც საჭიროა.
 ვისაც რა ერგება, იმა:
 ერთ კაცს — ერთი მუჭა, ცოტა,
 მეორეს — გაცილებით მეტი,
 მესამეს — ნამეტანა ბევრი...
 თვალს მიეფარება ხანიდან ხანობამდე.
 თამამად შეგიძლიათ ხელი ჩამოართვათ
 ამ ადამიანებს,
 თანაც ბრეზენტის სელთათმანის გარეშე,
 ასე რომ, ნუ გექნებათ შაში და რიდი —
 ქალები მათ ისე კოცნიან,
 არაფერ ტუჩებსაც არ იწვავენ;
 ემშვიდობებიან ბოლოს ერთმანეთს და...
 ყველა თავისი გზით მიდის.

მაგრამ წუთებსში,
 როს მზე კი არა,
 ვარსკვლავებიც კი არა ჩანს ირგვლივ,
 როს კაცთა მოდგმას შიშისმოძვერულად
 და რაღაც ავის მომასწავებლად
 გაეყინებათ ხისხლი და ტვინი —
 გაიკიაფებს უეცრად შუქი!
 ავიზგიზდება აღად და იწვის
 მშვიდი, ნეტარი, საამის ფრთვიანით...

და გახარებულია ხალხი,
 მიდიან, მოდიან, დგანან...
 გამოწვდილ ხელზე უწვდიან ხელს,
 ხალამზე აძლევენ ხალამს.

ყველა მათგანშია მზე!
 მხოლოდ დროზე უნდა იფეთქო.
 მერე რა ვუყუთ თუ ცოტა,
 ცოტა აღმოგაჩნდა ცეცხლი! —
 პატარა ბაღახიდან თურმე,
 თურმე გაიზარდა ტოტი,
 ტოტზე ამოვიდა ტოტი,
 ბოლოს გამოვიდა ხე;
 ხემ ხე მოიყენა გვერდით, —
 გაჩნდა ვეებერთელა ტყე...
 და უფრო ღამაში გახდა ქვეყანა.



თანაბრად იღვრება მზე,
 თანაბრად ნაწილდება, წესით და რიგით,
 იმდენი, რამდენიც საჭიროა.
 ვისაც რა გერგებათ, აჰა!

თარგმანი იორანო ვაჟა-ფშაველას



მეხანი ვინოკუროვი

ჩემი ოსტატობა

შენ, ოსტატობავ ჩემო, ქვეყნიდან არა გყავს ცალი.
 შენ ის ბურთი ხარ, რაიც კარში გავსავენებს ძალით.
 შიშველი არსი, შენ ხარ დარტყმა პირდაპირ, სწორი.
 შენ უმოკლესი გ'ხა ხარ. დიას, წერტილებს შორის.

შენ, ოსტატობავ ჩემო, ქვეყნიდან არ გყავს ბადალი.
 არა, შენ არ ხარ მეტაფორა, არც შესადარი.
 მომეცით აზრი! — რას მივალწევ სიტყვათა ფრქვევით?
 ოსტატობაა, ოსტატობას რომ გაექცევი!

თარგმანი ხუტა ბერულავას



ვლადიმერ სოკოლოვი



არ მიყვარს ვერცხლის ხმალი პირბახრი,
 არც ოქროებით არ მიყვარს კვეხნა,
 ამ წვიმაზე და ქარზე ბვირფასი
 ჯერ არაფერი მახილავს ქვეყნად.

ნაცნობ სურვილებს თავზე დავხარი,
 კვლავ არ ვიცილებ ერთგულ მათარას.
 მინდა განგებამ ვერცხლის ჭადართით
 ამ ოქროს ხალხში დიდხანს შეტაროს.

მნელია, მუდამ მალთ თავი და
 ბოლოს ყოველთვის იკბინო ნეკზე,
 იყო პოეტი —
 თავისთავადი —
 და წერდეს ხულ სხვა პოეტის ლექსებს.

თარგმნა ვახტანგ ჯაფარიძემ



ვლადიმერ ციბინი

აზიის სტეპი

სმება ბაღასი, ველი მოგორავს
 თითქოსდა ურმის ბორბლების ქვეშე...
 და ეფინება მტვერი მონგოლურ
 ქვაკაცთა დაწვებს. გარშემო კვნების
 მათი ნახუნთქი ზეცა და მიწა...
 და მღუმარების ლურჯი ყინული...
 მოუსვენარი მზერით მიიწევს
 დახავლით შორი დრო განწირული.
 ბრტყელწარბიანნი, მძლენი, დუნენა...
 ქარაა მათი ბედის სავანე.
 პირქუშად გვჭვრეტენ მიღურსმულეები
 თავის უძველეს დროთა სამანებს.

ჩემო აზიავ,
 ცხენის ქაჩაჩებს
 უხსოვარ უაშთა გრგვინვა-გრიალი
 შენ მიაყინე...
 შენ შემაჩიე
 ხელში შენს მაწას — დოულათიანი.
 მზრდიდი... შენ იყავ მღერალი სამწრით...
 ამაყენე და გამმართე ლანდი.
 დაღლილს მბურავდი ოქროვან სიზმრით
 და ერთად გვედგა გვირგვინი ცხადის.
 ო, მახსოვრობის ქართო ფრთაცვივო,
 შენც ჩემი ბედის მაწას სუნსულით
 უქროლე —
 ხანამ იმ ქვაკაცივით
 მეც გარდასულზე ვარ მიღურსმულა...
 ვიცო, შენ იყავ სმალა პირველი,
 მუდამ ფრთხილი და მიზნის მძებნელი,
 როგორც ვაზირთა ეჭვით მზირველი
 მოხუცი მეფის თვალი ბებერი...
 ნეტავ თუ ვაგრძნობ, სტეპო, აღმთქმელი
 ხმით დაღადებას,
 მიღმურს, დათოვლილს
 წუხილის თოვლით — და ყოველ მხარეს
 ამ საყიწროვით და საფართოვით
 დაღლილს — ველების, ძვალის მკვეთავი
 სმლების მხარეში —
 სადაც გავიარ...
 სად სარდაფებში სპილენძს სჭედავენ,
 სადაც ფუმფულა მღედრნი ჰყვავიან.
 ო, აღტყინების მხარე ველური,
 მწარე აფხანდი... ბედისწერული
 ცვენა ვარსკვლავთა
 მიწაზე, სადაც
 ეტევა ბევრი სხვადასხვა რამე —
 საზამთროს ნაჭრის მთოვარე ლანდად
 აკრია ნესვის ხანთლების ღამეს.
 საქსაულების ალით ნაცემი
 უდაბნოები, წითლად ფერილი...
 კასპიავ, ირგვლივ იმ ქვაკაციების
 ნაცვლად — კოშკები, ცად აჩხვერილი.



თარგმანა ჯარჯი უხონველია



სტანისლავ კუნიცევი



* *
 სომ ერთხელ ეცოცხლობთ ქვეყანაზე,
 უნდა ვიხაროთ,
 უნდა ერთმანეთს მეგობრულად მივაყრდნოთ მხარი,
 გულადან მაინც ჯანდი უნდა გადავიყაროთ,
 როცა ყინვაა და ქუჩაში სისინებს ქარი.

არ გაეკაროთ გულებს დალატი,
 სომ კარგად ვუწყით,
 მალე ყველა იმ ქვეყნად წაუღოთ,
 ნუ გაგეცოდებთ სხვისი ტალანტი,
 და უნიჭობაც ვაბატოთ მაგანს და მავანს.

ყველას გვაქვს ჩვენი მძიმე სიზმრები,
 ცხოვრება ზოგჯერ მართლა ბედაა,
 რა ვუყოთ? ვადრე ამ მიწაზე ერთად ვიქნებით,
 მტრობაც, მოყვრობაც ჩვენი ხვედრია.

თარგმანა შოთა ქავთარაძე



ეზგენი ევტუშენკო

* *
 რა ძალა იყო, ნეტავ, ის ძალა,
 რა ვნება იყო, ნეტავ, ის ვნება,
 მე რომ დავყავდი კარიდან — კარად
 და არ მაძლევდა დაცემის ნებას?

რისი ბრალაა, რომ არ მთავრდება,
 ან რის გამოსა, რომ არ მშვიდდება
 ჩემი ამბოხი და აზავოება,
 თაუქარიანი ჩემი დიდება?

იმის გამოსა, რომ მშობა მიწამ,
 სადაც სუსტები ვერ მკვიდრდებიან.

ჩემს სულს აღმოხდა ეს ზეცა ფიცად,
ეს ტრამალები ჩემი ფრთებია.

ჰო, რუსეთია ჩემი მშობელი,
სწორედ ეს ხალხი და ეს ბუნება...
ჩემი შვილობის უარპყოფელი
აქ ერთი ქოსიც არ მეგულება.



მადლობელი ვარ მე ჩემი ხვედრის,
რაც მერგო ჩემდა ლხინად და ჭირად, —
პეჩორელი ვარ პეჩორას გვერდით,
ლადოგელი ვარ ლადოგის პირას.

და რა შევძება, რომ ჯერ ჩიტოვით
დაეფრინავ, დაეძრწი რუსეთის ცაზე,
შეც რუსეთიყვით მხნე და დიდი ვარ,
რადგან რუსეთზე ფიქრით ვარ ხავსე.

მე ვერ ამოვალ დიდხანს ვალიდან,
მრავალი მმართვეს ელდაც და მეხიც,
ყველასი მმართვეს, ვინც მასწავლიდა —
პოეტი იყო, მუშა თუ გლეხი.

და თუმცა ვალი კვლავ რჩება ვალად
და კვლავ ლოდივით მკიდია გულზე,
როდისმე აღბათ მოვიკრებ ძალას,
რომ შევეწიო ჩემს შემწე რუსეთს.

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

□

ანდრეი ვოზნესენსკი

სტრიატიზის გაფიცვა

გაფიცულია სტრიატიზი! კანკანი
მოედო გზაშარას გრეხით და განკალით.

იბნევენ დუბლიონკებს. იკრავენ ჯინსებს:
„აღარ გავშიშვლდებით! შიშვლების ჯინზე!“

ფებს უბრახუნებენ შტრეიკბრესერებს,
ექსპლოატატორებს უქნევენ ხელებს!

„გიცით ჩვენც ჩაცმის და დახურვის ყადრა!“ —
და გადააფარეს პოშაღას ჩადრა.



სად ხეხეს ეს ჯუბა, სად გააქუცა!
ტარანით ვეტერანს თან მიაქვს ქუჩა!
ოცდაცხრის, და თითქმის ტირაჟში გახული,
დაქალებს მიმართავს სწორედ ის ახული:
„პროცენტი გვერგება ჩვენც ოვაციასი!
პენსიაც! — აღრე! (ვით აქიაციაში).“

„უნდა გაიხადო ძორტემა, წინდები!
იძას ეან დაემებს, მუღამ რომ ვცვივდებით!“

„საქმეს ხასლაფთართოდ სულაც არ გავიხდით,
და ამიერიდან სულაც არ გავიხდით!“ —
და ერთმა მრისხანელ შეაკრა შუბლი
და ძვირფას შეუღლეს მიუწვია... ჯუბით:
„ფიხო, კო! სად თქმულა გახდილი ფიხო!
არ მჯერა, რამდენიც არ უნდა ფიცო!“
„ექიმო, გაფიცვას მხარს ვუჭერ ამჯერად:
არ ვიხდი — როგორც ვარ, ვგრევე გამჭვრით!“

ერთმა, ტიტლიკანამ, ხასწრაფოდ გადიცვა
და შეუერთდა გაფიცვას:

„ბევრი გაქვთ ჩემფერის ველა და ვასში!
თქვენ შემოქმედებას ძირშივე ახშობთ!
ვერ მნახავთ დღეიდან გაჯვიმულს პოზით!
არა ვარ მე იხა... არა ვარ... იხა...“
„შევიკრავ ყველა დილს, და ყველა დარბაბს
დავხურავ: ვაცხადებ მეც სოლიდარობას!“

ვენერას მოკლე-ხახელოება კაბა ჩააცევს ლურჯი კაბლებით!
მის ხანახავად გაფიცულები მოვიდნენ! მომგვსენ თან შეგობრება!
მიქელანჯელოს ადამს ტიბს ამრობს დოგმატიკოსი — წვერება ტიბი!
ამრობს მტომორით, თანაც დუდღურებს: „ადამს—უდედოს—ხად პქონდა ტიბი!
ბიქსტის პლაფონზე თეთრი კანჭების
სიძიმვლეს შაცთურს ფარავს ჭინჭებით!
შეძვრენ პეპლები ღამას ჭურვებში!
შეძვრენ ყველები საჭაპურებში!
შეძვრა მანქანა თავის ვარაჟში!
შეძვრება თვითონ დეღამაწა დიდ ნივარაში!

გაფიცულია გაზაფხული, გვაგილი, ბუტკო,
ელის ყვაგილი გაფიცული გაფიცულ ფუტკარს!

გაფიცულია ჭეშმარიტება!—წინ აღფურცელა ლეღვის ფოთოლი
ვინ ააფარა! ან რკინის ფარდა ვინ ჩამოუშვა—რკინის გოფოლი!

აიმღვრა ქვეყანა წყურვილით, შიმშილით.

შიშველი შია და წყურია შიშველი.

შიშველს და ჩაცქულს კი ის კარგად არჩევს!

სტრიატისში — გაფიცვია! ის გაიმარჯვებს!



ეროვნული
წიგლისთავა

თარგმანა ტარამელ ქანტარიაშ



ბელა ახმადულინა

* * *

ბიჭო, გამვლელო, შენი გზით წადი,
თვალს ნუ მაყოლებ, ნუ მისდევ სიზმარს.
ვისაც ვუყვარვარ, იგი მწაღია!
იცოდე თანაც: მე კაი ხნის ვარ.

ო, ნუ ინქარებ, ნუ მიმზერ უქმიად,
ხარბი თვალებით ნუ დამაკვდები:
ეს ძველი ტრფობის ეუსმა და შუქმა
მოაოქროცა ჩემი ნაკვთები.

მიგრილებს ღოყებს თებერვლას ყინვა...
თუთრი ფიფქებით ცა იგარსება...
კვლავ სიყვარულის ნათელით ბრწყინავს
სახე და მთელი ჩემი არსება.

თარგმანა ეშვარ კვიტაიშვილმა



იუნა მორიცი

ბარადისობის, მაროსა და სიყვარულის ბაღადა

ღამით რომ ბაღში იხილა
მადლენ — ტურფა და ანცი,
მაშინ ჩამარხა პირატმა
იმის მუხლებში განძი.

სად ქქონდა თვალმარგალიტი
მეფასებული ძვირად,
ის გახცო, რაიც ებადა
ამ ჩვიდმეტი წლის პირატს.

მაღლენმა უთხრა: „დრო არის,
 ხვანჯარს ადებდე ბოქლომს,
 ჩვენ საღარიბას ტილი გვჭამს,
 სხვებს უწვრიალებს ოქრო.
 მე შენთვის მორი ვიქნები,
 როგორ მოგაწვე დარიბს,
 წადი და თხარე, ხანაშდე
 ოქროს მოხვედება ბარი.“
 „არ მომატყუო, — ჭაბუკმა
 უთხრა, რა ეთქვა შეტი, —
 მე შენს მუხლებში მოქცეულს
 როცა დამეხსმის რეტი!
 შენი ქალური სურვილი
 არ მიაძინო ადრე,
 მთელი ღუნის ოქროთი
 როცა აგავსებ, მაღლენ!“
 შემოიჭირა ქამარი,
 გაქრა წყვდიადნი დამის,
 ასი წლის შემდეგ დაბრუნდა,

მაღლა შეახსნა ქამრის:
 „კუბოს ახადე, სადა ხარ,
 მაღლენ — ტურფა და ანტი,
 რომ ჩავფლა მე შენს მუხლებში
 მთელი ღუნის ჭაბუკუნულს
 ნეშტსაც ოქროს მოხვედება
 მაგრამ იწამე დმერთი,
 არ მომაკარო, არ მინდა
 მოსქროვილი მკერდი!“
 მაღლენმა უთხრა: „ბალასით
 ამოიტენე ყბები,
 ჩვენც ასე ვაძლებთ ამ მიწას,
 როგორც აძლებდნენ სხვები.
 შემოიჭირე ქამარი,
 სიტყვა არა თქვი მრუდი,
 მიწა არის და იქნება,
 ჩვენაა მხოლოდ წუთი!
 ჩვენია მხოლოდ წუთი...
 ჩვენია მხოლოდ წუთი.“

თარგმანა გივი გავაქაძორმა



ოლეგ ჩუხონცევი

რადაცას უდგას სული კრიჭაში —
 შიშს, უმწეობას, მარტოობას, გადაშენებას,
 ასე მარტოხეს არ ესვენება,
 ასე ფათურობს ფესვი მიწაში.
 შორს რად წავიდეო — ფაქტი ცოცხალი:
 მწიფს ალუბალი, შერევია ალუბალს ბალი.
 დილას დიმილით მეუბნება მეხოზლის ქალი —
 ჩვენს ბაღჩაშიაც გადმოსულა თქვენი მოცხარი.
 მარტო მოცხარი? მოხდებია ღობეს და ყორეს
 აქეთ ანწლი და იქით ჭინჭარი,
 მღელთ მინდვრისკენ და მინდორი ტყისკენ იჩქარის,
 ტყე კი მაღის და უკრიდება იდუმალ შორეთს.
 ხაით? ვან უხმობთ? სომ სულ ერთია
 ხად დაინთქმება სული ეული,

მიწა არის თუ ვარსკვლავების გზა შორეულ...
 და მაინც, მაინც უსასრულო სივრცეს ელტვიან.
 ასე ყოფილა, ასე არის... ვერაფერს იტყვი,
 ქვეყნად მართო ვართ, მართლობით არ ვვსვენება
 ძვირფასო ჩემო, უცხო არის შენი მშვენება
 და გული შენსკენ ასერიგად იძიებო ილტვიან.



თარგმნა შოთა ძავთარაძე



სერგეი ბარუდინი

ანდრეა ლემენტოვს

გენიალური აზრები, ძმაო,
 ნიადავ ღამით იზადებიან,
 დღისით კი, დღისით იმ აზრებიდან
 სრულ უაზრობად იქცევა ბევრი...

ვაცს ღამით უნდა ეძინოს, დიას,
 ჩვენ უყოყმანოდ ვენდობით ექიმს,
 რომ სჯობს გვეძინოს, ვიდრე ვფხიზლობდეთ,
 რომ უძილობა მტერია ჯანის.

მაგრამ მე და შენ როგორ მოვიქცეთ,
 როგორ მოიქცნენ ჩვენისთანები,
 თუკი ხიყრშიდან, ომის დროიდან,
 თუკი სხვა განრიგს ვართ მიჩვეული?

თუკი ბრძოლაა შუაღამისას,
 თუკი შორს, სადღაც ისმის გუგუნო.
 თუკი იქ ჩვენებს ვჭირდებით ძალუმ
 და არღა უწვი, რა გველოდება?!

თარგმნა ხუტა პერუწანავა



მუსა ჯალილი

უკანასკნელი სიმღერა

რა სივრცეა, რა მიწა
ჩემგან დამორებული.
მსოფლიდ ჩემი ციხეა
ასე ჩაშაფებული.

ცაში ფრინავს ჩიტუნა,
ფრინავს შეუსვენებლივ,
მე კი ვწევარ ცივ ქვაზე
შებორკილი ხელეიით.



ეროვნული
სიზღინითეკა

მინდვრად ფეთქავს ყვავილი,
ხილამაზის ნაყოფი,
მე კი ვწკნები ციხეში
და ჰაერია არ მყოფნის.

ვიცი ძალა სიცოცხლის,
მისი მძლავრი საქმენი,
მაგრამ ჩემი სიმღერა
არის უკანასკნელი.

აგვისტო, 1943 წ.

თარგმანა ავთანდილ ბურბანიძემ



ალიმ კეშოკოვი

ბ ა ბ უ ა ფ ვ ე რ ა

მშვიდ, მშობლიურ, თვალუწვდენელ ველად
იზრდებოდი ჩუმად, უზრუნველად.
შენ არ გაკლდა ხალადე და შვება, —
და მიტომაც იყავ ფუშფუშელა.
მაგრამ შენი სასიცოცხლო ფაში
ხანმოკლეა! — და მკლავს კაეშანი:
ხულ თღნავად დაუბერავს ქარი
და ხაწუთრო შენთვის აღარ არი...
ან არადა, ცხენოსანი ვინმე,
ფრენაში რომ ტოლს არ უდებს ფრინველს,
გამოჩნდება, ნაბადს გაშლის ფრთებად,
ხვდება ლხენით ცხენის დაფეთებას...
ტორმოსვედრილს მოგეპტვრევა ღერო,
იფანტები, როგორც თივის ბრელო...
და ჭიხვინით გადარეულ წითლონს,
შენს გვერდითაც არ ჩაევლოს თითქოს,
მიაქროლებს თავაწეულ მხედარს, —
და მხედარიც ხედავს, თან არც ხედავს,
რომ ყვითელი ყვავილება შენი

ქარს მიმოაქვს გრიალით და სტვენით,
რომ გათქერილ სამკურნალო ბაღას
აღარა გაქვს აყვავების ძალა...
ჩემმა ტკბილმა მეგობარმაც ასე
გამიტესა გული ტრფობით ხავსე,
მერე აღარც მოუხედავს უკან,
ჩაიარა ყველაფერმა უქმად...
თან წარიღო გული ცოცხალ-მკვდარი,
სულ არ ჰქონდა აღბათ ცოდვა-ბრალი.
წარიღო და, მასთან იყო, რა ვქნა,
თღონდ სუდ არ დაეხვიოს ხვართქლა...
ახლა ჩემი სურვილია დიდი,
ცხოვრებაში ჰქონდეს ცოტა რიდი,
ფრთებაწყვეტილ ქარიშხლად რომ იქცეს,
ბოროტებად არ მოუღოს სივრცეს...
სიკეთეში ამ ცხენოსანს სჯობდეს,
ან ყოველთვის, ან არადა 'ხოგჯერ.
მინდორზე რომ ყვავილს დასცა ბნედა
და მოშაკვდავს არ დახედა 'სედაც...



თარგმანა შალვა აპისულაშვილმა

□

ალამ შოგენცუკოვი

ეკალ-გარდებს შორის

ეკალ-გარდებს შორის, მაღალ ფერდობებზე,
იქ, იქ სადაც ხუნთქავს გული სასიკეთოდ,
სადაც ჩიადვრები,
ფაფარაყრილები,
სტიან ღობებზე,
გზა რომ ჩავაკეტონ.

დაე, როგორც ცეცხლმა,
დამწვას მცხუნყარებამ,
შბერონ გრივადლებმა მთელი თავის ძალით,
დაე, დვართქაფების მცემდეს მათრახები,
მუსღებს მიკვეთავდეს ფრთები ქარიშხლის.

სხვა გზა არ არსებობს
ჩემთვის გასაველელი,

ეს გზა მთავარია, —
 ბრწყინავს სხვა ელვისად...
 უნდა ისწრაფოდეს მხოლოდ მწვერვალისკენ —
 ვსურდეს თავისუფლად სუნთქვა პაერიხა.



თარგმნა ბრიგოლ ჯაბუაშვილი
 შინგულიძისთვის



ყაინის ყულიევი

* *

მე ვიცი, ვიცი, რასაც ნიშნავს უსახლკართობა,
 დღევანდელი მქონია ისე შავი, როგორც ყორანი,
 მაგრამ მაშინაც ჩემს თვალებში ელავდა მუდამ
 ხე მწვანე, ქალი, ვარსკვლავები, განთიადები,
 და ფროთაგაშლილი ჩიტები, ზუდიო ამოფრენილი,
 და მახაროდა, წყაროს წყალს რომ ვეწაფებოდი,
 და იმ შავ დღეშიც მივიღებოდი თოვლიან მოთხვეს.
 ო, თეთრისა და შავის ბრძოლა მარადიული!

* *

აი მე ასევე ჩემს აულში ვარ,
 ძველ სახლში, სადაც გვიანვამამდე
 მე იაენახას მიმღერდა დედა,
 თანაც თეთრ მოსოთან ხედავდა მთვარეს.

აქ, ამ გერახთან იჯდა, მელოდა.
 კლდე ჩრდილსა ფენდა სახლის ერდომდე.
 აპანდე სკამი, რომელზეც ქსოვდა,
 მდინარეც, რომლას წყალსა ზიდავდა.

ხად არის მისი იაენახური?
 მე დაებრუნდი და ვერ ვპოვე იგი.
 გამქრალან მისი ფაცხი პანგება.
 დედის სმაც კლდეებს შორის გამქრალა!

თარგმნა სუსტა ბერულავა



რასულ გამზათოვი



მეგობარ კომბს

კვლავ ჩამოთოვა კადით კადემდის,
 თუ თეთრუაფრიან ფიცხი ცხენებით
 მოპქრიან ძველი მიურიდები,
 შეუსვენებლავ, ჭენებ-ჭენებით!

მე მოეიხადე კერასთან ქუდა,
 შემოვიფერთხე ჭადარა ავდრის.
 ამ წლების გუგუნს ვადარებ წუთათ
 ნამქერს, რომელიც გარშემო დადის.

იფურცლებოდნენ კალენდარები,
 თუმცა მოდისთვის არ ვიცვლებოდით,
 მოპქროდნენ წლები, როგორც ქარები,
 ჩვენც ვიცვლებოდით და ვიზრდებოდით.

მე და შენ ხშირად ვცდებოდით მართლა,
 დაეშავებულყარით ცხოვრების გზაზე,
 და არ ვმალავდით ახელაღ თვალთა,
 მწარე ცრემლებით რომ იყო სავსე.

მახსოვს: ქვახავით მძიმე და მქისე
 დარდა რომ გველო გულში, მხახვრადი,
 ვიდრე ყაიხინ ვულიევს ისევ
 მშობელ კერასთან არა უნახავდით.

გაძალე წიგნი მეხსიერების
 და წარსულის წინ გასხენ კარები.
 დავიზარდენათ. — არ გეფერები, —
 ამ ბობოქრობით და მღელვარებით.

მე და შენ მოგვცა არწივმა ფრთები,
 არც არასოდეს დაუწვრილმანდებით,
 ვით სოვიერთი... არა, მუსთაი,
 ჩვენ სომ სხვა გზა გვაქვს, გზა საკუთარი!

ჩვენი ჭადარა, შლეგი თავება
 ისევ სავსეა ლაღი ფიქრებით,
 ჭაბუკებივით გამბედავები
 დასასრულამდე ასე ვიქნებით.

აწ ვერ დაგვღაღოს ვრცელმა ტრაპაღმა,
 ხარჯიხვებივით ავირბენთ ფერდობს...

უნაგირებზე ვსხედვართ თამამად,
თუმცა ვცვიყიდი ფლოქეებქვეშ ერთ დროს.

თოვლზე ვაჩალებთ ბრიალა კოცონს
და ფრთხილთა შაში როდია მოგვეწონს.
კანა ყველასთან ვკადრულობთ დავას, —
ცოტა როდია ცარიელთავე!



ჩვენ განდიდება კი არ გვიტაცებს, —
გვისმობს, გვაჩქარებს გზა, მერე რა გზა!
არა სახელზე, უნდა სიტყვაზე
ვიზრუნოთ ერთად — მკაცრად და ნაზად.

მიწას ხან ზამთრის ხუსხი ევლება,
ხან გაზაფხულის ბორგავენ წყლები,
ყველაზე კარგი მასწავლებლება
ჩვენთვის წლებია, ძმობილო, წლები!

გვწერს ავადმყოფი თავშეხვეული,
რომ უძკლავდება უმწარეს ტკივილს;
გვწერს აღსარებას გზიარეული,
ცხეში რომ ზის და ბედზე ჩივის.

გვწერს მხვნელ-მთესველი იმედით, გზნებათ,
ვერ გავექცევით ჩვენც პასუხს მართალს...
როგორც მერნები, მაჰქრიან წლები
და მათი პოეტის ხინდისი მართავს.

ახლა თოვლია, მდუმარე ხეთა
მაღე ყვავილი აუვებს რტოებს.
ო, რა კარგია, რომ გვერდით ვხედავ
ერთგულ მეგობარს და ნამდვილ პოეტს!

თარგმანა ნუბა ბერულავა



ახსარ კობატი

მერცხალი

მე მიკვირს ჩია მერცხლას ესოდენ
დიდი გული და უკბრო სითბო —
თვითონ ვიპოვნის და ვიმეზობლებს
და საუბარსაც გაუბამს თვითონ.

კაცის სიკეთე სულ არ აშინებს,
თითქოს სიკეთე დაღვრილა ქვეყნად,
რადგან გეტყვის ტკბილს და მაშინვე
ჭერზე კედლები ამოჰყავს მწყობრად
და ბუდეხავით საუბარშივე
იხრდება ჩვენი გაცური ნდობაც.



თარგმნა პირობი ნიჟნიანოვა



შამილ ჯიქაევი

ჯიხვი

გაგვაშრა სიხელი, დაგყარეთ ხორცი
მონადირეთა რისხვით და ვნებით,
ვცოცხლობთ —
მწვერვალთა ტრფიალით ვცოცხლობთ,
ვკვდებით —
უხმოდ და ამაყად ვკვდებით.

ვერ მიგვიტყუებს ბარი მარილით,
შობილით სამთოდ და საიალალოდ,
ბაღასისხათვის სევ-სევ არ ვივლით,
ჩრდილში ძორჩილმა თხამ იბაღასოს.

ჩვენ მთებს ველტვით და მთებზე ვალოცვით,
მთისანი სულით, ხორციით და ფერით
და დაფასრულებთ მცირე სიცოცხლეს
ვარსკვლავებს მომწყვდარ ვარსკვლავთა ფრენით.

თარგმნა ვამა მუზუსიკა



ახმელხან აბუ-ბაქარი

მონიატურები



ავტორის ავანი

დაღესტანი მარტოოდენ მთების ქვეყანა როდია, იგი ხალხების მთიანეთიცაა. ლეგენდის მიხედვით ღვთის რომელიღაც მოციქული თუ წინასწარმეტყველი მიწაზე საესე ხურჯინებით დაშვებულა. ეს ხურჯინები ლოცვებითა და სომოთხის ბაღების ნაყოფით კი არა, ენებით ყოფილა გატენილი. დაღესტნის მთებში წინასწარმეტყველს უცაბედად წაუბორძივია და ფეხი მოუტეხია, გაბრაზებულა, ხურჯინისთვის თავი მოუხსნია, რაც კი შიგ ენები ყოფილა, სულ მიწაზე გადმოუბერტყია. — ახლა იქ რამდენი აულაცია, იმდენი ენა და კილო ისმის. მაგრამ შრავალენიანობა უბედურება კი არა, სიმდიდრის, თვითმყოფადობის, ნაირნაირი ფერისა და სახის დაუშრეტელი წყაროა. ყოველ ხალხს, მცირე ხალხებსაც კი, თავისი განუმეორებელი, მხოლოდ საკუთარი ფერები ახლავს და ამ ფერებით მშვენიერდება ჩვენი მთის საერთო სიტყვიერი ხელოვნება.

ეს პატარ-პატარა ამბები მშვენიერი ფრთახატულა ჩატებით წამოფრინდნენ დარბაისელ მთიელთა ბაგეებიდან, მე ისინი კალპით დაეჭირე და წიგნის ფურცლებზე ისე ავაგე. როგორც მთიელები სამწვადე შამფურზე ფენებად, ნაჭერ-ნაჭერ აგებენ ხოლმე ხორცსა და ხახვს. ეს მწვადი ჩემი ხალხის სიბრძნისა და ენამახეილობის ნაკვერჩხლებზე იწვის, შენ კი, ძვირფასო მეგობარო, ისლა დაგრჩენია, თავადაც იგემო და სხვასაც გაასინჯო.

არწივი და ბუზანკალი

ბულებკელ მთიელს, ალი-ბულატს, ერთი სანაქებო, მშვენიერი ცხენი ჰყავდა. პატრონს რომ წყალზე ჩაჰყავდა ან გოდეკანას წინ ჩაატარებდა, ჯიგიტები შურის თვალს აცოლებდნენ. ბედაურს ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა დოღში და პირველობა აროდეს დაუთნია. ამიტომაც ბედაურს წარამარა აქებდნენ, პატრონს კი არავინ ახსენებდა. ეს ცხენი იმდენი აქეს, რომ ბოლოს ბრმამაც კი წამოიძახა: „ფეხები ნახეთ, კაცო, ფეხები, ლარივით არა აქეს?! თვალზე როგორ უბრიალებს, ჰა!“ „კი, მაგრამ შენ ხომ ბრმა ხარ, როგორღა ხედავო?“ — ჰკითხეს მას და ბრმამაც მიუგო: „კი, ბატონო, ბრმა ვარ, მაგრამ რაღა თვალისჩინი უნდა იმის ცოდნას, რომ ბედაურს, ლამაზი ქალწულის დარად, აშოლტილი ფეხები უნდა ჰქონდესო?“ ალი-ბულატს ეს ცხენი მგლის ხეობაში უპოვია, მაშინ ერთი უსუსური კვიცი ყოფილა, რემას ჩამორჩენილი, ალი-ბულატს უჩხნია, თორემ მგლების კერძი გახდებოდა საწყალი, მოუვლია და აგერ, იმისთანა დამდგარა, რომ ავ თვალს არ დაენახვება. რამდენჯერ უცდიათ მისი მოპარვა, მაგრამ ალი-ბულატი თვალისჩინივით უვლიდა ბედაურს. ახალგაზრდა ცოლის გვერდით კი არ იწეა, ბანზე ათენებდა ღამეს, ცხენი არავინ მომპაროსო.

ერთმა გამოჯაგულმა კადარელმა ცხენის ქურდმა ალი-ბულატს მაინც უხიშანა და ცხენი მოპარა. პატრონი გონს მაშინდა მოეგო, როცა ალაყაფის მიღმა თავისი ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. თავქაჯშეყრილივით წამოიჭრა: ვაიმე,

რალა ვქნაო? მეზობელთან დააბრაზუნა, ცხენი ინათხოვრა და ქურდს კვალში ჩაუდგა. რას იფიქრებდა ალი-ბულატი, რომ მეზობლის ჯაგლაგით თავის ბედაურს დაეწეოდა, და როგორ ჩაწყდა გული, ქურდი რომ დაღანდა. ბოლოს მიუახლოვდა და ისე დაწყდა გული, რომ ვერ მთითმინა და მიამახა:

— რასა შვრები, შე ბოთე, შენა, როდის იყო, არწივად შექნაწი და იქერდა? ბედაური არ შემირცხვინო, ბედაური! მიდი, ფაფარი მამუხანქი მამუხანქი ში ხელი მოუთათუნე: ვერა ხედავ, ჯაგლაგით რომ ვეწევით?

ცხენის ქურდმა პატრონის ნათქვამი ირწმუნა, ცხენი ქარზე უსწრაღესად გაიჭრა ველზე, პატრონი კი სიამაყით გასცქეროდა თავის ბედაურს.

მ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ორი მთიელი წყაროსთან შეიყარა. ერთი მთიდან ცხენით დაეშვა, მეორე კი აულში ფეხით ბრუნდებოდა. პური გატეხეს და ამ მთისა და იმ ბარისა თქვეს:

— აი, ოღონდ გამოიცანი, რა მაქვს განზრახული, — უთხრა მხედარმა, — და ჩემი ცხენი ალალი იყოს შენზე.

— ცოლთან გაყრა და აულის მიტოვება გადაგიწყვეტია... — დაუფიქრებლად მიუგო ქვეითად მიმავალმა მთიელმა.

— წაიყვანე ცხენი, ალალია შენზე.

— რას ამბობ, ამოვიცანი?

— არა, მაგრამ წაიყვანე.

— რათა, კაცო, რისთვის მაძლევ ამ ცხენს?

— იდეისათვის, — მიუგო მან, ქვეითად მომავალ მთიელს ხელი მაგრად ჩამოართვა, თავისი ცხენის აღვირი დააჭვრინა, თვითონ კი ფეხით დაუყვა გზას. იმან რა იცოდა, რომ ერთ დროს ცოლის გამშვება და აულის მიტოვება ამ კაცსაც ჰქონდა გადაწყვეტილი.

ხ ე ვ - ხ ე ვ

ერთი ბილიკით კუდაგუელი ქვრივი ეშვებოდა, მეორეთი — კატაგნელი მთიელი. ორივე ბილიკი გზას შეუერთდა და ქვრივი და მთიელი ახლა უკვე ამ გზას დაადგნენ. მთიელს ზურგზე ქვაბი ეკიდა, ილღიაში ქათამი გაეჩარა, მეორე ხელში ჯოხი ეჭარა და, ყოველივე ამასთან, ერთი რქამალალი თხისთვის თოკი ჩაება და ქაჩვა-ქაჩვით მოჰყავდა. ქვრივსა და მთიელს ხევი უნდა ჩაეჭრათ. ახალგაზრდა ქვრივი შეჩერდა.

— მიდი, რალას გაჩერდი?

— მეშინია!

— რისა გეშინია?

— ეაი თუ ხელი მტაცო და ხევში ჩასულს, რამე დამპართო... — უთხრა წამოწითლებულმა, სახეზე სანახევროდ ცხვირსახოცაფარებულმა ქვრივმა.

— აბა, რას ამბობ, ზომ ხედავ, — დაამშვიდა იგი მთიელმა, — ზურგზე ქვაბი მკიდაა, ილღიაში ქათამი მყავს, მეორე ხელში ჯოხი მიჭირავს და თოკზე გამობმულ თხასაც ვეჭაჩები. მოდა, გაბაწრული ვარ კაცი, რილასი გეშინია.

— ერთბაშად არ დაგიჯერო... შენ რომ ჯოხი მიწაში ჩაარჭო, იმ ჯოხს

რომ თხა შიშაბა, ქვაბი პირქვე დადო, ქათამი შიგ გამოამწყვდო და მე კი გა-
უგონარი საქმე დამმართო, მაშინ რაღა ვქნა...

მაშინ კი ისაზრა მთიელმა, სად უკაცუნებდა ქვრივი და წაწიდახი:
— ღმერთმანი, მე ამას ვერასოდეს მოვიფიქრებდიო!

ხევეში რომ ჩავიდნენ, მან ჯოხი მიწაში ჩაარჭო, ზედ თხარქმანსეჟემი ქა-
თამს წამოამხო და ქვრივის გულისნადები აახდინა.

ასე გასცდნენ ხევს.



ა ბ ლ უ ლ - ა ზ ი ზ ი

ეს იმ ხანებში მოხდა, როცა მთიელების თქმისა არ იყოს, მთის ბილიყებ-
ზე მხეცები კი არა, ყაჩაღები დაძრწოდნენ. კოჭლი აბღულ-აზიზი ტარკამის
დაბლობიდან შინ, სირაგინს ბრუნდებოდა. ურემზე ჭირნახულით საგსე ტომ-
რები ეწყო. და აი, ტრისაჩინის ხიდთან ყაჩაღები დახვდნენ, მთელი ავლა-დი-
დება ისე წაართვეს, რომ ქარქაშიდან ხანჯლის ამოღებაც კი არ აცალეს. დაკ-
ლულ კურდღელს რომ ტყავს აძრობენ, ისე გააძრეს ჩოხა-ახალუხი და უბრძა-
ნეს, იცეკვე და შეგვაქციეო.

საწყალ აბღულ-აზიზს სხვა რაღა გზა ჰქონდა, უნდა ეცეკვა, იმ ხიდზე
დაუარა და დაუარა, თუმცა მანამდე არც როდის ეცეკვნა. მძარცველები ტაშს
უკრავდნენ, მოცეკვავეს ცეცხლს უნთებდნენ, ირგვლივ ვამაყრუებელი სი-
ცილ-ხარხარი იდგა. აბღულ-აზიზმა სული მოითქვა, ერთი საწყალობლად მო-
ხედა ყაჩაღებს, მაგრამ ისინი არ ცხრებოდნენ, ახლა დიაცურად იცეკვეო,
უბრძანეს.

მაშინ აბღულ-აზიზმა იმათ უთხრა:

— ახლა სწორედ დიაცურად ვცეკვავდი, აბა, მე რომ ვაეკაცი ვყოფილი-
ყავ, ამდენ დაცივნას გაგაბედინებდითო?

ცუდახარულებს სიმღერები უყვართ

ეს მართლაც ასეა. ცუდახარულებს სიმღერებზე მზე ამოსდით, ერთმა თუ
წამოიწყო, „ა-ა-ა-ა!“, სხვები მაშინვე ხმას ააყოლებენ. მაგრამ ერთხელ ცუდა-
ხარელები ურემებით მთაში მიდიოდნენ. ანაზდად ერთ მათგანს ურმის თვალმა
ფეხზე გადაუარა და იმ საცოდავმა „ო-ო, ო-ო“ წამოიძაბა და სხვებმაც მა-
შინვე ხმა შეაწიეს: „ო-ო, ო-ო“.

გ ა ნ ი ა რ ა ლ ე ბ ა

ტიტლიყანა ბაღლები საბანაოდ მდინარეში ჩაცვივდნენ.

ნაპირზე მილიციელის ტანსაცმელს, მის ყაწიმს, ქამარსა და რევოლვერის
ბუდეს მოჭკრეს თვალი. რომელი მთიელი ბავშვი იქნება, რომ იარაღის დანახ-
ვაზე თრთოლამ არ აიტანოს! სამუშაოს დამთავრების შემდეგ წესრიგისა და
სიმშვიდის დამცველს გადაუწყვეტია, მთის კამკამა მდინარეში გავგრილდებოო;
ბიჭუნებმა სუნთქვა შეიკრეს, ტუჩზე თითი დაიდეს, ჩუმიად, ჩუნადო, ერთმა-
ნეთს ანიშნეს, შიშისაგან ფერგადალულებმა იქაურობას თვალი მიავლ-მოავ-

ლეს, ფეხის წვერებზე მიეპარნენ მილიციელის ტანსაცმელს და იმას ქვემოდან რევოლვერის ბუდე გამოაძვრინეს და გულისფანცქალით გახსნეს, რა იმედები გაუცრუვდათ, როგორ გაოცდნენ, როცა ბუდიდან ნაგანის მაგივრად გახეთში გახვეული ყველიანი ბუტერბროდი დააძრეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფროსი

ჩვენი უფროსი ისეთი ამაყი და გაყინული ვინმე იყო, რომ რაც დრო და ხანი გადიოდა, თანდათან არავის არაფრად აგდებდა და თავის ცინაზმს გულახდილობად ასაღებდა. ერთ კრებაზე შეუტყეს: სამსახურში ათასში ერთხელ მოდიხარ, მხოლოდ ხელფასის მიღებისას ცხადდებიო და ა. შ. ეგ კი ამბობს:

— ამხანაგებო, უნდა გითხრათ, ცილისწამებაა ეგა, ნამდვილად. ხელფასზე მოდიხარ! ნამდვილად კი ხელფასი შინ მოაქვთ, ახლაც იტყვიო, ცილისწამება არ არისო?

ასეც ხდება

ამბობენ, აფრიკის ნაპირებთან ხომალდი დაიშხვრა, უკაცრიელ სანაპიროზე ერთადერთმა მგზავრმა გამოაღწია და იგი მევიოლინე აღმოჩნდაო. უდაბნოში სამი დღე უწანწალია ლუკმაპურის საძებნელად, მეოთხე დღეს პისკენ მომავალი უდაბნოს მეფე — ლომი უნახავს, თურმე ლომიც მასზე ნაკლებ მომშეული როდი ყოფილა. რა უნდა ექნა ბეჩავ მუსიკოსს? ქვიშნარ ბორცვზე ჩამომჯდარა და გადაუწყვეტია ჩემი გედის სიმღერა უნდა დავუტრაო. შესანიშნავად უკრავდა, ნამდვილი ვირტუოზი იყო.

ლომი ახლოს მოვიდა, ყურბი დაუგდო, ჩაიმუხლა, თავი თათებში ჩარგო და ასე ტკბებოდა ჯადოქრული მელოდით. მეორე ლომიც მოვიდა, ისიც ჩაგდა, სხვებიც მოვიდნენ და ისინიც სმენად იტყვნენ. უდაბნოს მეფეები შემოიკრიბნენ მევიოლინეს ირგვლივ, ქვეყნის არსებობა დაივიწყეს და სულ მთლად მომაჯადოებელ მუსიკაში ჩაიხრჩნენ, ამის დარი რამ აროდეს მოესმინათ.

და აი, შორს ბებური თმაგაწეწილი ლომი გამოჩნდა. დინჯად მოაბიჯებდა და ნახულით გაკვირვებას იყო. უამრავი მისი ჭურის მხეცი ერთ ვილაც მევიოლინეს მისჩერებოდა. ბეხრეკმა ლომმა თავისი თანამოძმეები მისწი-მოსწია, წრეში შევარდა და მძლავრი თათის დარტყმით მევიოლინე უსულოდ დასცაძირს.

ლომები გადაირივნენ, ბებერ ლომს ეცნენ: „ეს რა ჰქენ, ყეყეჩო, როგორ გაბედე? ამისთანა მუსიკოსი არასოდეს მოგვისმენია... იგი ხომ გენია იყო!“ ბებერმა ლომმა კი თათები ყურებთან მიიღო და იკითხა:

— ა?
ბებერი ლომი ყრუ ყოფილა.

დროზე მოისაზრა

ერთხელ, გაზაფხულზე, შილაგის ხეობაში დათვის ბუნაგს მიაღმა ჭინკული კურდღელი, რომელიც ამხანაგებს სულ ებაჭიბუქებოდა, არაფრისა და არავისი მეწინაო.

- აუ, დათვო! — დაიძახა კურდღელმა.
- რა გინდა? — ძილღვიძილში გამოსძახა დათვმა.
- შარშან ხომ გაგაკარი ბეჭებზე? — ეკითხება ღოინჯშემოყრილი კურდღელი.



სანამ გაბრაზებული დათვი ბუნაგიდან გამობობლდებოდა, მისი ძილღვიძილი უკვალოდ გაქრა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა.

- აუ, შე ფეხმრუდევ, შენა!
- რა გინდა, რა?
- ევრევე შემიძლია თავი წაგაცალო, შე ბეჭემოთო, შენა!

დათვს ეს მასხარაობა ყელში ამოუვიდა და გადაწყვიტა, თავზედს ჭკუა უნდა ვასწავლოო. მეორე დღეს დათვი ადრე გამობობლდა ბუნაგიდან და ღრეჭიას მოლოდინში იქვე ახლოს წაიწალა. აი, ის ტაკემასხარა გამოჩნდა კიდევ და იძახის:

- ბურჭგლა, აუ!
- დათვმა ქეჩოში ჩაავლო ხელი. კურდღელი შეშინდა და მერე რა შეშინდა! აცახცახდა, წახდა და თქვენს ჭირსაც წაიღებდა, რომ არ მოესაზრებინა და დათვს არ დაღრეჯოდა:

- მომიტევე, ბატონო, ვეფიცები, ზოდისას მოსახდელად მოვედიო.

იპავ მიზეზით

მაჯალისის გზაზე ორი თავმჯდომარე შეხვდა ერთმანეთს. მუსტაფას აბალთახალი „ვოლგა“ მოჰყავდა, აბდულა ბებრეკ ცხენს დასტყიოდა:

- ეი, ხაპორთეცო! ისევ ღრამია თავზე წაგიდო ძილმა?
- ხელის ჩამორთმევსა და მთაში საკალღებულთ ჯანმრთელობის გამოკითხვის შემდეგ აბდულამ ვერ მოითმინა:

- მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ განდიდრდი?
- ვენახნა გამამდიდრა, ძმაო, მხოლოდ და მხოლოდ ვენახნა...

მუსტაფამ სიბრალულით შეხვდა აბდულას ცხენის შეთხელებულ ფაფარს და ახლა თვითონ იკითხა:

- შენ კი, ჩემო ძმაო, რისგან ვაღატაკებულხარ?
- ისევ იმავე ვენახისაგან...
- რა მოხდა? გაგიფუჭდა?
- რა გამიფუჭდა, დავრგე, რო?...

ც ა ც ი ა

დაღესტანში იყო ერთი მამაცი რევოლუციონერი ბათირ-მირზა. შორს, აულებში ვაგარდა მისი სახელი. ყველგან სასურველ სტუმრად თვლიდნენ, როცა ისვენებდნენ, მასა და მის რაზმს თვით ხალხი გუშავებდა. ბათირ-მირზა ცაცია იყო და მოწოდებებს, ცხადია, ცაციათი წერდა. ერთხელ იდეურმა მტერმა ჰკითხა, ცაციათი რატომ წერო. ბათირ-მირზამ მიუგო:

- იმიტომ, რომ მარჯვენაში მაუზერი მიჭირავს იმას დასაცავად, რასაც ცაციათი ვწერო.





კავლო ზაბრეხელი

ცვარ-ნამო

ღობათ მსგავსი ამბავი არც არაფის შემთხვევად. თუმცა რაც იყო იმის გახსენება არ უყვარდა, ამ ამბავს ჩემად ინტელბდა, უთქმელად განიცდიდა, აკოწიწებდა, აშენებდა. რაც ხანი გადიოდა, ეს ამბავი სულ უფრო უცნაურად და დაუჯერებლად ეჩვენებოდა, თავდაც ვერ განესაზღვრა, სად იყო სიმართლე და სად გამონაკონი, ხან აღარც კი სჯეროდა, ხანაც ყოველივე ცუდი სიზმარი ეგონა ან ზღაპრის „იყო და არა იყო რა...“

ნაღვლიანი ამბავი კი იყო.

დილის ცვარ-ნამს შეეხებოდა, თუმცა ცვარ-ნამს კი არა, მისსავე უფროს დაიკო ტატიანას.

იაკოვენკოები ლამაზები იყვნენ — შავვერცხნები, დიდრონ, ცეცხლოვან თვალებს აბრიალებდნენ. ყველაზე მეტი ცეცხლოვანება მუკვიდრობით ტატიანას ერგო. ბევრი დასწვა და დადაგა ამ ცეცხლში. სკოლაში ყველა მასწავლებელი ტატიანაზე იყო შეყვარებული. რაიონის ახალგაზრდა მოტრები მხეთუნახაის ნახვას ეშურებოდნენ, იაკოვენკოების სარკმლებთან საყვირებს ახშიანებდნენ — ტრამალის ახალმოღურ სერენადებს ამიპინებდნენ.

ადრე თუ გვიან სამყაროს იმავე სიკეთით ვასაჩუქრებთ, რაც ჩვენთვის უბოძებია. ტატიანამაც ვერ გაუძლო თავიანისმცემელთა ლეგიონების შემოტევას, აზრადაც არ მოსვლია თოვლის დედოფლის როლი გაეღამაშა, მზე-თუნახაისა, რომელსაც გულის მაგივრად ქვა ედო მკერდში — ტატიანასაც შეუყვარდა... მასწავლებელი. მასწავლებელი შესახედად დიდი ყვრათერი შვილი იყო. მეათე კლასებში მათემატიკას ასწავლიდა. მეტსახელად მაწონას ეძახდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ და რძის ამ პროდუქტთან მართლაც რაღაც საერთო მქონდა: მუდამ მეავე გუნებაზე იყო, საუბარიც მოსაწყენო და უხალისო იცოდა, არც სიცილი უყვარდა. სამაგიეროდ გამრავლების ტაბულაზე ზუსტი აზროვნებით გამოირჩეოდა. როგორც კი დაფასთან დადგებოდა, აიღებდა ცარცს და ფორმულებისა და ციფრების წერას დაიწყებდა, იმწამს სად-

დაც გაუქრებოდა დაღლილობა, უქმური გადაყრებოდა, სახე გაეზარებოდა და სახტად დარჩენილი მოსწავლეებიც სულგანაბული უსმენდნენ.

შეიძლებოდა ბევრი რამ გვეთქვა, მაგრამ მოკლედაც ითქმის: ათი კლასის შემდეგ ტანია დერეგას მისთხოვდა. შაბათს, 21 ივნისს ხელი მოაწერეს, კვირას ქორწილს ეპირებოდნენ (იაკოვენკოებმა ტახი დაკლესკევერატის-შიც ჩავიდნენ, რალაც-რალაცები თვითონაც წაუმატეს), მაგრამ მისთვის ომი დაიწყო, მთელი პარტიული აქტივი რაიცენტრში გამოიძახეს, დერეგაც წავიდა.

ომის მოგებას ყველა სამ-ოთხ დღეში აპირებდა. დერეგაც ასე ფიქრობდა, ჯერ კი ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს თხრიდნენ, თანაც ისეთ ადგილებში, სადაც გერმანელთა შემოწვევას სიზმარშიც არავინ ფიქრობდა. ოღონდ გერმანელები არ იზიარებდნენ ომის სამ-ოთხ დღეში დამთავრების ქარაფშუტულ აზრს. ომი კი აგერ უკვე სამი თვე იყო გრძელდებოდა, გერმანელთა საომარი მანქანები სადაცაა დერეგასა და მის ყოფილ მოსწავლეთა ამოღებულ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებსაც მოადგებოდნენ. ამ დროს დერეგა ისევ რაიონში გამოიძახეს, შემდეგ ტანიაც წაიყვანა და სოფლიდან წავიდა, სამუდამოდ გაუჩინარდა.

ეს უხალისო, ფორმულებისა და ციფრებისაგან გაგულქვავებული კაცი უცნობი მიზეზებითა და კიდევ უფრო უცნობი მოსაზრებებით (უბრალო ადამიანთათვის უმაღლესი მოსაზრება მუდამ უცნობია და ხშირად უცნაურიც. მაგრამ ეტყობა ასეც უნდა იყოს!) პარტიზანული რაზმის მეთაური გახდა, რომლის ძირითადი ბირთვი მტრის ზურგში დატოვებული აქტივისტები იყვნენ. ზუსტი მათემატიკური გონება დერეგას ჯერ კიდევ პარტიზანული მოღვაწეობისათვის მზადებაში გამოადგა. იმთავითვე ჩამოაყალიბა საიმედო ბაზები, იშოვა პროდუქტები, იარაღი, შეკრიბა სანდო და ერთგული ხალხი. შედეგია: არც ერთი ჩავარდნა. გერმანელებს სიჭა გასძვრათ — მაინც ვერ მიაგნეს დერეგას რაზმის ბაზებს. საერთოდ ვერც რაზმს გაუგეს რამე და ვერც დერეგას. თუმცა იმ მხარეში ყველას პირზე ეკერა მისი პარტიზანების ვაჟკაცობის ამბავი. კარგა ხანს მეთაურის ნამდვილი გვარიც კი არ იცოდნენ და დერეგას „პარტიზანი ქაჯი“ შეარქვეს.

არ ვიცი, უნდა ითქვას თუ არა, რომ მთელი ეს დრო ტანია დერეგასთან იყო? იქნებ სწორედ ტანია იყო მეუღლის საოცარი ძალისა და ენერჯის წყარო. ვინ მოსთვლის, სიყვარულს რამდენი უგულო ადამიანი გარდაუქმნია და გმირად უქცევია ყველაზე უბადრუკი და ჯაბანი კაცი. მაგრამ იაკოვენკო ცდილობდა ობიექტური ყოფილიყო და დერეგას წარმარებებს მისი გონების განსაკუთრებულ სიზუსტეს აწერდა. მეთაურთათვის ხომ მართლაც აუცილებელზე აუცილებელია მათემატიკური ფორმულებივით ცხადი და უზუსტესი გონება.

ამასობაში რაზმს ხალხი ემატებოდა და ემატებოდა. მოდიოდნენ სოფლელები, კომკავშირლები, ბევრი შემომატებული ალყაში მოხვედრილი ჯარისკაცი იყო. ზამთრისათვის რაზმი ბრიგადად იქცა. დერეგაც უკვე პოლკოვნიკად, და ასე განსაჯეთ, პატარა გენერლადაც კი ითვლებოდა. ამ დროს იმ ტყვეებში ნამდვილი გენერალიც გამოჩნდა, დერეგამაც მის ხელქვეით ყოფნა ითხოვა და თავის ბრიგადიანად პარტიზანულ შენაერთში ჩაირიცხა.

შემომატებულთა შორის ერთი დერეგას ყოფილი მოსწავლეც აღმოჩნდა. მას შეიძლება დავარქვათ პეტრენკო დმიტრო ან დმიტრენკო პეტრო — ვისაც როგორ უნდა, რადგან ახლა ამ ყმაწვილის სახელი და გვარი არ არის მთავარი, ჩვენ მისი ნამოქმედარი გვაინტერესებს.

ოდესღაც ტანია ამ დმიტრენკოსა თუ პეტრენკოსაც უყვარდა, მაგრამ დერეგამ ეტყობა არაფერი იცოდა, ის კი კარგად ახსოვდა, რომ დმიტრენკო-პეტრენკო მათემატიკას კარგად ითვისებდა. აბა, ასეთი ყმაწვილისთვის უარი როგორ ეთქვა? ესეც რომ არა, ვინ უნდა მიეღო თუ არა თავისი ყოფილი მოსწავლე?

ტატიანა შტაბში რადისტად მუშაობდა, ჰოდა, პეტრენკო-დმიტრენკოც ერთთავად იქ ტრიალებდა. ქალიშვილი მას სკოლაშივე ვერ იტანდა, ახლა კი იმის დანახვას სიკვდილი ერჩია. ქმარს ეცა: „ეს ქარიფანტია რამ მიგაღებინა?“

დერეგამ უსიტყვოდ მოისმინა ცოლის საყვედური, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დმიტრენკო-პეტრენკო სხვა რაზმში გადაიყვანა. მერე მისი არსებობა ტანიასაც გადაავიწყდა. შეცდა, თუ გზიდან საძულველი ადამიანის ჩამოშორება გასურს, რომელსაც შეუძლია ხიფათში ჩაგაგდოს, მაშინ თანმიმდევრული იყავი, შუა გზაში ნუ შეჩერდები, სხვანაირად უბედურება არ აგცდება! მაგრამ ესოდენ მწარე ჭეშმარიტებას ადამიანი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ითვისებს. ტანია კი მხოლოდ თვრამეტისა იყო, თვრამეტი წლისამ კი აბა რა იცის საძულველსა.

დერეგას ტანის ბანა უყვარდა. ტყეში ჰქონდა მოწყობილი აბანო, რომლის არსებობა ცოტა ვინმემ თუ იცოდა, და როგორც კი თავასუფაღ დროს იშოვიდა, თავის ორდინარეცთან ერთად უმაღ აბანოს მიაშურებდა. ხოლმე, იქაც ორი თუ სამი რაზმელი ელოდებოდა. ირგვლივ ათობით კილომეტრზე პარტიზანები იდგნენ, ყოველი ხისა თუ ბუჩქის უკან მდგარი გუშაგები დღე-ღამე ფხიზლობდნენ — თავვი რა იყო და უჩუმრად ისიც კი ვერ გამოაღწევდა. ბრიგადის მეთაურს შეეძლო გულმშვიდად ებანავა, ორთქლის აბაზანა მიეღო, არყის ხის შტოების პატარა ცოცხით სხეულიდან დაღლილობა გაედევნა. მეთაურს ხელს არავინ უშლიდა, ავტომატმომარჯვებული ორდინარეცი ერთ ადგილზე იტყეპნებოდა, ორნი კიდევ მუხისა და ფიჭვის მორებს აპობდნენ და აბანოსაკენ მიარბენინებდნენ, სადაც თავისი საქმის ოსტატი ბერიკაცი რიბჩენკო ქვებს ასურებდა, წყალს აცხელებდა, ერთი სიტყვით, მეთაურს მშობელ დედასავით უფერებდა.

ტატიანამ არ იცოდა — იმ ორ ბიჭში, ტყეში საიდუმლო აბანოსათვის შეშას რომ ქრიდნენ, ერთ-ერთი პეტრენკო-დმიტრენკო იყო, თუმცა მას აბანოს არსებობაზე წარმოდგენაც არა ჰქონდა.

შემდეგ ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ორდინარეცი ცხენებთან იდგა და ჭრაჭუნა თოვლზე ფეხს ინაცვლებდა, ამ დროს პეტრენკო-დმიტრენკო თარღულიდან გამოვიდა, სადაც ის და კიდევ ერთი ბიჭი შეშას აპობდნენ, და სირბილ-სირბილით მიაშურა აბანოს, თან ერთი ადგა შეშა მიჰქონდა, მოულოდნელად ორდინარეცს დაეჯახა, დაეცა და შეშა დაეფანტა. ორდინარეცმა უბოროტოდ გაიცინა და პეტრენკო-დმიტრენკოსკენ წავიდა, რომ მუხის მძიმე ჩაპობების მოკრეფაში მიხმარებოდა. და სწორედ მაშინ, როცა ორდინარეცი დაიხარა, პეტრენკო-დმიტრენკომ დრო იხელთა და ერთი ყველაზე მძიმე ნაპობი თავში ჩასცხო. ორდინარეცი უგონოდ დაეცა, მერე კი ის ნაპობი იქამდე

ურტყა, სანამ საცოდავს თავი საბოლოოდ არ გაუჩეჩქვა. მეწყვილის შიში აღარა ჰქონდა, მისთვის სიცოცხლე ნაჯახით შეშის ფარდულშივე მოესწრაფა (მავანი და მავანი გაიოცებს, თვრამეტი წლის ყმაწვილს ამდენი სისასტიკე საიდანაო, მაგრამ თვინიერი მოღალატე სად გაგონილა!), ბერიკაც რიბჩენკოს ჩამოშორებას აბა რა უნდოდა — გადაცნულმა პოლიციელებმა, ურთმდებელმა პეტრენკო-დმიტრენკომ საფარიდან მოიხშო, ბერიკაცს კრინტიხ დაჭერის შემდეგ აცალეს, ისე გაათრთხობინეს სული, ხოლო დერეგა დედისობილა შეიპყრეს.

გაახვიეს ტყაპუჭში, ჩააგდეს მარხილში და უზიფათოდ განვლეს ყველა საგუშაგო, პეტრენკო-დმიტრენკომ ხომ პაროლები ზეპირად იცოდა, ესეც რომ არა, ყველა იცნობდა — მის კაცობაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

როცა ტანია შეიტყო, დერეგა გესტაპოელებმა შეიპყრესო, უსიტყვოდ აიკრა გუდა-ნაბადი და იმ დღესვე ქალაქში ჩავიდა. მეორე დღეს კი უკვე გესტაპოს უფროსის პირისპირ იდგა. მათი საუბარი არავის მოუსმენია, თუმცა საუბარი უცილოდ ექნებოდათ. ამიტომ იაკოვენკო ამ საუბარს პატარაობიდანვე აშენებდა, სიტყვას სიტყვაზე ამბობდა, დროთა განმავლობაში ეს საუბარი, თუმცა გამოგონილი, საოცარი, სულ უფრო და უფრო გამოეკეთა, თლონდ არავის უმხელდა. აგერ, ისიც:

კაცი: ვინა ხარ?

ქალი: ტატიანა.

კაცი: რისთვის მოსულხარ?

ქალი: აქ უნდა დაერჩე.

კაცი: მაგას მხოლოდ მე ვწვევტ.

ქალი: პოდა, მოვითხოვ, რომ გადაწყვიტო.

კაცი: ვინა ხარ?

ქალი: უკვე გითხარი.

კაცი: პარტიზანი ხარ?

ქალი: მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

კაცი: ებრძანებ, რომ ჩამოგახრჩონ.

ქალი: ჩემთვის სულ ერთია.

კაცი: მაგრამ ჩამოსახრჩობად მენანები.

ქალი: ეგ ვიცი.

კაცი: რა იცი?

ქალი: რომ ლამაზი ვარ და ყველას მოვწონვარ. შენც მოვწონვარ.

კაცი: ფრთხილად! მე ყველა არა ვარ.

ქალი: ამიტომაც შენთან მოვედი. შენ ძალაუფლება გაქვს, მე — სილამაზე.

კაცი: კაი თავხედი ყოფილხარ.

ქალი: შენ დიდი ძალაუფლება გაქვს, თლონდ ჩემზე არ ვრცელდება ჩემნაირი ქალი ვინახავს?

კაცი: ფრთხილად! ეგეთი ხუმრობები არ მიყვარს... სამაგიეროდ რას მოითხოვ?..

ქალი: ციხეში უნდა მამუშაო.

კაცი: ციხეში? რა უნდა გააკეთო?

ქალი: რა ვიცი, ალბათ დამლაგებლად...

კაცი: კი მაგრამ, ციხეში დამლაგებლებს რა უნდა!



საქართველოს
შენათავისუფლებელ
სამხედრო ძალას

ქალი: შენც ისე ჰქენი, რომ იყვნენ.
 კაცი: ნერე?
 ქალი: არაფერი...
 კაცი: რაღაცას ეშმაკობ... არ მეუბნები სიმაართლეს...
 ქალი: გამოიცანი, პირობა უნდა მომცე, რომ ერთ კაცს სიმაართლეს შე-
 უნარჩუნებ...
 კაცი: არავითარი პირობა!
 ქალი: მაშინ აედგები და წავალ!
 კაცი: ვერსადაც ვერ წახვალ! აქედან ცოცხალი ვერავინ გავა.
 ქალი: ხუ მაშინებ, მე შენ მხოლოდ ცოცხალი გჭირდება.
 კაცი: ცოცხალი... მართალი კი ხარ... მაგრამ... ის კაცი ვინ არის?
 ქალი: ჯერ პირობა მომეცი.
 კაცი: სანამ სახელს არ მეტყვი... პირობას ვერ მოგცემ.
 ქალი: მომცემ, აი, მე შენს წინაშე ვდგავარ და მოვითხოვ, ჩემნაირი ქალი
 თუ გინდა, პირობაც უნდა მომცე.
 კაცი: ეს სამარცხვინო გარიგებაა!.. მაშ, კარგი... ვთქვათ, მოგეცი სიტყვა,
 რომ ხელს არ ვახლებ იმ მითოლოგიურ სკვითს...
 ქალი: პატიოსანი სიტყვა მომეცი! დაიფიცე!
 კაცი: უკვე ვითხარი, აღარ გავიმეორებ. ვინ არის?
 ქალი: დერეგა.
 კაცი: ეგ შეუძლებელია! დერეგას ჩამოახრჩობენ.
 ქალი: მაშინ წავალ. ანდა შეგიძლია მეც მასთან ერთად ჩამომკიდო.
 კაცი: გადარეული ყოფილხარ! მოიცა, რაღაცას მოგიფიქრებთ...
 ქალი: დერეგა ცოცხალი უნდა დარჩეს.
 კაცი: მე... შეგიძლია პირობა მოგცე... სანამ მე აქა ვარ... ის... ეს ცხადზე
 ცხადია, რომ ვერ გავათავისუფლებ, მაგრამ ვიდრე აქა ვარ, ცოცხალი იქ-
 ნება...
 ქალი: კარგი, მაგრამ მე უნდა დავრწმუნდე ხოლმე, რომ დერეგა ცოცხა-
 ლია... ყოველდღე ვნახავ...
 კაცი: ეგ გამორიცხებულია! არავითარი ურთიერთობა!
 ქალი: კარგი, შორიდან შევხედავ ხოლმე, გასეირნების დროს.
 კაცი: გასეირნების დროს? რომ გაიქცეს? არა, ეგ არ მოხდება!
 ქალი: მაშინ კამერაში შემიშვი...
 კაცი: თანახმა ვარ... მხოლოდ ათი წამით, მაგრამ არც ერთი სიტყვა...
 ქალი: დღეში სამჯერ.
 კაცი: ეს უკვე მეტისმეტია.
 ქალი: სამჯერ ათ-ათი წამით — ეს ხომ თითქმის არაფერია!.. განა შენ
 მხოლოდ ათი წამით გინდოვარ?

ასე უნარჩუნებდა ტატიანა დერეგას სიცოცხლეს — ორი საშინელი თვე.
 ტატიანამ შეისწავლა გერმანელთა დაცვის მორიგეობის ყველა გრაფიკი, შე-
 ადგინა გესტაპოს ციხის დაწვრილებითი ნახაზი და პარტიზანებს გადასცა. მერე
 თავად გაუძღვა პარტიზანებს და ქალაქს დაეცნენ, თავისი ხელით მოკლა გეს-
 ტაპოს უფროსი, ვისი საყვარელიც იძულებით გამხდარიყო...
 და პირველსავე ღამეს დერეგას ყველაფერი უამბო. დერეგა ქოხში იჯდა,

დაბანილ ტანზე ახალი საცვლები ეცვა, იჯდა ფანჯარასთან და უსიტყვოდ აბო-
ლებდა, ფიქრობდა, დიდხანს ფიქრობდა, მერე წამოდგა, გახევებულ ტატიანას
მიუახლოვდა და უთხრა:

„რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ, სახრჩობელას გადამარჩინე. ჩადენი-
ლი გმირობის გამო... ყველაფერში უპირველესი დამნაშავე მე ვარ, მერე პეტ-
რენკო-დმიტრენკო... მას აუცილებლად ვიბოვი. მე და შენ კარგად უნდა გავიგებოთ“

„მე შენ მიყვარხარ“.

„მეც მიყვარხარ... მაგრამ ხვალ შენ უნდა...“

„იქნება დღესე?“ — ჰკითხა და ჩაცმა დაიწყო.

მწუხარების შესამსუბუქებლად ქალები ხშირად ტირიან ხოლმე, იმ საღა-
მოს შემდეგ კი ტატიანას თვალს ცრემლი არ გაჰკარებია.

დერეგამ ქალი ერთ-ერთ შორეულ რაზმში გაგზავნა რიგით პარტიზანად.
მისივე ბრძანებით ტატიანას თმა გაკრიჭეს და მამაკაცის ნახმარი ტანსაცმელი
ჩააცვეს. მერე დერეგამ თავისი ხელით გადასცა ხიშტჩამოცმული შაშხანა —
ყველას უკვირდა: ახალგაზრდა ქალი ამდენ შეურაცხყოფას როგორ ითმენს,
ქმარყოფილს ხიშტს რატომ არ ჩასცემსო?

რაზმში დიდხანს არ დარჩენილა. იმ დროს ტყეში დარიანი დღეები იდგა.
გახალისდნენ პარტიზანები. ერთ ღამესაც წვიმა წამოვიდა, რაზმი კი გზას
ადგა. ერთი ტყიდან მეორე, კიდევ უფრო დაბურთულ ტყეში უნდა გადასუ-
ლიყო, მეომრები წელამდე ბალახში გზას რის ვაი-ვაგლახით მიიკვლევდნენ,
დანამული იყო ბალახიცა და ბუჩქნარიც, ცვარი ვყარა ხეთა ვაბარჯლულ ტო-
ტებსაც. ასე ტყე-ტყე დილამდე სიარულში ისე დასველდნენ, ისე ერთიანად
ამოითხვარნენ, რომ ერთმანეთის შეხედვა ეზარებოდათ. მეთაურმა გადაწყვი-
ტა, შეესვენათ და მეზრძოლებს წესრიგში მოეყვანათ თავი, რაკი გათენებისას
ფიქვნარის სიღრმეში სრულიად შემთხვევით პარტიზანულ აბანოსაც გადა-
წყდომოდნენ.

დააყენეს გუშაგები, ყველაფერი წესისამებრ გაკეთდა, სწრაფად და ზუს-
ტად. მერე წყალი მოზიდეს და აბანო გაახურეს. ფიჭვის ხეთა ტოტებში და-
იკლანა თბილი კვამლი. მეზრძოლებმა წყოს გაიძრეს დანბალი, ტანზე მიწებე-
ბული ტანსაცმელი. თვალებს არ უჯერებდნენ, ეს რა თინა გვიყო კრილა
ცვარშაო. მერე ნახევრადშიშველი, მოსალოდნელი ბანაობისაგან გამხიარუ-
ლებული ხალხი ანაზღეულმა ჰაზანმა შეაკრთო, თუმცა იმ ხმას მიჩვეულები
იყვნენ, მსგავსი ხმები სულაც მათი ცხოვრების თანამდევე გამხდარიყო.

პისტოლეტის სროლის ხმა აბანოს გვერდითა კედლის მიღმა გაისმა, სწო-
რედ იმ აბანოსი, სადაც ზამთარში დერეგა შეიპყრეს (თუმცა ეს, მგონი, არა-
ვინ იცოდა). ყველანი იქით გაცვივდნენ: ფიჭვის ნორებით აგებულ კედელთან
როგორღაც უხერხულად, დაუდევრად იჯდა ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალი,
თან ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ასე იფიქრებდი, ილაგაწყვეტილი სუ-
ლისმოსათქმელად ჩამომჯდარაო. გაოგნებულმა მეზრძოლებმა იმ ქალში ახ-
ლადშემომატებული პარტიზანი შეიცნეს, რომელსაც ხეირიანად ვერ არაფერ
იცნობდა. ტანზე სველი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი მიკვროდა, შავ, ღიად დარჩე-
ნილ თვალებში კი, იქ მყოფთათვის რომ მიეშტერებინა, ააუკუნოდ ჩასდგომო-
და ტყის მწვანე შუქი. მკვდარ ქალს თავს ადგა და ნება-ნება ჰანაობდა თხმე-
ლას ნორჩი შტო, ხოლო ზედ პირისახესთან წამოდგრაგებულ ფოთოლს ეკიდა
ცვარ-ნამის მსხვილი წვეთი, რომელიც ავერ-ავერ მოსწყდებოდა...

შეიძლება პარტიზანები ცვარ-ნამის იმ წვეთს სულ ერთი წუთი შეპყურებდნენ, იაკოვენკოსთვის კი ეს სურათი უკვე მრავალი წელი იყო გრძელდებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა კიდევ, რომ დაბურულ ტყეში ახლაც იდგნენ მღვთარე, დაქანცული და გალუმბული მებრძოლები და უსიტყვოდ შეპყურებდნენ მის მკვდარ დაია ტატიანკას.

ერქუნული

იაკოვენკოს და არასოდეს ენახა, მხოლოდ ფოტოსურათები შეხებდა. ახლა, ორი ათეული წლის შემდეგაც შეიძლებოდა დამნაშავეთა მოძიება, თუმცა მათი პოვნა არც ამჟამად იყო იოლი.

იქნებ ყველაფერი ცვარ-ნამს დაეაბრალოთ?

უკრაინულიდან თარგმნა მანბა ახათიანმა



ვალერი შვეჩუკი

ისწავლეთ ღოზინოს თამაში

ბანში შესული მამაკაცი საწოლზე წამოჯდა, თვალის უბეები ჩამოეხვერა, ყელში გორგალი წოაწვა:

- ექთანო! ექთანოს..
- პანტეცკი, ისევ თქვენ მეძახით, — თათხში ექთანი შემოვიდა და კარი მიხურა, დაღლილი ჩანდა.
- დღეს ჩემთვის აბი არ მოუტოვით.
- ესე იგი არა გჭირდებოდათ. პანტეცკი, ბავშვივით იქცევით. სათვალისანმა მელოტმა კაცმა დაამთქნარა, კეფა მოიღუნა და თქვა:
- პანტეცკი, შართლაც ბავშვივით იქცევით, ხომ გარჩივთ, წაშლებს მეტამეტად ნუ მიეძალებით-მეტქი.
- ნემსი, ნემსი რომ არ განიკეთეს!
- განა არ იცოთ, ნემსს ძილის წინ გაგიკეთებთ, — მიუგო ექთანმა.
- პანტეცკი, ხალხს ნერვებს უშლით, — მშვიდად უთხრა მელოტმა.
- უის გულისხმობთ, თქვენს თაეს?
- ჩემს თავსაც და აგერ, იმ ახალგაზრდასაც, — მელოტმა კუთხეში მდგარ საწოლზე მიუთითა. — ამ ახალგაზრდას წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, თვალები დაეხუჭა, ლოყები ჩაცვენოდა.
- ნუ მივდივარ, — თქვა ექთანმა. — ვთხოვთ, ტყუილ-უბრალოდ ნუ შემაწუხებთ. თქვენს გარდა სხვაც ბევრი მყავს.
- დაღლილი ექთანი გავიდა, პანტეცკი კი მელოტს მიუბრუნდა:
- გაიგონეთ?
- დღის გულისთვის, — უთხრა მელოტმა. — ისტერიკას ნუ გამართავთ. ჩვენს პალატაში მძიმე ავადმყოფი წევს.

პანტეცკიმ მესამე საწოლს გადახედა. სახე მოვლრიცა, უცბად აპილ-პილდა.

— ესეც ჩემს ნერვებზე თამაშობს!

ვასილიმ პანტეცკის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა. თუმცა ის სიტყვები რაღაც შორიდან მოესმა და ნაშინულ გაქრა, მათი ადგილი ზღაპრულ მსახურებას — ვასილიმ შებრძოლება სცადა, მაგრამ აწიოდ, — გონება მტყუნებდა, სიტყვები ხან უბრუნდებოდა და ხან ისევ ერთნოდა. ვიღაცა შემოსტყვროდა, მერე გაიხსენა იმ თვალების პატრონი, პანტეცკის უკანასკნელი სიტყვების შინაარსსაც მიხვდა, ამ სიტყვებს უნდა ჩაფიქრებოდა, მაგრამ სიტყვები დებნა და ვერა და ვერ გაეხსენებინა, სიტყვები სახეებში შეცვალა, მათში პანტეცკიც გამოაჩნია — თვალის უბეები სულ უფრო და უფრო ებერებოდა, რაღაცას სხაპასხუპით ავბობდა.



— პანტეცკი, — უთხრა მელოტმა. — ნუ ნერვიულობთ: უყლებას არ მოგეცემთ, რომ მძიმე ავადმყოფზე ასე ილაპარაკოთ.

— ვანა რა ვთქვი?

პანტეცკი მელოტისაკენ შეტრიალდა.

— საავადმყოფო კი არა, ჯოჯოხეთია!

მელოტი ფრხილვებს ათვალღერებდა.

— ამას ჰქვია წესრიგი! — არ ცხრებოდა პანტეცკი. — მე ავადმყოფი აღა-მიანი ვარ, სიმშვიდე მჭირდება! იქნებ ნიუხრათ, რომ არა?

— ნუ ყვირიხართ, — მოიღუშა მელოტი. — დაგავიწყდათ, რომ ჩვენს პა-ლატაში მძიმე ავადმყოფი წევს!

— მძიმე ავადმყოფი, მძიმე ავადმყოფი. — პანტეცკის მოელი ტანი უცახ-ცახებდა. — რა ჩემი საქმეა, რომ პალატაში ვიღაც მძიმე ავადმყოფი წევს!

— თქვენ ისევ გაბრაზებული ლაპარაკობთ. პანტეცკი, — უჩიოდა მელოტ-მა, — ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. დანიჭერეთ, მე ზოოვეტერიინალური ტექნი-კუმი დავამთავრე. ბოლოს თქვენც ატყვილებლად ამ ღღეში ჩავარდებით...

პანტეცკიმ კუთხეში მწოლ ახალგაზრდას გადახედა... გამხდარი, გრძელი ცხვირი, ჩალურჯებული ლოყები და ტუჩები... ვასილის ისევ აბოღებდა. სუნ-თქვა უჭირდა, მყვრდზე პერანგი არტახებივით შემოსტყვროდა, სუნთქვას უშ-ლიდა. „მახრჩობს, მახრჩობს“, — ამოიყვინესა ვასილიმ. პანტეცკი შეკრთა.

— იცით, პანჩენკო, საავადმყოფოში პირველად ვწევარ.

— ჩვეულებრივი ამბავია... ეგეთი ხალხი მალე კვდება, — მშვიდად უპა-სუხა მელოტმა, — მე საავადმყოფოს სმირი სტუმარი ვარ, დამიჯერეთ...

— თქვენ ეგრე ფიქრობთ? — ჩაეკითხა პანტეცკი.

— საავადმყოფოში ვინც პირველად ხვდება, ამას ადგას ყველაზე დიდი გაჭირვება. ქრონიკულები უძლებენ, შეჩვეულები არიან.

პანტეცკიმ ფეხები ნოხზე ჩამოაგა და ჩუსტებში წაპყო.

— სიგარეტი არა გაქვთ?

— არა, არ ვეწვევ, — წყნარად მიუგო მელოტმა. — არც თქვენ გირჩე-ღით.

პანტეცკი ფანჯარას მიადგა.

— ღმერთო, ღმერთო!..

— დომინოს თამაში ისწავლეთ, — უჩიოდა მელოტმა.

— აბა, ეს არის შუქი? — წამოენთო პანტეცკი და პანჩენკოს ნათურებზე მიუთითა. — ასეთი შუქი ზომ კაცს დააბრმავებს.

ვასილი რაღაც ფრაგმენტებს ზედავდა, ეს ფრაგმენტები წარსული ცხოვრების სურათები იყო, მაგრამ ვეღარ ვცნო. თვალწინ ათობით აღნიშნის სახე ერეოდა, მერე ამ სახეებში საყოთარო თავიც გამოარჩია და გაწამებული, რომ ძლივს იცნო. სარკესაც, ანღა რომ ბრეტანის ქაფურის შეცვლადა, ყვეთელი იყო. შუქიც ყვეთლად ბრღვეილებდა, იქნებ სარკის ბრალი იყო, ანღა სულაც შესისა, რომელიც თვალსაწიერზე ეკიდა და ასე აფიქრებდი, ოქროს აფრწვევსო, ვასილიმ მზეს მაიმურა, ეწინაოდა, რომ მზე ჩავიღვალა და დაუმრეტელსა და უძირო სიბნელეში ჩაინთქმებოდა, სად დაიფერფლებოდა მისი ცნობიერება. ვასილი გაიტცა, მერე უეცრად ასეთმა ფიქრმა გაუელვა: რად გავრბივარ, იქნებ ჯერ დილაა და ეს მზეც ახალი ამოსულია. კაცმა რომ თქვას, არც იცოდა, რა დრო იყო, საღამო თუ დილა. იდაყვებზე წამოიწია, ანთებულ თვალეში მიმოიჭარა, იკითხა: „ანღა საღამოა თუ დილა, არ გესმით?..“

ლაშუა. — თქვა პანტეცკიმ.

მაგრამ ვასილის არ გაუგონია, ისევ მზეს მოსდევდა, რადგან იცოდა, მზე სიცოცხლის წყარო იყო. საღაცაა დაეწყოდა კიდევ, მზემდე ცოტალა აკლდა. ვასილი გვიმნარში გაბზოდა, ქვიშა საფხულის ცხელ დღეს გაეხურებინა, სირბილში ხელს უშლიდა, ფეხებს უბორკავდა, უეცრად ვასილიმ იყვირა, მზესა და ქვიშას, დილასა და საღამოს შორის გაზიდული უმწეოდ ბორგავდა.

— ისევ ყვირის, — აწუწუნდა პანტეცკი. — ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, საავადმყოფო რასთვის არსებობს!?

— ასწავლეთ დომინოს თამაში.

— ვიცი დომინოს თამაში! წამოიძახა პანტეცკიმ. — მაგრამ არ მესმის, დომინო რა შუაშია?

მელატნა თავი აიღო და პანტეცკი ყურადღებით შეათვალიერა:

— გეტყობათ, ქრონიკული რომ არა ხართ, ქრონიკულები ასეთ უაზრო შეკითხვებს არ იძლევიან. სამწუხაროა, მაგრამ დომინო ორ კაცში არ ითამაშება, რამდენიმე კაცი სჭირდება. და თუ ხალხს ნურავება მოუშლით, თქვენთან თამაშზე ყველა უარს იტყვის.

„სულელია“, — გააფიქრა გაგულსებულმა პანტეცკიმ. თვალწინ დაუდგა ქალაქის უანაპირას თავისი სახლი. მეუღლე, ეზოში მშვიდად დააბიჯებდნენ ქათმები, მეუღლე გახშამს უწყობდა, არგვლივ სირბივ იღგა, ეზოში გადიოდა ამ სირბივში და ვაჟურებდა — ბორცვს მიღმა მთავარე ამოდიოდა, მერე ძალღს აუშვებდა და სასუარნოდ მიდიოდა, გახარებული ძაღლი წიშ უსწრებდა, პანტეცკი კი ნეტარებით ისუნთქავდა დიდებულ ჰაერს.

ვასილიმ ისევ დაიღვირა, ოქროსფერი, გახურებული გვამისთვის ვერაფრით დაეუწია თავი, თვალსაწიერზე კი მზე სულ უფრო და უფრო დაბლა ჩამოდიოდა.

— ეწთანო! — იყვირა პანტეცკიმ.

— პანტეცკი, ისევ თქვენ იძახით, — კარი შემთაღო ექთანმა. — მალე ნიშნა ვადეკუთებთ, ცოტა მოითმინეთ.

— მაგას არ ვამბობ, — პანტეცკის პირი დაეღო და მძიმედ სუნთქავდა.

თვალუბიც ჩქარ-ჩქარა უპარპალებდა. — აგერ, ის, — ვასილიზე ანიშნა, — ყვირის...

ექთანი ვასილისთან მივიდა და შუბლზე ხელი დაადო.

— სიცხე აქვს, — თქვა ექთანმა. — თქვენ კი, პანტეცკი, მშვიდად მოიქეცით.



— პანტეცკი, ეგოსტი ხართ, — წყნარად უთხრა პანჩენკოვს.

— ექთანო!

— აი, ისევ აწუწუნდით.

— მომისმინეთ, ძვირფასო, — შესჩივლა პანტეცკიმ ექთანს. — უკვე ერთი კვირაა რაც აქა ვარ და სულ არ მმკურნალობენ.

— ესე იგი, ასეა საჭირო.

— პანტეცკი, სრულიად ველური ადამიანი ხართ, — მელოტს პირისაზე დავმანჭა. — ცივილიზაცია ახლოსაც არ გაგკარებიათ.

— მე უბრალო ადამიანი ვარ, — ანთიოხრა პანტეცკამ.

— ნუ აღიზიანებთ, — უთხრა ექთანმა მელოტს. — მესმის, რომ ენა გეფხანებათ...

— ვალია, — მიმართა მელოტმა ექთანს. — რაღა თქნა უნდა, ყველაფერს ხედებით...

— აჰ, გაჩუმდით, — ექთანმა კარი გაიხურა.

— გონიერი გოგონაა, — ამოიოხრა პანჩენკომ, შერე ტუმბოდან პოთლი გამოიღო. — პანტეცკი, მინერალური წყალი ხომ არ გინდათ?

— არა.

პანტეცკი ფიქრობდა სახლზე, შვილებზე, პანჩენკოს სიტყვებზე: შენაირები მალე კვდებიანო. ფიქრობდა სამსახურზე და კიდევ იმანე, რომ საავადმყოფოში ასე მოულოდნელად მოხვდა. დღის ბოლოს სამსახურში დილისთვის თადარიგს იჭერდა, ფიქრობდა, დროს მოვიგებო, მაგრამ დამე ცუდად შეიქნა, პოდა, საავადმყოფოში გამოაქანეს.

— პანტეცკი, ძალიან ბევრს ფიქრობთ, — საუბარი ისევ მელოტმა წამოიწყო. — ალბათ საქმე მოუშთავრებელი დაგზრჩათ?

— ვერ დავამთავრე, — ჩაიბუტბუტა პანტეცკიმ.

— მეც ვერ დავამთავრე, — უთხრა მელოტმა. — რას იზამ, ვერაფერს ამთავრებს. როგორ გვინდათ, მაგან კი დაამთავრა? — ვასილიზე მიუთითა. — ალბათ არც დაუწყია...

ვასილი სირბილმა დადგა, თუმცა ოდნავ დაშვიდებულიყო, მზე ერთ სიმაღლეზე ეკიდა, არც მაღლა იწევდა და არც დაბლა უწევებოდა. „რა კარგია, — ფიქრობდა ვასილი. — რა კარგია“. ახლა აწწვანებულ ხეობას მიუყვებოდა, ამ დროს ქალიშვილი მიუახლოვდა, ერთმანეთს ჩამდენიმე სიტყვა უთხრეს და გზა განაგრძეს, მერე ქალაქიც გამოჩნდა, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდნენ. ერთმანეთს საწყლად გადახედეს. „იცით, საით უნდა წახვიდეთ?“ — ჰკითხა ქალიშვილმა. „ჯერ არა, — მიუგო ვასილიმ. — თქვენ?“ „მეც არ ვიცი, — უპასუხა ქალიშვილმა, — თუმცა კი უნდა ვიცოდე“.

— მე უცებ წამომიყვანეს, — განაგრძო მელოტმა. — ძროხები აბერებოდ-

ნენ, რაღაცა უნდა მელონა, ამ დროს კი ცუდად გავხდი. პანტეცკი, მესმის თქვენი...

პანტეცკი საწოლზე წამოჯდა და მეზობელს ქვეშევამ გალაჩქდა: „ნეტა რა კაცია?“ — ფაქრობდა მელოტზე.

მელოტი მშვიდად იჯდა, ფეხები საბანქვეშ შეეწყო, მერე კედელს უკან მიიჯდოდა და ზურგით მიეყრდნო. ტუმბოზე ჟურნალები ფეხზე დაეკრავდა. პანტეცკიმ მათი წაკითხვა სცადა, მაგრამ არ დააინტერესა, წიგნებიცა და ჟურნალებიც საქონლის მკურნალობასა და პირუტყვის ათასგვარ გადაამდებ სწავლებას შეეხებოდა. პანტეცკის სულ ერთი-ორჯერ თუ გადაუფურცლავს ჟურნალები და ისიც ილუსტრირებული, მაგრამ აქ, საავადმყოფოში, მოწყენილობისაგან კაცს სული გაგებრებოდა. მისი ხელები კა საქმეს იყენებდნენ მიჩვეულები, ენატრებოდნენ ნაცნობი საქმე, ახლა კი იწეა და ვეტერინარის ლაქლაქს უსმენდა.

— საქმე ყველას დაუმთავრებელი გვრჩება, — თქვა პანტეცკომ. — მერე საავადმყოფოში რომ გამოგვაქანებენ, აღარც არაფერი გვჭირდება. პანტეცკო, ეგრე არ არის?

პანტეცკი მოიღუწა, თუნცა ერთი არ გაუღია.

— პანტეცკი, სოსულებლებს ვროშავ, არა?

— თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით, — ჩაიბუტბუტა პანტეცკინი.

მელოტი დადუმდა და ტუმბოზე ჟურნალს მისწვდა.

ვასილის ისევ აბოდებდა, შემოდგომის ხმებს აევისო მისი არსება, თაყვანისმირი შორის უმწეო და დაკარგული ჩანდა. მერე სიცილი აღტყდა, დიდხანს, დიდხანს იცინოდა, სიცილისაგან ყელი ეგლიჯებოდა, ამ სიცილში პანტეცკი საწოლიდან წამოაგდო, მელოტმაც სათვალის ზენოთან გადახედა ვასილის, რომლის ყელიდანაც წყაროსავით ამოიუხსნებოდა სიცილი — ხველა და სიცილი ერთმანეთში ერეოდა. პანტეცკი შიშად იყო ექთნის მოსახმობად, პირაც დაადო, მაგრამ მელოტმა შეაჩერა: „ნუ დაუძახებთ, აბოდებს“. ორივემ ერთმანეთს გადახედა, მელოტის თვალებში ნაპერწკლებმა გაცვესა.

პანტეცკი დუმდა, პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა, მთელ ოთახში მხოლოდ ვასილის მძიმე სუნთქვა ისმოდა.

— ფრონტზე ნამყოფი ხართ? — ჰკითხა პანტეცკის მელოტმა.

— კი.

— სად იბრძოდით?

— ბელორუსიაში...

— მე კი ლენინგრადის ფრონტზე...

მერე კვლავ სიჩუმე ჩამოდგა, ვასილის კი ახალ-ახალი მოჩვენებები წამოეძალა, შებრძოლება სცადა, მაგრამ რას გახდებოდა, მოჩვენებებს მთელი სამყარო — ისედაც მცირე სიფრცე ერთიანად დაეუბრაოთ. ფეხებ ისევ გამოჩნდა მზე და ვასილი შეზარა მოულოდნელმა სანახაობას: მზე დაფერდებოდა. ვასილი მზისკენ გაქანდა, კვლავ ქვიშაობა მიჩნებოდა, გრძნობდა, ყინულივით ცივი იყო ქვიშა, საჩქაროდ შეიკრა ხალათის დილები. მზე გაურბოდა — ძალ-ღონე აღარ ჰყოფნიდა, არადა, რაღაც უნდა დასჯდომოდა. მზეს უნდა დააწვოდა: საიდანღაც მდინარე გამოტყვრა: იმ ნაპირზე, სადაც იღვა, ხვლიკთა კუდები ეყარა, სხმარტალებდა კუდები და ანაზღად გააფიქრა, რა

წუთსაც მზე ჩავიდოდა, კუდებიც ნაშინვე ვახველებოდნენ; მზე ჯერ იყო და ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ეს არა კმაროდა...

პანტეცკი საწოლზე ჩამოჯდა, სახლიდან გამოვხავენილი ფურთა და საკმელს მიაძღა.



— პანტეცკი, — მოიღუშა მელოტა, — ტუჩებს ნუ აწკლავთ, უნდა მოგვადგინოთ ტურობა.

— ეშმაკსაც წაუღიზიანოთ! — განბრუნდა უცებ პანტეცკი, — თქვენ ი აზროთ, შიმშილით უნდა მოგვედგინო?

— თქვენ არ მოკვდებით, — დაიძვინკარა მელოტმა.

ვასილი საწოლში გადატრიალდა. პანტეცკიმ და მელოტმა თითქმის ერთდროულად გადახედეს. ეს აუცილებელია, — არ ასვენებდა ვასილის ფიქრი, — კარისკენ უნდა გადავდგა ნაბიჯი.

პანტეცკიმ ჭამა შეწყვიტა, ვასილისაკენ კისერი წაიგრძელა, ლუკმა გადაულაპა და ხრინწიანი ხმით იკითხა:

— გამიგონეთ, პანტეცკო, შეიძლება შართლა მოგვედგინო?

— შეიძლება...

— ესეც ჩემს ნერვებზე თამაშობს! — იყვირა პანტეცკიმ. — უმსგავსობაა ეს, მომაკვდავებს ცალკე პალატაში უნდა აწვენდნენ... ექთანო, ექთანო!

— აბა, რა გაყვირებთ? — ჰკითხა მელოტმა.

— უმსგავსობაა ეს, — საგონებელში ჩაეარდნილი კაცულით წარმოთქვა პანტეცკიმ. — ცალკე პალატაში გაიყვანონ...

მელოტმა აურჩარებლად მოიხსნა სათვალე, ცვირსახოცით გულდაგულ გაწმინდა შუშები და პანტეცკის ბეჭი თვალები მიამტვრა.

ვასილი აღარ გარბოდა. სიბნელეში იდგა და ატეო-იქით იყურებოდა. ცაზე ვარსკვლავები ინთებოდა. უხარმაზარ კოცონებს ჰგავდა აბრიალებული მთიებნი. მერე ვასილი მიხვდა, რომ კოცონებს ეს არა, მზეზე ამრტყვიანებულ შუშის ნატეხებს შეჰყურებდა. ახლა იქით წავიდა, იმათ საუფლოს მიაშურა, მიაბიჯებდა და მიაბიჯებდა, უკნე დაღლილიყო კიდევ, უნდოდა წამით მაინც შეჩერებულიყო მიჯნასთან, მაგრამ იცოდა, რომ მიწასა და ვარსკვლავებს შორის მიჯნა არ არსებობდა. უკან მიიხვდა: მიწაც ვარსკვლავს ჰგავდა. შუშის ბრტყვი-ალა ნატეხს... ისევ იხილა საკუთარი განოსათულეხა სარკეში, მეტიანეცად გამზ-დარი, არაბუნებრივად დიდი თვალები... ანაზღად გაიქცა, ირგვლივ საგნები ციმციმებდა, დახსონება ეწადა, სურდა თან წაეღო იმათი ზატი — ქვიშა ფეხებს უბორკავდა, უეცრად შეჰყვირა: მზესა და ბერშას, დილაა! ჯა საღამოს შორის გახილული უმწეოდ ბორგავდა...

პანტეცკიმ საჩქაროდ განაახლა ჭამა, ვასილებით სამსლაკდა კატლებს, ნერვიულად იჭრიდა პტრის მოზრდილ ნატეხებს, ყოველ ლუკმას გულდაგულ ღეჭავდა და ყლაპავდა.

უკრაინულიდან თარგმნა ზაბა ახათიანი



პავლო ტიჩინა



მზე — წითელქუდა

ვამბობთ: ამოდის!
 ის კი ერთი ციცქნა ვოგოა,
 აღრიან დილით რომ დგება მუდამ,
 ნახქარევად რომ იბანს ხელ-პირს,
 იღებს კალათას და მიდის ტყეში.

ტყეში კი ცხელა
 და მზერი დახუთულია,
 და ძაღლებს ჰგვანან
 მიმავალი ცაზე დრუბლები.
 კბილებს რომ ასე აკაწკაწებენ.

და ნაცრისფერი
 გამთჩნდება უეცრად მგელა (მთქარე),
 „საით მიდიხარ?“
 „დახავლეოთისკენ!
 აქ ცხოვრობენ ჩემიანები,
 და წითელქუდას ხანამ ნახავენ,
 ერთი ხული აქვთ...“

„მე რომ შეგვამო, რადას იხამ?“
 „შემჭამე აბა!“
 და წითელქუდამ იმამგელა კეტი,
 თავი ვაუპო მგელს კბილდაბჩენილს,
 და გაეჭურა აქიაკენ, სადაც —
 ხანამ ნახავენ წითელქუდას
 ერთი ხული აქვთ...“

ჩვენ ვამბობთ: ჩადის!

თარგმნა მურმან ჯგუზურიამ



მაქსიმ რილსკი

* *

წაბლს ვაგროვებდით ბაღჩაში ერთად,
 ღაფვარდ შეცაში
 ორთქლდებოდნენ დრუბლები წყნარად.

თვალს ადევნებდა ბიჭი ღრუბლებს,
თან წაბლხაც კრეფდა.
აბლაბუდების თეთრ სიმებზე უკრავდა ქარი.



მე შეიღს ვუთხარი:
„უკრაინა აყვავდა, ხედავ?
საბჭოთა ხალხის ძმურ თჯახში ყვავილობს ახლა!“
ცა იყო ლურჯი,
აბლაბუდას ქარი არხევედა
და იგი თეთრი მაქმანივით ეკიდა ძაღლა.

მერე ჭარმაგი მუხის ძირას რკოს ვაგროფებდით
და შეიღს ვუხსნიდი
ნათელ დღეთა გარდუვალობას...
ქარი ზეცაზე წითელ ღრუბლებს მიაგორებდა
და შემოდგომა
ვაზაფხულის სმაზე გალობდა.

უკრაინულიდან თარგმნა ნინა აბესაძემ



მიკოლა გაშანი

იური ანოესკის

ღამის რიისი

აიწევს ხელი და კალმის წვერი,
თითქო გალეულ სმლის პირი იყოს,
ნახსაპნ ქაღალდზე გააკრავს ცეროდ
იალქანივით გაღუნულ სტრიქონს.

მაგრამ აფრებში მწყობრი სტროფებს
ქარი კივილით დაურბენს ბწკარებს,
ქარი მოგნებულ კატასტროფების
სტრიქონებს შუა დარეკავს ზარებს.

როგორც ნახმლევის კეალი ატყვია
ზღვებს გზები სწორი და პარდაპირი.
გემს მეგობრული შფოთი არტყია,
მას არ შეხვდება არსად ნაპირი.

და ზღვის ქოჩორზე იქროლებს ასე,
ერთად ივლიან გემა და ქარი.

ქარი, გმირების კიუანით სიყვითლე,
დარეკავს როგორც განჯამას ხარი

ილბატროსივით სწრაფა და ურჩია,
ეცემა აფრებს, დიუწყებს ამლას,
როგორც ხანჯალი დაკრული გულში
და ეანგიანი მეკობრის დაძნა.



მაშ დაპკარ ჯაჭვებს მორგეებს რომ ვაგავს,
ქარში შეაგდე ლატანი ანძას,
შენ სამელნეში ვერ ნახავ გრიგალს
და სათარეშოდ გახროლილ მანძილს.

შენ, მჯერა, ივლი მგზავრი გვიანი,
გაივლი ბრძოლებს, წყალსა და მაწას
ვერც გულს შეგირყევს გზა აედრიანი
და ვერც კომპასის პაწია ისარს.

თარგმნა ილო მოსაშვილმა



დმიტრო კავლიჩკო

თავსხმა წარღვნაში თავგამეტებით,
უღრანს მიაღვევს ფაშატი მრეში,
თქროსფერ ქედზე დახდის წვეთები,
ფრთამორიადლე, მთვარდნილ თქეშას.

მაქქრის, წითელი ელვის თვალისით
გაპკიუთივს ხოლმე მრუმეებს უცებ;
ელვრება წყალი და ვით ასალი
ეტლაშუნება დაძაგრულ მუცელს.

ცას ექო-ექიოდ მიემატება
კლდეზე დაფშვნილა მუხას გრიადლი.
ერთვის აღასფერ ფაფრის ნათებას
ფლოქვთა ცემა და თვალთა ბრიალი;

სურს დაიფერთხოს ღრუბლებში მარჯვედ,
ფერდის თავუბთან ჩადვრილი წყალა;
ვიცოდე მაინც უნავარს შტანჯველს,
როგორ აგუებს ფაცხელი ტანი;

თავისუფლებას ვათ შეეღევა,
 ღაშში რომ ღაგამს ამოვდებ მძიმედ
 და დაურევბულს, ქვეყნაერებას
 თვალსაბურავით რომ ვუჭცევ მღვამედ;



ვით შეეღევა უღრანს და ღელვმას,
 დებს რომ შემთვეკრავ, რას იზამს მამის,
 როგორ აგუებს უზანგს და ჩექმას,
 მათრახას სუსუნს თავსება რაშია;

გაუსედნავი ნებანგე დაჰქრის,
 მე ვა სველ დვედებს ზურგს უკან ვმალავ
 და მოტყუებას ნატეხა შაქრით
 ვუპირებ ასე ღაღსა და ხაღასს.

ვერ შევეშვები: — „აჰა, ანებე!“
 და ნუგბარს ვუშვერ დაღუძბულ სელით;
 ჩემია, ჩემია! — მალღწვევა
 და თეთრფოთიანი ფეხმარდი ცხენი!

უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძე



პორის ოლინიკი

პავლო ბირინას ხსოვნას

მე რომ შემეცნო იღუძალი ავა ნიშანი,
 რასაც მამცნობდნენ ბალახები, წვილნი, ქვიშანი,
 მე რომ შემეცნო, რად ჩსაოდა გუნდა ყორანთა, —
 გზავასაყართან, ხეობასთან, ხიღთან, ბორანთან,
 ჩამოწვებოდი სვაეიდ, მეწყრად... ვიგუგუნებდი,
 მას კი იმ გზიდან უსათუოდ დავაბრუნებდი.

მაგრამ როღესაც შევიცანი, იყო გვიანი,
 წავიდა იგი... დაგვიტოვა ხმა ნაღვლიანი,
 როს ქარში კვდება შემოდგომა ჭადაროხანი,
 ბებრები ვხდებით ერთა წლით და ვართ მოუამულნი,
 ხოლო როღესაც ზეციური ვიტყვებს მკაცრანი,
 მთელი ეპოქით გვიბურდება ერთი, მამული.

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩაშვილი



ივან ღრანი



კრაზანა

დაზუსუნებდა კრაზანა გუშინ,
ფარდების მიღმა დღეს ამოჩრილა,
თვალეში ბზინვა ჩამდგარა შუშის
და დაკეცვია ფრთები მორჩილად.

ფრთხილად მოგწყვიტე გაყინულ მინას...
აჭიატებულ, წყნარ მზეზე დავსვი.
შორს თვისმფრანავე კრაზანად გრგვინავს,
ძირს მწერსაც წახცდა ბგერები მსგავსა.

გადამავაწყდა, იყო თუ არა,
გაობა და ფრთები გამართა ჩქარი,
გაფრანდა, ხეებს გადაუირა,
დააქანავებს უმწყეთს ქარი.

სატავს ყვითელი, შავი ზოლები,
უელავს გული მითქროვილი...
გასწი, მეტოქე სურც გეყოლება,
ფრენით ცოცხლდება არსი ყოველი!

მოშუადღევდა. რა გამძაფრებით
გააქვს ზუსუნი კრაზანას — წერტილს;
დღე შემოდგომის მახდევს გაფრენილს,
რომ ზამთრის ყინვას შეასკდეს მკერდით.

თარგმნა ივანე კვიციანიძე



ვიტალი კოროტიჩი

შენ

იღვრება ჩემში განა ერთბაშად, რაღაცა, ისე —
ცოტცოტაობით;
თუ მეგობრად, თუ კიდევ ქალად;
თუ წუთის წინ გაცნობილ ვინმედ.

იღვრები ჩემში განა ერთბაშად, რაღაცა, ისე —
ცოტცოტაობით.

და მე არ ძალმიძს ერთად თავი რომ მოგიყარო
იმ ერთ არსებად, როგორიც იყავ...

შენ დაიფანტე და დაწაწილდი

და მე ამით დაგემებ ახლა,

რადგან ყოველმა შენს მსგავსსა ვხედავ,

სომ ჩამოგგვანან შემოსვევითი რაღაც ნიშნებით;

და ერთმანეთთან რომა აქვთ ღვა

გააფთრებული...

შენ ეს ხარ შაინც...

ნაწილ-ნაწილად შეიძლება აგროვო მხოლოდ
ხული ძდაბალი.

შენ შეგწევს ძალი — თავი შენი გამოიგონო,

რომ არ მქნენთ იმად, რაცა ხარ.

გხურს იყო კერძი ყოველგვარ რწმენის,

და წინამძღოლი ყოველი ღაშქრის,

ერთიერთმანეთს რომ ეზრძვიან გააფთრებულნი.

მიოხარა: აბა რა შემიძლია,

როცა ერთბაშად ასი სარკადან

პომეჩვენება და ააუბრუს მახვევ!

ხელსაც რომ მიწვდი, ახაც არ ვიცი,

უნდა გამარტყა თუ მომესვით...

მათხარი: აბა რა შემიძლია,

როცა იღვრები ჩემში ხელ-ხელა, ნაწილ-ნაწილ და

ცოტცოტაობით...

მე კა არ ძალმიძს, ერთად თავი რომ მოგიყარო

იმ ერთ არსებად, როგორიც იყავ.

თარგმანა იორან შავერთალიძე

—

ლინა კოსტენკო

სიძღვრა იმა სუბაქვა

იყო ამჭევრად ინკების ტომი,

თითქოს იყო და არა იყო რა...

ზოგი დაეცა ხელჩართულ თმში,

ზოგი — დალატმა გადაიყოლა.

ერთნი მოხაბლეს ძვარფასი ძღვენით,
 ხისხლით წარხოცეს სხეათა სახელი...
 თვალმდათხრილი ტაძრები ძველი
 მრავალი ჭირის გახლდათ მნახველი.



მტარვალი, ამა, კარგს რას იზამდა?!
 მაგრამ დამარხეს როცა წარსული,
 ნანგრევებიდან წამოიზარდა
 იმა სუმაკი — ნაზი ასული.

სან წარბს ახწევდა მკვიდრითი მოხრილხ,
 ხანაც კვიდა წამწამს კურცხალი.
 შგავდა ღრუბლებში მიმადულ ქუხალს
 ამაყი ქალის ხმა საოცარი.

ირგვლავ კი ხალხი უსშენდა ჯაშებს,
 „ჩა-ჩა-ჩაბ“ ხმებში კვდებოდა აზრი...
 ეს მათ მოსწონდათ, როგორც ჯამბაზებს
 სხეათა ხამოსის წამოსხმა ძიარზე.

ნოტას ეკლიან მავთულებს შორის
 ჩაკარგულიყო ხმა ჭეშმარიტა
 და უხახლკარი მხეცავითა თრთოდა
 მოდების სახლის რვინის კარებთან.

ის არ უხრიდა ქედს სხეათა ლოცვებს,
 გამორჩეული მქონდა მახნები,
 თდენ ძარღვებში ანთებულ გოცონს
 და ინკთა ხისხლის კარნახს მისდევდა.

მოკვდავი ქალის უკვდავმა ხოტბამ
 სულ უნებლიედ გამოიყოლა
 ისკების ტომის უხიტყვო მოთქმა,
 რაიც იყო და — არა იყო რა.

უკრაინულიდან თარგმნა ნინო აბუსაძე



მიკოლა ვინგრანოვსკი

* *



თოვლზე ციხურად ელავს საზმრის საქანელა,
 კაჭკაჭხა და მეღას დარჩენილი ვვადი
 და ღრუბელთა ფრთის ქვეშ შემალულა ხელა,
 როგორც ზანთრის მზერა, მის არილი მკრთალი.

ქალარა ფიჭვს დახრილს და საკუთარ აჩრდალს
 ეჭვნარევი სახათ აქ ყურცქვიტა ენისაყს-
 გზასამცდარი ხხივი წიწვთა წვევარამს გაჭრის
 და შეაკრთობს ტყეში მაჭიას თუ ფრთოსანს.

უცებ მოგჭრის თვალეზს, იძალეზა ძალე,
 თოვლს წყალივით დაღვეს, ნაძვის წვერზე იწყის...
 ხულს ძლივს ითქვამს თოვლშია, ხუნთქავს ძალისძალით
 დიდი ფიჭვის გვერდით პაწაწინა ფიჭვი.

ახე არის მართლაც... ღრუბლის გაძლიერ ფრთათა
 მიღმა ჩადის მზე და ევარგება სხივი.
 მოვარე თოვლსა ზედა ხარმის მძივეზს ფანტავს,
 ანთებულა ცაზე და გულშიაც დეავის.

უკრაინულიდან თარგმნა ნინო აბუსაძე

□



ივან ჩიბრინოვი

ბარიკადი და ჩიტაბი

ზალუჯაეში მითხრეს: — იცი, დემიდენოკი წავიდა. ჩვენი დაბიდან სულ წავიდა.

ომი ორი თუ სამი წლის დამთავრებული იყო, დემიდენოკი ჩვენს დაბაში რომ გამოჩნდა და მარტოხელა დაკულებისასთან დაბინავდა. დაკულებისამ ბერიკაცი თავიდან წდგმურად აიკვანა, სიბერეში ერთი-ორი კაბიკი მაინც მექნებამო: დემიდენოკი პენსიას იღებდა. მერე ქალა წდგმურს ფულს აღარც ართმევდა.

დემიდენოკი პირველად მაშინ ვნახე, როცა უკვე გონჩარნის ქუჩის მკვიდრად თვლიდნენ.

ერთ კვირა დილით ეზოში ვიდექი.

— დემიდენოკი მოდის! — მონესმა უეცრად. გავიხედე, შუა ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა საშუალო სიმაღლია, წელში მოხრალი ბერიკაცი, ხელში გალია ეჭირა. წვერიც თეთრი ჰქონდა და ქილის ქუდიდანაც თეთრი თმა უჩანდა. ეცვა აქა-იქ დაბეჭილი, ზოლ-ზოლიანი ქსოვილის შარვალი და გამოხუნებული სატანის კარგა სრული ხალათი, რომელიც წელზე ვიწრო, ფოჩებიანი ქამრით შეშოეჭირა. ბერიკაცი ისე მიიჩქაროდა, იფიქრებდი, სადღაც ძალიან აგვიანდებამო.

— დემიდენოკი!.. დემიდენოკი!..

ეზოებიდან ბავშვები გამორბოდნენ, მავრამ ბერიკაცთან მიახლოების ვერ პედავდნენ, შორიახლოს მიჰყვებოდნენ. ბერიკაცი ისე იქცეოდა, თითქოს ვერც ვერაფერს გრძნობდა და ვერც ხედავდა. მომაგონდა, თავის დროზე, პატარა ბიჭობაში, თანატოლებთან ერთად როგორ მივდეგდი ობროლ ტიმკას, რომელიც საკოლმეურნეო ქუჩის სულ პოლოში ცხოვრობდა, თუმცა არც იქ ვასვენებდით.

საღამოს, როცა დედამ ძროხა მინდვრიდან მოაბრუნა და დააბინავა, ვკითხე:

— დემიდენოკი... რა კაცია?

— რა კაცი უნდა იყოს? ჩვეულებრივი დაკულებისასთან ცხოვრობს, —

მითხრა და მცირე დუმილის შემდეგ ახლა თვითონ მკითხა: — ბავშვები მის-
დევენენ, არა?

თავი დაუქნევ.

ო, ეგ საბავშვები! — ამოიოხრა დედამ. — დემიდენოკი ერთი ჩვე-
ულებრივსე ჩვეულებრივი ადამიანია, ისე შეიძლება, ცოტა ახრებულნი მო-
გჩვენოს.



საქართველო

დედამ მეტი არაფერი თქვა, თავი შეიკავა. მივხვდი, ყველაზე მეტად ის
ანადვლებდა, დემიდენოკზე ცუდი არაფერი მეუბრა.

— ერთ გასაფხულს მოვიდა და დაკულობასთან დაბინავდა. რა კაცია და
სადაური — არავის უკითხავს. ვისი რა საქმე იყო! ვანა ომის მერე ცოტა
უსახლკარო ადამიანი დადიოდა. ამ უბედურებას: ბევრი ვერ გაღატოჩა. ყვე-
ლაა თავისი გასაჭირი ჰქონდა. იქნებ ბუდე მასაც ონა დაუნგრია. კიდევ
კარგი, პენსია აქვს. მგონი, მაშინ დაკულობაც ფულს დახარბდა...

დედა გაჩუმდა.

წარმოიდგინე და კარგა ყოჩალი ბერიკაცი აღმოჩნდა... დემიდენოკზე
გამბობ, — განაგრძო დედამ. — დაკულობას იღბალი ჰქონია. უსაქმოდ ვერ
ნახავ, ხან ბაღში უჭაფუჭებს, ხან ეზო-კარს უვლის, აბა, ნახე დაკულობას
სახლის წინ ქუჩა... სხვებივით კი არა აქვს ჩაბანძურებული, ერთხელ რაღა-
ცაზე შევიარე. რომ იცოდე, რა თავისიანი კაცია! ოღონდ რატომღაც ლაბა-
რაკი არ ეხალისება, ჩაღუნავს ხოლმე თავს და დღეს. მარტო ეგ რომ იყოს,
კიდევ არაფერი, ამქვეყნად რამდენი სიტყვაძუნწი დადის. ერთხელ ბაზარში
წასულა, ადრე არასოდეს ყოფილა, უცებ მოჰვუნებებია. ვინ იცის, იქნებ
რამის ყიდვას ფიქრობდა, ანდა შეიძლება სულაც დაკულობასთვის უნდოდა
ესიამოვნებინა. ერთი სიტყვით, ამის შემდეგ კაცი გამოიცვალა, სულ კი ჩი-
ტების განო. ნეტა ვიცოდე, ბაზარში ჩიტებით ვაჭრობა ვინ მოიფიქრა. ადრე
არასოდეს მინახავს, ჩვენს ბაზარში ჩიტები გაეყიდოთ. მოჰქონდათ რძე,
კვერცხი, მაგრამ ჩიტები!.. ჩიტებით ვაჭრობა ვაგონილა! შოდა, დემიდენოკ-
საც იმ დღეს ჩიტები უყიდია. მერე ბაზარშიც მოუხშირა სიარულს, დაინ-
ხავს გასაყიდად გამოყვანილ ჩიტებსა და აუცილებლად იყიდის. აბა, რომ,
ახლა ჩიტების ჭერაში ბევრი დაოსტატდა. ეს არის საქმე! დემიდენოკი კი
ყიდულობს და მერე სადღაც უშვებს. მთელ პენსიას მაგაზე ხარჯავს. დაკუ-
ლიზა რომ არა, სულ უჭმელ-უსმელი ივლიდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა,
რომ ჩიტები მისთვის შინ მიჰყავდათ. მაშინ კი ვეღარ მოითმინა დაკულობამ,
თავიდან ვრიდებოდა, მერე აიღო ჯოხი და, იცოცხლე, იმათ დღე აყარა.
იმის შემდეგ აღარც მისულან, თუმცა დემიდენოკმა მაინც არ მოიშალა
თავისი...

ამ საუბრის შემდეგ, როგორც კი ქუჩიდან ნაცნობ შეძახილს გავიგონებ-
დი, უმაღ ეზოში გავიდოდი:

— დემიდენოკი!..

დემიდენოკი მუდამ შლა ქუჩაში მიაბიჯებდა, დღეცისმარე სატინის ერთი
და იგივე ხალათი ეცვა. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე დანამდვალეობით გე-
ტყოდით, იმის შარვალს რამდენი საკერებელი ედგა. კვირადღეობით ჩვენს
სახლს ორჯერ მაინც აუფლ-ჩაუქლიდა — ერთხელ ბაზარში მიმავალი, მე-
ორხელ კი იქიდან მობრუნებული. არ მახსოვს, მიმავალს აქეთ-იქით გავხე-

დოს. მაგრამ ერთხელ ჩვეულებას უღალატა, თუკი ამას ჩვეულება ჰქვია, მოულოდნელად შემომხედა. და იქნებ იმიტომ, რომ ამ ქუჩაზე მისთვის ახალი ადამიანი ვიყავი, უცებ ქუდი მოიხადა და მომესალმა. მას აქეთ, გვერდით რომ ჩამოივლიდა, მუდამ ხელს ქუდთან მიიტანდა, მაგრამ ამას როგორღაც აჩქარებით აკეთებდა, თითქოს ამ უაზრო საქმეზე წამის დაკარგვაც ენანებოდა.

ერისნული
გინგულითუქა

ნეტა რა კაცია?

გულმა დემიდენოვისაკენ გამიწია. ზოგჯერ თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მეც არ გავდევნებოდი ბახარში, თუმცა ვთვლიდი, ბიჭები ამ საქციელით ბერიკაცს მხოლოდ გულს ტკენდნენ.

ერთხელაც დემიდენოვი ბახარში მივიდა და ჩიტები ველარ იბოვა. საქციელწამხდარი ბრუნდებოდა ბერიკაცა. ჩვენს სახლს რომ გაუსწორდა. მეორე ხნით იმ სკამის შორიანლოს მედგა, რომელზეც მე ვიჯექი, წერე მიტრიალდა და საკოლმეურნეო ქუჩას გაუყვა. გადაეწყვიტე უკან გავპოლოდი.

დემიდენოვი ყურადღებას არ მაქცევდა, ალბათ ჩემი ნაბიჯის ხმა არც ეყურებოდა.

ამასობაში ჩათავდა აგურის ახალი შენობები. საკოლმეურნეო ქუჩის აქეთ-იქით სწორედ ისეთი ხის სახლები იყო ჩარიგებული, როგორც გონჩარხისაზე, ოღონდ აქ ახლახანა აეშენებინათ, რადგან თნის დროს ეს ქუჩა ერთიანად დამწვარა.

მალე დემიდენოვი რომელიღაც ჭიშკარში გაუჩინარდა, ქუჩაში მარტო დავრჩი.

დრო ნელა გადიოდა. თავს უხერხულად ვგრძნობდი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ყველაზე მეტად აქ დემიდენოვთან პირისპირ შეყრა ნაფიქრებდა, მაგრამ იგივე ძალა, რამაც აქეთ წამომიყვანა, ახლა ხელ-ფეხს მიბორკავდა, ხოლო როცა ბერიკაცა გამოჩნდა, უკვე გვიან იყო თითზე კბენანი.

სანამ დემიდენოვმა არ ჩამიარა, ისე ვახევებული ვიდექი, თითქოს ვინმეს ცივი წყალი გადაესხას.

ამ დროს წინკარიდან ქალი გამოვიდა და ეზოში ვიღაცას გასძახა:

— რამდენი მოგცა?

ქალს სახლიდან წვრილი ხმა გამოეპასუხა.

— ღმერთო! თითქმის სულ მუქთად გაგიტანებია! — აწრიალდა ქალი.

— ნეტა ვის რად უნდა შენი ბელურები! — იმ ხმამ ქალის დამშვიდება სცადა.

— როგორ თუ ვას რად უნდა! რა გაჩხავლებს! სხვისი ფულები გენანება! ბრიყვი ნუ ხარ. რახან ეგრე ქარზე ფანტავს, ეტყობა, ბევრი აქვს.

თქვა ქალმა და ჩაიხითხითა. შემეცოდა დემიდენოვი.

ბელურებიანი გალია — მართლაც ბელურები იყო — დემიდენოვს მკერდზე მიეკრა, თითქოს ეშინოდა, აგერ-აგერ ვიღაცა მწვდება და წამართმევსო.

ბერიკაცი გზას დაბას ბოლოსაკენ დაადგა.

თურმე ჩიტებს დაბიდან სამი კილომეტრის მოშორებით უშვებდა, სწორედ იქ იწყებოდა ზენკევიჩის მღელო.

მე შორიანლოს ვიდექი.

უეცრად დემიდენოკი წელში გაიმართა, გაახალგაზრდავდა, უწინდელი შთაქუსული ბერიკაცის ხსენებაც კი აღარსად იყო. სრულიად გარდაქმნა ჩემს თვალწინ. სახეგაბადრული დიდხანს იდგა და ასაკისათვის შეუფერებელი სიხარულით გასცქეროდა გალიიდან გაფრენილ ჩიტებს...



ერქუნული
გვიტყვი

შინისაკენ უკვე ძველი ნაცნობებივით ვბრუნდებოდით, თუმცა საუბარი არ გამოგვივიდა. სამაგიეროდ ახლა დაკულისასთან მისგლა თავისუფლად შემეძლო.

სწორედ იქ შევიტყვე ყველაფერი.

ომამდე დემიდენოკი თურმე ვიტუნთან სახლობდა და იქაური ტყის მცველად მსახურობდა.

ოჯახი არა ბქონდა, ოცდაათი წლის ქალიშვილი ქმართან ერთად ქალაქში ცხოვრობდა, თავისი ქალიშვილი ეზრდებოდა. ეტყობა, არც მამა ენატრებოდა და არც არაფერზე სწყდებოდა გული, რადგან მშობლიურ სანახებს ერთხელაც არ სწვევია.

დაიწყო ომი. თავიდან იქაურ ცხოვრებას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, ომის ცეცხლი კარგა შორს მძვინვარებდა, თუმცა მალე ომი ვიტუნსაც მიაღწა. ღამე ნათლად ჩანდა დნებრს გაღმა ავარდნილი ხანძრების ალი.

ერთ დღესაც იქაურობა შეიძრა... თავისი ადგილებიდან აყრილი ხალხის ნიაღვარს ბოლო არ უჩანდა. იფიქრებდი, დედამიწის მოსახლეობის ნახევარი აქეთ დაძრულაო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მტვერსა და მჭვართლში ამოგანგლული ლტოლვილები. წითელარმიელები... გზის პირას დამტვრეულ ქოთნებთან ერთად ეყარა გამხმარი, სისხლიანი სახეევები.

ტყის მცველის სადარაჯო ჯიხური, სადაც დემიდენოკი ცხოვრობდა, დაჭრილებით იყო სავსე.

თავად დემიდენოკი დილიდან დაბინდებამდე გზასთან იდგა და აძრულ ხალხს აკვირდებოდა, იქნებ ჩემიანებს მოგვრა თვალაო.

ბერიკაცს იმედი გაუზაროდა. ეწვია ქალიშვილი და სამი წლის შვილიშვილი ალენკა, რომელმაც ადრე მხოლოდ დედისაგან იცოდა, რომ ჰყავდა ბაბუა და იგი სადღაც ტყეში ტბის ნაპირას ცხოვრობდა. ვინ იცის, შეიძლება გოგონას ბაბუა სულაც ჯადოქრად ჰყავდა წარმოდგენილი, სინამდვილეში კი ერთი ჩვეულებრივი ბერიკაცი აღმოჩნდა, რომლის მსგავსი კაცები თავის ქუჩაზეც ბევრჯერ შეხვედრია. გოგონამ დიდხანს ეჭვის თვალთ უყურა ბერიკაცს, მერე ბაბუამ ხელში აიყვანა და დაუბანელ, გამხდარსა და ილაფ-გაწყვეტილს მაშინვე ჩაეძინა. ისე ტკბილად ეძინა, რომ მეორე დღის დადგომამდე ხმა არ გაუღია. გამოღვიძებულმა კი დედა ვერსად იპოვა და ტირილი დაიწყო. დემიდენოკის ქალიშვილია გზა სხვებთან ერთად გააგრძელა, ალენკა მამას დაუტოვა. და თუმცა შორიახლოს ღამაში ტბაც იყო, რომელსაც რატომღაც მკვდარს ეძახდნენ, ირგვლივ ტყეც დიდებული სანახავი გახლდათ, ალენკა მაინც ვერაფერმა მოხიბლა, ტიროდა და ტიროდა. მაშინ დემიდენოკი ბავშვს ხელში აიყვანდა და ბაბუა და შვილიშვილი გზაზე გავიდოდნენ, სადაც კვლავ უწყვეტ ნაკადად დიოდა უბედურებით დევნილი ხალხი. იქცა მშვიდდებოდა გოგონა.

ომი კი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა...

ნელ-ნელა ლტოლვილთა ნაკადები შეთხელდა, მერე სულაც შეწყდა.

ტყეში ჯარისკაცებიდა იყვნენ. მერე ისინიც გაუჩინარდნენ, თუმცა ერთხანს ისევ ისმოდა ვიტუნის მისადგომებთან ატეხილი ტყვიამფრქვევების კაკანი. ბოლოს ის დღეც დადგა, როცა ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა, იქაურობა დემიდენოკისა და ალენკას გარდა ყველას მიეტოვებინა.

ტყის მცველს საქმე აღარაფერი ჰქონდა და დემიდენოკს ტყეში დაეხეტებოდა, ბეთა არიანს აყურადებდა, სულ სხვა ხმაზე შეეფარებოდა. შემოდგომა კარზე იყო მომდგარი, სწორედ მაშინ მოადგნენ პარტიზანები. ერთი ხანობა ტყის მცველთან იცხოვრეს, მერე ზამთარი რომ დადგა და ხვაროიელად მოთოვა, მკვლარი ტბასაკენ გადაბარვდნენ. ზამთარი კი მრისხანე გამოდგა, ყინვა ცილა ტყეჭრუტანებშიც კი აღებდა, საყ რომ, ჯიხურში დღე-ღალამ ცეცხლი უნდა ნთებოდათ. ბაბუა და შვილიშვილი მოუთმენლად ელოდებოდნენ თბილ დღეებს.

საგონამ ერთხელ ჯიხურში გეომანელები შეიჭრნენ.

— პარტიზანი ხარ?

დემიდენოკმა მხრები აიჩინა.

— სად არიან პარტიზანები?

— არ ვიცი.

— მაშინ აიბარგე.

— ამ ბავშვს რა გუყო? ხომ მარტო დარჩა? — ალენკაზე ანიშნა დემიდენოკმა.

— თუ გონივრად მოაგეცვები, არ დარბება მარტო, — დაამუდგეს.

ბერიკაცი მარხილში ჩასვეს და ვიტუნში წაიყვანეს, ალენკას კი ჯიხურის კარი ჩაუკეტეს.

ორი კვირა სულ ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ:

— სად არიან პარტიზანები?

დემიდენოკი დუმდა. მაშინ იატაკზე წააქცევდნენ ხოლმე და სცემდნენ. ღამე კი, როცა მცირე ხნით თვალს მოატყუებდა, ერთთავად შვილიშვილი და დაფეფქული ბილიკი ესინმრებოდა. იმ ბილიკს დამდგარი კაცი ტბას გვერდს აუვლიდა და პარტიზანთა მიწურებს მოადგებოდა. ბერიკაცი იმედოვნებდა, ალენკას პარტიზანები მიაკითხავდნენ და გადაარბენდნენ.

ტყის მცველი ორი კვირა აწამეს. მთელი ის დრო მარტოდ დარჩენილ ალენკაზე ფიქრით იტანჯებოდა.

როცა ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლეს, ბერიკაცს თავისი გაყინული ჯიხური ცარიელი დაუხვდა, აღარსად იყო ალენკა. იატაკზე ეგდო მკვლარი წიწკანა, რომელიც ეინ იცის, როდის შემოფრენილიყო...

ომის უკანასკნელ დღემდე ეძება მოხუცმა ტყის მცველმა შვილიშვილი. მაგრამ კვალსაც ვერსად მიაგნო. მერე ქალიშვილიც დაბრუნდა, რომ შეიტყო, ალენკა უგზო-უკვლოდ დაიკარგაო, სკამზე დაეშვა და მთელი ღამე ტირილში გაატარა. დილით კი ადგა და უსიტყვოდ წავიდა.

რა თქმა უნდა, იმ ჯიხურში ვეღარ გახერდებოდა დემიდენოკი. პოდა, იქაურობა კიდევ მიატოვა სამუდამოდ.

...ორი დღის შემდეგ ბავშვებს მოვლხმე და დემიდენოკზე რაც ვიკოდი, ყველაფერი გუამბე. ბავშვებში თავი ჩაჰკიდეს და ჩუმად დაიშალნენ. მეგონა, სიკეთე ექნენი, დავიცავი გატანჯული ბერიკაცი.

მას წერე ბაშვებს დემიდენოკი აღარ შეუწუხებიათ. თანდათან ბაზრიდანაც გაქრა ჩიტები, მალე დაბაში ჩიტებით მოვაჭრე კაცი სანთლით სძებარი გახდა, თუმცა დემიდენოკი თავისი გალიით ბაზრის კვლავ ხშირი ატუმარი იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაბა უნდა დამეტოვებინა ^{ერჩენულა} ~~სწავლა~~ ~~დექანოვანი~~ შევიარე გამოსაძმვიდობებლად. წინკარში დაკულიხა დამხვდა.

— სჯობს არ შეხვიდე, ჩურჩულით მისაყვედურა ქალმა, — აგე, კაცი დარდით აღარ არის, ყველაფერი კი შენი ბრალია. ნეტა რა გალაპარაკებდა? ამ ბოლო დროს იმ ჩიტებით ედგა სული...

დემიდენოკი თანჯრის პირდაპირ იჯდა. ნაბიჯის ხმაზე არც კი მოუხედავს, ხოლო იმ რამდენიმე წუთში, დაკულიხასთან რომ დავყავი, სიტყვაც არ გაუმეტებია.

დამცირებულმა და დაბნეულმა დავტოვე იქალობა.

ვიფიქრე, ადამიანს კრილობის მოშუშებაში მივეხმარები-მეთქი, ასე უგერგილოდ კი მოვიქცევი. სჯობდა სულ არ ჩავრეულიყავი, ყველა კრილობას ხომ არ უწერია განკურნება...

ბელორუსულიდან თარგმნა ჯანა ასათიანიძე



პიანოსლაგ ალაშიკი

ს ა ს ლ ქ ა რ გ ა დ ა მ ო ვ რ ე ბ ი

ქარი ვაშლას ხეზე აქა-იქ შემორჩენილ მშავებულ ფოთლებს აცახცახებდა. სველ მესვრთან ჯერ ასევე მწვანობდა კინქარი, ყელყელაობდა ძირწითელას ქეობაშეპარული ღეროები. გარშემო შემოდგომის ნესტიანი დღისა და ბოსტნის ცარიელი კვლების სუნი ტრიალებდა. ქალი შუა ეზოში გაჩერდა და გაიხსენა, რა გაალმასებული ეხვეოდნენ ზაფხულში კრაზანები ქარისაგან დაბსკდარ წვნიან, დათაფლულ ვაშლებს და ქოჩისკენ წავიდა.

ქალს წლები მორეოდა. მოხრილი მიდიოდა და ბრმასავით მიიფათტრებდა ფეხებს, სახე გაყვითლებოდა და დავრბელებოდა — სიბერეს მოეჭირა მარწუხები, დამტყნარი, ჩალურჯებული ტუჩები დამაშვროდა, წყლიან შავ თვალებსა და შემორჩენოდათ სიცოცხლე. იდაყვამდე გაშიშვლებული ხელები კივი წყლისგან ასწითლებოდა. ვიწრო ძველ ფაკეტს პლუშა გაქექვოდა, გამოხუნებულ შალის თავშალსაც ძლივს ემჩნეოდა ფართო უჯრედები.

ქალი კიბეზე ავიდა. ფარულქვეშ ქარი აეყილობდა და გამხმარ ჩალსავით ფაჩუნობდა. ქონის მეორე მხარეს კედელს ეტლამუნებოდა გაფენილი სველი ტინტები. მუზობულ ქონს ყრანტილით გადაუარა ყვავებს ვუწოდო, ქარი სხვა მხარეს მიერეკებოდა ნათ. ქალი წელში გასწორდა და იქით გაიხედა, საითაც ფრინველები მიყაშყაშებდნენ. გაიხედა და გაშეშდა: მუწობის ქონსთან თხთვალა იდგა, შიგ ამლავი ცხენი იყო შებმული — ყვითელი, თეთრად დაფოთლილი. ქარს ჩიჩვირს არიდებდა და თივას აქიანებდა. ოთხთვალახე ქალებს აცილებოდა ძველი, სიმუქეშეპარული ყვითელი ძნება.

ო. რა უშინია იმ დღის მერე ამლავი ცხენებისა!.. შემოდგომა იყო, ბაზრობა რომ დამთავრდა, ვიღაცამ ოთხთვალა დაანახა. ბაზროს ბოლოს იდგა. ჭუჭყლან ტომბრებში გოჭები ხვანცალებდნენ და წყვიროდნენ. იქვე სწორედ ასეთივე ჭრელ ცხენთან იდგა ბოლშაიაგრუდელი იოდა. სწორედ მან მოუკლა უმცროსი ვაქამვილი. ამბობდნენ, სასჯელი მოიხატა და ცხვიდან დაბრუნდაო. მაშინ ისე დაუბნელდა თვალები, მისი სახეც ვერ გაარჩია. მართლ სინმარცხით ახსოვს: იოდა ოთხთვალახე იჯდა და ქონის ჩექმებიანი გრძელი ფეხები ურჩის ჭალებს შუა ჩაეკიდა. ეტყობა, იგობნო, ვიღაც მომხერებიო, ფაფაფუცით მოქაჩა სადავე. ქალი კი მისი გრძელი ფეხებისა და აჯაყჯაყებული რუხი ხურვას ვარდა ვერაფერს ხედავდა. იოდა გზას აღარ დაეძებდა, ორმოებსა და ტინტრებში მიანრავუნებდა ოთხთვალას, ოღონდ ჩქარა გასცლოდა აქაურობას.

მერე კი, დანე რატომღაც ამლავი ცხენი დაესიხნრა ქალს. ახლაც სწორედ ისეთი ცხენი იდგა ქუჩაში: თვალზეხე მარტულელი ჩამოწეოდა და თივამი ჩაერვა თავი. მუფორნე არსად ჩანდა. ცალი ხელით წირთხლს დაეყრდნო — როგორღაც უცბად მოეკვეთა მუხლები, მეორეთი კარის სახელურს ჩაეჭიდა და წინგარში შევიდა. ჩაბნელებულ კუთხეში თვითრად ქაფქათებდა კომბოსტოს გროვა. დაბიღამ მაროდს რომ ამოვიტან, დაეაშწნილებო, გაიფიქრა და ქონში შევიდა. თვალწინ კი ისევ ის ამლავი ცხენი ედგა. ნესტიანი ქუჩის მერე სახლში თბილოდა. დუმელთან ჩამოკიდებული ხახვის გაღვებისა და შეტრუსული ცხერის თავის სუნის იდგა. შუა ქონში გაჩერდა, რაღაცას იხსენებდა. მაგრამ ვერა და ვერა გაიხსენა. ფიქრი მაინც ამლავი ცხენსკენ გაუბოდა. ფანჯრიდან ერთმანეთში გადახლართულ ჩამუქებულ ტოტებში მუზობლის ქონხას ნაცრისფერი სახურავი ილანდებოდა. ყვითელი ხაესი მოდებოდა სარდაფის დაბალი ლაფაროს ფიცრებს. ქონის გარეთ ქარი დაყილობდა, კედელს ტკაცატკუცით ეხლებოდა ლარტყულაზე გაფენილი სველი ჩვრები.

რაღაცა ძალამ ფანჯრისკენ წაიყვანა. ჭრელი ცხენი ისევ მუზობლას ეზოსთან იდგა, ჩაქინდრულ თავს ქარს არიდებდა. ახლა ორი კაცი ხლაფორობდა ოთხთვალასთან. ერთს ვაცვეთილი ხალათი და ჯარისკაცის შარვალი ეცვა, გრძელი, ჩამოშვებული უღვაში პქონდა. ტომარაში ტენიდა ცხენისაგან ვაფანტულ თივას. მეორე — მაღალ-მაღალი, უფრო ახალგაზრდა ჩანდა. შავი შინელი ეცვა. ცალი ფეხი ოთხთვალასთვის მიუბჯინა და თოქს ქაჩავდა ძნებზე გადასაჭერად.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ ის არის, პოლიცაი იოდა?“ — ფანჯარას მოშორდა. იოდას მაშინაც წავები ეცვა, ბიჭი რომ დაუხვრიტა, თმის მეორე წელს მოუკლა ხაფხულში. ვერმანელებს თვალწინ. ჩალისფრად დაღიანებდა ქვაყი, ბაღ-

ჩემი ყველაფე მოდებოდა სარებს ღობით, გაავებული კრაზანები დახეთქილ ვაშლებს ეხვეოდნენ.

მაშინ ქალი ჭვავის სამკალად დაეყოლა ყანაში. ნაწუილდუსი იყო. ამ უმცროს ბიჭს ძროხები გაიტანა საძოვარზე. ის კი დაბაში ვაჭარებდა. ყანაში ვიღაცას საფრთხობელები დაედგა, თანაც იმდენი დაეჭვა, რომ ვიღაც იმდენი დაეჭვა, რომ შინმა აიტანა. თითქოს უბედურება იკრძნო. სახლისკენ გაიხდა. კი არ მირბოდა, მიფრინავდა. გზაზევე შეხვდა მწყემსებს. გულზე უმცროსმა, აქლოწინებულმა და შიმშილგან გაშვებულმა ბიჭმა დაუძახა:

— დეიდა... დეიდა, ბოლიციანტმა პეტრიკი მოჰკლა, თოფი ესროლა, — და გელსაყლაყლად ატირდა.

არ ახსოვს, როგორ ჩაჯდა მიწაზე, რამდენხანს იწვა. დანარჩენი კი სიზმარებით აგონდება: ჭვავისა და კარტოფილის ყანებში გარბოდა, სადღაც თავშალი დაეკარგა, ბირდაბირ დაბისკენ მირბოდა, სადაც სწორედ ბორცვზე ზედ გზატყვილთან გულაღმა იწვა მისი ბიჭი. ერთ ხელში მოკლეტარბანი გერმანული ნიჩაბი ჩაებლუჯა.

ახლაც გული ეღვია და გონება ეკარგება, დაბის დასაწყისში იმ არყის ხეს რომ მოჰკრავს თვალს. ყოველთვის თავიდან აეშლება ხოლმე სატკივარი, როცა კი ქათამახუტებულნი ან კვერცხებით სავსე ხელში მიდის ბაზარში, იქნებ რძის საწური ან საცერი ვიყიდოთ ამათ სახაცვლოდ.

ღმერთო დიდებულო, ან გული რატომ არ გაუხვდა მაშინ, ხელებზე ეცა შვილს, მაგრამ ის უკვე გაცივებული იყო. გზატყვილზე გუბურასავით შავად შედედებულიყო სისხლი. შვილს დასწვდა და ხელში ატატებელი სახლისკენ წაიღო, თან გაყვითლებულ სახეს უკოცნიდა.

მოგვიანებით უთხრეს, იმ იოჯამ შენც გესროლათ, თვითონ კი არაფერი გაუგია. სწორედ იმ საწყობის ახლოს გესროლა, სადაც ბავშვებმა გერმანული ნიჩაბი აიღესო.

ღმერთო ზემო, იმ გერმანული ნიჩბისთვის მონიკლა ბიჭი. მეჩუ მცც მესროლა თურმე. ბუნდოვნად ახსოვს: დაბაში, აი, იმ ბოლო საწყობთან, სადაც ახლა ყოველ შემოდგომაზე კარტოფილს იბარებენ ხოლმე. ეილაც წავტანსაც-მლიანი დაბორიანებდა. ალბათ იქიდან ესროლა. მეორე თუ მესამე დღეს შენიშნა თითქოს ეელთან მათუღს გამოდებოდეს, ისე ჰქონდა კაბა გამოგლეჯილი.

„ნუთუ ის არის?“

გრძნობდა, ჟეხები ეკვეთებოდა და გული მისდიოდა. საწოლამდე მისვლა უნდოდა, მაგრამ მიხედა, ვერ მივაღწევო და იქვე სკამზე ჩაბოჯდა.

კედელზე შავი ყუთი ჩურჩულებდა: ქარაან დღეს რადიო ჩურჩულებს ხოლმე — სადღაც მათუღები ისლართება ერთმანეთში. არც კედლის საათი წიყწიყებდა და იტიქრა: ალბათ შიმშილი დაშინოთ სმენათ, მაგრამ სკამამდე ჩამოწეული გირა დაინახა და მისვდა, საათი გაჩერებული იყო. არა, არ დაყრუებულა, ესმის, როგორ ტლაშუნებენ ლარტყაზე გაფენილი სველი ჩვრები, როგორ ჭრაჭუნებენ და ყრიალებენ მათუღები, კომკრის ჭრიალიც ესმის და ისიც ესმის, როგორ მოაბოტებს ვიღაც. უცბად გამოერკვა. „იქნებ თვითონ იოდა მოდო?“

თითქოს თავზე წარწეხები მოუჭირესო, საფეთქლები ატყვიდა. სკამზე ჩაჩოჩდა და ფანჯრისკენ მიიწია: სახლის კუთხეში ვიღაცის ზურგმა გაეღწა, კარსკენ მოდიოდა.

„კარი მაინც ჩამეკეტა“. სკამიდან წამოიწია, ნაგრამ ვიღაც უკვე წიხკარში იყო და ხელის ფათურით ისე ფრთხილად ეაებდა რაზა, **ფანჯრისკენ უახუნობსო ჩალაში.**



ქალი გაშეშებული იდგა და ჩაშაყებულ, ფათრისგან შექმულ, დამლილულ კარს არ აცილებდა თვალს. რაზა უცბად გაჩხაკუნდა, ქალი შეხტა და კარიც გაიღო.

ქოხში დაბალ-დაბალი, ხნიერი, უღვაშიჩამოწვებული იოდა შემოვიდა.

— დღე შშვიდობისა!

ქალმა უკან დაიხია. „ღმერთო, მიხსენი! ნუთუ ეს ბოლწაიაგრუდელი იოდაა? ბერედა, სემს ქოხში შემოსვლა როგორ გაბედა?“ იდაყვიანდვ გაშიშვლებული გაძვალტყავებული ხელები უცახცახებდა.

— სახლ-კარი გადაგყენვა, იქნებ ერთი კონა ჩალა გვიწვადობოთ.

კარგად იცოდა, სახლკარგადამწვარი ხალხი ოდითგან სოფელ-სოფელ თხოულობდა ჩალას სამოწყალოდ. განა თვითონაც ასე არ ჩამოითხოვა ომის შემდეგ? ქოხი გერმანელებმა გადაბუგეს. ბურის გამოცხობა მოინდომეს და შპალებს უნთებდნენ ღუმელს. ცეცხლი ღუმელს გარეთაც ბრიალებდა და ხანძარიც სწორედ მაწინ ვახნდა. შოდა, სახურავისთვის ჩალა შემოაგლდა და სოფელში ჩამოითხოვა. ვინ ერთ კონას აძლევდა და ვინ — ორს. მოშლაერგნულ ბჭაბუბი საშ-სამსაც იმერტებდნენ.

„იქნებ ამანაც მომცა მაშინ...“ ქალი გაშეშებული იდგა შტა ქოხში და თვალს არ აშორებდა სტუმარს.

ერთი კონა მაინც მოწყალობეთ, ღმერთი გადავახდით სამაგეროს!

„ღმერთო მიწველე, ნამდვილად იოდების გვარისაა“.

მოჭრალივით გამოვიდა ქოხიდან. გაახსენდა: ქალის კუთხეში თავყებოსავან განაყებული ორი კონა ნამჭა უგდო შეშებზე.

„ჯანდაბას, წაიღოს, ჯანდაბას...“

ქალი ქოხიდან გავიდა. ესმოდა, რა დინჭად მიიხურა კაცმა კარი, როგორ მიალაყებდა და ჩიოდა: თავის დროზე არ დამაზღვევეს, ის კო არადა, დაჯარიმებასაც შაბარებენ — სახლი ყერთო განათ დაიწვათ. ქარი გაშაძელებულ, გამხმარ ხელებს უყინავდა ქალს, თავშლის ბოლოს უფრიალებდა და ზურგში უძვრებოდა. ცოტა შუება იკრძნო, ვაშლის ხეზე ვამერჩხერებულ, ჩამაყებული ფოთლები აჩათოდნენ. ბაღის მესერს ჩაახმარა ევაილების ღერობა ენეთქებოდა. ისევ ისე შიაოდნენ ცვავება და ლამის მიწაზე გაცრულები მიფრინავდნენ ქარის საწინააღმდეგო ნიშართულებით. ნოცხარის გამიშვლებული ბუჩქის ძირში თვართა დედალი თვლებდა ცალფეხზე. შეზობელ ქალოდას ცივი, დაბალი ღრუბელი მოიწევდა, ყველაფერი მუჭდებოდა და ყვითელ ფერს იკრავდა. ეტყობოდა, შირველ თოვლს ჩამოყრიდა.

ქალი დიდხანს აწვალებდა ქიწკარს. ვერ იქნა და ვერ ამოაირო საგდელი. მერვ კი კინალამ მიწას არ დაახარცხა ქარისგან მოქმედულმა კარმა. მადლობა ღმერთს, გამზე გახტონა მოასწრო. ქალოზე თავისუფლად დამლივიანობდა ქარი. ლარტყულუნსა და კაცვებზე ძონძებივით ევიდა აბლაბუდები. კუთხეში

რკინის ბორბლიანი, გრძელხელნიანი ფორანი იღვა. კაკვზე რგოლდაყანგული და ჭამანგახეხებულნი მარტულელი ვკიდა. კუთხეში თეთლ ლიქენსადებული ფიცრები ლებოდა. სწორედ იმ ფიცრებზე იღო თავკვებისგან გაფორანებული ძველისძველი ნამჯის ორი კონა.

— აიღეთ, აი, იქაა... — ქალი ჯონზე დაუბრუნობილი უქურბებდა. — ჩემი კრავდა კაცი კონებს ხელახლა. დაბაბულობისგან კისერი აჭარბებდა.

„ღმერთო ჩემო, მაგისმა შვილმა ბიჭი მომიკლა და მე კიდევ ნამჯას ვაძლევ, ღმერთო ჩემო“.

კაცმა ჩუნიად ამოიღლიაფა ორვე კონა და ჩუმადვე გავიდა კალოდან. ცაში უკვე ირეოდა პირველი თოვლის ფიფქები, მაწანზე დაშვება კი არა და არ უნდოდათ.

„ვინ იცის, ჩქნებ არ არიან იოდებნი?“ — უცბად ვაიფიქრა ქალმა და ამით რაღაც შეეება ნოუტახა თავს. თვითონაც გავიდა კალოდან.

— სადაური ხართ? — დაუძახა კაცს და გაქვავდა. ელოდებოდა, რას უბასუბებდა. მოეჩვენა, თითქოს კაცმა წაიბორბავა და წამით შეჩერდა. მაგრამ არა, კაცი მიდიოდა. ეტყობა, არც გაუგონია ქალის ხმა. წიმკრისკენ მიდიოდა მნებამოღლიაგებულნი. თავთავები ირხეოდნენ, მაგრამ შრიალი აღარ ისმოდა.

თანდათან მოუხშარა თოვამ. კალოდან სახლისკენ მიმავალი სველი ბილიკი აქრელდა. ზედ შეადიოდ ჩანდა კაცის შავი ნაფეხურები. ერთხელ კიდევ გაიღვია ყვითელმა მნებმა და კაცი თვალს მიეფარა.

ქალი გაქვავებული იღვა და არ ესმოდა, როგორ უყვიროდნენ კაცები ცხენს. არც იმას გრგახობდა, როგორ ათოვდა მასაც და ღეროჩაშხმარ ყვავილებსაც, ვერ ხედავდა, როგორ ქაღარავდებოდა ლობის ძირას ნწვანედ წმორჩენილი ბალახი.

ისევ გაიხსენა ის საშინელი გვიანი ზაფხული. ყვითლად რომ შეპყოლოდა ლობიო სარებს. გაიხსენა, გონდაკარგული როგორ ვარბოდა ყანებში, როგორ დაკარგა თავსაფარი. დაბისკენ ვარბოდა, სადაც შუა გზატკეცილზე წისი ნაბოლარა პეტრიკი იწვა. იწვა და ხელში მოკლეთარიანი ვერმანული ნიჩაბი ჩაებლუჯა.

თოვლით კი ისევ მოდიოდა და ცივ ეთემლებად აღნიებოდა ქალის გამხმარ დაწვებს, ცვარევით ბრწყინავდა ბლუშის აკეტზე. უკვე მალად გადათეთრდა კალოდან სახლისკენ მიმავალი ბილიკი. პატარა გუბელა მოჩანდა ისევ შივად.

ვინ იცის, ეს უკვე მერამდენე პირველი თოვლი იყო მისი უმცროსი ბიჭის სიყვდილის შერე.

თარგმანა თამარ ჩოგავაძე



ანატოლი ველიუზინი



ზაფხულის გზა

გარბის თავექუდმოგლეჯით
 ეურცანცარა გურდღელი,
 ტყასპირ ქინქლას ბოლქვეტში
 წივას ხეცდა უთქმელი.
 რად ჩემო მგა უსაქმური
 ენათ ავღრებს, კაჭკაჭო,
 როცა გზებზე ზაფხულის
 აღმური დაჯგუჯობს.
 შორა თავს დაგვეტრიღებს,
 გარბის ცხენი ჩანდრით
 და საამოდ შრიღებს
 გზაზე თივის თივთივი.
 ნაღუ ოფლად გადსება
 დღე მსურვალე მკათათვის,
 მინდვრება ნაიდრევად
 ძიღბურანში გადაღის,

დაპკრავს ქარი ამარი
 და გაწვება კაკლებში,
 რიგორც დასლის თაქშადი,
 ანდა ღრუბლის ნაგლეჯი.
 დღეო მკათათვისა,
 გულში ცეცხლის დანთება,
 ვჭღერო, ხადამდასაც
 ეს გზა არ გათავდება.
 სიყვარულს გადავყვები
 გამთყოლილს საყრშიდან,
 წითლად ღვივის ძახველი,
 ტუჩზე სიმ არ ეკბინა?!
 მაგრამ ქარნი აღსეკდნენ,
 მრთვიღმა ველმა შეღებსა,
 თოვლი დევს შარავზეებზე,
 ათოვს ამ სამღერებსაც.

თარგმანა გიორგი ნიშნიანიძე



ნოლ პილუპიჩი

კლიტი

აჰა, კაცი არჩევს კლიტეს
 გულდაგულ და ბრახიანად.
 კლიტე იმედს უნდა გგვრიღებს,
 აბუ კლიტეს აზრი არ აქვს.

იდუმალა ფაქრი კაცის
 ცხადია და გახაგება:
 თავის კლიტეს ქურდბაცაცამ
 ვერ მთარგოს გახადება.

არც ტკივალი და არც წყენა
 არ მქონია ესოდენა, +
 კლიტეს არჩევს ზედ ჩემს თვალწინ
 ჩემი კარას მესობღდა.



მოსთხინე ეჭვას ჭიას
 ვინ შეხედავს, ვინ ვაუბლებს?
 სულ უბრალო, ციციქნა ბინა
 ციხე-კოშკად აქცა უცებ.

მეზობელთ, ვინს მოეგე,
 შენი განძი მე რად მინდა?
 ვადრე გულში მზე მანთია,
 გამაკვირვებ ვერაფრათა.

ჩემი აზრა, ჩემი რწმენა,
 ჩემი ფიქრი და ოცნება
 მოწმე არი, როგორ სდება
 ცის და მიწას საოცრება.

მე რად მანდა შენა ვუდი,
 კედელზე რომ მიგაჭედავს,
 როს უთვალავ ტბა-მდინარეს
 ფიქრით ვფლავ და ფიქრით ვხედავ?

ამ მთებსა და ველებს დადრონს,
 ან ცის თაღთან შეხრდილ ქედებს
 კლატე როგორ ჩამოვკიდო,
 გათ ჩაყვეთ ეს სიკეთე?

იქნებ შიტომ, რომ ძაძებმა
 ბჭე უშტვრიეს ძველ სამყაროს,
 ბნელი დროის საყეტება
 დაღუწეს და დახცეს ხარა?!.

იქნებ შიტომ, რომ ქვა-ლოდებს
 წმინდა სისხლი სცხიათ მათი,
 იქნებ შიტომ, რომ დღეისდღეს
 შონავარი პქეა მათი,

იქნებ შიტომ, რომ უბრალოდ
 ამნაირი გავჩნდი სულაც?—
 ქვეყნად ყველა ჯურის კლატე
 ბავშვობიდან შევიძულე!

მეზობელთ, რად არ იცო,
 შენი შვილი ან ბაღიში,
 მოვა დრო და მაგ შენს ჩავთებს
 ხელუკუდმა გადაისერიხ.

ამ ცხოვრებას ფერხულში მდგომს,
 კლატეს ვერვის მოვუწონებ,
 რადგან იგი ბორკილების
 ტყუპისცალი არის სწორედ!



ახპალ მუხთარი

მეცხრა კალატა

კაცის ცხოვრების საწაველი
წლები კი არა — საქმეებია.

მშენებელთა ახალი სა-
ავადმყოფო ქალაქში მე-
ტად ხელსაყრელ ადგილას — ზედ
მთების ძირას, მზის გულზე აფშე-
ნებინათ. საავადმყოფოს ალგების
ქალა მოსდგომოდა და დიდი გზები-
სიგან მიჯნავდა. ზაფხულში ფარ-
თოდ მოღებულ ფანჯრებში უხვად
იღვრებოდა მთის ჰაერი.

პალატაში, ბახრამოვთან ერთად,
ერთი მიძიმე ავადმყოფი იწვა. ხაჯა-
ბუვა ერქვა. დიდი ქაქანა და აბესა-
რი კაცი იყო. გამუდმებით ხვწეშო-
და, კვნესოდა, თან სულმოუთქმელად
ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა:

— ეჰ, პატივცემულო, დონდ-
ლოები არიან ახლანდელეები. ჯერ
სამოც წლამდე არ მიუღწევიათ
და უკვე წუწუნებენ: ვაიმე, გუ-
ლიო... თქვენ, ბატონო, რამდენი
წლისა ხართ?

— სამოცდაშვიდისა, — მოუგო
ბახრამოვმა.

— ხომ ხედავთ... მე კი წელს
აი, თუთა რომ დამწიფდა მა-
შინ შემსრულდა სამოცდათერთ-
მეტი. მადლობა ღმერთს, ჯერჯერო-
ბით არა მიშავს რა, გულსაც არ
ვუჩხვი.

„თავს იმშვიდებ“, — გაიფიქრა

ბახრამოვმა. ვანა არ ხედავდა, მო-
ხუცის საქმე კარგად ვერ იყო. აი,
გუშინ, დალაქი რომ მოვიდა, საწო-
ლიდან ვერც კი წამოიწია. თვითონ
ბახრამოვი უფრო ხილისიანად და
ყოჩაღად გამოიყურებოდა, თუმცა
პირაღმა კი იწვა და განძრევაც აკრ-
ძალუღლი პქონდა.

პალატაში მედლა შემოვიდა. მა-
ღალი, შავგვრქიანი ქალიშვილი იყო,
მოგროსო სახე პქონდა. მამურა ერქვა.

— გაუძრევლად უნდა იწვიოთ,
ხომ არ დაგაფიწყდათ? — უთბრა
ბახრამოვს, თან ბალიში გაუსწო-
რა. — თი ასე, თავიც არ ატრიალოთ
ხშირად.

— ეიცო, შვილო, ვანა არ ვიცი.
ათასჯერ მესმის ერთი და იგივე. კი
მაგრამ, ასე სანამდე უნდა ვიწვე,
კაციშვილი არ შეუბნება...

— როცა დრო მოვა, გეტყვიო.

ბახრამოვი თვალუბზე ატყობდა:
მედლამაც არ იცოდა, როდემდე
უნდა წოლილიყო ავადმყოფი —
ერთი კვირა თუ ერთი თვე. არც გა-
ეჭვებოდა, ამიტომაც იყო მედ-
ლა. ავადმყოფები დაემშვიდებინა.
თუმცა მამურა ამ პალატის ავად-
მყოფებისათვის არცთუ ისე იწუ-
ხებდა თავს: დარბაისელი, ათას

ჭირვარამნახაი ბერკაცები მშვიდად იწვნენ, ბევრს არაფერს ითხოვდნენ.

მედღამ ავიდმოფებს წამალი დაურიგა და გავიდა. ბახრამოვმა მანისზე ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი. ფანჯრის ქვემოთ კედელს ბალახით ნაფარული მწვანე ფერდობი ებჯინებოდა. მდელითვე გრუხა მოდიოდა. ახალგამოჩეკილ წიწილებს მოუძლოდა. მოგოგმანებდნენ ყვითელი, ღუნოული ბურთულუბი. ფერდობზე ეშვებოდნენ, ბალახში იხლართებოდნენ, ეცენოდნენ, ყირაზე გადდიოდნენ. თვალებიც კი მოუწყლიანდა ბახრამოვს, ისე უსუსური ერგენა ეს ცოცხალი არსებანი. მიმსდობლად და ხალისიანად რომ გარბოდნენ დედის კრიახზე. ბახრამოვმა ცას ახედა, ძერა ან ქორი ხომ არა ჩაასო, მაგრამ ცა ისე მოწმენდილი და კრიალა იყო, ვერც კი გაიფიქრებდა, ამ გაღურსულ სივრცეში რაიმე ბოროტენა იმალებო.

უკვე სამი კვირა იყო, ბახრამოვი პირადმა, გაუნაჩვევლად იწვია ჯერ წელი და მხრები სტკიოდა, ახლა მოელი ტანი გაუტკავდა. დიდი ხანია ყველაფერი მობეზრდა: ეს ნათელი პალატა, მეზობელიც, საკუთარი სხეულიც, რომელსაც უცხო ხელები უვლიდნენ: ერცხვინებოდა ეს თავისი უილაჯობა და თვინიერად ემორჩილებოდა სახიტრებსა თუ მედღებს. ფანჯრის იქით კი ცხოვრება დიოდა. ბახრამოვს იგი ძირფესვიანად პქონდა შესწავლილი. ეს არც ისე ძნელი იყო, რაკი ცხოვრება ფანჯარაში დანახული სივრცითდა ისაზღვრებოდა. მარტო ცა იყო უსაზღვრო და უკიდვგანო. ხანდახან, როცა ფიქრებში წასული გაუნძრევლად იწვია, თვალები გამჭვირვალე საფრცხსათვის მიეშტერებინა და ისიც კი არ ახსოვდა, რა დრო იყო, მეზობლის ლაყბობა განსაკუთრებით

აუტანელი ხდებოდა. ასეთ დროს ბახრამოვი ცდილობდა, ყურიდან ჭურჭი გაეშვა მისი ხაჭაბუცა.

— კიდევ ერთმა დღემ ჩაიარა, — თქვა ხაჭაბუცამ. დღეობს უხაროდა, დრო ასე სწრაფად მიპქროდა, — უყურეთ ერთი, აგე, ჩვენი მორწმუნე მეზობელი უკვე ლოცულობს....

ნეტავა რა იყო სანახავი იქით გაუხედავადაც იცოდა: ფერდობის დაეშა ჩრდილოვანი ბალით მობტრედი, ეკლიანი მავთულხლართით შემოდობილი ეზო იყო, ეზოს პატრონს ტოტებმოკვეცილი ნიფხვის მსგავსი თეთრი შარვალი და მრგვლად გულამოქრილი, მეხლგბამდე ჩამოფლამული თეთრივე პერანგი ეცვია; დღეში ხუთჯერ გამოსდიოდა ბაღის აღმოსავლეთ კუთხეში და ღმერთს ლოცვას აღუვლუნდა ხოლმე.

ბახრამოვს მოსწონდა, ასე გულახლილად რომ დასცინოდა ხაჭაბუცა ღვთისმოსავ კაცს. ლამია ოთხმოცა წლისა იყო, მაგრამ ყველაზე ნაკლებს ღმერთსე ფიქრობდა და დიდი სიამოვნებით არღვევდა ყურანის აღკვეთებს, გაურჩევლად ულაპავდა საავადმყოფოს ყოველგვარ თლუფას.

— ეტყობა, ამ ქვეყნის დიდი იმედი აქვს, ასე თავგადაამკვდარი რომ ლოცულობს. მე თუ მკითხავ, მიბრბენია, ამ ქვეყანაზე დაურჩე ცოტა მეტხანს, — განაგრძო ხაჭაბუცამ.

ბახრამოვმა გაიღიმა: მეტიმეტყავს უკვარდა მეზობელს სიკოიხლუ.

— იმედი... — თქვა ბახრამოვმა, თან ისევ ცას ასცქეროდა, — რაღას არ ავეთებს კაცი ამ იმედისათვის. ერთ წიგნში წავიკითხე, ინდოეთში მოხუცები განგის ნაპირზე სიკვდილს ნატრობენო. წმინდა მღონარის ნაპირზე სიკვდილი სამოთხეში მოხვედრას ნიშნავსო. წვანან წყლის

პირას მთელი კვირით მშიერ-მწყურვალნი და დღედაღამ ღმერთს ევედრებიან — სიკვდილი მოგვივლინო... აი, ხაჯა-ბუვა, როგორი შეიძლება იყოს იმედი, ერთი — ფრთებს გამოგასხამს, სიცოცხლეს გიაღვილებს, მეორე — პირდაპირ სიკვდილისკენ გგზავნის.

— მე კი აღარა მწამს ეგ იმედი. ერთი ჯამი კიი ფლავი ან ბატკნის მწვადები ყველა იმედს მირჩევნია. მე სიცოცხლე მინდა, ჩემო კარგო. ბედმა თუ ამდენი წელი მაცოცხლა, რა იქნება, ცოტაც წამინატოს?

ბახრამოვმა ისევ გაიღიმა.

— სად მუშაობდით? — ჰკითხა.

— აბა, ახლა სად უნდა იმუშაო კაცმა, — გვერდი აუარა კითხვას ხაჯა-ბუვამ, — ათასწიერ სამუშაოზე ვყოფილვარ, რალა არ მიკეთებია... ახლა კი დროა, ჩემს ნებაზე ვიცხოვრო. აი, ამისი იმედი კი მაქვს. — ბახრამოვს ხმა არ გაუღია. მოხუცმა ცოტა შეიცადა და მერე ჰკითხა: — თქვენ რიდასი იმედი გაქვთ, ბატონო? ეტყობა, არ პეტანხმებით.

— რატომ, მე სიცოცხლის წინააღმდეგი არა ვარ, რა არის ამანე უკეთესი? მაგრამ აღაიიანი ხომ უკვდავი არ არის! აი, როცა სიკვდილის ყამი მოდგება, მაშინ რისი იმედი უნდა გქონდეს?

ხაჯა-ბუვამ წამოიწია კიდევ წვერზე ხელი ჩამოისვა და მეზობელს გაკვირვებით მიაჩერდა.

— თქვენი აზრით, აბა, ის კაცია მართალი? — გაჩხინკული თითი ფანჯრისაკენ გაიშვირა.

— არა, — თვალები მოხუცა ბახრამოვმა და გაიღიმა, — ჩემი იმედი მომავალშია... იმქვეყნად კი არა, აქ, ამ ქვეყანაში. მე მოვკვდები, მაგრამ სხვები დარჩებიან.

მოხუცა ბალიშზე დაეშვა, წა-

მოიკვნესა, მერე, ცოტა ტკივილი რომ დაუამდა, თქვა:

— ყველაფერს რალა უცნაურს ამბობთ: თქვენ მოკვდებით, მონავლის იმედი კი მაინც დარჩება? მე და თქვენ ხომ ადრევე მოკვდებით, მაშ, ჩვენი იმედები რიდას მაქნისია? ეს ხომ თავის მოტყუებაა, ბატონო.

ბახრამოვს სახიდან დიმილი გაუქრა.

— შვილები გყავთ, ხაჯა-ბუვა? — ჰკითხა.

— ეჰეე, აი, თურნე რას ამბობთ. მყავს, რასაკვირველია. თქვენა?

ბახრამოვმა მძიმედ ასწია ძალა-გამოლეული ხელი. ორი თითი უჩვენა.

— მყავდა... ორი, — თქვა, — ომში დაიღუპნენ... ცოლიც მომიკვდა. ახლა კი აი, მეც...

ხაჯა-ბუვა საწოლზე მოხერხებულად მოეწყო. ტუმბოდან ბუზების სახოცი აიღო. დიდხანს დარიაობდა ყურისწამლებად მოზურუნე ბუზს, როგორც იქნა, მოკლა და მერე წამოიწყო:

— ჩემები გადაურჩნენ ომს, არიან თავ-თავიანთთვის, თავისი იმედებით ცხოვრობენ. ჩემთან კი შვილიშვილი დარჩა. ისიც რა, მამის ალი-კვალია, ჯიუტი და თავისქეიფია...

— როგორ?

— გვერდიდან არ მომიშორებია. ვიფიქრე, სიბერეში ნუგეშად მეყოლებოდა. ერგაში ჰქვია. სასწავლებელში გავაგზავნე. კაცი დადგება-მეთქი. არაფერი გამოვიდა! იტრი-ალა ქალაქში, იქაქანა, ჩაიჭრა გამოცდებზე და უკანვე დაბრუნდა. მერე კანხალზე წავიდა სამუშაოდ — ერთ წელს წავიმუშავებ და ისევ გამოცდებს ჩავაბარებო. რის სწავლა, რა სწავლა? თუ მშენებლობაზე მოხვდი და თანაც კარგად მუშაობ, ვინ გაგიშვებს იქიდან? ჩავითრევენ,

თავის ჰკეზაზე გატარებენ. არის ახლა იქ თავის ძმაკაცებთან ერთად და წელში წყდება. რა ხეირია?

— აქი თქვით, კარგად მუშაობსო. მეტი რაღა ხეირი გინდათ?

— მერე მე რა? სულაც არა მაქვს იმის იმედი. დავკარგე ერგაში. — მოხუცი გაჩუმდა, ჩაფიქრდა, მერე თქვა: — არა, ბატონო, თქვენი ვერაფერი გამიგია! შეილება არა გყავთ და მომავალზე კი ფიქრობთ?

ბახრამოვმა არაფერი უპასუხა: ფანჯრის მიღმა ქალის გამყინავი ხმა ისმოდა და უკვე ერთი ხანია, იმას უსმენდა.

— ალიშერ! ალიშერ! — იძახდა ქალი.

ბახრამოვი ღამილით იყურებოდა ფანჯრისაკენ, ალიშერის გამოჩენას ელოდა. იცოდა, იმ დღის-მოშიში კაცის ახალგაზრდა რძალი ამ დროს მუდამ ბავშვს დაეძებდა. ის მოუსვენარი ცეროდენა კი, უნიფხო. წითელმაშიებთან ბიჭუკელა, ერთთავად წიწილებს, ბელურებსა და პებლებს დასდევდა. ნუხლები ჯერ რიგიანად არც გამაგრებოდა, აქეთ-იქით ბარგანაობდა, მაღალ ბალახში ფორხილობდა და ეცემოდა, მაგრამ მაშინვე წამოხტებოდა ხოლმე და ისევ გარბოდა.

— თქვენ პასუხი არ გამეცით, ბატონო, — შეახსენა ხაჯა-ბუვამ.

— რა პასუხი უნდა გაგცეთ? მე თუ შეილება არა მყავს, თქვენ ხომ გყავთ? სხვებსაცა პყავთ.

მდელით ალიშერი გამოჩნდა. ახლა კრუხს ჩამორჩენილ წიწილას მისდევდა ხელებგაფარჩხული. აქედან ახალგაზრდა ქალი გარბოდა, რათა შეილისთვის გზა მოეჭრა. დედა დაინახა თუ არა, ალიშერმა უკანვე მოუსვა. ბურთივით მიგორავდა ბალახში. ქალი დაეწია, ხელ-

ში აიტაცა და ბიჭსაც იმწამსვე გაანა ყურისწამლები ღნავილი.

სანამ ეგეთი უმსახურებები წამოიზრდება, დედამისი უფროოდ დაბნდება. აი, ეხვეწა ქალის მომავალი! — წაიბურთუნდა ბუვამ.

ბახრამოვს შეზინდებამდე არ მოუცალებია თვალი ფანჯრისათვის. შეზობელსაც არ აქცევდა ყურადღებას, ლაპარაკი არ ეწადა. იწვა მშვიდად, ტკბებოდა ამ სიმშვიდით. მრავალი დღის შემდეგ პირველად ახლა არ აწუხებდა გულში გამჯდარი სიმძიმე.

შეუძნეველად ჩაეძინა, ძილის წამალიც არ დაუღვევია. მოვიდა ლამის მორაგე მედდა, მიაყურადა მის წყნარ ფშვინვას და ფრთხილად გავიდა პალატიდან.

ღილით რომ გამოეღვიძა, ბახრამოვმა გაიფიქრა, რახანია ასე მსუბუქად და მშვიდად არ მძინებიაო. იმედი მოეცა, გამოეჯანმრთელდებო. ექიმსაც გული გაუკეთა: შემდგომშიც თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე დღის მერე გვერდზე გადაბრუნების ნებას დაგრთავთო.

იმავე დღეს ხაჯა-ბუვა შეუძლოდ შეიქნა. საღამოთი უკვე ვეღარც ლაპარაკობდა, იწვა სახეიამოგრძელელებული და კვნესოდა. ხანდახან იმეორებდა:

— ვკვდები, მეზობლებო, ვკვდები.

მამურამ მორიგე ექიმი მოიყვანა. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და მედდას ნემსის გაკეთება დაავალა. ხაჯა-ბუვა არც განძრეულა. ექიმმა დაეცადა, სანამ წამალი თავისას იზამდა. მერე ისევ გასინჯა ავადმყოფი და ბრძანა, ვენაში გლუკოზა შეუშნაბუნეთო. ექიმი გავიდა და სანიტარმა ქალმა, მამურას რომ ეხმარებოდა, თქვა:

— ნეტა, რას აწვალეებენ იდამიანს... სიკვდილი მაინც დააცალონ...

— ამას არ უნდა ამბობდეთ, —
უთხრა ბახრამოვი.

— ვითომ რატომ? ტყუილად
აწვალებენ კაცს, ნეტა რისთვის...
სულერთია... — ქალმა ხელი ჩაიჭნია.

ისევე მოვიდნენ ეჭიანები. ახლა
ორნი იყვნენ. ბახრამოვს ძილის წა-
მალი დააღვეინეს. ნახევრად მძინა-
რეს მაინც ესმოდა, როგორ ფუს-
ფუსებდნენ მოხუცის გარშემო მოუ-
ლი ღამე. გამთენიისას ხაჯა-ბუვამ
მოითხოვა:

— ჩემებს დაშიძახეთ... უნდა გა-
მოვემშვიდობო.

მეტე არაფერი გაუგია ბახრა-
მოვს. მაგრად ჩაეძინა.

დილით, თვალი რომ გაახილა,
მეზობლის საწოლთან ვიღაც ჰაბუ-
კი დაინახა. მიხვდა, ერგამი იქნებო.
ჰაბუკს მზემოკიდებული სახე, განი-
ერი მზრები და ძლიერი ხელები
ჰქონდა. მოხუცს საბახი შეუსწორა.
გამოღვიძებული ბახრამოვი რომ
დაინახა, უთხრა:

— გამარჯობათ. ეს რა უბედუ-
რებაა... რა ჯანმრთელი მოხუცი
იყო, არასოდეს ავადმყოფობდა.

— სძინავს? — ჰკითხა ბახრამოვი.

— მგონი, ჩაეძინა, — მიუგო ჰა-
ბუკმა.

— სამუშაოდან დაეთხოვეთ?

— ღამით ვის დავეთხოვებოდი.
ამხანაგები ეცყვიან უფროსს.

მოხუცმა თვალები გააბილა, გა-
ხარებულმა ჰაბუკმაც პატარა ტემ-
ბოზე აღუბალი და ქლიავი დაუწყო.

— აი, ამხანაგებმა მომიტანეს
ბაზრიდან... სულ ახალია... რა მო-
გივიდა, ბაბუ, როგორ მოტამუაღ-
დი... — ეუბნებოდა და ყვითელ,
ღანაოკებულ ხელზე ეფერებოდა.

მოხუცმა აღუბაღს ხელი მოუ-
თათუნა, მაგრამ პირი არ დააკარი.
თვალები მიღუღა, ჩუმად იწვა.

ერგამი ყოველ ღამით, სამუ-

შაოს დაწყებამდე მოდიოდა. სულ
შენ გაკეთებული საქმეზე მოჰქონ-
და. მოხუცი არც კრიბულობდა,
სად მოულობდა იმ ყველაფერს ეს
უცოლო, საერთოდ საცხუცებელში
მცხოვრები ბიჭმა მამამდე-
გაც მოდიოდა ერგამი და გვიან სა-
ღამომდე იჯდა ხოლმე, სანამ ბა-
ბუა ჩაიძინებდა. ხშირად, როცა ხა-
ჯა-ბუვა თვლემდა, ერგამი ქერათუ-
კის ჯიბიდან რვეულს ამოაძვრებდა
და რაღაც განტოლებებს ხანია.

ასე გავიდა ერთი კვირა. მოხუ-
ცი მალე მოძვობინდა. ცოტა გასუქ-
და კიდევ. ადგილის ნება დართეს
და დიდხნობით დახეტიალობდა სა-
ავადმყოფოს დერეფნებში, მაგრამ
შვილიშვილის მოსვლის დრო რომ
დადგებოდა, ატყობებლად ლოგინ-
ში წვებოდა. ბევრსა ჰამდა. საავად-
მყოფოს უღუფას რომ მოათავებდა,
ახლა ერგამის მოტანილ მჭადს, ქა-
თამსა და ძებვს მიაღებოდა.

ერთხელ, როცა ერგამს ცოტა
შეაგვიანდა, ხაჯა-ბუვამ თქვა:

— ნეტა, სად დახეტიალობს ის
პირშავი, ისა! მარტო გოჯოებზე
ჯიქრობს და ეგ არი...

— ტყუილად ლახძავთ, მეზო-
ბელო, ძალიან კარგი შვილიშვილი
ყავთ, ჰკვიანი, გულისხმიერი.

ახლა უფრო გრძნობდა სიმარ-
ტოვეს ბახრამოვი. ხაჯა-ბუვა მარტო
საქმელად შემოდიოდა პალატაში.
მოელი მათი ცხოვრებისეული სჯა-
ბაასი იმაზე იყო, რამდენ ფულს გა-
მთართმევდა თითოეულ შვილს თა-
ვის შებანახად.

— კალეკ ვიცოცხლებ. ჩემო
კარგი, — ამბობდა და კელავ სა-
ავადმყოფოს დერეფნებში საყი-
ლოდ გადიოდა.

ბახრამოვს ახარებდა მარტო
ღარჩენა რა ხანია დაღუბულ შვი-
ლებსა და არცთუ ისე დიდი ხნის

წინათ გარდაცვლილ ცოლზე ფიქრობდა, ხელს არავინ უშლიდა; ასე უცებ, თვალსა და ხელს შუა გამქრალ ცხოვრებაზეც ფიქრობდა.

საბრამოვანს ცა მოიღრუბლა, მაგრამ წვიმა არ წამოსულა და პალატაში ისე შეიხუთა ჰაერი, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე. მორიგე მედდამ ფანჯრის მიხურვა დააპირა — ქარი არ ანებებდა, ხელიდან გლეჯდა. ზღვის ტალღებივით შხუოდნენ ხეები; სადღაც, დერეფანში, ჯერაც ჩაუკეტავი ფანჯრების დარაბები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, მინის მსხვრევაც გაისმა.

ბახრამოვს არ ეძინა. ჰაერი არ ჰყოფნიდა და გულში რაღაცნაირ სიმძიმეს გრძნობდა.

როგორც იქნა, გათენდა. მაშურომ ფანჯარა გააღო, პალატა წამში გაივსო ახლახან გადაღებულ წვიმის გრილი სურნელით. ცა ისევ გადაისარკა. აქა-იქ, მინდორზე ქარიშხლისაგან წამოქცეული ხეები ეყარა. ყველაფერი თბილი წვიმით პირდაბანილსა ჰგავდა. დილის თბილ მზეზე აელვარებულ, წყლით გაჟიჟინებულ ბალახის მაცოცხლებელი სურნელით აევსო გული ბახრამოვს. იგი ღიმილით აღევნებდა თვალს ალიშერს, სველ მინდორზე რომ დარბოდა და მხიარულად ჭყლობინებდა. თვითონაც მოუნდა. შიშველი ფეხებით შეხებოდა მხით განთბარ მიწასა და სველ ბალახს, მაშინ ხომ წამში გაევსებოდა სხეული სიცოცხლითა და ძალით, რითაც სავსე იყო მთელი ეს მიწიერი მადლი და ბარაქა. ცრემლმორეული თვალები მოიწმინდა და ისევ ფანჯარას მიაჩერდა.

მოჯადოებულებით შეჩერდა ალიშერი. ბახრამოვმა თვალი გაადევნა მის მხერას და ქარისაგან ჩამოგლეჯილი, გაშიშვლებული მავთული და-

ინახა. მავთულს ჭერმის მოტეხილი, მწვანე ნაყოფით დახუნძლული ტოტი ეფარა.

— ხაჯა-ბუვა! ხაჯა-ბუვა! შეხედეთ ერთი! — უყვებოდა მათ.

მეზობელი ნესვს ჭამდა, ხმაურით ისრუტავდა წვნიან ნაყოფს.

— რას უნდა შევხედო?

— ბიჭი მავთულისაკენ მიდის! მოაბრუნეთ! დაბრუნდი, ალიშერ! ბავშვი დაიღუპება, მეზობელო! წადი მანდედან, ალიშერ! დედა გეძახის, უკან დაბრუნდი!

ალიშერს თითქოს არაფერი ესმოდა. ბალახებში ფრთხილად აბიჯებდა ბუნჩულა ფეხებს, ჭერმის ტოტს ეპარებოდა.

— ხაჯა-ბუვა, გაიქეცი, ფანჯარაში გადადი! ბიჭი დენიან მავთულს შეეხება! ჰეი, ვინ არის აქ?! ბავშვს მიხედეთ! — მთელი ხმით ყვიროდა ბახრამოვი. ხაჯა-ბუვა ფანჯარასთან მივიდა:

— არ მიეკარო ჭერამს! გაჩერდი, გესმის?

ბიჭუნა შეჩერდა, თან ფიქრობდა, რა უნდა ამ მოხუცს ჩემგანო. ხაჯა-ბუვამ მტქარით დაუქნია თითი, მერე საწოლისაკენ წამოვიდა. ბიჭმა ისევ ჭერმის ტოტისაკენ გაიწია, თან შეშინებული გამოსცქეროდა ფანჯარას.

— ხაჯა-ბუვა! ალიშერ, წადი მანდედან! არ გაბედო, არ მიეკარო! — ისევ დაიყვირა ბახრამოვმა. უღლაჯობა ტანჯავდა, კისრის ძარღვები დაებერა.

ხაჯა-ბუვა საწოლზე ჩამოჯდა. ფეხსახვევებს იხვევდა, ბავშვს ლანძღავდა, ნაბიჭვარს ეძახდა; დედამისს — ქუჩის ქალს, ბაბუამისს — ძაღლსა და მამაძაღლს უწოდებდა.

— ცოტა ჩქარა, ხაჯა-ბუვა, ჩქარა!

წყველა-კრულვით წამოდგა ხა-

ჯა-ბუვა, კარადიდან ჩექმები გამოილო, თან იცვამდა, თან ჩექმის ძირს ზედმიხმარ ძველ ტალახს აცილებდა. ბახრამოვმა საბანი გადაიძრო, წამოჯდა, საწოლიდან ძირს ჩამოყრილ ფეხებში სისხლი მოაწვა, ბარბაცით მიადგა ფანჯარას. შიშველი ფეხები ისე ჩხვლეტდა, თითქოს ტერფში ნემსებს უყრიაანო.

ხაჯა-ბუვამ მაშინ მოიხედა, როცა ბახრამოვის ხმა უკვე ფანჯრის მიღმა გაისმა.

— ალიშერ, გაჩერდი! გაჩერდი-მეთქი! — ფეხშიშველი, თეთრსაცვლიანი ბახრამოვი ისე უცნაურად გარბოდა წინდორზე, თითქოს ვიზვიზა ნაკვერჩხლებზე გარბისო, ბავშვისთვის გზა უნდა მოეჭრა.

— ჰეი, შეზობელო, რასა შერე-ბით! თქვენა აღგომა როგორ შეიძლება! — დაიყვირა ხაჯა-ბუვამ.

ზედ მავთულთან მიასწრო ბავშვს ბახრამოვმა, ხელი სტაცა. ბიჭი ტიროდა, თხარკალებდა. ბახრამოვს ძალა არ ჰყოფნიდა, ძლივს იჭერდა ბავშვს. საცაა დედამისაც მოუსწრებდა, უკვე გამორბოდა ფერდობზე. შემდეგ რა მოხდა, ბახრამოვს ბუნდოვნად ახსოვდა: გული ლამის საგულედან ამოუფარდა. იდგა ფანჯრის რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი, ვერაფრით ვერ გადმოდიოდა პალატაში. დედას შინისკენ მიჰყავდა ატირებული ბავშვი. ხაჯა-ბუვა აქედან უყვიროდა:

— ჭერმის ტოტიც წამოიღეთ, შეზობელო! ტყუილად რატომ უნდა გაფუჭდეს!

ბახრამოვი გონს მაშინ მოვიდა, როცა უკვე საწოლზე იწვა. ფანჯარაში გადმოსვლისას ხაჯა-ბუვამ წამშველა ხელი.

— სადა ხართ? — დაუძახა მას ბახრამოვმა, თვალწინ უცნაური, მუქი წრეები უცემციმებდა. — ნატრო-

გლიცერინი მომეცით... პატარა შუშაშია... გახსენით.

ენის ქვეშ შეიღო პაწაწინა აბი. წამის შემდეგ ნაცნობი ტახვა აუტყდა საფეთქლებზე, გაუღისწესკუშშველი სიმძიმე ტრტაკ-მრქმსნსა ერთი ღრმად ამოისუნთქა და ისევ ის მახრჩობელა ტკივილი მოეძალა. ისევ შეიღო ენის ქვეშ აბი.

ხაჯა-ბუვა გაოცებული მისჩერებოდა.

— განძრევაც აკრძალული ვაქვთ, ფანჯარაში კი გადახტით! არაა კარგი, ჩემო ბატონო.

— ახლა უკვე აღარაფერი ეშველება. არავის უთხრათ, გეხვეწებით, გთხოვთ!.. სიტყვა მომეცით.

— კარგი, არაფერს ვიტყვი. ისე კა, რაც ეჭიმი აგიკრძალათ, ის არც უნდა ქნათ. აბა, ერთი, თქვენს თავს შეხედეთ!

პალატაში მამურა შემოვიდა. წამლები შემოიტანა. სანამ წამლებს სვამდნენ, ხაჯა-ბუვა ჩუმად იჯდა. ის იყო, მამურამ წასვლა დააპირა, რომ მაშინდა თქვა:

— ნუ წახვალ, შვალთ, ჩვენთან იყავი ცოტა ხანს...

გაოცებულმა მამურამ ჯერ მას შეხედა, მერე ბახრამოვს და ახლადა შეამჩნია უჩვეულოდ გაღაფითრებული ავადმყოფი.

ბახრამოვს თვალები მიელულა. სიჩუმე რომ ჩამოეარდა, მიხვდა, მამურამ რაღაც იეჭვავო, და თქვა:

— მართლაც. დარჩი ცოტა ხანს ჩვენთან, მოხუცებთან. ახალგაზრდები მოიცდიან. თუმცა სად არიან აქ ახალგაზრდები, ყველას ერთი სახელი გვქვია: „ავადმყოფი“. — მხოლოდ იმიტომ კი არ ლაპარაკობდა ბახრამოვი, მამურასათვის ეჭვი გაეფანტა, უცებ ლაპარაკის სურვილიც მოეძალა, — ადამიანი, შვილო, ზოგჯერ ძალზე უჭკუოდ ფლანგავს

წლებს. ცხოვრებას რომ მოვალევთ, ვბერდებით და ესუსტდებით, მაგრამ, საუბედუროდ, ჰკუა არ გვემატება. მერე დგება დრო, როცა უცებ ხვდება ყველაფრის თავსა და ბოლოს: თურმე ყველა ჩვენი მწუხარება და სიხარული, ოცნება თუ იმედის გაცრუება ერთმანეთშია გადაჯაჭვული, ერთია. აი, მაშინ გინდა ისეთი რაღაც გააკეთო, სულ ამოგანთხევიანოს, რაც წლების მანძილზე გულში დაგკუბებია; გინდა მთელი ძალით იგრძნო ყველა ჩადენილი შეცდომის, განვლილი ცხოვრების ყველა ცდუნებისაგან განთავისუფლების სიხარული. და მაშინ უკვე შენ აღარა ხარ — მთელი ცა და დედამიწაა შენს ადგილას; რაღაც ღამეზე უფრო ბნელი და მსუხუე უფრო ნათელი ვიბინდავს მზერას, თვალებიდან კი მადლიერების ცრემლი გდის... ეჰ, ადამიანმა რომ წინდაწინ იცოდეს, რომ აუცილებლად დადგება ეს გამოუხიზლებია! გესმის, შვილო, აი, მაშინ გაიგებდა: ყველაფერი, რასაც სიცოცხლე იძლევა, არ არის წარმატალი, ყველაფერი რჩება; ერთი წერილმანაც არ არსებობს, აწმყოს, წარსულს და მომავალს რომ არ უკავშირდებოდეს, ერთი რომ არ იყოს. ეს რომ იცოდეს, აი, მაშინ იქნებოდა ყოველი კაცის ცხოვრება ისეთი უსაზღვრო, როგორიც ეს ცა და მიწაა.

ბახრამოვი გაჩუმდა. იგრძნო, ძალია გამოელია. მამურა მისჩერებოდა მას და თითქოს ვერა ცნობდა. ხედავდა მის განათებულ სახეს, გავარდისფერებულ ტუჩებს, კუთხეებში სილურჯე რომ დაჰკრავდა. გაოცდა, ისე ლამაზი ეჩვენა ეს სახე. ვერაფრით გაეგო, აქამდე რატომ ვერ შეამჩნია ეს? „რატომ ლაპარაკობს ასე?“ — მოულოდნელად გაუელვა თავში.

— ახლა კი წადი, შვილო, ცოტას წავიძინებ.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მამურამ.

— არა, შვილო, ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგადაა... აღვლევებული მამურა ეჭიმთან გაიქცა.

დერეფანში ახალგაზრდა, ბავშვიანი ქალი შემოხვდა. ყვავილების თაიფული ეჭირა.

— ალბათ აქაა, — თქვა და პალატის კარს მიუახლოვდა.

— რა გნებავეთ?! — მკაცრად ჰკითხა მამურამ.

— ერთი კაცი მინდოდა, შვილი გაღამირჩინა. — ქალს შეეშინდა. მუდღა პალატაში არ შემიშვებსო, და კარი შეაღო, — აი, ეს არის! — ბახრამოვი დაინახა.

მამურა პალატაში შეჰყვა.

— ბახრამოვ-აღა, კიდევ არა გპინავთ? ყვავილები მოგიტანეს.

მამურა საწოლს მიუახლოვდა და უცებ ხელები სახეზე იტაცა. უკან გადაქანდა, პალატიდან გავირდა:

— ექიმო, ჩქარა, ჩქარა, შეცხრე პალატაში! — ისმოდა დერეფანში მისი ყვირილი.

ხაჯა-ბუევამ შეზობლის ხელი აიღო და თქვა:

— უტყობა, დაავციანეს... უკვე ნკვედარია.

სადამოთი მდუღოზე ჩვეულები-სამებრ მიდიოდა კრუხი და წიწილები წინ მიჰყავდა. ალიშერი კი ისევ მიბთრძიკობდა პალახში და დასაჭერად დასდევდა ჩამორჩენილ წიწილას.



ჩემს მკურნალ მეიმს

ტყუილუბრალოდ მადებ ყურს მკერდზე,
ჩემო მკურნალო, მხრუნველო კაცო,
დიდი ხანია ძგერს ჩემი გულა,
დიდი ხანია, რაც ასე ანცობს;

გადიკითხე ჩემი ლექსები,
ვიდრე ვართ ქვეყნად, ვადრე დრო გავა
და შენც მისუდები, რომ ლექსი არის
ყველაზე ზუსტი კარდიოგრაფია.

თარგმანა მზია ნათაბურმა



კამიდ ალიმჯანი

თოვლიანი ჭუნა

მოყუფრთხილდები გულში ამ ნათელს,
ასე მგონია, ვარ ფიფქის ტოღა.
დღეს მეტყველებაც ისე ნაზია,
როგორც ქუჩაზე პირველი თოვლი.

ხეებიც თეთრა... თითქოს დრუმლებმა
განბანეს თავას სიქათქათეში,
დღეს შემფოთებაც ისე მშვიდია,
როგორც მსუბუქი სსივის თარეში.

კვლავ მივაბიჯებ ბოძბორა თოვლში,
მომყვება ბგერა ტკბილი საკრავის,
და მეჩვენება, რომ ციდან წყდება
ფანტელის მხგავსი თეთრი ვარსკვლავი.

თარგმანა მზია ნათაბურმა



აბულა არიკოვი



ეროვნული
წიგნიწიგნიწიგნი

— გამოიღვიძე, რად ავდახარ ლოგინში უქმად,
თავს რად იტყუებ, — რა ხანია, რაც დაღას შუქმა
შეხძრა მიდამო; რად არ ამბობ, რას ფიქრობ, ნეტა?
ხედავ, გაახა ცის ტატნობი, სინათლე წყეთავს,
და ყვავილები სიხარულის ცრემლით ტირიან.
— ჰოი, რა დიდხანს მძინებია: ო, დრომ გასტობა,
ავაძმე, ჩემი მსიარულო ასაღვაწრდობაჲ,
რად მესიზმრები, — ყოფა ჩემი ისეც მწირია!

თარგმნა მურმან აბუაზრიან



გულჩხრა ჯურაევა

შვილი და კალამი

ერთ ხელში შვილი, ერთშიც — კალამი.
მე მშობელი ვარ, ორივეს ვზიდავ,
თანაბრად მიყვარს მათი სალამი
ჩემი მოძავლის ნათელი გზიდან.
მარად მადელვებს ორივეს ბედი.
თუ ჩემს შვილს სძინავს — კალამი მისმობს.
რთხ სიყვარულა სიყვარულს ერთვის
ვცდილობ ყველაზე მაღალი ვიყო.
ხოლო როდესაც იღვიძებს შვილი,
კალამს ბავშვური დრმა ძილით სძინავს,
და ჩემი პარმშო — ყველაზე ტკბილი —
მზეზე პირველი სხივივით ბრწყინავს.
ყოველ ლექსს ცხრა ოვეს ვატარებ მუცლით,
შვილებს ვამრავლებ, არა მაქვს მოცლა
და დაჭმუჭნული ქალღმის ფურცლის
მსგავსად კრთის სული, ლექსი სდუმს როცა.
კარგია იყო პოეტიც, დედაც,
მაგრამ როდესაც ავად მყავს ბავშვი,
ვეღარ ანულებს ლექსი ჩემს ხედას
და ობლად მრჩება კალამი მაშინ.

თარგმნა მზია ხეთაბურია





შირხან მურთაზაევი

ჭიჭინოზელას სიმღერა

ჭიჭინოზელაე, შენ ხუ იტირებ
სოცვარულის ფასს
ვარსკელაევიც ხომ
განშორების შემდეგ იგებენ.

კობაიასი ისა

ხადიშას ოფლას ცხელი და მსხვილი წვეთები ჩამოსდიოდა წა-
ნოჭარხლებულ სახეზე, ყელზე, მხრებზე. „საკმარისია ვი-
თომ? — გაიფიქრა და ჩაიდანის თავსახური ასწია. — ხომ არ დავიფუფქები
აღუღებული წყლით!“ ჩაიდნიდან ამოვარდნილმა თხშივარმა თვალები დასწვა,
ძლივს გაარჩია ფსკერზე ჩაის მოწითალო ნაყენი. „ესეც ხომ კარაქი არაა,
გულისრევა მაინც არ იცის“, — დაასკვნა და ფიალა შეივსო. ქალს სანდომიანი
სახე ერთბაშად მოეთენთა. თეთრი, სუფრასავით დიდი ხილაბანდი ამოიღო
და შუბლი მთიწმინდა. შემოსასვლელის ღია კარიდან რაღაც უცნაური ხმა
შემოესმა და ქუჩაში გაიხედა. არხის გაყოლებაზე თავჩაქინდრული ხვიარა
თვლემდა. წამოჩიტულ ნარშავას თუნუქისფერი დასდებოდა. ვაშლის ფოთ-
ლები ქუჩიდან ავარდნილი თხელი მტვრით იყო დაფარული, უცებ მოუნდა
სველი ჩვარი გაეტანა და ფოთლები სათითაოდ დაეწმინდა. ნაყოფს უკვე სი-
წითლე შეპარვოდა. აბრეშუმის ქოჩორა ტაროებიდან სიმინდის თეთრი კბი-
ლები ანათებდა. მორჩილად დაეხარათ თავი ყელყელა მზესუმზირებს, ზეზე-
ურად ნძინარე კატორღელებს რომ წააგავდნენ. თავხედი შამლები მწითლე პა-
მიღვრის მწკრივებში ირეოდნენ.

— უჰ, თქვე წყეულებო! — ჩაიბუზღუნა ხადიშამ. — ამოწყდა თქვენი
სინსილა!

წელს პამიდორს უხვად ესხა. გუშინ მეზობლის ბაღებს გადასძახა,
თქვენი ფეშქაში იყოს, დაკრიფეთო, მაგრამ იმათაც მოაძახეს: სხვისი რა ჯან-
დაბად გვინდა, ჩვენსასაც ვერ ვერვითო.

— ევბ, რას ნიშნავს სიმბოლო! — ამოიოხრა ხადიშამ, — პურის ფასი არ იცის ხალხმა.

ეუცხოვა ქუჩა, სადაც კაციშვილი არ ჩანდა. ფარების ჩრდილში წითური ქოფაკი იწვა და ენაგადმოგდებული ქელავდა. ის კი არადა, მოუსვენარი ჩიტები, ყოველდღე რომ ავსებდნენ ჰაერს ყვირილ-ხივილით, მთელ ქუჩას მარად ისხდნენ ტოტებზე და შორიდან ზღაპრულად დიდ, გაუშლელ კვირტებს დამსგავსებოდნენ. მხოლოდ ჭიჭინობელა ტკარცალებდა შეუჩერებლად სადღაც თროვანდისა თუ აბზინდის ბაღაში.

შუადღემდე ჯერ კიდევ შორსაა, ქუჩა კი თვლემს ხვატისაგან გაბრუებული. ხადიშას ქუთუთოები დაუმძინდა. აიღო ბეშმეთი, თავქვეშ ამოიღო და ნეტარებით გაიწმორა. ამ დროს ოთახში ისევ შემოიჭრა უცხო ძახილი. ხადიშა წამოიწია.

— ფოტო! ფოტო! სურათი! — მოისმა ქუჩიდან. მთვლემარე ქუჩამ ერთბაშად გამოიღვიძა.

სოფელი რაიონული ცენტრიდან კარგა მოშორებით მდებარეობდა, რის გამოც ყოველი ახალი ადამიანის გამოჩენა ცხოველ ინტერესს იწვევდა.

— მიწაც გაგსკდომია მაგ შენს სურათებთან ერთად! — უკმაყოფილოდ ჩაიხუხლუნა და ისევ ბეშმეთზე ნისლო თავი. მერე უცებ გაახსენდა, რომ წინა ჩამოვლაზე ფოტოგრაფმა მისი მეზობლის, აკმაის ძველი, ომამდელი ფოტო გააღიდა.

„სულ დაკარგა სინდისი ამ უტიფარმა დედაკაცმა! — გული მოუვიდა ხადიშას. — ახალგაზრდებს ბაძავს. თავისი პორტრეტი მოხუცი კურაკბასის ფოტოგრაფიის გვერდით ჩამოჰკიდა. სირცხვილი! ჩარჩოსათვის ამოქარგული პირსახოციც რომ შემოუხვევია, აი, სეირიც ესაა!“ ხადიშამ ბევრი ლანძლა მოხუცი აკმაი, მაგრამ მაინც წამოდგა საწოლიდან, რადგან თვითონაც ჰქონდა საქმე მოხეტიალე ფოტოგრაფთან, რომელიც ხმამაღლა როხროხებდა ქუჩაში. კარგა ხანი იყო, მაქსუდის ძველი სურათის გადიდება უნდოდა. ამ ფოტოზე იგი სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი. შემდეგ მაქსუდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

„მოხეტიალე“ ფოტოგრაფის ჩამოსვლა, ასე ეძახდა მოხუცი ქალი საყოფაცხოვრებო კომბინატის თანამშრომელს, სწორედ დროული იყო. სიარული უჭირდა, ანდა როგორ არ გაუჭირდებოდა, როცა მუხლები აღარ ემორჩილებოდა და ყოველი ნაბიჯი აუტანელ ტკივილს აყენებდა. ამ ხერხემალმაც რომ ახლა გაუხსენა! ამბობენ, სულ იმის ბრალია, დახეთქილი ქუსლებით გახურებულ მიწას რომ ტკეპნიდა და ჩალურჯებული ფეხებით ზელავდა ცივ თიხას. კიდევ იმისი, საათობით რომ იდგა გაყინულ მდინარეში, რათა ლორთქო ჭარხლისათვის წყალი არ მოეკლო. ომისდროინდელმა გაჭირვებამ. ახლა შეახსენა თავი. მდინარე მთისა იყო, ყინულივით ცივი, ჭარხალი — პატარა ბავშვივით ნაზი და ზრუნვას მხოლოდ ქალებისგან ელოდა.

„მაინც რას ავწუწუნდი, — გაიფიქრა ხადიშამ. — ბედისწერას ვერსად წაუხვალ. ვწევარ ჩემთვის, ვთვლემ, ის კი თავისით გამოცხადდა“.

ძველ ზანდუქს თავსახური ახადა და ძირიდან მუყაოზე დაკრული სურათი ამოიღო. ფოტოსურათი აბრეშუმის ნაჭერში იყო გახვეული, აუჩქარებლად

გახსნა კვანძი, თვალები მოჭურტა და ქმრის სურათს დახედა. უცებ მოეჩვენა, თითქოს მაქსუდი შემოვიდა კარებში და გაფითრდა, ტუჩები უფრფლისფერი გაუხდა, თვალებით კი ნხოლოდ შავგვრემან, მხარბეჭიან ვაჟკაცს ხედავდა. მას მაღალი და ღია შუბლი, მშვიდი და ჭკვიანი გამოხედვა ჰქონდა.

ეს ომამდელი ფოტო იყო. მაქსუდი ახალდაბრუნებულ ჯარისკაცს ბოლნისგოლიდან. თანასოფლელები ალტაცებაში მოჰყავდა ომგადახდილი ვაჟკაცის ჯომარდობას. სწორედ მაშინ ნახა პირველად ხადიშა...

— ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს! — ამოიოხრა და სურათს ფრთხილად გადაუსვა ჩვარი.

პატრონის დანახვაზე მაილიაიკი წამოხტა და ჭაჭვი ააჟღარუნა. ქოთაკს ენა მიწაზე დასთრევდა. კუდის ქიცინითა და საწყალობელი წკმუტუნით ითხოვდა ნასუფრალს, მაგრამ რაკილა დაინახა ქალს საჭნელი კი არა რაღაც ქალაღდი ეჭირა, თავი მიანება და საკუთარ კუდს დაუწყო დევნა.

ფოტოგრაფმა დიდხანს ათვალიერა სურათი, ბოლოს იკითხა:

— დედილო, თქვენი ვაჟია?

— ხომ არ შეიშალე? — გაბრაზდა ხადიშა. — ეს ჩემი კაცია.

— მე ვიფიქრე თქვენი ვაჟი იყო, — იმართლა თავი ფოტოგრაფმა.

— შენც ნუ იფიქრებ. ამ სიცხეში საზიანოა შენი ტვინისთვის ბევრი ფიქრი, მოაზროვნე გამომიხვედი, რაღა! — მკვეთრად, ხაფანგის ტკაცანივით მოულოდნელად მიახალა ხადიშამ, — გადიღებაა საჭირო. კარგად გააკეთე, გესმის? იცოდე, არ დაგეკარგოს!

ხადიშა უხეში არასოდეს ყოფილა, განსაკუთრებით უცნობებთან, ახლა კი თავი ვერ შეიკავა. საკუთარმა სიბერემ გააღიზიანა. მაქსუდი კი ისევ ახალგაზრდა იყო, მის წარმოდგენაშიც კი. ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს, ცოლქმარი ერთმანეთს უნდა შეაბერდესო.

ფოტოგრაფი შეცბა, მიხვდა რომ რაღაც შეეშალა და ღიმილით იკითხა:

— სხვა სურათი არა გაქვთ, აი ისეთი, სადაც ერთად ხართ გადაღებული? არც ეს შეკათხვა ესიამოვნა ხადიშას, მაგრამ არ შეიმჩნია:

— არა, ასეთი სურათი საერთოდ არა მაქვს. სულ კი ვაპირებდით გადაღებას, ამასობაში ომიც დაიწყო და...

ფოტოგრაფს შეეცოდა მოხუცი ქალი. კიდევ ერთხელ დახედა ვაჟკაცს და ისევ ხადიშას მიუბრუნდა:

— არც ახალგაზრდობის სურათი გაქვს?

ხადიშამ მღუმარედ გაიწოდა ხელი მაქსუდის ფოტოსაკენ:

— მაინც რისთვის გჭირდება ჩემი ქალიშვილობის სურათი? მარტოს არასოდეს გადამიღია. ზანდუკში გღია მგონი ერთი, გათხოვებამდეა გადაღებული დობილთან ერთად. ვინ იცის, იქნებ კიდევ იქ არის. ვის რაში სჭირდება?

— მაინც მოიტანე და მაჩვენე, — სთხოვა ფოტოგრაფმა.

— რას შემომიჩნდი, რაში გამოგადგება? — გაიკვირვა ხადიშამ და ახლაღა შეამჩნია, აქამდე ხელგაწვდილი რომ იდგა.

— შენ ჯერ მოიტანე, მერე ვილაპარაკოთ.

— ვის გადავეყარე ამ სულელს! — ჩაიბუზღუნა ქალმა. — გირჩევნია ეს ფოტო გაადიდო.

— არა, არა, შენი სურათიც მომიტანე!

ფოტოგრაფის ასეთ სიჯიუტეზე ხადიშას გაეცინა და პატარა გოგონასავეით მორჩილად წავიდა სახლისაკენ. იგი მალე დაბრუნდა.

ფოტოგრაფმა ყურადღებით დაათვალიერა სურათი, მერე ისევ ახალგაზრდა მაქსუდს დახედა, კეფა მოიფხანა და თავი გაიქნია.

— რაო, არა მგავს, ხომ, — შეშფოთდა ხადიშა. — იქნებ არა გჯერა? აი, ეს მე ვარ, ეს კი ჩემი დობილი ულბოსინია. ერთად ვიზრდებოდით, ერთ მერხზე ვისხედით, ოღონდ ჩემზე ერთი წლით ადრე გათხოვდა. ხედავ, როგორ იცინის, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით რა გველოდა. ვერ ვიტყვი, რომ ულბოსინი ბედნიერია, მაგრამ მას ბიჭი მაინც დარჩა, დედის იმედი და სიხარული. განა ეს ბედნიერება არაა? მამის ადგილი დაიკავა სახლში, კერია არ გააცივა.

ფოტოგრაფი ყურადღებით ათვალიერებდა ხადიშას ღრმა ნაოჭებით დაღარულ პირისახეს და ეძებდა მსგავსებას მასა და ფოტოზე გამოსახულ უდარდელ გოგონას შორის. მხოლოდ ნაპერწკლიანი გამოხედვა იყო ძველებური...

ერთი კვირის თავზე ფოტოგრაფის ციციქნა „ზაპოროჟეცი“ ისევ მოათუხთუხდა სოფელში და ძველ ადგილას გაჩერდა. ფოტოგრაფი მხიარულად არიგებდა სურათებს.

— აი, ნამდვილი ქალაქელი კონტაპრუწა! — აღტაცებით იძახდა ერთი.

— არც შენ მყავხარ კალმით ნახატი მზეთუნახავი! — ხორბოცებდა მეორე.

ფოტოგრაფს უყვარდა სინამდვილის შელამაზება, მართალია ძველ სურათებზე გამოსახულ ადამიანებს სახეს არ უცვლიდა, მაგრამ სამაგიეროდ თანამედროვე კურტაკებსა და სმოკინგებს აცმევდა. თუკი ადრე ბეშმეტში იყავი გადაღებული, ახლა თანასოფლელებს დიპლომატივით შავ ფრაკში გამოწყობილი წარუდგებოდი, ანდა მალაღი წრის ბანოვანისა დარად, ოღონდ თავსაფრით.

რევმატიზმისაგან დასიებული ფეხებით მოლასლასდა ხადიშაც. ფოტოგრაფმა უხმოდ მიაწოდა მუყაოსზე დაკრული დიდი სურათი. ხადიშამ თავიდან ვერაფერი გაარჩია. მერე ხილაბანდით მოიწმინდა შუბლი და ისე დახედა სურათს. ამასობაში ხალხიც შემოეხვია გარშემო. ხადიშა დაბნეული იდგა.

— ხა, ხა, ხა, ეს შენა ხარ, ხადიშა? — დაცინვით იკითხა აკშიამ, — რა არის, შენი ქმარი ზედაც რომ არ გიყურებს, ხომ არ წაიჩხუბეთ სურათის გადაღებამდე?

ზუსტად ეს სიტყვები უნდოდა ეთქვა ხადიშას ფოტოგრაფისთვის, მაგრამ თავი შეიკავა.

— კარგია, ძალიან კარგია!

ფოტოგრაფს ეშინოდა, ვაითუ არ მოეწონოსო და ამ სიტყვებზე თავი-

სუფლად ამოისუნთქა. სურათიდან რაიონული ფოტოგრაფის ნებართვით დემობილიზებული მაქსუდი იყურებოდა. მკერდს ფართონასკვიანი პალსტუხი და გაქათქათებული პერანგი უმშვენებდა. ობიექტივის თავზეხელაღებული რაინდს ქუდისთვის ხელი არ ეხლო. მისი ხელოვნება აქამდე ჯერ ვერ ამოღლებულიყო. მაქსუდი წარბშეკრული იდგა, თითქოს რცხვენოდა, ფოტოგრაფის წინააღმდეგ გამოაწყვეს სამოცდაათიანი წლების სამოსში, როცა მას სწორედ ორმოციანი წლების ქუდის ხმარება ემარჯვებოდა. როგორც ჩანდა, ფოტოგრაფს შემოქმედებითი საღერდელი ჰქონდა აშლილი. მას ამოეჭრა საწყალი ულბოსინი და იმ ადგილას მაქსუდი ჩაესვა, მერე ხელახლა გადაეღო და გაედიდებინა. ფოტოგრაფს სიამოვნებდა ადამიანების გამოწყობა თავისი სურვილის მიხედვით, აძლევდა მათ უცხო და უაზრო სილამაზეს, მას უნდოდა, რომ ასინი ყოველთვის მხიარულები და ლამაზები ყოფილიყვნენ, რომ ომის წყალობით დამორცხულ ცოლ-ქმარს ფოტოზე მაინც ეცხოვრა ერთად. ერთობ უცნაური კაცი იყო ფოტოგრაფი.

ძველ სურათზე, მომღიმარ გოგონებს თავები ერთმანეთზე ჰქონდათ მიდებულნი, ახლა კი ერთა მამაკაცის მხარზე მიეყრდნო თავი, ის კი კუმტად იყურებოდა, რადგან არ იცოდა, რომ ნუგეშს ითხოვდა ეს ვარდლიმილა გოგონა. ვაი, რომ არ იცოდა...

— შე საცოდავო, გადალება როდისღა მოასწარით? — შეუჩნდა აკმაი.

ხადიშა არხთან ჩამოჯდა და ალვის ხეს მიეყრდნო.

— რაო, აღარ გაბსოვს, აკმაი? — თქვა მან ბოლოს, — ჩვენ ხომ ქორწილის დღესვე გავემგზავრეთ რაიონში. შენ ადრეც გინახავს ეს სურათი, მაგრამ დაგავიწყდა. რას იზამ, სიბერის ბრალია. ჩვენი სურათები ცალ-ცალკე კი არ იქნება ჩამოკიდებული, როგორც შენი და ეურაკბასის პორტრეტები. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით. მთელი ცხოვრება!

მისი ხმა საოცრად ამაყი და ახალგაზრდულად წკრიალა იყო. მოხუცი აკმაი მოიბუზა, ერთბაშად დაპატარავდა და დაჩიავდა.

— აი, გასადიდებლად მივეცი, — განაგრძო ხადიშამ და სურათს ფრთხილად გადაუსვა სახელო. — ყველაზე საბატიო ადგილას ჩამოვკიდებ. მადლობა ღმერთს, ჩვენ ერთად ვართ, ყველგან, ყოველთვის...

— ფოტოგრაფო! — გასძახა ხადიშამ. — კიდევ ერთი სურათი დამიმზადე. მინდა ჩემს გოგოს გავუგზავნო ტიულკუბასში. კარგი?

აკმაი დუმდა, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. და მაინც ტიროდა ჭიჭინობელა... იქ... მწვანე ბალახში.

თარგმანი მერაბ გოგინიაშვილმა



ოლქას სულეიმენოვი



ს ვ ა ტ ი

ეჰი, როგორი ქალი წევს —
 გულმოდელი — ჩრდილში;
 აღუბლის ჩრდილში ქალი წევს,
 თეთრი აღუბლის ძირში.

აღუბალს წყალი ჩაუდის,
 ისმის ზუზუნი მწერის;
 ღოყევა — თურამაული,
 გადაზნექილი — ყელი.

მე ცხენით ჩემთვის მივდივარ,
 არ ვიხედები იქათ;
 წევს ჩრდილში ქალი თამთიმა,
 ჩვენ გი სხვა მხარეს მივქრით!

თარგმანა მურმან ჯგუჯურიან





გალაკტიონი

კავშირი გულთა შორის

დიდო არმია, არის შენი მედგარა მხარი
ჩვენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი.

მღერალმა ჩვენი ველის, ჩვენი მთისა და გორის,
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთხატვის ყველა და ყველახატვის ერთი,
რომ მთარღვევდეს ბურუსს გაკაყუებული მკერდა.

ვერავენ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის.
მარადყამს მზიანია კავშირი გულთა შორის.

კავშირი გულთა შორის! როცა გულს იცნობს გულა,
რათა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული?

გზა გვექონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალასავს კავშირი გულთა შორის!

ძველო ახპინძის ველო, ძველო ციხეთ გორის,
მკერდით გიცავდათ მძლავრი კავშირი გულთა შორის.

მარად ხაცოცხლეს უდგა და ისტორიის მღორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის.

უძლეველია ცისე, ბუდე ორბის და ქორის,
რათა იაგო დიდმა კავშირმა გულთა შორის.

დიდო არმია, მძლეა ფიცი ტოლის და სწორის,
კავშირი გულთა შორის, კავშირი გულთა შორის!



აფხაზური ეპოსი — „ამბავი ნართებისა“



ნ ა რ ჯ ხ ი ო უ

მწყემსი ყოფილა ნარჯხიოუ, ტყე-ველში გაზრდილი დევეაცი¹ ამბობენ, არ იცოდა, სახლს კარი სად ებათ. ნართებსაც არა ჰგავდა, ძალზე მრისხანე და მოშულარი კაცი ყოფილა. ტყუარჩალში, ვეება ციხეში ბინადრობდა. ქვა-ლოდის გაღავანი ერტყა ციხეს. დღესაც ჩანს ის ზღუდეები, ბუხრებს, საკვამურების კვალსაც შეამჩნევს იქ მიმსვლელი.

მუხლი ჰქონდა ნარჯხიოუს — თავისი ციხიდან რომ ფეხს დაჰკრავდა, აისარას ფერდობზე დახტებოდა, იქიდან კუნ-იაშთას ველზე მოიღებდა გრიალს. ფეხოსანი იყო თუ ცხენზე იჯდა, სულ ერთია. ასე მთა-მთა მიხტოდა ხოლმე.

ცოლიც თავის სამკვიდრებელში არ ესვა, ღარწიქითას ციხეში ჰყავდა და ბინავეებული. ხშირ-ხშირად აკითხავდა ცოლს, მაგრამ უმეტესად მაინც თავის ციხეში იჯდა. თუ ცოლისათვის რაიმე სათქმელი ჰქონდა, ამ ციხეებს შუა ჯაჭვი ჰქონდა გაბმული და იმ ჯაჭვს შეაყლირიალებდა ხოლმე. ცოლიც — ასევე. საჭმელსაც ერთად ჭამდა ცოლ-ჭმარი, იმ ჯაჭვის ყლარუნით აგებინებდნენ ერთმანეთს საუზმისა თუ საღაღ-ვახშმის დროს.

გამოხდა ხანი და მოუკვდა ნარჯხიოუს ცოლი. კიდევ გავიდა დრო და ცოლის წერთვა მოიწადინა ნარჯხიოუმ, მაგრამ ვერაეინ ნახა შესაფერი. ერთხელაც, მივიდა და დედას ჰკითხა:

— დედი, საცოლე უნდა დავნიშნო, მაგრამ რომ აღარ ვიცი, ვინ შევიერთო?

— არის საშენო ქალი, მაგრამ გამოკყვება კია? — მაუგო დედამ.

— ვინაა და საღაური, მე რომ არ გამომყვება?

მაშინ ასე უთხრა დედამ:

— რკინის გაღავანი ავლია ნართების ეზოს, ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება იმ გაღავანზე. ერთი ბროლის კოშკი უდგათ ეზოში. აი, იმ კოშკში ზის ნართების ერთადერთი დაი, გუნდა მშვენიერი, მზეთუნახავი ქალი. სწორედ ისაა შენი საფერი, მაგრამ ასე იოლად არ გაათხოვებენ ძმები. აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, წადი და ნართებს ესტუმრე; ვინც მათ დას წაიყვანს, ვაჟკაცი იქნება. ვაჟკაცთა შორის უპირველესი!

ნარჯხიოუსაც მისწვდენოდა გუნდა მშვენიერის ქება. სიტყვაც არ უთქვამს, ისე გამოიყვანა თავლიდან უკეთესი რაში და ნართების სამკვიდრებლისაკენ გააქანა.

არადა, უკვე დასავლელ ხუაევარფასს ჰყავდა დანიშნული ნართების დაი.

¹ თარგმნილია მცირედი შემოკლებით.

საცაა წასაყვანადაც უნდა მისულიყო. აღმოსავლეთიდან კი ნარჯხიოუ მოპქროდა გამალებული, გულში გუნდა მშვენიერის ქმრობა ამოეჭრა, იარა, იარა და კიდევ მიუახლოვდა ნართების სოფელს. დიდი ღვინი ჰქონდათ ნართებს, ზეიმობდნენ, ყველა ეზოში გაშოსულიყო, ბურთაობა გაეჩალებინათ. ბაიბურშიაც არ იყვნენ, თუ მათნი ვაჟკაცი სხვაც დაიარებოდა ქვეყანაზე. მხოლოდ სასრიყვა არ გახლდათ მინ, სანადიროდ იყო წასული.

სათანეი-გუაშამ შორიდან მოკრა თვალი უცხო მხედარს:

— ნართებო, ჩემო სახელოვანო შვილებო! — გასძახა მობურთალებს. — თამაშს დაეხსენით, სტუმარი მოგვდის!

ამასობაში შუადღე გადავიდა და საშინელი გრიალი მოიჭრა აღმოსავლეთიდან, გრიგალიც ამოეარდა და გალავანს მიაწყვიტა მოთამაშენი, თურმე ნარჯხიოუს რაშის ნესტოებიდან ამოფრქვეული თხემივარი ყოფილა.

მხედარიც მალე გამოჩნდა, გალავანთან არც შეჩერებულა, ჭიმკარს მკერდით დაამგერა ცხენი, შემოლენწა და ეზოში შემოვიდა.

რას იზამდნენ ნართები, სუფრაზე მიიწვიეს სტუმარი. იჯდა ნარჯხიოუ და ვუნდა მშვენიერს მისჩერებოდა. ძალიან შეუყვარდა ნართების მზეთუნახავი დაი.

— უნდა წავიყვანო შენი ქალი, დედაე-გუაშამ! — უთხრა სათანეი-გუაშამ, მერე ქალის ძმებს მიუბრუნდა: — ასნი ძმანი ხართ, ნართებო, ძალა და შეძლება არ გაკლიათ. მე კი ერთი მარტოკაცი ვარ, მაგრამ თავი ვაჟკაცად მიმაჩნია. მომწონს თქვენი დაი, თქვენი მოყვრობა მწადია. გამატანეთ, ცოლად უნდა შევირთო!

ასე უბასუხეს ძმებმა ნართებმა:

— კარგი ვაჟკაცი ჩანხარ და ქალსაც არ დაგიკავებდით, მაგრამ რა ვქნათ, დანიშნულია ჩვენი დაი, ხუაყვარფასის საცოლუა, გაიგებს ხუაყვარფასი, შენცა და ჩვენც შავ დღეში ჩაგვაგდებს!

— თუ ხუაყვარფასის დანიშნულია, მე არსადაც არ მეჩქარება, წადით და შეატყობინეთ. მოვიდეს და, ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისა, ისიც ვაჟკაცი და არც მე მიძოვია ბალახი! — თქვა ნარჯხიოუმ.

— კეთილი, მაგრამ შორს ცხოვრობს, თანაც ასლა სანადიროდ არის მთაში, — მიუგეს ძმებმა.

ერთხანს ასე მშვიდობიანად ილაპარაკეს, მაგრამ ბოლოს ნარჯხიოუმ ველარ მოითმინა.

— მიდით და გამომიყვანეთ თქვენი დაი, ახლავე უნდა წავიყვანო!

მაგრამ კაციშვილს არ მოუცვლია ფეხი.

მაშინ კი გაბრაზდა ნარჯხიოუ, ზეწამოიჭრა.

— თქვენი სიძე რომ ნახოთ, უთხარათ: გამომეღვენოს, თუ უნდა. დამეწევა და, ჩვენ მოგრიგდებით! — თქვა და შევარდა კოშკში, შელენწა ვუნდა მშვენიერის სანთიობო, აიტაცა ქალი, ძირს ჩაარბენინა და, ვიდრე ძმები გონს მოვიდოდნენ, შეახტა ცხენს, ქალი წინ შემოისვა, გადაახტა გალავანს და მინდორში გაიჭრა. თვალსა და ხელს შუა მოსტაცა ას ძმას ერთადერთი დაი. მიპქროდა გამალებული, სადაც კი მისი რაში ფლოქეს დაჰკრავდა, ღრეები ჩნდებოდა, სადაც კი მხედარი გაივლიდა, ქექა-ქუხილი აყრუებდა იმ არემარეს.

გაშტერდნენ ნართები, არ ეგონათ, ამას თუ ვაუბედავდათ სტუმარი.

უმაღლესი იარაღი აისხეს, ცხენებს მოახტნენ და ნარჯხიოუს დაედევნენ. სამი დღე-ღამე არბიეს ცხენები, მაგრამ კვალიც ვერ დალანდეს მისი.

მაშინ, სასრიყვას შეატყობინეს დის გატაცება. გაიგო თუ ხარ, წამსვე შინ გაჩნდა სასრიყვა, ნარჯხიოუს გზა-სავალი გაიკითხა, დედას კურთხევა გაქმნათხოვა და თავადაც დის გამტაცებელს ჩაუდგა კვალში. ექვთიმე უმალე დაეწია და გაუსწრო, მაგრამ ნარჯხიოუ ჯერაც შორს იყო, ცხენი ბრძანებულს კვლო.

ხუაყვარფასმა კი ჯერაც არაფერი იცოდა. რა არ იღონეს ნართებმა, მაგრამ ვერაფერი შეატყობინეს. მალემსრბოლებიც აფრინეს; უნდა მოეძებნათ ხუაყვარფასი და ასე ეთქვათ:

— ხუაყვარფას, ეილაც მხედარი გვეწვია, ცხენი დააჯახა ჩვენს გალავანს, შემოღეწა ჭიჭკარი. ძალით წაიყვანა გუნდა მშვენიერი, შენი საცოლე. ნარჯხიოუმ მოვტაცა მსუეთუნახავი გუნდა. ახლა, საცა იყო, თუ გძინავს — გამოიღვიძე, თუ გღვიძავს — გამოიძვეცი!

ვერც მალემსრბოლები იპოვიდნენ ხუაყვარფასს, ვერც მთაზე შემდგარი მამახური მოაწვდენდა ხმას — ისევ გუნდა მშვენიერმა იფარვა. ორგზის დაიკვილა და ხუაყვარფასმაც უმაღლესი გაიგონა სატრფოს ხმა. მაშინვე მოახტა ქარზე უსწრაფეს ნერანს და წამოვიდა გამალეხული. მწვეთაროვით მიქროდა ნარჯხიოუს რაშიც, მიწას აპობდა მისი ფლოქვები. მაინც დაეწია ხუაყვარფასი, იმ ადგილას წამოეწია, საცა შეიდი გზა ერთად იყრება — აფშირა ჰქვია იმ ადგილს.

უკუიხედა ნარჯხიოუმ, დაინახა გამალებით მოსქროლავი ხუაყვარფასი.

— ეჭვი, მომკალი და ახლა მიდიხარ? — გასძახა ხუაყვარფასმა. — მაგრამ ნუ გგონია, ასე გაგიშვებ! შეჩერდი, თუ ვაეკაცი ხარ, თუ მაგ ქალის მანდილი არ გხურავს, ვინც ცხენზე გიზის!

— აქა ვარ, მოდი და დამეწიე! — გამოსძახა ნარჯხიოუმ. — აკი მთევარი ხარ, დამეწიე და გამიმკლავდი!

არც შეჩერებულა, კვლავ რაშს მიაღრენდა. ხნა კი მოაწვდინეს ერთმანეთს, მაგრამ ჯერაც დიდი ჰყოფდათ მანძილი. წინ აშვადუს ველი ჩანდა, იმ ველზე მიარბევდა ცხენს ნარჯხიოუ. ნელ-ნელა წამოეწია ხუაყვარფასიც. ანახლად, რაღაც შუქი მოხვდა სახეზე, იფიქრებდით, დილის ცისკარმა ამოანათათ. გუნდა მშვენიერის შუქი იყო, ნარჯხიოუს მხარზეით გამომკრთალი. უკვე თავად ნარჯხიოუც კარგად ჩანდა და შეაჩერა ხუაყვარფასმა ცხენი, კვლავ გასძახა:

— უაა, სად მიდიხარ ჩემი სიცოცხლის განამწარებელი! დადექ, თუ ვაეკაცი ხარ, თუ მაგ ქალის მანდილი არ გხურავს, ვინც ცხენზე გიზის!

— ჰეი, ხუაყვარფას! აქა ვარ, აბა მოდი, მომიახლოვდი! — მიუგო ნარჯხიოუმ და თავადაც შეაყენა ცხენი.

აშვადუს ველზე შეიყარნენ მოსისჯარანი, პირისპირ დაუდგნენ ერთმანეთს, დაიწყეს ფიცხელი ომი. იმ დროს აზანდაყს, ჰოროლსა და მშვილდ-ისარს ხმარობდნენ ვაეკაცი, სხვა იარაღი არ ეპრიანებოდათ. გამართეს მშვილდ-ისარი, დადგნენ შორი-შორს, მოემზადნენ სასროლად.

— მღევარი შენა ხარ, პირველი სროლაც შენია! — დაიძახა ნარჯხიოუმ. ესროლა ხუაყვარფასმა, ნარჯხიოუმაც იმწამსვე დაუბრუნა სასროლი. დიდხანს იბრძოლეს ასე. ნარჯხიოუ მარჯვენა ნეკს უხვედრებდა ისარს და განზე, დეკიანში ჰყრიდა ხუაყვარფასის ისრებს, ხუაყვარფასიც ხელით იჭერდა.

მტრის ნასროლს. ამასობაში გაუთავდათ კიდევ, რაც კი ისარი ჰქონდათ.

— წავალ, ახლებს გავთლი და მოვიტან, — თქვა ნარჯხიოუმ, მაგრამ იუ-
არა ხუაყვარფასმა:

— შენ ქალი გახლავს, მე წავალ, მე მოვიტან!

წავიდა, გათალა ისრები, მოიტანა. გაშალეს ნაბადი, ~~მხრებში მჭედს დაყა-
რეს, გადათვალეს და თითო-თითოდ გაინაწილეს. თრივეს ტოლად მოსუვიდა.~~
ადგნენ და კვლავ დაიწყეს ბრძოლა. კვლავ გაუთავდათ ისრები.

— ახლა მე წავალ, მე მოვიტან, — თქვა ნარჯხიოუმ, წავიდა და ახლა მან
მოიტანა ისრები.

დასხდნენ და ისევ შუაზე გაიყვეს, ისევ დაიწყეს ისართა სროლა. გა-
ფიცხდა ნარჯხიოუ, ზედიზედ გასტყორცნა ისარი, ბოლოს თავში მოარტყა
ხუაყვარფასს და ორად გაუპო თავი.

თავზე იტაცა ხუაყვარფასმა ხელი, მტერს შესძახა:

— ნარჯხიოუ, თუ ვაქცაცი ხარ, დავზავდეთ ცოტა ხანს, აქ დამიცადე.
წავალ აინარ-მჭედელთან, თავს მოვუვლი და დავბრუნდები.

— წადი, აქ გელოდები, — მიუგო ნარჯხიოუმ. — მეც ბარძაყში ვარ დაჭ-
რილი, შენს მოსვლამდე მეც დავიკერებ ჭრილობას.

წავიდა ხუაყვარფასი აინარ-მჭედელთან, მოურჩინა მჭედელმა გაპობილი
თავი: ერთმანეთს მიაღვა ნაპობები, ზედ სპილენძი დაადო, რკინის სამსჭვა-
ლებით დაჭედა, გარედანაც რკინის სალტით გაამაგრა.

მობრუნდა თავდაჭედილი ხუაყვარფასი, სტყორცნა ისარი ნარჯხიოუს,
ძარცხენა მკლავში მოარტყა, მთელი მხარბი გაუკავა. დაიჭირა ნარჯხიოუმ ისა-
რი, დალეწა, შორს მოისროლა. ახლა თავადაც ესროლა, მუხლში სცა, მუხლი
გაუპო.

— ჰეი, თუ ვაქცაცი ხარ, ერთხელაც დავზავდეთ; წავალ აინარ-მჭედელ-
თან, ნუხლს მოვირჩენ, აქ დამიცადე! — დაიძახა ხუაყვარფასმა.

დათანხმდა ნარჯხიოუ. ისევ აინარ-მჭედელს მიაღვა ხუაყვარფასი, მუხლი
მოირჩინა და დაბრუნდა.

ახლა ჰოროლი სტყორცნეს ერთმანეთს, პირველად ხუაყვარფასმა ესროლა.

— სად მოგხვდა? — ჰკითხა ნოსისხლეს.

— ფეხში მომხვდა, მუხლს ზემოთ გადამიმტვრია ბარძაყი! — უპასუხა
ნარჯხიოუმ.

— აწ შენი ჯერია, მესროლე შენი ჰოროლი!

სტყორცნა ნარჯხიოუმ და თავში მოარტყა, შუა გაუპო თავი.

— ერთხელაც დამელოდე, — ითხოვა ხუაყვარფასმა, — ისევ აინარ-მჭე-
დელთან წავალ და მალე დავბრუნდები!

— კარგი, დაგელოდები! — დაყაბულდა ნარჯხიოუ.

ისევ წავიდა ხუაყვარფასი, ისევ დაიკერა თავი და დაბრუნდა. ახლა მისი
ჯერი იყო — ესროლა.

— სად მოგხვდა? — გასძახა.

— თვალიც კი არ მომიკრავს! — უპასუხა ნარჯხიოუმ.

მერე თავადაც ესროლა და კვლავ თავში მოარტყა, ისევ გაუპო თრჯერ
შეჭედილ-შეკერილი ჭრილობა.

— სად მოგხვდა?

— თავში მომხვდა და სულ მოადღლიზა ის ნაჭედ-ნაკერი!

— მეტი ხომ არაფერი გსურს?

— კიდევ ნადროვე ცოტა ხანს! — სთხოვა ხუავეარფასმა.

— კეთილი, გადროვებ, — დაყაბულდა ნარჯხიოუ.

მაგრამ რაღაი. არაქათი გამოეღია ხუავეარფასს, ძირს დაეშინა მომაკვდავი. ნარჯხიოუმ კი წაიყვანა გუნდა მშვენიერი და თავისი თავე-დაც დაუძღურებულყო, ძლივს მიღანდალეზდა, მაგრამ მანაც ააღწია მოთაში. შვიდი გზის შესაყარზე მივიდა, ხუმიარას მთის ძირას, და სულ გამოეღია ძალ-ღონე. ჩოჩვა-ხოჩვით წავიდა და აკალამ-კუაკუარას მიადწია. აქ გაჩერდა და მეტად ფეხი ვერ წადგა წინ.

გრძნეული ქალი გახლდათ სათანეი-გუაშა, ძალა ჰქონდა მის ლოცვა-წყევას. რასაც იტყოდა, აუსრულდებოდა ხოლმე. ახლაც ასე შეჭლალადა ცასა და მიწას:

— შოი, ნარჯხიოუ! ვინც ქალი გამოიუბედურე, ვინც ხუავეარფასი ისე ამიჯვარე, რომ ცას მიწვდა მისი კვნესა-ძახილი! გაქვავდი, ნარჯხიოუ, ჰაერში დაეკიდე, მიწაზე არ გედგას ფეხი! საკვირველ ძეგლს დაემსგავსე აგრე ცხენზე მჭდაბი! გუნდა მშვენიერიც რბილ ქვად იქცეს და აგრე გეჭაროს ილლიაში! გაქვავდი სანუდამოდ, გაქვავდი სამარადისოდ, ქვეყნის დაქცევამდე, მეორედ მოსვლამდე აგრე იყავ ჰაერში გამოკიდებულის ყოველ წელიწადში ერთხელ გამოცოცხლდი, შენი უბედურება იხილე! გადადიოდეს შენს ტანზე მგზავრი ცხენოსანი, შენი ცხენის მუცელქვეშ იაროს ფეხით მავალმა! ნელ-ნელა დაიწყე, მიწიკენ, თანდათან ჩამოლაბლდი და, ქვეყანა დაიქცეს, მეორედ მოსვლა დაიწყოს, როცა შენი ცხენი მუცლით მიწას შეეებება!

ნანიტვარას კლდეს დაერჭვას, უკუნითი უკუნისამდე დარჩეს გუნდა მშვენიერის სახელი! და ვიდრე სიღამაზე იქნება ამ ქვეყანაზე, ვიდრე სიტკბო და სიკეთე იარსებებს, არ წაიშალოს გუნდა მშვენიერის ხსოვნაც! მფარველობდეს თავლს — საქმელ-სასიგელთა უპირველესს და თავლის მკეთებელ ფუტკარს მფარველობდეს მზეთუნახავი გუნდა, ღმერთქალი იყოს და ანანა-გუნდა ერქვას სახელი!

ხუავეარფას, შვილო, მშვენიერ დეკად აღმოცენდი ყოველ ხევში, ყოველ ღარტაფში, ხალხისათვის სასარგებლო წნელი იყავი! ფაცხა შეიკრას შენი შტოებით და სათბო-სიკეთე იყოს იმ ფაცხებში ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთოლი გესხას და შარადმწვანე დეკა შენი ხატი იყოს! ყოველ წელიწადს იზეიმოს ხალხმა ხუავეკირა — დეკის დღესასწაული და შენ გაგიხსენოს, ხუავეარფას, შვილო!

ამბობენ, აღსრულდათ სათანეი-გუაშას სიტყვები.

მართლაც ნანიტვარას კლდეს შერჩენია გუნდა მშვენიერი, გაქვავებული მზეთუნახავი, ანანა-გუნდა, ფუტკართ ღვთაება!

ამბობენ, მცენარედ ქცეულა ხუავეარფასი და ხუავეკირას დღესასწაულიც მისგან მოდასო!

ამბობენ, შვიდი გზის შესაყარზე დგასო ცხენზე ამხედრებული ნარჯხიოუ, გუნდა მშვენიერიც ილლიაში ჰკავს, ხავსიან კლდედ ქცეულა და ჰაერში ჰკიდიაო ეს ცხენ-კაცის საშება!

აფხაზური სალხური პოეზია



ა ზ ვ ე ი ფ შ ა ა *

თუ ერთად ვმღერით, გაგვიხართ ერთადვე დასტურ,
 გათენებისას გაგვახარე, აუგეიფშაა,
 ტკბილი თაფლუჭა მოგვაგოს დედაძმ,
 ძამამ — ნადირი მათა და ტყეთა.
 აუგეიფშაა, ნუ მოგვაკლდეხ ნუროდეს შენგან
 ჯისვების ჯოგა, მწყალბელთ, ირმების ჯელგა,
 შენი ოქროს ფრთა დაგვაფარე, იძედის კალთა,
 გათენებისას გაგვახარე, გათენებისას.
 მხელ იწროებში გვაძებნინე ნადირი მათა,
 ნუ მოგვაკლდება ტყავი და ხორცა,
 ტყავს გრძელი შქონდეს უთუოდ ბეწვი,
 თხა იყოს ერთწილ,
 ქურციკი — ორწილ.
 არჩეს შქონდეს წვერი, გრძელი კანჭი — ქთრბუდა ირემს,
 დათვი გვანუქე, მწყალბელთ, და დიდი ტახი.

□

მონადირეების სიმღერა

დაღ: იუანა, შენა ჭირიმე,
 დაღი: დაღი!
 თათოს თათო თხა ჩამოგვიარიტე.
 დაღი: დაღი!
 არჩეა? — არჩეს ხომ ტყავი აქვს კარგი,
 დაღი: დაღი!
 კლდისფენა დათვი დარტაფში გარბის,
 დაღი: დაღი!
 ირემი აუა: რქა შქონდეს დიდი,
 დაღი: დაღი!
 და რქაზე სკვანჩა ცხოვრობდეს ჩატი,
 დაღი: დაღი!
 ვინაღ ხიკედილის არ უდგას უაზი,
 დაღი: დაღი!

* ნადართების დგთაება.

მახ მოსაკლავად ნურც მომცემ, ამინ!
 დადი, დადი!
 თუნდ ჩიტი იყოს დასტურით შენით!
 დადი, დადი!
 და თუ მსუქანი შველია — შველიც!
 დადი, დადი!
 აჟვეიფშაა, შენი ჭირიმე,
 დადი, დადი!
 ფურებში ხარი გამოშირიდე,
 დადი, დადი!
 წყვილად მარგუნე ირემის ტყავი,
 დადი, დადი!
 შველი ქარაფებს შეასკდეს თავით,
 დადი, დადი!
 ჯიხვს სქელი პქონდეს უთუოდ გავა,
 დადი, დადი!
 წვრილი თხები კი ტყავებად წავა,
 დადი, დადი!
 დადი, კარგია მსუქანი ნეზვიც.
 დადი, დადი!
 ყურგახურვტილ ტახს მეც ყურში ვესვრი,
 დადი, დადი!
 ცუდად ნახროლი რახ აკლემს ნადირს,
 დადი, დადი!
 კარგი ხომ გულის გულამდის გადის!
 დადი, დადი!

□

თ ა შ ა კ ა

(წიხვილის ხიმღერა)

უა, ჩემო თაუაბა,
 რა ღამაზად შევები ზღაპარს,
 ერთი საქმე გიყვარს მხოლოდ,
 სხვა რამ არც კი იცი აღბათ.
 თაუაბა, თაუაბა,
 ოქროს მარცვალს ჯაბით ყლაპავ,
 ჩვენ კი მერე, როგორც წესი
 ვარცლითა და გობით ვხაპავთ.
 და რა სწრაფად, და რა სწრაფად,
 გვიცლი საფქვავს, თაუაბა.

□

ლავარული



აჰაჰაი, ამარჯაქვა, უკანანი არ ჩამორჩეთ!
 ერთხელ გაუჩნდით, ერთხელ მოეკვდეთ — არაფერი უნდა გეშინოდეთ.
 აჰაჰაი, არ შეშინდე —
 გამოუხმე გმირებს ბნელით,
 იმ ვაჟკაცზე არ იფიქრო, სულ რომ ქალის აღერსს ელის.
 წინ იარე, ხანამ სრულით არ გასკდება შენი თოფი,
 ბალახივით ცელე მტერია,
 მკლავში ძალა ხანამ გყოფნის!
 აჰაჰაი, აბაფხქვი! რა გმირობაც ვაგვევა მუცლით,
 ის საფლავშიც უნდა ჩაგვევებს,
 პოლა, აბა რაღას ვუცდით!
 ეშმას თესლი არის შიში,
 არ უხდება შიში აფხაზს,
 უშიშობას სხვა ძალა ხდევს, სხვა გული და სხვა ზნე, სხვა უხა.
 ნართებმა შეეს გულთენება,
 ნართები ჰყავს აფხაზს ძმებოდ
 და ნართებთან მიდის ბოლოს, თუ ნართავით თმში გვდება.
თარგმანა პიორგოი ნიშნიანიკაჲ



სამხარეთველი

კაჯიუმარ ალგორთი

ბალადა პურის მარცვალები

მე მქონდა ხორბლის ციციქნა მარცვალი,
 არა უბრალო —
 მარცვალი ხორბლის...
 მე მქონდა პურის მამშალობისას.

მშიერ ჩიტების გუნდი ღვებულამ
 დაფრთხილებდა ფანჯრის რაფაზე...
 ავაკუნებდნენ წვრილი ნისკარტით,
 აქ იყო მათი მუღმიანი ხანა.

ვადაშიშველებულ, ცარიელ მინდვრებს
 ესურა თოვლის ცივი ხაზანა.
 „გვშია“ — ჩითდნენ ხასლში ბავშვები,
 ჩაფრენილები დედის კალთაზე.

„პური, დედილო!“ — მათი თვალები
 აფხილი იყო უხმო მუდარით.
 მაგრამ გაფხეკილ,
 ცარიელ ვარცლში
 თავვიც კი აღარ აფხაკუნებდა...



ეროვნული

საქმიანობის ცენტრი

მე მქონდა ხორბლის თბილი მარცვალი
 და ამ იმედის მარცვალს უცდიდნენ:
 ჩატები—გარეთ
 ბავშვები—ხასლში.
 და სოროებში
 მოწრუწუნე გუნდი თავვების...
 სუყველა იმ ერთ მარცვალს უცდიდა:

მე მქონდა ხორბლის ციცქნა მარცვალი.
 ელოდა ისიც —
 მისი ლოდანი
 ყველაზე უფრო დიადი გახლდათ:
 იგი ელოდა
 ცხრა მთას იქიდან
 ხაგაზაფხულო დარების მოხვლას.

თარგმნა თედო ბაქიშვილმა



პიორგი ბესთაუთი

ს ი ც თ ც ხ ლ ე

ნართის ვორგალს მკავს სიცოცხლე ჩემი,
 დრო ქარივით რომ ავორებს მარად...
 დრო ქსოვს ყოველთვის დღეების ხელით
 ჩემი ხაზერის თოვლიან კარავს.

მაგრამ ეს გული ბრიალებს ცეცხლად
 და საუკუნედ მეხატვის წამი.
 ღმერთების ნაცვლად მომავალს შევთხოვ,
 გამისანგრძლივოს როგორმე უამი.

დროს ხმელ ფოთლებად დღეები მიაქვს
 და მკვდრის მზე ცისფერ მყინვართან ჩადის;

მაგრამ მე ახლა სიცოცხლე შეკვია
და უკვდავი ვარ სამღერის მადლით.

ნართის გორგალს ჰგავს სიცოცხლე ჩემი,
დრო მიაგორებს მიწაში ლაღად...
მაგრამ მიწაში სიცოცხლე მეღის,
რამეთუ ღერწმად ამოვალ სადღაც.



მდინარის პირას დავიწყებ თრთოლას,
შევუერთდები შრიადლით სერებს...
მერე უთუოდ მეცხვარე მოვა,
რომ საღამურად გამთაღოს მერე.

თარგმანა მირის ურცხიშვილმა



ნაზი ჯუსოითი

ეს ტაბილი მიწა

სიკვდილთან კამათს სახაცილოდ ჩავთვლიდა ერთობ,
მაწიერი ვარ და მაწისვან დამყვა სიწყნარე,
ერთს რამესა გთხოვ, დამავალე ერთი რამ, ღმერთო,
სანამ მოვეკედები, მანამ მომკალ და წამიყვანე.

მაგრამ იცოდე, იმ პარობით, და იმ იმედით,
იმ წელთა ხარჯზე, რომლის გამოც მზე დამავიწყდა,
თუ დედამიწას გაუჭირდა თუნდაც მცირედი,
წამოვდგე მკვდრეთით და გუშველო ჩემს დედამიწას.

თარგმანა ჯანსუღ ჩარკვიანმა



ახარი

ქართული გზარი

ღ ეპეშა მეტად უაზრო იყო: „ოქტაი მურადოვს მოვფრინავ ოცდაცხრაში 203 რეისით დამხვდი“. კიდევ კარგი, დეპეშა დედაჩემმა მიიღო და არა დამ, თორემ ვინ გადაურჩებოდა! „არა, მაინც ვის დასახვედრად მივდივარ?“ — ვფიქრობდი აეროტელეტის ავტობუსის სავარძელში მოკალათებული. ავტობუსი ჯერ ისევე მძინარე ქუჩებში მიჰქროდა. მთელეშარე ქალაქს გავყურებდი და ვერ მივმხვდარიყავი, ვინ უნდა ყოფილიყო ამ ანონიმური დეპეშის ავტორი. ფიქრებში გართულმა უცებ შევნიშნე, რომ ავტობუსი აეროპორტის ახალ შენობას მიუახლოვდა. მე, როგორც არქიტექტორს, ეს შენობა არასოდეს მომწონდა.

რამდენსამე წუთში უკვე ღია აივანზე ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი ტრაპზე ჩამომავალ მგზავრებს. ღმერთო ჩემო! შეუძლებელია!.. უმაღ ვიცანი, სანამ დიდ, შავ სათვალეს გაიკეთებდა.

— ოქტაი! — შესძახა, — რა კარგია, რომ დამხვდი, მე კა შეშინოდა, ვაითუ დეპეშა არ მიიღოს-მეთქი.

— ბარგი სადღაა?
 — ბარგი არა მაქვს, გენაცვალე, სასწრაფოდ სადმე დამმალე. მოდი ტაქსი დავიჭიროთ!

— ახლავე! ქალბატონი ყოვლისშემძლე მათიას ემალეება?

— ყველაფერს ტაქსში ავიხსნი. სწრაფად! ღმერთო ჩემო, არც კი მჭერა, ბაქოში რომ ვარ. შენ კი სულ არ გამოცვლილხარ...

უკვე ტაქსში ვისხედით. იგი ხარბად გაყურებდა უკან დარჩენილ აეროპორტის შენობას, გზას, ცაში ატყორცნილ ლამპიონებს.

— რა დიდებული აეროპორტია! ბეირუთისას წააგავს. როდის ააგეს?

— სამი წელიწადია. იქნებ მაღარხო...

— ჰო, ჰო, ნუ ჯავრობ. ღამის გავცივდე, ისე მიხარია შენი ნახვა. საშართლე გათხრა, ამისთვის ჩამოუფრინდი...

— საუცხოოა. მაგრამ შენი ჩამოსვლა ასე ვასაიდუმლოებელი რატომ არის?

— რად ვიკვირს? — გაიოცა მან და ჩურჩულით განაგრძო: — ქმრიანი ქალი პირველ სიყვარულთან შესახვედრად ჩამოვედი და კონსპირაციაც აღარ გინდა?

ესმერი ბავშვობის მეგობარი გახლდათ, მაგრამ ჩემი პირველი სიყვარული არასოდეს ყოფილა. ისე, თუნავ მომწონდა...

— იცი, ბულგარეთიდან ახლა-

ხან დაებრუნდით. ჯემალი ახლო აღმოსავლეთში გადმოჰყავთ...

ჯემალი მისი ქმარია, დიპლომატი. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობდა, ლამის საელჩოს მეორე მდივანიც კი იყო. გაცნობის პირველი დღიდანვე ავითვალწუნე, თუმცა უკანასკნელი ათიოდე წელიწადია ერთმანეთს აღარ შეეხვედრივართ.

— იცი, — დაიწყო ესმერმა და ის მღელვარება და აღგზნებული, ოდნავ ისტერიული ენთუზიაზმი ბაქოს მიწაზე ფეხის დადგმისას რომ ემჩნეოდა, სახიდან გრიმივით თანდათან სცილდებოდა და ნერვული შეფიქრებებით ეცვლებოდა. — გამოვიპარე, გესმის, გამოვეპარე ქმარს, მეგობრებს, წარმოვიდგენია, მკერავსაც კი, სწორედ დღეს გყავდი დაბარებული. თუმცა, სამუდამოდ კი არა, მხოლოდ ერთი დღით, საღამოს უკანვე გავფრინდები. შენთვის დაბადების დღის მოსალოცად ჩამოვედი, მაგრამ, ჩემი ნახვა, მგონი, არც კი გიხარია.

— სისულელეს ნუ ამბობ. მონებლული ვარ შენგან გაღებული მსხვერპლის სიღიადით, მით უმეტეს, რომ მოვლენებს წინ უსწრებ. ჩემი ამ ცოდვილ ქვეყნად მოვლენის ისტორიული დღე ხვალ არის.

— როგორ თუ ხვალ, დღეს ხომ ოცდაცხრაა?

— დიახ. მაგრამ მე ოცდაათ აბრაილს დავებადე. სწორედ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის წინა საღამოს.

— ცრუობ! ისე შემომიტია, წამით თვითონაც დავეჭვდი. — მშვენივრად მახსოვს, ოცდაცხრაში აღვნიშნავდით ხოლმე.

გამახსენდა, სკოლის დამთავრების წელიწადს მე და დედამ გადაწყვიტეთ ჩემი დაბადების დღე მა-

ბათს გადმოგვეტანა. მართლაც, მაშინ ის დღე ოცდაცხრა აბრაილს დავებებოდა. მთელი კლასი მწველი. ესმერი ჩვენთან სტუდენტად პირველად იყო და ის დღე მსწრაფად გავიგონებდა, რომ დრომ, ქვეყნებმა, უცხო სახეებმა, თარიღებმაც ვერ გადაავიწყვა; მთელი ჩემი არეული ცხოვრების მახილზე ის საღამო არც მე დამვიწყებია.

სწორედ იმ საღამოს შეიჭრა ნაწნავეები. მახსოვს, ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი, ბაბაევი, რომელიმე თეორემის ახსნისას უცბად შეჩერდებოდა და ომარ ხაიამის ან ფუხულის ბეითებს ჩაურთავდა ხოლმე. აღმოსავლური პოეზიის დიდი მოყვარული გახლდათ და ესმერის გრძელ ნაწნავეებს „შაბი-ელდას“ — წელიწადის ყველაზე გრძელ ღამეს, აღმოსავლურ პოეზიაში შავი თმის ტრადიციულ სინონიმს, უწოდებდა. საოცარი ადამიანი იყო, — ხან ჩაფიქრებული და კეთილი, ხანაც მკაცრი და ბობოქარი. საწყალი, ისე მშვიდად მოკვდა. ისე ჩუმად და შეუმჩნეველად, როგორც საათი ჩერდება ხოლმე.

ჯემალიც მასწავლებელი გახლდათ. სკოლაში მაშინ მოვიდა, მეათე კლასში რომ გადავედიო. ჩვენზე ათიოდე წლით უფროსი იყო, ინგლისურს გვასწავლიდა.

მიამბე, როგორ ცხოვრობ?

— სჯობს შენ მიამბო. ისევ მოგხალტობ?

— ჰო, — მომიგო ესმერმა. — უმთავრესად საზღვარგარეთ ვცხოვრობთ. მოსკოვშიც ვართ ხოლმე. სამოთახიანი ბინა გვაქვს, სანიტარული კვანძი, შავი კაფელი, ტელეფონი, ორ ნაბიჯზე მეტრო.

— რატომ ბრაზობ? რამე ხომ არ გაწყენინე?

— მაწყენინე და მეტი არა?

თავკუდმოგლეჯილი ჩამოვქანდი, რომ მომელოცა, ამას კი თავბირი ჩამოსტირის და, თურმე, დღეს მისი დაბადების დღე არც ყოფილა.

გამეცინა.

— შენი ჩამოსვლა ჩემთვის დღესასწაულია. მაგრამ რა ექნა, თუ დღეს კი არა, ხვალ დაეიბადე? შენი ჩამოსვლა ისეთი იდუმალეობით არის მოცული, რომ გეფიცები, რაიმეს კითხვა მრცხვენია.

— მაშ, მისმინე: ერთ-ერთი ატიშეს ცოლი დიდი ხანია მოხოვდა, შაბათ ღამით ზაგორსკის მონასტერში წამყვეოთ. უკანასკნელ წუთს ერთი დაქალი შევაჩერე, მე კი აქვთ მოვესვი.

— ასეთი იდუმალეობა რაღა საჭიროა?


— მე და ჯემალი დიდი ხანია დაპირებლით. ბაქოში ჩამოსვლას, აქ ბევრი ნათესავი გვეყავს. საჩუქრებიც მოვუშხადეთ, თორემ, ხომ იცო, რას იტყვიან: „მთელი ქვეყნიურება მოიარესო...“ და, უცბად, წარმოგიდგენია, აქ შენთან ერთად მნახონ!

ესმერი უცბად გაჩერდა და ბავშვივით დაუმატა:

— იცი, როგორ მომენატრა ჩვენი იჩერი-შეჭერი!

ოდესღაც ესმერი ბაქოს ერთ ძველ უბანში — ცახე-სიბაგრე იჩერი-შეჭერში ცხოვრობდა. ორსართულიანი დანგრეული სახლის კიბის ქვეშ ორი პატარა ოთახი ჰქონდათ. ერთი ოთახის სარკმლები ჭუჭყიან, ვიწრო ეზოში გადიოდა, მეორე ოთახი კი სულაც უსარკმლო იყო. იქ მომცროს ნათურის შუქზე გამოსცდებისათვის ვემზადებოდით, ზამთარში ნავთქურაზე ხელებს ვითბობდით ხოლმე. ესმერის დედა სულ იმას ანბობდა: ოჯახში კაცი რომ გვეყოლოდა, აქაც შეიძლებოდა სარკმლის გაჭრაო...

— ჯემალს რატომ არ უთხარი, არ გამოგიშვებდა?

— უცნაური შეკითხვაა. აღარ გახსოვს, როგორი იყო? ისეც ისეთია, არ შეცვლილს. 

ღიასაც მახსოვდა: „ჯემალმა სკოლის დამთავრებისთანავე დაბელგა ესმერი და ამხნაგებთან შეხვედრა ატყობდა. ჯერ კიდევ გაკვეთილებზე, თუ ესმერი გაიცინებდა ან გაგვეხუმრებოდა, ჯემალი მასწავლებელი ცერად გადმოგვხედავდა ხოლმე. ასაკის გამო ჩვენთან უცხოდ ჩანდა და, ეტყობა, ამას მტკივნეულად განიცდიდა. სხვათა შორის, გვიან მივხვდა.

ესმერი უცხო ენების ინსტიტუტში შევიდა, ჯემალიც იქ ასწავლიდა უკვე და ერთი წლის შემდეგ დაქორწინდნენ კიდევ. ერთხელ ესმერმა ყველას დაგვირეკა და შინ მიგვიბატიყა. მხოლოდ ზუსტად თორმეტ საათზე მოდიოთ, გაგვაფრთხილა.

ჩვენი გოგო-ბიჭები, სულ ახლახან ერთმანეთს თავში რომ ვუთაქვებდით, უკლებლივ მივედიოთ. ის უსიამო ვიზიტი ახლაც კარგად მახსოვს.

მეტისმეტად სუფთა, მოღური ავეჯით გამოვსებულ ბინაში აღმოვჩნდით და ესმერი ამ ფუფუნების დამატებას წააგაედა. დაბნეული, შეშინებული გვეჩვენა, უხერხულობისგან არ იცოდა რა ექნა. „ჯემალი ორ საათამდე ლექციაზეა, ჩვენს განკარგულებაში ორი საათია“, — გოთხრა მან და ყველამ ვიგრძენით უხერხულობა, უცხოობა, უფრო მეტად კი — თვითონ. მან გოგოებს ბინა დაათვალიერებინა, ბიჭებს გვესმოდა რაღაც უჯრების კრიალი, უცნაური მექანიზმებისა და ხელსაწყოების ყრუ ხმაური, საიდანღაც მხაპის ჩხრიალი... პირდაღებული

ვიდექით და ყოველგვარი სასმელი-
თა და უცხოური სიგარეტებით
დამძიმებულ სერვანტის თაროებს
ვათვალისწინებდით.

მერე ესმერმა მაგიდასთან მიგ-
ვიწვია. თვითონ კი სამზარეულოდან
ფერად ქალაქში გახვეული იაფ-
ფასიანი რვა ნაყინი გამოგვიტანა
(ანის გახსენებაზე ახლაც ბოლმა
მახრჩობს). ყველას თითო-თითო ჩა-
მოგვირიგა. ჩვენს მოსვლამდე ეყი-
და და მაცივარში შეენახა. ეს აყო
ყველაფერი, რითაც შეეძლო გაგვ-
მასპინძლებოდა.

და მაშინ პირველად მომეჩვენა
(სხვათა შორის, მხოლოდ მომეჩვენ-
ნა), რომ მიყვარდა და მომიწონდა იქა-
ურობისთვის მომეშორებინა, სადმე
წამეყვანა, თუმცა, თავადაც არ ვი-
ცოდი, სად? იქნებ ისევ იჩივი-
შეპერში!

შალე ისინი ბაჭოდან წავიდნენ...

— სხვა, როგორ ხარ? სამუშაო-
თი, ცხოვრებით, კმაყოფილი ხარ? —
მკითხა.

— საერთოდ, კმაყოფილი ვარ.
იცო, ასაკთან ერთად კაცი ფხიზლ-
დება, თავი კაცობრიობას გენიად
აღარ მივაჩნია და ეგუები, რომ
შენც ერთი მრავალთაგანი ხარ და
რაღაც მსუბუქად გრძნობ თავს.
ნერვიულობა, მოუხვეწრობა ქრება.

— შესანიშნავი ფილოსოფიაა.
ოდნავ რელიგიის სუნი გადაჰკრავს.
ზაგორსკში მე კი არა, შენ უნდა
წასულიყავი.

ეს უკვე რაღაც ახალია. აქამდე
მხოლოდ კონსერვატიზმსა და ცრუ-
ხოვიატობას, მოდერნიზმსა და
არქაიზმს, მოდის აყოლასა და ძველ-
მოდურობას ნწამებდნენ ხოლმე,
ჩემი ღვთისმოსაობა კი აზრადაც
არავის მოსვლია.

— ერთი ანას დამიხედეთ, პიკა-

სოსავით დიდი მოკამათე მხატვარი
არ ყოფილა?

— არა, ყველაფერი გაცილებით
უბრალოა. ნთელი ეს დავიღარაბა
ჩვენი სახელოსნოს მსახურებს არ
სცილდება. სულ რაღაც კაცი ვართ.

— რას აკეთებთ?

— ტაბურ რაიონულ სასტუმ-
როებს ვაპროექტებთ.

— ვაი, ოქტაიჯან, რომ იცოდე,
მე და ჯემალმა რა სასტუმროები
ვნახეთ, როგორ ოტელებში ვცხოვ-
რობდით ბულგარეთში! „ოქროს
ქვიშნარი“, „ნაღური ნაპირი“, —
ჰქუაზე შეიწლება კაცი! შენც რომ
გენახა! მე და ჯემალი...

„მე და ჯემალი“ ისე მომბეზრ-
და, რომ მგონი, ძალზე მკაცრად
შევაწვევტინე:

— ახლა მიბრძანე, რა ვქნათ?
გინდა ჩვენსა წავიდეთ?

— არა, არა, ხომ გითხარი: აქ
ინკოგნიტოდ ვარ. უბრალოდ, ქა-
ლაქში ვიხეტიალოთ. სადმე წაეი-
ხემსოთ, ღამით კი ვაფრინდები...
ბილეთი უკვე მაქვს. კარგი?

მთაზე გამენებულ პარკში ავიყ-
ვანე და სახაფხულო კაფეში ვისა-
უბმეთ. ქვევით ხელისგულივით
მოჩანდა ქალაქი — ლურჯი ზღვა და
დიდი თეთრი ხომალდი „ყირგიზე-
თი“. გემმა გამლალ ზღვაში გასე-
ლისას გაბმულად შეჰბღავლა და ეს
ხმა დინჯად, აურქარებლად გადაეგ-
ლო ქალაქს, ზღვას.

— იმ კუნძულს რა ჰქვია? —
ჰორიზონტისკენ გაიხედა ესმერმა.

— ნარგენი.

— ჰო, ჰო, გამახსენდა, ნარგენი.
ბავშვობისას ძალზე უცნაური და
იდუმალი მეჩვენებოდა. როგორ მიწ-
დოდა ერთხელ მაინც დამედგა იქ
ფეხი! კუნძულზე გადასვლა შეიძ-
ლება?

— როგორ არა. გინდა ზღვაზე

გავისეირნოთ. კუნძულზე არ გადავალთ, მაგრამ სულ ახლოდან გარეწებ.

— მაჩვენე რა, ძალიან გთხოვ!

— საღამთათვის გადავდოთ, უფრო რომანტიული იქნება. ახლა წავიდეთ, ან იქნებ, კიდევ რამე მოვატანინოთ?

— რას ანბობ! გასახდომად იმდენი დაეიდარაბა გადამხდა, რომ... მაგრამ, ახლა, მკონი ისე ვარ, როგორც უნდა ვაყო. შენ რას იტყვი?

— ნამდვილად ვგრეა.

— იოგების სისტემას მივღევდი.

„იოგების სისტემა“... ახლა ალაპარაკდება ფრანგულ ნოხებზე, კაფეებზე, ანტონიონის ფილმებზე, გალიჩის სიმღერებზე... ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ის ესმერია, მეშვიდენი საკლასო ჟურნალი რომ დაწეა. მასწავლებელმა ზუთოსანს სამიანი რათ დამიწერათ. პირველი სამიანი სიცოცხლეში.

— გახსოვს, ესმერ, ლიტერატურის მასწავლებელს რომ ვაბრაზებდით? ცეცხლფარეშის ამბავი გახსოვს?

ლიტერატურის მასწავლებელი არ გვიყვარდა. კლასში შემოვიდოდა და თუ არა, ფეხების ბრაგუნს ავტეხავდით ხოლმე. მასწავლებელს კი ვარწმუნებდით, ჩვენ კი არ ვხმაურობთ, სარდაფში ცეცხლფარეში მუშაობს-თქო. ვეღარ გაუძლო და სხვა ოთახში გადაგვიყვანა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი განმეორდა. „ეს რა ამბავია, ცეცხლფარეში უკან უავდევს?“ — გვკითხა საბრალო მასწავლებელმა და ყველანი ავხარხარდით.

— რომელი ცეცხლფარეში? — ვერ მახვდა ესმერი.

ალარ მსურდა გამეხსენებინა. როცა ასეთი თინები ავიწყლებათ,

შეხსენება უაზრობაა, უბრალოდ სისულელეა.

სანაპიროს გავყევით. ზღვისპირა ბულვარი ასეთ ღროს დედებისა და ზებიების სამფლობელოებს ეტლებათ დაასე...

— ისევ უცოლო ხარ? — უეცრად მკითხა.

ჩამეცინა და მხრები ავიჩეჩე.

— შენ რა, შინაყულა ღარჩი?

მეც სწორედ ამაზე ვფიქრობდი. უნებ ესმერი მართალიც იყო, მაგრამ კინალამ ეუამზე, მიისის ერთ მშვენიერ დილას, რომელიღაც სახლის წინ ცისფერი „მოსკვიჩი“ რომ დაჯანახე. უკანა სავარძელზე სავსელით გატენილი ბადურა იდო, მანქანასთან კი ბედნიერად, ზორბა, საზაფხულო სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი იდგა და გვერდს ნორჩი, სისხლბორღით სავსე ლამაზი ცოლი უმშვევებდა, კობტად ჩაცმული ბავშვებიც გარს ეხვივნენ, ეტყობა, ქალაქგარეთ მიდიოდნენ. ასეთი ბედნიერება მეც საოცრად მომწყურდა.

— იცი რა განსხვავებაა მოსკოვსა და ბაქოს შორის? — შემაწყვეტინა ფიქრი ესმერმა. — ბაქო ზღვას ეკვრის, ზღვაში მთავრდება, თავისი სახლების ანარეკლით შიგთავდაყირა ეშვება, მოსკოვი კი არ მთავრდება, უსასრულობაში იკარგება.

— მართალი ხარ... მოსკოვი ხშირად მესიხმრება. შუალამისას გამეღვიძება და უცბად მომინდება ყველაფერი მივატოვო და მაშინვე, იმავე წამს შენსავეით მოსკოვისკენ მოვუსვია.

— ეტყობა, აღამიანს, სადაც არ უნდა იყოს იგი, სხვაგან ყოფნა სწაღია.

— შესანიშნავი ფილოსოფიური აზრია, ღრმა და ზუსტი.

— ხუმრობას თავი დაანებე, იცოდე, მეწყინება... გყავს ვინმე? — უცბათ მკითხა ესმერმა. — რისი თქმაც მსურს, მგონი ხვდები...

— არა, — ვუპასუხე დაუფიქრებლად, თუმცა მინდოდა მეოქვა, „პო“-მეთქი.

სისულელე გამომივიდა და შევეცადე ხუმრობაში გამეტარებინა.

— ზოგჯერ „არას“ ვამბობ „პოს“ მაგიერ.

— ხდება ხოლმე, — მშვიდად მომიგო ესმერმა. — მე კი სიცოცხლეში ერთხელ ვთქვი „პო“, როცა „არა“ უნდა მეთქვა... მაგრამ ამას სულ სხვა რამეზე ვამბობ.

ციხე-სიმაგრისკენ წავედი.

— იჩერი-შეჭერს ანგრევენ. ძველ სახლებს იღებენ.

— რას ამბობ, ეს ხომ ფოლკლორია არქიტექტურაში იჩერი-შეჭერის აგებას საუკუნეები დასწირდა.

— გენაცვალე, არქიტექტორი ვარ და ვიცი. ხალხს ასეთ პირობებში ცხოვრება აღარ შეუძლია. ქოხმახები, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები, ანტისანიტარია...

— მესმის, მესმის! ხალხი ახალ ბინებში უნდა შეასახლონ.

— ქოხმახები დარჩეს? შესაძლებელია აზრია ქალაქის ცენტრში ვრცელი მკვდარი სივრცე — ასე ვთქვათ, ბავშვობის სენტიმენტალური მოგონებების ძეგლი.

— მოიცა, ოქტაი, მგონი, ეს შესახვევი ვიცანი. პო, რა თქმა უნდა, აჯერ, იქ ჩვენი სახლია.

— ეს უკვე აღარ არის. დაანგრის.

— როგორ თუ დაანგრის? საწყალ დედაჩემს ოდესღაც ახალ სახლში ბინას ჰპირდებოდნენ, მაგრამ, მეგონა, ჩვენი სახლი ხელუხლებელი დარჩებოდა.

მივედი ნანგრევებთან, რომელსაც დაცარიელებული კოსართულიანი სახლის სოკოები დათხრილი თვალბივით დაჰყურებდა.

— პო, აქ ~~მეც~~ ცხოვრობდა. — გაიხსენა ესმერმა, — ნოვრუზ ბაირამისთვის ტყბილ კვერებს რომ აცხოვდა, მისი სურნელი არ მაძინებდა ხოლმე. მთელ ღამეს აცხოვდა. ჩვენ კი დილაბდე ნერწყვს გულაპედით, თუმცა ვიცოდით, დილაადრიახ სადღესასწაულო ნობაას თვითონვე მოგვცემდა.

ესნერი თითქმის ყვარლით ლაზარავობდა, რადგან სამსართულიან სახლს შეჭადებული ბულდოზერის ხმური იქაურობას აყრუებდა. იქ, სადიც წინათ ვიწრო შუკები და მოპირდაპირე სახლების აივნები ვაგონის კუბის ზედა საწოლებივით ლამის ერთმანეთს ებჯინებოდნენ, ახლა ნანგრევები დახვავებულიყო — ყველგან ქვა-ლორღი ეყარა; შუა მოედანზე ბულდოზერი გუგუნებდა და რატომღაც თვალში მხვდებოდა მისი ნომერი: ბტ-44.

— იცი, იჩერი-შეჭერში ყველანი ისე ვცხოვრობდით, როგორც ერთ დიდ ბანაში. ერთმანეთისა ყველაფერი ვიცოდით. ერთის წუბილი ყველას წუბილი იყო. ერთს რომ წითელა შეეყრებოდა, მაშინვე ყველა ბავშვი მოიხდიდა; ყველაფერი სავროთო გვქონდა: სუნი, უთანხმოება, ქორა, ქორწილი, ქალები და ბედიც, თუ გნებავს.

ყოველივე თვითონაც მშვენივრად ვიცოდი. მეც ხომ აქ გავიზარდე, იჩერი-შეჭერში, ციხე-სიმაგრეში, ციხე-სიმაგრე... ახლანდელი სახლები უფროა ციხე-სიმაგრე. ყველა თავის ბანაშია გამოკეტილი და კიბეზე შემთხვევითი წუთიერი შეხვედრა ნეზობლურ დამოკიდებულებას არაფის ავალდებულებს.

ყველაფერ ამას რითი შეცვლით? ააგებთ კალოფებს, მინისა და ფოლადისაგან შექმნილ მოდერნს!

— ისტორიული 'ვენობაა' ეს არის სახლი, სადაც დავიბადე და გავიზარდე.

— მაგრამ, როგორც კი საშუალება მოგეცა, მიატოვე, — ვთქვი და უშალ ვინანე, რადგან ეს აკრძალული ილეთი იყო.

პასუხი არ გამცა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იქით, სადაც ოდესაც მათი სახლი იდგა და მომიბრუნდა.

— წავიდეთ.

დავინახე მიაი თვალები, ორი საათის წინ „ოქროს ნაპირის“ ოტელებსა და იოგების სისტემაზე საუბრისას აელვარებული და აღვზნებული თვალები, ახლა... მინდოდა რანეთი გამერთო და იჩერი-შეპეროა რეკონსტრუქციის პროექტზე ჩამოუყვდუ საუბარი. ესმერმა კა ორი წლის წინანდელი, ინგლისში ცხოვრების ამბები გაიხსენა, — იქაური ცა ისეთი დამაბლი და გახუნებულია, დასვრილი შპალური გეგმუნებათ.

დავაბიჯებდით ციხე-სიმაგრეში და თვალში გვხვდებოდა საუკუნოვან კედლებზე მიკრული ლითონის ფარნიშები ქუჩის სახელწოდებით, რომელიდაც კბალის ექიმის გვართ დამშვენებული აბრი, კინოფილმ „ადამიანი — ამფიბიას“ გადაღების მერე დარჩენილი სიგარეტ „ქემულას“ რეკლამა... იჩერი-შეპერის შარადიფლ ქვებთან ყოველივე უცხო, უხამსი და საჩოთირო იყო, როგორც, მაგალითად, ტუშით მოსვირანგებული ვენერა მილოხელი.

ციხე-სიმაგრიდან თითქმის ჩვენს სახლთან გავედით... ამ საღამოს, 29 აპრილს, ჩვენსა რომ შევიკრიბენით,

ესმერი მე გავაცილე. სხვა ბავშვებს ოდნავ ჩამოვრჩით. და სწორედ ამ შესაბევეში ფეხსადმელზე ქუსლი მოსძვრა. მაშინვე ტაქსის მოსაყვანად გავიქეცი და ჩქარს სანჯიქოეში ტაქსში პირველად ჩავჯექი.

დამშვიდობებისას ესმერმა მოულოდნელად მკითხა:

— მგონი რაღაცის თქმა გინდოდა, არა?

ასლაც, ალბათ, ჩვენი ფიქრები ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომაც ესმერის სიტყვები არ გამკვირვებია:

— გახსოვს, აქ ქუსლი რომ მომტყდა, როცა მაცილებდი, — და დანატა: — ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სულ სხვანაირად აწყობილიყო...

წარსულზე ღაპარაკი არ მსურდა და სიტყვა ბანზე ავუგდე:

— მოგშიველა?

— არა. ჯერ აღრეა, ხუთი საათისთვის...

— ახლა სამის ნახევარია. მაშასადამე, ორ საათს კიდევ უნდა ვიყურავუტოთ.

— არც ისე თავაზიანი ყოფილხარ.

— სიტყვებს ნუ გამოეკიდები. გინდა, კინოში წავიდეთ.

ჩემს საყვარელ „კინოქრონიკაში“ შევედით. აჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმს „იპონია ომებში“: კამიკაძე — სასიკვდილოდ განწირული მფრინავები გაფრენის წინ.

— რა საოცრად უღერს: „კამიკაძე“ — არა? შეხედე, მათ სახეებს. — ჩამჩურჩულა ესმერმა. — საოცრებაა! საინტერესოა, ეს კამიკაძეები რას გრძნობდნენ პაერში? უცბად რომ ვადაეფიქრებინათ?

პასუხი დიქტორმა გასცა:

— დედამიწასთან მათ აღარაფერი აკავშირებთ. უკან დასაბრუნებლად ბენზინს არ უსხამენ.

მარჯვენა ხელზე ესმერის თითების ნერვული ცახცახი ვიგრძენი, მერე მარჯვენა ლოყაზე მისი თმა შეშვებო; მარჯვენა მხარზე თავი ჩამომადო და მისი სუნამოს რაღაც წარმოუდგენელმა სურნელმა თავბრუს დამახვია. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ თავი შევიკავე. ფილმი დასრულდა. შუქი აინთო.

— ასეთი საშინელების ნახვის მერე კარგად უნდა ვისადილოთ, — უხრუნველად და მხიარულად წამოიძახა ესმერმა. — ვიღაცამ მათხრა, საოცარი სამწვადე გახსნესო.

ხალხით გაჭვდილ სამწვადეში ესმერი უმშვენიერესი სქესის ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ექსტრავეგანტური შესახველაობა საერთო ყურადღებას იბყრობდა. შეზარხოშებული კაცები უცერემონიოდ გვიჭვრეტდნენ. უახროს ხითხითი და შორისდებულები იმას მოასწავებდა, რომ მალე მკვეთრად გამოსახულ ფორმულირებებზე გადავიდოდნენ და მწარედ ვინანე, აჭ რომ მოვიყვანე. მაგრამ დახლთან მდგომმა მებუფეტემ (ოფიციალური სტატიით ერთდროულად მებანდურეც რომ იყო) ვითარებას აღლო დროზე აულო და სარკმელთან გადაგვსვა. ზურგით ზღვისკენ დავჯექი, ესმერი კი ჩემ პირდაპირ დაჯდა და გაპყურებდა კუნძულ ნარგენს, პორიზონტზე შავად რომ მოჩანდა.

— რა დავლიოთ?

— შამპანური, — მომიგო ესმერმა. — ვიცი საშინელი პროცინციალიზმია, მწვადზე შამპანურის დაყოლება, მაგრამ რა ვქნა! გახსოვს ის საღამო, თქვენსა...

ღიაბაც მახსოვდა, ყველაფერი მახსოვდა, იმ საღამოს მან სიცოცხლეში პირველად დალია შამპანური, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, მისი გულისამაჩუყებელი

მოგონებები უკვე მაღიზიანებდა. რა საჭირო იყო იმის გახსენება, რაც ცხოვრების დაუნდობელი ლოგიკით დავიწყებას უნდა მისცემოდა; რა საჭირო იყო იმის გახსენება, საყარიბოდ წარსულში დაბრუნება! ვგრძნობდი, ჩემს გულს კატები კაწრავდნენ და მოლოდინი გავყურებდი სარკმელს, რომლის მიღმაც სულ ჭკაფენილზე ღურსმნეზივით დაერტოთ სწორა ხეები.

— სასაცილო შემთხვევა გამახსენდა, — წამოიწყო ესმერმა. — ერთ მნიშვნელოვან მეკლისზე ჯემალმა შამპანური გახსნა, საცობი პირდაპირ რომელიღაც ელჩის თეფშზე დაეცა ხმაურით. ენაღამ გრძნობა დავკარგე. ჯემალი გაფითრდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა: ელჩს იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა... — ესმერმა შამპანური მოსვა, — შენი სადღეგრძელო იყოს, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს.

— არა, მოიცა! პირველად შენი სადღეგრძელო უნდა შევსვათ. შენს შამოსვლას გაუმარჯოს!

პირველი ჭიქის დაღვევისთანავე მოხვდით: დღეს შამპანურზე უფრო მაგარი სასმელი უნდა დამელია.

— წინააღმდეგი თუ არ იქნები, ჩემთვის არაყს მოგიტანინებ.

ჭიქა ერთბაშად გამოვეცალე და ვიგრძენი, ყველა წვრილმანი, ყველა საგანი თანდათან გაქრა, გაბუნდოვნდა... როგორც კი დავლევი, უმაღლ მოსკოვში აღმოვჩნდები — უმატარებლოდ, უთვითმფრინავოდ, უფაულოდ, უბილეთოდ... და დოროგამილოვის სანაპიროზე იასამანი ჰყვავის, იქვე არიან მეგობრები და ჭვეყნად უამრავი სიმშვენიერეა: საღამოს რადიოქორო და ძველებური ხალხური სიმღერა „ქუჩელერე სუ სეფიშემ“, „მოსკოვური მა-

ისა“, ქალის გრილი თითები, საქართველო, ლამპიონებით გაჩირადდნებული ხარების ეგება თეთრი ტაძარი, ზღვა, ადრიანი გაზაფხულის სურნელი, მოვარიანი ღამე ზუგულნეში და წვიმა ასხუის უღელტეხილზე და იჩერი-მეჭერის მარადიული ქვები, რომლებსაც ბულდოზერი ძვრასაც ვერ უზამს...

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი იჩერი-მეჭერში ნივედით და ძველი აბანოს ნგრევის მოწმე გავხდით. დაუდევრობის გამო ვიღაცას დაეიწყუნოდა მიემაგრებინათ ფირნიში: „არქიტექტურის ძეგლი. დაცულია კანონით“. თავზეხელაღებული მე-ბულდოზერე ღიღინით ანგრევდა ამ საბრალო, თითქმის მოთამთალებულ ნაგებობას. ყვირილი ავტეხეთ, მაგრამ გაგონებაც არ სურდა: მიბრძანეს და ვანგრევო. მაშინ ჩემი მეგობარი გაიქცა და სადღაც დარეკა, მე კი ბულდოზერის არნაღზე ჩამოვგვექი: ერთი გაბედე და აქედან ამაგდე-მეთქი. ასე გადავარჩინეთ ის აბანო.

— მოდი დავლიოთ, იცი რას გაუმარჯოს? მოსკოვიდან შენს ჩამოფრენას! შენ და ჯემალმა თითქმის მთელი სამყარო ნთიარეთ, მაგრამ ყველაზე კარგი მოგზაურობა ბოთლის ყელიდან დაწყება და მის ფსკერზე დამთავრებაა. აი, მეც მიინდა ამ მოგზაურობის სადღეგრძელო დავლიო!

პირველში ენამჭევრობის ნიაღვარმა გამიტაცა და ავლაპარაკდი, ვეუზნებოდი, ვერასოდეს გამიგებ-მეთქი, ვინაიდან ვერავენ გაუგებს სხვას ბოლომდე, რომ ყოველი ადამიანის არსი თვითონ მასშია ჩაკეტილი, როგორც ცეცხლგამძლე კარადაში და სხვა ვერავენ გააღებს, რადგან ორი ერთნაირი გასაღები არ არსებობს, თუმცა მაინც შეიძლება

გაღება-მეთქი. ღმერთო ჩემო, რას აღარ ვცბედობდი! უცბათ შევამჩნიე, აღარ მისმენდა და სადღაც განზე იყურებოდა.

— სად იყურებოდა? — გკითხე. — გკითხე მკაცრად.

— აგერ იქ, სარკე ჰკილია. მიინდა და დავრწმუნდე, მართლა ასე ძალიან ვგავარ ცეცხლგამძლე კარადას?

ზღვისკენ გავწიეთ და თბომავალზე ორი ბილეთი ავიღე. ნიაგი ლამაზად დაწყობილ თმას უწეწავდა. ესმერი ვარცხნილობის გადასარჩენად ორივე ხელით თავსაუარს იხვევდა. მხრებზე ხელი მოვხევეთბომავალი გაჩირადდნებულ ქალაქს შორდებოდა და სიბნელით დამძიმებულ ზღვაში ინთქმებოდა. გაქრა სატელევიზიო კოშკის კონტურები და მისი წითელი ფარნები ცაზე დაღებივით მოჩანდა.

ესმერმა სახეზე თავსაუარო აიდარა, მარტო შუბლი და თვალები უჩანდა. რა მშვენიერი იყო ის თვალუბის ავდექი და თავსაუარო შუბლსა და თვალეებზე ჩამოვუწიე. აბლა მარტო ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი მოუჩანდა, რა საოცრად ლამაზი იყო!

თბომავალმა გაბნულად შებღავლა და უკან გამობრუნდა; ესმერის გრილ ხელს მივეალერსე.

— ხუთი თითი გაქვს, ჩემო მზეო!

— ექვსთითა რომ არა ვარ, გოცვირს?

ბოლოს თავსაუარო მოვაპრე, დიდხანს ვკოცნიდი სახეზე, ტუჩებში და მისი ჩურჩული მესმოდა:

— ხომ გაგაბი...

როცა ესმერი სხვა ქვეყნებში შებგდრილ ემიგრანტებზე მაყვებოდა, თვით შეძლებულთა თვალეებშიაც კი დაუფარავ ნალველს ვხედავდიო, ამბობდა. ამ დროს უნე-

ბურად გავიფიქრე, იქნებ ჩვენც ბავშვობის ქვეყნიდან მოწიფულთა ქვეყანაში გადმოხვეწილი ემიგრანტები ვართ, რომელთაც უკან დაბრუნების უფლება სამუდამოდ გვაქვს წართმეული.

ნაშ ასე, ჯერ ასტრახანში დაჯდებით, დილით უკვე მოსკოვში ვიქნებით, მაგრამ მწყინს, შენი დაბადების დღეს რომ ვერ დავესწრები. იცი რა, სანამ მოსკოვში ვართ, ჩამოდრ, მე და ჯემალა ძალიან გაგყვხარდება.

გვლავ „მე და ჯემალი“!

— ნახე, ჯემალს რა კარიერა შეუქმნია! დიპლომატთა წვეულებებზე მამპანურის ბოთლებს ხსნი! ამას ყველა როდი ახერხებს.

— ნუ ხარ უკუღმართო, — შიტხრა ესმერმა. — ის...

— ვიცი, მას ყველაფერი გამოსდის ხელიდან. მგონი ტაბუკოზაში ხარაზობდა!

— ნუ სულელობ! — შემომიტია ვაფითრებულმა. — დიას, ტაბუკოზაში ხარაზობით დიდ ოჯახს არჩენდა, ამიტომ დასცილნი?

შემრცხვა, გაურენამდე ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა. მინდოდა, ამ დროს სწრაფად გაერბინა. ჩასხდობა როცა გამოაცხადეს, შვებით ამოვიხუნტე.

— ყველაფერი კარგად იქნება!

ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. ტრაპის ბოლო საფეხურიდან მო-

იხვდა, ხელი დამიქნია და თვითმყრინავში გაუჩინაოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ცაში სამწერტილად იქცა: ორ წუთს მწვანე წერტილად. ბიზ...
*ბიზ...
ბიზ...
ბიზ...*

და უკვე ოცი წუთის მერე დაღვა ოცდაათი აპრილი და მეც მთელი წელიწადი მომემატა. შევუერთდი ღამის ქალაქს და მისი განათებული ვიტრინები ყინულივით ცივი მეჩვენებოდა. მაგრამ აუღვსე საოცარი შვების, რაღაც ბუნდოვანი სიხარულის, რაღაცისაგან განთავისუფლების უდიდესი გრძნობით და ვფიქრობდი სამუშაოზე: ხვალ, არა, დღესვე მივუჯდები მაგიდას, დიდ თეთრ პლახშეტს. რა საოცარი სურნელი აქვს ტუშს, როგორი დახვეწილი ფორმა — ღამაზად გათლილ ფანქრებს. და საერთოდ, რა განსაცვიფრებელი ბუნდოვანება ამქვეყნად მუშაობა. და რა უბედურებაა თუ ამას არ ვანიცდი.

მიახლოვდებოდა ვეებერთელა ქალიქი — ჩემი სამუშაო.

... ჩემი დის წყრილა სმამ გამომაღვიძა:

— გილოცავ, გილოცავ! გაიზარდე დიდი, ჭკვიანი ბიჭი! ნუ გააჯაყრებ შენს ერთადერთ დაიკოს! — დიხარა და შაკოცა. — დეპეშა მოგივიდა, წარმოგიდგენია, ასტრახანიდან! ედიაც ქართველი გილოცავს.

ფურცელი გამოვგლიჯე. ზედ საში სიტყვა ეწერა: „გილოცავ გოცნი კამიკაძე“.

ასერბაიჯანულიდან თარგმნეს ლეილა მრავამ და დიმიტრი გულისაშვილმა



სამედ ვურლუნი



პოეტი, რა აღმა მოხუცდი და მოტყდი, პოეტო! **ეროვნული
ბიბლიოთეკა**

პოეტი, რა ჩქარა მოხუცდი და მოტყდი, პოეტო! —
გულს რა ისეთი დამბუგველი აღა მოედო,
სულს რა ისეთი დამღუბველი ხანძარი დაგავს, —
მაგ მხრებით ასე უსამწყვლო რა ტვირთი დაგაქვს!..
ყინვა გააღლო ხვეათა სულმა შენმა პანგებმა,
ცეცხლად ანთისარ, — შენს თმებმა კი ცეცხლი არ ღნება...
შენს ნათულ დღეებს რა მწუხარე დღენა მოელტყო, —
პოეტი, რა უცებ მოხუცდი და მოტყდი, პოეტო!..

გუშინ გოგონამ თაიგული მოგართვა რიდით,
შენ მოვეგებე ნაძალადეგ დიძილის მხენი;
გუშინ გოგონამ ყვავილები მოგართვა რიდით, —
შენ იმ გოგონას ბოლო წიგნი არუქე შენი...
იდგა მღაძარა, ვიჟა ვარდი, ედემში რგული, —
გულზე ქალიშვილს ხანწალულის ცეცხლი მოუნთო, —
შენ წაიკაიასხე მის თვალებმა უხიტყვოდ თქმული:
„პოეტი, რა ძალე მოხუცდი და მოტყდი, პოეტო!..“

გახსოვს? — ფეხდაფეხ ეწეოდა ჯიბვებს და არჩევებს, —
მდინარე — შენთვის დელე იყო, მთა იყო — კორდა,
ხეგბუგებში და ზრწისებში ქარივით პქროდი,
დაემწვიდობე ამ ხელობას, — ხევმა არ ჩარჩე!..
მუხლი—შკლის გქონდა, თვალს—ქორის, — იყო დრო ვრთი, —
აღარ წახვიდე ხანადართოდ, იწაშე დმერთი! —
შენს თოფ-იარაღს ეანგი ჭამს და თბი მოედო, —
პოეტი, რა ჩქარა მოხუცდი და მოტყდი, პოეტო!..

სიცოცხლე შენი არ ჩავლაღა ფუჭად და უქმად, —
მტერთან მტრობდი და მოყვარესთან მოყვრობდა მუღამ;
რაც სულს ახარებს, და ასიც კი, რაც ხწევს და თუთქავს —
შენ ყველაფერი, ყველაფერი მიგქონდა გულთან!..
ერთი ცრუკაცი ხისხლს გიძრობდა ცრუფიცით დიდხანს,
ცდილობდა: შენთან მეგობრობით ხელი მოეთბო...
ყალბა წუხილით, — გახსოვს? — ერთხელ ქუჩაში გითხრა:
„ხომ არ ხუცდები... ფერიც არ გაქვს, ძმაო პოეტო!..“

ო, თავო ჩემო! — ერთგულის და მოყვარის გესმის:
დრო გიდგას ხიტყვის მწიფობისა და სულის სიბრძნის...

და... არც ის ქალი, — სიცოცხლეს რომ გერჩივნა შენსას!
 და... არც სამშობლო, — რომლის შვილიც იყავი ლუიციის
 შენი ეს ორი სალიცავა, ეს ორი ხატი, —
 აძეღის ორი ვარსკვლავით ვიდ ამოენთო ქრწუნული
 შენ არახოდეს არ გეტყვიან, — დაფურფლილს ქალთვეს
 „პოი, რა ჩქარა მოხუცდა და მოტყდა, მოეტოს.“

თარგმნა გივი კნაქაძე



რასულ რზა

წვეთები

წვეთწვეთობით — წესმა.
 წვეთწვეთობით — ცრემლი.
 წვეთწვეთობით ცვარი
 ამწვანებულ მინდვრად.
 წვეთწვეთობით — ბელელა
 იაესება ჭვავით.
 წვეთწვეთობით — იზრდება
 საფიქრალა ჩვენი.
 წვეთი ცივი წყალის
 ხახვამშრალისთვის —
 ყველა მოწყალემაზე არის უძვირფასესი.
 ერთადერთი წვეთი
 უხსენებლას შხამის —
 საიმქვეყნო გზებასთვის ხაკმარისი არის.
 ნაპერწკალის ფრთა და
 ერთადერთი წვეთი
 უზარმაზარ ტყესაც წაუკიდებს ხანძარს.
 წვეთწვეთობით — სიცოცხლე
 რტოთა მწვანე ძირღვებში
 უხასრულოდ მოჩქეფს.
 ვისაც ამ ქვეყანაზე
 წვეთისხელა გული აქვს, —
 წვეთისხელა სიტყვებით
 აფეთქებენ გულებს.

ახერხაიჯანულიდან თარგმნა ავთანდილ ბურბუნიძე

ფიქრეთ სალიპი

ფორსჟანო



1.

როგორც ყველა მხატვარს,
 ზეცას ხატვა უყვარდა,
 იჯდა მიწურ კართან,
 ანდა ღვინის დუქანთან...
 ზეცა ერთი უყვარდა, —
 შექხაროდა ქართულს,
 ღვინოდ ერთი უყვარდა,
 მეწამული ფერის,
 სვამდა მხოლოდ კახურს.

2.

და პირველი პორტრეტი, ისე ჰგავდა ადრესატს, ისე ჰგავდა ნამდვილს,
 როგორც გუშინდელი და დღევანდელი დარდი.
 დღემდე ყველა გონჯს და მახანჯს სძულს სარკე და დაფშვნას უნდა,
 ნამსხვრევებში ხახუ მაინც არეკლილა რჩება მუდამ.

3.

იყო, არა იყო რა, იყო ვლესი ერთი,
 ვაყიშვილი ებოძა შეწყენითა ღმერთის.
 მეშვიდე დღეს ყმაწვილმა წამოსწია თავი,
 მზეს შებედა შეხედვა, ზე ალაპერო მკლავი.
 მზისგან რაღაც მოღვენთავს, დედის რძეა ალბათ,
 ბიჭი რძეს ეწაფება, თავს არა ხრის დაბლა.

4.

ჩვენში ერთი მხატვარია, ცხოვრობს შეხამურად,
 ხახლ-კარიც აქვს, დედ-მამაც ჰყავს, დარდი არ აქვს ხულაც.
 აქვს სახელიც, აქვს დიდებაც, უცხოური ფუნჯიც,
 მაგრამ ნახატს ვერ უმშვენებს ცის ტატნობი ღურჯი.
 უხახლკარო ფიროსმანი საუბრობდა ღმერთთან,
 მტკვრის წყალს მუდამ უმაძლოდა ხიხახხასეს ფერთა.

5.



ერთხელაც ბნელი სარდაფი ათინათინდა უცებ,
 ფიროსმანს ხუნთქვა შეეკრა, გულიც ძალუძად უგვესუნული
 არც ღამემ რამე იცოდა, არც მეუზოვემ აღბათი უგულიყოთა
 მზე კიბით ჩამოდათდა და უჯდებოდა ტაბლას.
 გაძოფენაა ნამდვილა, მხატვრის უტყუარ ნიჭის,
 ნიკალს ნახელავია, სუ შეგაწუხებთ იჭვი.
 ნატურმორტები ჩამდგარან ჯარისკაცების დარად,
 იქ თავადები მარანში ყანწებათ ხელში დგანან.
 აქეთ რთველია კახეთში; შავა ზღვა მოჩანს ლურჯად;
 ირემსა მთასა შეყვარალსა თავი უჭირავს ურჩად;
 აქ გაუმართავთ ნადიში, ძარს გაუმლიათ სუფრის;
 იქ მხარითქობზე ნებოურობს ორთაჭაღელა ტურფის;

6.

ეს სარდაფის კედლები რამ შეაძვო ახე,
 საშთსხეს ჰგავს მიწური ნახატებით სავსე?
 და რაძდეხი სინათლედ მის ცხოვრებას აკლდა,
 იმდენივე ხურათად ქცეულიყო ახლა.

7.

გრძელი, უძლური თითებით კედელს შეეხო ნელა,
 მაშინვე გაქრა სიზმარი, ნახატიც გაქრა ყველა.
 ფეხი მოერყა, მოინგრა ძველი, ნაცადი ტაბლა,
 ფიროსმანს იატაკისკენ თვალი გაექცა დაბლა.

8.

როგორც ყველა მხატვარს,
 ზეცის ხატვა უყვარდა,
 იჯდა მიწურ კართან,
 ანდა ღვინის დუქანთან...
 ზეცა ერთი უყვარდა, —
 შეჰსართდა ქართულს,
 ღვინოც ერთი უყვარდა,
 შეწამული ფერის,
 სვამდა მხოლოდ კახურს.



ალბირღას პოციუსი

ორი ახალგაზრდა და სამი ბერიკაცი

... თავდაპირველად მხოლოდ ერთი ახალგაზრდა იყო და სამივე ბერიკაცი. ახალგაზრდა საწერ მაგიდას უჯდა, ხელში ცისფერ ფანქარს ათამაშებდა, თვალს აფახულებდა და გაფაციცებული მისჩერებოდა, რას იტყოდა ყრუჩუნა მეწისქვილე დრუქტიანისი. მამულფალს თიხა არ დანანებოდა ხანმოკლეული შეწისქვილის გამოსაძერწად. დიდი ცხვირი ჰქონდა, გაჩახული უღვაში, მხრები მოშვეებოდა და ხელები ფუთიან ჩაშაფებულ ნაჯახს მიუგავდა. ჭირდა მასთან ლაპარაკი, ან პირი უნდა მოგეხია, ანდა შიგ ყურში უნდა ჩაგეძახა სათქმელი.

— შენა ხარ აქ ხელისუფლება და შენვე მოუარე. — დაიბუბუნა დრუქტიანისმა. — წაღებით რომ წაიღეთ წისქვილი, მოვლაც უნდა შეგეძლოთ. აი ნახავთ, მალე ხელის დოღაბები გავიხდებით საძებარი.

ახალგაზრდა გლებკაცი, სულ ახლახანს რომ აირჩიეს სოფსაბჭოს თავმჯდომარედ, მაგიდაზე გადაიჩარა და წამოიძახა:

— ხვალვე წავალ შესამოწმებლად! ნუ გეშინია, წისქვილს წასაქცევი არაფერი სჭირს!

— ეჰ, შე რომ მენუშავა, ერთ ას წელიწადს წისქვილს არაფერი გაუჭირდებოდა, ახლა კი, სადაც თითს დაადებ, ყველგან ჭუჭრუტანია, — გაბრაზებით ჩაიბურტყუნა დრუქტიანისმა.

საუბარში კართან მიმჯდარი მეორე ბერიკაცი ჩაერია. იგი ახალგაზრდა თავმჯდომარის რუტკუსის მამა იყო. არა, საქმე არაფერი ჰქონია, ისე შემოიარა აქ, წვილს დაეხედავთ. ეამაყებოდა ბერიკაცს, მისი გვარი და გუჯაბი ყველაზე დიდი კაცი რომ იყო მთელს ოლქში.

— აბა, რაღბსა ბრუნდავ, მეზობელო! — უსაყვედურა ბებერმა რუტკუსმა, — რა წისქვილიც დატოვე, ის არა დგას? განა ამ ერთ წელიწადში ყანდი გაუჩინდებოდა?

დრუქტიანისს ალბათ რაღაცა ჩასწვდა ყურში და მისკენ მიტრიალდა. მეწისქვილემ სიტყვები ვერ გაარჩია, მაგრამ ბერიკაცის თვლებში წაიკითხა, სასიკეთოს არაფერს იტყოდაო. დრუქტიანისი უფრო მოიჭრუნა.

— ამის შემდეგ მოდიან და თავს კიდევ ღარიბ-ღატაკთა დამცველებად

ასაღებენ! — წაიბუტბუტა მან. — აი, როცა ყველას გააღარიბებთ, დატაკთა ნამდვილი ხელია უღლებად ნაშინ დადგება. უკვე ჩამს, ასეც მოხდება.

— ვინც ღვეხელს მიიტოშეგდა, ახლა წავი პური ლოღობს, — ხმა გაიღო მესამე გაღეულმა და უღვაშა ბერეკაცმა, ფოსტალიონმა, რომელსაც საოღო საბჭოში ერთი დასტა ქალაღი მოეტანა და აქვე დარჩენილს მწვანებს გა-ვიგებო.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში წაშხანამდგმარული უნაწვილი კაცი შევარდა. მწვანე კუბოკრული ხალათი ეცვა, ლურჯი, შინწეული თვალები ბერეკაცებს მოავლო და მერე ახალგაზრდა რუტკუსს მიაჩერდა. ახლა ოთახში ყველანი იყვნენ: ორი ახალგაზრდა და სამი ბერეკაცი.

არავის გაკვირებია, მწვანეხალათიანი ხელში წაშხანა რომ ეჭირა (ომის შემდგომი წლები იყო და ქალაქიდან ჩამოსულებს უმეტესობას იარაღი ჰქონდა). არც მოსულის შამჩანდგარ, მოუსგენარ თვალებსა და არც ფერგამკრთალ სახეს გაუკვირებია ვინმე. ტყეს რომ გამოიღლი კაცი, შეგეშინდება, აბა, რა იქნება!

— რომელია 'მოუსაბჭოს თავმჯდომარე? — ზრდილობიანად იკითხა მან ისე, რომ ახალგაზრდა რუტკუსისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რა ვნებავთ? — შშვილად ჰკითხა მაგოდასთან მჯდომარემ.

ბერეკაცები უსიტყვოდ მისჩერებოდნენ მწვანეხალათიანს, ნეტა რად მოსულაო.

— ახალი თავმჯდომარე მინდა.

— ნე ვარ, — უბასუხა ახალგაზრდა თავმჯდომარენი.

მწვანეხალათიანმა წაშხანა შეშართა.

— კომუნისტებთან თანამშრომლობისათვის საყვედილა მოგესაჯა.

წამში გავარდა თოფი და ოთახში დგნთის სუნი დადგა. ორ ბერეკაცს კინაღამ ყურთასმენა წაართვა თოფის გრიალმა, მესამემ კი სუნით უფრო იგრძნო, წაშხანა გავარდაო.

ღონზე მოსულმა ბებერმა რუტკუსმა მაგიდას გახედა: შვილს თავი უღონოდ ჩამოვარდნოდა მკერდზე და აუთარი ქალაღი, რაზეც ხელები ეწყო, ნეწამული მელნით იღებებოდა.

— მკვლელო! — არაადამიანურ ხმანე იყვირა რუტკუსმა, წამოხტა და მწვანეხალათიანის წაშხანას ჩააფრინდა. ახალგაზრდას ცალი ხელი უკვე კარის სახელურისათვის ჩაეგლო და გაქცევას აპირებდა. კარი გააღო, მაგრამ წასვლამდე წაშხანა უნდა წაერთმია მოსულისთვის. ოპ, შე ბებერო გოფაკო, მაინც რა ძალა გატიღლია ასეთი. ხელებდაბრღეული ბერეკაცი მარწუნებინეთ ჩასჭიდებოდა წაშხანას და ისე გამეტებით ეწეოდა, რომ ახალგაზრდას ზეითქი გადაუვიდა. პირმოკუმულები და ახენეშებულები ისე გაჯგურობდნენ ოთახში, თითქოს ერთშანეტზე ნაუყრაფოთ. მოსუტმა უცვზ სკამს ფეხი წამოსდო, წაიფორხალა, მაგრამ უნალ წამოხტა. გავეშებული იბრძოდა და თან სახეში შესტქეროდა მკვლელს, კბილები ღრძილებამდე რომ დაეკრიტა. საკუთარი თავისა სულაც არ ეღარდებოდა, მხოლოდ ერთი აზრი ამოძრავებდა, შური ებია შვილის უღუთო საყვედილისათვის. პო, იგა ბებერად ხნოვანი იყო ამ მწვანეხალათიან უნაწვილთან შედარებით, და, აღბათ, არც იმდენი ძალა მოსდევდა, მაგრამ ანტანობაში ვაგლანად ვერაფერ დასჯაბნიდა. როცა მთელი

ცხოვრება ხელში გუთან და ფიწალა გიჭირავს, კუნთები ღვედვილით გიმაგრდება: ძალიან ვერ გადაღრღნის!

ერთ წამს ახალგაზრდას მოეჩვენა, გათავდა, მოვერიე, ერთი გაწევა და ამ გადაღრღნებულ ბებერს იარს დავანარცხებო, პერიკაცმა წაბოროტია, ფეხები გაებლანდა, საბერველივით დაეებრა მკვრდი; წამიც და... მარქნენშლი

მაგრამ მწვანეხალათიანი ვადამწყვეტ შეტევას ვერ შეძლდა. აკოტობდა იმ ორი პერიკაცის მხერა, ენახაგდებელი რომ მიკუნჭულაყვნენ ოთახის სხვადასხვა კუთხეში. ერთიც უნახოთ და აღგეს რომელღამე, დამკრას თავში და გამათავოს, ანდა ვინ იცის, იქნება ქალაქიდან შემოგხეტოს ვინმე!.. ამ ფიქრმა ხელ-ფეხი შეუკრა მწვანეხალათიანს, შიში ეძალებოდა ყოველ გახმაურებაზე.

ფოსტალიონმა ვერ გაქცევა დააპირა, მაგრამ მერე ჰკუთას მოუხმო: ამ ვაქბატონს ეხოში, ალბათ, თავისიანები ელოდებიან, სჯობს ისევ ამ კუთხეში მივიყუეთ და ვნახო, ეს შენლა-შემოხლა რით დამთავრდებაო. ებრალებოდა რუტკუსი, კარგა კაცია; უბოროტო, ნეზობლობასიც გამოორჩეული; უნდა დაეხმარებოდით; ორივე რომ მოვეჭილოთ შაშხანას, მწვანეხალათიანი ვერ გაუძლებს და გაიქცევაო, მაგრამ მეტე?.. მერე დაღამებულში დამეცვნიან ტყვედ გავარდნილება და კალიასავით ამომიყუარვენ ოჯახს. ფოსტალიონს თვალწინ წარმოუდგა სისხლით მოახვრილ იატაკზე გამოტილილი ცოლ-მვილი. არა, ამ საქმეში ცბეარს ვერ ჩაპყოფს. ღვთის შეწყვეთ, რუტკუსი თვითონვე მოუვლის თავის თავს.

მეწისქვილე ღრუჭტიანისმა აკამი ეუღელთან მიიბოჩა. ორთაბრძოლას ისე გულმწვიდად უხურობდა, თითქოს ორი ვირგლა ერთმანეთს დაეჯაჯგურაო ხუმრობით. რუტკუსს ღრუჭტიანისი არათრისდიდებოთ არ ამოუდგებოდა გვერდში, სძულდა წითლების მონძრეები. ნეტა ყველა ჩაძაღვლებოდა, მაშინ იქნებ კვლავ დაბრუნოს წაქევილო, მწვანეხალათიანისგანაც შორს უნდა ეჭიროს თავი. აი, იმ კუთხიდან იყურება შიშისგან შორვალისხვრილი ფოსტალიონია... ეშმაკმა უწყის, ეგებ სოფელელთაგანი ვინმე შემოგხეტოს შემთავევით და მთავრობას აცნობოს. „რა მეჩქარება, ვნახოთ რით დამთავრდება ყოველივე“.

ეხოს კარი ღია იყო, და ჩათხულის მხეზე მწვანედ დაღანებდა ბაღახი, მესრის ერთი კუთხე გადაფრდებულაყო. მწვანეხალათიანმა გაიფიქრა, ეხოში ბრძოლა გამიადვილებოთ, სწრაფად გამოვსტაცებ პერიკაცს შაშხანას და თავს ტყეში ვღუერთავო. გაიარცხებოდა უბოროლოდ რაშში დაბრუნება. ამა, ვინ იფიქრებდა, ეს გადაყრუებული ბებერი შებრძოლებას თუ გაუბედავდა? ეგ არც პერკუნასს მოსვლია აზრად, რთცა ახალბედას პირველ ნაბჯვილ დაევალებათ გზავნიდა. ის კი არადა, ასე უთხრა, ითლი გასეირნება გეღოსო.

შაშხანას ჩაჭიდებული ახალგაზრდა რუტკუსს ნელინელ ეხოში მიათრედა. ერთი ხანობა გაუძალიანდა პერიკაცი, მაგრამ მერე მიჰყვა, იმასაც ასე ეგონა, ეხოში შაშხანას აღვილად წავართმევო: მიწაზე კაცი უფრო მყარად დგას.

შაშხანას ჩაჭიდებული პერიკაცი და ახალგაზრდა მიწას დაენარცხნენ და უფრო გააფთრებით დაეჯაჯგურნენ ერთმანეთს. ორთავეს ჩაებლუჯა თთფი, სასიცვდილო მარყუჯით რომ გადაემა ანანი ერთმანეთზე, იბრძოდნენ მუხლეებით, იდაყვებით. მწვანეხალათიანს გაუჭირდა მეტისმეტად, რადგან იმ რისხვას ვერ გრძნობდა, რაც მთელი ცბოგრება ყელში ჰქონდა ამოსული მოხუცს. ეს კაცი არასოდეს შეხვედრია, არც თვალი მოუკრავს სადმე მასა ჰალარა ჯავ-

რით დაფარული სახისათვის. ახალგაზრდა უკვე ნახობდა, რაზნში რომ წაიტრაბახა, მარტო მივალ სოფელში და იმ სოფსაბჭოს ახალგაზრდა თბემჯდომორეს ვაჩვენებ სეირსო! თუმცა მაშინ ისეთი გამობრუნებული იყო, პერკუნასს მისი ტრაბახისათვის არც კი უნდა მიეჭვია ყურადღება. აბა, რას არ იტყვის მთვრალის ენა! მაგრამ პერკუნასმა განზრახ დაიჭირა სიტყვების მწიფე საბრძოლო ნათლობა იქნებაო, უთხრა და გამოუშვა.

ბერიკაცს შეება — კარგი ნათლობაა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. სადღაც ძაღლმა დაიყუდა; შიშმა აიტანა მწვანეხალათიანი, ვეღარ გაუძლო, შაშხანას ხელი უშვა და გაიქცა. მუხლები გვევთებოდა, ეცემოდა კოლბოხებზე. ნეტა მალე შერგავდეს თავს ტყეში. ბებურა რუტკუსი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს, გავიმარჯვეო. მძიმე-მძიმედ წამოდგა, თავი უბრუნოდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა; თითქოს ბურუსში ხედავდა, მწვანეხალათიანი მხრებში თავმარგული რომ გარბოდა ბორძიკით. ბერიკაცმა შაშხანა აღმართა, გაქცეულს დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. ახალგაზრდამ ხელები წე აღმართა, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და ბალახში ჩაენხო. რუტკუსი ერთხანს კიდევ გაჰყურებდა იმ მხარეს, სადაც აყვავებულ კარტოფილის ყანაში პირქვე დამხობილიყო ახალგაზრდა, იქნებ კიდევ წამოდგესო, მერე შაშხანა მოისროლა და მესურთან ჩაიყვდა.

ამასობაში სოფსაბჭოს ეზოში გაუბედავად გამოიძრწნენ ფოსტალიონი და მეწისქვილე და მღუმშარედ მიუახლოვდნენ ატირებულ, მხრებგათფლილსა და მთელი ტანით მოცახცახე მოხუცს. ახალგაზრდები აღარ იყვნენ, სამი ბერიკაციდა დარჩენილიყო.

თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ



ირენა განსინიაშსაკატიძე

ი ა ღ ო ნ ი

ქსენი-წინამძღვარს გალიაში თავისი იადონი ჩაესვა, გახეთი შემოეხვია და ისე მოჰქონდა. თარსაგი არ იყო ჩიტუნის თავს — მიკნაეებულს სამი დღე პირში არაფერი ჩაეშვა.

— მოიწვინა საწყალმა, ნახეთ, რა მოხუცულია... წავუყვანო უნდა...

რედამ რიღაცა კი ამოიზმულა და გალიას ქეშად გახედა.

— აბა, რა გაციხებო, ეს ხომ ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

წინამძღვარმა, მასწავლებელს იადონს დაეხანჯებო, გახეთის კიდევ გადაწია.

— ავი თვალის პატრონი ვარ, ვაითუ გავთვალო...

— ფერწალთან მიმყავს; იქნებ ჩიტებისა იცოდეს რამე. დღეს რაღაც უგუნებოდა გხედავთ, მეზობელო...



— თქვენ კა დღეს სასაცილო ზართ, წმინდა მამაო!

განა ბერიკაცის წყენინება უნდოდა ქალიშვილს, უბრალოდ, მინდოდა შეეფეთა და დაგესლა კიდევაც — გუნება ჰქონდა ამღვრეულს. უბრალოდ, გული გაუწყალა იმ ფერწალმა! დიდი ხანია უფრადღებას არ აქცევს იმ საცოდანო მკურნალს, იმ ქალების ნაქციურას, იგი კა მაინც არ იშლის და გუდს უქიციანებს. გუშინ საღამოსაც აღარ მოეშვა, სულ უკან დასდევდა და რაც წლინაბევრის წინ უთხრა, იმასვე უღირდიტებდა: უთქვენოდ ცხოვრება არ შემძლიაო. ღმერთო, რა ამაზრზენია! ისე, ეგ წინამძღვარიც კარგი ვინმეა, ენაზე მუდამ ის მეტიჩარა აკერია...

— მოკვდება იადონი, ტანი მიგრძნობს, და მეც უკან მივყვები. სიბერე მოგვერია ორივეს, აღარავის ვჭირდებით ერთმანეთის გარდა...

— ეგ ვერ მითხარით კარგი ამბავი, — უცებ ამოიხენწეა მართლაც შეწუნებულმა რედამ.

— რამე ხომ არ გიჭირთ, მეზობელო?

— ხვალ ვეტყვი.

ბერიკაცმა ფრატუნით გააგრძელა გზა, რედამ კი სკოლისკენ შეუხვია.

სტუმრები წერ კიდევ არ წასულიყვნენ. ავტობუსის ძრავა თუმცა უკვე ბუჭბუჭებდა, მაგრამ ფიზკულტურის მასწავლებელს შპოკასს სკოლის სასადილოდან, სადაც გუშინდამ რჯულზე მოიღებინეს, დოქათ ლუდი გამოეტანა, ტიქებს ავსებდა და თან წამღერებით აყოლებდა:

ოპო, ოპო, ო-პო-პო!

ვერ გადაერჩით უცოდვოდ!

სტუმართაგან ყველას ეამებოდა „ყელის გასველება, იქნებ გზაზე მტვერი აღარ ადგესო“. სკოლის დირექტორი ვინცენტას პაუკმტიალისი იქვე, ავტობუსის შორიანლო ტკეპნიდა მიწას, სულ მუდამ გალიგვებულ ხელებს ისრესდა და ისე ილიმებოდა, ლანის ბაგე-კილოები მოღრუცოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, აბუხბუხდა ავტობუსი, თიანოს ერთი წაიმუხლაო, სანამ ადგილს მოსხლტებოდა და... მშვიდობით, გვირფასებო, ავრე აღერსიანად რომ მიგვიღეთ და გემრიელად დაგვაპურეთ!.. თვალი აუჭრელა გამცილებლებს ავტობუსიდან გადმოყოფილი ხელების ქნევამ და ისე... ნახვამდის, მადლობელი ვართ თქვენი...

— წა-ვი-დ-ნენ... — დაამთქნარა შპოკასმა, ცხვირში ამოისრუტუნა, ტიქები ერთმანეთზე შეახობოლაგა და სკოლისკენ გაიქანა, — წავიდნენ და მოვერჩით დავიდარაბას...

ამდაგვარი გაცილებით შემცბარი დირექტორი უკმაყოფილოდ დაიცქერდა თავის გაღუმბულ საგარეო ფეხსაცმელს: „რაღა ეს ჩავიცვი“.

შორიანლო გაბრილებული თოვლის გუბეში ერთის ამბით დატლინკაობდა თექურებიანი პირველკლასელი. „არა, ფეხსაცმელი არ უნდა შეგენანოს კაცს!“ — გაიფიქრა დირექტორმა, მაგრამ მაინც უსაყვედურა მოსწავლეს.

როცა შემოტრიალდა, სკოლის ერთ ფანჯარაში რედას მოჰკრა თვალი. ამ-

დენი მასწავლებელი ქალა და ხუთუ ვერც ერთმა ვერ მოიკალა ავტობუს-
თან განოსულიყო? კველანი ქათმებივით ნაიშალნენ სადღაც... გაგიჭირდება,
აბა, რა იქნება, როცა სულ ორად-ორი კაკალი ნამაკაცია ამ საქმეში. დი-
რექტორის მწერას რომ წააწყდა, რედა იმწამსვე თვალს მიუღია; ახლოდ
ფანჯრის რაფებზე ჩამომსხდარი ბავშვები გასცქეროდნენ, შეძველულ ავტობუსს
და დღევანდელ ამალელებზელ შემთხვევაზე ლაპარაკობდნენ. თანდათან
ფანჯრები დაედოთ, ჰაერი გაიწმინდოსო, და ეზოდან პატარების ხმა ისმოდა.

— დილის ოთხ საათამდე მოუღებინეს, შპოკასს მოქნარება აუტყდა თურ-
მე...

— მაინც რამოდენა ხალხი მოგროვდა, პა! დედაჩემს სულ ის უკვირდა,
ამდენი მუცელქორი რანაირად დაეპურეთო.

— კოლმეურნეობამ ღობი რომ მოგვცა!

— ვითომ რადაო?

— რადაო და მიირთვითო. საპატივცემულო ხალხიაო...

— ვიცი, ვიცი, კურსები ყოფილა ასეთი, — უფროსებს ლაპარაკში ჩა-
ერია პირველკლასელი, გაღუმბული თექურები რომ ეცვა და ფანჯარას კოჭ-
ლობით ჩაუარა. — აი, ია კურსები, დაიცა, რა ჰქვია? ჰო, გამოცდილების მო-
სატყუილებლადო!

— წენ თეითონა ხარ მოსატყუილებელი! აბა, ახლა შეაყოფე, წე ლიფ-
სიტაც, შენა! მოსატყუილებლად კი არა, გამოცდილების განაზიარებლად.
ისინი ყველგან დადიან, ათვალეფრებენ სკოლებს, საუბ რა ამბავია. ჰოდა, აა,
ჩვენც მოგვინახულეს.

ბიჭუნა წამოწითლდა, ხელისგულით წვინტლი მოიხოცა, მავრამ იხტიბა-
რი არ გაიტემა:

— ლუდი კი ამამაგზმა მოხარშა!

ბიჭებს თვალები გაუბრწყინდათ.

— კაი ლუდი იყო?

— არა... არც ისე.

სამასწავლებლოში საცილისაგან იფხრცებოდა ხანმოკლე ნათქმედი-
კის მასწავლებელი ქალი:

— წევდივარ სასადილოში და რას ვხედავ: შპოკასს აღნათ ლუდი მო-
უნდა და კასრს ევაჯღვრება. ამასობაში ლუდმა ვრთი კი დაიქნუტუნა და
შადრევანივით იფუტქა! რა ქნას ახლა ჩვენმა ფიზკულტურელმა? დანტის კას-
რის გარშემო, მაგრამ ეერაფრით დაუცხრია ლუდის ნაკადი; სულ ვაი-ვიშს
გაიძახის, ვუღარც დოჭი მიუშვერია ლუდისთვის; აბრუნებს და აბრუნებს
ონკანს, მაგრამ გაგიგონია! ბოლოს, როგორც იქნა, თითი დაუცო ონკანს და
იყვირა: „ღმერთმა დაგწყველოს, წე ეშმაკის ონკანო“, — თავით ტერჯამდე
ლუდის ქაყში იყო მოთხვრილა.


— აბა, რა არის სასაცილო? — ხანდახან ასეთ მოკამულ ფუნებაზე დაღ-
გებოდა ხოლმე რედა, სხვები მიჩვეული იყვნენ ამას და აღარ უკვირდათ.

— ღმერთმანი, სასაცილო არაფერია; გრცხვენოდეთ, ბავშვები შემოგვეც-
ქერიან...

სიცილის ხალხზე მოსულნი მასწავლებლებმა ხელად ხმა გაყმინდეს.

ოთახში დირექტორი შემოვიდა. ამ უაღრესად კეთილი და დარბაისული
კაცის სიახლოვეს ვაგლახად ვერაფერს გაბედავდა ცუდა რამ ეთქვა ან უჯეროდ

მოქცეულიყო. ახლაც დინჯად და ფიქრიანად ჩაუარა ქალებსა, სახე ქსენძივით ჩამოსატაროდა; ზევით არ აუხედავს, ისე შიანურა თავსა მიაგიდას. დაჯდა, გაშემშებულ თითებს სული ჩუბად შეუბერა და გაცვეთილებს გააჩივს ხელს გადაუსვა.



რედა, ცერად, მაგრამ ყურადღებით გასცქეროდა დირექტორის ნულოვანი „გაიყინა, ფეხები დაისველა... მთვრალი შპოკასისაც მტკიცე მხმარებელია. სტუმრებმა მოქანცეს, ლხინიც მოეწყინა... ნეტა რას ღუმხარ? ხმა მაინც ამოიღე“...

ვინცენტასმა, თითქოს რედას ხმა ჩაესმო, თავი აიღერა, მზერა საბასწავლებლის მოავლო და შშვიდად წარმოთქვა:

— ყველაფერი კარგია, რაც კარვად მთავრდება. სამი უნაწიელი ქალი, დაბალი კლასებია მასწავლებლები, ზურგით ღუმელს ეფიცებოდხენ და ღუმდნენ. ერთი შეხედვით წყნარი და მოყრბალებული ქალები გეგონებოდით, მაგრამ ვინ-ვინ და დირექტორმა მშვენიერად იცოდა, რომ ერთი კაპასი და ანჩხლი იყო. მეორე აყვია, შესამე კი ბედისაგან დაჩაგრული — ერთი წლის წინათ ბიჭი შევიძინა, რომელიც გაუთავებლივ ავადმყოფობდა.

— ისე ჩანძინებოდა, კინალამ დამაგვიანდა! — აქოშინებული შემოვარდა თოახში ქინის მასწავლებელი, წამსვე ქურქი გაიხადა, თავსაფარი მოიძრო და თაროზე შეაგდო. — თქ, რა ცხელა!

როგორც ყოველთვის, რედას ამ დილითაც თავი გახეთში ჩაერგო: დირექტორივით გულგრილობა ეწერა სახეზე და თვალბრც მასავით დაეხარა. ასე იცის თურმე დიდი ხნის ურთაერთობამ, აღამიანი ვერც კი ამჩნევს, როგორ ემსგავსება სხვას...

ვინცენტასს რედა გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ყველას, ვინც ირგვლივ ეხვია, უფრო სწორად, ყველა ჭალს იმედი ჰქონდა, დირექტორს ამდენად მოჭარბებულად აქვს მოვალეობის შეგრძნება. ეგებონ „გულმოწყალება“ გამოიჩინოსო... მაგრამ საქმეში ყელამდე ჩაფლული ვინცენტასი ანერ უბკე რამდენი ხანია, გულგრილად ეპყრობოდა რედას, იქნებ ნამეტანი გულგრილადაც კი. ბიჭურად თმაწვერეჭილი ქერა რედა ამ დილით ვინცენტასს ახალგამოჩეკილ წიწილას აგონებდა, თუნცელა ნორჩიას, რედაზე ვეღარ იტყოდი.

„ნეტა რა იტნება, ადგეს და ატედან სულ წაგიღეს...“ — ამდენი ხნის მანძილზე პარველად იგუეღვა თავში დირექტორს, თეითონვე უნაურად, უპატიოსნოდ ფხვესა ეს აზრი; რაღა ახლა ეწვია, ადრე რად არ მოსვლია?... მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო დაჭრუშული მზერა რომ ესართლა რედას, უცებ საოცარი სიბრაღულით განიმსჭვალა მის მიმართ. იგრძნო თუ არა ეს რედამ, დაიბნა, ჩაახველა და ხრინწმორეულმა ჩაილაპარაკა:

— ის შპოკასი დასაფრენია ატედან, მთვრალი დაყრილობს სკოლაში... უფროსკლასელები თურმე ლუდი დაგვალევიანო, ეღრიჭებიან.

აი, გაისმა ელექტროჩარის წყრიად-ხრიადი და სამასწავლებლოც ერთბაშად აწრიალდა.

— ამა, გეყოფათ მხიარულობა, ახლა საქმეს მოჰკიდეთ ხელი. — მოხუცებულმა საოფმატიკის მასწავლებელმა ქალმა ხმაურით მოიწმინდა ცხვარი და მეტე თართდან ჩერვე კლასის ქურნალი აიღო.

„ნეტა მალე გავიდოდნენ ამ თოახიდან! რაღას უღვანან?“ — რედას არ

ჰქონდა პირველი გაკვეთილი და ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის დარჩებოდა მართო ვინცენტასთან.

პირველად დაბალი კლასების მასწავლებლები გავიდნენ დერეფანში და ჩურჩული გააბეს:

- ნახე, რედა რა შეფერთხილა გუშინდელს აქეთ... ერკონეული
- სული შეუწუხა იმ ფერშალმა. ვინცენტი
- ვინცენტასმა კი არა? ერთი მაინც ვაიხედოს მისკენს..

სამასწავლებლო დაცარიელდა. დერეფანშიც სიწყნარე ჩამოვარდა. კარები მიიხურა და გაკვეთილები დაიწყო.

— შე მგონია, ჩვენმა სკოლამ სტუდენტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: ეს მასწავლეთა მოსწრებათ, ეს სისუფთავეთ... — დაიწყო ვინცენტასმა, უხერხული სიჩუმე რომ დაერღვია.

რედა თავჩადუნული იჯდა, გაშლილ გაზეთს დასცქეროდა. მაგრამ ვერაფერს ვერ არჩევდა... ოპ, როგორ უნდა ალბათ ვინცენტასს მისი წასვლა! იგი მუდამ ცოცხალი საყვედურით უღვას თვალწინ დირექტორს, ყვალვით ერთობა თვალში. ეს ძალიან კარგად იცის რედას, პო, მეტიანეტად კარგადაც.

— ვაითუ ნამეტანი დავაძალუტ ქაშა, — ნიდაგი მოსიწვა დირექტორმა.

— ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება, — განზრახ გაიმეორა რედას მისი წვლანდელი ნათქვამი. თავი ასწია და სევდანარევი საყვედურით შეხედა ვინცენტასს. იგი კი მისკენ ზურგშექცევით იდგა და თანჯარაში იყურებოდა. იქიდან კარგა შორს მოჩანდა თვალსაწიერია. კაშკაშა, მშვენიერი დილა იყო. თუმცა ნამქერებში ჩაფუთნულა ბორცვები და გორაკები, მაგრამ ამ ნამქერებს დიდი ღღე აღარა აქვთ. ნეტა მაღე მოვიდოდეს განათხული, ცოტა სულს მოითქვამდა კაცი. მზემ უფრო და უფრო მოიცა ძალი. სკოლის ეზოში თოვლა და წყალი აიჭინჭვა ერთმანეთში. ვინცენტასმა იგრძნო, საკუთარი სულაც ატალახებოდა. „ნუთუ წუხელ არ შემეძლო რედა საცვლავოდ გამეწვია? შემეძლო ხომ...“

ქუჩიდან სკოლისკენ ერთმა ქალიშვილმა შემოუხვია, ბავშვი გეგონებოდა. შავი ფერის პალტო ეცვა, მოღურა ჩექმები; ყოჩაღად მოაბიჯებდა თოვლში, გზას არ ამრუდებდა, თამამად და უთილადად მოტლახუნობდა ვუბნებში აი, იმ პირველკლასელივით!

ვინცენტასი რედასკენ შემობრუნდა.

„რამე სააღერსო ხომ არ შეთქვა... მაგრამ ნუთუ თვითონ ვერა ხედება?...“

შორიდან რომ შეგეხვდა, რედა თითქოს არ უნდა ყოფილიყო ცუდი ღღეში, ერთობ ღირსეულად ეჭირა თავი, მაგრამ ახლოდან... ახლოდან კი ხედავდი არცთუ ისე ახალგაზრდა, მოუხეშავ ქალს, ვისაც ღმერთმა არ აღიარა გათხოვება. ვერ იტყვი, ცუდი მასწავლებელიაო, მაგრამ ერთი მოსაწყენი და გულფიცხი ვინმე კია.

„ჩვენს დროში ქალი მიმზიდველი მაინც უნდა იყოს...“ — გაიფიქრა ვინცენტასმა და კვლავ თანჯრისაკენ მიატრიალა თავი.

უცნობი გოგონა კართანაზე გულმოდგინედ იშმენდდა ჩექმებს.

თვითონ ვინცენტასი არასოდეს ყოფილა ლამაზი; ერთი აწოწილი ვინმე იყო, ფერდი ფერდზე ჰქონდა გაკრული. მუდამ საქმეებში ცხვირჩარგულს თვალეში ჩასცვენოდა. მის გაფიქრულ თმას ვარცხნივას სულ ტკაცან-ტკაცანი

გაქონდა და ყალყზე დგებოდა. მაგრამ კარგი მასწავლებელი და კარგი დირექტორიც იყო, როგორც ეშმაკს, ისე მიეყიდა სულით სკოლას.

და მაინც მან, თავისაწარა შუახნის მამაკაცმა, ამოდენა გზა სალთად რომ განიარა, ამ ქალიშვილთან ამდენ წელიწადს გვერდიგვერდ იმუშავა და კარგად უწყობდა მისი გრძნობები და შეჭირვება, ნეტა ერთხელ არ უთხრა თბილი სიტყვა, არ აუხსნა, ასე და ასეა, შენ სხვებზე ხარ უკეთესი, მე სხვას, ერთად ვერ ვივლითო... ნეტა თავს ძირს რად ხრიდა, კეთილად იღიმებოდა. ამ უბედურს იმედის ნიშატი რად უტოვებდა, სულ გვერდზე ჰყავდა?.. დანერტმა უწყობდა.

ან ნეტა თვითონ რედა, ჯან-ღონით სავსე ჰქვიანი ქალი, ვისაც მახინჯს ვერ უწოდებდი, ასე უმიზნოდ რად ფლანგავდა სიცოცხლის დღეებს? შვიდი წელია ბავშვებს ყოველნაირ სიბრძნეს უტენია თავში, თავად კი სულ უბრალოდ რამ ვერ უსწავლია — ქალური ტაქტიკა და სტრატეგია? აი, რა განოცანა აღელვებდა მთელ ქალაქს.

„მე გალიაში ჩასმული სხეული იადონი ვარ და ვერც ერთი ფერშალი ვეღარ მომარჩენს“, — ამოიხვნეშა რედამ.

ვინცენტასი კი იმწამს სწორედ იმაზე ფიქრობდა, რედა ძალიან კეთილსინდისიერი მუშაკი და ძალიან კეთილი ადამიანია, ყოველმხრივ იმდენად დადებითი პიროვნება, რომ შეუძლებელია შეგიღვარდესო. როგორც კი ამ პარადოქსულმა აზრმა გასჭოლა, უმაღლესი ნაღველი შემთაწვა: „და მაინც რედა ჩემი იდბალია“.

— შემოვიდე? — სამასწავლებლოს კარებში მომღინარე შეთმობიანმა უცნობმა ქალიშვილმა შემოიხედა, ფეხებზე ჩექმები ეცემა.

— მობრძანდით! — სახელოსინათებულმა დირექტორმა ხელი გაუწოდა. — ფანჯრიდან დაგინახეთ და იმწამსვე მივხვდი, თქვენ იქნებოდით.

იცნობენ ერთმანეთს? ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ქალიშვილი? — რედა გამოცოცხლდა, სახე გაუნათდა, ფერმა გადაჰკრა. მაგრამ თავი უცებ უხერხულად იგრძნო, ისევ მოიჭყუმა და ნაღველიანად მიაჩერდა სტუმარს.

— იცნობდეთ, ჩვენი ახალი ფრანგული ენის მასწავლებელია, — ვინცენტასმა რედას ისეთი მხიარული და ნათელი მზერა შეაელვა, რომ რედა აღარც შეეჭვებულა: „აი, ასეთები მოსწონს მაგას...“

ქალიშვილი ალბათ ოციოდე წლისა თუ იქნებოდა. სანდომიანი იყო. ეჭვმა გაჰკენწლა რედა, მაგრამ ხელი მაინც გაუწოდა და დედური სინაზით გაუღიმა.

— მპოკენე უნდა შეცვალოთ?

— არ ვიცი... რომელიღაც მასწავლებელი ორსულად ყოფილა.

დირექტორს გაეცინა და ქალიშვილს პალტო გახადა.

„არც ისეთი მზეთუნახავი ჩანს: ალბათ ერთი ქარაფმუტა ვინშეა“, — დაასკვნა რედამ, თავი ისევ გაზეთში ჩარგო. რედას შუბლზე ჩამოყრილმა მოკლედ შეჭრილმა თმამ ვინცენტასს კვლავ ყვითელნიცარტა წიწილა გაასხენა და იგი შეძარწუნდა: „რედა ჩემი ცოლი იქნება. ეს ჩემთვის ახლა ხათელი და გარდუვალია, ამას ვერსად წავუვალ...“

— მესიამოვნა თქვენი გაცნობა; ტელეფონით დამირეკეს და მიქვს თქვენი თავი. სწორედ სულზე მოგვისწარიო და ესაა!

„ნახე, როგორ ვლაჭუცებ... ჩემთან ასე არასოდეს უმჯობინებია კუდი... ღმერთო, რა ვქნა ახლა... რაღა მეშველება?“

დიახ, თურმე ყველანაირად გამოცდილი მასწავლებლებიც კი ცდილობს. საბოლოოდ ებნევათ თავგზა. ვინცენტასი ახალგაზრდა მასწავლებელს რაღაცას ეუბნებოდა და თან წითლდებოდა. ოპ, რარიგ მოაპულეს მასწავლებელმა, მთელი დღე რომ ჩუჩუნებენ ღუმელს მიფიცებულები, რარიგ მოაპულეს რედას უსიტყვო სიყვარული, მისი მოთმანებით აღსავსე ერთგულება, გულში ამოუვიდა შპოკასის გაუთავებელი სმა და ღრეობა... თითქოს მაცოცხლებელმა ნიავმა დაჰპერაო, ისე ეამა ახალი ადამიანის გამოჩენა; სიხარულისაგან სახე აეტყრიცა, ბაგუნე სულ სხვა, უცხო ღიმილი აუთამაშდა, რაც არ ჰგავდა იმ თავაზიან, ყოველდღიურ ღიმილს. სტუმრებს რომ აცილებდა, არც ის გულწრფელი, მაგრამ ტანჯული ღიმილი იყო, რედასთვის რომ იმეტებდა. მის სულში შემოიჭრა რაღაც ახალი, ჯერ განუცდელი გრძობა და იგი ბავშვით ხარობდა. იმდენი უჩიჩინა, ქალიშვილმა ხელები ღუმელს მიუშვირა...

„მაშ, ასე ხომ... კეთილი და პატიოსანი!“ — როგორც ხანს, „კარგი მასწავლებლის“ გულში ყველა სათნოებასთან ერთად მარტო ეჭვი კი არა, თურმე შურისძიების წყურვილიც ბუღობს. მერე რა, რომ ასე პატარაა ეს წყურვილი, მელნის წვეთის ოდენა თუ იქნება, სამაგიეროდ ახლა უშველებელ ლაქად იქცა და უბიწო სული წაუბილწა რედას. „ჰოდა, ძალიანაც კარგი! ახლა ჯინაზე აღარსად წავალ! შენ კი ნაღდად გაიხარებდი, ძალიან გაიხარებდი, ვინცენტას! მაგრამ არ წავალ! გიყურებთ თქვენ, თვალებით შეგჭამთ, საშველს არ მოგცემთ... ფერშალს გავყვები ცოლად, შენ კი, შენ — წამებული იქნები“...

ახალშოსტლს ამავებისა არაფერი ესმოდა. იგი ხან ვინცენტასს შეხედავდა, ხანაც — რედას, ათვალიერებდა სამასწავლებლოს და გულით შეჰხაროდა კამკამა დილას, თთვლიან გორაკებსა და გაღულუნებულ ღუმელს. მოსწონდა თავისივე თავი, კეთილად განეწყო ამ ფერმკრთალი, დაღვრემილი მასწავლებელი ქალისა და სკოლის დირექტორის მიმართ, თუმცა ვინცენტასი მეტი-მეტად მსიარული და თავაზიანი ეჩვენა.

„ანასთან ფრთხილად უნდა ვიყო, თავშეკავება მმართებს!“ — ამანე სასაცილო რა შეიძლება გაეფიჭრა მიამიტ, ცხოვრებაში გამოუსვლელ არსებას, მაგრამ ეს სწორი ქალური ფიჭრი იყო.

— ჰო, — ხმადაღლა თქვა მან, — ავტობუსების სადგურში ლაპარაკობდნენ. ვილაც წინამძღვარი გარდაიცვალაო...

დირექტორმა გაოცებული მხერა მოსწყვიტა ქალადღებს, რომელთაც ისე, ყასიდად ფურცლაგდა, თორემ წაკითხულისა არაფერი ესმოდა.

— რას ბრძანებთ!

რედას გმინვა აღმოხდა. სულ რაღაც ერთი საათის წინ ნახა ბერაკაცი, მისი ფრთებჩამოყრილი იადონი... და მყისვე ფერშალი მოაგონდა...

ეპ, რაღაი ასე... უკეთეს საბაბს ვერც შეარჩევს; ამალამვე მიადგება კარზე ფერშალს და ჰკითხავს: ცოცხალი თუა წინამძღვრის იადონი?...

თარგმან ბიორბი მაჭუტაიამ



სალომეა ნერისი



ყვავილად მოვალ...

ჩემო აპრილო, ისევ მოხვალ ფოთლით მოხილა –
ვარეშემოთა მწვანედ მწვინავია...
შენ ისევ მოხვალ, მაგრამ უკვე ვერ შემოვცინებ,
ვედარ მიხილავს შენთან ვერავინ.

წაბლა ქურანზე შემოძვდარი ველს გადაივლი,
გაგყვება მზერა, ნათლით ფერული...
ვადაიშლება მიწის პარი და მე ყვავილად
შეგეფეთები ყელმოღერილა.

თარგმნა ჯარჯი შერვაშელიძე



ელჟარლას მემელაიტისი

ნ ა ბ ა ტ ი ვ ი

შენ ფხიზლობ მხოლოდ. ვინ იცის, რამდენს,
აი, ამ წუთას სძინავს ღრმა ძილით...
და დათოვლილი სანგრიდან ცაბდე
უიძუდობის არის მანძილი...

მე მოვიტყუე მრავალჯერ თავი,
ახლაც იმედის ნატამალს ვათხოვ
და თავს ვიტყუებ – დავლანდე შავი
ცის ნეკატივზე ვარსკვლავი თითქოს...

მაგრამ დამეა – მაღალა ციხე,
შენ გეხუჭება თვალუბა კეთილს.
ხელში საჩქაროდ ტყვიამფრქვევს ვიღებ...

იერიშაა?
ცას ხწყდება კენტი
ვარსკვლავია...

ვკრთები... ვარსკვლავთა კრება
პატარავდება, მცირდება, ქრება...



კლონსას მალდონისი



მუსიკა

ხანდახან, როცა მარტოვა ვრჩები
და შეკარგება განსჯის უნარი,
მესმის შენი ხმა, გაუხუნარი,
რომელსაც ალბათ
ისმენენ სხვებიც...

წრმასაყით მივლევ ჩემს მზიან ბილიკს,
ის უსახრულოდ გრძელდება ჯერაც.
ეს შენი ხმაა, სათნო და თბილი —
გაუცანარი ავალებას მზერა.

რაა სიტყვები?
ვაავლის ჟამა,
გახუნდებაან სიტყვებიც ბოლოს,
მარადიული თუ დარჩა რამე —
ჩვენგან მუსიკა დარჩება მხოლოდ.



საკვადმყოფო

თეთრ პალატაში, სადაც ექთანი,
შემკრთალი და დაბნეული,
თითებს იმტვრევდა, — იწვა ფერმკრთალი
ქალი, დუმალად ქცეული.

ჩაბრუნებული და უწყინარი
მზერით ამბობდა — მშვიდობით.
ას ფოთოლს ჰგავდა, ჩქარი მდინარის
ნება-დინებას მიხდობილს.

ენკენებოდა: მზე პირს აბანდა,
მუქი ათოვდა ზემოდან;
თვითონაც უხმოდ იდგა იმათთან,
ვინაც ის ეთხოვებოდა.

ბარსდაყრდნობილი ორივე ხელით,
მაღალი არყის ჩერთდან,
დადონებული და თვალებსველი
მეუღლე გზას გასცქეროდა.



ფრთოსანი ტკბილად გალობდა ხეზე.
მზიანი და უსამუელო,
ჩვეულებრივი დღე აყო ესეც —
დღე კვდომის, ვთვლის გამჩენოს..

□

ალბიმატას ბალტაკისი

მ თ ვ ი დ ე ბ ა

თუ ჩავიმუხლე სწულში ხარივით
და ბელტს ჩავჭაღე ორივე ხელი,
არ მოგეჩვენოთ, გეძუდარებით,
მოიმბეზრდა თითქოს ხელობა მხვნიელს.

მე ავირჩიე ეს მიწა თვითონ.
ნიადაგს, მწიარს და მოფენილს ქვევით,
თავზე ვეფლები, მიყვარს და ვატან,
როგორც ჩემამდე იტანდნენ სხვები.

და, აი, ედგავარ, ვიმშრალე კისერს.
სულში ჭიატებს იმედი ხვალის.
დღეც უფერულად გავიდა ისე,
რომ ვერ გავაყვლე ბოლომდე კვალიც.

მე კარგად ვიცი, რომ ჩემს ადგილას
ზოგიერთები იტყოდნენ უარს,
ხელს ჩაიქნევდნენ.. მე არ ვთავილობ,
არც ვესხებები არავის ჭკუას.

ბევრს ეცოტავოს იქნება ჩემი
სახსპარეზო და გასაქანაც,
ოდონდ — წინაპრის სასხლით და ცრემლით
მთრწეული — ჩემი ძირა აქ არას.

სადაც შეჭირა სული კბილებით —
როგორ გავძელი, არ იცის კაცმა...
არც სიხარული, არც ტკივილები
არ დამკლდება, — ესა ვარ, რაც ვარ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ამოსული მე მიყვარს დოღოც.
სხვისთვის მწირია, ჩემთვის — ედემი
მაწა, რომელსაც არ თმობენ მხოლოდ
გუთნისდედება და პოეტება.



ანტანას ა. იონინასი

შ ი ბ შ ა

ამ წვიმას რაღაც წაღილი ასლავს
და მოედანი ჰგავს გასხნულ ბარათს
ქალაქს პატარა ნაჭერა ფარავს
რომელსაც ზეცას ვამგვანებ ასლა

წვიმა თანხმობის მუსიკას ბადებს
თითქოს მოკლდება ყველა მანძილი
როდესაც წვიმა როგორც გამზარი
გამთრბის ჩემგუნ და რჩება მანდვე



რობერტას კეტურაკისი



მე მეხიზმრება ჩაშლილი დობე.
სველი ბაღახი. ცხენები. ცხენი.
წიხ სევსიანი გვიმა და გობი.
თბილი კახური და დრუნჩი ცხელი.

ამოდის მთვარე, სდუმან ქედები.
და, აი, ვსედავ: ტყიდან ცხენების
მთიქარიან ხილუეტები, --
თითქოს დამკარგეს და ვენვენება.



გაბრწყინებული მთვარის იქროთი,
ქარს ყვავილები მიმთაქვს ტყემლის...
...შუა ქალაქში დგას რეტროგრადი —
ცხელ ქვაფენილზე შიშინებს ცრემლი.



იონას კალინაუსკასი

პურის ყანაში
ხეირობს ქარი,
და, აი, როგორც კეთილი ხული,
ცისკენ ავარდა თეთრი
ფრინველი...

იხარე, ეანავ,
ჩვენი გარჯის წილ,
გამოიარე გადასნულ ველთა
მარადისობა და თუკი გახსოვს,
რომ შენზე ვზრუნავთ, არ დაივიწყო
ჩვენი შვილებიც.

ცოცხლობ შამულის წმიდათაწმიდა
ხიტყვაში. დაე ადაშიანმა
არ დაიშუროს პურის ნატყხა
თავის მოძმობთვის.
ყანავ, დაბურდა.

თარგმან სულა შაბუაშა



იუსტინას მარცინკიავიჩუსი



სისხლი და ფერფლი

ნაწევები პეროიკული პოეზიიდან

იყო სოფელი და აღარ არი, —
 მთელი სოფელი ამოწყვიტეს და გადაბუგეს,
 ერთად დახოცეს, ვინც სიბერით ელოდა სიკვდილს
 და ვინც ელოდა დაბადებას — ქვეყნად გაჩენას.

იყო სოფელი და აღარ არი,
 აღარ არისო? — არის სოფელი!
 არის, ანთია და მანამდის არ ჩანავლდება,
 ხანამ ცოცხლობენ მისი ცეცხლის წამკიდებლები.

მაშ, წაშით შესდექ,
 გადიყარე კვამლის ფაფარა,
 ყალყზე შემდგარო ცოფიანო ცოდვის ხანძარო,
 და დამანახე წამებულნი როგორ იწვიან.

აი, ჭაბუკა!
 მას სიცოცხლე ხარბად სწყურითდა...
 ო, ჩემო ძმაო, ეგ ხანძარი გულში გიზგიზებს.
 იწვოდვ; გულს,
 გაზგიზებდე სამსხვერპლო ცეცხლზე,
 ცეცხლით სიკვდილი კაცთა პოღვმას აშორდეს აღონდ.

ის ბიჭი იყო გუთნისდღა,
 სწორედ იმ დღით
 გუთანს ეკიდა და დიდინით გაძყავდა სნული
 და... შეაჩერეს... წინ გაიგდეს კონდახის ცემით,
 შეწყდა დიდინი,
 შეწყდა კვალი,

სიცოცხლე შეწყდა.
 ცისა და მიწის ანაბარა დარჩა გუთანი,
 როგორც აკვანი
 ანდა ხმალი გადატეხილი.
 მაგრამ სახნისა არ ფანგდება, მჭრელია ასლაც,
 რადგან ჭაბუკი ყოველღამე მოდის გუთანთან,
 ბერანვს შეისხნის.

გამრჯე მკლავებს დაიკარწახებს
 და გაპყავს ხნული
 და ხნულივით მისდევს ღიღინი
 და მიდის ხნული,
 მიღიღინებს და მიდის, მიდის...
 გადაიჭიმა აგერ უკვე ოსვენციმამდე.
 უკან იტოვებს ყველა სიკვდილს, მაუტკაუზებს.
 სიცოცხლესავით უსახრულთ გრძელთა ხნული,
 სიცოცხლესავით არ უჩანს ბოლო.



ხნულმა ღიღინით გადათელა ნახანგრძლები.
 კურთხეულ იყოს გუონის კვალი აწ და მარადის!

თარგმნა შ. მ. შ. ნიშნისნიძე





გეორგი მენიუკი

ტრამვაი ღვთის ბრუნდება

ტრამვაი მიდის, მირახრებს. სადღაც, რადიონი ვიღაც მღერის და სიმღერა ნაწვეტ-ნაწვეტად, კანტიკუნტად სწუდება ჩემს ყურთასმენას. ფანჯრიდან მაისის სით ჩამსურჩულებს, ტრამვაი არმიანსკაიას დაღმართზე მიიჩქარის, ბებერ სახსრებს მიაჩხარუნებს. აი, ღამეც ვარსკვლავებით მოყავიყვიებული ფრთები გაშალა. ახლა უკვე გვიანაა და ტრამვაის უკანასკნელი, თითქმის ცარიელი ვაგონი დეპოში ბრუნდება. ქუჩებს დროდადრო მოციხურა შუქი გადაუვლის, წაძიერად გაანათებს და მალე ისევ ღამის სიბნელე ეფარება. ვატმანი — გვერდზე ყვითელბერეტსაცვლებული ახალგაზრდა კაცი — სახელურს ატრიალებს და ტრამვაიც მოჯადოებულივით სვლას ხან მოუმატებს, ხან შეანელებს. ჩანს, მზიარულ გუნებაზეა, ზის და არჩვენად ლიღინებს. ამ ადამიანსამისდროინდელ ტრამსპორტზე დღეს იგი უკანასკნელად ზის, რის გამოც სიხარულს ვეღარ ფარავს. ერთი სული აქვს, ვაგონს დეპოში როდის შეავდებს (ხვალიდან ჩვენს ქალაქში სამუდამოდ გაქრება ტრამვაი, ხვალიდან ამ დაუცხრომელ, ხმაურიან ქუჩებში მხოლოდ თანამედროვე, კომპია ტროლეიბუსი ივლის).

ტრამვაი კი მიდის, სახსრების ღრჭიალ-ღრჭიალით უკანასკნელ გზას იმოკლებს — ტრამვაი დეპოში მიდის, კუთხეში დაღლილი ბილეთების გამყიდველი ზის, შუახნის შავგვრემანი, პირთხელი ქალი. ფულს ერთხელ კიდევ გადაითვლის, პაკეტებად აწყობს და თასმით კისერზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ილაგებს.

თითქმის უკვე დაცარიელებული ვაგონი გაჩერებაზე წუთით შეჩერდება და ისევ გზას ავრძელებს... აი, ბორბლებზე რახრახითა და დაძაგრული მუხრუჭების წივილით სკულიანსკაია როგატკაზე უკანასკნელად შემოუხვია, თავისი ღამეული სტუმრობა ქუჩას ზარის უხალისო ელარაყღურით ამცნო. დაუდევარ რამებზე ამხედრებული მაყრიონივით ნისდევან თეთრად გადაფეთქილი აკაციის ხეები, მიაცილებენ ნაცნობი ქუჩები, რიგრიგობით ეთხოვებიან სინათლით გაჩახჩახებული ფანჯრები. გაჩერებაზე ვიღაც მალალი, მხრებში ოდ-

ნავ მოხრილი მოხუცი ამოდის, სიარულის დროს ნიკელის ბუნციანი ჯოხს იშველიებს. ვაგონში თითქმის არავინ არის, მოხუცი კი დიდხანს დიდხანს არჩევს ადგილს, მიწეზიანად ათვალიერებს დრო-ჟამისაგან ნიწამხდარ ხეს სკამებს და ბოლოს ჩემს პირდაპირ ჯდება.

— აგერ, ამ უკანასკნელ ვაგონშიაც მივაცილებ... უწინ ჩვენს ტრამვაით მაინც გაისეირნებდი, ცოტა გულს გადააყოლებდი. ანიერებენ უსუსუსს სიხარულიც მომეშლება... ეჰ, ყველაფერი შეიცვალა...

— ანიერიდან ტროლეიბუსით ივლით, განა ტროლეიბუსი უკეთესი არ არის? — ეპასუხება ბილეთების გამყიდველი.

— ოთხმოცდაათი წლის კაცისათვის ეგრე ადვილი როდია სიახლესთან შეგუება, — ნაღვლიანად ამბობს ტრამვაის ვეტერანი.

ტრამვაი კი რაღაც გაუგებარს ბურღლუნებს, სწეული სახსრები ციებიანივით უძიგძიგებს. ის იყო, მოხუცისა და ბილეთების გამყიდველის საუბარში ჩარევა დავაპირე, რომ ვაგონში ახალგაზრდების ჯგუფი ხმაურით შემოიჭრა. სულ ხუთნი არიან, სამი ბიჭი და ორი გოგო, იმათი სიცილ-კისკისი კი ვაგონს იკლებს.

— არა, ძმაო, ნამდვილი ბეხრეკია, — ხმამალა ამბობს ერთ-ერთი იმათგანი და ხელებს მსახიობივით შლის.

ახალთახალ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ ბიჭს სიძველისაგან გაქერქილ სკამზე გული არ მიუწევს და ეგრევე შუა გასასვლელშია აყუდებულნი.

— ზუსტად „რაბლეს ჟანრშია“, გარგანტუას ფაშატსა ჰგავს, — კვერს უკრავს შავკოსტიუმიანი, მუხლებზე პორტატული მაგნიტოფონი უდევს.

გარგანტუას ფაშატისა და ტრამვაის შედარება ნაცრისფერკოსტიუმიანს ეტყობა მეტად გონებამახვილურად ეჩვენება და დიდხანს ხარხარებს.

— ეი, ბიჭო, — უყვირის ქერა ქალიშვილი, — არ იტყვი, ასე რამ გაგამხიარულა?

და თვითონაც გულიანად იცინის.

მხოლოდ ორნი სხედან ჩუმად — ლურჯჭურთუკიანი ვაჟი და გოგო. გოგოს ხელში ორი წითელი მიხაკი უჭირავს.

უცბად თავისი ბუნციანი ჯოხი მოხუცმა გაბრაზებით დააკაუნა იატაკზე:

— სიბერეს რუ დასცინით, მკრეხელობაა, — ამბობს აგი ანაზდად ჩამოვარდნილ სიჩუმეში. — ვაგონმა თავისი ვალი პირნათლად შეასრულა.

მერე იქ მყოფთ საყვედურით სავსე მზერა მოავლო, მაგრამ დარცხვენილ, შეცბუნებულ სახეებს შეხედა და მაშინვე მოლბა.

— მახსოვს, ქალაქში პირველად გონკა რომ გამოჩნდა... დიდი ხნის ანბავია, მაშინ ჯერ რევოლუცია სად იყო... ოთხი ცხენი ძლივს მიათრევდა, მიუხედავად ამისა, ყველას საოცრებად მიაჩნდა. ხალხი სანახავად ისე გამორბოდა, ბაზრობა გეგონებოდა. მერე ელექტროდენით ტარება რომ დაუწყეს, ეჭვი აღარავის შეპარვია, ამ საჭმეში უწმინდური ურევიაო. ვერავის წარმოედგინა, რკინის რელსებზე შეკუნკულვებულ ვაგონს თავისით როგორ უნდა ევლო. სულ რაღაც ორმოცდაათმა წელმა გაიარა, მაგრამ... — მოხუცმა ჯერ ბილეთების გამყიდველს გადახედა, მერე მე შემომხედა, ჩაწეს, ვინმე ისეთს ეძებდა, ვისაც

შეეძლო დაედასტურებინა, ორმოცდაათი წელი არც თუ ისე დიდი დროაო.

— შერწმუნეთ, — წყნარად განაგრძო მოხუცმა, — ორმოცდაათი წელი არც ისე დიდი დროა, წლები ისე გარბის... და დაღუბდა.



ერწმუნეთ
წლები ისე გარბის

მოხუცის იმ მოულოდნელი გაცხარების მერე ახალგაზრდები ხმაძიარულ ლაპარაკს ვეღარ ბუდავენ და მათ შორის ხმადაბალი კამათი იმართება. ჩანს, წითელმიხაკებიანი ქალიშვილი ვიღაც გეოლოგზე თხოვდება, მასთან ერთად ამურზე მიდის. ქერა გოგო გაწიწმამებული უმტკიცებს წითელმიხაკებიანს — ძალიანაც სწორად მოიქცეო და მესმის, როგორ დაბეჯითებით უმეორებს: „რა მოხდა, დიდი ხნის გაცნობილები თუ არა ხართ! რახან გადაწყვიტეთ, ალბათ გიყვართ კიდევაც ერთმანეთი, ასე არ არის, მართა?“ ამ სიტყვებზე მართა წითლდება, მის გვერდით მჯდომარე ლურჯქურთუკიან ჭაბუკს კი ხელები უცახცახებს, სახეზე საშინელი მწუხარება აღბეჭდია. „სიყვარული! — გაბრაზებული ერთვება საუბარში მაგნიტოფონიანი ჭაბუკი. — სიყვარული კი არა და ისა! გათხოვება ნიშნავს, მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა და თხოვდება!..“ „უსინდისო!“ — შიგ სახეში ახლის ქერა ქალიშვილი, მაგრამ არც ვაჟი ყრის ფარ-ხმალს: „მე თუ ვტყუი, ია, ვლადმა გვითხრას, ეგ არ დატოვა მართამ ხამშრალი?“ ლურჯქურთუკიანს სახეზე მკვდრისფერი დაედება, მაგრამ ამხანაგს მაინც ღირსეულ პასუხს აძლევს: „მე და მართა მხოლოდ მეგობრები ვართ“. ამ პასუხზე მაგნიტოფონიანი ახალგაზრდა მხრებს დაცინვით შეათამაშებს.

ვინ იცის, ახალგაზრდებს შორის დაწყებული ეს კამათი რით დამთავრდებოდა, მათი ყურადღება ერთბაშად დაჭიმული მიუხრუტების ხმაურს რომ არ მიეპყრო. მალე ვაგონი ერთი შეტორტმანდა და გაჩერდა.

— გაუთვალისწინებელი გაჩერება! — აცხადებს მხიარული ვატმანი.

ქუჩაში უშველებელი რეფრეცერატორია გაჩხირული.

ახალგაზრდები ტრამვაის წასვლას აღარ უცდიან და ჩადიან:

„ამ ჯაბახანაში ჯდომას ფეხით წასვლა არ სჯობია!“

„უპ, რა აკაციის სურნელია!“

მოხუცი თავს სევდიანად აქნევს და სკამიდან უხალისოდ დგება.

„ბარემ მეც ჩავალ...“

იგი ტრამვაიდან ჩადის და ვაგონში კვლავ მე და ბილეთების გამყიდველი ქალიღა ვრჩებით. ქალმა მოხუცს ერთი გადასხედა და ისევ ფულის თვლას შეუდგა.

განშორება ყველას წილხვედრია. ყველას გარდასასდენელი... თავს ხევით ძალა არ არისო — ვის შმობლიურ კუთხესთან მოელის განშორება, ვის მახლობელ ადამიანებთან თუ შეზრდილ-შერვეულ ნივთებთან. ყველა თავისებურად განიცდის განშორებას. ახალგაზრდები, ცხადია, ადვილად ეგუებიან — მათთვის ყოველივე წინ არის, წინ მრავალი სიახლე ელით, ახალი სიხარული თუ ახალი აღმოჩენა. აგერ ის წითელმიხაკებიანი ქალიშვილი მშობლიური ქალაქიდან მიდის, მაგრამ წინ ახალი სიყვარული ეძახის და ისიც უკანმოუხედავად

მიიჩქარის მის ძახილზე, იგი ადვილად წყვეტს იმ უნაზეს სიმებს, რომელიც ძველ სიყვარულთან აკავშირებს. ეს მოხუცი მგზავრი კი შეჩვეულ ტრანსპორტთან განშორებასაც ისე განიცდის, თითქოს საკუთარი ცხოვრების ნახევარ საუკუნეს ემშვიდობებოდეს. თთხმოცდაათი წლის კაცისათვის, აბა, ახალი რაღა უნდა იყოს, ახალს ის აღარაფერს ელის. რაც იყო, აღარასოდეს უბრუნდება... ასეა, განშორება ყველა ჩვენგანის წილხვედრია, ყოველი ჩვენგანი ცხოვრებას ანკარა წყაროებს, წინ ათასი ვაგზალია, ათასი გზა და ბილიკი...

აი, ტრამვაი კვლავ სკულიანსკაია როგატკაზე ეშვება. ვაგონში შემოჭრილი მაისის მათრობელა ჰაერი სულს მიფორიაქებს. ანაზღად თვალში ნაცნობი შესახვევი მხვდება. დიახ, ამ გზით გავრბოდა სკოლისაკენ, გზადაგზა შურდულაით ბედურებს ვაფრთხობდი. ეს ერთი პატარა რიყის ქვაფენილიც და...

შესახვევი სადღაც გარეუბანში იწყება, ტრამვაის ხაზს დასწვრივ მიუყვება და სწორედ აქ, ამ ადგილას გადაკვეთს. მახსოვს, ვიდრე ამ გზაგვარედინზე და დედაჩემის გამოჩენას ველოდა. მაშინ, იმ შორეულ დროს იგი ტრამვაიში ბილეთების გამყიდველად მუშაობდა. მოვიდოდი ყოველ ცასმარე დღეს, დივდგებოდი ამ ადგილას და ველოდი და ველოდი სევდიან გულგაწვრილიბული. გამოჩნდებოდა წითელი ვაგონი, უხალისოდ აქლარუნდებოდა ზარფუხი და სადღაც, ღრუბლებიდან დედაჩემის ძახილიც შემომესპებოდა. ძლივს მოვასწრებდი მისი გამზდარი თითების დანახვას, რომ დანჯარაში დედის ესოდენ ძვირფასი, მოღიმარი სახეც გამოჩნდებოდა და წვიმასავით წამოვიდოდა წითელ-ყვითელი ვაშლები. ვიდრე მე ქვაფენილზე ბურთუბივით დაგორებული ვაშლების აკრეფას მოვასწრებდი, ვაგონი უკვე კარგა შორს გამცდებოდა და ახლა შორიდან მესმოდა მისი ბორბლების ჩხარაჩხური. დედაჩემი ახლა ტრამვაის უკანა ბაქანზე იდგა და გამომშვიდობების ნაშნად გამხდარ ხელს მიქნევდა. ქვაფენილი ისევ ისე დარჩა, ის ვაშლები კი...

და აი, ტრამვაის ეს უკანასკნელი ვაგონი დეპოში ბრუნდება. ვინ იცის, იქნებ ამ ვაგონის ბაქანზე იდგა დედაჩემი, ამ ვაგონის ბაქნიდან მიგწევდა ხელს? მე კი მას ველარასოდეს მივეწევი, ათობით, ასობით წელიწადი, საუკუნეებითაც რომ ვდომ ამ ვაგონს.

ეს რიყის ქვაფენილი მე ახლა მუხეუმის დარბაზში გამოფენილ ფოლადის სოლს მაგონებს.

ციური ლამპალები დარაჯად დასდგომია მძინარე დედამიწას. ნაზად მოცახცახე შუქს აფრქვევენ ქუჩაში ჩამწყრივებული ელექტროფარნები. სადღაც, სიმაღლეში იკარგებიან ცადაჭრილი სართულები, უკაცრიელი ხომალდით, ნელა, მსუბუქად მიიწევა ვაგონი და მე იგი უხილავცხენშებმულ ბალდახინს მაგონებს. ვიღაც უხილავს ხელში ჩირალდნები უჭირავს, სამგლოვიარო დროგვიით, ნელა, აუჩქარებლად მიიღევს გზას ბალდახინი, კდემით მიაცილებენ გზის პირებში ჩარიგებული თეთრი აკაციები. სახლის კუთხეებსა და ჭიხურებს იქით კი, იდუმალებით მოცულ ფოლორცებში, თავზე შავკუნკულაწამორქმეული მკაცრი აჩრდილები იმალებიან. ბალდახინი ნელა მიიკვლევს გზას მირიად ღამეულ მნათობს შორის. ეს მისი უკანასკნელი გზაა... და ქრება ლამპალები...

ბოლოს მე დეპოსთან ჩავდივარ, ვაგონი გეზს ტრამვაის პარკისაკენ იღებს.

სხვა რაღა დამრჩენია, დროა შინისაკენ გავუტოო, მაგრამ რაღაცა არ მიშვებს, რომელიღაც იდუმალი ხმა მაკავებს.

ოდესღაც, ჩემს პატარა ბიჭობაში ერთ უცნაურ ამბავს შევეხარო. მოგეხსენებათ, ანცსა და ლაუდეგარ ყმაწვილს ერთ ადგილას ეგრავენი გაჩერებს. ერთხელაც, შვევიპარე დებოში და უფანჯრებო მისაბმელ ვაგონებში მისი ბოდიალი დავიწყე. ივლისის თვე იდგა, მწარედ იკბინებოდა ზაფხულის სისხე. მიუხედავად ამისა, დებოში თავს შესანიშნავად ეგრძნობდი, შექმედლო არხეინად შეთვალეირებინა დაშლილი მოტორები, მომეშვა ნაირნაირი ჭანჭიკები, შევმძვრალიყავი მისაბმელის სახურავქვეშ და თავი მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გასული გემის კაპიტნად წარმომედგინა — ჩემი დამშლელი აქ არავენი იყო. ბოლოს ერთი ჩიხში მიყუენებელი ვაგონი შევარჩიე და „კაპიტნის ბოგურაზე“ შევდექი. ჩემი ხომალდ-მისაბმელის მეორე თავში პაწაწა ბელურა დასკუბულიყო და ყივეცივებდა. ერთი ბუტუსურა, აბურძგნულ-დაბურძგნული ჩიტი იყო, მაგრამ კაპიტნის გარდა ხომალდზე ეკიპაჟიც ხომ იყო საჭირო! და აი, ის პატარა, ფერგამოციებული ბელურა ჩემს გემზე მატროსად ჩავრიცხე. მახსოვს, ვაგონის უკანა მანიდან მზე გავარვარებულ ნაკადად იღვრებოდა, ბელურა ზუსტად მზის გულს იყო მიფიცხებული, მაგრამ ეტყობა მზე დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა და სულ ელურტულუბდა და ელურტულუბდა. ეს ამბავი დღემდე ჩანჩა გონებაში: ლურჯი, აბრეშუმის საბანიოთ ხახასა ცა, ფანჯარაში ცეცხლის ნაკადად მოჩუხჩუხე მზის სხივები და ბელურას გახარებული ელურტული. უცბად ხევიდან შურდულივით რაღაც წამრვიდა და ძირს ბრავვანიოთ დაეცა — იატაკზე უშველვბელი მკვდარი ძერა ეგდო.

ჩიტს გაოგნებული დავყურებდი, ვერ წარმომედგინა, რა მოხდა, რას უნდა მოეკლა, ბოლოს როგორც იქნა მივხვდი, ალბათ მინაა თუ შეასკდა-ნეოქი — გავიფიქრე. ეტყობა, მზის სხივებში უხრუნველად მოელურტულე პაწაწინა ჩიტუნა მალლიდანვე შეამჩნია და დაუდარაჭდა. აბა რა იცოდა, იმ პატარა ჩიტსა და მას შორის ამ სისქე შუშა თუ იყო! და, აი, ეს გულწვიადი, თავდაჯერებული ფრინველ-ახლა ჩვარივით ეგდო იატაკზე.

შიშისაგან დამბლადაცემული ბელურა ერთხანს გაოგნებული იჭდა, მერე გონს მოეგო, თავას ენაზე რაღაც საგინებელი ამოიქვივლა, შეფრთხილდა და იჭაურობას ფრიათ-ფრიათით გაეცალა.

მე გაფრენილ ჩიტს თვალი გავადევნე და მრგვალად გამოტეხილი მინა მხოლოდ ახლად შევამჩნიე. მალე ახლომახლო მყოფმა მუშებმაც მოირბინეს, ყველანი გოაცებულები შეჰყურებდნენ ოსტატურად გამომტვრეულ მინას. გაწაფული მუშის მტრელის ნახელავი რომ გეგონებოდა.

დებოს შესასვლელიდან ბილეთების გამყიდველი გამოდის, ჩემს დაანგაზე ვერ გოაცებული იყურება აქეთ-იქით, მერე ახლოს მოდის და — ტრანვაიში ხომ არაფერი დავრჩათო — მეკითხება.

— არა, გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა.

გბასუხობ მე.

— იქნებ რაიმე ძვირფასი ნივთი დავრჩათ? ახლავე კანტორაში შევატყო-ბინებ.

— არა, რას ბრძანებთ!

ქალი კი ისევ გაბოძდელად შემომყურებს და ღაფინებით იშეორებს:

— ნუ მოგერიდებათ, თქვით, რა დაკარგეთ, სულერთია, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო იყოს.

— არა, გზადლობო... — ვამბობ მე და იმის ნიშნად, ან რა უნდა დაკარგოდა, ან რა უნდა დამვიწყებოდა-მეთქი, ხელებს ვშლი. **ერქვენული**

— ალბათ ეინძეს ელოდებით? — ბოლოს დიმილით ატყუებოდა თავით ფეხებამდე მათვალისწინებს. — იცით, უკვე გვიანაა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, თუ ვინმეს ელოდებით...

— პო, გვიანაა, — ვეთანხმები წყნარად.

— ხდება, დაკარგავ თითქოსდა რაღაც სრულიად უმნიშვნელოს და მერე მთელი შენი ცხოვრება ნანობ, — დაფიქრებით ამბობს ქალი.

ამ სიტყვებზე ისე შევკრთი, წავბორძიკდი და ქვას ფეხი წამოვკარი.

— შერთალი ხართ.

— ხედავთ, რა შესანიშნავი პიერია? — ამბობს ქალი. — აეაცა ყვავას, მე კი პასუხის გაცემის, ხმის ამოდების თავი აღარა მაქვს.

უშველებელი, ვარსკვლავებით მოქვიციკებული ზეცა დასდგომია ჩემს მშობლიურ ქალაქს. ყოველი ვარსკვლავი ჩემთვის გამოცანას წარმოადგენს. ზოგიერთი იმათგანი რა ხანია უკვე ჩამქრალა, მათი შუქი კი ჯერ ისევ აღწევს ჩვენამდე ამ შორეულ სამყაროდან.

რქნებ ადამიანებს შორის ჩვენი განშორებებიც ტოვებს კვალს?!

თარგმან ლილი მამალიაშვილა



პეტრე ზაღნიპრუ



დაუწერელი ლექსი

დაუწერელი ლექსი ვიცი, საესე კაემნით,
 ჯერ არ შობილა,
 მაგრამ ფეთქავს, როგორც იარა,
 ცრემლს თუ შემნიშნავთ —
 დადღილ თვალებში,
 ის ლექსი ბრწყინავს,
 ცრემლი კი არა.

უმღერებელი ლექსი ვიცი, სიანკარეში
 საავდრო ღრუბლის ფთილასხავით რომ გაიარა,
 თუ ცრემლი გაშრა,
 მსოლოდ დარდი მოჩანს თვალებში,
 ის ლექსი მოჩანს,
 დარდი კი არა.

დაუწერელი, მუნჯი ლექსი დამითვლის წამებს,
 ყველა ტკივილი,
 ყველა ტანჯვა გაიზიარა,
 თუ ჩემს თვალებში მარადიულს იხილავთ ღამეს,
 იმ ლექსს იხილავთ,
 მარადიულ ღამეს კი არა.



პრიპოროე ვიერუ

დედა

(უკრაინული ფოლკლორის მოტივზე)

ფოთოლცვენაა,
 აღარ ჰყავთ დედა,
 დაუფლებიათ
 პატარებს სევდა.
 ეხეტებიან,
 ებებენ მხატვარს,
 ო, იქნებ დედა გააცოცხლოს,
 ასრულდეს ნატვრა.

მთაწედა ეზოს
 დიდ მხატვართა რიგი და რიგი
 და თეთრ კედელზე
 დახატეს იგი.
 სჭვრეტენ თბლები,
 მოიწყინეს, თავი დახარეს,
 რადგან მხატვრებმა
 ხმა ღედისა ვერ გადახატეს.



ვასილე რომანოვი

მოდლავეთი კვიზაჟი



წყაროს სიმღერა ვულს ეაშება,
 აუხსნელია ფიქრი განგების,
 თითქოს ციური სხივი გაება —
 ისმავ დონას შორი პანგები.

შრიალეზ მუხა, ტყეში ბექობთან
 გარანდებული წამით ვჩერდება,
 მუხის შრიალი იქნებ ექოა
 ძველი ომების და ღვგუნდებას.

ისეე ვაპყურებს მხვნელი ნახნავეზს.
 თვალს მოატარებს მიწას მარჩენალს,
 მიპყვება გუთანს და გულს ახარებს,
 კიდევ რომ უჭრის გლეხკაცს მარჯვენა.

ისე თბილია ეს წვიმა დღესაც,
 ისე თბილია და ისე მჩატე,
 თითქოს მაჯნური ყვაფილეზს თესავს
 და მოაღერსე თითებით ანთებს.

მადის ღრუბელი, პორისონტს ერთვის,
 ცას ცახარტყელით მალე მორთავენ.
 და კენტი სხივი, ვით ნათლის სვეტი,
 უნთია თვალში დედა მოდლავეთს.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა





ალბერტ ბელი

ს ი ტ ყ ვ ა

ჩამბაღალმა მზემ სისხლის ფერი შეუკიდა ღრუბლებს. მეწამულ-
მა ისრებმა დასერა ცა. ტალღები არწევდა დედაბრის სხეულს.
უცებ თავქაფა ქოჩორზე მოექცა და თვალი ჰკიდა ნაპირს, ყვითელ ქვიშასა
და ფიქვებს. ბავშვობაში მთელი სამი წელი ეცხოვრა ზღვაზე... ტალღამ ისევ
მოისრათლა, დგაფუნით გადაუქროლა წყლის კედელმა. გულსრევა იგრძნო.
ჩამტყნარი, გამომშრალი ტუჩებით ცდილობდა ამთეოქვა სიტყვა — ის ერთა-
დერთი სიტყვა.

შვილი გარეთ, ფანჯრის ქვეშ იჯდა, სიყვდილივით ცივი და უძრავი.

პატარაობიდანვე უმოწყალოდ ცემდნენ ქაბრით და ახლა ბოდმას გა-
ეთანჯა მათი სხეული. დაბო იყო, იმასლა ფიქრობდა, როგორ გასწორებოდა
დედამისს. წლები კი გადიოდა, მერე სკოლაში წავიდა.

ფრიადოსანი იყო. რა გონიერი ბავშვიყო — გაიძახოდნენ.

ექვსი კლასი დაამთავრა და გუთანს დაუყენეს.

— როგაში მიინდა წასვლაო. — ესლა თქვა.

— რასა ბრძანებნ! — მოუჭრა დედამისმა. — სახლში ვინლა იმუშაოს!

მავარი ქალი იყო დედამისა: ხუტორში გამოზრდილი, თავკერმა და ულ-
მობელი დედაყავი. შვილი დამჭერე ჰყავდა — რბილი და დამყოლი ხასიათი
გამოკყოლოდა. თლონდ ესაა, სადღაც შიგნით, ღრმად გაუჭდა წინააღმდეგო-
ბის სურვილი და ბაღლაშიც ჩადვროდა სისხლში. როზგებით ცდილობდა დედა
ამ უკეთურობის გამოდევნას შვილის სხეულიდან. მაშინლა აიღო ხელი, პირ-
ნშოს წვერი რომ მოეძალა ყბებზე.

ის კი ლოკოკინასავით ჩაიწალა თავის ნაკუჭში. მიწას ხსავდა, ჩხუმშიაც
გაერეოდა ხოლმე დღეობებზე. არაყსაც ეტანებოდა — მოკლედ, ისეთივე
სახლიყავი დადგა. როგორიც ყველა იყო მის გარშემო. მერე ცოლიც შეირ-
თო და ყოველ შემთხვევაში, გარეშე თვალისათვის მაინც, დალხინებული
ცხოვრება ჰქონდა.

— ჭეშმარიტად, — ხშირად იტყოდა დედამისი, — „რომელსა უყვარდეს
ძე თვისი, დაუხშირებდეს წყლულებასა, რათა იხარებდეს უკანასკნელსა შინა
თვისსა“.

შვილიც კითხულობდა ხოლმე ბიბლიას. ეს სიტყვებიც მოხებნა — ძველ აღთქმაში იყო, წიგნი ისო ზირაქისა, თავი 30.

დღისით, როცა აუარება ჰქონდა საქმე, კიდევ რა უშავდა, რამდენიმე კი უძილობა სტანჯავდა. ბავშვობაში ნაცვამ-ნაბეჭვს, იმდენი წყება ჩაიხე-ნოდა გულში, მისი ამოგდება დედისეული სახლის ქვერქვეშაში უჭნებოდა. მამა არა ჰყავდა. ჯერ კიდევ ბირველ მსოფლიო ომში დატყვევებული იყო.

გვირდით უშფოთველად უშვინავდა ცოლი. მარტოვე შეტანოდა სიბნე-ლესა და უსიამო ფაქრებს. არადა, იქნება გუთანსა და ხნულზე უკეთესი რამ უდევს წიან? კაცს ხომ ერთი ცხოვრება აქვს დაბეჭდული.

მაგრამ აყრა და ეზო-კარის მიტოვება ვერ გაებდა. დილაობით ავი თვალით შიანერდებოდა დედას, მოხუცა მობრუნდებო-და ანაზღად. მაგიდასთან მიმჯდაჩი შვილის ბოროტი ნეტრას შეეფუთებოდა; ის კი — მუხლმეკნუბეხილი, ჩაქუჭრული თვალებით მოსტერებოდა, თით-ქოსდა ფიწალს უმარჯვებდა ზურგში...

ჯერ კიდევ ბავშვობაში დადგმული უდელი სულ ფუტო და უფრო აქერდა. გაუსაძლისს უსდიდა ცხოვრებას.

მერე, ომის დროს, ცოლი მოუკვდა. შვილები თუ გააქარებდნენ სახლ-ში გამეფებულ სიმძიმის, მაგრამ ბავშვები არ ჰყავდათ. დედა-შვილს უკვე ცოტათი ეშინოდა კიდევ ერთმანეთისა.

დედა რომ ცუდად გახდა, იმ დღეს მთელი ბრიგადა მდინარის მისადე-ვაზზე იყო გასული თავის საზეინავად. შვილი სახლში დარჩა.

ჩანავალმა მხემ სისხლის ფერი შეუკადა ღრუბლებს. მეწამულმა ისრუბ-ნა დასერა ცა.

ბოლოს მოხუცმა დაიურვა მტკნარი ტუჩები და ის სიტყვაც ამოთქვა — თითქოს ფოთოლი ყუნწში მოწყდომ ჩამომჩნარ ტოტს:

— შვილო!

შვილი კი ფანჯრის გადაღმა იჯდა, სიკვდილივით ქუში და მდუმარე. აულ რამდენიმე წუთის სიცოცხლედა დარჩენოდა. დრო მაინც საწყოფი იყო — ადგებოდა, შევიდოდა ოთახში, დაიხრებოდა სასოფმალთან, ტუჩებს შეაბებდა ვახურებულ მუბლზე, სიცოცხლისა და სიყვარულის უკანასკნელ ნიშანწყალს მაინც ამოკითხავდა მიმჭრალ თვალეში.

მაგრამ არც მერხეულა, სანამ არ გათავდა ყველაყერი.

მერეღა მივიდა დანჯარასთან, თითისწვერებზე შედგა და შეიხედა შიგ-ოთახში ბნელოდა, ვერაფერი გაარჩია. კისერი წაიგრძელა, თავისი თვა-ლით უნდოდა ეხილა დიადი შუბისგება. მთლად დაიძაბა. კიდევ ცოტაზეც აიწია ზევით, კუნთები დაეძაგრა, სისხლი მოაწვა სახეზე. გული ყელში ებ-გინებოდა სუნთქვამეკრულს, საშინელებას ნოლოდინში თითქოს თმებიც კი ყალყზე დაუკავა.

უცებ, ენა შეეძრა პირში და ბაგეებს ის ერთადერთი სიტყვა მოსწყდა: — დედა!



რა კარგი იყო ომის დროს!



ბიჭისთვის ომი მაშინ დაიწყო, მამლები რომ დაკლეს. გვერდიგვერდ ეყარნენ, კისრებზე სისხლი შესდებდებოდათ. გაუგონარი ამბები მოსდებოდა ერთ-ბაშად შეიდ მამალს წააგდებინეს თავები! ერთი ჯერ კიდევ ამბობდა, რომ ვერცხვებს და ფრთებს და ფხოჭნიდა მიწას. მონღსხულივით შესცნროდა ბიჭი: უცნაური და ამაზრზენი სუნახობა იყო. არა, მაინც საღ აპირებდა გაქცევას ეს უთავო მამალი?

ის კი იცოდა, რომ მამლები მეწისქვილესათვის უნდა მიეტანათ, ისე არ დაფქვავდა ხორბალს. უფლება არ ჰქონდა: ომი იყო.

ბიჭი და დედამისი რაგიდან ორმოცდასამ წელს ვადმოსახლდნენ სოფლად, ბიძასთან.

მამა — ზორბა, ღონიერი კაცი, კარგად ახსოვდა ბიჭს. გრუზა თან ჰქონდა და თბილი ხელისფეხლები. ახლა სადღაც შორს იყო წასული, დედა კი არ ეუბნებოდა — სად.

ორმოცდასამის შემოდგომაზე ბიძის სახლში გერმანელები ჩადგნენ. ბიჭი ეზონი თამაშობდა ხოლმე, გერმანელებს კი ბევრი მარშელადი ჰქონდათ და ხანდახან ბიჭსაც უმასპინძლებოდნენ მარშელადიან და შოკოლადით. ისე, კეთილი ხალხი ჩანდა, მაგრამ ბიძა ეუბნებოდა, ეგენი ყველა არამზადები არიან და აბარვებაც მალე მოუწევთ.

ერთ დღეს გაღმა რაღაცამ დაიბუხუნა, დაიგრგვინა, ბიძამინამაც ოთხთვალას დაუდო საბან-გობანი და ტყეს მისცა თავი. დედა-შვილიც გაიყოლია.

რამდენიმე დღის შემდეგ, ხიზნები რომ ხუტორს დაუბრუნდნენ, იქ უკვე რუსების ჯარი იდგა. შოკოლადი მათ არ ჰქონდათ, საშავაეროდ მზარეული კარტოფილის პიურეს აკეთებდა და ბიჭსაც უწილადეს.

მერე ერთმა ჯარისკაცმა დანა აჩუქა. დანის ტარი სხვადასხვა ფერის პლასტმასის ნაჭრებისაგან იყო აწყობილი და მზის შუქზე სულ ლაბლაბი გაუდიოდა. იატაკზე უამრავი ხოჭო დაცოცავდა. ბიჭს ისინი ვეფხვებად წარმოედგინა და რომელსაც კი მიუხწრებდა, იქვე ხანჯლავდა.

ბიძის სახლში ახლა დაჭრილები მოჰყავდათ. ბიჭი და დედამისი კი ბელელში დაბინავდნენ.

ბიჭს დაჭრილთა კვნესა ესმოდა; იმასაც ზედავდა ხოლმე, წითლად რომ იღვრებოდა ქათქათა სახვევები. სახლში საავადმყოფოს სუნი იდგა — მძიმე, მძაფრი სუნი.

... ის იყო, წითელჯვრიანმა მანქანამ გამოუხვია სოფლის შარაზე და თვითმფრინავიც ტყვიასაჟით წამოვიდა დაბლა, ბომბი ჩამოავლო და გაურინარდა, თითქოს შავმა ქარმა მოუბერაო ხეების კენწეროებს...

მანქანა აფეთქების ტალღამ გადააბრუნა.

სახლიდან სანიტრები გამოვარდნენ, საკაცეები მოჰქონდათ; ჯარისკაცებიც მორბოდნენ, ოფიცრებიც. ბიჭიც იქით გაიქცა.

აყირავეებული მანქანიდან სისხლგაჟონილ ბანდებში გამოხვეული კიდეები გამოჩნდილიყო. ბიჭი შეცბა, უკან დაიხია და ელაცის ჩექმას მიაწყდა.

ჯარისკაცი კრიჭაშვიტის იდგა და უყურებდა, როგორ აწვედნენ დაჭრილებს საკაცებზე. ბიჭი მაჯაში ჩააფრინდა. თბილი ხელი ჰქონდა ჯარისკაცს, ღენტის სუნი ასდიოდა. სალოკა თითის მოსახარზე კი კოჭიერ გასჩენოდა. ბიჭი ამ თბილ ხელს აეკრო.

უცბად ხელმა მხარზე მოუთათუნა და ვერც ვაიგებდნენ ^{უკრუნუნული} ~~უკრუნუნული~~ თუ თავისთვის ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა:

— რას იზამ, უარესიც მოგვსვლია.

მეორე დღეს უძილოებისაგან თვალეზიანობა და ხანძარი, ხანძარი და სხვა ნიჭარმა ჰქუჭყიან ჩვარში გახვეული ფეხი გამაიტანა გარეთ და ხის ძირას დაფლა.

ეს როგორ, უკაცო ფეხით — არ ასვენებდა ფეხი. შეეცადა კიდევ წარმოეღვინა: აი, ადგა ფეხი და ცეკვა-ცეკვით გაუდგა თავის ვზას. ერთხელ სიზნარშიც კი ნახა, ლაზარეთი სწავაგან რომ გადაიტანეს, მერე:

შემოვიდა ოთახში უკაცო ფეხი... რა გინდათ — ჰკითხა ბიჭმა.

— კაცს ვეძებ.

— შენი კაცი აკი ლაზარეთს გააყოლეს.

— სტყუიო, — ვაბრაზდა ფეხი, — ჩემი კაცი სადღაც ტყეშია დამარხული და გირჩევნია მითხრა, სადაო.

...ფეხი მისკენ წამოვიდა. ბიჭს გაეღვიძა და მორთო ტირილი. მერე დედამ ხელში აიხვანა და დაუყვავა.

და მაინც, ბიჭისთვის რომ გეკითხათ, ძალიანაც კარგა იყო ომიანობა: მარტო სწვენზე დარჩენილი რამე-რუხეები რად ღირდა! ამბულები, შპრიცი, ათასნაირი ნემსები... ერთხელ, ბიჭამისი სამხარეთლოში რომ გავიდა და ჩიბუხი გაღაშლილ წიგნზე დატოვა, ბიჭმა შპრიციდან წყალი შეუშხაპუნა წყეთს დველფს. ჩაქრა ჩიბუხი.

რას ჰკვირობდა ბიჭამისი — საიდან სველი თამბაქოთი ბოლოს მიხვდა, — ისევ ის თნავარი თუ იზამდაო.

ის კი ასკინკილათი დახტოდა სიხარულით. ჰოდა, არც არაფერი ეს არ იქნებოდა, ომი რომ არ ყოფილიყო.

მერე, ტყვეებით ხომ მთლად მოფენილი იყო იქაურობა! დაიმაღებოდა ბიჭი ბედლის უკან, გამოიღებდა ტყვიას მარჯიდან, გამოყრიდა წამალს — სულ ცოტას, რაღაც მისხალს თუ დატოვებდა მხოლოდ, ისევ ჩასტენიდა ტყვიას, შემოდანაც წამალს წააყრიდა და დააყენებდა მაწაზე. მიადებდა მერე ანთებულ ასანთს, — ბახ! — და ტყვიაც წულით აიჭრებოდა ჰაერში.

ეგ იყო, ერთი ზარბაზანი რაა, ისიც არ დაუტოვეს, თორემ ვაი ბედურების ბრალი! რა ექნა, რაღაც ნაფოტიდან ავტომატი მოიჩგო, დარბოდა ეზოში და ვისაც კი გადააწყდებოდა სულიერს, ადვილზევე ცხრილავდა.

ერთხელაც ნაცრისფერ კონვერტში ჩადებული ბარათი მოიტანა ფოსტალიონმა. ბიჭმა იცოდა, ასეთი კონვერტით მამა უგზავნიდათ ხოლმე წერილებს. დედამ გახსნა, ამოიღო ბარათი და წაიკითხა.

— კი მაგრამ, რატონია დაბეჭდილი ასოებიო? — გაიკვირვა ბიჭმა. — მამა წიგნებსაც ბეჭდავს?

დედა ხმას არ იღებდა.
 — კითხვა მასწავლე! მე თვითონ მინდა ვიკითხო მამაჩემის წერილები, —
 აჭუჭლუნდა ბიჭი.
 — მეტი აღარ მოვა წერილი, — უთხრა დედამ. — დამთავრდა ომი.
 — მამაჩემი სადღაა?
 — მამამ გაიშარჯვა.
 დედა ტირილდა. ბიჭი შებღვნილი დააბიჯებდა ეზონა.



თარგმნა ვინა ჭუმბურიაშვილი



ანდრის იაკობაძის

ახალა მოთოვს

წერილების ყუთში კარლის ზარმა ისევ აღმოაჩინა ცოლის სახელზე გამოგზავნილი ბარათი. მას ეს უდიდი ხანია აღარაინ უგზავნიდა წერილს. მომწვანო კონვერტი გახია:

„ძვირფასო მასწავლებელო!

რა ხანია თქვენთვის აღარ მომიწერია. გუშინ ოფიციალურად გავშორდი კმარს. იქნებ ასე სჯობს. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ისევ ერთ ჰერქვეშ გვიწევს ცხოვრება. სადმე რომ პატარა კუთხე მომადებინა, აღარ დავებებ, მაგრამ ჭერჯერობით ვერაფერი აღმოვაჩინეთ. მასთან ნაცნობები დადიან, ზოგჯერ ქალებიც კი და საღამოობით არ ვიცი სად გადავივარგო. ხშირად გადაბმულად ორ სეანსს ვესწრები კინოში, და მაინც არ მინდა წუწუნს მოვყვე. ხშირად გიხსენებთ. თქვენ ყოველთვის გვეუბნებოდით: „მართალი მაინც თეთრი თოვლია, თუმცა თვითონვე ეფინება შავსა და სველ მიწას“. ამიტომაც გწერთ თქვენ“...

მოწაფეები იშვიათად თუ იგებენ თავიანთი მასწავლებლების სიკვდილს. იქნებ მართლა მომეთავსებინა გახცხადება „რიგას ბაღსში“: „ლიტერატურის მასწავლებელი ბენეტა ზარი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. წერილებს ნულარ გამოუგზავნიან“. მე ერთი უბრალო ფიზკულტურის მასწავლებელი ვიყავი და მეტი არაფერი. ამიტომ თქვენს წერილებზე ლამაზი პასუხის გაცემა არ შემიძლია. ზაფხულობით უნდა იცურაოთ და ბურთი ითამაშოთ, ზამთრობით ციგურებიტა და თხილამურებით უნდა ისრიალოთ.

კარლის ზარმა პალტო გაიხადა და წერილი თანჯრის რაფაზე დაადო. რაფაზე სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ხელით ნაწერი კონვერტები დაგროვილიყო. ზოგიერთი გახსნილი იყო, ზოგი კი ისევ ისე ხელუხლებელი, წაუკითხავი.

კარლის ზარი ის-ის იყო რედაქციას დაკრძალვიდან დაბრუნდა.

ვინც ოცდაათი წლის წინათ მძლეოსნობით იყო დაინტერესებული, კარგად ემახსოვრება კარლის ზარი და რუდოლფ ერნისი — ლატვიის საუკეთესო სტა-
 იერები, ნიადავ რომ ეტოქებოდნენ ერთმანეთს სარბენ ბილიკებზე, ზემპონის
 წოდებისათვის თუ ახალი რეკორდის დასყარებისთვის მხოლოდ იქნა ორნი
 იბრძოდნენ. არც ერთს არ ჰქონდა დათმობის სურვილი. **ქრისტეშულე**
 მეტოქეს მხოლოდ მისი ზურგისთვის ეცქირა, მთელი დისტანციის მახშილზე.
 ბოლო ხუთი-ექვსი წელი კი იმისთვის იკლავდნენ თავს, ვინ იქნებოდა ბოლო
 და ვინ — ბოლოს წინა. შეჯიბრში მონაწილეობა ერთდროულად შეწყვიტეს
 და ტრიბუნაზე გადაინაცვლეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე სამჯერ თუ მი-
 საღმებთან ერთმანეთს, დიდი-დიდი ორჯერ თუ უთქვამთ ერთმანეთისთვის
 თბილი სიტყვა. მაგრამ კარლის ზარი მხოლოდ დღეს მიხვდა პირველად, რომ
 მიწამ და ყვავილებმა დაფარა ის ერთადერთი მეტოქე, ვინაც შეიძლებოდა
 მისი საუკეთესო მეგობარი გამხდარიყო.

(იქნებ მეც მოგვდე დღეს, რატომაც არა? იფდგები და მოგვდეები. უკვე
 სამოცდასამისა ვარ. სპორტსმენების სიცოცხლის ხანგრძლივობა დნერთმაც
 არ უწყის და ჩენი ასაკის კაცი მზად უნდა იყოს აღსასრულისთვის. ვინ იცის
 იქნებ იმაღამაც წამიყვანოს მიქელგაბრიელმა.)

კარლის ზარი შუა ოთახში იდგა და მშვიდად, აუღელვებლად ფიქრობდა
 თავის სიკვდილზე. მისი ხნიერი, დანაოჭებული პარისაზე და ღრმად ჩაცვიფ-
 რული თვალები ოდნავადაც არ გამოხატავდნენ სინანულს. ბეჭებში ოდნავ
 მოხრილიყო, მაგრამ მოძრაობა ისევ მოქნილი ჰქონდა. გუშინ დაენიძლავა ვი-
 ლიუმს — ბენიტას ძმას, ყირას გავჭიმაეო. ძუნწმა ვილაუმმა წააგო და სტა-
 დიონზე ტაიმის შემდეგ ერთი ბოთლი ლუდი იკისრა.

(თუ მოგვდეები და მოგვდე, არც პირველი ვიქნები და არც უკანასკნელი)
 კარლის ზარი ისევ სიკვდილზე ფიქრობდა. ოთახის კედლებზე დიპლომები
 ეკიდა, ბუფეტის მანის მიღმა ვერცხლის თასები ჩამწყვრივებულიყო. დიპლო-
 მებს სიყვითლე შეჰპარვოდა, თასებს კი მტვერი დადებოდა და ჩამუქებული-
 ვნენ. არ უყვარდა თასების გამოლაგება და მტვერის გადაწმენდა, ათასნაირი
 მოგონება აეშლებოდა ხოლმე.

(ახლა ვივახშმით. კვება დღეში სამჯერ არის საჭირო. თუ სიკვდილი
 მიწერია, გემრიელად მაინც ვივახშმო).

კარლის ზარმა პატარა კარადა გამოადო. შიგ ოთხი კვერცხი, ძეხვის ნაჭე-
 რი და პური იდო. ყველაფერი ეს სასაფლაოზე წასულამდე იყიდა. სურსათი
 ვახშმისთვისაც იყო გათვალისწინებული და საუზნისთვისაც. სადილს ჩვე-
 ულებრივ სასადილოში ჭამდა, ვახშმისა და მეორე დღის სანოვაგე კი შინ
 მოჰქონდა. ტაფა ქურაზე დადო. ასანთს გაპკრა და ცისფერი ალი აშიშინდა.

(ამაღამ თუ მოგვდი, საუზმეც აღარ დამჭირდება. ამიტომ მაგრად უნდა
 ვივახშმო, მაგრად და მსუყედ).

კარლის ზარმა ბებრული, მაგრამ ღონიერი ხელით მთლიანად დაჭრა ძეხვი
 და ტაფაზე დააწყო. ძეხვი რომ შეიწვა, ზედ ოთხივე კვერცხი დაახალა. ტაფა
 პირთამდე აივსო და მადის აღმძვრელი სუნი დატრიალდა, ბოლოს პილპილიც
 გემოზე მოაყარა.

(ამდენ საქმელს უღვიწოდ რა მოგრევა! ვრცობა, ჩემს სიცოცხლეში პირ-
 ველად მომიხდება ღვინის მარტო დალევა. ზოგიერთები ამბობენ, მარტო სმას
 წუნი არა აქვსო).

კარლის ზარმა ნაკლული ბოთლი მონახა. ეს ვილიუმთან ერთად დალია, როცა ლუსისმა ოთხმოცდაათ მეტრზე ტყორცნა შუბი. ბოთლში ერთი-ორი ჭიქა კიდევ ჩარჩენილიყო.

რაკი ჭურჭლის დარეცვა ტირივით სძულდა, კარლის ზარი პირდაპირ ტაფიდან ჭამდა ხოლმე, მაგრამ დღევანდელი ეახშმისთვის ატყორცნა ერთი-ორი თევზი და აღმოაჩინა კიდევ — კვდელზე ეკიდა, დაბადების დღეს მისთვის ცოლმა. თევზი ყავისფერი იყო. ზედ მწვანე ქალაქი და ყვითელი მზე ეხატა. („ახლა უფრო ლამაზი ოთახი გვექნება“, — თქვა მაშინ ბენიტამ. და აი, დღეს კარლისმა გადაწყვიტა ლამაზად ეეახშმა. დგინო რომ დალია და ერბოკვერცხიც შეიჭამა, თევზიდან ისევ გამოანათა მწვანე ქალაქმა და ყვითელმა მზემ. კარლისს გული დაწყდა, რატომ წინათ არ ეკამდი საჭმელს ასეთი ლამაზი თევზიდანო.

(ბენიტა, ბენიტა, ნეტა რატომ დაეჭორწინდი? ალბათ იმიტომ, რომ მტკიცედ მჯეროდა საკუთარი თავის... შენ ყიდულობდი ხელსახოცებს, თევზებს, წიგნებს... ყველას ატყუებდი, არწმუნებდი: ლამაზები და ძლიერები ხართო. მეც მატყუებდი. ამიტომაც ვცხოვრობდით, ალბათ, ასე სიამტკბილობით. ამიტომაც გწერენ, ალბათ, მოწაფეები დღემდე წერილებს. წერილების წერას ურჩევნიათ — ივარჯიშონ. ხუთი წლისა და ექვსი დღის წინათ გარდაიცვალა ბენიტა).

კარლის ზარს ჭურჭელი არ დაურეცხავს: ტაფა ღუმელზე დატოვა, ბოთლი მაგიდანზე.

(მაგრად გეახელი, ასე რა დანაძინებს!)

კარგა ხანს სცემდა ბოლთას ოთახში. ძილი არა და არ ეკარებოდა. ფანჯარასთან მივიდა და ერთი ლამაზი კონვერტი გახსნა.

„გუშინ დედა მომიკვდა. სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა, სანიტრებმა დედა საკაცზე დააწვენეს და კიბეზე ჩაიყვანეს. დედა ფერწასული იყო და ჩუმად კვანესოდა. პირველ სართულზე მუსიკა გრიალებდა — ჩვენი მეუღლის შვილის დაბადების დღე იყო. თვითონ გოგო კიბეზე იდგა და ვიღაც ახმახთან კოცნაობდა. „კიდევ ერთმა ბებრუხანამ გაფშიკა ფეხები“, — თქვა ბიჭმა. რატომ არიან ყველანი ასე გულგრილები? საავადმყოფოში ექიმს ველოდეთ, უფრო მძიმე ავადმყოფთან წასულიყო. მედიცინის და ტელეფონზე ასწავლიდა ვიღაცას კოფტის მოქსოვას. თურმე ასე ყოფილა — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო. ყველანი ისე მშვიდი და გულგრილი არიან, თითქოს ველოხიბედებს აწყობდნენ ჩვენს საამქროში. ტირილიც კი არ შემეძლო. არც არაფერი მესმოდა, ვერც ვერაფრით ვშველოდი დედას...“

(ძვირფასო გოგონა, შეიძლება ამაღამ თეთრი თოვლი დაედოს დედაშენის საფლავს, ჩემი ცოლის საფლავს და იქნებ სულ მალე ჩემ საფლავსაც. გახსოვს, რას ეუბნებოდა ჩემი ცოლი მოწაფეებს? სიმართლე თეთრი თოვლის მხარეზეა, თუმცა ის თვითონ ეფინება შავსა და სველ მიწას).

კარლისმა წერილი რაფაზე დადო და გადაწყვიტა, ზეწარი გამოეცვალა. ძველი მოჭმუჭნა და ისე შეაგდო კარადაში. ქათქათა, გატკიცინებული ზეწარი დიდხანს ათვალიერა. საბნის დამატებაც გადაწყვიტა. ვითომ რატომ არ უნდა გაინებივროს თავი? რაკი არ ეძინებოდა, ერთი კონვერტი კიდევ გახსნა.

„თქვენ, ალბათ, გახსოვთ ანდრისი — ყველაზე ლამაზი და ყველაზე ჰკვიანი ბიჭი ჩვენს კლასში. გამოსაშვებ საღამოზე მითხარით: სულითა და გულით

ორივეს ბედნიერებას გისურვებთ. ჩვენ ჯერაც არ დავქორწინებულვართ და როგორც ჩანს, არც არასოდეს დავქორწინდებით.

დღესაც მითხრა ანდრისმა, ნამდვილად მიყვარხართ, მაგრამ ვერაფრით შეპყრებიან იმ აზრს, რომ ჩვენი ლამაზი ურთიერთობა საქორწინო სარეცელთ დაგვირგვინდეს. მეუბნება, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ეს ურთიერთობა — ერთადერთი მშვენიერება, რაც დედამიწაზე შემორჩენილია. ვიცი, მართალი არ არის. არც მე ვარ საკმაოდ ჭკვიანი, რომ დავარწმუნო. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ?”

(მე და ბენიტასაც გვეშინოდა, ბავშვების გასაზრდელად ფული არ გვეყოფა-თქო. ერთის გაზრდას კი მოვახერხებდით, მაგრამ მასწავლებლები ვიყავით და ვიცოდით, ერთი ბავშვის გაზრდა არ შეიძლება. დედისერთები ეგონისტები იზრდებიან. და აი, ჩვენ ეგონისტიც ვერ გავზარდეთ).

კარლის ზარმა შემდეგი კონვერტი აიღო, ბალიშზე დადო და დინჯად დაიწყო ტანსაცმლის გახდა. ახალი ზეწარი გრილი იყო და ნება-ნება თბებოდა. მან თვალები დახუჭა და ჩათვლიმა კიდევ — ამ დროს ყურსისპირთან კონვერტმა გაიშრიალა. წერილი ამოიღო.

„ჩვენო საყვარელო ძვირფასო მასწავლებელო!

ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს — გოგონა შემეძინა. გადავწყვიტე, თქვენს პატრისაცემად ბენიტა დავარქვა. ხშირად გიხსენებთ ზოლმე, გოგონა რომ წამოიზრდება, ერთად გესტუმრებით. ნახვამდის!

თქვენი ანიტა და ბენიტა“.

(გვესტუმრე, გვესტუმრე!)

არა, კარლის ზარს არა და არ ეკარებოდა ძილი. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და კიდევ ერთი წერილი აიღო.

„...და აი, მოთხრობების წერა დავიწყე. ალბათ წაიკითხეთ „უნ მაკლის ლიტერატურა“. არ მოგეწონათ არა? არც მე მომეწონა. რაღაც მეეჭვება, რომ ეს მოთხრობები ოდნავ მაინც უკეთესს გახდიან ადამიანს. არ შემიძლია, რბევა მივცე ხალხს. არასოდეს არ მესმოდა, რატომ არის სიმართლე თეთრი თოვლის მხარეზე, რომელიც თვითონ ეფინება შავსა და სველ მიწაზე?! რა ხშირად გვიმეორებდით ამას. გინდოდათ შვება გვეგრძნო, გინდოდათ გვეყვარებოდით. რატომ არასდროს არ ვითქვამთ ჩვენთვის: იფიქრეთ და იმოქმედეთ თვითონ, არ შეშინდეთ, იყავით დამოუკიდებელი და გაბედულნი.“

თქვენი ა. იაკუბანი.“

კარლის ზარი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა რატომ არ ეძინებოდა — კბილების გამოხეხვა დააეწყა. კბილგამოუხეხავი ვერასოდეს იძინებდა.

(რომელ კოსტიუმს ჩამაცმევინ კუბოში? საერთოდ ყველას შავს აცმევინ. შავი კოსტიუმი ყოველთვის მიხდებოდა).

კბილები გამოიხეხა, გულმოდგინედ გარეცხა ჯაგრულა და იგრძნო, ასლა დაეძინებოდა. რულმორეული შავ ზღვას იხსენებდა, ლივლივა, ლივლივა წყალს. მაშინ ისე ღრმად ჩაყვინთა, რომ ზედაპირზე ძლივს ამოაღწია.

დილას გაიღვიძა თუ არა კარლის ზარმა, ჭამა მოუნდა. ჩაოცვა და სადღაც სასაუზმოდ წავიდა.

კატარის ზირნიტისი



„სხვადასხვა ხანგრძლივობის ხალოები“ — ასე ეწოდება თიარ ვაცაეტიბის ახალ პოეტურ კრებულს, რომელიც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოკლეწიგაა უკანასკნელა ორი წლის ლატვიური პოეზიის მერიდაასსე. მისი პოეზია გამოირჩევა ხაინტერესო ძიებებითა და აღმოჩენებით, სამყაროსთან და საკუთარ თავთან პოეტის მოქალაქეობრივადამოკადებულებით. აგი უმოწყალოდ ამიშელებს ისტორიისა თუ ჩვენა ცხოვრების შრეებს, რათა დაუჯარაყოფ გვიჩვენოს, როგორც ამადლებული, ასე ვროტესკული, მშვენიერა თუ მახინჯი მხარეებსა ადამიანისა ურთაერთობებსა და სახაიყვამი. ო. ვაცაეტიბის წიგნის კითხვისას ასეთა გრძნობა გუუფლებათ, თათქოს მაჯისცემის უხანჯავდეთ თქვენთვის ძვარფასსა და ახლობელ ადამიანს.

იმასტს ზიედონასს შემოქმედებითი კრელო შრავალფეროვანისა და ამოუწურავეი; მოქალაქეობრივ-აქტუალური მათოსათ ვაუღესთილა ლექსების გვერდით ხუელ სხვა — წმანდა ღარიკული და ფერწერული ჩანასატყბო ვესჯდება. ასლახან 45 წლის იმასტს ზიედონასს ლატვიის სახალხო პოეტის წოდება მიენიჭა.

ვისმა მედსეყავს ლექსების სუნთქვა, ასე ვოქვათ, ფართო და სივრცასეულია. მასთვის დამახასიათებელია პოეტურა სატუაციების დრამატისში და სწრაფვა იდეალებისაკენ. პოეტა ქალის ლექსებში უწყება ავბეჭდილი ამ არხებითა, რაც სიყვარულის საკითხში მხოლოდ ქალისთვისა ნიშნულია. პოეტა პოზაერა ფერებით ხატავს ქალქებას და სიფლის სანახებს.

მარის ჩაგლითი, როგორც შემოქმედი, ადამიანის ხუელს კვლევითაა ვატაცებული. პოეტს საადვ აინტერესებს სამყაროში პარაფრეზის დანიშნულებას საკითხა. მის პოეზიაში ნიშანდობლივია პაღაბას ბაბინის დამირისმირება მანქანების გუგუნთან და ჩვენა საუკუნის მღელვარე რიტმში ადამიანის ძაერ საკუთარ თავის ძიება.

ვატაუტს ლუღესსი თავისებური ნათელი ხაღვეებით ვვაზიდავს. მისა პოეზია მდიდარა სამყაროში წამიერი მოკლეწიგის მხატვრული ვაახრებით. პოეტა დადა ადამიანური სიბოთი ხატავს ძვარფასი ადამიანების სახეებს. მასთვის ნიშანდობლივია არსებობის ძიება მშობლურ ხაღხში და ხედამარუღის ან სხვისეუღის მოშორება ამ არხებითისათვის.

ამ ავტორთა ხმები სხვადასხვანაირია.

მათ ყველას ადამიანისა და სამშობლოსადმი სიყვარულის დადა გრძნობა აკრთიანებთ.

ქ. რივა

ოიარ ვაცაეტიბისი

ლატვიის სახალხო პოეტი

წერილების ციკლი

რაც წერთება გაიმეოათდნენ —
ათასში ერთხელ შეიძლება შენიშნოს კაცმა
ასეთა რაღაც,
მე მხოლოდ ერთხელ დავინახე ეს საოცრება
და დღესაც დავიდ გულსედიანი.

ეჭვი არ არის, სიხარული ჰქონდათ ვეება,
 შესვედრის ფაში იყო ცისებრ ამედიანი
 და ამიტომაც ცერულს ცეკვაფდნენ მწვანე ჭაობში თაუდაფორწყებით...
 პო, როგორც ვიტყუით — მწვანე ჭაობში,
 ხოლო მათთვის — მთელ სამყაროში.
 ისეთი ნაზი ცეკვა იყო... და ცეცხლოვანი,
 რომ გაგიფიქრე აღტაცებით გაბრუებულმა:
 ეს ნათლობაა, ან ქორწილი, იქნებ ქელესიც...
 ფრთაფრთას აკრულნი ტრიალებდნენ, როგორც ფერხულმა —
 ხასაცაილთნი და ამავე დროს ღრმააზროვნულნი,
 გამაცაცაბა უცნაურად და ტანმა მიგრძნო, —
 დასაბამიდან ასეთი რაჰ არ განმიცდია:



არ მიმზერია დაძეული ვარსკვლავებისთვის,
 აღარ წავსულვარ პირველ ცეკვაზე,
 არ დამიძარხავს მეგობარი უერთგულესი
 და აღარასდროს არ მიგრძენია ზედმეტად თავა.



იმანტს ზიელონისი

ლატვიის სახალხო პოეტი

სიმღერა ბოძა

— დაისარე, ნუ დგახარ, როგორც ბოძი გზისპირად.
 თქვი: კარგი ხარ, საამო... შეგედრება ვერაფერს.

— არა, კარგი არა ხარ, როს ვედრება არ გეხმის.
 გამიღიმე, სიცოცხლეს ჩემსას ვამდენი ვარდივით.

(ბაბუაწვერა ყვითელია ხავერდივითა,
 ბაბუაწვერა — თქროსფერია...)

მალე ზარიც იქნება... ქალი ავა... ღუმილი.
 ჯვარცმა — მატარებელი... თუმცა კაცმა იცოდა,
 რომ ყოველი დამთავრდა; ვერ შეხვდება ვერასდროს...
 მაინც ღუმლა ჯაუტად, გზისპირ მდგარი ბოძივით.

(რატომ არის, იახამნის ყვავილები —
 გვაგონებენ ბაწაწინა ჯვრებს?)



ვიზმა ბელშევიცა

ჩემს ბულკეთილს



თაფლიკაცი სარ, არ კითხულობ, რად ვიღობი ან სად მივდივარ.
 ხედავ, ვით ხატავს ყმაწვილი ჩვენი:
 ადამიანი სახლზე დიდია.
 შენ კარგად იცი, რომ ვიყავი ობოლ ყვავილთან,
 რისთვის ვიყავი ან სად მივდივარ.
 ხედავ, ვით ხატავს ყმაწვილი ჩვენი:
 ადამიანი სახლზე დიდია.

და, როს ვბრუნდები ფერადი გზიდან,
 შენ მეგებები — სახლზე დიდი და
 ჩემს მაგიდაზე ყვავილების ცისფერი სუნთქვა —
 სახლზე დიდია.



მარის ჩაკლაისი

ნ ი შ ა რ ა

რას აღარ ჩაიწერს კაცი
 ამ ერთადერთ ფირზე?
 ყურთან მიადებ და უსმენ;
 (ზღვა რჩება მსოფლოდ ფონასთვის;
 ზღვა რჩება, როგორც ჰაერი,
 განა შენ ჰაერს უსმენ?)
 ლოკოკინას ტკივილს უსმენ,
 განდევილი ლოკოკინას თხოვნას,
 ლოკოკინის ძარღვებიან იმედს.
 ძძაფრი, ამადლებული,
 მასუხია ქართა:
 წყალქვეშეთშიც გაიმარჯვებს,
 ერთხელ მაინც გაიმარჯვებს
 სამართლზე.

მოისმინე გაფრთხილება — ყეფა —
 ხულთამბრძოლა ზღვის,
 მოისმინე სშირი სუნთქვა
 ხელაბთა და დელფინთა,
 მცირე თევზთა შეშფოთება
 და ვეშაბთა შეკითხვები —
 ბუერი რამე შეგადლია ჩაიწერო
 ამ ერთადერთ ფირზე.

მაგრამ ღამით, ვარსკვლავების
 ზემორე

მოელვარე მიწას ვხედავ,
 ვით ვეება ლოკოკინას,
 — იგი ჩემს სახლს აყურადებს.



ვიტაუს ლულენსი

ქებათა ქება ბებერ ცაცხვს



დიდება შენდა, ცაცხვო ბებერო, შენ დაკოყრილმა, დახეთქილმა ხელებმა დაგრგეს, ჟანგამოვლილმა — შავი ჭირი რომ გადიტანეს.

დიდება ტოტებს, რომელთაც მადლა აუზიდავთ ყარყატის ტახტი. დიდება რტოებს — მოშიების მშფოთვარე ქალაქს.

დიდებათელია, რომ ამწყალობებ თოვლისფერ ყარყატს თბილი ბუდეთი, მოშიებზე ხარ შეყვარებული, და ეს მართლაც საუცხოოა, რამეთუ მატლებს მოშიები ანადგურებენ.

კურთხეულ იყოს მწვანე კენწერო, სად მზე ისვენებს გვირგვინოსანი. ოდეს სათიბში წკრიალებენ ელვა-ცელები, ოდეს კოცნიან ქერათმიან ალვაქალწულებს მარდი ბიჭები. შენს კენწეროში იმალება მწუხრის მთოვარე.

დიდება ზეო, ფულუროს შენსას! ფულურო შენი სიმბოლოა შეურყევლობის. თუმცაღა იგი ორმა მსოფლიო სასაკლამო დაგინახშირა — ომმა და მაინც... პირთამდე ავსებ არა ტკივილით, არამედ თაფლით, ფუტკრის თაფლით — ისევ და ისევ.

დიდება შენს ტანს, ცადატყორცნილს. მე მჯერა, მხოლოდ მათ უჭირავთ თეთრი ღრუბლები, ბუმბულოვანნი და ზეციერნი. ღმერთმა ნუ ჰქნას და, რომ გადატყდეს ტანი შენა, ზეაღმართული — სამუდამოდ დაგვამწუხრებდა. და ღრუბლები სვენებ-სვენებით ჰორიზონტზე ჩამოწვებოდნენ... და გუთნისდედა გუთნისდედას ვერ შეამჩნევდა, მეგობარი კი მეგობარს ვერ დაინახავდა.

დიდება, ცაცხვო, შენს ჯიუტ ფესვებს, რამეთუ დგახარ ასე ამაყად, შენ არ დაიწყებ ბაქაობას შენი ფესვებით. დაე, ისინი დარჩნენ ისევ მიწის წიაღში, ნიშნად უსაზღვრო თაემდაბლობისა. ფესვთა დიდება და ძლიერება შენს ქედმოუხრელ ტანში იცოცხლებს უკუნითი უკუნისამდე. დიდება ფესვებს ბებერი ცაცხვის. კაცთა შორის ვისდა ძალუძს მთელი სამი საუკუნით მიწის სიღრმეში გაიდგას ფესვი?

დიდება შენდა, ცაცხვო ბებერო, დიდება შენს დებს, ძმებს, ნათესავებს — ნეკერჩხლებს, მუხებს, აშოლტილ არყებს!

დიდება ბებერ ხეებს, — დამაშვრალ, დაკორძილ და მარადიულ ხელებს მიწისას!

ლატვიურიდან თარგმნა რეზე კალანდიამ





ჩინგიზ აიტმატოვი

ჯარისკაცის ვაჟიშვილი

მამა პირველად კანოში ნახა. მაშინ ხუთი წლის ბიჭუკელა იყო.

ეს ამბავი დიდ, თეთრ ფარეხში მოხდა, სადაც ყოველ წელს ცხვარს პარსავენ ხოლმე. შიშვერით დახურული ეს ფარეხი ახლაც დგას საბჭოთა მეურნეობის დაბის ბოლოს, გზის პირას, მთის ძირში.

აქ დედასთან ერთად მოიბრუნდა ხოლმე. დედამისს ჯანგული ერქვა, ტელეფონისტად მსახურობდა მეურნეობის ფოსტაში. ყოველ ზაფხულს, ცხვრის პარსვა დაიწყებოდა თუ არა, შეგებულებას იღებდა, ოესვისა და დოლის კამპანიებზე კონტრაქტორთან გატარებული საზეგანაკვეთო დღე-ღამეების სანაცვლოსაც ზედ მიამატებდა და დამხმარე მუშად დგებოდა საპარს პუნქტში. აქ იყო, სანამ პარსვა ჩამთავრდებოდა. პარსვაზე ნარდობლივი ანაზღაურებაა, პოლა, საკმაო ფულის ვაკეთება შეიძლებოდა. მისთვის კი, ჯარისკაცის ქვრივისათვის, მართლაც მისწრება იყო ყოველი ზედმეტი გროში. რა დიდი ოჯახი მას ჰქონდა, თვითონ იყო და მისი ვაჟიშვილი, მაგრამ ოჯახი მაინც ოჯახია: საზამთროდ სათბობი უნდა მოიმარაგო, ფჭვილიც იყიდო, სანამ არ გაძვირებულია, ტან-ფეხზედაც უნდა ჩაიცვა... და კიდევ რამდენი რამაა საჭირო.

ბავშვს შინ ვერავის დაუტოვებდა, ამიტომ თავისთან მიჰყავდა სამუშაოზე. აქ დარბოდა იგი მთელი დღეობით — გამურული, ბედნიერი, მეცხვარეებსა და მათ ბანჯგვლიან ნაგაზებში გართული.

პირველად მან დაინახა ფარეხთან მოსული მოძრავი კინო და პირველი გავარდა, რათა ეს სასიხარულო ამბავი ყველასათვის ეუწყებინა:

— კინო მოვიდა! კინო!..

სურათის ჩვენება შებინდებულზე დაიწყეს, როცა მუშაობა მომთავრდა. სანამ სადამო მოაწევდა, ქანცი გაუწვდა ლოდინით, სამაგიეროდ ასწილ აუნაზღაურდა ეს თმენა: ომის ფილმი იყო. ფარეხის ბოლოში, ორ ბოძზე თეთრი ტილო გაჰკიდეს და ზედ მაშინვე ატყდა დაკადავა, ბათქა-ბუთქი, ცაში სტვენით აიჭრნენ მამხალეები, თეთრად გადაანათეს მსკდომარე ქურვეებით დაფლეთილი სიბნელე, მიწაზე გაკრული მწვერავეები. ჩაქრებოდნენ მამხალეები და მწვერავეებიც უმაღ წამოიშლებოდნენ, კვლავ წინ გაიჭრებოდნენ ხოლმე. ტყვიამფრქვევების ცეცხლოვანი ტყვიებიც ისე ფატრავდნენ წყედიადს, რომ ბიჭს სული ეგუბებოდა. აი, ეს იყო ნამდვილი ომი!

ბიჭი და დედამისი ყველაზე უკან, მატყლით გატენილ ბარდანებზე დასხდნენ. აქედან უკეთ ჩანდა ეკრანი. ბიჭს, რასაკვირველია, სულ პირველ რიგში ჯდომა უნდოდა, ზედ ეკრანთან, სადაც პირდაპირ მიწაზე ჩასხდნენ მეურნეობიდან მოვარდნილი ბავშვები. კიდევ დააპირა იქითკენ გაეზარდა, მაგრამ დედამ კალთა დაუჭირა:

ერჩენენული

— გეყო, დილიდან საღამომდე დაბინძურ, ჩემთან იქნება და მუხლებზე დაისვა.

ზუზუნებდა კინოაპარატი, ომა გრიანებდა. ხალხი დაძაბულად ადევნებდა ეკრანს თვალს, დედა ოხრავდა: დროდადრო, როცა ტანკი პირდაპირ მათ დაეღირებოდა, შიშით კრთოდა და შვილს მაგრად იხუტებდა გულში. აქვე, ბარდანებზე მკდარი ვიღაც დედაბერი მალბალ მწარედ ამწლიკუნებდა პირს და ჩიფჩიფებდა:

— ღმერთო, რა ხდება, ღმერთო!..

მას კი არც ვგრავრიგად ეშინოდა, პირიქით — ზოგჯერ, როცა გერმანელები მიწაზე გაიშხლართებოდნენ, სიხარულისაგან აღარ იყო. ჩვენები თუ წაიქცეოდნენ, არაფერი, ეგონა, პა და პა, ისევ წამოდგებიანო.

თმში ისედაც სასაცილოდ ეცემიან ხოლმე ადამიანები. ზუსტად ისე, როგორც ომობანას მოთამაშე ბავშვები. მანაც იცოდა ამნაირად წაქცევა, გამოქანდებოდა და წაიქცეოდა, თითქოს ვინმემ ფეხი დაუდოო. მართალია, მტკივნეულად დაეცემოდა, მაგრამ რა, უნალ წამოხტებოდა, კვლავ შეუტევდა მტერს და ნატკენიც დაავიწყდებოდა. ესენი კი ვერა, ველარა დგებოდნენ. უძრავად იწვნენ მიწაზე და პატარა ბორცვებსა ჰგავდნენ. ბიჭს სხვანაირად წაქცევაც შეეძლო, აი, მუცელში ტყვიანაკრავი კაცი რომ იქცევა ხოლმე. უცებ კი არ იქცევა, ჯერ მუცელზე იტაცებს ხელებს, მოიკრუნჩხება, იარაღს ხელს შეუშვებს და ნელა ეშვება ბალახზე. თავდაც წაქცეულა ასე, მაგრამ მაშინვე უთქვამს — არა ვარ მკვდარიო და კვლავ ბრძოლაში ჩაბმულა. ესენი კი, ნორჩა, წაიქცეოდნენ და უკვე ველარა დგებოდნენ.

გრიანებდა ომი, ზუზუნებდა კინოაპარატი. ეკრანზე ახლა არტილერისტები გამოჩნდნენ. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხს მოათრევდნენ ფერდობზე, ზემოთ და ზემოთ ამოჰქონდათ, მოდიოდნენ აფეთქებების ბლღვირსა და კვამლში, თავზეც ტყვია და ცეცხლი აწვამდათ. ფერდობი ფართო იყო, გრძელზე გრძელი, ცის მთელ კაბადონს ფარავდა. და ამ ფართო ფერდობზე, აფეთქებათა შავი კვამლით აღულებულ ფერდობზე, არტილერისტების პატარა ჯგუფი მოიწევდა. ისე მოაბიჯებდნენ, ისეთი იერი ჰქონდათ, კაცს, მათ შემყურეს, საგულეში გული უძგრიალებდა, პირთამდე ეცსებოდა სიამაყითა და ტკივილით, რაღაც საშინელისა და დიადის მოლოდინით. სულ შეიღნი იყვნენ. ტანსაცმელი შემოფლეთოდათ. ერთი მათგანი შეხედულად რუსს არა ჰგავდა და, იქნებ ბიჭს მისთვის არც მიეჭტია ყურადღება, დედას რომ არ ეჩუჩიულა:

— შეხე, მამაშენია...

ეს იყო და ეს, ამ წუთიდან მამამისი გახდა ის არტილერისტი. მთელი ფილმიც მასზე, მამამისზე იყო. სულ ჯველი ყოფილა მამამისი, მეურნეობის ჭაბუკებს ჰგვანებია. არც ისე ბრვე იყო, მრგვალი სახე ჰქონდა, სწრაფი თვალები, მრისხანედ რომ უელავდნენ მტერისა და კვამლისაგან ჩაშავებულ სახეზე. თავდაც სწრაფი და ფიცხელი, კატასავით მოქნილი იყო. მხრით შესდგომოდა

და ეძალებოდა ქვეშეხს. აი, მობრუნდა, ვილაცას გამოსძახა — ჩქარა, ნუ
აყოვნებ, ჭურვებიო! მაშინვე აფეთქების გრილმა დაფარა მისი ხმა.

- დედი, ესაა მამაჩემი? — ჰკითხა ბიჭმა დედას.
- რა თქვი? — ვერ გაიგო დედამ შეკითხვა. — წყნარად იჯექი, უყურო.
- აკი მითხარი, მამაშენიაო.
- პო, მამაშენია. ოღონდ ნუ ლაპარაკობ, სხვებს ხელმძღვანელებს



რატომ, რისთვის უთხრა შვილს ტყუილი? იქნებ, უნებლიეთ წამოსცდა, არც იფიქრა, ამას რა მოჰყვებოდა. ან იქნებ ქმარი გაახსენდა და აღელვებულმა ისა თქვა, რაც ენაზე მოადგა. ბიჭმა კი, ბენტერა ბიჭუკელამ, ყველაფერი დაიჯერა. სიხარულმა აფუტრთხილა გული, დააბნია ამ მოულოდნელმა, მისთვის უჩვეულო სიხარულმა. უკვე ეამაყებოდა მამა, თავისი მამა, ჯარისკაცი. აი, მამაც ამასა ჰქვია! აი, სწორედ ესაა მამამისი, არადა, ბიჭები სულ აბრაზებენ, მამა არა გყავსო. ჰოდა, ახლა დაინახონ, უყურონ, ამ მწყემსებმაც უყურონ, შეავლონ თვალს! ესენი ერთთავად მთებში დაეხეტებიან, ბავშვებს რიგიანად ვერცა სცნობენ. როგორ არ ეხმარება მათ, ხან ბაჭში ცხვარს შეარეკინებს, ხან მათ მოჩხუბარ ნაგაზებს გააშველებს, ესენი კი სულ ისეთ რამეებს ეკითხებიან, გულს უწყალებენ ხოლმე. ყოველი მწყემსი, ვინც არ უნდა იყოს, — არადა, რამდენი მწყემსია ქვეყანაზე! — აუცილებლად ჰკითხავს:

- აბა, ვაჟკაცო, რა გქვია?
- ავალბეკი.
- ვისი შვილი ხარ?
- ტოკტოსუნის.

მწყემსები უცებ ვერ ხვდებიან, ვინ არის ტოკტოსუნი.

— ტოკტოსუნის? — გადმოიხრებიან უნაგირიდან და კვლავ ჰკითხავენ: — ეგ რომელი ტოკტოსუნია?

- ტოკტოსუნის ბიჭი ვარ მე! — კვლავ თავისას ამბობს ავალბეკი.

დედამ დაარიგა, ასე თქვით, უსინათლო ბებიაც სულ ამას ეუბნებოდა — მამაშენის სახელი არ დაივიწყო. იმ ავგულმა ამის გამო ერთხელ ყურად კი აუწიწმარიტა.

— აჰა... დაიცა, დაიცა! შენ ხომ აი, ფოსტაში ქალი რომ მუშაობს, ტელეფონისტა, იმისი შვილი ხარ, ხომ მართალია?

- არა, ტოკტოსუნის ბიჭი ვარ მე! — თავისაზე დგას ავალბეკი.

მაშინ კი მწყემსებიც ნელ-ნელა ხვდებიან, რა ამბავიცაა.

— სწორია, მართლაც ტოკტოსუნის ბიჭი ხარ, ყოჩაღ! ისე გითხარით, შენი გამოცდა გვინდოდა. არც უნდა გეწყინოს: მთელი წელი მთაში ვართ, აქ კი ბალახივით იზრდებით ბალღები. გვიჭირს ბალღების ცნობა.

ნერე ვარგა ხანს ლაპარაკობენ ერთმანეთში და მამამისის გახსენებას ლაპობენ, არიან ერთ ჩურჩულში. ამბობენ: სულ ყმაწვილი წავიდა ჯარში და ბევრს უკვე აღარც ახსოვსო. მადლი უფალს, ვაჟიშვილი დარჩენია, თორემ რამდენი უცოლშვილო ბიჭი წავიდა ომში და აღარავინ არის, მათი სახელი შეინახოსო.

და აი, იმ წუთიდან, როცა დედამ უჩურჩულა — შეხე, მამაშენიაო, ეკრანზე ხანახი ჯარისკაცი უკვე მამამისი გახდა. ბიჭი უკვე ისე ფიქრობდა მასზე, როგორც შვილი იფიქრებდა თავის მამაზე. რალაცით მართლაც ჰგავდა იგი მამის გამოგზავნილ ფოტოსურათზე აღბეჭდილ პილოტურიან ჯარისკაცს — ის

სურათი მერე გადაიდებინეს, შემინულ ჩარჩოში ჩასვეს და კედელზე ჩამოკიდეს.

ნამან კი, კინოში, ავალბეკი შვილის თვალთ შესციცინებდა მამას და მის ბავშვურ გულშიაც ნელინელ დადებოდა ცხელი ტალღა დიდძალი სიყვარულისა და სინაზისა. თითქოს მამამაც იცოდა, შვილი რომ უცქერდა მას ცდილობდა, ეკრანზე ამ თავისი წამიერი სიცოცხლით ისეთ ვაცად გაეჩვენებინა შვილისთვის თავი, რომ სამუდამოდ ხსოვებოდა შვილს, სამუდამოდ ეამაყა მამით — გარდასული ომის ჯარისკაცით. და იმ წუთიდან აღარც ომი ეჩვენებოდა ბიჭს გასართობ რამედ, აღარც ადამიანების წაქცევა ჩანდა სასაცილო და სალადობო. ომი საგულისხმო. შემაშფოთებელი, საშიში გახდა. ბიჭმაც პირველად მამან განიცადა შიში ახლობელი ადამიანის გამო, იმ ადამიანის გამო, რომელიც მას მუდამ აკლდა.

ზუზუნებდა კინოაპარატი, ომი გრიალებდა. გამოჩნდნენ შეტევაზე წამოსული ტანკები. მრისხანედ მოიწევდნენ. მუხლუხოებით აღნიშებდნენ მიწას, კოშკურებს ატრიალებდნენ და შეუჩერებლავ აფრქვევდნენ ცეცხლს. ქანცგაწყვეტილი არტილერიისტები კი კვლავ ზემოთ მოათრევდნენ თავიანთ ქვემებს. „ჩქარა, მამი, ჩქარა! ტანკები მოდიან, ტანკები!“ — აჩქარებდა მამას ვაყიშვილი. ბოლოს მართლაც ამოათრიეს ქვემები, თბილის ბუჩქებში შეაყენეს და ტანკებს სროლა აუტეხეს. იქიდან ტანკებიც ისროდნენ. უამრავი ტანკი იყო. საზარელი სანახავი ჩანდა მათი კვეთება.

შვილს ეჩვენებოდა, რომ თავადაც იქ, მამის გვერდით იყო, ცეცხლისა და კვამლის ღვართქაფში. ტანკებს ცეცხლი და კვამლი რომ მოედებოდა, ან თვლებზე მუხლუხოები შემოაწყდებოდათ და ადგილზევე იწყებდნენ ბრძოლ, მრისხანედ ტრიალს, ბიჭი სიხარულისაგან აღარ იყო, აღტაცებული ხტოდა დედის მუხლებზე. როცა ჩვენი ჯარისკაცები წაიქცეოდნენ ქვემებთან, იგიც ეუჩნებოდა და იყუნებოდა. არადა, სულ მცარდებოდა არტილერიისტების ჯგუფი, ზედიზედ კედებოდნენ... დედა ტირიდა, ცრემლი ჩამოსდიოდა გათაკარებულ სახეზე.

ზუზუნებდა კინოაპარატი, ომი გრიალებდა. უფრო და უფრო ფიცხლებოდა ბრძოლა. მტრის ტანკები თანდათან უახლოვდებოდნენ ქვემებს. ლაფეტთან დახრილი მამა რაღაცას გააფთრებით ჩაჰყვიროდა საველე ტელეფონის ყურმილს, მაგრამ ამ ალიაქოთში აღარაფრის გაგონება შეიძლებოდა. აი, კიდევ ერთი ჯარისკაცი წაიქცა ქვემებთან. წამოდგომას ლამობდა, მაგრამ ველარ წამოდგა, მიწაში წარგო თავი. აი, ორნიღა დარჩნენ — მამა და კიდევ ერთი ჯარისკაცი. გაისროლეს ქვემები, მერე კიდევ ორჯერ ზედიზედ გაისროლეს. მაგრამ ტანკებიც მოახლოვდნენ. აგერ, ქვემებთან დაეცა და აფეთქდა ჭურვი. ეკრანი ცეცხლმა და კვამლმა დაფარა. ახლა უკვე ერთადერთი ჯარისკაცი წამოდგა — მამამისი. კვლავ ქვემებთან მიიჭრა. თვითონ გატენა, თვითონ დაუმიზნა. ეს ბოლო გასროლაა. კვლავ აფეთქების ბდღვირი ფარავს ეკრანს. აი, ზედ ქვემებთან გასკდა ჭურვი, გადაყირავდა ქვემები. მაგრამ მამა ჯერაც ცოცხალია. ნელ-ნელა წამოდგა, ტანკისკენ მიდის. ტანზე აკვამლებულ ნაფლეთებად ჰკიდია შემომწვარი ფარაჯა. ხელყუმბარა უჭირავს. უკვე აღარაფერი ესმის, აღარაფერს ხედავს, საბოლოო ძალას იკრებს და მიდის.

— დადექ, ვერსაით წახვალ! — ყვირის და ტანკს ხელყუმბარას უღერებს.

და წამით ქვავედება ასე მდგარი, სიძულვილისაგან, ტკივილისაგან სახემომსტვალული.

ღელამ ისე მოუჭირა ხელი შვილს ნაწამი, ბიჭს ლამის გული შეუღონდა. უნდოდა გამსხლტარიყო, მანისაყენ გაეარდნილიყო, მაგრამ უცხად ტეცხლის გრძელი ჭავლი გამოიჭრა ტანკის ღულიდან და მამაც მოეჭრებოდა წაიქცა. დაფორდა მიწაზე, წამოწვევა სცადა და კვლავ დაეცა, უცხად გაწვა, ფართოდ გაშალა ხელები...

კინოაპარატი გაჩუმდა, შეწყდა ომი. ერთი ნაწილი დამთავრდა. მექანიკოსმა შუტი ანთო, რათა უირი შეეცვალა.

შუტის ანთებაზე ყველამ თვალები მოხუჭა და აახამხამა. თავი დააღწიეს კინოს სამყაროს, თავის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. მაშინ იყო, ბარდანებოდან გადნობილი ვეალები, მხიარული ყიყინით გაიქცა ეკრანისაკენ:

— ბიჭებო, მამაჩენი იყო! დაინახეთ? მამაჩენი იყო, ახლა რომ მოკლეს...

ასეთ ზანტს არავინ ელოდა, ვერც ეკრანზე გაეგო, რა მოხდა. ბიჭი კი ყიყინით ვარბოდა ეკრანისაკენ, სადაც, პირველ რიგში, მისი მეგობარი ბიჭები ისხდნენ — მათი ახრი იყო მისთვის მთავარი. წამით უჩვეულო, უხერხული ღუმილი ჩანოდა ფარეხში. ხალხი ვერ მიმხვდარიყო, ასე რა ახარებდა ამ ბატარა ბიჭს, რომელსაც არასოდეს ენახა თავისი მამა. ღუმდნენ, მხრებს იჩეჩდნენ დაბნეულები. მექანიკოსს ფირის კოლოფი გაუფარდა, ყდრიალით გაგორდა და ორ ნაწილად გაიყო. ამას არავინ მიაჭტოა ყურადღება, აღარც მექანიკოსი ვარჯილა ასაღებად. იგი კი, ჯარისკაცის ვაჟიშვილი, ომში დაღუპული ჯარისკაცის ვაჟი, თავისას იძახდა:

— ხომ დაინახეთ, მამაჩენი იყო!.. მოკლეს! — და რაც უფრო ღუმდა ხალხი, მით უფრო ასკდებოდა გულს. ვერ გაეგო, მასავით რატომ არ უხაროდათ, არ ეამაყებოდათ მამამისის ვაჟკაცობა.

ვალაც უფროსთაგანმა უკმაყოფილოდ დაუტატანა:

— ჩუ, ნუ ამბობ ეგრე!

მაგრამ მეორე შეეკამათა:

— რა მოხდა! ნართლა ომში მოუკვდა მამა, ეგრე არ არი?

მაშინ მეზობლის ბიჭმა, მოსწავლემ, პირველმა გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა:

— რის მამაშენი, რა გაყვირებს? მამაშენი კი არა, მსახიობი იყო. თუ გინდა, აგერ, ბიძია მექანიკოსსა ჰკითხე!

უფროსთაგან ხმა არავის გაუღია, არ უნდოდათ, ეს მწარე. მაგრამ ლაზარე ოცნება წაერთმიათ ბავშვისათვის. მექანიკოსის იმედზე იყვნენ: ჩამოსული კაცია, უბრალოდ აუხსნას, რაც არის და როგორც არისო. ყველამ მისკენ ქნა პირი. მაგრამ მექანიკოსმაც არაფერი თქვა, აპარატში შერგო თავი. ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს საქმეში იყო ვართული.

— არა, მამაჩენი იყო, მამაჩენი! — არ ცხრებოდა ჯარისკაცის ვაჟიშვილი.

— აბა, რომელი? რომელი იყო მამაშენი? — კვლავ შეეკამათა მეზობლის ბიჭი.

— აი, ისა, ტანკისკენ რომ მიდიოდა, ხელყუმბარა რომ ეჭირა, ვერ დაინახე? აი, ასე წაიქცა...

დაეცა იატაკზე და გულალმა გაიჭინთა — უნდოდა ეჩვენებინა, როგორ

წაიქცა და მოკვდა მამამისი. ზუსტად ისე ჰქნა, როგორც ეკრანზე ნახა. გულ-
აღმა გაიშხლართა, ფართოდ გამალა ხელები.

უნებლიეთ ყველას გაეცინა. იგი უკვე მოკლული ჯარისკაცი იქნა და
არ იცინოდა. კვლავ უხერხული დუმილი დადგა.

— რა არის, ჯანგულ, სადა გაქვს თვალები? — უკრუნუნებდას
მწყემსმა დედაბერმა და მაშინვე ყველამ დაინახა შეილისკენ გაჩქარებული
ჯანგული. მკაცრი, მწყუხარე სახე ჰქონდა, ცრემლი მოსდგომოდა თვალებში.

დასწვდა შეილს, აიყვანა.

— წავიდეთ, შეილო, წავიდეთ. პო მამაშენი იყო... — უთხრა ჩურჩულით
და ფარეხიდან გაიყვანა.

უკვე მთვარე ამომალღებულიყო. ღამის მუქლურჯ სივრცეში თეთრად
კრთოდნენ შორეული მთების მწვერვალები. ქვემოთ კი ტრამალი გაწლილიყო,
ვეებერთელა და ბნელი, როგორც მორევი...

და მხოლოდ ახლა, პირველად თავის სიცოცხლეში, შეიცნო ბიჭმა დანა-
კარგის სიმწარე. ანაზღად უჩვეულოდ ეწყინა, ეტკინა, ემწარა ომში მოკლუ-
ლი მამის სიკვდილი. უცვებ მოუწინა ჩახუტებოდა დედას, ატირებულყო და დე-
დაც ატირებულყო. მაგრამ დედა დუმდა. ბიჭიც დუმდა. ცრემლს ყლაპავდა,
მაგრად მოენჯილა ხელები.

რა იცოდა, რომ სწორედ ამ წუთიდან მის გულში დაიწყო სიცოცხლე
მამამისმა, რა ხანია ომში დაღუპულმა ჯარისკაცმა.

თარგმნა ბიორგვი ბაძანიაძე



სორონბაი ჯუსუვი



ბ ა რ ა

ის დაიბადა უამს გაზაფხულის,
ცაშა რო ყრია თქროს თაველი,
როცა იონჯათ, როცა სამყურისა
საესეა ხოლმე ჩვენა მთა-ველი.

თავს დედა აღვა, მხნე და კეთილი,
თბილად დუოდა თივის საწოლი,
დღეები იყო ტკბილ რძედ მედინა
და ღამეები იყო განცხრომის.

არ შორდებოდა დედას წუთითაც,
თან დაჰყვებოდა უკან ლანდიცა —
ან მის ბუნჩულა ძუძუს წუწნიდა,
ან ყელი მქონდა მისკენ გაწვდილი...

კვლავ გაზაფხულის არის დაძვევი —
დრო განუწყვეტელ დღესასწაულთა
და ბაჩად იქცა ის შარშანდელი
კვიცი და თვალში სევდა ჩაუდგა.

ქვეყანას წესს და კანონს უწუნებს,
ცხოვრებას ავ-კარგს ან რას მიხვდება? —
აკვრებოდა კვლავ თბილ ძუძუებს,
მაგრამ მწარეა დედას წიხლები.

„მე უნდა მქონდეს რძე თავსაყარი,
მე ვართ შენი შვილი ნამდვილი“, —
ხულ ჭირვეულობს კვიცი ახალი
და უკან დასდევს დედას ლანდივით.

რამ დაუკარგა ბალახს სიქორფე,
როგორ წაერთვა ფერი იონჯას? —
და ბაჩა იმ ტკბილ დღეებს იგონებს,
როცა თდესდაც კვიცი მქვიოდა.

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძე



შ. ნიკიტი

ს ვ ი ლ ო გ ი ლ ი

გ აზაფხულის სიო ქროდა, ახალგანთეთქილი ნაზი ფოთლები ბავშვის ფეხფულა კულულებივით ირხეოდნენ. დღე იწურებოდა, დაისის მეწამულ სხივებს შორიადე ღრუბლები გაებო და სამხედრო ქალაქის წინ გაწოლილ დაღანა ველს ცერად ეფრქვეოდა.

ჯარისკაცებმა სწორედ იმ დღეს ჩაიცვეს საზაფხულო ფორმა და მწყობრში მდგარნი უფროსს ელოდებოდნენ. პოლკოვნიკი ოპნოსოვი ჯარისკაცებს მიესალმა:

— გილოცავთ საზამთრო მეცადინეობების დანთაერებას, იმედი მაქვს, ზაფხულის მონავალი სწავლებაც ასევე წარმატებით ჩაივლას.

მერე პოლკოვნიკმა სამხედრო-პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა გამოძახება დაიწყო და წარჩინებულთ საჩუქრები და ქების სიგელები გადასცა.

როცა რაფშან მუროდ-ზოდა გამოიძახეს, პოლკოვნიკს მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა მზემოკიდებული, აკვალთული ჭაბუკი. წამიც და პოლკოვნიკთან უფროსი სერჟანტი ჩერნოვიც გამოიძახეს. იგი იმ ათეულის მეთაური იყო, სადაც რაფშანი მსახურობდა. პოლკოვნიკმა მეომრებს სწავლასა და სამსახურში მოპოვებული წარმატება მიულოცა და თან ისიც უთხრა, ორთავეს მოკლევადიანი შვებულება მოგეცათო.

ფრიადოსნებს ყველამ მიულოცა დაწილდობა, მშობლებისა და ახლობლების წრეში სასიამოვნო დასვენება უსურვეს. გახარებული რაფშანი მხიარულად გაიძახოდა:

— ნუ წუხართ, უქმად დროს არ დაეკარგავთ, დავისვენებთ კიდეც და გემოზეც წავიქეიფებთ.

ჩერნოვი კი დუმდა. სახეზე ჩრდილმა გადაურბინა და წარბებს შორის ნაოჭად გაეძაბა. ამხანაგებმა ჩერნოვს უგუნებობა შეამჩნიეს და ჩაცხრნენ. გაახსენდათ, ჩერნოვის ოჯახი ლენინგრადის ბლოკადის დროს რომ დაიღუპა და წასასვლელი აღარსად ჰქონდა.

დუმილი რაფშან მუროდ-ზოდამ დაარღვია:

— ამხანაგო უფროსო სერჟანტო, მოდიოთ ერთად წავიდეთ, ჩვენთან, უიშ-

ლალში. ჩვენ ყველანი ხომ ერთი ოჯახის შვილები ვართ და ჩემი მშობლებიც დეიძლ შვილივით მიგიღებენ.

ჩერხოვი შეცბა, ამხანაგის მიპატივებამ გული აუჩუყა.

— მოწვევისათვის დიდი მადლობა, ჩემო რაფშან, მაგრამ უცხო მხარეში რომ წამოვიდე, უცხო ადამიანები შევაწუხო, როგორღაც უკეთესად მიმაჩნია...



გარსშემოხვეულმა ამხანაგებმა ჩერხოვს სიტყვა შეაწყვეტინეს:

— ნეტა საუბერხულო რა არის. საიუღამოდ ხომ არ უსახლდები, ისტუმრებ და წამოხვალთ. სალდათს ყველგან და ყოველთვის კარგად ხვდებიან, წაყევით, ამხანაგო სერჟანტო, არ ნახავთ რა კმაყოფილი დარჩებით.

ჩერხოვის გვერდით მდგარმა უზბეკმა ჭაბუკმა კი თავის მხრივ დასძინა:

— უზბეკებს ერთი ასეთი ანდანა გვაქვს: „პირველი ნახვა გაცნობისაა, მეორე — დამეგობრების“.

— მართალია, — დაემოწმა რაფშანი, — მაგრამ ჩვენთან ყოშლალში პირველივე ნახვაზე უმეგობრდებიან.

— წადი, წადი. — კვერი დაუკრა აქამდე მდუმარედ მდგარმა სერჟანტმა პეტროვმა. — ხომ გახსოვს ჩვენი რუსული ანდანა: „მთა მთას არ შეხვდება, თორემ ადამიანი ადამიანს ყოველთვის“.

ამხანაგების შეგონებამ გასჭრა, ჩერხოვმა თავი ასწია და გაიღიმა:

— რაკი ასე ძალიან ნირჩევთ, ეტყობა, მართალი ხართ. კეთილი, კეთილი, ჩემო რაფშან, მოვიგდოთ დილით მხრებზე ზურგჩანთები, ქამარზე მათარა დავიკიდოთ და შენი ყოშლალისაკენ გავუყვებო ვნას.

— არის, ამხანაგო უფროსო სერჟანტო, ხვალ დილით ყოშლალ როპატი-საკენ ავიდოთ გეზი. სიხარულით წარმოთქვა რაფშანმა, სამხედრო წესისამებრ მკვეთრად და გარკვევით.

სერჟანტმა პეტროვმა რაფშანისა და ჩერხოვის სამხედრო ყაიდაზე წარმართულ საუბარს მხარი აუბა და უფროს სერჟანტს მიუბრუნდა:

— გეძლევათ ასეთი სამხედრო დავალება: პირველი — დაამყაროთ მჭიდრო კავშირი რაფშანის ოჯახთან, მეორე — გაეცნოთ კოლმეურნეობის საქმეებს, შეკრიბოთ ყველა ცხოვა მინდურის სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე, მესამე — ბოლომდე გამოსცალოთ კოლმეურნეობის გმირების სადღეგრძელოდ შემოთავაზებული თასი და ბოლოს ჩანმრთელი და უვნებელი გამოცხადდეთ ნაწილში. დავალება ნათელია?

— ნათელია, ამხანაგო სერჟანტო, — ასევე სამხედრო ყაიდაზე მიუგო რაფშანმა ჩერხოვის ნაგვიროდაც.

ახლა კი გულიანად ახარხარდნენ აქამდე თავშეკავებული ჯარისკაცები.

მზე ჩაესვენა. ზეცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ის მწვანედ ახასხასებული მინდორი, ერთი საათის წინ ხალხს რომ ვერ იტევდა და მუსიკითა და სიცილით იყო სავსე, ახლა სიჩუმემ მოიცვა, გაირინდა.

სერჟანტი ჩერხოვი გასამგზავრებელ სამზადისა მორჩა და ყაზარმიდან სუფთა პაერზე გავიდა. სამხრეთული ღამის წყვდიადი უხილავს ხდიდა იჭაურობას, მაგრამ თვალი ამ უკუნ სიბნელესაც მიეჩვია და ჩერხოვმა სასწავლო მინდურისაკენ მიმავალი ბილიკი დალანდა. პარმალიდან გადმოვიდა, თავის ფიქრებთან განმარტოება მოუხდა. რაფშანის ოჯახთან მოსალოდნელმა შეხვედრამ, ძმობასა და მეგობრობაზე ჩამოგდებულმა სიტყვებმა უნებურად საკუ-

თარი ოჯახი მოაგონა, გაახსენა ის ძვირფასი ადამიანები, არცთუ დიდი ხნის წინათ ასე რომ ეალერსებოდნენ და ახლა სამუდამოდ გაუქრნენ. მოაგონდა ლენინგრადიდან ოთხითად კილომეტრით დაშორებული, ვოლხოვისპირა, სოცვარელი მშობლიური სოფელი. მოაგონდა დედა, მამა, დაიკო, ნათესავები, ყველა ის ადამიანი, ვინაც ამ შვიდი წლის წინ კეთილი სურვილებით მიმავალი გააცილა. საოცარი სიცხადით ცოცხლობდნენ მოგონებებში. აი, თქალნათლივ ხედავა დაიკოს ჩახუტებულ დედას, იმათ გაშტერებულ შხერასაც, თითქოს იმთავითვე გრძობდნენ იმ სამუდამო განშორებას. ახლა მამის სახება დაუდგა თვალწინ. „აბა, ჩემო ბიჭიკო, ნითხარი, რა არის ამქვეყნად ახალი?“ — ჰკითხავდა ხოლმე ცნობისმოყვარე მოხუცი, ის სამოცდახუთი წლის კაცი, ახალგაზრდებს ტოლს რომ არ უდებდა კოლმეურნეობის მინდვრებზე შრომასა და გარჯაში. დიახ, ეს ყველაფერი ნამდვილი ცხოვრება იყო და ახლა მხოლოდ მოგონებად იქცა. მამა გერმანელებმა მოკლეს, დედას ლენინგრადის ბლოკადის დროს ამოხდა სული. დაიკო კი გერმანიაში გაიგდეს და მისი ალი-კვალაც აღარ იცის.

მწარე ფიქრებმა ჩერნოვს გული მოუწურა. ყელში რაღაც მოაწვა, აღრი-ალებას აღარაფერი უკლდა. თავი დიდი გაჭირვებით შეიკავა. უეცრად ნაბიჯი ააჩქარა, გულის გადასაყოლებლად ახლად გამოკვირტული ბუჩქების თვალი-ურება დაიწყო. ყური მიუგდო ამრიალებულ ფოთლებს, მერე ხეცაზე მსხვილ-მსხვილი კანკაშა ვარსკვლავების თვლა დაიწყო. უნდოდა საკლთარ თავს გაქცეოდა, ებღაუჭებოდა ბუნებას, მასში ეძებდა მშველელსა და დამხმარეს. ავი ეჩვენებოდა კიდევ, რომ ბუნებას ესმოდა მისი, უთანაგრძნობდა, გულის ამომშანთავ ფიქრებს უამებდა.

„ნუ დარდობ, სერიოჟა, შენ ხომ მარტო არა ხარ, ჩვენ ყველა შენთანა ვართ. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, ჩვენი ხალხის ღირსების დაცვას შეეწირა შენი მშობლები, შენი დაიკო, თვითონ შენმა ახალგაზრდობამაც წამებასა და გაჭირვებაში გაიარა. ჰოდა, ახლა სადაც უნდა წახვიდე, ხალხი გულში ჩაგაკრავს, ღვიძლ შვილივით მიგიღებს. მოხუცები — ეს შენი დედ-მანიაა. ახალგაზრდები შენი და-ძმანია. სწორედ ამ ადამიანებისაგან შედგება საბჭოთა ხალხების შეხმატკბილებული ოჯახი“.

სერგეი ჩერნოვი ყაზარმისაკენ გამობრუნდა, რაფშანი ელოდა და მისი ნაბიჯის ხმა რომ გაიგონა, ფეხზე წაწოდგა.

- ამხანაგო უფროსო სერჟანტო, თქვენა ხართ?
- დიახ, მე ვარ.
- ყველაფერი მზად არის.
- კეთილი, დილით გავემგსავრებით.



მეგობრები ყიშლალის მახლობლად გაჭრილ ფართო არხზე გადავიდნენ. მსუბუქ ნიავს მინდვრებიდან ყიშლალისკენ მიმავალი ხალხის ხმები მოჰქონდა, ისმოდა ფოთლებით დაბჯრულ ხეებში შემალული ბელურების ჟიჟივით-ცოტაც და ყიშლალის მთავარ ქუჩაზეც გავიდნენ. გზის ორთავე მხარეს ახალ-დარგული ხეები იყო ჩამწყვრივებული.

— აი, მოვედით კიდევ, ამხანაგო უფროსო სერჟანტო.

— იქნებ შევხერხებულყავით, მტვერი ჩამოგვებერტყა, თავი მოგვეწესრიგებინა.

— არ არის საჭირო, ამას შინაც მოვესწრებით.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს მაგალითი უნდა ვუჩვენოთ. არ იქნება ლამაზი შენი მშობლებს ასე წარდგომა.



არბიელებმა ჩანთები მოიხსნეს, ჩამოიბერტყეს გიშნასტურები, გაიწმინდეს ჩექმები, დაიბანეს ხელ-პირი და ქაპრებიც მჭიდროდ შემოიკრეს.

— რაფშან, აბა გამიძეხი, ახლა უკვე შენ ხარ ჩემი მეთაური, — ვახუშტია ჩერნოვი.

— კეთილი, ავრე იყოს, — ღიმილით გაეპასუხა რაფშანი.

მაგრამ შინაწინ მიღწევა არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. ჩაიხანასთან, კოლმეურნეობის სამმართველოსთან თუ ყიშლაღის საშუალო სკოლასთან რაფშანს ადვილი ნაცნობ-მეგობრები შემოხვდნენ. მთელი სულითა და გულით ესალმებოდნენ და განა მარტო რაფშან მუროდ ზოდას, სერიოჟა ჩერნოვსაც, ეპატრიფობდნენ, სტუმრად იწვევდნენ. ჰაბუკი არბიელები შინ მოსულებიც არ იყვნენ. რომ რაფშანის დედამ უკვე იცოდა მათი მოსვლის ამბავი, ქალი ვაგი-შვილსა და მის ანხანავს ჭიშკართან გამოეგება. დედამ სიყვარულით ჩაიკრა მონატრებული შვილი და ცრემლი წააკდა, ომში დაღუპული უფროსი ვაგი გაახსენდა. რაფშანმა დედას ჩერნოვი წარუდგინა. ქალი სტუმარსაც სიყვარულით მოეხვია და შუბლზე აკოცა. დედას აღერსმა და ცრემლებმა სერიოჟაც ააფთხოაქა, მასაც აუკოცა და ივალზე ცრემლი.

რაფშანი და სერიოჟა ვარდებით მორგულ ვრცელ ეზოში შევიდნენ. სახლის მარჯვნივ, მწვანე გუმბათივით ახიდულ, დაბურულ თელის ძირში ელექტრონათურა ჩახჩახებდა და მთელი ეზო დღესავე იყო განათებული.

— შენოდო, შვილებო, გაიხადეთ ტანსაცმელი, წამოწექით, დაისვენეთ. სანამ ძროხებს მოვწველი, მანამ მამაშენიც მოვა, — თქვა ქალმა და ჯარისკაცების ზურგჩანთები კუთხეში მიაწყო.

მერე ცეცხლი დაანთო, ზედ საჭმელი შემოდგა და კოლმეურნეობის ფერმაში ძროხების მოსაწველად წავიდა.

რაფშანისა და სერიოჟას მოსვლა და სასტუმრო ოთახის ხალხით გავსება ერთი იქნა. ყოველი მომსვლელი განსაკუთრებულ ყურადღებას სერიოჟას აქცევდა. ეკითხებოდნენ რაფშანს — ვინ არის, სადაა, კეთილი იყოს მისი მობრძანებაო.

ასე იყო პირველ, მეორე და მესამე დღეს. რაფშანის სახლი მომსვლელებს გულარე იტევდა. მერე კი ჯარისკაცებმა კოლმეურნეობა დაათვალიერეს. იყვნენ ფერმაში, მინდვრებში, ბაღებში. სერიოჟა ყველგან გრძნობდა კოლმეურნეთა განსაკუთრებულ პატივსცემასა და გულთალობას.

მეცხრე ღამეს, ანუ ნაწილში დაბრუნების წინა ღამეს რაფშანის სახლი კვლავ ხალხით აივსო. ვინ აღარ მოვიდა, — ეს იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე პატამ სარქორა თუ რაფშანის სკოლის მეგობრები: ყიშლაღის საბჭოს თავმჯდომარე ხობლუჯა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის აგრონომი ღიმიტრი პოზნიაკო. აივნის ერთ ბოლოში დაუახურნიანი მუსიკოსები ისხდნენ.

ერთი-ორი სადღეგრძელო რომ დაიღია, სერიოჟა წამოდგა და ორიოდ სიტყვის წარმოთქმის უფლება ითხოვა:

— მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც აგერ ეწასი წველო ერთი სიტყვაც აღარავისთვის მიუწერია: დედა, მამა, დაიკო ჩემს წერილებს ველარ წაიკითხავენ. სისხლისმსმელმა პიტლერმა წამართვა მშობლები, ნათესავები, ახლობლები, მაგრამ ბედმა მაინც შემიბრალა: აი, უკვე მეცნო დედას ვეძახი ჩემი თანაპოლკელის, რაფშანის დედას. ნება მომეცით, ჩემი ახალი ოჯახის, ჩემი მეორე დედის, მამისა და ძმის სადღეგრძელო შევსვა. შევსვა იმის აღსანიშნავად, რომ თავს უკვე აღარ ვთვლი ობლად და მარტოსულად.

მერე, როცა რაფშანმა დედას სერიოჟას სიტყვები უთარგმნა, ქალი წამოდგა და მასთან მივიდა.

— ჩემო შვილო, ამ დედის გულიც შენი გულის მსგავსად ვაყიშვილის დარდით არის დაფლეთილი. აი, ეს ჩემი უფროსი ვაჟის, რახმანის სურათია, — თქვა ქალმა და კედელზე დაკიდულ სურათს მიათითა. — ისიც წყვეული პიტლერის ხელითაა მკვდარი. ჰოდა, თუ დედას მეძახი — იყავ რაფშანის ძმა და იმ ჩემი დაღუპული ბიჭის მაგივრად მეც შვილად მიგიღებ. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სიხარული ნუ მოგაგლოს. მე შენ სიროჯს დაგიძახებ, რა გქნა, ვერ ვეჩვევი თქვენებურ სახელებს.

— სერიოჟა — სიროჯი. ძალიანაც კარგი, თითქმის ერთნაირად უღერს, — მოიწონეს ნასიამოვნებმა სტუმრებმა.

ბოლოს დედამ ორი ტაჯიკური არახჩინი გამოიტანა, ერთი რაფშანს და ახურა თავზე, მეორე სერიოჟას და ორთავეს სიყვარულით მოეხვია, მაგრად ჩაკოცნა.

მეორე დღით ჯარისკაცები გასამგზავრებლად გაემზადნენ. რაფშანის სახლთან გამცილებლები მოგროვდნენ. ლოცავდნენ, მშვიდობიან მგზავრობას უსურვებდნენ. სერიოჟა ჩერნოვმა მოსულთ დიდი მადლობა გადაუხადა და ისევ რაფშანის დედას მიუბრუნდა:

— ნახვამდის, ძვირფასო დედა, მიიღეთ მადლობა ახალშეძენილი შვილობილისგან. თქვენთან მოსვლამდე მარტოობის ტკივილი მაწუხებდა, ახლა კი ეს გული თქვენი დედობრივი სიყვარულით არის სავსე. — ჩერნოვი დედობილს მოეხვია. ისიც ათრთოლებულ ხელს სერიოჟას თავზე უსვამდა და შუბლზე კოცნიდა:

— არა, შენ ობოლი აღარ გქვია, ახლა ჩემი ვაყიშვილი ხარ, რაფშანის ძმა — სიროჯი. როცა კი მოხვალ ამ ჩვენს სახლში, რაფშანისგან არ გამოგარჩევთ, ყოველთვის სულითა და გულით დაგიხვდებით.

ამ მდელვარე წუთებმა სერიოჟას სიხარული მოჰგვარა, გული დედობილისადმი უდიდესი მადლიერებით მქონდა სავსე და გამოთხოვებისას თავი რამდენჯერმე დაუკრა. მერე გუნებაშეცვლილი და გახალისებული რაფშანთან ერთად ნაწილისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

თარგმანი ვიქტორ კეჭელაძის

მუშის კანონი

სიყვარულის ცეცხლი



სიყვარული არის ცეცხლი — სიამე და ხატანჯველი,
გწვავს და მოგწონს — რა ყოფილა ცთა ჯაღღო და სახჯელი.

სანძურს თუკა გაეცლება, დგახარ სიყვარულის ტაძრად,
ძისი ცეცხლი შორით გადაგავს, სწორედ მაშინ გაქცევს ნაცრად.

ან ნურახდროს გაეყრები, ანდა ხაშველს ნუღარ ელა,
გწვავს და მოგწონს — რა ყოფილა ხაზარული მწუხარებდა!

თარგმნა გიორგი ნიჟნაინიძე

□



ალასი აივაზიანი

ჯივის ფიზიოლოგია

არაქელა პუტილოვის ქარხნიდან მოსულიყო, კოსტანა—თურქეთიდან. ჭალაქში ერთი ეკლესია იყო, ერთიც — მჭედლების ქუჩა. არაქელას სხვადასხვა საბუთებით გატენილი ერთი დიდი ჩანთა, ერთიც კიდევ ტყავისსაყელიანი პალტო ჰქონდა და სომხეთში ქარხნის დაარსებას ფაქრობდა. კოსტანას თავისი თავისა და რამდენიმე ფოტოსურათის გარდა არაფერი ეზადა, მთელი ოჯახიდან მარტო მასდა გამოეხსრო ცოცხალა.

რევეკომმა არაქელას ერთი ქარახიხა რამ ცარიელი სარაია გამოეყო, აღრე თავლა თუ რაღაც იმის მაგვარი რომ ყოფილიყო, იქ შეხვდნენ ერთმანეთს არაქელა და კოსტანა. ერთი თვე ის სარაია ძველებურადვე დარჩა, რადგან არაქელა რევეკომში სიარულს უნდებოდა ყოველდღე. ერთხელაც რევეკომიდან ახალდაბრუნებულმა არაქელამ ჩანთა გაბრაზებით მოიხროლა.

— არ მინდა, ძმაო, არა... კაცს პუტილოვის ქარხანაში მიმუშავია და... ზედავ, ახლა რა დღეში ვარ? სომხებს მუშის სახელის გაგონებაც კი არ უნდათ...

კოსტანა მჭედლების ქუჩაზე გაეშურა. ერთ სახელოსნოში ორი მჭედელი მუშაობდა, ვინ გამოუთქვა და რისთვის, რა ვიცო — ერთს „ფრანცუესკი“ ერქვა, მეორეს „ახგლისკი“. მზიარული ხასიათისანი იყვნენ და ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე „პოპ-ლას“ აყოლებდნენ. მეორე სახელოსნოში „კალოსნიკი“ ონიკა და „კალოსნიკი“ გვეორა მუშაობდნენ, ეს „კალოსნიკი“ ორთავეს ვვარჩევითა ჰქონდა მიკვრებული. მათ სახელოსნოში ველო- და მოტორბოლების აფიშები იყო გაკრული. ამ აფიშებს პატარა სომხურ ქალაქთან არც იმდენი საერთო ჰქონდათ, „კალოსნიკებს“ კი ნამდვილად სახელსა ჰმატებდა.

კოსტანა მჭედელთან ერთხელ მივიდა, მეორედ, მერე „კალოსნიკების“ მუშაობასაც უყურა და თქვა:

— კარგად მუშაობთ!.. — მერე მიამიტური გამომეტყველება აისახა და: — მარტო ორნი რათა მუშაობთ?..

ონიკამ, ვითომ — ჩვენა, ძმაო, ჭკვიანა ხალხი ვართო, — ღირსეულად მიუგო:

- ერთმა ხომ უნდა დაუჭიროს, მეორემ რომ დაურტყას... არა?
- რა ეი... — თქვა კოსტანამ, მერე ცალი თვალი მოჭუტა და კვლავ შეეკითხა: — ერთი კაცისთვის საქმე არ გექნებათ?..
- ვააჩნია... — უთხრა კალოსნიკმა ონიკამ. კოსტანას ბალისი დაეტყო.

— ეგრეთ... ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი — პირიო... ჩვენ რომ თქვენსავეთ კარგად გაგვეგო ერთმანეთისათვის, რაღა გვექნებოდა გარე-გარე სარბენალი... აი, რომ შევეკრებილიყავით ჯერ ორი სული, მერე — ოთხი, ათი, ასი სული... ჰა?... ხელს ვინღა შეგვიშლიდა. რა კარგად ვიმუშავებდით, ჰა?!

ონიკამ და გევორამ ნელ-ნელა მიაყუჩეს სამუშაო და კოსტანას დაკინვით გადახედეს.

— შენ ჩოფურა არაქელას გამოგზავნილი ხარ?..

— იმ ახორში ვინღა გადაგვიტყუო?..

კოსტანა დაჟიქრდა:

— ახორში რათა? ქარხანაში...

— მოდი, აიკრიფე შენი ფანცი-ფუნცი!..

კოსტანამ იმდენი იარა ამათთან, რომ მჭედლების ქუჩაზე უკვე უშინოდათ მისი. ერთხელ მან თქვა:

— არაქელა ამბობს, სომხებს ერთად მუშაობა არ შეუძლიათო...

ონიკა და გევორა უკვე შებენარებულები იყვნენ მისგან, ერთმანეთს გადახედეს და რაღაც გადაწყვიტეს:

— ტყუილს ამბობს არაქელა. — უთხრეს მათ. — მოდი, დღეს მის ჯიბრზე ერთად დავლიოთ და ნახე, გაუკვირდება თუ არა.

საღამოთი შეიკრიბნენ გევორა და ონიკა, სუმბატა და დერენიკა, პეტროსა და სიმონა, ფრანცუსკი და ანგლისკი, წაყიდნენ და დალიეს კოსტანასთან ერთად. გვიან ღამით მორჩნენ, გამოვადნენ და უთხრეს კოსტანას:

— ერთი სიტყვით, ხვალ ავიკრიფოთ ჩვენი გუდა-ნაბადი და ეგრევე ჯგუფად მოგადგეთ ახორში... ესე იგი, ქარხანაში, არა?..

ეს გერმანული დახვა არ წამოვილო? — თქვა სუმბატამ.

კოსტანამ ნასვამის კმაყოფილი ღიმილით გაიღიმა.

— ჰო, მაშა... დაგვეჭირდება... ხალხიც ხო მოგვემატება... ჯერ ათნი ვიქნებით, მერე — ასნი, მერე და მერე — ათასი... ნამდვილი ქარხანა იქნება... სომხური ქარხანა... ინდუსტრიული სომხეთისა...

— შენ კიდევ უფროსი იქნები, არა?

— არა, — სერიოზულად მიუგო კოსტანამ. — დირექტორი არაქელა იქნება...

— მერე ჩემი ბაღლები ვიღამ უნდა არჩინოს? — უთხრა ონიკამ და ყურისძირში ერთი მაგარი სთხლიწა.

ეს იყო და, მისცვივდნენ ამ კოსტანას ვინ წინიდან, ვინ — უკნიდან, ვინ — გვერდიდან... უმტვრიეს ცხვირ-პირი, გავა, კოჭი, რბილი თუ მაგარი...

— ჰოპ-ლა! — ამბობდა ფრანცუსკი და ურტყამდა.

— ჰოპ-ლა! — ამბობდა ანგლისკიც და ურტყამდა.

მეორე დღეს გამოაფხიზლებული ონიკა, გევორა, სუმბატა, დერენიკა, ანგლისკი და ფრანცუსკი დაბდგარიყვნენ და ელოდნენ, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს.

— ეს აქეთ აღარ გაიტყაყანებს! — თქვა დერენიკამ.

— კარგად კი ამოვაკეთინეთ ფეხი! — თქვა ონიკამ, მაგრად იხვინა და ისევე გაქვავდა ცხვირზე ორთითმოჭერილი. ქუჩის ბოლოში თავპირშეხვეული და მკერდზე ხელჩამაკიდებული კოსტანა გამოჩნდა. კოსტანა ნელ-ნელაობით მოახლოვდა და გაღიმება სცადა, „დილა მშვიდობისათო“, მიესალმათ კიდევ და ენა ცარიელ ღრძილებში ჩაუვარდა, წინა კბილები პირწმინდად ჩამოყრე-

ვინებულნი ჰქონდა. მერე მივიდა, სამსხმელოს კუთხეში ერთი რკინის ლატანი ეგდო, საღი ხელით დასწვდა, ფენი დაადგა, მოსწია და მოღუნა.

— ეს — ცალი ხელით... — თქვა მან და ისევ გაიღიმა, მერე ყველას სათითაოდ მოავლო თვალი და:

— კარგად კი მცემეთ გუშინ!.. სიმთვრალე მომერია... მტკრამს თქვენ რატომღა მომერიენით, იცით?.. ჰა?... არა, არ იცით, ნამდევალად... მე გეტყვით: იმიტომ, რომ ერთად იყავით... რვა სული ერთად. მართალს არ ვამბობ? ცალ-ცალკე არ გამოგივიდოდათ. ხომ ნახეთ... პოდა, მეც მაგას გეუბნებოდით, ერთობა დიდი ძალაა. ხომ კარგი იყო, არა?... ყველაფერი რომ ასე ერთად აკეთოთ, როგორც მე შეეძლო, ჩვენი საქმე კარგად წავა.

კოსტან თევექელიანი პაპაჩემის ძმია, ამგვარი ნათესაური კავშირი ერთი სიტყვით როგორ გამოიხატება, არ ვიცი.

ჩვენს თევექელიანებში სუყველას თითო რალაცა მაინც აკლია. კოსტანას კბილები არა აქვს, შუშანას ღვიძლი ღვიძლს არა ჰგავს, პაპაჩემს შიგანში ერთი რალაც მეტი აქვს, გარეთ კი ერთი რალაც აკლია... მაგრამ ყველანი დღესაც არიან და ცოცხლობენ: ვინ — ოთხმოცდაათისა, ვინ — ასისა, ვინ — კიდევ — ასზე მეტი წლისანი, ცოცხლობენ თავიანთი ნაკლითა და ნაკლებობით, ხან მსხიარულნი, ხან — ბრაზიანნი, ცოცხლობენ, რათა მარადის ცოცხალნი იყვნენ.

სომხურიდან თარგმნა ზაზუნა მადულაშვილმა

□

პარღვეს კეტროსიანი

ჩემი უკანასკნელი სათაფარო

ჩემად მიაბიჯებდნენ ნაცრისფერ ტანისამოსიანი კაცები. მეგონა, ყველა ერთმანეთს ჰგავდა, რატომღაც თვალსაც ვვარიდებდნენ. ვიცოდი, გერმანელები იყვნენ, მაგრამ თვალები ხომ ჰქონდათ?.. „რაო, ვერ გვხედავენ?“ — ვკითხე ერთხელ დედას. დედამ გერმანელებს ქოქოლა დააყარა, გულში ჩამიხუტა და ჩაიბუტბუტა: „არმენს მაგათ მოუსწრაფეს სიცოცხლე“. არმენი ჩემი დეიდაშვილი იყო, ძალიან მიყვარდა. „რომელმა-მეთქი“ — „ყველამო“, — მიპასუხა დედამ. მეტი აღარათური ნიკითხავს, თუმცა კი გამიკვირდა, ერთ კაცს ამდენი როგორ დაესივნენ-მეთქი.

ჩემად მიაბიჯებდნენ ნაცრისფერ ტანისამოსიანი კაცები.

მე მაშინ შეიღიწლი ვიყავი.

ომი ჯერ არ დამთავრებულ იყო...

მას აქეთ ვაკვირდებოდი გერმანელებს. არა და არა მჯეროდა, რომ არმენის სიკვდილში ყველას ედო წილი. ჩემი აზრით, არმენი ერთი კაცის მოკლული იყო და ის კაცი, რაღაც არ დამკლდომოდა, უნდა მეპოვა. წარმოიდგინეთ და თოფიც სულ თან დამქონდა, ვინ იცის, სად და როდის დამჭირდებოდა. ეზოში ბიჭები ომობანას რომ ვთამაშობდით, სულ ვცდილობდი, გერმანელობა არ მრგებოდა.

გერმანელები ჩვენს ქუჩაზე ასფალტს აგებდნენ. ზევიდან ლაპყენენ და ერთ დღესაც ჩვენ სახლს მოადგნენ. ახლა კი იოლაღ ადმოვაჩენხარ არმენის მკვლელს, ოღონდ ის მაფიქრებდა, ამდენ გერმანელში ის ერთი როგორ ამომეცნო.

გერმანელები უსიტყვოდ მუშაობდნენ, იშვიათად თუ ზღაპრულად ებღინებდნენ ერთმანეთს. ერთხელაც დავინახე, ორნი საუბრობდნენ და თან იცინოდნენ. ერთი არმენივით ციკურვთვალეობა იყო, კეთილი სახე ჰქონდა. არა, ეს არ მოკლავდა-მეთქი. მეორე დღეს იმ გერმანელის მხერა დავაჭირე, იღვა და მიყურებდა, მეც გავთამაშდი, მივეუდი და ყურძენი გავუწოდე. გერმანელმა გამიღიმა, თავიანთ ენაზე რაღაც ჩაიბუტბუტა და თავზე ხელი გადამისვა. გავაქეცი, უცებ შემზინდა ეს გერმანელიც — თუ მართლა კეთილი კაცია, არმენი რატომ არ იხსნა-მეთქი.

— ფაშისტს ყურძენი რატომ მიეცა! — მუშტი მომიღერა ჩემზე, ორი წლით უფროსმა კარენმა.

ამ დროს სახლიდან დედა გამოვიდა.

— რა გაჩხუბებთ?

— ფაშისტს ყურძენი მიაცა!

დედამ ნალვლიანად გადმოიხედა, მაგრამ არაფერი მითხრა.

— ეგეც შენ!

მეორე დღეს გერმანელები ისევ ჩვენს სახლთან მუშაობდნენ, როგორც კი დამინახეს, გამიღიმეს და ხელი დამიჭნიეს. რატომაც მეც გავუღიმე, მერე არმენი გამახსენდა და გერმანელებს ზურგი შევაქციე, ბაღში შევედი. მაშინ კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა სიკვდილი. ეზოში ბიჭები ერთმანეთს რომ ეხოცავდით, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ფეხზე ვდგებოდით. ალბათ, არმენი ველარასოდეს წამოღვედა-მეთქი, დავასკვენი და გული საოცრად დამწყდა. იმ დღეს ცა ძალიან ლურჯი იყო, ეზოში დედა სარეცხს ჰფენდა.

— დედი, არმენი ჩვენსას აღარ მოვა?...

დედამ სევდაჩამდგარი თვალები მომაპყრო, მაგრამ სატყვა არ უთქვამს, სარეცხის ფენა განაგრძო. სარეცხი ცაპავით ლურჯი იყო.

— ლილა ნეტო მომივიდა, — ჩაიბუტბუტა დედამ და ცრემლიანი თვალები მომარიადა.

მერე ამაზე ტირის? აი, გავიზრდები და ბევრ, ძალიან ბევრ მიტკალს ვიყიდი და ცოტა ლილას, აღარ გაუღურჯდება თეთრეული... მერე ფიქრი დედას გავუხიარე, იმან კი გულში ჩამიკრა და თვალები დამიკოცხა.

— რომ იცოდე, არმენა როგორ უყვარდი...

— სულ ერთია, ვიპოვი მის მკვლელს, ვიპოვი და მე და კარენი ანდერძს ავუგებთ!

ქუჩაში გავვარდი. ნაცრიფერ ტანისამოსიანი კაცები ისევ მუშაობდნენ. დამინახეს თუ არა, დამიძახეს, მივიდე თუ არა? იქნებ არმენის მკვლელია სახელი გაიგეს? მათთვის რომ არაფერი მითქვამს? ვაითუ მოგვატყუონ და მე და კარენს სულ სხვა ვინმე შემოგვაკვდეს? ორივენი ჩია ტანის კაცები იყვნენ, ოღონდ ერთმანეთს ჰგავდნენ. ერთს ცისფერი თვალები ჰქონდა, მეორეს სქელ-მიხიანი სათვალე ეკეთა. სათვალეიანმა უბიდან რაღაც ქაღალდში გახვეული ამოიღო და გამომიწოდა. საჩქაროდ გავხსენი... წითელთვალა თოჯინა აღმოჩნდა. გავვარვებული დავუხრებდი ხისგან გამოჩორქნილ სათამშოსს, არ ვიცო-

დი, როგორ მოვქცეულიყავი. გერმანელებმა მანიშნეს, თოჯინა შენია, გჩუქნი-
თო, დამბაჩა ან თოფი რომ ეჩუქებინათ, მესმია, თოჯინა რა ჭირად მინდოდა!
კიდევ კარგა, კარენი ექ არ იყო, თორემ ყველას მოსდებდა, გერმანელებმა
თოჯინა აჩუქესო. „ჰასმიკა მაინც გავახარებ, ის კი კარენს დამბაჩას დასტყუ-
ებს“, — გავიფიქრე და თოჯინა წამოვიღე.

— ეგ რა გაქვს? — მომესმა დუდაჩევის ხმა.

ერქუნული
ზიზღილით

დუდამ თოჯინა გამომართვა, შეათვალიერა, თვალები დაუნაღვლიანდა:

— ატამი კიდევა გვაქვს?

როგორ არა.

შინ შევირბინე, სამ ატამს ჩელი დაეველე და ისევ უკან დავბრუნდი. მაგ-
რამ გერმანელები აღარსად იყვნენ, ვული დამწყდა. მეორე დღესაც ვეძებე,
მაგრამ ის ორი გერმანელი ველარსად ენახე. მალე ომიც დამთავრდა. იმ დღეთა
მოსავონებლად კი დამრჩა წითელთვალა ხის თოჯინა, რომელსაც თვალების ად-
გილას ბლის კურკები ჰქონდა...

ეს თოჯინა იყო ჩემი უკანასკნელი სათამაშო. ომთან ერთად ბავშვობაც
დამთავრდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... და აი, ოცდახუთი წლის კაცს მა-
ტარებელი გერმანიის საზღვარზე მიმაქროლებს. გამვზავრების წინ ის წითელ-
თვალა თოჯინა გამახსენდა და თან წამოვიღე.

კუბეში ვიღაც სათვალთან, მელთტი კაცი შემოვიდა და ჩემს პირდაპირ
სკანზე მოკალათდა. ნატანჯი სახე ჰქონდა. მოულოდნელად რუსულად მომ-
მართა:

— საით გაგიწევიათ?

— ბელგიისაკენ.

— საიდან ხართ?

— კავკასიიდან.

— კავკასიიდან? — ჩემს მეზობელს გაეღიმა, სათვალე მოიხსნა, ახლა ცი-
სფერი თვალებიც უღიმოდა. — კავკასიაში ნამყოფი ვარ, ორმოცდაათს წელს...
თვალეები დავაჭყიტე, მერე ჩემოდანი გავხსენი, თოჯინა ამოვიღე და ჯი-
ბეში ჩავიდე.

— ბევრი კარგი ადამიანი მახსოვს თქვენთან, ბავშვები პურითა და ხილით
გვიმასპინძლებოდნენ, მშობლებიც არ უშლიდნენ...

ნუთუ ისაა? რა თქმა უნდა, ისაა... უკვე ეჭვი აღარც მეპარებოდა.

— არ ვიცოდით, ბავშვებისათვის მადლობა რითი გადაგვეხადა, რაღაც სა-
თამაშოებს ვჩუქნიდით...

ჯიბიდან წითელთვალა თოჯინა ამოვიღე.

— გახსოვთ? ნუთუ არ გახსოვთ?.. ჩვენს ქუჩაზე ასფალტს აგებდით, ორნი
იყავით... ველარსად გიბოვეთ...

ჩემმა მეზობელმა სათვალე გაიყეთა, ჯერ თოჯინა შეათვალიერა, მერე მე
დამაკვირდა, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიცნო: მაშინ ზომ შეადი წლისა ვიყავი.

— ნუთუ სომხეთი არ გახსოვთ?..

— არა, სომხეთში არ ვყოფილვარ.

მატარებელი მიქროდა. პატარა მაგიდაზე კი ჩემი ბავშვობის უკანასკნელი
სათამაშო — წითელთვალა ხის თოჯინა იდო.

სომხურიდან თარგმნა მამიკონე თამარიაშვილი



ოვანეს თუმანიანი



ჩვენი შავი თხა შეხიზმრა,
 თხას არა ჰგოვდა სრულეებით,
 კაცოვით ლაპარაკობდა,
 უთახთახებდა ცურები.

— თქვენა ბავშვების გაზრდაშა,
 ვთვონაა თუ ბიჭია,
 ხომ ტკბილი იყო, ბატონო,
 ჩემი შვილების ჩიჩია?..

თარგმანა უროს ნიუნიანიანი



ჰამო საპიანო

ფოთოლი

გაქრა თქროსფერ დღეთა გოდოლა,
 ქალაქს მოაწყდა ქარი ხუნხულით,
 ფეთქავს ნეკურხლის კენტი ფოთოლი
 გადაქანცული და უსუსური.

რა საიდუმლოს მაღავს ბეჩავი,
 რად არ მიფრინავს, რა ტკავილს ითმენს?!
 ორთის და გაძარცულ რტოებს ერგევა,
 ვით მოცახცახე, უმწეო თითებს.

აღმათ იმიტომ ითმენს წვალებას
 (თუნდაც ქარუნმა რტოებს ახალოს),
 სურს შემოდგომის გარდაცვალება
 ორიოდ წამით. რომ შეახანოს.



გეორგ შიონი

* *

ნეტავი მოსულაჲვი,
ნეტავი შემოგვიარა,
შენი სმა დამიამებდა
ძოუსუშებელ იარას.

გვრიტის ღულუნი ხარკმლიდან *
ოთახში მოედინება,
სიხმარში მაინც მენახე,
ვაი, რომ არ შეძინება.



თარგმანა ვივი ალხაზიშვილმა

□

სილვა კაკუტიკიანი

სევანის ტბა

სევანის ტბათ, სიცოცხლევ ჩემო,
რა გულხაკლავად მიდიხარ, შრები.
ზანგუს ტალღების კამკამა ჩქერო,
ტბიდან მიიღტვი, ვათ ჩქარი წლები.
რადგან დღე დღეზე დაწრეტა ველის,
რადგან ვერ შეძლე იყო დღევრძელი,
ისმინე ჩემი: — იყავი ბრძენი.

ააყვავილე ჭალა, ტყე-ველი.
ვინც შენი ხელით შველას მოელის,
სეებს, თავთავებს აწოვე მუძუ,
გამოუზოგე წვეთი ყოველა
ვაზსა თუ ყვავილს,
ძღაურს თუ უძღურს.
შენ უკვდავება მაძულის გწამდეს
და სიკვდილამდე გახსოვდეს ერთი.
ნაკადუღიც არ გაუშვა სდვამდე
მაწას აწოვე ყოველი წვეთი.
დრო არ დაკარგო, სევანო, უქმად,
იქცეო პურად, დეინოდ და ნატვრად,
გამთიბრწყინე სასილებში მუქად —
ვლესკაცის ჭერში დაკიდულ ლამზად!

თარგმანა მადია კახიკაძე

□



საინფორმაციო ათავეზი

ორი საქათალი

ჩემი საქათალი

დღიდანვე აფორიაქებული ვიყავი. ვცდილობდი არ შეემჩნია, მაგრამ ნართალი გითხრათ, ადგილს ვერ ვპოულობდი. მალიმალ ფანჯრიდან ვიყურებოდი: რა აცვია-მეთქი ხალხს? თუმცა ვისაც რა უნდოდა, ის ეცვია: ზოგს ლაბადა, ზოგს — სულაც მოკლესახელოებიანი პერანგი, მაისის დღესასწაულის შემდეგ აშხაბადში ორი დღე გადაუღებლად წვიანდა, ჩვენი სახლის უკან მდგარი ნეკერჩხლის ნორჩ ფოთლებზე გამჭვირვალე წვეთები აღმასის საყურდებივით ეკადა.

აი, ჩაიარა მუქ პიჯაკებში გამოწყობილ მამაკაცთა ჯგუფმა, მკერდზე წყვება-წყვებად რომ მოუჩანდათ საბრძოლო მუდლები და ორდენები. ხვალ ხომ გამარჯვების დღეა. ლამის ყველანი ხელების ქნევით ხმამაღლა და აღგზნებულად ლაპარაკობდნენ. უმჯობესად ომზე ლაპარაკობენ-მეთქი. ვავიფიჭრე. ფანჯრის გამოღება და ყვირილი მომინდა: „ჰეი, ძმებო-თანაპოლკელებო, მოდიეთ, საღამოსი დრამატულ თეატრში. დღეს

ჩემი პიესის პრემიერაა — ომის გახსენება“. არა, რასაკვირველია, ასე არ მოვქცეულვარ — აბა როგორ შეიძლება?!

ნეტა სად არის ახალი შავი ფეხსაცმელი? უოუოდ ჩემი ეშმაკი ბიჭი ჩაიცვამდა... აბა ასეთ საზეიმო საღამონე ძველი ფეხსაცმლით როგორ წავიდე. თუმცა მანამ, აღბათ, ვაყიშვილიც გამომეცხადება. ის ჩემი მაგნიტოფონიც უნდა მოიტანოს. წაიღო სადღაც წვეულებაზე და არცა ფიქრობს უკან დაბრუნებას. მე კი უსათუოდ მაგნიტოფონზე უნდა დავამუშაო პრემიერაზე სათქმელი სიტყვა. კონტუზიის შემდეგ კარგა გვარიანად მეტმება ენა და ოცწუთიანი სიტყვის მოსამზადებლად ორსაათზე ნაკლები არ მომიხდება. დღეს განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა მოვემზადო: სპექტაკლს უცხოელი სტუმრები — აფრიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დელეგაცია დაესწრება.

უფროად ტელეფონი აწკრიალდა. — ქალაქკომიდან დარეკეს, — მაცნობა ჩვენი შემოქმედებითი კავ-

შირის მდივანმა, — თქვეს, რომ თქვენა კოლეგა ჩამოსულა გერმანია დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მთხოვეს გადმოგცეთ, რომ სასტუმროში მოინახულოთ იგი და საერთოდ ყურადღება არ მოაკლოთ.

— რატომ მაინცდამაინც მე? დღეს ჩემი პიესის პრემიერაა.

— ეჰ, ამახანაგო აბაევ, დღეს ხომ დასვენების დღეა, მეც მხოლოდ საბუჭდად მოვედი. უფროსებიდან ვერავინ დავიჭირე, კიდეც კარგია, რომ თქვენ მაინც დამხვდით შინ — გამომიტყდა მდივანი.

ხედავ, რა ხალხია! ვამართვს ალბათ თავიანთი ტელეფონები და სხედან ახლა შინ, მშვიდად მუშაობენ. ან არადა, დანავარდობენ სადმე ბუნების წიაღში, „ინფარქტს გაუპრბიან“!

პო, მაგრამ მე რა შუაში ვარ? მე რა უცხოელები სხვებზე მეტად მჭირდება? რა მესაქმება გერმანელთან? ხომ უნდა მოვემზადო, დღეს პრემიერა მაქვს! თუმცა უფრო ჭკვიანური, ალბათ, იმ უცხოელთან წასვლა და ნასთან თავაზიანი საუბარი იქნება, ვიდრე მერე კავშირის თავმჯდომარის საყვედურების მოსმენა.

ეჰ, აბაევ! აბაევ! სადამდე მიგიყვანა ამ შენმა „ჭკვიანურმა მსჯელობამ!“ ეს ხომ ნაღდი თბივატელის ფილოსოფიაა: მისდით იმას, რაც უფრო ადვილია, რაც უფრო ხელსაყრელია, რაც უფრო იათად დაგიჯდება. ადრე თავად პეკობდი და სასაცილოდ მიგაჩნდა მსგავსი ანგარიშიანი საქციელი, ახლა კი თავიდანვე ზომავ, რა უფრო ნაკლებად გაგრჯის. მოკლედ, მოვემზადე და წავედი.

სასტუმრო „აშხაბადში“ შევხვდი გერმანელს.

— ბერნჰარდ კოშუტი, — გამა-

ცნო თავი ზორბა კეთილთვალეზიანმა კაცმა. ერთმანეთს თავაზიანად მივესალმეთ. მერე კოშუტის თანამგზავრი, მთლად ახალგაზრდა ქალი პერტრუდა მოგვიახლოვდა და ყველაში რესტორანში ჩქარა ჩქარა

სადილობისა თითქმის სულ პერტრუდა ლაპარაკობდა. ძლივს ვასწრებდი მის კითხვებზე პასუხის გაცემას. ქალიშვილს ყველაფერი აინტერესებდა — თურქმენული სიტყვებს აწრობრივი ელფერი, რამდენ ხანში მწიფდება ნესვი, რას ეძახიან კაბებზე ამოქარგულ ნაყშებს, აინტერესებდა ნისაცა და ქერბაბაევიც. მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მისი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებას, თან ბერნჰარდის მკლავზე ნატყვიარს ვათვალისწინებდი, — მსუბუქი საზაფხულო პერახგის მოკლე სახელო ნიორვეს ვერ უფარავდა.

ბერნჰარდი ალბათ ჩემი კბილა იქნება. უსათუოდ ასეც იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ. ვითომ რა მოხდება, რომ დღეს პრემიერაზე მივიწვიო? ცოტა უხერხული ხომ არ იქნება, კაცი ჯერ არ ჩამოსულა აშხაბადში და უკვე იმ სპექტაკლის სანახავად წავიყვანო, სადაც ჩვენს გამარჯვებას ასხამენ ხოტბას, გერმანელებს კი ანადგურებენ. არა, გერმანელებს კი არა ფამისტებს! რადგან ქალაქკომი მოზოვს, ყურადღება მიაქციეთო, კომუნისტები იქნებიან! უსათუოდ დაეპატიებ. გოველ შემთხვევაში, იმას მაინც ნახავს, როგორ იბრძოდნენ საბჭოთა ადამიანები.

სპექტაკლზე წაყვანა რომ გადავწყვიტე, ფრიად მოხერხებულად (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა), საუბარი პიესაზე ჩამოვაგდე. მიწეევა სიამოვნებით მიიღეს. მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა სტუმ-

რის ხელზე ნატყვიარი — ნეტა სად დაიჭრა? იქნებ სახალხო რაზმეულში მუშაობდა და დევნილმა ბანდიტმა დაახალა ტყვია? იქნებ სულაც ნადირობის დროს ბრაკონიერს შეებრძოლა? ბოლოს ვედარ მოვითმინე და ვითომ სხეათა შორის ვკითხე.

— ჩერნიგოვოსთან დამჭრეს, — მიპასუხა ბერნჰარდმა.

— ოჰო! შეიძლება ითქვას, თანაბოლკელები ვყოფილვართ!

ჩერნიგოვოსთან მეც ვიბრძოდი. იქ, ჩვენს დივიზიაში, მოწინავე პოზიციებზე ხშირად მოდიოდა აგიტმანქანა. მანქანაზე მდგარი გერმანელი ანტიფაშისტის ხმის გამაძლიერებლათ პიტლერელ ჯარისკაცებს მიმართავდა. საოცარი ის იყო, გერმანელი ჯარისკაცები ჯერ გასუსულები უსმენდნენ, რას ამბობდა პროპაგანდისტი, მერე კი სწორედ იმ ადგილს, საიდანაც ხმა ესმოდათ, გააფთრებით უშენდნენ ცეცხლს. ჩვენც თან გვიხართდა აგიტმანქანის გამოჩენა, თან გვეშინოდა. კარგი იყო ის, რომ მტრის ჯარისკაცები ანტიფაშისტს უსმენდნენ და სიმართლის ხმა მათთანაც აღწევდა, ისიც გვსიამოვნებდა, რომ გააფთრებული გერმანიის სარდლობა ყველა სახის იარაღიდან უშენდა ცეცხლს და ამით თავისი ქვემეხების ადგილმდებარეობის საიდუმლოს ამხელდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგის არც ერთი ასეთი იერიში ჩვენთვის უმსხვერპლოდ არ დამთავრებულა, მოგეხსენებათ, ომია.

ჩემი ნაამბობი რომ მოისმინა ბერნჰარდმა, თითქოს რაღაც ენიშნაო, თავი დააქნია, მაგრამ რაღაც ალაპარაკდა, სიტყვების პოვნა გაუჭირდა.

— ზოგჯერ მეც ვუსწინდელი მაგ... ანტიფაშისტის ხმას, — კომუტმა

ძლიერი თითებით შუაზე გადალუნა მინერალური წყლის „ბერნენგის“ რკინის თავსაბური. მერე ხელმა მხარეს ვიყავი. ლეიტენანტი გახლდით. აბა, რა სათქმელეა? რა არ ხდება. იქნება შემგავიწყებინებ ან თქვენი მეგობარი. შესაძლებელია, სულაც თქვენ დამჭერიო. მე 43 წლის 27 ოქტომბერს დამჭრეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ორთავენი მოგონებებში ჩაყვირეთ.

ჩვენი იერიში 26-ში დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად. პიტლერელებმა ტანკები შემოგვისიეს. მე დღისით დავიჭერი, ძლივს მოვხობდი რომელიღაც ლარტაფთან, მხოლოდ გვიან ღამით მიპოვეს ბიჭებმა და, როგორც შემდეგ გავიგე, ღამის ხელიდან გამომტაცეს გერმანელებს. გამოდის, რომ ბერნჰარდი მეორე დღეს დაჭრილა... საინტერესო კია იმ ბრძოლის შთაბეჭდილება გამოკითხოს კაცმა.

პერტრუდას ჩვენი საუბრის დროს თავი ისე ეჭირა, თითქოს გაზეთის კითხვით იყო გატაცებული, ახლა კი გაჭიანურებული დუმილი რომ დაერღვია, მეოთხე სვეტში დაბეჭდილი იუმორისტული შენიშვნის კითხვა დაიწყო ხმამაღლა. სადილი მხიარულად დასრულდა. განშორებისას შევეთანხმდით, სპექტაკლის დაწყებამდე ერთმანეთს დრამატულ თეატრთან შევხვედროდით. მადლობა ღმერთს, სასტუმროდან თეატრამდე ორიოდ ნაბიჯი იყო.

* * *

თეატრი გაქვლილი დაგვიხვდა. დაგვსვეს ჩემი საყვარელ მეექვსე რიგში. ჩავჯექი გერმანელებსა და აფრიკელებს შუა, — თუკი საჭირო იქნებოდა, ყველასთვის რომ შეთქვა თითო-ორთლა სიტყვა. დარბაზს

სწრაფად მოვაგლე თვალი. შევამჩნე, რომ მაყურებელთა უმრავლესობა — ახალგაზრდობა, სტუდენტობა იყო. ეს კარგია, გავიფიქრე გუნებაში. იყვნენ ჩემი ტოლებიც — მწერლები, გაზეთის მუშაკები, ომის ვეტერანები. ამან კიდევ უფრო დიდი სიამოვნება მომანიჭა. მესალმებოდნენ, თავს მიკრავდნენ, მიღიმოდნენ. თავი ღანის იუბილარად წარმოვიდგინე.

— ყველაფრიდან ჩანს, რომ ცნობილი ადამიანი ხართ, — მიჩურჩულა ბერნჰარდმა და თითებზე მომიჭარა თავისი დიდი, ფაფუკი ხელი.

წაბახულობით აფრიველებიც შემოიხევივნენ, ხელი ჩამონართვეს...

იმათ, ვინც პრემიერას ამზადებს — პიესის ავტორს, რეჟისორს, მსახიობს თუ სხვა მონაწილეთ, ჩვეულებრივ, სპექტაკლის შემდეგ ფლოცავენ და ესალმებიან. ამჯერად გადაწყვიტეს ეს ცერემონია სპექტაკლამდე ჩატარებინათ, ალბათ, უცხოელი სტუმრების ყოფნის გამო. კულისებში მითხრეს, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი — ან პიესის ავტორი, ან დამდგმელი რეჟისორი — აფრიკის დამოუკიდებლობისათვის მეტროძოლთ უნდა მისალმებოდა. ეშმაკმა რეჟისორმა ორად ორი სიტყვით დამიმტკიცა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მე უნდა გამეკეთებინა.

თეატრის დირექტორმა, ჭაღარათმიანმა ომის ვეტერანმა (ორდენებით მკერდდამშვენებულმა) მაყურებელს მიულოცა გამარჯვების დღესასწაული, მოკლედ ილაპარაკა სპექტაკლის თაობაზე, აღნიშნა ისიც, რომ იგი დიდ სამამულო ომში თურქმენი ხალხის გმირობას ეძღვნება და ბოლოს მეც წარმადგინა, როგორც პიესის ავტორი.

ჩემი სიტყვა ისე დავაწყვე, როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვე-

ვებში იწყებენ ხოლმე: ვთქვი, რომ მაყურებელი ყველაზე დიდი მსაჯულია, მაღლიერებით მოვისსენიე რეჟისორი და მსახიობები, ისინი, ვინც დღეს სულს ჩაუფრქვეს ჩემს გმირება, როგორც ურთავის მსახურებაზე გააცოცხლებენ მათ. შემდეგ ვილაპარაკე ავტორისა და თეატრის, მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობაზე, რომ დღეს ეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დიდია, რადგან დარბაზში იმყოფებიან სავატიო სტუმრები, რომ აფრიკელ მეტროძოლებს დღეს საშუალება მიეცემათ ნახონ, როგორ იბრძოდა საბჭოთა ხალხი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ სამშობლოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ვთქვი და მაყურებლებს ვთხოვე მისალმებოდნენ ჩვენს უცხოელ სტუმრებს. დარბაზი იმწამსვე მქუხარე ტაშმა შესძრა — თითქოს რეაქტიული თვითმფრინავის ძრავა აამუშავესო. სტუმრები აღგნენ — ტაში თახდათან გაძლიერდა. სწორედ ამ დროს კოშუტს ვკიდე თვალი. იჭდა ეს წარმოსადგვა კაცი და თავისი შეეკანისანი მეზობლების გვერდით უსამშველოდ თეთრი ჩანდა. ახლა მაყურებლისათვის ჩემი გერმანელი სტუმრების გაცნობაც მომინდა. ორიოდ სიტყვით კვლავ სპექტაკლს შევეხე. მერე კი ისევ პასუხისმგებლობის თემა დავუბრუნდი და ვთქვი, რომ დარბაზში იმყოფება ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს დღევანდელი სპექტაკლის უარყოფით გმირებს — ფაშისტებს და შეუძლია განსაჯოს, თუ რამდენად დამაჯერებლად არიან წარმოდგენილი ისინი ჩვენს პიესაში.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ვიგრძენი, თითქოს დარბაზმა სუნთქვა შეუკრა გაოცებისაგან, და მეც მსმენელებს აჩქარებით მოვასხენე:

— დიახ, ახლა აქ არის ადამიანი, რომელიც ფაშისტების მხარდამხარ იბრძოდა ჩვენ წინააღმდეგ. ეს კაცი ბერნჰარდ კომუტი გახლავთ.

ეთხოვე ბერნჰარდს ამდგარიყო. იგი წამოდგა, მაგრამ შევატყვე, როგორ უხერხულად დაუკრა თავი მაყურებელს, ვიღაცამ გაუბედავად დაუკრა ტაში და კვლავ სიჩუმე გამეფდა, ყველა უცქეროდა პირქუშად მდგარ ბერნჰარდს და ტანში გამცრა, თავი მის ადგილზე რომ წარმოვიდგინე.

დაძახული მდგომარეობა რომ გამეჩვენებინა, ლაპარაკი ხუმრობანარევი კილოთი ვცადე, ვთქვი, რომ ჩვენ თურმე ჩერნიგოვოსთან ერთსა და იმავე ბრძოლაში ვმონაწილეობდით და ორივე დავიჭერიით, არც ის არის გამორიცხებული, რომ სწორედ ერთმანეთს ვესროლეთ.

ჩემს ნათქვამს „დარბაზში გამოცოცხლება“ არ მოყოლია. ისევ გაუტი სიჩუმე მეფობდა. გადაწყვიტე პერტრუდა წარმედგინა. ქალი წამოდგა. ვეებერთელა კომუტის გვერდით მდგარი ქალიშვილი ბებერა ხის ძირზე ამოსულ ნორჩ ყლორტსა ჰგავდა, მაგრამ მისმა ნაწმა გარეგნობამაც ვერ აუჩვილა გული შეკრებილთ. დარბაზის გამოცოცხლება ვერც პერტრუდამ შესძლო. ეს რა ჰქენი, აბაევ! — გავიფიქრე მე. — ხალხი შესარცხვენად დაპატივე? უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოელი ხმით დავიყვირე:

— ამხანაგებო! ეს ხომ ჩვენი მეგობრებია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან! ისინი კომუნისტები არიან!

და აი, მღუშარე დარბაზი აგრიალდა, ისეთი ტაში დასცხეს, პერზე დიდი ქალიც კი შეიბრა.



სპექტაკლის შემდეგ გამართულ პატარა ბანკეტზე პერტრუდა და კომუტი მივიპატარავე. ჩვენ უმჯობესეს ყოველისა სინდრის მსწრეებს იმ უსიამოვნო წუთების გამო, რომლებიც მათ განვაცდევინე, მეორეც, ისინი ჩემი სტუმრები იყვნენ და მათი პატრონობა მე მევალებოდა.

ჩემი მეგობრები, ამხანაგები, კოლეგები თუ თანამებრძოლები მცირე დარბაზში სუფრის ირგვლივ შეკრებილიყვნენ. მილოცვები, სადღეგრძელოება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ანეგდოტები ამხიარულებდა ჩვენს მყუდრო მეგობრულ სუფრას, ახალგაზრდა მხატვარი პერტრუდას არ სცილდებოდა. იგი რაღაცას უყვებოდა, პერტრუდა ბეჯითად იწერდა მონაყოლს, ჩანდა, მხატვარი თურქმენი ქალების სამკაულების კოლექციის ჩვენებას პპირდებოდა... უეცრად ბერნჰარდი წამოდგა, ხელში ჭიჭა ეჭარა. ჯერ კეთილად მოიხსენია ბანკეტის მომწყობნი, მადლობა უთხრა სტუმართმოყვარეობისათვის და პერე მე მონიბრუნდა:

— ძვირფასო აბაევ! მე კომუნისტი არა ვარ!

სუფრა გაირინდა. კინოსტუდიის რედაქტორმა ვესლიანი მზერა მესროლა: „შერცხვი, ხომ? ასეც მოგახდება! ენახოთ, როგორ დაიძვრენ თავს!“

შევეცადე საუბარი სხვაზე გადამეტანა:

— სპექტაკლი როგორი იყო? მოგეწონათ?

— სამწუხაროდ, სპექტაკლი ვერ ენახე. მე შემძრა იმან, რომ ახალგაზრდა თაობამ, რომელსაც ომი არ უნახავს, ასე ერთხმად, აშკარად გა-

მოხატა ფაშისმის სიძულვილი. დიახ, ვუყურებდი სცენას და სხვა სპექტაკლს ვხედავდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი ცხოვრების სპექტაკლს.

ნებას თუ მომცემთ, ერთ შემთხვევას მოგიყვებით, რომელმაც რამდენიმე წუთში სულ სხვა გაცად მაქცია.

ეროვნული
გინზლინოსეკა

ბერნჰარდის საექტაკლო

— მართალი თქვა აბაეგმა, ჩვენ ნამდვილად ერთმანეთის წინააღმდეგ ვიბრძოდით, — დაიწყო თავისი ამბავი კოშუტმა, — მე ცხრამეტი წლისა ვიყავი, ის კი, — მე შემომხედა, — ალბათ თვრამეტის. რა გაგვეგებოდა მაშინ ჩვენ? ვიბრძოდით, ეს იყო და ეს! ასე არ არის? — ჭიქურ მკითხა მან.

— არა! — უცერად წამოვხტი და კინალამ ჭიქა წავაქციე, — არ ვიცო, თქვენ რა გაგვეგებოდათ, ჩვენ კი ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით. ძალიან კარგადაც ვიცოდით!

ბერნჰარდმა თავი დახარა.

— არა მაქვს უფლება შეგეკამათოთ. თქვენის ნებართვით, განვაგრძობ მოყოლას. იქნებ გაგიკვირდეთ კიდევ ახლა ჩემი სიტყვები, მაგრამ მე, გერმანიის არმიის ლეიტენანტი, მადლიერი ვიყავი იმისი, ვინც ჩერნიგოვოსთან ბრძოლაში დამჭრა. ეს პარადოქსი არ გახლდათ, ყველაფერი საოცრად მარტივია... ამ ჭრილობამ შესაძლებლობა მომცა საზარელ ომს დავსხლეთოდი ხელიდან, ომის დამთავრებამდე ჰოსპიტლებში ვეგდე. მაშინ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდით, რომ ჭრილობები, რაც შეიძლება დიდხანს არ მოგვშუშებოდა.

მე ვერ მოვითმინე და ისევ წამოვხტი.

— აბა ჩვენ კი ჰოსპიტლებიდან გავრბოდით, რომ ჩქარა დავბრუნებულყავით ფრონტზე. ხუთი ცნობა მაქვს დაჭრილობისა და ყოველ მათ-

განსე მინიშნებულია — გაეწერა ვადააღე აღრეთ. ჩვენ ბრძოლას კესწრაფოდით, რომ ჩქარა გაგვეყარა ფაშისტები ჩვენი მიწა-წყლიდან. — უცებ გოხს მოვეგე, ბოღიში მოთისადე: — მამატიეთ, შეგაწყვეტინეთ, გთხოვთ განაგრძოთ.

კოშუტმაც ისევ განაგრძო:

— სამი რომ დამთავრდა, ავსტრიაში ვიყავი. გამოჩანსაღებულთა რაზმში, შემდეგ ამერიკელებს ტყვედ ჩავუვარდი. იმათ დადად არ ვენადვლებოდით და ლამის ჩვენს ნებაზე ვიყავით მიშვებულნი. ნელ-ნელა დავიწყეთ სახლებში გაპარვა. ჩემს სამშობლო ალტ-დიუბენში — არის ასეთი ქალაქი გერმანიაში — დანიშნული მელოდა, რომელიც ძალიან მიყვარდა. ალტ-დიუბენი საბჭოთა ზონაში მდებარეობდა. გადაწყვიტე ბედი შეცადა და ამერიკელების ბანაკიდან შინ გამოვიქეცი. მაგრამ როგორც კი გერმანიის ტერიტორიის საბჭოთა ზონაში დავდგი ფეხი, მაშინვე დამიჭირეს. «ვინა ხართ? — მკითხეს. — თქვენი საბუთები! სად და როდის დაიჭერით?» სწრაფად დაადგინეს, რომ რაიხის ლეიტენანტი ბერნჰარდ კოშუტი ვიყავი და ქალაქ ტორგუაში სამხედრო ტყვეების ბანაკში გამამწყესეს. იქ ჩვენ „დაგვახარისხეს“, რაზმებში გაგვანაწილეს და ციმბირში გასაგზავნად გაგვამზადეს. ჩვენ პოლონეთში რუსეთის რკინიგზამდე დებით უნდა მივსულიყავით. ამიტომ დრო მოგვცეს, რომ ტანისამო-

სი და ფეხსაცმელი მოგვეწესრიგებინა. ხანაკში რკინისებური წესრიგი იყო, ისეთი კი არა, ამერიკელებს რომ ჰქონდათ. ხშირ-ხშირად გვა-მოწმებდნენ. მათი პრინციპი ასეთი იყო: თითოეული პასუხს აგებს ყველაზე, ყველა — თითოეულზე. კარგად გვესმოდა — თუ ვინმე განაწესს დაარღვევდა, ყველა დაეაწყებოდიო. ჩვენ არ ვიცოდით, როგორ სჯიდნენ რუსები, მაგრამ საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ არ მოგვებოდიშებოდნენ.

საშინელი სევდა მიღრღნიდა გულს. ალტ-დიუბენამდე ორიოდ ნაბიჯი იყო, ნე კი ბერტას უნახავად და დაუმშვიდობებლად, ვან იცის, სად მივრავდნენ თავს. იქნებ სულაც რქ. ციმბირში დამთავრებულიყო ჩემი სიცოცხლე... სურვილი, თუნდაც ერთა დღით მივსულიყავი შინ, შენახა ბერტა, უსაშველოდ ამეკვიატა: თუმცა მესმოდა, რომ ჩემი გული-სათვის სხვებაც დაისჯებოდნენ, თავს ვეღარ მოვერიე, საწოლზე წერილი დავტოვე: „გთხოვთ ჩემი გაქცევი-სათვის ნურავის დასჯით. ზუსტად ოთხ დღე-ღამეში დავბრუნდები. ბერნჰარდ კოშუტო“, და გაეპარე, თუ როგორ შევბვდი ბერტას — ეს სხვა თემაა, ამაზე შეიძლება წიგნი დაწეროს. მწარე იყო მასთან ხელ-ახალი განშორება! ბერტა სულ ტიროდა, მეხვეწებოდა, დარჩით. მამამისი ხან მაშინებდა, ხან ოჭრთს გორებს მპირდებოდა. ალტ-დიუბენი ვარტისპირა ქალაქია, ვარტა — ელბას შენაკადია, ელბას გაღმა ამერიკელები იყვნენ. საკმარისია იმ ნაბირზე გადახვიდე, შეუბნებოდნენ ბერტა და მამამისი, რომ მშვიდად იცხოვროო.

მაგრამ არ შემეძლო ჩემს გამო ამხანაგები დასჯილიყვნენ. დაბრუნებას დავპირდი და უნდა დავბრუ-

ნებელიყავი. ბოლოს და ბოლოს რაღა დარჩა გერმანელს საამაყოდ, თუ არა ის, რომ სიტყვის კაცია.

ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, ძალიან მიმიძის უკეთესად დამ-შვიდობების განსწავლვის ხანაკში, როგორც პირობა დავდე, გაპარვი-დან მეხუთე დღეს დაებრუნდი. ჩემს გამო არავინ დასჯილა, და მაინც ამხანაგების განაჩენს ვერ გადავურჩი. კარაფი-ლაბადა წამათარეს და, რაც ხელში მოხვდათ, ის მირტყეს. კიდევ კარგი, საბჭოთა ჯარისკაცებ-მა მომისწრეს.

ამავე დღეს ციმბირის გზას და-ცადექით. მივდიოდით უხმოდ, კუშ-ტად, თითოეულს თავის გასაჭირზე ფიქრობდა. ერთი დღე-ღამის შემდეგ ოფიცრები წამოგვეწივნენ საბ-ჭოთა „ვილისით“. გვიბრძანეს გავ-ჩერებულიყავით. ყველანი გავჩერ-ლით, მარცხნივ მივბრუნდიო. უც-ბად — ყურებს არ დავუჯერე — თარჯიმანმა დაუვირა: „ლენინახტო ბერნჰარდ კოშუტო, ათი ნაბიჯით წინ!“ მამასადაძე, გაქცევა არ შემრ-ჩება, დაუსჯელად ვერ გადავჩები, ვავიფიქრე მე. ნუთუ დამხვრე-ტენ?... მივიხედ-მოვიხედე: ირგვლივ ამწვანებული მინდვრები ხასხასებ-და, იასამანი და ვაშლი ყვავდა... შორს ქალაქი ბოლაგდა... მგონი, კიუსტრინი იყო... სად იქნება ნეტა ჩემი საფლავი? როგორ გავაგებინო ბერტას? მთელი ხმით ვიყვირე მისი მისამართი, რომ ეილაცამ შეატყო-ბინოს: „ალტ-დიუბენი, შარლოტენ შტრასე, 16!“.

როცა ათი ნაბიჯი გადავითვალე, მწყობრისაკენ მოვბრუნდი. „ვილის-ში“ ოფიცერი წამოდგა. მისი საბე-ღრმად ჩამეხვტა მეხსიერებაში: ახალგაზრდა, ფართეშკერდიან მხი-რულ კაბუკს ოჭროსფერი ტოჩორი მოუჩანდა. პლანშეტიდან ქალაქი

ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო. ალბათ ჩემი განაჩენია, მაგრამ რატომ არ მითარგმნიან? რატომაა ასე გრძელი? რატომ არ მესმის მისი ენა? ოფიცერი კი სულ კითხულობდა და კითხულობდა, თან იღიმებოდა და თვალისმომჭრელ თეთრ კბილებს აჩენდა.

ნეტა რას კითხულობს? რატომ არ ესმის ადამიანს ადამიანისა? თუმცა სულ ერთი არაა, „რას კითხულობს, თუკი ახლა უნდა მოვკვდე?! არა! მე უნდა ვიცოდე, რისთვის მხვრეტავენ!“ უცნაური ფიქრები მიტრიალებდა გონებაში, მაგრამ თავს კა ველარ ვუყრიდი მათ. ისე დავიღალე, ფეხსე ველარ ვიდექი. ეშმაკმა დალახვროს! ჩქარა! ჩქარა დაამთავრეთ ეს სპექტაკლი! მორჩით!

ბოლო წინადადება თმაქოჩორა ოფიცერმა განსაკუთრებით ხმამაღლა და მკაფიოდ წაიკითხა. თარჯიმანმა ის იყო პირი დაალო, რომ ოფიცერმა შეაჩერა და ისევე ალაპარაკდა, ახლა დაწერილს კი არ კითხულობდა, თავის სათქმელს ამბობდა. ნეტა რას ამბობს? რა აცინებს ნეტა!

ბოლოს, როგორც იქნა, თარჯიმანიც ალაპარაკდა: „მთავარი კომენდანტიან ბრძანებით, პატიოსანი საქციელისთვის, ანუ მიცემული პირობის შესრულების გამო გერმანიის 319-ე ფეხოსანი დივიზიის ყოფილი ლეიტენანტი ბერნჰარდ კომუტი თავისუფლდება საბჭოთა ტყვეობიდან და უფლება ეძლევა გერმანიის ტერიტორიაზე თავისუფლად იცხოვროს“.

თითქოს რიდაც უხილავმა განგების ძალამ ხელის ერთი დაქნევით დააცხრო ამობოჭრებული გრიგალი, საცოდავი ნაფოტივით აქეთ-იქით

რომ მახეთქებდა... დაწვრილებით აღარ მოგიყვებით, გონს როგორ მოვეგე. მაგრამ გონებაში მაგრად ჩამეჭვდა: საბჭოთა ადამიანები პატივს სცემენ პატივსავე პერიან ხალხს, მაშასადამე, თვითონაც პატიოსანი, მაღალი ჩნობის ადამიანებია, ხოლო ის რამდენიმე აუტანელი წუთი, რუსული ენის უცოდინრობამ რომ განმაცდევინა, ვახლა მიწეზი ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებისა: შემესწავლა ენები! ჩემმა ვულნოდგინებამ, როგორც ზედავთ, შედეგი გამოიღო. ახლა მე — რუსული ლიტერატურის გერმანულ ენაზე მთარგმნელი ვარ. ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრი პერტრუდა თურქმენულ ენას სწავლობს. იგი პირდაპირ ორიგინალიდან გერმანულ ენაზე გადათარგმნის თქვენი მწერლების ნაწარმოებებს.

ყველამ ერთხმად დაუკრა ტაში. კომუტნი კვლავ განაგრძო:

— მე ვიამბეთ ჩემთვის საღკუნედ ქცეულ იმ წარსულ წუთებზე, მთელი ჩემი ცხოვრება რომ შემოაბრუნა. დამიჯერეთ, ის წუთები, რაც დღეს თქვენი თეატრის დარბაზში განვიცადე, არაფრით ჩამოვდვარდება იმათ. ჰოდა, დღესაც ვადავწვიტე, შეიძლება ითქვას, არცთუ უმნიშვნელო რამ. ძვირფასო აბაევ, მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ ვაგხდები, დავიმსახურებ ამ დიდ პატივს!

ახლა მე შევხედე კინოსტუდიის გესლიან რედაქტორს, ნეტა რაღას იტყვის-მეთქი? მაგრამ მან თვალი იმარიდა, შემდეგ კი უეცრივ წამოიძახა:

— მშვენიერია! ნამდვილი კინოა.

— კინო კი არა, ეს ცხოვრებაა, — უბასუხა ერთმა თანამესუფრემ.





ტორთლას სიძღვრა

გამოგიცდია ტყვეობა ქვიშის?
 მე კა მრავალჯერ,
 მანქანით თანაც,
 შორს, ყარაყუმის ცხელ უღაბნოში
 უბედურება მაწვნია რამაც.
 ...და ძრავა, როგორც დაჭრილი ვეფხვი,
 ღრიალებს, —
 ძალე ჩაქრება, ხვდება...
 ქვიშაში უფრო გულდაგულ ჯდება
 ამათებით ძბრუნავი თვლები.
 დულს ტალღასავით ბარხანის ქვიშა,
 წუთს ენაცვლება წუთები ასე...
 იდგილზე რჩები
 და როგორც ტყვია
 მძიმდება გული ნადველით სავსე.
 დადუმდა ძრავაც
 და მკვდარი სივრცით
 გასკნებული გერაფერს ხედავ,
 მხოლოდ არწივი
 თავს ზევით დაჰფრენს
 და ფრთების ჩრდილში იზრდება სევდა.
 ახლა არავინ არ ფაქრობს შენზე,
 ახლა ვისხნიდა მოკეთის მშერაც...
 გააგებული არწივი მხოლოდ
 ვითვალთვალებს და საეჭვოდ გზვერავს
 ფაქრობ:
 შეცხვარე გამოჩნდეს ცხვირით,
 ან გეოლოგია, ყველგან რომ დადის...
 ცისკრის მნათივით
 იმედი ქრება
 და სინუშში ყვავილობს დარდი.
 და უცებ ცაში აედერდა სიმი, —
 ტორთლას პანგი მოედო სივრცეს...
 ყან მისცა ძალა უმწეო ამ ჩიტს,
 ადამიანებს იმედი მისცეს?
 იგა სამღერა,
 ვით წყაროსთვალი,
 აჩქეფდა შედგირ ძალით და ფიცით,

უსმენ და ქვეყნად ამ ჩიტზე შეტოდ
 იღარ ენდობი ალაპსაც, იცო.
 და კვლავ გეძახის ხიმღერა: „მიდი,
 კაცს განსაცდელი ჯაბნიდა როდის?!
 ეკვეთე,
 მიდი,
 დაიხსენ თავი,
 სახწაულს ნუღარ დაუწყებ ლოდინს!“



თარგმანა ბრიგოლ ჯულუხიძე



ბიბისარა კაფიზოვა

სიზვარული და ფუთი

წუთი წუთს მისდევს. და სცადო თუნდაც
 წუთი უარყო ხიმღერის გამო —
 შენ გამოგრჩება მოფრენა ვუნდად
 შავი მერცხლების. წუთი წუთს ღამობს.

წუთებად იკვრის მთელი პლანეტა,
 საუკუნეებს წუთები მქმნიან,
 წუთის გმირობას და შემართებას
 სამარადისო დიდება მქვია.

რაც უნდა იყოს, — ვერ უძლებს ვული
 საათის ისრის მწვავედ შეხებას
 წუთთან, რომელიც წელიწადს უდრის,
 თდეს სატრფოსთან ველი შეხვედრას.

თარგმანა მზია ხათაბურავა





იშვან სმუული

მეზღვაურთა კეთილი ჟოგაბი

ატლანტის ოკეანეში გადაეყარა მამაშენს მეზღვაურთა კეთილი ჟოგაბი. გადაეყარა ეს არა — ტალღისაგან იხსნა. აბა რას იზამდა: ხედავს, დაიქანცა ადამიანი, ცივსა და წყვლიადმოსილ ოკეანეში უკანასკნელ ძალ-ღონეს კარგავს... ზოდა, შესძახა მამაშენს მეზღვაურთა კეთილმა ჟოგამმა: „ტალღას ბოლომდე ებრძოლე, მერე კი მე გიშველი!“

გააფთარებულმა ტალღამ დაინახა, მსხვერპლი ხელიდან მისხლტებოთ, და უფრო გაანჩხლდა, მეზღვაურთა ჟოგავს შეუღრინა. ერთი უშველებელი, ბებრუხუნა ტალღა იყო, ისლანდიასა და გრენლანდიას შორის აგორებული ცალი მხარით ისლანდიის, ხოლო მეორეთი გრენლანდიის სანაპიროს წამოსდებოდა და ყინულოვან ციცაბოებზე გვერდებს აფვლეფდა. გაბმენვარებულს, რკალი-სებურად ათ მეტრზე აზვირთულს თეთრი ფაფარი წამოშლოდა ქაყმორეული შუადამის საძაგელი ტალღა ბუყბუყითა და დგაფუნით მიგორავდა, ვითომც აქ არაფერიო, განედიღახ განედზე ზღაშენით ვადადიოდდა და იან ღრიალებდა, როგორც ვეებერთელა ტალღებს ჩვევით ხოლმე.

მამაშენს — ღმერთო, ეს ამყოფე კარგად იმ ქვეყანაში, — შტურვალთან შორიგეობა ახალდამთავრებული ჰქონდა. მთელი დღე დაჭერილ თევზს ამარი-ლებდა და ქანცგაწყვეტილი ფეხზე ძლივსა იდგა. ვახტზე დგომის დროს დაწყევლილმა გვერდიანმა რევეამ სულ ერთიანად დაახვია თავბრე. იქვე, გემბანზე თოკი იყო დაჭიმული. ხელის ჩასავლება. მამაშენს კუბრაგი ცხვირისწინ ჰქონდა და იქით მიიწედა. მიიწედა და შეხზე შექრობდა. უფრო დედაშენზე შექრობდა, რადგან შენამდე, სულ პირველად დედაშენი ნახა და შეიყვარა, შენზე კი იცო. შვილო, რას შექრობდა? „ჩემი ბიჭი თუ ანბანს არ ისწავლის, მისგან არც მეზღვაური გამოვა და არც არაფერიო“...

ზოდა, იმას გიყვებოდნი, მეზღვაურთა კეთილმა ჟოგამმა (ატლანტის ოკეანის თავზე რომ ათასი დესეტინა ცის ნაკვეთი ჰქონდა აღებული თავისი ხალხისათვის) იმწამსვე დაუყვირა მამაშენს:

— ანდრუს, ფრთხილად იყავი, ტალღა მოდის.

დალღილ-დაქანცული მამაშენი მის ყვირილს რას გაიგონებდა. გემს ვვერ-

დიდან დაეჯახა ტალღა. მამაშენმა თოკზე ხელის წაღება ვეღარ მოასწრო და გეშბანზე ამოვარდნილმა ტალღამ ოკეანეში გადააგდო.

ეჰ, შვილო, ვინ იცის, იქნებ ერთხელ შენც ეს ბედი გეწიოს, მაგრამ რას იხამ, ასეთია მამაკაცის ბედი. ერთი კი დაიხსომე, მთავარია შენს გემს დავუბრუნდე. მე პირადად სამჯერ ვინჩობოდი: ერთხელ ატლანტის ოკეანეში, მეორედ — ბარენცის ზღვაში, მესამედ — გერმანულში... მაგრამ მარსილებზე უღვარ, სამივეჯერ ჩემს გემს დავუბრუნდი.

ერთი სიტყვით, დაითრია ტალღამ მამაშენი, ზედ აქაფებულ ფაფარზე მოიქცია და გაიტაცა. ყინულივით გული ჰქონდა იმ ტიასს, ვათოშა და დააბაბუნა მამაშენი. წყალში დამძიმებული ტანსაცმელიც ხელ-ფეხს უბორკავდა, მაგრამ საზრიახი კაცი იყო და არ დაიბნა: ჯერ ჩექმები გაიხადა და ზღვას გაატანა, მერე ბუმლატსა და პერანგსაც დაემშვიდობა. ბოლოს, ძალა რომ მთლიანად გამოეღია, მეზღვაურთა ქომავს გასძახა:

— მეტი აღარ შემიძლია, ჩავიძირები და ის იქნება!...

— არა, იბრძოდე ბოლომდე! — უბრძანა მეზღვაურთა კეთილმა ქომავმა.

მამაშენს კი მეტი აღარ შეეძლო.

— როდისღა მოვა ეს ბოლო? — ძლივს გასაგონად იკითხა სულ ერთიანად ვათოშელმა და ძალაგამოცლილმა მამაშენმა.

— ეგ ჩემი საქმეა — შეეხმონა მეზღვაურთა ქომავი, — მთავარია კაცი ისე იბრძოდეს და ითმენდეს, ვითომ მე არც ვარსებობ. ასეთია ჩემი კანონი ყოველი მეზღვაურის მიმართ.

მერე, როდესაც მეზღვაურთა ქომავი დარწმუნდა, ანდრუსს მეტი ბრძოლა აღარ შეუძლიათ, ტალღას გასძახა: — ახლავე დამითმე ანდრუსი, ოხერტილო, ახლავე დამითმე!

— არ მომეკარო, თორემ გაჩვენებ სვირს! — შეუდრინა ტალღამ მეზღვაურთა ქომავს. ამის თქმა იყო და შეებნენ კიდევ ერთმანეთს. გაბოროტებული ტალღა ქაფბორეული ფაფარით მიეხარცხა მეზღვაურთა კეთილ ქომავს.

გააცთრებული ძვრებივით ებრძოდნენ ისინი ერთმანეთს მამაშენისათვის იქ, შორს, ყინულოვანი ოკეანის სანღვართან. მეზღვაურთა ქომავი ჰგავდა პატარა და სხარტ ძერას, ხოლო ტალღა — შავსა და უზარმაზარფრთებიანს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოსტაცა გაშმაგებულ ტალღას მამაშენი მეზღვაურთა კეთილმა ქომავმა. ახლა ისიც მამაშენივით გაუქნული, ვათოშელი და დაქანცული იყო.

— ახლა კი, ჩემო ანდრუს, გავსწიოთა ზეცისაკენ, — უთხრა მეზღვაურთა ქომავმა მამაშენს, — იქ, ზედ ატლანტის ოკეანის თავზე, ღმერთმა ათასი დესეტინა ცის ნაკვეთი დამითმო მეზღვაურთათვის, ასე რომ, ბრძოლაშიც ერთად ვიყავით და ცაშიც ერთად ვავეშურებით.

დამარცხებული ტალღა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. გაბოროტებული წამით შედგა კიდევ, მაგრამ ერთბაშად სხვა ტალღები მოაწყდნენ და ფიქრებში წახულს ზღვართანი მოადენინეს.

ახლა შენ მკითხავ, რატომ მაინცადამაინც ატლანტის ოკეანის თავზე ამოიჩიოთ. მამაშენმაც ეს იკითხა.

— თილო დესეტინაში ღმერთს მანეთი გადაუტახადე, — უპასუხა მეზღვაურთა ქომავმა, — ეს არც ისე ძვირია. კუნძულების თავზე რომ ამელო, აბა, რა სამოთხე იქნებოდა? ხომ იცი, მუჰამედებმა რა ვინება იციან? პიუჰელებ-

მა კიდევ უარესი! ცაში კი, ჩემო ძმაო, ყველაფერი მშვენიერად ისმის. ასეთი ცა რა ჯანდაბად გვინდოდა.

ასე იყო თუ ისე, მეზღვაურთა კეთილმა ქომაგმა მამაშენი ცაში წაიყვანა და იქ ყველაფერი დაათვალიერებინა. ბიჭოს, ეს თეთრ კიტელებში გამოწყობილი კაცები ბოლთას რომ ცემენ, ნეტავ ვინ არიან?

— ანგელოზებია, — აუხსნა მამაშენს მეზღვაურთა ქომაგმა.

— მერედა, აქ რას აკეთებენ?

— რას აკეთებენ და არაფერს. იმიტომ ჰქვია სამოთხე, რომ აქ არაფერს არ აკეთებენ.

— მეზღვაურები მაინც რას აკეთებენ აქ? მათ ხომ ზღვასა და ხმელეთზე ლამრავი საქმე აქვთ დასამთავრებელი, სახლში ცოლი და შვილი დარჩათ, ზოგსაც ისეთი პატარა ბიჭი ჰყავს, ანბანის სწავლას ზღაპრების მოსმენა ურჩევნია.

ამ შეკითხვამ მეზღვაურთა ქომაგი ცოტა არ იყოს დააღონა:

— იცი რა, ანდრუს, მეზღვაურებმა მართლაც გამაწამეს. არ უნდა ვამზელდე, მაგრამ ამ ძალ-ღონით სავსე ბიჭებმა უსაქმობისაგან ცუდლუტობა დაიწყეს, შენ წარმოიდგინე სამოთხეშიაც შფოთისთავობენ. კოცონსაც კი ანთებენ გამხმარ ტყეში. თავიანთ გემებზე ცოცვას მიჩვეულნი, აქაც არ იშლიან და სამოთხის სახურავზე დაძვრებიან. იმას კი არ ფიქრობენ, რომ სახურავი ფუჭდება, წვიმა ჩამოდის და თვითონვე სველდებიან. ხანაც სადმე მაკრატელს გამოხსრევენ, ცისარტყელას დაანაკუწებენ, კარტს გამოჰკრიან და გიყვარდეს მერე, სადმე შემაღულლებს კარტის თამაში აქვთ გასურებული. ერთი სიტყვით, რასაც ეგენი სჩადიან, იმის ნახევარსაც ვერ მოგიყვები.

მაშინ კი გაცხარდა მამაშენი:

— რას ჰქვია, არაფერს არ აკეთებენ! არა, ძმაო, ეგრე არ იქნება! აქაური წესრიგი უნდა შეიცვალოს. უსაქმურობა ყველას აფუჭებს. ასე თუ გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს ლუღბანასაც გახსნიან!

— ვინ იცის, — ამოიოხრა მეზღვაურთა ქომაგმა, — მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია... იქნებ უკვე გახსნეს კიდევ. ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით საღამოობით, მაგათი ლაზღანდარობისა და ოინბაზობის გამო ჩემი ანგელოზები წითლდებიან და უხერხულად იშმუშნებიან ხოლმე.

— არა, ძმაო, თქვენს წესებს ნამდვილად გადახედვა უნდა. ასე თუ გაგრძელდა, აქაურობა ჯოჯოხეთად იქცევა, — თქვა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მამაშენმა, რომელიც ზღვაზეც და ხმელზეც თავისი კარიკატობით იყო გამოჩენილი.

— სწორედ რომ ჯოჯოხეთად იქცა, შეუცვლელს რაღა შეცვლის. როგორც იყო, ისე დარჩება, — გაქალარავებული, მოხუცი ქომაგი ისე დაღლილი ჩანდა, მამაშენს შეეცოდა და მხოლოდ ესლა ჰკითხა:

— ტბა თუ არის შენს სამოთხეში?

— არის. ემუს ტბაა, დიდი ხნის წინათ გამოყოფა ესტონეთიდან. მეც ავდექი და თავისი თევზებიანად მთლიანად აქ გადმოვიტანე.

— მაინც რა თევზი იცის ემუს ტბაში? — ჰკითხა გაბარებულმა მამაშენმა.

— რაც გინდა, სულო და გულო: ქარიყლაპია, კაპარჭინა, იდი, ულვაშებიანი ლოქო, ნაფოტა თევზი ხომ თავზე საყრელადაა... რა თევზი გინდა, აქ არ იყოს. ანდა, რატომ არ უნდა იყოს თუკი არავინ იჭერს.

— იცი, რას გეტყვი? წადი და ჩემთვის ნაფი შეუკვეთე, უნდა ვითევ-
საო, — თხოვა მამაშენმა. მეზღვაურთა ქომაგი გაოცებული მიიჩურდა მამა-
შენს.

— ანდრუს, ხომ არ გავიწყდება, სამოთხეში რომ ხარ? მუშაობის უფლე-
ბას აქ ვინ მოგცემს! ეჰ, ახალი თევზის ჭამას რა ჯობია, ყველგან
თავი მომაბეზრა, მაგრამ რას იზამ, არ შეიძლება და მზრუნველ-
წესებია.

— აქაური წესები უნდა შეიცვალოს-მეთქი! — მაგიდაზე მუშტი დაპკრა
მოთმინებიდან გამოსულმა მამაშენმა. — წადი და ნაფი შეუკვეთე-მეთქი, გე-
უბნები!

— როგორ შეუკვეთო, სად შევუკვეთო? — გაოცდა მეზღვაურთა ქო-
მაგი.

— სად და, წახვალ ლეიზში, იქ ნაფების კარგი სახელოსნოა, ყველაზე
განთქმული ხელოსანიც ლეიზელია, ვაკრამს უძახიან აი, იმას შეუკვეთე.

საგონებელში ჩაეარდნილმა მეზღვაურთა ქომაგმა ჭალარა წვერი მოიქეცა
და იკითხა:

— მაინც როგორი ნაფი გინდა, ანდრუს?

— როგორი და, ჩვეულებრივი, ნიჩბიანი ნაფი, კილის სიგრძე ოცდაერთი
ფუტი უნდა ჰქონდეს. კარგად შეამოწმე, სწრაფმავალი უნდა იყოს და ტალ-
ღებს არ უნდა უშინდებოდეს, გასაგებია?

— ახლა ისიც მითხარი, რეზოლუცია სადღა ავიღო, რეზოლუცია? —
ჰკითხა მამაშენს მეზღვაურთა კეთილმა ქომაგმა, ესე იგი, ის ქალაქი სადღა
ავიღო, ურომლისოდაც ვერსად ვერაფერს გახდებო.

— ტალინში აიღებ. ანდრუსისთვის მინდა-თქო, ეტყვი და მოგცემენ.

მეზღვაურთა კეთილი ქომაგიც ადგა და ტალინში წავიდა. მთელი კანტო-
რები და ეკლესიები მოიარა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არავინაც არ მისცა
რეზოლუცია. ბოლოს იფიქრა, იფიქრა და პირდაპირ პარტორგანიზაციის მდი-
ვანს მიაღგა. შევიდა თუ არა, მდივანი წამოდგა, მოწიწებით შეეგება, ხელი
თავაზიანად ჩამოართვა და გისმენთ, ამხანაგო, რა საკითხზე მობრძანებულ-
ხართო, ჰკითხა.

მეზღვაურთა ქომაგმაც არ დააყოვნა და შორიდან დაიწყო:

— ამხანაგო, საქმე ის არის, რომ ზედ ატლანტის ოკეანის თავზე მეზღვა-
ურთათვის ცის ნაკვეთი მაჭვს ალებული, ასე, ათას დესეტინამდე იქნება...

— რაო, რაო? თუ იქიდანა ხარ, მე შენი ამხანაგი როგორ ვიქნები?
საშვები გაქვს? აქ როგორ მოხვდი?!

— საშვები? საშვები არა მაქვს, ბატონო. აქ კი პირდაპირ სარკმლიდან
გადმოვედი, — გამოტყდა მეზღვაურთა ქომაგი.

— ბოლოს და ბოლოს ვინა ხარ, ღმერთი თუ ეშმაკი? — ჰკითხა მდივანმა.

— როგორ გეკადრებათ, ეშმაკი რატომ უნდა ვიყო, ეშმაკები ხომ საკვა-
მურიდან დაძვრებიან. არც ღმერთი გახლავართ, უბრალოდ მეზღვაურთა ცის
ნაკვეთს განვაგებ. ასე ვთქვათ, ამ ნაკვეთის ერთპიროვნული ხელისუფალი
ვარ, ეს არის და ეს. კარგა ხნის წინათ ღმერთისაგან ათასი დესეტინა ცის
ნაკვეთი ავიღე იჯარით, დესეტინა მანეთად, პირველ ხანებში იჯარას კეთილ-
სინდისიერად ვუხდიდი...

— არ უნდა გადაგეხადა, — გაბრაზდა მდივანი.

— ჰოდა, არც ვიხდი იმის შემდეგ, რაც გაზეთების კითხვა დავიწყე და გავიგე, რომ თურმე ღმერთი სულაც არ ყოფილა. აშენდა მაგარი ოჯახი, არ ვიხდი და დავისვენე კიდევ.

მდივანი წამოდგა და აქაოდა, არავინ შემოვიდესო, კარქუშეზნიდან ჩაკეტა. ასე და ამნაირად ითათბირეს მათ ორი დღე. რაღაცის დასრულებას, კაცის-შვილმა არ იცის, მაგრამ ერთი კი ცხადია, მდივანმა რეზოლუცია, ანუ ეს აუცილებელი ქაღალდი მისცა და შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა:

— ახლა კი ადამიანურად გახვალ კარიდან და იცოდე, მაგ შენი ოინბაზობია შე ვერ დამაშინებ.

— მე რომ ზღაპარი ვიყო და სხვა არაფერი? — ჰკითხა მოულოდნელად მეზღვაურთა კეთილმა ქომავლამ.

— ეგ ჩემთვის სულ ერთია! შემოხვალ და გახვალ კარიდან! ხალხს ნუ ამასხარავენ, სარკმელი და საკვამური არ ვიცი მე!

ასე იყო თუ ისე, ახლა მამაშენი ცაშია, ატლანტის ოკეანის თავზე და ლეიშელთა ნავით ემუს ტბაში თევზაობს. იმ ტბაში კი რა თევზი გინდა, არ იყოს: ეს ქარიყლაპია ვარო, ეს ნაფოტაო... ახლა ქორჭილებს არ იკითხავ რამდენია? ოქროსფრად მზინავი კაპარჭინების ნახვას ხომ არაფერი ჯობს. აგერ გაიხედავ და ფსკერზე ლოქო გაწოლილა არხეინად, უღვაშების რხევით ნავს თვალს აყოლებს და ანკესსაც სიამოვნებით გაპკრავს ლიყუნებს, მაგრამ შიშობს, ანდრუსს ანკესის ძაფი არ გავუწყვიტოო...

რძალო, ჩააწვინე ბიჭი ლოგინში, დაე, ახლა მეზღვაურთა ცა ნახოს სიზმარში, ხოლო მომავალში ყველაფერს მოესწრება... ზღვასაც გაიცნობს და ცასაც.

ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაპეშ



კაულ პერიკ რუმო



მგზავრი და ბუჩქი ერთმანეთს შეხვდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრის ნაპირას ვარდისფერა ჰყვავას ასკილი.
გზა და გზა—გუბე, გვირილები და ზაიება.
საიდან გაუჩნდა ამ ადგილას, თავად არ მახსოვს.
ცამ მოიხროლა უსაამო ტყიართი ღრუბლებას.
სამყაროს პორტრეტს ნ-მიანი დაშვენდა მკერდა.
ბრჭყვიალებს ვედრო ღობის ხარზე ჩამოშობილი.
მზეც ძირს ჩამოღის, ჩარეცხილი ერთი მორიზონტი.
მინდვრას დასასრულს ვარდისფერა ასკილის ბუჩქი
საიდან გაჩნდა? ან როდემდის იბრწყინებს ასე?
გახსლტნენ ფუტკრება,—შიაშურეს თითქოს სიზმარეთს.
ბუბლებაც—აგრე, სიძარტოვე იგრძნეს მინდვრებში.
თაფლის სურნელი, ყვავილობა, დაშოშქანება.
ასკილი იგი აღვენებდა დაისის ფერში.
გზააბნეული, თუნდაც ერთხელ, იპოვის მკულ გზას?

თარგმანი ირინა შალაშვილი



კალე კურბი

ჩრდილოეთის რომანსი

(ედღვნება გამოჩენილ ესტონელ მოქანდაკეს ა. სტარკოვს)

ძლიერ შორს, სადაც არეების
ძირას
დაგარწევ, ქმნილებაგ ჩემო.
იქ, სადაც ცივა ქვის სიმკაცრეს
სძინავს,
არ უხარია დემონს.
ო, მაპატიე! — სულმა ვერ შეძლო
სისვან შეექმნე მხოლოდ.
მან დამაჯალა შენი სიმძიმე
და ნაღვლაანი ქორთი.
მხოლოდ მან მოხიჯა შენი
ნაკვეთების
წელას უკდაპირად ქცევა.

შენი ტყვილის და შენი ანთების
მარიად ერთგული მწე ვარ.
მან დამაჯალა მოგცე უფლება
სიღრმეში მხოლო სევდა,
რაც თვით სიკვდილსაც
გადაურჩება
და განუყრელად გღვედა.
მინდა გაშორთ მას, რაც ცივაა,
აქვს რახაც ნაჭუჭის გემო,
და თუ ბატეება არ შევიძლია —
დაკამსსვრევ, ქმნილებაგ
ჩემო.

თარგმანი შინა სემიანოვი





ქართული პოეზია

(«ПОЭЗИЯ ГРУЗИИ»)



1949 წელს მოსკოვში გამოცემულმა „Художественная литература“-მ მკითხველებს პირველად მიაწვდოდა ქართული პოეზიის ანთოლოგია. ოცი-ათის ტირაჟიანი ეს ანთოლოგია ხუთსამდე ევროპულ შეიცავს, შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის განვითარების საკმაოდ შთაბეჭდილ სურათს წარმოადგენს.

ეს ანთოლოგია პირველი წარმატებული ცდაა — მაღალხარისხიანი თარგმანით წარმოადგინოს რუს მკითხველს ქართული პოეზიის უველა მნიშვნელოვანი მიღწევა, დაწყებული ხალხური პოეზიის უძველესი ნიმუშებიდან დანთავრებული ქართული პოეტების იმ თაობის უველაზე უმცროსი წარმომადგენლებით, რომლებიც სწორედ ანთოლოგიის გამოცემის დროისათვის შემოქმედებენ ქართულ მწერლობას.



ცნობილია, რა უდიდესი როლი შეასრულა გორკი ქართული ლიტერატურისადმი ჯერ კიდევ რევოლუციამდე.

1912—1913 წლებში მას უკვე მიწერა მწერთა კონკრეტული გამართული ქართული კულტურის მოღვაწეობთან.

ერთერთ წერილში იგი თხოვდა თავი ქართველ მეგობრებს: „გამომიგზავნეთ უველა-დღეგულას თარგმანების პწკარტულები.“

ხვეწი საუკუნის დიდი პოეტები ვლ. მაიაკოვსკი და ს. ესენინი ოცნებობდნენ ერთგვარად და მსოფლიოსათვის გაეცნოთ ქართული პოეზია, ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა, სამაგიეროდ დიდმა სახელმწიფოებრივმა დაინტერესებამ ქართულ ლიტერატურას დაავადწიარა და დააბლოგა ისეთი შესანიშნავი პოეტები, როგორც იუვენს და არიან ნ. ტახტონოვი და

ბ. პასტერნაკი, პ. ანტოკოლსკი, ნ. ზაბოლოცკი და სხვ.

1933 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსი მწერლების ბრიგადა: ნ. ტახტონოვი, პ. პასტერნაკი, ი. ტინიანოვი, ვ. ვოლცევი, თ. ფორში, პ. პავლენკო და სხვები.



ვ. ვოლცევი პირველად 1925 წელს იყო საქართველოში. იგი იმთავითვე განიმსჭვალა ჩვენი ქვეყნის სოციალური, მისი ხალხისა და კულტურის პატივისცემით. საქართველოს ბუნების სილამაზითა და ქართველი ხალხის გმირული სულით შთაბეჭდილმა ვ. ვოლცევმა 1933 წელს გამოაგვიყვანა ნარკვევი ზემოსეანეთზე „სავანეს“ სახელწოდებით.

მან უდიდეს გამოკვლევები და საგანგებო წერილები უღწერა ქართული ლიტერატურის თითქმის უველა კლასიკოსსა და ახალი საბჭოთა ქართული ლიტერატურის უმთავრეს წარმომადგენლებს, ხოლო ნიკო მონოგრაფია რუსთაველზე პირველი სერიოზული ცდა იყო რუსულად არა მარტო რუსთაველის პოპულარიზაციის, არამედ საერთოდ რუსთაველიანაში საკუთარი ნიშნულგვანი წვლილის შეტანის საქმეში. ერთდ, რუსეთ-საქართველოს XI—XIII საუკუნის პოლიტიკური ურთიერთობის ცნობილი ფაქტები ვოლცევმა ახლებურად გააწვრთა და ზოგიერთ შემთხვევაში საინტერესო წერილებით რუსულ მათი საბუთიანობის გასაზრებლად.

ვ. ვოლცევმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო საინტერესო წერილებით რუსულ ლიტერატურაზე — ბლოგზე, ტახტონოვზე, პავლენკოსა და სხვებზე, მაგრამ იმ დღიდან, რაც ქართული ლიტერატურის შესწავლასა და მის პროპაგანდის მოპოვება ხე-

ლი, თავის უმთავრეს მოწოდებად ეს საქმე გაიხადა და სიცოცხლის ბოლო ოცი წელიც მას შესწირა.

შეიძლება ითქვას, რომ იგი სანახევროდ საქართველოში იყო. ფეხით ქონდა ნთვლილი საქართველოს ყველა კუთხე, ხოლო ზოგიერთ შორეულ მხარეში მან რამდენიმეჯერაც კი იმოგზაურა. მუცნიერის მუყაითობით სწავლობდა მისთვის ხელმასწავლომ ყველა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროს, აკვარდებოდა სკენი ხალხის ყოფასა და ადათ-წესებს, იკვლევდა ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების ძეგლებს.

მ. გოლცევის, როგორც რედაქტორის მუშაობა მუდამ სანიმუშო იყო. იგი არა მარტო თარგმნილ ნაწარმოებსა და მისი ავტორის ნათელ შემოქმედებას სწავლობდა ძირფესვიანად, არამედ თარგმანის სინქსისა და ადრეკატეგორიას, რუსული ლიტერატურის ფაქტად ქცევას უთმობდა უდიდეს ყურადღებას და მთარგმნელთან ერთად დაუღალავად მუშაობდა თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

გოლცევი აცნობდა და აახლოვებდა ერთმანეთს ქართველ ავტორებსა და რუს მთარგმნელებს, ქართული პოეზიის სათარგმნელად ახალ-ახალ ძალებს იზიდავდა. იგი აღფრთოვანებული ხედებოდა ბ. პასტერნაკისა და ნ. ტიხონოვის ყოველ ახალ თარგმანს, რომელიც სრულიად სამართლიანად მიიჩნდა მთარგმნელობითი ოსტატობის ნიშნად.

ნ. ტიხონოვის ახალი თარგმანების ვაცნობით გახარებულმა გოლცევმა თავისი აღტაცება ასე გაუზიარა უახლოეს ადამიანს: „მერე ქართველ პოეტთა ტიხონოვისეული თარგმანების კითხვას მოვეყვით. მათ შორის ბევრია შესანიშნავი ლექსი, ყოველ შემთხვევაში, პასტერნაკის საუკეთესო თარგმანებს არ ჩამოუვარდება. ერთად თავმოყრილი პასტერნაკისეული თარგმანები დიდი ლიტერატურულ-პოლიტიკური მოვლენა იქნება... ღამის სამ საათამდე ვფსხვდით ჩიის და ლექსებს ვკითხულობდით“.

მ. გოლცევის ეს წინასწარმეტყველება ისრულდა. ნ. ტიხონოვი და ბ. პასტერნაკის, ბ. ანტოვოლსკის, ნ. ხაბოლოცკის, ა. ბევიროვის და სხვათა თარგმანები მართლაც იქცნენ „დიდი ლიტერატურულ-პოლიტიკურ მოვლენად“ და ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის გრცელ მატარებელში.

მ. გოლცევის აღლო და გემოვნება არასოდეს არ დაღატობდა, როცა სათარგმნელ მასალას და მთარგმნელს არჩევდა. მან იცოდა, რომელი რუსი მთარგმნელის პოეტურ ბუნებაა ჩაქარბული ლექსით უფრო მეტად გამოდა მხარს მსგავსი ნაწარმოებზე მთარგმნელობის შემთხვევის რაღაც რაღაც ვერდებოდა: მწკარედს თან ურთავდა თავის ახსნა-განმარტებებს, რსევა-დარიგებას, დაწვრილებით კომენტარს და ამ გზით მთარგმნელი შეწყვედა სათარგმნელი ნაწარმოების სამყაროში.

მ. გოლცევი აკარდებოდა და სწავლობდა რუსი პოეტების მთარგმნელობით ნებისმიერ ნაწარმს. ბევრ მათგანს გადაადგმევინა პირველი ნაბიჯები მთარგმნელობის რთული ხელოვნებისაკენ.

მოუღესმინოთ ამის თაობაზე შესანიშნავ რუს საბჭოთა პოეტს, ქართული პოეზიის ერთერთ საუკეთესო მთარგმნელსა და მ. გოლცევი პირად მეგობარს ბ. ანტოვოლსკის „გოლცევი ხელოვნებით კარგად იცოდა, რომელი პოეტისთვის მიენდოდა ამი სუ იმ ლექსის თარგმნა, ის მარტო რედაქტორი კი არა, თვით ლიტერატურულ-პროცესის წარმმართველიც გაბლდა. მან პირველმა აღმოაჩინა ნ. ხაბოლოცკი, როგორც ნიქაერი მთარგმნელი; პირველი ჩააგონა მ. ცვეტაევის მთარგმნელობითი მუშაობისათვის მოეკიდა ხელი; გოლცევის ინიციატივით ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი ალ. მუციროვი საქართველოში იმავალ რუსი მწერლების ჯგუფში მოხვდა და სწორედ აქედან დაედო სათავე მის მეგობრობას ქართველ პოეტებთან. გოლცევი ყველგან და ყოველთვის მოქმედებდა გაბედულად, მისი არჩევანი მუდამ ამართლებდა იმედს“.

მართლაც რა დიდი აღმოჩენა იყო ნ. ხაბოლოცკი! რე სიღარიფე იქნებოდა ქართული პოეზიის რუსულად თარგმნაში, გოლცევის ეს დიდი რუსი საბჭოთა პოეტი რომ არ ჩაება ამ საქმეში, ან რამდენი შუქი დააქუდებოდა ქართული პოეზიის მთარგმნელ რუს პოეტთა ბრწყინვალე პლვიდას, გოლცევის მათ შორის მარინა ცვეტაევა რომ არ მოეხმო! ან ვინ შეცვლიდა ალ. მუციროვის და ვინ აზიდავდა იმ მძიმე ტვირთს, რომელიც მან ასე ვაჟკაცურად ასწია ქართული მუზის სამსაბურში, გოლცევის რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, დაძწყვბ რუს პოეტმა ლექსისა და თარგმანის მომავალი შესანიშნავი ოს-

ტატი არ დაენახა და ქართულ პოეტებთან არ დაეპოზილებინა!

როგორც ანტოკოლსკიც ამბობს, ეგოლიცების მიერ ქართულ პოეზიასთან დაწვებულნი ნიჭიერი რუსი პოეტების სია გაცილებით გრძელია. ამ სიას ღირსეულად აგრძელებენ ა. ტარკოვსკი და ვლადერევიჩი; ა. კობეტკოვი და ვ. ზედაინცევი; მ. პეტროვისა და ვ. პოტაპოვი, მ. ლუკინინი და ე. დოლმატოვსკი; ს. შერცინსკი და ვ. ლიბსკეროვი; ვ. ნიკოლაიევიკაი და ა. სნეგოვი და სხვა.



ანთოლოგიას უნდა აემახა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი განვითარების გრძელი და სახელოვანი გზა, ეს კი შეტად ქართული ამოცანა იყო. განაზღვრა იმთა, რა უნდა შესულიყო ანთოლოგიაში მღადარი ქართული ფოლკლორიდან ან კლასიკური და ახალი პოეზიიდან, მოიხილვდა მეფით, დაეარებებულ მუშაობას, რათა ქართული პოეზიის განვითარებისათვის უფრო დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ნაწარმოების მაგივრად ნაკლებ მნიშვნელოვან ავტორსა და ნაწარმოებს არ დაეკავებინა ადგილი. თუმცა მოცულობა ანთოლოგიის (ხუთს გვერდზე მეტი) მაინც დამოკიდებული არ უნდა იყოს შენდგენლებს, მაგრამ უამრავი მასალიდან ღირსეულის შერჩევა, ქართული ლიტერატურის ისტორიის ხელუძლიან ცოდნასთან ერთად, შენდგენლებისათვის ვენდგენებასა და ალღოს უზარუნობასაც მოითხოვდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ანთოლოგიის წინ არ უქლოდა რაიმე მსგავსი გამოცემა, ცოტად თუ ბევრად ქართულ პოეზიის განვითარების ამსახველი კრებული, რომელშიაც გათვალისწინებული იქნებოდა ქართული ლიტერატურის მაგისტრალური გზა, მასი განვითარების უმთავრესი მომენტები მაინც. ასეთი პრეცედენტი რაგიად ნაკლები იყო არ უნდა იყოს იგი, მაინც სადგალებს მომდევნო გამოცემისთვის წინა გამოცემაში დაშვებულა შეცდომებს თავიდან აცილებასა და ხარვეზების შევსებას.

ანთოლოგიაში გამოტოვებულია ქართული პოეზიის ისეთი მნიშვნელოვანი

დარვა, როგორც სასულიერო პოეზია — მიხოვრადია, როგორც ცნობილია, ქართულ სასულიერო პოეზია ძალიან მდიდარია და მაღალი პოეზიის არაერთ საუკუნესო ნიმუშს შეიცავს. რადიკალი ვერ უნდა შევადგურებთ, ქართული პოეზიის ამ მნიშვნელოვანი დარგის მნიშვნელობის შესახებ თავი (ვგ. X) სწორედ ამ პოეზიის შთაღქმით მამოხილვით იწყება. სწორედ, წინასაუკუნოვან ავტორთა ცდება, როცა სასულიერო პოეზიის შთაღქმით წარმოიშვა ანთოლოგიის იმის საზომისკენ.



საუკუნოვანი რუსი პოეტები წლების განმავლობაში თარგმნიდნენ დატაცებით ქართული პოეზიის ნიმუშებს. სწორედ ამ ფაქტმა წარმოიშვა ანთოლოგიის გამოცემის იდეა.

საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ქართველ მწერალთა დელეგაციამ წარადგინა ქართული ლიტერატურის განვითარების დიდი და გრძელი გზის ამსახველი მოხაზება, რომელშიც დიდად გააცხადებდა ინტერესი ქართული მწერლობისადმი.

იმ დროისათვის უხვად გამოქვეყნებულ ქართული პოეზიის ნიმუშების მაღალ პოეტურ თარგმანებს მკათხველი უდიდესი ინტერესით შეხვდა და პრესამ აღფრთოვანებულა წერილებიც უძღვნა.

ს. ტიბონოვის, ბ. პასტერნაკის, ნ. ნაბოკოვის, პ. ანტოკოლსკისა და სხვათა ინტერესი თარგმანებში ქართულ კლასიკურ და საბჭოთა პოეზიის შეუქმნეს მაღალგანვითარებული თვითმყოფალი პოეზიის რეპუტაცია. ბუნებრივია, ყოველივე ამან წარმოიშვა მოთხოვნილება რუს მკითხველს ერთ წიგნში თავისუფალი ეხილა ქართული პოეზიის უფროსი ნიმუშები ალიარებული თარგმანები.

როცა ვ. გოლიცევი (ძირითადად იგი იყო ანთოლოგიის შემდგენელი და რადიკალი) ამ დიდი საქმის განხორციელებას შეუდგა, მას ხელთ შექმნდა ყველა არსებული თარგმანი. მაგრამ როცა წიგნი შემდგენილობა გაიკვია და ანთოლოგიის მასაისის კონტურები მოიხაზა, რადიკალის წინაშე სხვა თავსატეხ საკითხთან

ერთად უამრავი ასალი მასალის თარგმნის საკითხიც წამოჭრაღა.

ვ. გოლცევი უდიდესი პასუხისმგებლობით ეპიკებოდა ამ საქმეს და მაშინაც კი, როცა ანთოლოგია მთლიანად სტამბას პქონდა გადაცემული და უკვე დაახლოებულა იყო, მას კვლავ და კვლავ შეპქონდა შესწორებები, კერძოდ, დაუმატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

1940 წლის 9 ივლისს მოწერილ წერილში იგი თავის თანარედაქტორს ს. ჩიჭოყანს ატყობინებდა: „ანთოლოგიას ბელმეორედ გადავხედავ, აქაცის ლექსების რანდენიმე თარგმანსა და კიდევ რაღაცეებს შეუვლი და კვლავ ჩავაბარებ გამომცემლობას. ვლენე დავითის ასევე დოღობერიძეს ვთხოვე, ბესიკი „ასპინძის ბრილის“ პქვარედი გაეკეთებინა ჩემთვის. ამ ნაწარმოებს ლიბსკეროვს ვათარგმნინებ. მერე ანაწყობში ჩავსვამ. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეოცე წლისთავისათვის ანთოლოგია უსათუოდ უნდა გამოიცეს“.

როგორც ჩანს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის ანთოლოგია ბოლომდე არ იყო დამუშავებული და რედაქტირებული და ვ. გოლცევის იმედი — ამ სახეიშო თარიღისათვის „ანთოლოგია აუცილებლად უნდა გამოვიდეს“ — არ გამართლდა.

ერთი წლის შემდეგ ს. კლდიაშვილისადმი მოწერილ წერილში ვ. გოლცევი იუწყება: „ანთოლოგიის დამუშავებას მალე დავამთავრებ. . . აქარება სამუშაო მაქვს. მთელ ზაფხულს ქალაქში დავრჩები“.

ეს წერილი დათარიღებულია 1941 წლის 21 ივნისით. 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა ქვეყნას და დაიწყო დიდი სამამულო ომი.

სამშობლოს გულწრფელი პატრიოტი ვ. გოლცევი ფრონტისაკენ გაეშურა. იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა საფრონტო გაზეთის კორესპონდენტი იყო და ეს უაღრესად „კაბინეტის კაცი“ მალე შეეჩვია ჯარიაკაცის ძნელ ცხოვრებას. ბოლო დროს იგი შორსმდებელი აფიკის გაზეთში გაღიყვანეს. ვოლცევი იქაც დიდ დამატერესებას იჩენდა თავისი ლატერატურულ მოღვაწეობისადმი. ამასთან შტურმანის პროფესიაც შეისწავლა და რამდენიმე საბრძოლო გაფრენაშიც მიიღო მონაწილეობა.

1945 წელს ბერლინის მისადგომებიდან გამოგზავნილ ბარათში ვოლცევი იწერებოდა, სარდლობამ ფრონტიდან ზურგში

გამიწვიათ, და სიმონ ჩიჭოყანა თხოვდა მოაკოვში ქართული პოეზიის ანთოლოგიის კორექტურა წამოედო.

როგორც ვნახეთ, ლომოდო ომი ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა ხანგრძლივად შეაფერხა **ს. ჩიჭოყანი**

ფრონტიდან დამტყუანული ვ. გოლცევი ხელახლა ჩაეყვია ქართულ ანთოლოგიის და კიდევ დიდი მუშაობის შემდეგ, 1949 წელს, ნიოტბეულმა მიიღო ეს შესანიშნავი ნაჩუქარი.

* *

„Поэзия Грузии“ ოთხი ნაწილისად შედგება: „ხალხური პოეზია“, „XII-XVIII აუტუაყებია პოეტები“, „XIX საუყუებისა და XX საუყუნის დასაწყისის პოეტები“ და „საბჭოთა საქართველოს პოეტები“.

ხალხური პოეზია მოიცავს ქართული პოეტური ფორმებისათვის ყველა ცნობილ შედეგს, დაწყებული ამირანის ეპოიდან გათავებული ჩვესი დროის სახალხო მოქმელებით.

ამ განყოფილებაში ერთადერთი თარგმანი არის წარმოდგენილი ნ. ტახტოვი („ამირან“). ასევე მხოლოდ რამდენიმე ლექსის თარგმანი ეკუთვნია ნ. ზაბოლოცკის. მაგრამ მათ თარგმანები განთიორება ნაღალი პოეტური კულტურითა და ბრწყინვალე ინტაქტობით. ამ განყოფილებაში ძირითად მასალი წარმოდგენილია ე. დერჟავინის, ა. ტარკოვსკის, ალ. კობუტკოვისა და ვ. ლიბსკეროვის თარგმანებით.

რამდენიმე ლექსი თარგმნიდა ვ. ზვიანცევიც, ე. დოლნატოვსკის, ვ. ლიუშიცის, ალ. ვატოვის, ი. ივნევის, ა. ცაგარელის, ბ. სერენბრაიკოვის, და სხვა ნაკლებ ცნობილ თარგმნელებსაც.

იგივერი რუსი პოეტები ვ. დერჟავინი და ა. ტარკოვსკი სწორედ იმხანად ეზიარნენ ქართულ პოეზიას, ოცდაათიანი და ორმოციანი წლების მიწურულში ისინი ახალგაზრდული ენერგიითა და პასუხისმგებლობით ჩაებნენ ქართულ პოეზიის სათარგმნელად გაჩაღებულ ფართო მუშაობაში. წლების განმავლობაში გააგრძელეს ეს მართლაც მთავონებული შრომა და ბოლომდე არ უდაღტნიათ ქართული მუშის ერთგულებასათვის. ვ. დერჟავინიც და ა. ტარკოვსკიც იმ დროისათვის ნიქე-

რი, ინტელისმომცემი დებულტანტები იყვნენ. ისინი ცნობილ რუს პოეტებთან ერთად ჩაებნენ ქართული პოეზიის თარგმნის საქმეში და მათი ნაბიჯი მართლაც რომ იღბლად გამოდგა ამ ასპარეზზე.

ელ. დერჟავინმა თარგმნა დ. გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემები, აგრეთვე სხვა ქართველ კლასიკოსთა და საბჭოთა პოეტების არაერთი ლექსი. ყველა ეს თარგმანი აღბეჭდილია მაღალი ოსტატობითა და თითოეული ავტორისადმი მთარგმნელის ინდივიდუალური მიდგომით.

შესანიშნავი რუსი ლირიკოსი არსენი ტარკოვსკი ორმოციანი წლების მაწურაულში შეუერთდა თავის უფროს კოლეგებს. ამიტომ ამ ანთოლოგიაში მისი თარგმანები არც ისე ბევრია, მაგრამ რაც არის (ხალხურა პოეზიის ნიმუშები, საბჭოთა პოეტების ლექსები, მთარგმნელის მაღალნიჭიერებასა და ოსტატობაზე მეტყველებს. ა. ტარკოვსკიმ ამ ანთოლოგიის შემდგენელ განაგრძო ქართული პოეზიის თარგმნა და თუმცა უკანასკნელ წლებში ინტენსიურად მუშაობს საკუთარ ლექსებზე, ქართველი პოეტების თარგმნაზე ისევ ნაკლებად განაგრძობს.

კ. ლიბსკეროვი ცხრაასობზე და ცხრამეტი წელიწადში სიკვდილამდე ცნობილი პოეტი იყო. მისი პოემები აღგებულა სამხატვრო თეატრის სცენაზე. ლიბსკეროვის პოეზიის ეპიკურიზმისა და პესიმისმის ბეჭედი ესეა და ე. გოლცევის მისთვის სწორედ მისივე პოეზიის ხასიათის მიხედვით შეურჩევია სათარგმნელი მასალა. თეიმურაზ პირველი და თეიმურაზ მეორე, ბესიკი და საიათნოვა მთლიანად ლიბსკეროვმა თარგმნა და, უნდა ითქვას, ყველა ამ თარგმანს ეტეობა გამოცდილი ოსტატის ხელი.

აქ ცალკე უნდა შევჩერდეთ რუსული საბჭოთა პოეზიის ოთხი პოეტის — ნ. ტახონოვის, ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკისა და ნ. ზაბლოცკის მონაწილეობაზე ამ ანთოლოგიაში.

თუ რუსული პოეზიის დიდმა კორიფეებმა ილ. პუშკინმა და მ. ლერმონტოვმა პირველად აღმოაჩინეს კავკასია და საქართველო რუსული და მსოფლიო ლიტერატურისათვის, მათ გზაზე შემდგარმა ნ. ტახონოვმა და ბ. პასტერნაკმა გააგრძელეს თავიანთი დიდი წინამორბედების ტრადიცია და პირველად აღმოაჩინეს რუსი მკითხველისათვის ქართული პოეზია. ნ. ტახონო-

ნოვმა და ბ. პასტერნაკმა არა მარტო ახალი რუსული პოეზიის შედევრები შექმნეს საქართველოს თემაზე, არამედ პირველად გატეხეს უამირი და თავიანთი მაღალპოეტური თარგმანებით სათავე დაუდეს ქართული პოეზიის უმეტეს შემთარგმნის დიდმა და კეთილშობილმა მკვლევარმა

საქართველოს მიუძღვნა ტახონოვმა თავისი საუკეთესო ლექსების ციკლი „Стихи о Кавказе“, რომელიც საბჭოთა პოეზიის კლასიკად აღიარეს.

დროუკამოშვებით ნ. ტახონოვი კვლავ უბრუნდებოდა საქართველოს თემს. მან შექმნა კიდევ ახალი ციკლები: „Весенняя весна“, „Стихи о Тбилиси“, „Радуга в Сугурамо“, პოემა „Серго в горах“ და პოეტური პროზის მშვენიერი ნიმუშები — ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობები.

ნ. ტახონოვი მთელი თავისი ცხოვრებით დაუკავშირდა საქართველოს. იგი ჩვენს რესპუბლიკის წმინდი სტუმარი იყო და ჩვენი ხალხის ცხოვრებას ნულამ ინტერესით იკვირებოდა ავალს. მის უფლება ჰქონდა ეთქვა:

Я не изгнанник, не влекомый
Чужую радость перенести,
Мне в этом крае все знакомо,
Как будто я родился здесь.

ამ ხნის განმავლობაში ნ. ტახონოვი ქართველ კლასიკოსთა არაერთ იუბილეს მთაურობდა და თავისი გამოსვლებითა და წერილებით ახლებურად და საინტერესოდ აწუქებდა მათ შემოქმედებას. მაგრამ ნ. ტახონოვის მთავონება ყოველივე ამით როდი შემოიფარგლება. მან შექმნა ქართული პოეზიის რუსულად თარგმნის მართლაც იშვიათი ნიმუშები, რომლებიც დიდი ხანია საბჭოთა პოეტური თარგმანის კლასიკად აღიარებული.

ნ. ტახონოვმა განუმეორებელი ოსტატობით თარგმნა ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიის ბევრი შედევრი, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი წედომითა და მგზნებარებით თარგმნა თავისი მეგობარი ქართველი პოეტების, თავის თანამედროვეთა ლექსები.

ნ. ტახონოვის მიერ თარგმნილი გ. ლტონიძის, ტ. ტაბიძის, პ. თაყაიშვილის, ვ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ე. გრიშაშვილისა და სხვათა ლექსები დადებულად აღიარდნენ

ბუშინის ენაზე და ქართულ პოეზიას დიდად გაუთქვეს სახელი.

ასევე გულთადაც იყო ბარია მასტერნაკიც დაკავშირებული საქართველოსთან.

ნ. ტახონოვის სიტყვით: „ბარია მასტერნაკის შემოქმედებისთვის საქართველო... შემობრუნების წერტილი გახლდათ. სწორედ საქართველოსა და ქართული პოეზიის მეგობრულმა დახმარებამ გადაუშალა მას წინ ახალ შესაძლებლობათა პოეტური გზა. მასტერნაკმა მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა ის პირველი წარუხატველი შთაბეჭდილება, რაც ქართველებმა თავიანთი გულთბილი და მეგობრული უროფერობით აგრძნობინეს პოეტს. ეს იყო გულთა გადაახილი და მან ერთნაირად გაამდიდრა რუსი და ქართველი პოეტები“.

ქართველი ხალხის ყოფაში, ქართველი მეგობრობის წრეში ბ. მასტერნაკმა მართლაც ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინა თავისი შთაბეჭდების გაქანებისათვის. „საქართველო რომ შემობრუნების წერტილად იქცა მასტერნაკის შემოქმედებაში, ამის ნათელი ილუსტრაციაა პოეტის მთელი შექმნილი მეშაობა იმ დღიდან, როცა იგი საქართველოში ჩამოვიდა.“

„მამინ კავკასიონა, საქართველო და მისი აღამიანები პირველად შევიცანი მთელი სისაყსით. ჩემთვის ყველაფერი ახალი და საოცარი იყო... საზოგადოების მოწინავე ფენა ისე დიდი აულტურითა და გომებრივი განვიარებით გამოირჩეოდა, რომ ასეთი რამ იმ წლებში საქართველოც იყო და იშვიათაც“.

ჩვენს ქვეყანაში მიღებული უშუალო შთაბეჭდილებით შექმნა ბ. მასტერნაკმა შესანიშნავი პოეტური ციკლები: „Второе рождение“, „Путевые записки“, „Художник“, „Когда разгуляется“.

ვის არ ახსოვს, ერთხელ თუ მანერ წაუკეთხავს, მასტერნაკის აღტაცებული სტრიქონები:

Мы были в Грузии . . . Помножим
Нужду на нежность, ад на рай,
Теплицу льдам возьмем подножьем
И мы получим этот край.

И мы поймем, сколь в тонких дозах
С землей и небом входят в смесь.
Успех и труд и долг и воздух,
Чтоб вышел человек как здесь.

ნ. ტახონოვისა არ იყო, ბ. მასტერნაკიც ეტობოდა წვენი ხალხის ყოფაში და კულტურას, დაუხლოვდა და სამკედამოდ დაუძმობაღდა შესანიშნავ ქართულ პოეტებს — პ. იაშვილს, ეჭიქეჭულას, ლეონიძეს და ს. ჩაქოვეს.

მან კასოცარი პოეტური წგლომითა და ოსტატობით თარგმნა ეს პოეტები და ბევრი სპვა თავისთა თანამედროვე ქართველი მეოსანი და შექმნა თარგმნითი ჩელოვნების თაეთი ნიბუშები, რომლებიც ნ. ტახონოვის თარგმანებთან ერთად ქრესტომატიულად იქცაენ და საბჭოთა თარგმნითი გულტურას სწორუბთეირ მაგალითს წარმოადგენენ.

ბ. მასტერნაკი რომ თავიდაც მაღალი აზრისა იყო ბარათაშვილის მისეულ თარგმანზე, ამას მოწმობს ერთი წერილი, სადაც იგი თავისი მთარგმნელობითი შემართობის ისეთი ნიბუშებით გვერდით ახსენებს ბარათაშვილის თარგმანს, რომელიცაა შექსპირის ტრაგედიები და გოეთეს „ჟაქსტი“.

მისივე ინფარქტის გადატანის შემდეგ მან ნ. ტახონოვის მისწერა თბილისში: „...როცა ვონა მოუღაოდი და შეტევაც გადამივლიდა, რაღაცნაირი პიშვილე და ხეტაობა შეუფლებოდა, გლიქობდი, თუ მოვკვდებო, არ ვნადვლობ, სანახევროდ ვაკეოებულდი საქმე არ მრჩება-ძეთქი... მე ხომ ვავე ვავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა (შექსპირის, უაფსტის, ბარათაშვილის თარგმნა)“.

ნ. ტახონოვსა და ბ. მასტერნაკს საქართველოს ვულწრდელ სიყვარულში ტოლს არ უდებდნენ მათი თანამებრძოლები, შესანიშნავი რუსი საბჭოთა პოეტები — პ. ანტოქოლსკი და ნ. ზაბოლოცკი. ისინი ცოტა მოკვიანებოთ შეუერთდნენ ტახონოვსა და მასტერნაკს ქართული პოეზიას თარგმნაში. მაგრამ დრმა წარუშლელი უვალი ვაივლეს რუსი პოეტებს ამ კეთილშობილ საქმიანობაში.

პ. ანტოქოლსკიმ თარგმნა დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, აკავი წერეთლის ლირიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამდენიმე თავისი თანამედროვე პოეტი და „გუგუხისტყაოსნას“ ცალკეული თავები — თითქმის პოემაში შესაშვდი, იგი დღესაც არ ტოვებს ქართული პოეზიის ახალ მიღწევებს უყურადღებოდ და დროდადრო თარგმნის ჩვეული ოსტატობით.

აი, რა აღფრთოვანებული სტრიქონებით გამოხატავს იგი თავის სიყვარულს

საქართველოსადმი: „ერთხელ და სამუდამოდ დაგვაპაბსოცრა საქართველო პოეტურმა თარგმანებმა და პწკარედებმა, მისმა მუსიკამ და უძველესმა ფრესკებმა, ქართველ მოღვაწეებთან პირადმა მეგობრობამ და მთიანმა ბეიზაქმა. ერთი სიტყვით, ჩვენ კვლავ შევბართო კოველივე იმას, რაც ამდიდრება და აღრმავებს ამ ხსოვნას და მას შევზურს — სიყვარულს“.

პ. ანტოკოლსკიმ არა მარტო ბრწყინვალე თარგმანებით გაიღო საქართველოს მიმართ თავისი მეგობრული ხარკი, არამედ ქართულ თემშიც შექმნილ საკუთარ ლექსებშიც გამოხატა ეს გულწრფელი სიყვარული და აღტაცება.

ნაყოლოზ ზაბოლოცკია დიდ შრომას ქართული პოეზიის თარგმანებზე სამართლიანად და დამსახურებულად უწოდებს „პოეტურა გმირობა“. მარტო მის მიერ თარგმნილ ნაწარმოებთა დასახელებაც კი კმარა ამის წარმოსადგენად, თუ რა კოლოსალური შრომა გასწია ამ შეთანხმანება პოეტმა ქართული პოეტური შედეგების რეალურ ენაზე ააადრებლად: მან თრგზის თარგმნა რუსთაყელის „კუტხისტყალსანი“, ჯერ ბენწვებთათვის (მთარგმნელის მიერ შემოკლებული რედაქციით), ხოლო შემდეგ მთლიანად, დავით გურამიშვილის „დეფითიანა“, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები და პოემები. ჯერ კიდევ ზაბოლოცკის სცოცხლემდევე გამოვიდა ორ ტომად ერთად თავმოყრილი საუკეთესო თარგმანები საზელწოდებით: „Грузинская классическая поэзия“. მანვე თარგმნა თანამედროვე ქართველ პოეტთა არაერთი ლექსი.

აქ ცალკე უნდა გამოვეყოთ ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პოეზია. ზაბოლოცკიმ პირველად მიაწოდა რუს მკითხველს ვაჟა-ფშაველას ეპოპურული პოემების მალაქმატკრული თარგმანი, მან ოსტატურად მოუძებნა ქართველი გენიოსი პოეტის მდიდარ მენტაფორულ აზროვნებას რუსული შენატყვისები და პირველად წარუდგინა მრავალმილიონიან რუს მკითხველს ქართული პოეზიის ეს ბუმბუტაში მთელი თავისა განუყოფელი სიღაღით.

ამ თაზმა პოეტმა (ნ. ტახონოვმა, ნ. პასტერნაკმა, პ. ანტოკოლსკიმ და ნ. ზაბოლოცკიმ) ქართული პოეზიის თავისუფლო თარგმანებით შექმნა არა მარტო ქართულიდან თარგმნის დიდებული ტრადიცია,

არამედ საერთოდ საბჭოთა თარგმნითი ხელოვნების განვითარებაში აქვეს სრულიად ახალი სიტყვა. ამ პოემების შთაგონებული შრომის ნაყოლი — ქართული პოეზიის ძირითადი ფუნდეს რუსული თარგმანი — ეკვე აღიადრებულად საწმუნო თარგმნითი ხელოვნების უღაყოლად და იგი ასეთად დარჩება სამუდამოდ.

ანთოლოგიაში შევიდა მხოლოდ ეს თარგმანები, რომლებიც მისი განოსვლის დროისათვის იყო შესრულებული ამიტომ გასაგებია, რომ მასში ვერ მოხვდა ნ. ზაბოლოცკის მიერ მომდევნო წლებში ბრწყინვალედ თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პოემები და „დეფითიანი“. ასევე, ამავე მიზნით, ნაკლულად არის წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. XIX საუკუნის ამ დიდა ქართველი პოეტების მხოლოდ ღირკია ანთოლოგიაში შესული (ისიც ნაწილობრივ), პოემები კი („განდგეილი“, „ამრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გამხრდელი“ და სხვა) იმ დროისათვის რავი თარგმნილი არ იყო, რა თქმა უნდა, ანთოლოგიაში ვერ შევიდა ამიტომაც ეს პოეტებზე ცალმაროვად არიან წარმოდგენილი. ეს ერთი დიდი ხარკებია ანთოლოგიაში.

შეორე დიდი ხარკები ის არის, რომ ანთოლოგიაში იმ დროისათვის გასაგები მიზნებზეთა გამო შენდგენელ-რედაქტორებმა ვერ შეიტანეს პოეტები. მხოლოდ იმწვილი და ტიკიან ტაბიძე-ამ გარწობებამაც ანთოლოგიას ბევრი დააკლო, რადგანაც ნ. ტახონოვის, პ. პასტერნაკის და პ. ანტოკოლსკის თარგმანებში საუკეთესო სწორედ ამ პოეტების — პ. იანვილისა და ტ. ტაბიძის ლექსების თარგმანებია.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ აზრს რედაქტორ-შენდგენლები, ერთი ფაქტიც კმარა: ანთოლოგიაში მთლიანადა შესული ნ. ბარათაშვილის პ. პასტერნაკისეული ველო თარგმანი გაჩდა „მერანისა“. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ეს მწვერვალი უიღბლო აღმოჩნდა თარგმანისათვის, არაფრ იმ დროისათვის, დღეისათვისაც, როცა ხელთა გვაქვს ბარათაშვილის საიუბილეოდ ჩატარებული კონკურსის შედეგები ამ ერთი ლექსის თარგმანზე. სიტყე წინ არ წაწუული, ვერ იტნა და ვერ შეიქმნა „მერანის“ ღირსეული თარგმანი.

თვით პასტერნაკის თარგმანებში ბარათაშვილია. ლექსთან ყველაზე მეტი პოეტურობა აწორედ „მერანის“ თარგმანისადმი იყო წაყენებული. რედაქტორ-მემდგენლები ამ დიდა რუსი პოეტის ავტორიტეტის წინაშე არ შედარენ და მიუხედავად მისდამი უსაზღვრო პატივისცემისა, ეს ერთადერთი ლექსი წარმოადგინეს ცნობილი მთარგმნელის მ. ლანჩხვიას თარგმანით. ხსენებულ თარგმანს აქვს ზოგჯერტი ღირსება (დედანთან სიახლოვე და სხვა), რომლია წყალობითაც იგი რამდენადმე ძალია ღვას სხვათა თარგმანებზე და ამდენად რედაქციის არჩევანი უაღრესწორია იყო.

ორხოდ სიტყვით ანთოლოგიაში მონაწილე დანარჩენ მთარგმნელებზეც უნდა შევხვრდეთ.

ამათგან შედარებით სხვაზე ფართოდ ვერა ზვიაგინცევას თარგმანებია წარმოდგენილი. ვერა ზვიაგინცევა ცნობილი მთარგმნელი იყო. განსაკუთრებით ბევრი აწვს თარგმნილი საომხური პოეზიის ნიმუშები. იგი კარგი ოსტატი იყო და მისი თარგმანები ამ ანთოლოგიის მაღალ დონეა ესადაგება.

ცალკე აღსანიშნავია ალექსანდრე კონჩეტკოვის თარგმანები. მან თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ქართული ლიტერატურის თარგმანს მიუძღვნა, ბოლომდე კეთილსამინდისიერად შრომობდა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის და ამ გზაზე მრავალ ვეალსახანო წარმატებასაც მიაღწია. აღ. კონჩეტკოვი თავისი საცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა ქართული ბელეტრიკების რუსულად თარგმანზე ქართულის მცოდნე მთარგმნელებთან გაწყვილებულად და ჩვენი კლასიკოსების პროზის (აღ. ყაზბეგისა და სხვების) რუსულმა თარგმანებმა თავის დროზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ანთოლოგიაში დაბეჭდილია ლენინგრადელი პოეტის სერგეი სპასეის თარგმანები. იგი ერთ-ერთი პირველი ჩავდა ქართული პოეზიის თარგმნის საქმეში, ნაყოფიერად იმუშავა და არაერთი ნაწარმოები თარგმნა ოსტატურად.

ასევე ნაყოფიერი იყო იტალიელი და ფრანგი პოეტების ცნობილი მთარგმნელის ს. შერვიმსკის მუშაობა ქართველი პოეტების თარგმანზე. მან აქაც აწვენა ისმაღალი კულტურა, რითაც ასე გამოირჩეოდა მისი თარგმნილი დასაუღლოის კლასიკური პოეზია.

ყველაზე გვიან ქართული პოეზიის თარგმნას შეუდგა ნ. ზუკოვსკი (იგი სხვაზე უმცროსიც იყო), მან კარგი მოსაწრთა მავრამ, რაც თარგმნა, ხარისხიანად თარგმნა (იგი აღზე გარდაიცვალა).

ასევე პაინტერესო იყო ანთოლოგიაში ს. შუბინას სახელის მემორიკები. იგი მონაწილე დათბის მემორიკების წარმოადგენელი იყო და რომ ეცოცხლა და მთარგმნელობითი მუშაობა გაეგრძელებინა, აღბათ ბევრი მიღწევაც ექნებოდა.

ქართულ პოეზიას ეზიარა ისეთი ნიჭიერი პოეტი და ნაყოფიერი მთარგმნელი, როგორც აღ. მეჭიროვია. იგი ავტორსაში ათეულ წყლია თარგმნის ქართველ პოეტებს, ძირითადად თხმედროვე საბჭოთა პოეტებს. მისი თარგმანები საბჭოთა მთარგმნელობითი ოსტატობის დმაღლეს დონეზე ღვანის და მისი ღვიწლიმ ოთხი იყო ხლოი რეა პოეტის მიღწევებთან ერთად იაყენიება, რომელიც აქვეყნობდა გაუთქვეა სახელს ქართულ პოეზიას.

აღ. მეჭიროვის შემდეგაც ემადებოდნენ ნიჭიერი რუსი პოეტები ქართულ პოეზიის მთარგმნელთა რაგებს: ვ. ნიკოლაევი-სვია და ი. სნეგოვი, მ. ლუკონიო და ევგ. ვინოკუროვი, ე. ევტუშენკო და ბელა ახნადულიანა, სტ. კუნიიევი და მას. სინელნიკოვი და სხვენა. მათ სახელოვნად გააგრძელეს უფროსი თაობა კარგი ტრადიცია.

ახლა, რაცე ამდენი კარგი პოეტის მუშაობის შედეგად ქართული პოეზიის ძირითადი ფონდი თარგმნილია და საყმაოდ მაღალ დონეზეა. კლკე უფრო ნათლად ჩანა ის ხარკელები, რომლებიც პირველ ანთოლოგიის გაწინდა. ნავრამ „ქართული პოეზიის“ შედგენა, რედაქტირება და გამოცემა იმ დროისათვის მართლაც დიდად სერიოზული ნაბიჯი იყო. ეს გრებული უფროდ საეტაპო მნიშვნელობსა იყო რეაულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობაში და ასახედა იმ პირველ დიდ მიღწევებს, რომლებიც იმ დროისათვის გვეკონდა ქართული პოეზიის რუსულად თარგმნის საქმეში.



რედაქციისაგან წამბოღარებულა წინასიტყვაობა, როგორც ცნობილია, ექტორ გოლცეეს ეკუთვნის. ეს არის მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის კონსპექ-

ტური ისტორია. სულ რაღაც ოცდაათ-
გვერდიან წერილში მოკლედ, მაგრამ არ-
სებიადაა მიმოხილული ქართული პოე-
ზიის განვითარების გრძელი გზა, მოყო-
ლებული ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან
დამთავრებული იმ დროისათვის. ყველაზე
აბაღვაზრდა თაობის წარმომადგენლებით,
თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგი-
ერთ უმნიშვნელო უზუსტობას, წინასიტყ-
ვაობა ძარბათად სწორად ასაბავს ქართუ-
ლი პოეზიის განვითარების გზას, იგი
რუს მკითხველს აწარმოებინებს, აძლევს
და სინტერესოდ უხატავს ქართულ ლი-
ტერატურის სურათს.

ავტორი ქართული ლიტერატურის გან-
ვითარების განიხილავს ქვეყნის სოციალ-
პოლიტიკურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავ-
შიარში, ნათელს აჰყენს ანა თუ იმ ლიტე-
რატურული მოვლენის გამოქვეყნებ-
ზებს.

წერილი ეყრდნობა და ითვალისწინებს
ქართულ ლიტერატურის მიღწევებს, ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიის მეცნი-

ერების ყველა მონაპოვარს, რომელიც იმ
დროისათვის არსებობდა.

ყოველივე ამის გამო წინასიტყვაობა
ერთგვარ კარს უხსნას მკითხველს ქარ-
თული პოეზიის უმდიდრეს სამყაროში სა-
მოგზაუროდ და კარგად შეეფუძნებინოს იმ
კეთილი შეგზავრის კრძალს, რეკომენდ-
რესი მკითხველი სწორი გზით უნდა წაი-
ყვანოს.

ახოლოგის ახლავს შენიშვნები, რომ-
ლებიც მკითხველს უხსნიან და უმარტა-
ვენ ზოგიერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ-
ეთნოგრაფიულ ფაქტს, უთარგმნელად გა-
დატანილ ცალკეული ქართული სიტყვის
მნიშვნელობასა და აზრს.

დასაარელ ახოლოგის დართული აქვს
ქართულ პოეტთა ნაწარმოებებს რუსულად
არსებული ბიბლიოგრაფია. ასეთი ბიბ-
ლიოგრაფია მანამდე არ არსებობდა და
იგი იმ დიდ შრომაზე მეტყველებს, რომ-
ელიც მის შემდგომელ ვ. გოლცევის გა-
უწყვია უამრავი გაფანტული მასალის თავ-
მოაყრელად და შესასწავლად.



ნია აბესაძე

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის რამდენიმე ფურცელი

მდითგანვე ცნობილია, რომ
ქართველ და უკრაინელ ხალხს
ერთმანეთთან მჭიდრო მეგობრული ურთი-
ერთობა აქვს. ამოების ვრცელი მატანის
პირველსავე ფურცლებს ამშვენებს დავით
გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას, ტა-
რას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის. მი-
კოლა გულაკისა და ნიკო ლომოურის. ზა-
ქარია ფალიაშვილისა და კლიმენტ კვიციას
სახელები. ამ მეგობრობის ცხოველმყოფე-
ლი ძალის ნათელსაყოფად შეგვიძლია მო-
ვიყვანოთ თუნდაც ერთი მატარა შემთხვე-
ვა. 1898 წელს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის
40 წლის იუბილზე უკრაინელმა საზოგა-
დო მოღვაწეებმა გამოგზავნეს გულათადა
მისაღმება, ხადაც ნათქვამი იყო: „თქვენმა
დიდებამ რა ხანია გადმოლაბა კავკასიის

საზღვრები. უკრაინელებსაც წილად გვხვდა
მედნიერება თქვენი თხზულებები საკუთარ
ენაზე წაგვეკითხა. და გულთან ისევე აბ-
ლოს მიგვეტანა, როგორც თქვენს თანამე-
მამულეებს“. ამ აღრესს სხვებთან ერთად
ბელს აწერდა ცნობილი პროზაიკოსი მიხა-
ილო კოციუბინსკი.

დვაწლმოსილი წინაპრების დაწყებული
საქმე დიდი ენთუზიაზმით განაგრძეს საბ-
ჭოთა მწერლებმა. საქართველოს თემატი-
კას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისე-
თი გამორჩენილი უკრაინული საბჭოთა პოე-
ტების შემოქმედებაში. როგორებიც არიან
პავლო ტიჩინა, მიკოლა ბაჟანი, მაქსიმ
რილსკი, ვლადიმერ ხოსიურა, ანდრეი მა-
ლიშკო, ლუბოვ ზაბაშტა, ოლეგსა ზოვიც-

კი და სხვები. მათ პოეზიაში აისახა სიყვარულა ქართული ლიტერატურის კორიფეებიდან, ხოტბა შეესხა ქართველ მშრომელებსა და მეომრებს, გაცოცხლდა ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ და აღდგა ქუთაისის ტაძრების ნანგრევების სახელოვანი ისტორია. თავის მხრივ, ჰერკიდევ სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი ლეონიძიდან მოყოლებული, ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ცნობილ ქართველ პოეტს, რომელსაც უკრაინისადმი გულთბილი სტრიქონები არ ჰქონდეს მიძღვნილი. საგულისხმოა, რომ ბევრი ლექსის თემატიკამ თანამედროვეობაზე გადმოინაცვლა. აქ უკვე უკვდავყოფილია ქართველი და უკრაინელი მწერლების მეგობრული ურთიერთობა ჩვენს დროში. ამ მხრივ განსაკუთრებით საუბრადღებოა ირაკლი აბაშიძის „ისევ გვეძახის ალაზანი“, რომელიც მიკოლა ბაჟანს ეძღვნება, და მიკოლა ბაჟანის „ტრიპტიხი სიმონ ჩიქოვანს“. ამ ლექსებში თვალნათლივ გამოვლინდა უახლესი ტენდენცია — გაეცნო და შეეთვისო მოძველებს მის საუკეთესო წარმომადგენლებთან დაახლოების გზით. 60-იან წლებში საახპარეზოდ გამოსულმა ლიტერატურულმა თაობამ კიდევ უფრო გააღრმავა ეს ტენდენცია. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ვიტალი კოროტიჩის, ივან ღრანის, მიკოლა ვინგრანოვსკის, ბორის ოლინიციკის, ჭანსუდ ჩარკვიანის, თამაზ და ოთარ კილაძეების, არჩილ სულიაკაურის მიერ უკანასკნელ ხანებში დაწერილი ლექსები. თუ ლექსთა ციკლები, აქ ბოტაის შეაწვეული ინტონაცია თბილი ლირიკული უღერადობით არის შეცვდილი. პოეტები ხმას აწვდენენ შორეულ მეგობრებს სახვევრადიურხულით წარმოთქმული სტრიქონებით. მოვიგონოთ ვიტალი კოროტიჩის ლექსი „რწმენა“, რომელიც ასე თავდება:

თუ ცის კიდესთან გაყოფილ გზებზე
წვდი მონისჯის კენტად სიარულს,
მომეზმანება და გადამარჩენ,
მტლად დაედები ყველა იარაბ,
მარტოობისგან უთუოდ მიხსნა,
ჩემო თბილისო, ტბილო სიზმარო!

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი სფეროა მარგმნელობითი მოღვაწეობა. ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართული პოეზიის საუ-

კეთესო წარმომადგენლებს — რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას თბზულებათა თარგმნას. მათ მაგალითზე შეიძლება თვალუური მიუაღვეწოთ, თანდათან როგორ იხვეწებოდა და მრუდყოფილი ხდებოდა უკრაინულ ლექსებს. გასულ საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურულმა მთარგმნელმა ა. ნავროცკიმ ექვსტერფიანი ქორე გამოიყენა პოემის საზომის გადმოსაცემად. მიკოლა ბაჟანმა თავისი თარგმანის უკანასკნელ ვარიანტში შაირის უღერადობის შენარჩუნება მოახერხა. თუ ი. ჭავჭავაძის ლექსების პირველი მთარგმნელი პ. ვრაბოვსკი ძირითადად შინაარსის გადმოცემას ცდილობდა, ვაჟა-ფშაველას ლირიკული პოეზიის მთარგმნელმა ანდრეი მალიშკომ ეთასეულ მეტაფორებსაც დაუძებნა სათანადო შესატყვისი და არც უადრესად თავისებური სტროფიკის საზღვრები დაურღვევია. მიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ უკრაინულად ამეტყველა ხუთმა მთარგმნელმა: ი. კუდიკმა, მ. ბაჟანმა, დ. პალამარჩუკმა, ი. კარსკიმ და მ. ვინგრანოვსკიმ. თითოეულ ამ თარგმანს თავისი ღირსება-ნაკლოვანებები მოეპოვება, მაგრამ ყოველ მათგანში გვხვდება საგულისხმო მიკვებები, ბარათაშვილისეული ხატების მოსდენილი ინტერპრეტაცია.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში. შესაძლოა, ამას ხელი შეუწყოს მოძველალატერატურის დეკადებმა, 1964 წელს საქართველოში და 1969 წელს უკრაინაში რომ ჩატარდა. მთარგმნელთა უფროსი თაობის წარმომადგენლებს მხარში ამოუდგინ ახალგაზრდა უკრაინელი პოეტები, რომლებმაც თანამემამულეები თავიანთი თანატოლი ქართველი პოეტების შემოქმედებას აზიარეს. მათთან ერთად ნაყოფიერად შრომობენ პროფესიონალი მთარგმნელები — თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილი სვეტლანა უილობი, რომელიც ანა კალანდაძისა და შოთა ნაშინიანიძის ლექსებს თარგმნის და კიევის უნივერსიტეტში მავლენიდა ქართველი ახალგაზრდა პოეტი რაულ ჩაღაჩაეა, რომელმაც გასულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების თარგმანები.

ქართული პროზის თარგმნა საბჭოთა უკრაინაში 20-30-იან წლებში დაიწყო. თვალპირველად მცირე უანრის ნაწარმოებები ითარგმნებოდა, ისიც რუსულის მეშვეობით, რის გამოც მთელი რიგი რეალი-

მისა მთარგმნელებს მხედველობიდან გამორჩეობდათ ხოლმე. ამავე პერიოდში უშუალოდ დედნიდან თარგმნიდა გ. ნამორაძე, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ ახერხებდა სპეციფიკური ქართული გამოთქმებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ტყვეობიდან თავის დაღწევას, რაც თავისებურ დაღს ასვამდა საერთოდ მაღალ დონეზე შესრულებულ თარგმანებს. 40-50-იან წლებში შეუდგნენ რომანებისა და ვრცელი მოთხრობების თარგმნას, გაჩნდა ერთი და იმავე ნაწარმოების განსხვავებული თარგმანები. ამ მწამწარეული სტილისტიკური ექსპერიმენტის ფონზე შესაძლებელი გახდა თარგმნილი ლიტერატურის უფრო ობიექტური შეფასება და მკითხველებს არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ. 60-70-იან წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ მთარგმნელები, რომლებიც, კ. ჩუკოვსკის გამოთქმით რომ ვთქვათ, „მაღალი ხელოვნების“ ოსტატობასაც არიან ნაწარმები და დედნის ენასაც ფლობენ. მათ შორის საგანგებო აღნიშვნის ღირსად შეგვანია ოლექსა სინიჩენკო და თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილები — გრიცკო ხალიმონენკო და ლუდმილა გრიცკო. ოლექსა სინიჩენკო ხანგრძლივი სტაჟის მქონე მთარგმნელია. მისი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა, თითქმის მთელ ქართულ პროზას მოიცავს—ილია ქავკავაძიდან ნოდარ დუმბაძემდე. მას ტოლს არ უდებენ ახალგაზრდებიც. გრიცკო ხალიმონენკომ ზედიზედ გამოსცა ხუთი წიგნი, თარგმნა ვაჟა-ფშაველასა და დავით კლდიაშვილის მოთხრობები, მიხეილ მრევლიშვილის „ზვავი“, თამაზ ქილაძის „შუაღღე“ და „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“, არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“, თითოეულ მწერალს მან შეუწარმოა ორიგინალურის ინტონაცია და ქართული თავისებური სიტყვებისა თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების მოხდენილი შესატყვისების დაძებნა შეძლო. ლუდმილა გრიცკო ჯერ სულ ახალგაზრდაა, მაგრამ სამი წიგნი მასაც უკვე გამოქვეყნებული აქვს. ეს გახლავთ გურამ ფანჯიკაძის „მეშვიდე ცა“, ლადო მრეულაშვილის „იუდათოელი ბიჭები“ და ნოდარ წუღუისკირის „თუთარხელა“. მთარგმნელმა კარგად მოახერხა ამ სავსებით განსხვავებული ნაწარმოებების სტილისტიკური თავისებურებების გადმოცემა. ყოველ მომდევნო თარგმანში მისი ოსტატობა ხელ უფრო დახვეწილი ხდება.

თავის მხრივ, საქართველოშიც ინტენ-

სიურად თარგმნიან უკრაინულ ლიტერატურას, ჯერ კიდევ ნიკო ლომოურმა ჩაუყარა საფუძველი შევჩენკოს ლექსების თარგმნას, ქართველმა საბჭოთა პოეტებმა კი მისი საქმე განაგრძეს და უმაღლეს საუბურზე აიყვანეს. საკმარისი ქუთუხისხუნით „ანდერძის“ სიმონ ჩიქოვანის ქართულად ამეტყველებული ლესია უკრაინკას ლექსები, ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ ნათარგმნი მიკოლა ბაჟანის აღრეული სონეტები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი შევჩენკოსა და ფრანკოს პოემები, და კიდევ, ვინ მოთვლის, თარგმანის ხელოვნების რამდენი საუკეთესო ნიმუში ამჟამად უკრაინულ-ქართული ბიბლიოთეკის თარგმნის, ამჟამად უკრაინელი პოეტების ლექსებს დიდი სიყვარულითა და რუღუნებით თარგმნიან იოსებ ნონეშვილი და ხუტა ბერულავა, ჟანსუფ ჩარკვიანი და ოთარ ქილაძე, მორის ფოცხაშვილი, გივი გეგეჭკორი და გივი ძნელაძე, ამირან ასანიძე და რაულ ჩილაჩავა. ამ უკანასკნელმა ცალკე წიგნებადაც კი გამოსცა ვლადიმერ სოსიურას ლექსები და ახალგაზრდა უკრაინელი პოეტების კრებული „სიკეთის ყვავილები“.

უკრაინული პროზა ქართულად დღემდე ძირითადად რუსულის გზით ან პწკარელის მეშვეობით ითარგმნებოდა, მაგრამ კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის სტუდენტთა გაცვლის შემოდების შემდეგ მომზადდა უკრაინულ ენას თავისუფლად დაუფლებული მთარგმნელები, რომლებიც საუცხოოდ ერკვევიან ქართული ენას ურთულეს ნიუანსებშიც და მაღალმხატვრულ თარგმანებს სთავაზობენ შკითხველებს. ამ მხრივ საინტერესოა რევან სვედელიძისა და ამირან ასანიძის საქმიანობა, რომლებმაც ისეთი სიმსუბუქით თარგმნეს გრიგორი სკოვოროდას, ოლეს გონჩარის თუ ლეონიდ პერეომაისკის პროზაული ნაწარმოებები, რომ შკითხველს დედნის უშუალოდ გაცნობის ილუზია შეუქმნეს. ახალგაზრდა მთარგმნელმა ნათია გავაშელმა ქართველ საზოგადოებას მიაწოდა გრიგორი სკოვოროდას იგავ-არაყენი და უკრაინული ხალხური ზღაპრები. უფრო მრავალმხრივია ჯაბა ასათიანის მოღვაწეობა. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მან უურნალებში თუ ცალკე წიგნად ზედიზედ გამოაქვეყნა ვასილ სტეფანიკისა და მიხაილო კოციუბინსკის, ლესია უკრაინკასა და ოსტაპ ვიშნიას, იური იანოვს-

კისა და ლეონიდ პერვომაისკის, ევგენ გუცალოსა და ვალერი შევჩუკის მოთხოვნების თარგმანები. იმის გასათვალისწინებლად, თუ რა რთული ამოცანა იდგა მთარგმნელის წინაშე, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ივან ფრანკო კოცოუბინსკისა და სტეფანიკის ბროზის სტილს ამგვარად ახასიათებდა: „ახალი ბელეტრისტიკა უაღრესად ფაქიზი, ფილიგრანულია, ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელია, დაუახლოვდეს მუსიკას. ამიტომ განსაკუთრებით ზრუნავს ფორმის დასახვეწად, სიტყვას მელოდიურობის, მეტყველების რიტმის შესაქმნელად... იგი თამამ, უჩვეულო შედარებებს, ნახევარტონებსა და ფაქიზ მინიშნებებს გვთავაზობს“. მთარგმნელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ამ ნახევარტონებისა და მინიშნებების დაცვა, იშვიათი მელოდიურობის შემონახვა, ხოლო უჩვეულო შედარებებს ღირსეული შესატყვისები მიუხადავა.

ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში მთარგმნელთა ახალი კადრები მზადდება. ამ საქმეს სათავეში უდგანან სსრკ ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ოთარ ბაქანიძე, და მისივე ინიციატივით დაარსებული კლუბი „უკრაინა“. კლუბმა უკვე გამოსცა უკრაინელი

მწერლების თარგმანების სამი კრებული პარალელური უკრაინულ-ქართული ტექსტით: ლესია უკრაინკას „სინათლე, სუნათლე!“, გრიგორი სკოვოროდას „სკვალა უთილი“ და მიკოლა ბაუნის „მზის შადრევნები“. თარგმანები შესრულდა უკრაინულ მწერლების მიერ, რომელთა შორის უკრაინული პროექტები მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ქილაძე, უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები. გამომცემლობას ჩაბარდა ბავლო ტიჩინას ლექსების კრებულიც. კლუბის გამოცემებს ფართო გამომხაურება ბქონდათ უკრაინულ პერიოდიკაში. მათ სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ამდენად ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის სახელოვანი ტრადიცია გრძელდება. ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს მამათა საქმეს, ქართულ და უკრაინულ მწერლებსა და მთარგმნელებს შორის დამყარებული მეგობრობა მომავალში კიდევ უფრო მეტად დაახლოვების საწინდარია. როგორც გიორგი ლეონიძეს უთქვამს, საწინდარია იმისა, რომ

მარად ბრწყინავდეს ჩახჩახით
ძმობის მზე მომავალისა,
ხანამდე დნებრსა და მტკვარში
დიოდეს წვეთი წყალისა!



პირო ზარნაძე

თანამედროვეთა მოგონებები მიხეილ ზოზჩენკოზე

ლენინგრადიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, სესტრარეცკში, ოგოროდნაიას ქუჩაზე, იასამნის ბუჩქებით მოქარგულ ციცქნა ეზოში დგას ნომცრო. ორსართულიანი ფიცრული სახლი — მწერალ მიხეილ ზოშჩენკოს აგარაკი. ენ მისთვის რამდენ ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გადაუბიჯებია ამ სახლის ზღურბლზე მწერლის სიცოცხლეში, თუმცა მიხეილ ზოშჩენკოს აგარაკი არც ახლაა კარგამოკეთილი.

აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მწერლის სიცოცხლეში იყო: პირვე-

ლი სართული სამხარეულოსა და სასაღილო ოთახებს უკავია, მეორე სართული კი მთლიანად მწერლის განიგებლობაში ყოფილა, იქ პედაგოგია მუშაობა.

ახლა მისაღებ ოთახში მწერლის წიგნების, ხელნაწერების, მრავალ ენაზე თარგმნილი მისივე ნაწარმოებების, ფოტოსურათებისა და პრაქტიკული წიგნების თავისებური გამოფენა გასლავთ.

მწერლის მეუღლეს ვერა კირბიტსკაია-ზოშჩენკოს ჯანმრთელობა არ დაუშურებია, რათა თავისი ცხოვრების ერთგული მეგობრის საყვარელ კარიერამოს შინა და ლაშათი არ დაპყროვლა.



გამოჩენილმა ჟურნალისტმა და სატირიკოსმა მწერალმა მიხეილ კოლცოვმა თავისი სიტყვა საბჭოთა მწერლებს პირველ ყრილობაზე საკმაოდ ორიგინალურად დაიწყო:

„ორ-ნახევარი წლის წინათ ლენინგრადადღესა მოფერმა მარტინოვმა თავის-სავე ამხანაგს მოფერ ტიხონრაგოვს ქუროთუკის ჯაბიდან მართვის წიგნაკი ამოაცალა: იხელთა დრო, როდესაც ტიხონრაგოვი ადგილზე არ იყო, ჩაჭდა მის მანქანაში და ქალაქში გაისეირნა. შემდეგ მარტინოვი მამაპაპურად გამოთვრა, ნაცნობი ქალიშვილებიც ჩაისვა — თვალს წყალი დავაღვეინოთო და მერე, რაღა თქმა უნდა, მანქანა მერძევე ქალს დააჯახა. ოგნის შედგენისას მარტინოვმა ტიხონრაგოვად გაასალა თავი, აქეთობას მშვიდობიანად დაბრუნდა და მანქანა უჩუმრად დააყენა თავის ადგილას. როდესაც ეს ამბავი მაინც გამოაშკარავდა და მარტინოვის დანაშაულიც დადსტურდა, გარაგში საერთო კრება მოიწვიეს. კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა: მარტინოვი დაუყოვნებლივ გაეგდოთ სამსახურიდან და პროფკავშირიდანაც გაერიცხათ; მეორენი მოითხოვდნენ: სამსახურიდან და პროფკავშირიდან გაძევება არ იკმარება, დააბატიმროთო; ხოლო მესამენი კატეგორიულად მოითხოვდნენ: ყველაღერს სჯობია, მარტინოვი მწერალ ზოშჩენკოს მიჰგეაროთ. მოთხოვბას რომ გააშანშალებს მაგ თაღლითზე, მაშინ ნახოსო“¹.

მოწონების ნიშნად დარბაზში ტაშმა იტყუხა, მაგრამ ეს სიტყვები 1934 წელს ითქვა, როდესაც მიხეილ ზოშჩენკო, ორპოციოდე წლის კაცი, შენაქმედების ზენიტში იყო და პოპულარობაც, რაღა თქმა უნდა, საკმაო ჰქონდა.

უფრო ყურადსადებაია ის ფაქტი, რომ მწერალ ზოშჩენკოზე, რომლის ლიტერატურული სტაჟი ათი წლითაც კი არ განისაზღვრებოდა, საგანგებო წიგნი დაისტამბა ბ. კაჩანსკისა და ი. ტინიანოვის რედაქციით. მასში ვრცლადაა მიმოხილული და გაანალიზებული ზოშჩენკოს მხატვრული სტილი და ენა. სტატიების ავტორები არიან ვიქტორ შკლოვსკი და აკადემიკოსი ვლადიმერ ვინოგრადოვი.

მ. ზოშჩენკოს რუსულ საბჭოთარ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადვილი უკავია, მაგრამ ცალკე აღებულ არც ერთ მხატვრულ ნიშან-თვისებას (წე-

¹ „მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში“. მოსკოვი, 1934 წ. გვ. 221 (სქოლიოში ერთსა და იმავე წყაროს ერთხელ მივანიშნებთ ხოლმე ავტ.)

რის ექსპრესიული მანერა, ლაკონური ფრაზა, მკაფიო სიუჟეტი, ნიღაბი, 'ხმანის მეტ-დ თავისებური, ინფერსიული გამოყენება, ჟარგონულ-დიალექტური ლექსიკა). არ შეუხრულდება აქაში მთავარი როლი. ზოშჩენკოს შემოქმედება მთლიანობაშია ორიგინალური, რადგან ჭეშმარიტი ნიჭის ორიგინალურობა შემოქმედების ყველა ასპექტში გლინდება ერთდროულად. **ერკუნული**

რაც მთავარია, ზოშჩენკო რეალისტი მწერალია. მისთვის ცხოვრების ექტური სინამდვილას მიღმა არაფერი არსებობს. იგი ხედავს ცხოვრებას ისეთს, როგორიც არის, არც „ალამაზებს“ და არც „ამახინჯებს“, თღონდ ეგაა, ზოშჩენკოს, როგორც სატირიკოს მწერალს, უფრო „აინტერესებს“ ცხოვრების სინამდვილეში არსებული მაბინჯი მხარეები, რათა ოდნევი პიპერბოლით, მაგრამ რეალისტურად დაგვისურათხატოს ისინი, ამხილოს და გაამათრახოს. დაგვეთანხმება მკითხველი, რომ სატირული მწერლობისათვის ეს ამოსავალი კრედაა და ერთნაირადაა აფცილებელი ყველა დროის სატირიკოსისათვის ანტიკიდან მოყოლებული დღემდე.

მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მწერლის უადრესად ხალხური, ცოცხალი ენა გახლავთ. იგი ამ მხრივ არც ერთ კლასიკოს მწერალს არ დაუდებს ტოლს. საგულისხმოა, რომ ამერიკელ ენათმეცნიერს ვერა ვირენს სადოქტორო დისერტაცია დაუცავს თემაზე: „მიხეილ ზოშჩენკოს ენა“.

* * *

აი, როგორ ახასიათებს ექტორ შკლოვსკი ზოშჩენკოს: „იგი ტანად დაბალია, ფერმკრთალი, თვალები ნამდვილად უკრაინელისა აქვს“, ფრთხილად, გამოზომილად დადის, ლაპარაკობს ჩუმად, სუსტ ხმაზე. მთელ მის ქცევაში ჩანს თავაზიანობა იმ ადამიანისა, გაცეცხლებული წონიუბრების გაზაფება რომ სწადია. სუნთქვითაც კი სუსტად სუნთქავს, გაუბედავად, გაზით მოიწამლა გერმანელებთან ომის დროს.

იგი არც ბოკაჩოა, მაგალითად, არაა არც ლეონოვი, და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც დოსტოევსკი. მაგრამ ბოკაჩო ცდებოდა ხოლმე. „დეკამერონი“ სულაც შემთხვევით დაწერა. მისი მეგობარი პეტრარკა ისე წავიდა საიქიოს, „დეკამერონი“ არ წაუკითხავს. ბოკაჩოს ერცხვინებოდა. დრო იყო, დოსტოევსკიც ჩიოდა, „იმდენივე გადამიხადეთ, ტურგენევის რომ უხლით და იმაზე ცუდად არც მე დავწერო“. უფრო კარგად კი წერდა.

ზოშჩენკოს კითხულობენ ლუდხანებში, ტრამვაიში, მაგარი ვაგონის ზედა საწოლებზეც საუბრობენ მასზე. მის მოთხრობებს ჭეშმარიტ მოვლენად თვლიან.

1921 წელს გამომცემლობა „ვსემირნია ლიტერატურასთან“ (გორკი რომ ედგა სათავეში) ჩამოყალიბდა მეორე ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც მისმა წევრებმა პოტმანის წიგნის სათაურის გავლენით — „სერაფიონის ძმები“ შეარქვეს. ჯგუფში შედიოდნენ: ნიკოლოზ ტიხონოვი, კონსტანტინე ფედინი, მიხეილ ზოშჩენკო, ვსევოლოდ ივანოვი, ბენიამინ კავერინი, ელიზავეტა პოლონსკაია, ილია გრუზდევი, ლეონიდ ლუნცი, ნიკოლოზ ნიკიტინი და ვლადიმერ პოხნერი — ათი დამწყები ლიტერატორი. „სერაფიონელებს“ ოთხი სექცია ჰქონდათ: პოეზია, პროზა, თარგმანი და კრიტიკა. ახალგაზრდებს სემინარებს უტარებდნენ ისეთი გამოჩენილი ლიტერატორები, როგორებიც

იყვნენ: კორნეი ჩუკოვსკი, ევგენი სამიატინი, ვიქტორ შკლოვსკი, ნიკოლოზ გუმილიოვი და სხვ.

კ. ფედინის განმარტებით, ჯგუფის მიზანი იყო „ახალი მასალის აღქმისა და დაუფლების ხერხების დაძებნა, მასალისა, რომელსაც მაშინ წარმოადგენდა განვლილი ომი და რევოლუცია: ახალი მხატვრული ფორმის შექმნა“¹.

„სერაფიონელთა“ მიზანი, — ამბობს ვ. შკლოვსკი, — სწორედ ეს მხატვრული ფორმის შექმნა იყო.

საერთოდ, „სერაფიონის ძმები“ გამოდიოდა პრიმიტივისმას და შეუღებულ ბლაკატურობის წინააღმდეგ. მოითხოვდა, რომ მხოლოდ პოლიტიკური ტენდენციურობის გამო მდარე ლიტერატურას შეღავათი არ უნდა ჰქონდესო.

დიდი პროლეტარული სწერლის მაქსიმ გორკის დამოკიდებულება მიხეილ ზოშჩენკოსთან იმდენად თბილი და საქმიანი იყო, რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

1930 წლის 16 სექტემბერს სორენტოდან გამოგზავნილ პარათნი გორკი ზოშჩენკოს სწერდა: „გამახარა იმით გაგება, რომ დიდი ნაწარმოები დაგიწყიათ (იგულისხმება „დაბრუნებული ახალგაზრდობა“. ავტ.). მოუთმენლად ველი. ახლახან — ექვსი კვირა წინათ — თქვენი მოთხოვნების ოთხტომეული მივიღე. განაზოგვიან გადავიკითხე და საღაპოობით ახლაც ხშირად ხმამაღლა ეუკითხავ შინაურებსა თუ სტუმრებს. ჩანებულა ენა გაქვთ. მიხეილ მიხეილის ძევ, და მეტე რა სინსუბუქით უღობა. იუმორიც ძალიან „თქვენული“ გაქვთ. დიდად ვაფასებ თქვენს მუშაობას. ნერწყვით, ეს ქათინატრი არაა. ვაფასებ და მჯერა, დიდ ტილოებაც დაწერთ. თქვენ გაქვთ მკაფიოდ გამჟღავნებული სატირიკოსის მონაცემები, ირონიკა გამახვილებული გოპნობა, რომელსაც მეტად თავისებურად, ორიგინალურად ერწყმის ლირიკა. ირონიისა და ლირიკის ასეთი შესადაგება ლიტერატურაში არაად შეგულებია.“

... ხომ არ აჯობებდა სადმე სასულვარგარეო გამგზავრებულიყავით? ნაგალითად, აქ, იტალიაში ჩამოსულიყავით? აქნებოდით ცოტა ხანს, დაისვენებდით. ვფიქრობ, ძალიან მოგიხდებოდათ“².

ვერა ვლადიმერის ასუღმა, სავათა შორის, ერთი ცნობაც მოგვაწოდა, რომელიც მისი სახელოვანი მეუღლის გვარის გენეალოგიას თავისებურად განმარტავს. თითქოსო, — გვითხრა მან, — ოდესღაც, იმპერატორ ალექსანდრეს თუ სულაც პეტრე დიდის დროს, ტაძრებისა და ეკლესიების ასაშენებლად იტალიიდან საგანგებოდ ჩამოეყვანათ ხუროთმოძღვარნი.

მიხეილის წინაპარს პოლტავაში რგებია ტაძრია აწენება. აუგია კიდევაც მკვიდრად და ლამაზად. გასამრჯელოდ თუი ქცევა მიწა მიუღია, თუიოდე წლის ყმაწვილს უკრაინელი ქალი შეუერთავს და ოჯახს მოჰკიდებია. მაგრამ რაღაც სწეულებით ნალე გარდაცვლილა და ობოლ წვრალშვალთაქ მანის გვარი დარჩენოდათ, იტალიური... მაგრამ უკრაინელებს საოცრად უჭარდათ თურმე უცხო სიტყვის გამოთქმა, ამდგარან და იტალიური გვარი „ზოდჩენკო“-თი შეუცვლიათ (ზოდჩი — ხუროთმოძღვარი), მეტე ბუნებრივი ასიმილაცია მომხდარა — „დ“ „წ“-ს შეუცვლიათ და დღევანდელი სახე მიუღია.

¹ კ. ფედინი. „გორკი ჩვენს შორის“, 1967 წ. გვ. 3.
² „ლიტერატურისე სახეუდატვო“, 1953 წ. ტ. 70, გვ. 151.

მიხეილ სლონიმსკი იგონებს ერთ საინტერესო ფაქტს: ჩემთან იყო მიხეილ მიხეილის ძე. ვსაუბრობდით რაღაცაზე. მერე უცერად ავტომატურად დაავლო (რომელსაც სიკვდილაძღე არ განშორებია), მომიძინება, საქმეზე მივდივარ და ოთახიდან გავარდა. სულ რაღაც ორმოციოდე წუთში უკანვე დაბრუნდა.

„როცა აღგზნებული იყო, იღინებოდა. თვალები უცნაურად იშლებოდა.“

— იცი, რა, — მოთხრა თუნაც გაოცებულმა, — ეს წუთია. მოთხრობა დაწერე.

— როგორ? აკი საქმეზე მივდივარო...

— ვინ გაგიშვა? კიბეზე რომ ჩავდიოდით, უცებ სიტყვა სიტყვას თავისთავად გადაება და რა შექნა ისე კი, — უმაღლეს დაუმატა, — რომ იცოდე, ავადმყოფობასავითაა ეს, საერთოდ, კარგი ცხოვრებით მწერალი არავინ გამხდარა. ან რაღაც სასწაული უნდა გარდაგხდეს თავს, ან საერთოდ ავადმყოფი უნდა იყო.

მოთხრობა, რომელიც მაშინ დაწერა, იყო „არისტოკრატი ქალი“, მისი ერთ-ერთი პოპულარული მოთხრობა...

„როცა შთაგონებით, აღმაფრენით ვმუშაობ, ესე იგი, მსუბუქად, ჩქარა, მოთხრობის მთელი გეგმა, კომპოზიცია თავისთავად მოედინება.“

თუ ასე არ იქნა, მაშინ ტექნიკურ ჩვევას ვიმარჯვებ ხოლმე. ჩემი ლიტერატურული ნოდვაწეობის მთელი დრო ერთს მოვანდობე — მიძედწია ისეთი ტექნიკისათვის, ნაწარმოების ხარისხი დაახლოებით მაინც ყოფილიყო იმნაირი, როგორც მაშინ, როცა შთაგონებით ვწერდი. მჯერა, რომ ჯერ არც ერთ მწერალს არ გადაუთქვრავს ლიტერატურული სარბიელი მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი აღმაფრენის ხარჯზე. ასეთი მწერალი არასოდეს შემხედრია; არ შეახვედრია, რადგან აღამოიანი ისე გაუჩენია მამანუციერს, ერთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ რბება.

შედარებით ახალგაზრდა რომ ვიყავი (ამას 25 წლის კაცი ამბობს), 5-7 წლის წინათ, მეტი ენერჯია მქონდა და ყოველნაირ პირობებში შემეძლო წერა: ტრამვაში, კუჩაში. მაგალითად, „არისტოკრატი ქალი“ კიბეზე დავწერე, წერილის კონვერტზე; კი, ბატონო, ეს მოთხრობა შემოქმედებითი აღმაფრენის დროსაა დაწერილი, მაგრამ, აღმაფრენის გარეშეც რომ დამეწერა (და ასე ხშირად ხდება), განსხვავებას ძნელად შეამჩნევდით. მოთხრობა „აბანო“ სულ უბის წიგნაკებიდან სიტყვასიტყვით ამოღებული და შეკოწიწებული ფრაზებითაა დაწერილი...

... ხანდახან პატარა მოთხრობის დააწერად ხუთი-ექვსი დღე მესაჭიროება.

... უწინ თითქმის ყოველთვის შემოქმედებითი აღმაფრენით ვწერდი — 15 წუთში ერთ მოთხრობას (იგულისხმება მოთხრობის გეგმა).

... ჩემნაირი მწერლისათვის, ესე იგი, ნცირე ფორმის მოთხრობების მწერლისათვის, ყველაზე დიდი სირთულე — სიუჟეტის შერჩევაა.

... მხოლოდ „მინაგანი წვით“ ან, ასე ვთქვათ, „ღვთის წყალობით“ შეიძლება ნამდვილი სისულელეა. ასეთი მწერლები რამდენიმე წელიწადში კვდებიან. აღმაფრენის ჟანს შექმნილი ბევრი ჩემი მოთხრობა ზოგჯერ ხაკლებად მოსწონებიათ.

ამასთან ძალიან დიდ როლს ასრულებს გარეგანი პირობა — სიწყხარე.

...სულ თავიდან რამდენიმე ვრცელი მოთხრობა დაეწერე: „სიყვარული“, „ომი“, „დედა-თევზი“ ... შემდეგ მცირე ფორმაზე გადავედი, პატარა მოთხრობებზე. იუმორისტულად რომ მონათლეს. კაცმა რომ თქვას, ალცინე ზუსტია ეს განოთქმა. ეს არაა იუმორისტული მოთხრობები. იუმორისტულში ჩვენ ვგულისხმობთ მოთხრობას, რომელიც იმით დაიწერა, ~~მეტი~~ ^{მეტი} მკითხველის მკითხველი... მაგრამ თუ ჩემი მოთხრობის კითხვისასაც ეცინება მკითხველს, ჩემგან დამოუკიდებლად გამოდის ასე, ეს ალბათ ჩემი მუშაობის დამახასიათებელი მხარეა.

... ჩემი ხასიათი ისეა ჩამოყალიბებული, რომ ცოტა ირონიული წყობის კაცი ვარ. თვალის ჩემი ისეა „აწყობილი“, რომ ადამიანებში მათ ნაკლოვანებებს იღვწის და ვხედავ. შევნიშნავ თუ არა ვინმეს ნაკლს, დაეწერ მოთხრობას და ძალაუფლებურად სასაცილოც გამოდის.

კითხვა: როდესაც მცირე მოთხრობების წერას მიპყავით ხელი, საგარეოდოა, ვინმემ იქონია თქვენზე გავლენა, ვთქვათ, ჩეხოვმა ან ო'ჰენრიმ.

პასუხი: ო'ჰენრის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ჩემზე. პირველი ჩემი მოთხრობები ძველი ტრადიციების გავლენით დაიწერა, იქნებ ჩეხოვის, შესაძლოა. გოგოლისაც. ეს უკვე კრიტიკოსების საქმეა.

კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე წესი მოთხრობის დასაწერად?

პასუხი: მხოლოდ ერთი: ის, რისა თქმაც გწადიათ, გასაგებად, ნათლად და ზუსტად უნდა გადაეცეს მკითხველს. ესაა ერთადერთი წესი“.

“ ”

მ. ზოშჩენკოს უამრავ დროს ართმევდა ათასობით მკითხველთა ბარათების გაცნობა. მოდიოდა და მოდიოდა ბარათები. მკითხველები, რასაკვირველია, ერთნაირი არ იქნებოდნენ. უმეტესობა აქებდა და აღიღებდა, ზოგი სურვილებს სთავაზობდა, ზოგი — თანავეტორობას: „მე მოგაწვდით რაიმე ამბავს ან მოთხრობის თემას, თქვენ დაამუშავეთ იგი, ხელიც თქვენ მოაწერეთ, ხოლო ნაწილი პონორარისა — მე“, ზოგიერთი თათხავდა კიდევც...

და აი, მწერალს დაებადა იდეა — შეექმნა დოკუმენტურ-პუბლიცისტური ნაწარმოები სასულწოდებათ „წერილები მწერალს“, ზოშჩენკომ მშვენივრად გაართვა თავი ან საქმეს და წიგნმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ეტიუდი, რომელსაც ირონიული სათაური შეუტრია მწერალმა — „დრამა ვოლგაზე“: მდინარე ვოლგაზე მოგზაურობისას, გემში, ერთ ლამაშმან ქალიშვილს ვიღაც ყმაწვილი გაეცნო და უთხრა: მე მწერალი ზოშჩენკო ვაზლავართო. მიმნობ ქალიშვილს წარუდგა „მალაღი ტანის, მკვრივკუნთებიანი, მზემოკიდებული, ბრვე ვაჟკაცი, რომელსაც ტალისებური მწიაფური თმა და მორუხო-მოცისფრო თვალები ჰქონდა“ (არავითარი მსგავსება ზოშჩენკოსთან!). ქალიშვილი ეკითხება ზოშჩენკოს, ხომ ვახსოვართო. ზოშჩენკო კი კომენტარის სახით უპასუხებს: „მე დაბალი ვარ, ანგლისურ ყაიფაზე შეკრეჭილი თმა მაქვს“.

ქალიშვილი რწმუნდება, რომ ვიღაც აფერისტს გადაჰყრია, და შემდეგ წერილში გულახდილად უყვება პატივცემულ მწერალს ცრუ-ზოშჩენკოს ამბავს: „საერთოდ, დღისით ძალიან იშვიათად გამოდიოდა გემბანზე. ამას

იმით ხსნიდა, რომ ინკოგნიტოდ ვგზავრობო („ახ, ის მამაძაღლი, ისა!“ ზოშჩენკოს შენიშვნა). მოთხოვნის მასალების შესაგროვებლად ყოველთვის მეოთხე კლასის მგზავრებთან ჩადიოდა, გადაბმულად სვამდა და ყველას ურიგებდა სანსოვრად „თავის“ წიგნებს; საღამოსობით გემბანზე იდგა და თიქრიანად გაჰყურებდა შორეთს“ („რა ენადვლებოდა, რა“).

წიგნი 20

* *

„ნიხეილ მიხეილს ძეს არათუ ხმამაღალი სიცილი, ხმამაღლა ლაპარაკიც არ შეეძლო, — იგონებს მწერლის ქვრივი, — თანაც არც სხვის ხარხარს ხვდებოდა მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით. სიცილი ისეთვე ბუნებრივი მოთხოვნაა ადამიანისა, როგორც ტირილი, მაგრამ თუ კოტას ტირი და ბევრს იცინი, მაშასადამე, მჩატე კაცი ყოფილხარო“.

ერთხელ ზოშჩენკო და რამდენიმე „სერაფიონელი“, მათ შორის კ. ფედინი, მ. გორკის ეწვევნენ მისივე თხოვნით. ზოშჩენკო იგონებს: „ვაკვირდები ამ ადამიანს (გორკის), რომელსაც ლეგენდარული სახელი აქვს. ეტყობა, ასეთი პოპულარობა ეერაა სახარბიელო, პირიქით, ამაფორიაქებელი და დამქანცველია. ჩემს თავს ასეთ რამეს ვერ ვუხსურებდი. თითქოს ჩემს აზრს ჩასწვდაო. გორკი ნღუბნება: მე არც ისე ბევრნი მიცნობენ. ამას წინათ მანქანით მივემგზავრებოდი სადღაც და პატრულებმა გამაჩერეს. მე მათ განვუცხადე, გორკი გახლავართ-მეთქი. ერთ-ერთმა პირდაპირ მომახალა: გორკი ხართ თუ სლადკი, ჩვენთვის სულ ერთია, საბუთი მოგვეყო.“

...როდესაც ვემშვიდობებოდი, გორკი რატომღაც მე გამომყვა გვერდით, მხარზე ფრთხილად დამადო ხელი და ხმადაბლა მკითხა:

- რატომა ხართ ასე შებლწეკრული და დაღვრემილი?
- მე რაღაც წავიბურტყუნე, მგონი, გული მტკივა-მეთქი.
- ვერაა კარგი ამბავი... იმკურნალოთ უნდა. შემოიარეთ ჩემთან ამ დღეებში, ჭირ-ვარამი გამანდეთ“.

* *

1933 წლის აგვისტოში, სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად, ბელომორკანალის მშენებლობაზე მ. ზოშჩენკოც გაემგზავრა შემოქმედებითი მივლინებით. როგორც ცნობილია, არხის მშენებლობაზე მუშაობდნენ პატიმრებიც, რომელთა უმრავლესობამ ერთხელ და სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი ბნელ წარსულთან და მხარში ამოუდგა სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს. ხელახალი აღზრდის თემაზე მოთხოვნის დაწერა საერთოდაა ძნელი, რადგან ეს თემა ისეთ ფსიქოლოგიურ სიდრმეებს მოითხოვს, გვირის შინაგანი ბუნების ისეთ მიკროსკოპულ ხედვას, რომ სატირიკოსი მწერლისათვის იგი უბრალოდ „არაყვანრული“ თემაა და ამდენად ძნელად დასაძლევია. სატირიკოსი მწერალი ყოველთვის გვიჩვენებს პერსონაჟს ისეთს, როგორც არის — უკვე განვითარებულს. მისი მიზანია დაგვიანახოს ჩვენივე თავი იმაზე უკეთ, ვიდრე სარკეში ვხედავთ.

მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ზოშჩენკო აქვეყნებს ვრცელ მოთხრობას სახელწოდებით „ერთი ცხოვრების ისტორია“. მოთხრობას მთავარ გმირად მწერალი გვთავაზობს წარმოშობით თბილისელ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ქურდსა და აფერისტს აბრამ ისააკის ძე რ-ს. ეს ქურდი და გაძევრა აფერისტი თითქმის ნოელ მსოფლიოს შემოიფარგლებოდა. მისი დროს გაქცეულა ჯერ საბერძნეთში, მერე — ეგვიპტეში, იქნა — სულტარეთში და ა. შ.). ბოლოს მეტად გულუბრყვილოდ „ჩავარდება“, ბელომარკანალზე მოხვდება და არხის მშენებლობაზე იმდენად გამოიჩენს თავს, რომ საბატონო ნიშნით აჯილდოვდენ.

ამ მოთხრობაზე განსხვავებული აზრები არსებობს, ზოგს მწერლის წარმატებად მიაჩნია იგი, ზოგს — ჩავარდნად (მოწონებით უფრო ადრე იწონებდნენ).

მოვესმინათ პავლე გრომოვს, 1968 წელს გამოცემული რჩეულ თხზულებათა ორტომეულის ვრცელი წინასიტყვაობის ავტორს: „ერთი ცხოვრების ისტორიაში“ საუბარია კრიმინალისტის, ქურდის სულიერად გარდაქმნაზე, მაგრამ კაცმართმ თქვას, მოთხრობის გმირი მაინცდამაინც ვერ გარდაიქმნა, ხელახლა ვერ შეიარაღდა სულიერად, განვლილი გზა ვერ გაისივრებინა. მასში გამოყვანილია მკაფით და ბობოქარი, ლამის თანტასტიკურ მოვლენებით სავსე ბედის ადამიანი. თხრობა მხოლოდ და მხოლოდ სიუჟეტურია, მიკვლევულია ფსიქოლოგიის ელემენტებს, ასეთი მახერიო ხატვისას ახლებურად აღზრდის, შეგნების ცვლილების შეხავანი პროცესის ჩვენება შეუძლებელიც არის. ფინალის ქვეთავში ზოშჩენკო გამოყოფს გმირის ფერიცვალების შესაძლებელ მიზეზებს. ზოშჩენკოს აზრით, ასეთი ნიშეზი შეიძლება სამნაირი იყოს: 1. ან ჭკვიანურად დაყენებული ახლებური აღზრდის საქმე, 2. „ან გმირმა ახალთა აფიორა ჩაიდინა“, 3. ან, როგორც გონებაგახსნილმა კაცმა, ყოველივე აწონ-დაწონა და დარწმუნდა, რომ დამნაშავეთა სამყაროს მართლაც ეღება ჩვენში ბოლო და ახლა ქურდს მხოლოდ ერთი რამ უშველის — კვალიფიკაციის შეცვლა. თანაც, თუ მართლა ასეა, გმირმა ეს გააკეთა აუცილებლობის მოსაზრებით... ყოველივე ამის რეალური შედეგი კი ისაა, რომ ადამიანი ვერ შეიცვალა, ქცევის ახალი ნორმები ორგანულად ვერ შეინიქნა“¹.

პირველი სერიოზული კრიტიკა, საკმარისად მკაცრიც, წალად ხვდა მ. ზოშჩენკოს ვრცელ მოთხრობას „მზის ამოსვლის წინ“.

მწერლის არქივში ინახება ი. ბ. სტალინისადმი გავზავნილი მისი პირველი წერილის ასლი. ავტორი განმარტავს ამ ნაწარმოების მიზანდასახულობას; ამბობს, რომ იგი ფაქტურად მიმართულია ფაშისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, უკეთ, ფროიდის წინააღმდეგ. ფილოსოფიისა, რომლის ინსტიქტების თეორიის ეგზომ დაეწაფნენ ფაშისტების იდეოლოგიები. ვინაა იხეიმეებს ინსტიქტზე! ესაა ჩემი ნაწარმოების დედააზრი. წერილში ზოშჩენკო ითხოვდა მოთხრობის მეორე ნაწილის გამოქვეყნებასაც, რადგან პირველ ნაწილში მხოლოდ საკითხის დასმია, მეორეში კი — მისი გადაჭრაო.

დღეს, როდესაც მკითხველი უკვე იცნობს ნაწარმოების დასასრულს, ინტელი არ დაეთანხმოს ყურნალ „ხვეზდაში“ ორი წლის წინათ გამოქვეყნებული წერილის ავტორს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, არსენ გულიგას

¹ მ. ზოშჩენკო, რჩეულა, ტ. 1, 1968 წ.

იმაში, რომ მთლიანობაში ნაწარმოებს კვებას ოპტიმისტური იდეა და იგი შემთხვევით არ „იწერებოდა ფაშიზმთან ომის დღეებში, რომელმაც ხელყო განათლებულობა და ინტელიგენტობა, რომელიც ცდილობდა ადამიანებში მხედური ინსტინქტების აღზევებას. მაშინაც კი, როდესაც ინსტინქტი დამლუბველია, ზოშჩენკოს მრწამსით, ადამიანს გონება გადაატრეხს, როგორც ყოველის შემძლე. გონება ამარცხებს სნეულებას, ტანჯვას, სიბერეს, სიყვდილის შიშს“¹.

* *

ზოშჩენკო ორგანულად ვერ იტანდა მუქთახორებს, მეშჩანებსა და ყალბაბანდებს, ხოლო პატიოსანი, სპეტაკი სულის ადამიანის შეურაცხყოფას არავის აპატიებდა, თუკი ხელი მიუწვდებოდა. მოვიყვანო რამდენიმე ფაქტს მწერლის ნეგობართა მოგონებებიდან.

კ. ჩუკოვსკი: „ლენინგრადში ცხოვრობდა ერთი ლიტერატორი, გვარად ტინიაკოვი, თითქოს ნიჭიერი, მაგრამ საძაგელი ადამიანი. თავიდან არა უშავდა რა, ნეოკლასიკურ სტილში წერდა ლექსებს, მაგრამ შემდეგ შეაგრაზმელთა ფურცლებში დაიწყო თანამშრომლობა, მერე სულ გათახსირდა და პორნოგრაფიული ლექსების გავრცელება გაიხადა ხელობად. საბოლოოდ, წარწერა გაიკეთა მკერდზე „მწერალი“ და პეტერბურგის ქუჩებში მოწყალებას ითხოვდა. დაინახა ერთხელ ზოშჩენკომ, მივიდა, დღეში რამდენს აგროვებ მაგ მაინჯობითო, ჰკითხა, მერე 20 მანეთი გაუწოდა და უთხრა: გამომართვი, ორა კვირისა წინდაწინ მომიცია, ოღონდ იცოდე აღარ დაგინახო, რომ მწერლის საჩელს არცხვენდეთ. ტინიაკოვმა, თავისი მაინც არ მოიშალა. შემდგომში ეს ტიპი ზოშჩენკომ გამოიყენა ცნობილ მოთხრობაში „მზის ამოსვლის წინ“.

საერთოდ, ზოშჩენკო აბსოლუტურად არაპრაქტიკოსი იყო და წარმოუდგენლად გულუხვი. ზემოთ ხსენებულ მოგონებაში მიხვილ სლონიმსკი წერს:

„პირად ცხოვრებაში ზოშჩენკო საოცრად ხელგამლილი იყო. როდესაც დიდი თანხა გაუხნდა, სულაც არ ზოგავდა და აქეთ-იქით არიგებდა. დიღხანს ცხოვრობდა კომუნალურ ბინებში, თუმცადა შეეძლო, როგორც ცნობილ მწერალს, უკეთესად მოწყობილიყო. სრულებით არ ეხერხებოდა საკუთარ თავზე, კეთილდღეობაზე ჩირთიფირთი. „ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!“ — იტყოდა ხოლმე, როგორც კი საარსებო პირობების ოდნავ მაინც გაუმჯობესებაზე იფიქრებდა. ერთადერთი, რაც ძალიან უყვარდა, ეს იყო გემოვნებით ჩაცმა. საშინლად აღიზიანებდა პირში ქებაც“.

კ. ჩუკოვსკი: „ერთხელ, სესტრარეცკში, მერხზე ვისხედით ბალში და ვსაუბრობდით. უეცრად ვიდაც მორცხვი და ლამაზი მანდილოსანი მიუახლოვდა და, როგორც მკითხველი, აღტაცებით მოჰყვა ავტორის ქებას. ზოშჩენკომ ბოლომდე ველარ მოუსმინა, „გოგოლისა და რეპინის მეთოდში“ იხმარა და შეაწყვეტინა:

¹ ა. სტარკოვი, ზოშჩენკოს იუმორი. 1974 წ. გვ. 128—129.

— თქვენ პირველს როდი გემართებათ ეგ შეცდომა. ეტყობა, მართლაც ვგვანებივარ მწერალ ზოშჩენკოს, მაგრამ მე ზოშჩენკო კი არა, ბონდარევიჩი გახლავართ.—მერე მე მომიბრუნდა და საუბარი განაგრძო“.

... ერთხელ, ყველასათვის მოულოდნელად, შეიქმნა ე. წ. „პანტელეევის საქმე“. ალექსი ივანეს ძე პანტელეევი, ცნობილი წიგნის „შეცდომების შესახებ“ ავტორი, ნხილებული იყო პლაგიატობაში. თითქოს პანტელეევი მოთხრობის სიუჟეტი ვიღაც N-საგან მოეპაროს. ეს ყველაფერი 1937 წელს დატრიალდა.

ა. ი. პანტელეევის საკმაოდ კარგად იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში და ხშირად აღიმაღლეს. დაინიშნა სპეციალური ექსპერტი, რომელშიც შევიდნენ: მის. ზოშჩენკო, კ. ჩუკოვსკი და ს. მარშაკი. ექსპერტმა იოლად დაადგინა, რომ ეს ფარსი ვიღაც პროვოკატორი მჭადბნელის მოგონილი იყო. „პანტელეევის საქმე“ გაუქმდა.

ლენინგრადის ბლოკადის დროს ევაკუაციაში (ალმა-ათაში) მყოფი მ. ზოშჩენკო სამამულო ომის თემაზე წერდა ფელეტონებსა და პანფლეტებს, რომლებშიც გამათრახებული იყო ფაშიზმის კანიბალური ფილოსოფია („ჩინგის ყაენი თვითმფრინავით“, „ფაშისტები სწავლობენ“ და სხვ.), სარკასტულად დასცინოდა ფაშისტების მესვეურთ („ჩხუბა კეთილშობილურ ოჯახში“, „გადარჩა“). მიხეილ ზოშჩენკოს სცენარის მიხედვით 1942 წელს წარმოებაში ჩაუშვეს ფილმი „ჩარისკაცული ბედნიერება“ და სხვ.

ზოშჩენკოს კალამსვე ეკუთვნის პირველი საბჭოური ხმოვანი კინოკომედიის „ნექანიკური გამყიდველის“ სცენარი (1932 წ.) და სცენარი ფილმისა „ნესვი“ (1937 წ.).

დიდად ნაყოფიერად მუშაობდა ზოშჩენკო კომედიოგრაფიაშიც. მისი ცნობილი კომედიებია: „ქორწილი“, „დანაშაული და სასჯელი“, „თარსი დღე“, „აფრისას პორტფელი“, რომელიც ლენინგრადის დრამის თეატრში 1945—1946 წ. წ. ორასზე მეტჯერ დაიდგა.

ღიახ, დიდი ნაწილი ამ ნაწარმოებებისა მ. ზოშჩენკომ სწორედ ომის პერიოდში შექმნა.

მწერლის ქვრივს, ვერა ვლადიმერის ასულს შენახული აქვს ალმა-ათიდან გამოგზავნილი ქმრის რანდენიშე წერილი. ზოშჩენკომ იცოდა, რომ წერილები ალყაშიმორტყმულ ლენინგრადიდან უკანვე დაებრუნდებოდა, მაგრამ მაინც აგზავნიდა. „ვიცო, — იწერებოდა ზოშჩენკო, — ეს ბარათიც უკან დაბრუნდება, მაგრამ კიდევ მოგწერთ, კიდევ და კიდევ, სანამ არ გავიმარჯვებთ. განარჯვებით კი აუცილებლად გავიმარჯვებთ. დაებრუნდება და გაჩვენებთ შტამპიან წერილებს. ეს იქნება ერთ-ერთი ნივთიერი საბუთი იმისა, რომ ყოველთვის მახსოვდით“.

ზოშჩენკოს თექვსმეტი ბრწყინვალე მოთხრობა აქვს დაწერილი პროლეტარიატის დიდ ბელადზე ვ. ი. ლენინზე.

მიხეილ ზოშჩენკომ 1946 წელს წერილი მისწერა იოსებ სტალინს. მწერლის შეუღლის თანხმობით (წერილი პირველად ქვეყნდება) გთავაზობთ მას მთლიანად.

„ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძე!“

მე არასოდეს ვყოფილვარ ანტისაბჭოთა ადამიანი. 1918 წელს მოხალი-

სულ წავედი წითელ არმიასა და ნახევარი წელიწადი დავეყავი ფრონტზე, სადაც თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ვიბრძოდი.

დაბადებული კი ვარ აზნაურული ჩამომავლობის ოჯახში, მაგრამ ორი აზრი არასოდეს მქონია — ვისთან ვყოფილიყავი: ხალხთან თუ მემამულეებთან; იმთავითვე ხალხის მხარეს ვიდექი და ამას, ალბათ, მემამულეთმევეს.

ლიტერატურული საქმიანობა დავიწყე 1921 წელს. გულწრფელი სურვილი მქონდა სარგებლობა გამეწია ხალხისათვის; დამეცინა ყოველივე იმისათვის, რაც კი დასაცინი იყო წარსული ცხოვრების დროს ჩამოყალიბებული ადამიანის ხასიათში.

თეთრგვარდიული გამომცემლობები ხშირად ბეჭდავდნენ ჩემს მოთხრობებს დამახინჯებით, ზოგჯერ კა ისეთ რამეს მაწერდნენ, რაც არ დამიწერია. თან, რალა თქმა უნდა, თარიღს არ უსვამდნენ. ხოლო ჩვენმა ყოფა-ცხოვრებამ ოცდახუთი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად იცვალა სახე.

სამამულო ომის წლებში, პირველი დღეებიდახვე აქტიურად ვმუშაობდი ჟურნალ-გაზეთებში. ჩემი ანტიფაშისტური ფელეტონები ხშირად იკითხებოდა რადიოში, ხოლო ანტიპიტლერული სატირული მიმოხილვა — „ბერლინის ცაცხვებს ქვეშ“ — სრულდებოდა ლენინგრადის საზაფხულო თეატრის „კომედიის“ სცენაზე 1941 წლის სექტემბერში.

შემდეგ შუა აზიაში ვიყავი ევაკუირებული, სადაც ჟურნალები და გამომცემლობები არ იყო და ამიტომ იძულებულა ვიყავი კინოსცენარები მეწერა. 1943 წლის დასაწყისში გამომიძახეს მოსკოვში, სადაც ვმუშაობდი ჟურნალ-გაზეთებში და ექვს თვეში თხუთმეტამდე ფელეტონი გამოვაქვეყნე.

რაც შეეხება ჩემს წიგნს „მზის ამოსვლის წინ“ (ევაკუაციაში დაწყებული), მეგონა, რომ ეს წიგნი საჭირო და სასარგებლო იქნებოდა ომის დღეებში, ვინაიდან იგი ააშკარავებს ფაშისტური ფილოსოფიისა საწყისებს და ავლენს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს იმ რთული ჯამისას, რაც ზოგჯერ ადამიანებს უბიძგებს უარი თქვან ცივილიზაციაზე, მაღალ შეგნებასა და გონიერებაზე.

ვანა მარტო მე ვფიქრობდი ასე! ათობით პიროვნებამ განიხილა ჩემ მიერ დაწყებული წიგნი. 1943 წლის ივნისში ცკ-ში გამომიძახეს და მიმითითეს განმეგრძო დაწყებული მუშაობა წიგნზე, რომელმაც მოწონება დაიმსახურა მეცნიერებისა და ავტორიტეტული ადამიანებისა, და თუ ამ ადამიანებმა უკან წაიღეს თავიანთი სიტყვა, სულაც არ ჩამითვლია საჭიროდ ჩემი საჩივრებით კიდევ უფრო გამეძლიერებინა მათი სიმბდალე. ისიც, რომ ახლა გატყობინებთ ამას, რასაკვირველია, ჩივილი არაა. მე ერთადერთი სურვილი მაქვს — გიჩვენოთ თუ როგორ გარემოებაში მომიხდა იმ ნაბიჯის გადადგმა, რომლისთვისაც მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი, რადგან ლიტერატორი ვარ და, მაშასადამე ყველაფერი უნდა გამეთვალისწინებინა. მწვავე კრიტიკის შედეგად, რაც „ბოლშევიკში“ იყო, ვაჩოვბინე ბავშვებისა და თეატრისათვის მეწერა, რისკენ მიდრეკილება აღრეც მქონდა.

ეს პატარა, გასართობი მოთხრობა „მაიმუნის თავგადასავალი“ დავწერე 1945 წლის დასაწყისში ჟურნალ „მურზილკისათვის“ და იქვე დაიბეჭდა.

ჟურნალ „ზვეზდისათვის“ მე ეს მოთხრობა არ გადამიცია. ჟურნალმა იგი

ისე გადაბეჭდა, ჩემთვის არც უცნობებია, რაც ალბათ რედაქციის გამოუცდებლობას უნდა მივაწეროთ.

მიუხედავად ამისა, ჩემს მოთხოვნაში არავითარი ქვეყნისტი არაა. მით უმეტეს, არაა არავითარი ეზოპეს ენა. ესაა ბავშვების გასართობი სურათი, რომელშიც, ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რაიმე ბოროტი განსჯის-სტამბალიც არ ჩამიღვეს.

თუკი ჩვენი ყოფა-ცხოვრების რაიმე სცენის სატირულ ფერებში დახატვას მოვიხდომებდი, ამას უფრო ოსტატურად და გონებასამახვილურად გავაკეთებდი. ყოველ შემთხვევაში არ მივმართავდი შენიღბული სატირის ისე გაცვეთილ მეთოდს, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოგჭამათ ჭირი.

გთხოვთ მერწმუნოთ — არაფერს ვეძიებ და არც ჩემი ხვედრის შემსუბუქებას ვითხოვ. ხოლო თქვენ თუ გწერთ ამას, გწერთ ერთადერთი მიზნით — გულის მოსაოხებლად. მე არასოდეს ეყოფილვარ ლიტერატურული გაიძვერა და უხამსი, ან ისეთი ადამიანი, რომელმაც თავისი შრომა შემამულგთა და ბანკირთა კეთილდღეობას ანაცვალა. ეს შეცდომაა, გარწმუნებთ.

მის. ზოშჩენკო. 26. ნ. 46 წ.

მ. ზოშჩენკოს „პირდაპირი პასუხი“ არ მიუღია, მაგრამ სამაროლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოშჩენკოს წერილს „არაპირდაპირი პასუხი“ მაინც მოპყვა.

ვერა გლადიმერის ასული იგონებს: „1946 წლის სექტემბრის ძალიან ცხელი დღე იდგა. სამივენი სესტრარეცკში ვიყავით. მიხეილ მიხეილის ძეს იასამნის ბუჩქებთან ეძინა. დამენათევი იყო. ტელეფონი აწყობილდა. მიხეილ მიხეილის ძეს საბოლოო ლენინგრადში ჩამობრძანდესო, მეუბნება პოეტი ალექსანდრე ბროკოფიევი, მწყურალთა კავშირის თავმჯდომარე თუ მდივანი.

მოვიჩხრიკეთ ჯიბეები, შევაკოწიწეთ „ელექტრიკის“ ბილეთის ფული, იქით და აქეთ სამგზავროდ, გაიპარსა, როგორც ყოველთვის, აკურატულად გამოეწყო და დაახლოებით 14 საათზე გაემგზავრა.

გავიდა ორი, სამი, ოთხი, ხუთი საათი. გულმა ავად მიწყო ძვერა. რაღა არ ვიფიქრე! ბოლოს, როდესაც უკვე ბინდდებოდა, ჭიშკრის ჭრიალი გაისმა. მე და ვალერი ქვემოთ, ეზოში ვისხედით და ველოდებოდით. ჭიშკარმა გაიჭრიალა და ბუნდოვნად გავარჩიე რაღაც სალუეტო, წელში მოხრილი ადამიანი, რომელსაც ზურგზე მოგდებული ტვირთი ჩოქონდა. 5—6 მეტრზე რომ მოგვიახლოვდა, მაშინლა ვიცანი მიხეილ მიხეილის ძე. სახე უჩვეულოდ გაბადროდა. თვალები უბრწყინავდა. ისეთი ბედნიერი ჭორწინების დღესაც არ ყოფილა.

ტომარა მინდორზე დააგდო, მომიბრუნდა და მითხრა: აბა, ვეროჩკა, თუ მიხვდები, რა არის ამ ტომარაში? აბა, რა ვიცი-მეთქი, ვუთხარი. „პურიც ეს, ვეროჩკა, პური!“ — ახლაც ჩამესმის ყურს მიხეილის სიტყვები, ვერ გეტყვით კია, რა იყო ეს — ჩვეულებრივი პასუხი, შეძახილი თუ, უბრალოდ, ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები. პურიო! ბავშვმა თვალები ცნობისმოყვარედ დაიჭყიტა, ჯერ უნდობლად გადახედა ტომარას, მერე მამამისს შეაჩერდა გამომცდელი თვალებით. მიხეილ მიხეილის ძეს სიტყვიერი დასტური აღარ დასჭირებია. უმაღვე ტომარას მივვარდით, თავი მოვხსენით, პურება ამოვაწყეთ და ისე ხარბად შევექეცით, კინოში რომ უჩვენებენ ხოლმე“.

აი, რაც ვერა გლადიმერის ასულმა საკუთარი თვალთ ნახა, განიცადა და მოგვიყვა.

* *

ე. ლიფშიცი: „იმხანად პიესას ვწერდი ბავშვებისათვის. მიხეილ მიხეილის ძემ დაწვრილებით გამოქვითა ყველაფერი იმ პიესაზე. ბევრი რამ არც ჩემთვის იყო ნათელი და რა უნდა შეპასუხა? მეუბნება: „სანამ პიესის წერად დაჯდებოდე, თავიდან ბოლომდე უნდა შეგეძლოს მისი მოყოლა, ფიქრობ თავშესაქცევი მოთხრობა იყოს, რომლის ყოველი დეტალი და უწყვეტი მხატვრობად იცია“.

მიხეილ ზოშჩენკო სულ ორჯერაა საქართველოში ნამყოფი. ერთხელ ცოლ-შვილით (ბათუმში), ერთხელაც — მარტო.

ჩვენს ხელთაა ორი ფოტოაქტი, ერთზე მ. ზოშჩენკო გამოსახულია ქართველ ოფიცრებთან ერთად 1916 წელს. მეორე სურათი გადაღებულია სოჭში 1939 წელს, რომელზეც, ზოშჩენკოს გარდა გამოსახული არიან: გიორგი იაკობის ძე პიასეტკი და უცნობი მოქალაქე (შესახედლობით ქართველი).

ვერა გლადიმერის ასულის გამოცემით, მ. ზოშჩენკო კარგად იცნობდა (უშვტესად პასტერნაკისეული თარგმანებით) ქართულ პოეზიას; „კეფხისტყალისანი“ უბრწყინვალეს პოეტურ ქმნილებად მიაჩნდა.

ქართულად მ. ზოშჩენკოს წიგნებიდან გამოცემულია „მოთხრობები ლეხისზე“ და სხვა მოთხრობების მცირე კრებული, დროდადრო პრესაში ქვეყნდებოდა ახალ-ახალი თარგმანებაც.

დასასრულს მოეყვანათ ნაწყვეტა სოციალისტური შრომის გმირის მიხეილ დუდინის ზოშჩენკოსადმი მიძღვნილი ლირიკული პოემიდან „სექტემბერი“.

...შენ გზას მინთვბდი მხოლოდ შორიდან,
შენსკენ ვიწვედი და შენ გარბოდი.
თუმცა შენა შუქი ხეშთან მოვიდა,
შზარავდა დამის ცივი აკორდი.
იულე ისე, ღაპე დაბრშავდეს.
ყამისვლდეს ბასრი კლდის წახნაგები,

რომ მივალწათ ცეცხლის ნაცრამდე
და გახლეს მუში სულის გამლები.
მე შენ დაგკარგე, აჟარ მიჭრება
იისფერი წრე და მით ვისცები.
მე შევლანდება და შეხიზმრება
შენი ცივი შუქ-ნაბიჭობა!

□

ლაიმონას ინისი

ღროის გაკვეთილი

უდავთა, რომ მწერალი ნუგარ-დმო ნიჭით უნდა იყოს ცხებული, მაგრამ ბუნება იშვიათად იმეტებს ამ ნიჭს. ნიჭი უფრო იშვიათია, ვიდრე გენონია. ამბობენ, ტალანტს ცხოვრებისეული გამოცდილებითა და გარჯით შეიძებო. ცხადია, არ არსებობს ნიჭი მძიმე, მუხლჩაუხრელი და მომქანცავი შრომის გარეშე. შაალთად და მხოლოდ დაუღალავი შრომით, მკაცრად გაწვრთნილი ნებისყოფის წყალობით თუ გამოშრობილსება ნიჭი. სწორედ ტალანტს, ცხოვრებისეული განთცდილები-სა და გარჯა-რუდუნების ნესანება წარმოშობს იმ მორკალულ გავლენება, რომელიც

სძლევს ყველა ბუნებრივ თუ ბელოვნურ დაბრკოლებას.
აი, სწორედ ეს სიფუძელიანი, თავისთავად ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება და ორიგინალური აზროვნება აქლიათ ახალგაზრდა ლიტერატორებს. საზოგადოდ, სიყმწეილეს სწვევია მოუთმუნლობა და ეს გასაგებებია: ანა, ვინ არ ესწრიდება გზაგაუმრუდებლად აირბანოს თელილი ბილიკი და გორას კორტოხზე მოექცეს? მთავარი სიმადლე თითქოს დაძლეულია, თითქოს შეგიძლია სული ამოითქვა, მაგრამ რაც მალე მიხვდები, რომ მაღალინთა კი არა, თურბე პაწაწყანტელა ბორც-

1 თარგმანი ზ. ლორთქიფანიძისა.

ვაკი დაგიძლევი, რომ ხელოვანი ვერ დაკ-
მაყოფილდება უმნიშვნელო სიძნელეთა გა-
დალაზებით, მით უფრო საცნაური ხდება
მხატვრულ აღმოჩენათა სირთულე და მნი-
შვნელობა.

ძალზე სამწუხაროა, რომ პირველივე
შემოქმედებით უღელტეხილზე გასული
ახალგაზრდა ლიტერატორი მხოლოდღა
ტექნიკის დახვეწას ცდილობს, საეჭვოდ
აცოდვილებს სტრიქონს, ლამობს სული
შთაბეროს უკუღმა გადაბრუნებულ სიტყ-
ვას, ბურღავს კონსტრუქციას, მთლიანად
ქვეტექსტში იძირება... შემოქმედებითი
ტექნიკის მეურნეობაში ჩაბრკედელობა
მანამდე გრძელდება, სანამ არ გაწყდება
აზრისა და გრძნობის ნერვი; და მერე აღა-
რაფერო რჩება სანაგვეზე გადასაყრელი
მკვდარი სიტყვების გარდა.

ძალიან ხშირად ასეთი „ჩაკარკიტები-
საგან“ ახალგაზრდა ხელოვანს (და არა
მარტო ახალგაზრდას) გადაარჩენს ჯანსა-
ლი ლიტერატურული ატმოსფერო, და მით
უკეთესი, რაც ადრე გაუფიქრიან დახმარე-
ბის ხელს ნიჭიერ ხელოვანს პროფესიული
ლიტერატურული წრეები. ეს უთუოდ დი-
დი საქმე იქნება მავანის პაროქნიებისა და
პროფესიულობის ჩამოსაყალიბებლად.

ასეთი აზრები გავვიჩინდა იმ დამწვებ
და ახალგაზრდა მწერლებთან ყოველდღიე-
რი ურთიერთობის კვალბაზე, რომლე-
ბიც ზვენი ახალგაზრდული ეურნალის
„ნიომუნასის“ ირგვლივ არიან შემოკრები-
ლნი. ვრთნი ფებაურველად შემოდრიან ლი-
ტერატურულ ცხოვრებაში და მაშინვე იქ-
ცევენ მკითხველის ყურადღებას, სხვენი
ნელ-ნელა გვიბალოვდებიან, ჩერჩელით
ლაბარაკობენ, დიდხანს სწავლობენ ჟან-
რის თავისებურებებს, აქვთ საკუთარი ხმა.
საკუთარი სივრცე, საკუთარი თემა; მაგ-
რამ ზოგიერთი მათგანი ვერც კი ასწ-
რებს, პირველი ლიტერატურული ცდები
მიაწოდოს კეთილად განწყობილ მკითხ-
ველს, რომ უნალ ქრება თვალსაწიერადან.

ეურნალმა ამას წინათ იზეიმა დაარსე-
ბის ათი წელი. ამ ხნის განმავლობაში
მან ლიტერატი ლიტერატურის ასპარეზზე
გამოიყვანა რამდენამე ათეული ნიჭიერი
შემოქმედი, ვის გარეშეც დღეს შეუძლე-
ბელია წარმოიდგინო ლიტერატი ლიტერა-
ტურის ბანორამა. თუ შევადარებთ ახალ-
გაზრდა ლიტერატი და ქართველი მწერლე-
ბის შემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა,
აღბათ, უნდა აღინიშნოს ის მსგავსება,
რაც ისტორიული ეგზისტენციის პრობლე-

მათა ერთობით არის ნაკარნახევი. პროზა-
ში ეს მსგავსება გამოიხატა ფსიქოლოგი-
ურ მიკროსამყაროში ჩაღრმავებით. ლიტ-
ველმა პროზაიკოსებმა იმთავითვე მიაჭ-
ციეს ყურადღება ძვრებს, რაც საზოგა-
დობისა და ცალკეული ინდივიდის ურ-
თიერთდამოკიდებულებას უკავშირებდა, ეს
დამოკიდებულება უფრო გამოკვეთილი,
ნატიფი და ინდივიდუალისათვის მისაღები
გახდა. ახალგაზრდა მწერლები ფრთხილად
შეიკვლევდნენ გზას ადამიანის ინდივიდუ-
ალობის, მისი სულის ხვეულებში, ნაბიჯ-
ნაბიჯ იცნობდებდნენ ძვრების მიზეზებს
ფასეულობათა შკალაზე. ყოველივე ამის
კვალდაკვალ განახლდა პროზის ფორმა და
სტილი: სულ უფრო და უფრო მეტი ად-
ვილი დაიჭრა შინაგანმა მონოლოგმა, ცნო-
ბიერების ნაკადმა, სიმბოლიკამ, პირობი-
თობამ. ქვეცნობიერების ლაბირინთებში
ჩაღრმავებამ და სხვა მეტნაკლებად რთულ-
მა მხატვრულმა საშუალებებმა. ლიტერატი
პროზაში თავი იჩინა სუბიექტივიზაციის
პროცესში. ახალგაზრდა ავტორების ზო-
გიერთ ნაწარმოებებში ეს ტენდენცია ძალ-
ზე ცალწბრვიად გამოიკვეთა. ვნირი უფ-
რო მეტს ფაქრობდა, უფრო მეტად ჭვრეტ-
და, ვიდრე მოქმედებდა და ცხოვრობდა.
ადამიანის სულია მიკროსამყაროს თბიექ-
ტური მიკროსამყაროსთან სწორ მიმართე-
ბას ისახავდა ნიზნად კრიტიკა, ხოლო სა-
ნამ ახალგაზრდები ეგზალტაციით, ინტო-
მურა აღსარებით, ლამაზი დეკლარაციე-
ბით იყვენენ გართული, პრაქტიკულად ამ
ამოუანას წინა თაობების პროზაიკოსები
წყვეტდნენ.

მკითხველი და ლიტერატურული კრი-
ტიკა ყურადღებით მოეკიდნენ ახალგაზრ-
და პროზაიკოსებს, გულმოწყალებდ მიუტყ-
ვებდნენ მათ ჭარბ ემოციურ ინტონაციებს,
გარკვეულ ნაღვლიანობას, დადლილობასა
და დაბნეულობას. კრიტიკამ ყურადღება
მიაქცია ერთ გარემოებასაც, რომ ახალ-
გაზრდა მწერალთა თბიექტური აზრი იმ
საკითხებშია ჩამარბული, რომლებიც გვირის
კი არა, მკითხველის წინაშე წამოიჭრება.

საერთოდ, რთულია ეს საკითხები: რი-
თი უნდა დაეხმარო ყმაწვილ კაცს, რომ
არ დაემსხვრას ოცნებები და პრაგმატიზ-
მმა არ ჩაუკლას რომანტიკული შემართე-
ბა? რომ ექსცენტრიულობამ და ბუნდუნ-
მა გზა დაუთმოს ჯანსაღ საზრისსა და
ორიენტაციას, წინდახედულ კრიტიციზმსა
და საკუთარი პიროვნებას განვითარებაზე
ზრუნვას. როგორ დასძლავს იმპულსურთ-

ბა, მომეტებული მგრძობიარობა, სუბიექტივისტური და ეგოცენტრული განწყობილებები?

არც იმე ძნელია ამაზე ზოგადად უბასუხო — სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ხელოვანთა ყველა თაობა ამას თითქოს ხელახლა აკეთებს: უფრო ღრმად შეიცნობს ცხოვრებას, უფრო სრულად შეიმეცნებს სოციალურ-ისტორიულ მოვლენებს, სწავლობს საკუთარი გამოცდილების გაობიექტურებას, არსებული სინამდვილის გაანალიზებას ნაცვლად იმისა, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავარდეს, რაც ხელს უშლის ტეშმარბიტების დადგენას, მით უფრო, ადამიანის შეცნობას. ლიტვერი პროზის თსტატის, მიკოლას სლუცკისის აზრით, რაც ხანში შედინარ, მით უფრო გაძნელებული სხეებს გაუგო. ეს აღიარება კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რა პასუხსააგებია ხელოვანის ამოცანა — მოახდინოს სინამდვილის მოვლენათა სინთეზი და ტიპიზაცია. ცხოვრებაში არსებული ათასგვარი სხეების განსაკუთრნაჲად სიბრძნეა საჭირო, განსაკუთრებული, მარად ფხიზელი სიბრძნე, სულიერ აღზრდას რომ უწყობს ხელს.

ახალგაზრდა ლიტველი პროზაიკოსების ყველაზე ნაშანდობლივ თვისებებს რომ აღვნიშნავ, განზრახ არ ვასახულებ გვარებს. მინდა, ქართველმა მკითხველმა ჭერსაერთო წარმოდგენა იქონიოს, შემდეგ კი, მთარგმნელთა დახმარებით, ამ პანორამიდან გამოარჩიოს ცალკეული ავტორები, რომელთა ინდივიდუალობას უპირატესად მათი სირთულე და კოლორიტი განსაზღვრავს. ყველაფერ ამას თან ერთვის ახალგაზრდა მწერლების კიდევ ერთი თვისება — ეს გახლავთ რომანტიკულ ლირიკულობასთან, პრეტენციოზულობასთან შეურიგებლობა, პროტესტი „გადაყრუებულ ბიჭების ფილოსოფიის“ წინააღმდეგ, მწლოდრამატულობისა და წამიერ განწყობილებათა წინააღმდეგ მიმართული. ეს თვისება ყველაზე გამოკვეთილად იმ პროზაიკოსთა შემოქმედებაში იჩენს თავს, ვისთვისაც უმნიშვნელოვანესია ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, პიროვნებას მასტანდარტიზებელ ძალთა დათრგუნვა, ადამიანის ყადრი, ცინცხელი აზრი, ირონია, თვითირონია, საკუთარი სულიერი სიმწიფის მიუყერძობებელი ხედვა.

დღეს უკვე ამჟარაა გმირის აქტიუობის უდავო ზრდი გარესამჟაროსთან კონტაქტ-

ბის დამჟარებაში, მისწრაფება უფრო გარკვეული მოქალაქეობრიობისადმი, ცდა ისტორიული აზროვნების სათაჟეთა ძიებისა.

და თითქოს ცხოვრება გვერდს უვლის კეთილშობილსა და უცნაურ შერეკილებს, თავი განსაკუთრებულ პიროვნებულ რომ წარმოუდგენიათ და ცხოვრებაში დაეურავენ. პერსონაჟთა პირველ რიგებში ისინი დგანან, ვისაც არ ეზიზღება ყოველდღიურობა, ვინაც თანამედროვეობას უსწორებს თვალს, სულ უფრო და უფრო ხელშესახები ხდება ახალგაზრდა მწერალთა მისწრაფება ერთ მოლიანობად აქციონ ადამიანის ფსიქოლოგია, ისტორია და დოკუმენტურობა (რაც ამოხავალი წერტილია შემოქმედისათვის), ეძიონ არა მარტო საკუთარ არსებობაში, არამედ საზოგადოებრივ ყოფაშიც. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ღრმა შეგნება, თუ რა მნიშვნელოვანია, თუნდაც შენი თაობისათვის ის, რაზედაც ჰყვები და რომ პასუხს აგებ იმაზე, რასაც თხზავ; და რომ არადერი იქმნება ნებისყოფისა და დაჟინებას გარეშე, რადგან სამჟარო არ გარდაიქმნება ერთ დღეში ან ერთ ბრძოლაში, როგორც კორჩაგინის თაობას ეგონა. უეჭველია, რომ დღევანდელ ადამიანსაც შესწევს ძალა, თუ საჭირო გახდება, საერთო საქმეს შესწიროს ყველაფერი, თუნდაც საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ ახლა, როცა კლასობრივი მტერი ბრძოლაში აბამს ნაღალ ინტელექტს, საჭირო ხდება სულ უფრო ღრმად გაიანზრო ისტორიული შერკანების არსი... სწორედ ამიტომ იჩენს ახალგაზრდა პროზაიკოსების გმირი მეტ დაჟიერებულობას, ყურადღებას სხვებისა და განსაკუთრებით სოციალურ მოვლენათა მიმართ, გრძნობს სიკეთის დიად ძალას, აქტიურობს. ლიტერატურა ახლდება და საკულისხმოა ამაზე თვალს გაღვენება როგორც ჩვენს ქუჩანალში დაბეკდილი ჰუბლიკაციების, ისე რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. არც დასტამბული წიგნებია გაშონაკლისი: ლიტვაში გამოსული ყოველი მეორე წიგნი ახალგაზრდა მწერლის კალამს ეკუთვნის. ალბათ, იგივე ხდება საქართველოში და სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც. ჩვენ მოწმენი ვართ საბჭოთა ლიტერატურის თვისებრივა ცვლილებებისა, იმ ცვლილებებისა, რაც დროით და ლიტერატურათა უფროსი თაობების გამოცდილებით არის ნაჟარნახევი.

ოთარ ნოლია



„ერთა მძლე კავშირი ქმური“

ცნობილია, ყოველ ეპოქაში, კაცობრიული კულტურის განვითარების ყველ ეტაპზე რა დიდი როლი ეკისრებოდა (თუნდაც „ისტორიის სკანდინავიის“) მხატვრულ თარგმანს, საერთოდ — ხალხთა შორის სულაერ ფახეულობათა ურთიერთგაცვლას. ჩვენს პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდება და იფურცინება ერთგული კულტურები, უცოდლოდ უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ კულტურათა შემკვიდრებობითობაც, რომლის მიღწევებაც ერთგულად უკავშირდება მრავალენოვანი საზოგადოების ლიტერატურის მოვლს მამართლებებს, მის შინაარსს. ჩვენს დროში მხატვრულ თარგმანს ზოგად-ერთგული ამოცანის მნიშვნელობა აქვს და იგი შესაბამისად მასშტაბურ გადაწყვეტასაც მოითხოვს. ამ ბოლო ხანა საზოგადოება პერიოდულად ზეერი აწერებს მხატვრული თარგმანს ამა თუ იმ ასპექტსა და პრობლემაზე — თარგმანსა თუ მთარგმნელზე. სრულიად ხამართლიანად აღნიშნავენ, რომ „თარგმანი დღეს ლიტერატურათა ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგაცვლენას ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეალური ფორმაა, ხალხთა სულიერი ურთიერთგაცვლენების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური ენა... მხატვრული თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე უზრადო გადატანა კი არა, ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ინტერპრეტაციაა“. ვახაგებია, რომ ამ ვითარებაში წინა პლანზე გამოდის თარგმანის ხარისხის, მთარგმნელის მახესხმეგებლობის პრობლემა. თანამედვერუდია, ვამახნულა მთარგმნელობითა პროცესა, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანწილად ასორცაელებს სოციალ-მხატვრული კულტურის, ხალხთა სულაერი ფახეულობების კოორდინაცია.

თვით ბუნება სოციალისტურა რეალიზმის ლიტერატურისა, რაც განმართებულა ჩვენა საზოგადოების მოკლი კომუნისტურა მამართლათ, თავისუფალ და თანაბარუფლებიან ხალხთა კავშირის დაადი იდეით, მორალურ-ზნეობრივ ერთიანობათ, ერთიანა მსოულმშეუფლებიან და სოციალ-ბორტებზე, ჰუმანიზმისა და ანტიიმპერიალიზმზე, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურზე ერთიანა შესუდულებიანთ, თავახთავად განსაზღვრავს მხატვრული თარგმანის საქმასადმი დიდად საპაპუბასმეგებლო დამოკიდებულებასაც. მართლაც, დღეს მოკლი წარმოიადგინა ხალხთა ურთიერთგაცება, მათ შორის ნდობის გადრმაგება-განმტკიცება, თუ ერთი არ ნაკწელებით და არ გავაგებთ საზოგადოებრივ ხალხთა სულიერ კულტურას. მდინელება განმეორება იყოს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ხალხის შესუდულებითა, პოეტურ და პოპულარტურ მახწრაფებათა ერთიანობის ყველაზე საუკეთესო და ნათესიერმა გამოყვინებამ, მავალათად — რუსი და ქართული პოეტების ურთიერთობამ ხელა შეუწყო და განაპირობა ლიტერატურული პროცესის მარშონიულობის „გარანტიის“ შექმნა. ხალხის ქვემარტი პატარასცესა დამეარებულა ამ ხალხის სულის, მისი ლიტერატურის ჰუმანიტ ცოდნაზე. თანამედვერუდ, უწყვეტ შემოქმედებით და სულიერ კონტაქტებზე, რომაც განუხრედად ასორცაელებდნენ და ასორცაელებდნენ დღესაც გამოქმნილი რუსი და ქართული პოეტება.

ცხოვრების ხალხმა შინაარსმა, მხატვრული ხიტყვის ხალხმა ცხოველმყოფელობამ ახალი უფრო უნდა ამადლოს მნიშვნელობა მხატვრული თარგმანისა, მთარგმნელის ამოცანა და პრესტაჟი. მთარგმნელის როლას ამადლება პირველ რიგში გულისხმობს შეცნების სფეროს და მხოლოდ შემდეგ — შემოქმედების ამ გეთილშობილურა და რთული სახეობის მხატვრული ურთიანდაურების ხაკათს. არ გვინდა ამ თემაზე საზომის გავრცელება, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ კარგა ხანია დიდად დრო გადაკასხვით მხატვრული თარგმანის მონიშნობა ხაკათმა, მისი ამადლების მიზნით.

უნდა ვათვალისწინებულა აქის ლიტერატურის შემოქმედებითა მამართლებსა და სა-თარგმნი „ობიექტის“ მერჩევისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენა გადაწყვეტება

შეუთანხმდით ნაწარმოების ავტორს, შესაბამის ლიტერატურულ ორგანიზაციებს, ე. ი. არ უქნათ ხიკეთ იმითი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვახუთიაც კითხვა ეს ხიკეთ, ეს ხიკითა რაც დრო გადის, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. არ არის საჭირო და არც შეიძლება „ექვანიკური“ წესით გამოვეცო წიგნები, საჭიროა და და ყურადღება გამოვამართო მწერლ-სადმა, ნაკლებად დაუშვათ კომპრომისება, რაც ერთობ ხშირია სოლმე.

როცა ვლადიმერობით ხათარგმია „ობექტის“ არსევაზე, საჭიროა შევხედოთ ურთიკისა, მას ამოცანებს თანამეფროვე ლიტერატურული პროცესის ინტერბრეტეფულ-ქართულ კრიტიკოსებს ჯერ კადვე ბერი რამ აქეთ ვახიკეთებელი, რათა შეაფასონ და პრობლემა და უწიონ მშობლური ლიტერატურის საუკეთესო ნამუშებს. ჯერაც ერთობ მცირე რაოდენობისაა შექმნილი ასეთი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოებება, ესეება, ლიტერატურის-მკვლევების გამოკვლევება, დამსმარე შეცნაერულ-ინფორმაციული ცნობარება და ა. შ., რომლებიც დირსეულად გამოსატყეფებს ქართული ლიტერატურის ცალკულ ნაწარმოებთა უკმარატ ფახეულობას. ასეთა ლიტერატურამ ამ სიძით უნდა კუდევიოს ინტერესი მთარგმნელებს, რა სიძითაც ამას იმახურებენ ხათარგმნელი ავტორება.

არის ერთი ასპექტიც ამ ხიკითსისა. დადა დრო, როცა ლიტერატურული ფაქტი უნდა კანსილულ იქნას არა მარტო ერთეული ლიტერატურის მოსაციიდან, არამედ საერთო ბო-საციიდანაც, რაც ითვალახიანებს საბჭოთა მრავალეროვანა და მსოფლიო ლიტერატურის გამოცდალებასა და დონეა. ამას საჭიროებს მირველ რაგში საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ვანკოთარება, მეკნებული ვენის, მუმიანისტური ტენდენციებმა წახალხების, ხალხურობასა და მარტოულობის ინტერესება, რომლებაც აგრძელებენ ყოველი ერის მხატ-კრული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს.

ამ ბოლო ხანს ხშირად წერენ სხვა ლიტერატურის ნაწარმოებებზეც, რაც თავისთავად ერთობ დადებითა ფაქტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად საოცრად მსუბუქად და უზრუნველად წერენ; ასე მაგალითად: ზოგჯერ თრი დღით სტუმრად ჩამოსული მწერალი წერაღს გამოაქვეყნებს ადგილობრივ გაზეთში, ვთქვათ, ზუგდიდელი გლეხის მრავალხაკუნოვან იმე-ღებზე, ანდა ურცხვად განადიდებს რომელიმე მწერაღს, მით უმეტეს რომ ეს განდიდებული იმით იოტისოდენა შეურაცხეფებაც არ ვრძნობს სოლმე, ანდა წამთაყენებს საოცარ კონცეფ-ციებს ამა თუ იმ ლიტერატურის შესახებ. აქ, რასაკვირველია, ღებარაკი არ გვიხდება შეც-ნაერულობას; ანდა ამ ლიტერატურის მახალის ცოდნაზე, უფრო ხშირად ხაქმე კვაქვს ხავეფო ფაქტოლოგიურ მონაცემებთან, რომლებაც ძალით ჩაუტენათ წინახწარ მოცემულ არახიკლებ საეჭვო კონცეპციებში. რახაკვირველია, ასეთი „ლიტერატურული ადმინიწრანი“ არაეითარ შემ-თხვევაში არ უწიანს ხელს ნაყოფიერა შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებანს. როცა სხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესზეა ღებარაკი, ცხადია, ხრულად უცილობელია თე-ითონ მანახანად ვიგრძნოთ ამ ნაწარმოების, ლიტერატურის, ხალხის, სულა, გავიგოთ და ვავი-ანართ „ნახული და გაგონილი“, დაერწმუნდეთ ჩვენი დაკვარეებების სიხწორეში. და მარ-თლაც, ვანა მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას რა მქეია და „რატომ“ და „როგორ“ მქეია?

შემოქმედებითი კონტაქტების თანმიმდევრობა, ურთიერინდიანობა და ურთიერინმეცილობა გადრძეება ისეთი ხაქმე როდია, რომელიც ერთხელ და ხაბოლით შეიძლება გადაწყვეტ-შემოქმედებითი ურთიერთგაგმარება გამუდმებით უნდა დაეციგათ და განკომტკაცოთ. ეჭვი არ არის, რომ მომავალში კადვე უფრო უნდა გაძლიერდეს ეს პროცესი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხებს შორის, რაც შეესება საბჭოთა კავშირის ხალხებს, ჩვენ გვაერთია-სებს დიადი მიზნება და დიადი მშობა, ერთად გადატანილი და და ტანჯვა და სახარული. იმატომაც ჩვენა ერთობა დღეს და ხვალ, ისე როგორც არახდროს, ახჯერ უფრო მტკიცე და ურდვევი უნდა იყოს.

უკანახკნელ ხანს მთარგმნელობითი მოდვაწიების არნახულია ხრდამ, სწორედ ჩვენა საზოგადოების განვითარების ობექტურმა კანონებმა განაპირობეს ასეთი სიკეთაღური მთარგმნელობითი დაწესებულების შექმნა, როგორიცაა საქართველოს მწერალითა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავრო-მარედაქციო კოლეგია, რომელიც მრავალმხრივ უწევთს ხელს მშრომელთა ინტერნაციონა-ღურ და ვსთეტიკურ აღზრდას ჩვენს რესპუბლიკაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა ერების ლიტერატურა 70-ზე მეტ ენაზე იქმნება. ამავ დროს ჩვენ ხრული უფლებით ვლადიმერობით ერთიან საბჭოურ სოციალახისტურ კულტურაზეც. ეს ვი-აუციალებლად იმას ნიშნავს, რომ მომმე ერების სულიერი საძვართ ყოველი ერისა შემოქმე-ღებითი მონაპოვართ, სულიერი დარებულებით უნდა გამოიღრდეს — ყველა მომმე ური უნდა

იქონს შემკვიდრე თითოეული ერის ხულიერა სიმდიდრისა. თარგმანის ხელოვნებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებშივე შექმნა ყურადღება. საბჭოთა ხელისუფლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება კულტურის დარგში იყო ლენინის მხარდაჭერითა და გორკის თაოსნობით ასალი სპეციალური მთარგმნელობითი გამომცემლობის „Всемирная литература“-ს დაარსება. ეს გამომცემლობა მიზნად ისახავდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქაწოდებას მსარგებლო მნიშვნელობის მქონე მშობლიურ ენაზე, საბჭოთა ადამიანებს ხულიერი ხაყაროს გამდიდრებას მსარგებლო ლიტერატურის ამ საგანძურით, რაც კაცობრიობას შეუქმნია თავისი არსებობის მანძილზე. ეს იყო ნათელი გამოვლინება საბჭოთა სახელმწიფოში კულტურული მიმსახურების პოლიტიკისა.

სცდათთან წლებში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში. მოძმე რესპუბლიკებში ნიშნინარე ლიტერატურული მთარგმნელობითი პროცესების გვერდით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეაძინა სსრკ ხალხთა ლიტერატურების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნაძ. ეს მუნებრივაც აყო — საბჭოეთის ხალხთა ურთიერთ გაცნობის პროცესში სწორედ რუსულ ენას უნდა დავისრებოდა ამ ხალხთა კულტურებს შორის შეკავშირის დიდი ისტორიული მახას.

ჩვენს მოკლე შეგვესტოთ მთავარი ხარედაქციით კოლეგიის მრავალმხრივა მოღვაწეობის მხოლოდ ნოგიერო საკათის, რასაც აყო უკანასკნელ პერიოდში პრაქტიკულად ახორციელებს. ახე, ძავალითად, კოლეგიამ ბოლო ხანებში შეძლო შემოეკრიბა მადალნიჭიერი რუსი მწერლები. ისანი სათანადო ღონესე თარგმნისას ქართული ლიტერატურის ნაწარმოებებს, მონაწილეობას დებულობენ კოლეგიის რუსული თარგმნისას რეცენზირება-რედაქტირებაში და, ხაყარით, მის ლიტერატურულ-მთარგმნელობით ცხოვრებაში. მეორეს მხრის, კოლეგიაშიც შეიქმნა სპეციალური რედაქცია, სადაც რუსულ ენაზე გამოხატეში წავნები მზადდება.

კოლეგიამ გამოსცა მადალმხატვრულად თარგმნილი რუსული ზეპარნიტევიერების შიხანიშნავი ნიმუშება — „ბილანები“, აგ. ბუნინის „მატიას სიყვარული“, უახლოეს ხანში გამოვი ი. ტინიანოვის „ვაზირ-მუსტარის ხიყვდილი“, გ. ბელოვის „სამი ხაირიელის მიღმა“, კრებული „თანამედროვე რუსული მოთხრობა“, აღ ტვარდოვსკის პოემებს წივნა, ღ. ტოლსტოის „კახაკები“, ა. ფეტის ლექსების კრებული. კოლეგია ახლო მომავალში გამოსაცემად ამზადებს რუსული პროზისა და პოეზიის გამოჩენალი ოსტატების ნაწარმოებთა თარგმანებს, მათ შორის ფ. დოსტოევსკის, ღ. ტოლსტოის, აღ. ტოლსტოის, ე. ბარატინსკის, აგ. ლაფტინიკოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ა. ჩეხოვის, ნ. ლესკოვის, მეღნიკოვ-პეჩორსკის, ედ. მაგრიცკის, ედ. ხლებნიკოვის, თ. ბერკოლცის, ა. ჩუკოვსკის, ს. მარშაკის, კ. სამონოვის, გ. მარკოვის, ფ. აბრამოვის, აღ. ჩერკასოვის, ა. ჩაპოვინის, ი. ტრიუონოვის, გ. რახპუტინის, ე. ასტაფიევის, ბ. ზაკუჯავას, გ. დინიხოსოვის, ა. ბიტოვის, გ. სემიონოვის, ა. ბორშჩაგოვსკის, ე. ვანოკუროვის თხზულებებს, რუსული კლასიკური პოეზიის მდარე ანთოლოგიას, თანამედროვე რუსული მოთხრობის წიგნს და სსკ. ახევე კოლეგიის მიერ რუსულ ენაზე გამოსაცემად მომზადებულია ქართული ფოლკლორის ორა სამ-ხანთახანის წიგნი — ნ. კრებნევის მიერ თარგმნილი „სამი მზე“ და ი. ვოლკოვსკის მიერ თარგმნილი „ამ მოთხედა“, თანამედროვე ქართულ პოეტთა ლექსების კრებული (მთარგმნელი ე. ვეჭუშენკო), გალაკტიონ ტაბაძის ლექსების კრებული (მთარგმნელი გ. დეონოვისა), თ. ჭილაძის ლექსების კრებული (მთარგმნელია ჯგუფი). ნ. ნავაშიძის „ღვე ტოლსტოის ასლის“ (მთარგმნელი ს. გელიძე), გ. ძნელაძისა და ი. სრჯონიკიძის ლექსების კრებულება. კოლეგია ახლო მომავალში რუსულ ენაზე გამოსაცემად ამზადებს ა. კლანდამის, მ. ნიშნიანიძის, თ. ჭილაძის, ტ. ჭანტურიას, თ. ჭილაძის, ოტ. დოსტოევსკის, რ. ჭეიშვილის პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, თანამედროვე და ძველი ქართული პროზის კრებულებს და სსკ. კოლეგია გამომცემლობა „სოვეტსკა პისატელის“ ღწინგრაღის განყოფილებასთან ერთად პოეტის მიხლიოთეის დიდი სერიისაყის რუსულ ენაზე გამოსაცემად ამზადებს დ. გურამიშვილის, ა. წერეთლის, გ. ტაბაძის, მ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. დეონოვის სქელტანიან პოეტურ კრებულებს, აგრეთვე XX ხეკულის ქართული პოეტების კრებულს. ამ კრებულებში გათვალისწინებულია ვრცელი წინასიტყვები და სათანადო კომენტარები.

მთავარმა პარედაქციით კოლეგიამ მნიშვნელოვანი და მახატბური მუშაობა წამოიწყო სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული, ნიდერლანდული, ბალტიკის რეისის რესპუბლიკების და სხვა მოძმე ერების ლიტერატურათა ქართულ ენაზე თარგმნის ხიქმშიც. კოლეგიის ეს მუღელობა გველგან დიდ მეგობრულ მხარდაჭერისა და ენოუსიისს ხედემა. შეიძლება ბევრი რამ გვეოქვა კონკრეტულად საბჭოთა, სოციალისტური და ხელგარგართის ხალხთა ლიტე-

რატურების წარმომადგენლებთან უკანასკნელ ხანს კოლეგიის მიერ დამყარებულ მეგობრულ შემოქმედებით კავშირებს, ამ კონტაქტებს პრაქტიკულ შედეგებზე. ამ შემთხვევაში მოკლედ აღვნიშნავთ კოლეგიის მიერ უკვე ჩატარებულ დიდ მოხაზადებულ სამუშაოს სისტერი ლიტერატურის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის სფეროში. მიმდინარე წელს კოლეგიამ გამოსცა თანამედროვე თვალხაინთ სომეხი პროზაიკოსის პრანტ მათეოსიანის მოთხრობების ქართული წიგნი „აკვასტო“, მშვენივრად, მაღალ მხატვრულ დონეზე შექმნილი მკვლელაშვილის მიერ. კოლეგიის მიერ დაკვეშილია სომხური ლიტერატურის მხატვრული გამოცემა. ბიბლიოთეკაში შეტანილია 40 წიგნი, პირველი წიგნი, პარუირ სევაკის ლექსების კრებული, რომელიც ქართულ ენაზე დიდი ოსტიტობით თარგმნა გ. შაჰნაზარმა გამოდის წელს საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების დაკავშირებით. ხაერთოდ ამ თარიღისათვის (27 ოქტომბერი — 3 ნოემბერი) მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსაცემად მოამზადა საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების ხელსთა ლიტერატურების 30-ზე მეტი ნაწარმოები.

კოლეგია პრაქტიკულად ეწევა მოხაზადებულ მუშაობას სომხური პოეზიის ისთოლოგიის გამოსაცემად. ამასთანავე ითვალისწინებს გამოსცეს კრიგორია ნარეკაცი, ნაპაპეტ ქუჩაქის, აკოფ პაროსიანის, მხათარ ვოშის, ვარდან აიგეციის, აღ. ძირგენზადეს, ნარდოსის, პეტროს დურიანის, ხაიაი-ნოვას, გაბრიელ იბაკიანის, თვანეს თუმანიანის, ვაჰან ტერიანის, ელიმე ჩარენცის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები, ასევე შირაზის, ხილვა კაპუტიკიანის, სარქუნის, ვაჰან დავთიანის, შამო საპიანის, რაზმაკ დავთიანის და სხვა თანამედროვე პოეტების კრებულება. ასევე მზადდება ეპოსის „ღვთი სახუნელის“ ძალია გამოცემა.

მთავარი სარედაქციო კოლეგია რუსულ ენაზე გამოსაცემად ამზადებს აზერბაიჯანული და ქართული კლასიკური პოეზიის ერთობლივ კრებულს (მთარგმნელი ა. ახუნდოვა). ამ კრებულში ერთი და იმავე ეპოქების საქართველოსა და აზერბაიჯანის დიდ მკვლახსთა ნაწარმოებები მაღალ პოეტურ დიადოკს წარმოქმნიან. კოლეგიაში შედგა სპეციალური სარედაქციო-დაცოი გეგმა აზერბაიჯანის გამოცემლობა „აზალი“-ხაყის წარსულ-აზერბაიჯანული ლიტერატურების ნიშუთა ურთიერთთარგმნის მიხსით. ახლო მომავალში გამოსაცემად მზადდება აზერბაიჯანული ეპოსი „წოროდლი“ და თანამედროვე აზერბაიჯანული პროზაიკოსის ა. ქუხეინოვის რომანი „წუთები და წლები“.

მოვიყვანთ ასეთ მაგალითსაც უკრაინული ლიტერატურის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნისთან დაკავშირებით — კოლეგიამ გამოსცა ცისილი უკრაინელი მწერლის აური ანოსკის „მხედრება“, თარგმნელი ვაბა ასათიანის მიერ. გამოსაცემად მზად აქვს პავლო ტინინის ლექსების კრებული. ასლო მომავალში გამოიცემა ტარას შევჩენკოს ლექსების კრებული ქართულ და უკრაინულ ენაზე (უკრაინელ მწერლებთან შეთანხმებით). ასევე, უკრაინული პოეტების მონაწილეობით კოლეგია უკრაინაში გამოსაცემად ამზადებს აკაკი წერეთლის ლექსების კრებულს უკრაინულ და ქართულ ენაზე. კოლეგიის ამ წამოწყებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა.

კოლეგია ნაყოფიერ მოღვაწეობის ეწევა აფხაზური ლიტერატურის ნაწარმოებთა ქართულად და ქართული ლიტერატურის ნიშუშების აფხაზურ ენაზე თარგმნის საქმეში. ამ საკითხებს მიუძღვნა გასული წლის მარტში და მაისში კოლეგიის მიერ ჩატარებული შემოქმედებითი დისკუსიები — „მრგვალი მაგიდები“ თბილისში და სოხუმში. შედგენილია და თანამედვერულად ხორციელდება აფხაზური ლიტერატურის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის გეგმა. პირველად თარგმნა ქართულად „მზაგა ნართებისა“, პოეტური ფოლელორი და ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებები. მზადდება დიხმარე, ლექსიკოლოგიური და ხაინფორმაციო გამოცემები და სხვა. დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ ლიტერატურულ-შემოქმედებითი კავშირების განმტკიცებასათვის კოლეგიას უფროსი მეცნაერ-რედაქტორი, აფხაზი ლიტერატორი ა. წვინარა — აბრამიშვილისა.

ასევე ხაინტერესოდ წარამართა კოლეგიას შემოქმედებითი კონტაქტები შიძვე ოს მწერლებთან. მიმდინარე წლის ივნის-იელისში თბილისში და ცხინვალში ჩატარდა „მრგვალი მაგიდები“ ქართულ-ოსური ლიტერატურების ნაწარმოებთა თარგმნის პრობლემებზე. რაც კიდევ უფრო ხაქმიანს გახდის ჩვენს მეგობრულ კავშირებს. საბჭოთა ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით კოლეგიამ მოამზადა პოეტური კრებული — „მოები“ სიმღერა“. ამკამად კოლეგია აწეებს მოხაზადებულ მუშაობას ოსი კლასიკოსის სევა გადიეის ლექსებისა და მოთხრობების კრებულის გამოსაცემად 1980 წლისათვის — მწერლის 125 წლისთავთან დაკავშირებით. აგრეთვე 1979 წლისათვის მზადდება კოსტა ხეთაგურიის წიგნი „ოსური ქნარი“ ქართულ

და რუსულ ენებზე. 1981 წელს დაბადებიდან 100 წლახათავე უსრულდება თხუთრა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელს ბრიტაეკს. ამ დროისათვის კოლეგია ამზადებს მწერლებს დრამების, მოთხრობებისა და წერილების კრებულს. ასევე მზადდება დიდი ოხი მწერლის ცომაკ ვადიევის პოეტური და პროზაული ნაწარმოებების კრებულა, რომელიც 1982 წელს უსრულდება დაბადების 100 წლახათავე. მომდევნო 1983 და 1984 წლებსათვის, კოლეგიას დაგეგმილი აქვს დიდი ოხი მეკისნას კოსტა ხეთაგურთვის არტომქუჩუძის შემოქმედება. კოლეგიისა და ოხი მწერლების თანამშრომლობა დროის ამ მონაკვეთშიც მსადავლებს მართლამ გამოცემებით არ ამოიწურება.

კოლეგიას მეგობრულა, შემოქმედებითა კავშირები აქვს დამყარებულია ჩრდილოეთ კავკასიას ხალხთა ლიტერატორებთანაც, რაც მოკლე ხანში პრაქტიკულად აქვს თავს ქართულ თარგმანება და გამოცემებში. 1976 წლიდან კოლეგიაში მზადდება ჩრდილოეთ კავკასიას ხალხთა ფოლკლორის ისტორიკა, მხედველობაში ავაქვს ჩრდილოეთ კავკასიას ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა — ადიგების, ყაბარჯოელების, ბალყარელების, ყარაჩაელების, ჩერქეზების, აბაზების, ჩეჩნების, ინგუშების, ავარების, ტაბასარანების, დეგების, ყუბაბების, ნოღაელების, ტატების, ოსების ლიტერატურა. ბმეამად კოლეგიას უკვე შეკრებილა, რეკონსტრუქტულია და მართლად რედაქტირებული აქვს შემოსიამოყვლილი ხალხების ფოლკლორული ხუეუთხო ნიმუშები. მანდასარუთა მათა მწკარეულთა თარგმნა, რაც ასედა მონაგვლში დასრულდება. 1981 წლახათვის კოლეგიას მზად ექმება გამოსაცემად ისტორიკის პარგელა წიგნი ამ ხალხთა ყოველი ცალკეული ფოლკლორული შემოქმედების ძეხსებ მზადდება სტატეები და კომენტარები, ასარგმნება უბისების ფოლკლორის ნიმუშებიც ფრანგულში.

კოლეგია ასევე ღოველმხრივ უწყობს ხელს ჩრდილოეთ კავკასიელ მწერლებსა და მთარგმნელებს ქართული ლიტერატურისა ნიმუშების მათ ვნახუ თარგმნის საქმეში.

კოლეგიის უზუალო მონაწილეობითა თარგმნება და გამოსაცემად მზადდება ქართულ მართლად, თანამედროვე ლიტერატორთა ნაწარმოებები გერმანიას დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, პოლანეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იტალიასა და ინგლისში. ამასთანავე, კოლეგიამ უდავოდ დიდ წარმატებებს მიაღწია მთმე ხოცადასტური და საზღვარგარეთის ქვეყნების ხუეუთხო მწერლების ნაწარმოებთა თარგმნის საქმეშიც. ხაკმარისია დავსახვლით ასეთა უკვდავი სახელება, როკორაცია პლატონი, არისტოტელე, ესქილე, ევრაბიდე, დემოსთენე, შექსპირი, მასკელა, შუა ხუეუთების ებრაელი პოეტები, კარნუხალი, ივამკვეთი, ანდრიაი, ცნობილი ფრანგი პოეტები, გერმანელი და ავსტრიელი მწერლები და მრავალი სხვა.

ჩვენ არ შევხებამართ თარგმნის ბეერ სხვა მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც კოლეგიას მოდერწეობის საკანს წარმოადგენს, როკორაცია, მბგალითად, მთარგმნელია მომზადებასა და დოსტატების საკითხი, კონსულტაციას საკითხი და სხვ. აქ არც ამ მრავალმხრივ და თანამომდევრულ სამუშაოებზე ვლაპარაკობთ, ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობების განვითარებასა და განსტკიცებას რომ ებება (მაგ. საქართველოში ბუშეიანის დიგეპონს დაკავშირებულა კონფერენციები, გამაფენება) და სხვ. მხოლოდ გუეერთა ვახხენება, რომ მოლო წლებში კოლეგიაში დოსტეწა, გამოიკვეთა და სტაბილური გახდა ახადგაზრდა მთარგმნელებთან მუშაობის პრაქტიკა, რაც, უბარგელეს ყოველას, ტადანტის კამოვლინებას, მისა აღზრდასა და წარმართვის დელეკატურ საქმიანობას იოვალისწინებს. აქვე უნდა ვახხენოთ, აგრეთვე, მეცნიერულ-პოპულარულა ლიტერატურის ხუეუთხო ნიმუშთა მომზადების საქმიანობაც. ამ ლიტერატურას, რასაც თავისთავად დიდა შემეცნებითი ღირებულება გახწინ, კოლეგია ხოციალურ-გნებქოლდაურა კუთხითაც ვანახადებს. მისი წიხომოდგარები მეცნიერულ-ტექნიკური რეოლუციის უმუალო შემოქმედებით წარმოქმნეა, ხოლო ასტეოდელისციისა და ხაგროთე, მმრომელა ხალხის ასეთი ცოდნით აღჭურვა და უსრულედელოფა, მხოველით მეცნიერულა ასრას მადწეეთა ხასტეისტური პოპულარობაც, მრავალმხრივ შეუწეობს ხელს ბეერა აღოგაურა, სქემატურად ვახერაღი პრობლემის გამოთლევა, პროვინციადემაბა და შემწანობის აღმოუხერახ, დიდად დაგხმარება დეგვანდელი დეამანის ესთეტურ, რეტერნაციონალურ აღზრდას, მახი ხულაერა ხამყართს პარპონაზაცია და, ხაგროთე, მადილეკომუნისტური თვითშეგნების განვითარებას“.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის არხებობას ოხი წლებს მანძალზე თანდათან შეუბო, დაახვეწა და კამოაკვეთა მახი ხაერთო მოდერწეობას ფორმები და მუთოდებიც, რაც რესპუბლიკის ლიტერატურის საზოგადოებრად მთხოვნაილებებს უბაჟუებებს, ხოლო ხაგროთე დოს მთარგმნელობითი გამოცდადებით უკვე დიდად დაანტერესდნენ მთმე რესპუბლიკის

და სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურული ორგანიზაციებიც. მთავარი სარედაქციო კოლეგია, როგორც ასევე მთარგმნელობითი ორგანიზაცია, სოციალისტური რეალიზმის აკადემიის ბუნებრივი მედიუმი და მეცნიერულად გააზრებულ, სოციალისტურ-რეალისტურ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის განვითარებას დღევანდელ ეტაპზე.



ერისული
ბიბლიოთეკა

გელა ახმაღულინა

გოგონება საქართველოსი

ღობო გელას იგულება ამ ქვეყნად იღუმადი და ხავეარელა ალავი, რომელსაც იშვიათად თუ იწვევა: მაგრამ მუდამ ასბოვს და სპირიტუალურად ეხანძრება; ადამიანი შანი, თაყის სამშობლოცა ცხოვრობს, იქ, სადაც უნდა ცხოვრობდეს: საქმიანობს, იღლება და დამით, გადრე ძივს მინებებოვებს, გაედიმება საბუნეღესო და გაიუიქრება: „ასეა შეუძლებელია, მაგრამ იდეალს იხეც მოვიინახულებ...“

ასე ვფიქრობ სოღმე საქართველოზე და დამდამობით საზმრად ქართულა ხატევა მესმას. ისე მიაბლავს უცხო, ხანუკეარა ენას საცთურა. ასე ელაგაცემა მთუმაზე ბავებს, მაგრამ თავს ბეყით ძალა არაა, როგორ აღმოუთაძმევიანო სღავერ სორსს თანხმოვან ბეყრათა ბომოქარა უთანხმოება, სად დაეიტით ხანაერობა სმოვიანებიახ? მსოღოდ სიზმრად თუ დაეძლეე ენაბრევილობას და გამოცეცემ იმ პანგს, თანდათან რომ იფხება და სერე ხამღერად ვარდაიქმნება.

ასე გეონაა ხამღერათან ისე ასღოს არაგან სახლობს, როგორც ქართველი კაცა, მსაარულებასა და ხამღერას, მწუხარებას და ხამღერას, სიყვარულსა და ხამღერას შორის არაგათარო სღვარა არ არსებობს. თუ ქართველი აა, ამ წყაში არ ძღერას, მსოღოდ იმატომ, რომ წუთის შემდეგ ამღერდება.

ერთ შემოდგომას, კახეთში ვხა ივეებნა და ხანმაშესულ ეღებს ეკათხეთ, საით წევიღეთ-თქო. ბერაკაცმა თაყის სახლზე მიგვიითთა და მოკლეე მოგვიკარა: „აქეთ“. შევედიოთ ებოში, სადაც უკვე შრებოდა ჩურჩხეღება, გომშის ხას ტოტეშიე დაბუღებულა მამღები კა ხამუშ-სამუშ წამოივიღებდნენ.

როგელი მსოღოდ იწეებოდა, მაგრამ ქვევრები — ბოლოწვეტიანი, მაწაში ჩადგმული დიდა დოქები — ხაგსე იყო მაჭრათ, რომელიც, მართალია, სახმელად მსუბუქია, მაგრამ გვარაინად კი ათრობს. სახმელი ჯერ სეიროთანად არც დაგვეჭამნიკებინა — ხუფრასთან მსხდარნი კი უკვე ძღეროდნენ მრავალხმოვან ქართულ ხამღერას, და ყოველ ხმას თაყისი ადვილი მქონდა, ისეთი შეხმატკბიღებულა ხამღერა იყო. სხედასხვად ხმებს მტეიცე, ჩეძოვის უცნობი წესა მართავდა.

მომეჩვენა, რომ ბოღოს და ბოღოს განახუნა ნაღოდინევა, საიდუმლო კარი ქართულა ენასა, და ამ ხამღერას უმშევიერებს არხი შევიცინა; ხამღერა იტეედა ხიკეთეს, აუწონულ სიყვარულს, მეირე ნაღველს, მიწისადმა მადღაერებას, მოვონებას, იმედსა და კიდეე მკოღაფერ იმას, რაიც შეიძლება კაცმა ინატრო ასეთ ბედნიერსა და მოვარაან დამეს.

ქართული კოეზია მარად ჩემთან იქნება*

შეც გაგიმეღავსებდით ჩემს თვალსაზრისს მხატვრული თარგმანის თაობაზე. მაგრამ თვალსაზრისი არ გამაჩნია, მაქვს მხოლოდ თვალები. მაქვს სულები, რომლებითაც ვწერ, მაქვს გული, ვისი წყალობითაც ვმუშაობ და ამას იქათ ვედარხად წავად.

* 1962 წლის 15 სექტემბერს წარმოთქმული ხატევის ხტენოგრაფია.

აქ ბევრი ილაპარაკეს, თუ როგორ უნდა ვთარგმნიდეთ. ეს ხასხარეებლო, ჭკუის ხასხარე-
ლა ვაკვირდით, ოღონდ მაინც არ ვიცო, როგორ უნდა ვთარგმნო. ეს რომ გეცოდნოდა.
უფრო მეტა საუცხოო თარგმანი გვექნებოდა ვალაქტონ ტაბიძისა თუ სხვა პოეტების ლექ-
სებისა.

უცნობლად უნდა აღინიშნოს ის ვარემოება, რომ ჩვენა შეხვედრა ფრად საქმიანი
გამოღვა. მოდიო, ამ თათბარებს სუ შეხვედათ როგორც მხოლოდ მწერებს, მაგრამ მიერ
დავეცმილ, ჩვენა საზოგადოებრივი ცხოვრების დონისძიებს — დავფიქრებთ, რამ
კვიბიძეა ერთმანეთს შეხვედროდით და ერთსა და იმავე საკანზე გვესაუბრა?! შედეგელობაში
მაქვს ხელოვნება, ის, რაც მუდამ გვაბდოებს, საბოლოო კა უღიღესა ხიმღადრეა აღამიან-
ათვის.

მე თარგმანს ვუფურებს, როგორც ერთი კაცის მეორისადმი ხიყვარულის გამჟღავნებას.
ამას მხოლოდ იმიტომ კა არ ვიპიბ, რადგან ვაცხობდი და მიყვარდა ის პოეტები, რომლებ-
საც ვთარგმნიდი, და სამის ჩიქოვანის, ანა კალასადის ქმნილებათა მიღმა მათსავე სახეს
ვხედავდო, არამედ იმატომ, რომ უხაიდგროდ მჯეროდა მათი და გულით მიყვარდნენ.

აქ ახაუბრეს მწკარედზე; დაუნდომელი სიტყვებით მომხსენიეს და აღბაი, სამართლიანა-
დაც, მაგრამ ჩვენ ხომ შეგვაძლია არ ვაფუმხილოთ ერთმანეთს, ვამ როგორ ვსუქობდით.
მოდიო და ერთერთს მხოლოდ ხაკუთარი შრომას ნაკოფა გავაცნოთ. ის ყველაზე უკო
იტყვის თავის ხათქმელს.

მე ვერ ვახაყვადურებ ბორის პასტერნაკს მწკარედით თარგმნის გამო, რადგან აკო ჩას-
წვდა ქართულ პოეზიას. მკრესელობა იქნებოდა საყვედური. მე სათუთად ვეყვარები მწკარედს.
მგონია, რომ მწკარედი, თუ შეიძლება ახე ითქვას, უმწუო მავშვია, რომელმაც დაკარგა ის
საცოცხლე, მსობლიურმა ენამ რომ ჩაუღვა, ახელი სიცოცხლე კა ვერ ვერ უბოვია. ვერ-
ჯერობით ეს მხოლოდ მავშვია, რომელსაც ხითაც ვნებავთ, ივით წაყვანთ. მხოლოდ ჭემ-
მარტი ხელოვნება დააყენებს ყვესზე, წარმართავს, აშვილებს, და არამართო ხაკუთარ შეი-
დად იფუღვებს, არამედ ქვეყნიურებსაც აწარებს, რათა მთელმა მხოფლიომ ჩაიკრას
მკერდში.

არაფის მაგივრამ ამ მავშვის გამახსარაკების სებას. და, იკო ნიადვ მშვენაერი იყოს.

ახე მგონია, რომ არის თარგმანისათვის კიდეე ერთი აუცილებელა პირობა — როცა ლექსი
მწყერივით „გაფიტანს და ხაღდაც დავმარსაეს“. ამას დაფიანებით ვამტკიცებ. ვაფლისსმობ
სხვებს და არა ხაკუთარ თავს. ამ თათბირში მონაწილე იმხანაკები მართო თავანთი ხაქმას
ვტონათ კა არ გახლავან მკარადებუდა, არამედ მწკარედით მოეხიის შეგრძნობის უნარითაც
არის დაჯიღდობუდი ჩვენს პირობებში ეს უცნობელი ტექნიკური სერბიი, მხატვრული
თარგმანისათვის ესოდენ ხაჭარო. მხოლოდ ჭემმარტი პოეტი ჩასწვდება ლექსის არსს
მწკარედით.

ხულ პოეზიასზე ელაპარაკოს, რადგან ყველაფერზე უკო მას ვიცნობ, მჯერა, მხოლოდ
ჭემმარტი პოეტი აღადგენს ლექსს, როგორც უმშვენაერეს ხატებას. ამას ენა იმიტომ ვამ-
ბობ, თითქოს ჩემს გამოცდალებას სამავალითოდ მივამსყვეუ, უბრალოდ, ეს უკო ვაცა-
ხვობს იმაზე ელაპარაკო, რაც კარგად იცა — ე. ი. ხაკუთარ გამოცდილებასზე — და ვიმოწმებ
ქართულ ლიტერატურას, არა სხვა ლიტერატურათა დახაკნისკლად. — ქართულ ლიტერა-
ტურას უფრო უკო ვაცნობ. მე ხავანგებოდ შემოვიფარგლე ქართული მოეხიის თარგმნით...
მხურს ქართულ ენას მთელი გულიყური მივაბერთ. ქართულ ხატყვებს ათისობით ხატყვებში
გამოვარჩევ, ხამასოდ თავად განვაწყვე ხაკუთარ თავი და ვფიქრობ, ეს ძალზე მნიშვნელო-
ვანაა.

ჩვენ ესაუბრობთ ლექსის თარგმნისას დასაშვებ თავისუფლებასზე. ვფიქრობ, მათემატი-
კური სინტაქსი ყურც დაფადვენთ საჭარო მავნას. ყოველოვის შეგვაძლია ვაქვით, რის რო-
ვორ ეაკეთებდით. სუსტად გვინდოდა გკოთარგმნა თუ პირიქით, მეც ვაცა, რას როგორ ვაკე-
თებდა. მამახნია, უბუსტესა თარგმანი რადაც-რადაც უზუსტობათა წყალობით მიიღწევა, რად-
გან ერთი ენიდან მეორესზე ვარდათქმისას დახაკრვა ვარდაუფაელია. მე ვერახოდებს შევძელი
ქართულ ხატყვათა ეღერადობის ეღდენა, სოფჯერ ხავანგებოდაც ვარღვევდი ქართული ლექ-
სის სისომებსა და წყობას. რადგან ის, რაც შეიძლება ეღერდეს ქართულ ხალექსო სტრაქონ-
ში, არ ეღერდება რუკულში.

ბესია გაიმპრობდა, რაკ ვთარგმნიდი იმ ლექსებს, მშენიერ ლექსებად რომ შესახებოდა,
სხვენაირად ყურც ვამსაყვებდა მაგრამ არის სახეება, რომელსაც სუსტად ვერ აღადგენენ.
ადრე უკო ვაქვო, როგორ ვთარგმნიდი სიმონ ჩიქოვანის ლექსებს. ბევრი რამ იყო იმ ლექ-

სებში ისეთი, რაც არ შექმნო ზუსტად ვადმოგეტანა. მიუხედავად ჩიქოვანას პოეზიისადმი დიდი ნდობისა და ხიფვარულისა, ვიცოდა, რაც ქართულად მიწვენიერი იყო, რუსულად არ აღედრებოდა. გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონი „ცამეტა წლის ხარ“ — რუსულად არამოეტურია, და არც შეიძლება სატყვესატყვეთ თარგმნო.

მე ბატევს ეცემ ბევრ ამხანაგს, რომლებმაც მახვედურებს გალაკტიონის თარგმნისას დამკვიდრებული თვითნებობა. საქმე ის არის, რომ გალაკტიონი საქართველოს მკაცრად მოყვანილი ქართული ვალდებულება არ არის იცოდება, რა საფრთხე მოუტანს „გულს“ ჩასაც ჩვენ ვთავაზობთ მკითხველს ქართული პოეზიის საგანძურადან, — დიდი საუნჯე გახლავთ, მაგრამ არა საქართველოსთვის, არამედ რუსეთისათვის. მსურს ზეითანო გალაკტიონ ტაბიძის ლექსი რუს მკითხველამდე და ეს საქმე შესაძლებლად მიძახნია. არც ერთი სტრიქონი არ ამომიგდია, არც დაუდვირად მოკიცვებულვარ, და თუ რამ ჩემს ნებაზე მოვიმოქმედე, ესეც მხოლოდ იმ ასრათ, რომ გალაკტიონი ისე გამებრწყინებინა რუსულად, როგორც ქართულად შეიძლება მოხსენილა. როცა დამეულ თბილისში ესეარნობ, მკვებება, რომ გალაკტიონის ანრ-დალოან ერთად მიგაბიჯებ ქუნაში. მე ვაცა მისი ლექსი: ვიცო ამ ლექსის არსა, იგახლავ არ არის ალოვიკური, მაგრამ მთლიანად გამყარება მუსიკას, რომელსაც რუსულად იმაც სიზუსტით ვერ ვქმნი, შეუძლებელს ნუ მთხოვთ. მე შეძელია რუს მკითხველს მხოლოდ ის ვუთხრა, რომ ეს ლექსი ქართულ ენაზე დვთაებრად ვდერს. მინდა, რუსი მკითხველი სიტყვაზე მენდოს, დამიჯეროს, რომ გალაკტიონი — დიდი პოეტია. ამისათვის ცეკვავ რომ დამჭარდეს, წამითაც არ დავუაქრებია.

ვთქვი, რომ ზოგჯერ თავად ლექსი გაბიძგებს თავახუფდებისაკენ, როცა სამონ ჩიქოვანის „ცხრა მუსას“ ვთარგმნიდი, ვეღლავდი. ვმისობდი, ვაითუ რუსმა მკითხველმა ეს „ბიჭვი“ არ შეიფაროს-მეოქი. ჩვენთან რიცხვი ცხრა არაფრის მოქმედია — არ თამამდება. ლექსის ბოლოში განსრას რამდენიმე ისეთი სტრიქონი მიკუმატე, რომელიც ჩიქოვანს არ დაუწერია. მსურდა, მკითხველი მისევედრილიყო, რომ პოეტია დალონდა, მინდოდა რუსი მკითხველისთვის გამყადვილებინა ამ ლექსის აღქმა.

მაგრამ არის ლექსში ისეთი სიზუსტე, რომლის დარღვევა არ იქნება, ხწორედ ამ სი-ზუსტის მისადწვეად გეჭარდება საზომის შეცვლა და დაიქნა ამ გზებისა, რომელთა წყალო-ბით შესაძლებელია არ შეიცვალოს ქართული ლექსის სტრიქონი, მაშინ, როცა ეს სტრიქო-ნები რუსულადაც მიწვენიერად ვდერს.

ხანდახან სამონ ჩიქოვანისა და ანა კალანდაის ლექსებს მათთვის შეუხამაში საზომით ვთარგმნიდი, თუნდაც იმიტომ, რომ ვადმოგეტანა მათი გულების ფეოქეა, რუსი მკითხველი-სათვის არ მომეკლო ამ გულების სათბო.

და ბოლოს ვატყვი, ჩვენ უამრავი საქმე გვაქვს, მაგრამ ქართული პოეზია ჩემად მეგუ-ლება და მანამდე ვერ მოვახვეწებ, ხანამ არ ვთარგმნი ვეღლავერ ამას, რაიც უცდილოდ უნდა ვთარგმნო.

ქართული პოეზია მარად ჩემთან იქნება. მე კვლავაც ვემსახურება ხელოვნებას, რომე-ლიც ერთმანეთს გვაახლოებს, და თვითველ ჩვენთაგანს ბედნიერებასა და სამშვენიერეს გვა-ნიჭებს.

თარგმნა ჯაბა ასათიანმა



მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

პ. შვ. შიშინიძე

ნანა ღარიბა

სარედაქციო კოლეგია:

მზია ბაქრაძე

ბენანა ბრეგვაძე

მაგალი თოღუა

ნოდარ კაკაბაძე

კარლო კალაძე

მინაილ კვეციელაძე

ზურაბ კიკნაძე

ვანუშტი კოტეტიშვილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

როვან შიშინიძე

ნოდარ ნოდია

ნიკო შიხაჯიანი

თავაზ ნუნუაძე

«С А У Н Д Ж Е»

литературно-художественный альманах

на грузинском языке

№ 5

1978

Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей

Тбилиси

улица

Шалвы

Даднани, 2



გარეკანზე: ბ. კორძაძისა. „მ. მანიაკოვსკი“

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქერიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
ვალაეცა წარმოებას 20/IX-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-78 წ. ქალაქის ზომა
70x108¹/₁₆. სააღრ. საფასომ. თაბახი 18.35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკე. № 1012.

ფასი 1 მან.


საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“
კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

БЕЛЛА
АХМАДУЛИНА



СНЫ
О
ГРУЗИИ



სანთქანის საფარი

სანთქანის საფარი
საქართველოსთვის



ვინო ჩაკაშიძე
სა
ნეკოლო
ჯეტ ველიზი
ლუა
ტოლსტოგო





М. Е. КУЗНЕЦОВИЧ
Л. Н. ТОЛСТОЙ
В ГРУЗИИ

ივანე გუგუნიძე
 მითიბის
 სიყვებრული

